

# ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შოთა მათითაშვილი

ქართული ბერმონაზვნობა  
IV-VIII საუკუნეებში

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი  
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
გიორგი ოთხმეზური

თბილისი  
2018

## სარჩევი

შესავალი .....	3
თავი I. ქრისტიანული ბერმონაზვნობა .....	9
§1. აღმოსავლური ბერმონაზვნობის აღმავლობა .....	9
§2. ბერმონაზვნური ცხოვრების ტიპები .....	24
თავი II. ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა ....	27
§1. ქართული ბერმონაზვნობის გენეზისის კვლევის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა .....	27
§2. ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის პერიოდიზაცია .....	31
თავი III. ქართული ბერმონაზვნობა IV საუკუნეში .....	39
§1. წმ. ნინო და ქრისტიანული ასკეტიზმი: წმ. ნინოს ცხოვრება როგორც უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება .....	39
§2. წმინდა ნინო როგორც ქრისტიანი ასკეტი .....	68
§3. წმინდა ნინო – ქრისტიან ქალწულთა ასკეტური თემის წინამდღვარი .....	93
§4. ეგსტათი სებასტიელი .....	112
თავი IV. ქართული ბერმონაზვნობა V საუკუნეში .....	116
§1. წილკნის მონასტერი .....	116
§2. განდეგილები V საუკუნის ქართლში .....	121
§3. ოპიზის მონასტრის დაარსება .....	123
§4. პეტრე იბერიელი .....	142
§5. ბეთლემის (ბირ ელ-კატის) წმ. თეოდორეს სახელობის ქართული მონასტერი .....	173
§6. ახლადაღმოჩენილი ქართული მონასტერი იუდას უდაბნოში .....	176
თავი V. ასურელი მამები .....	182
§1. ასურელ მამათა ცხოვრებანი .....	182
§2. ასურელი მამები – ასკეტები და მისიონერები .....	187
თავი VI. ქართული ბერმონაზვნობა ასურელ მამათა შემდეგ .....	209
§1. ასურელ მამათა მიერ დაარსებული მონასტერები ასურელ მამათა შემდეგ .....	209
§2. ატენის მონასტერი .....	218
§3. ნაგზაურას სამონასტრო კომპლექსი .....	219
§4. ლამაზი გორის სამონასტრო ანსამბლი .....	222
§5. ქასურის მონასტერი .....	223
§7. ყვრილის ხეობის მონასტრები .....	225
დასკვნა .....	229
წყაროები .....	232
სამეცნიერო ლიტერატურა .....	236

## შესავალი

ქართული ბერმონაზვნობის კვლევა დაახლოებით ორ საუკუნეს მოიცავს. ქართველოლოგით დაინტერესებული თითქმის ყველა მეცნიერი, ასე თუ ისე, შეხებია საქართველოს ისტორიისა და კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს ფენომენს.

ქართულმა სამონასტრო ცენტრებმა (საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ) უდიდესი როლი შეასრულეს შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული კულტურისა და ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ამიტომ XIX საუკუნის ქართულ პოზიტივისტურ და XX საუკუნის ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში (ისევე როგორც უცხოელ ქართველოლოგთა ნაშრომებში) საქართველოს ისტორიის ეს საყურადღებო მოვლენა სხვადასხვა ასპექტით მუშავდებოდა. ამ კვლევის პროცესში მრავალი ისეთი პრობლემა წარმოიშვა, რომლის გადაჭრაც აუცილებელი იყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის რიგი საკითხების გასაშუქრებლად. ერთ-ერთ ასეთ სადისკუსიო თემად ქართული ბერმონაზვნობის წარმოშობა გვევლინება, მისი აღმოცენებისა და განვითარების უადრესი ეტაპი.

ქრისტიანულ ბერმონაზვნობას არ ახასიათებდა ერთ რომელიმე კონკრეტულ ტრადიციაში ჩაკეტილობა, პირიქით, ქრისტიანული ასკეტიზმი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და განსხვავებულ ელფერსა და ხასიათს ატარებდა სხვადასხვა ქვეყნებში. მაგ., მიუხედავად პრინციპული, ანუ არსისეული, მსგავსებისა, ერთმანეთისგან განსხვავდებოდა ბერმონაზვნური ცხოვრება ეგვიპტესა და სირიაში. ეგვიპტისა და სირიისაგან განსხვავებული ტიპის სამონასტრო ცხოვრება აღმოცენდა საქართველოს მეზობელ პონტოსა და კაპადოკიაში, რაც შეეხება პალესტინას, აქაური ბერმონაზვნობა სხვადასხვა ტრადიციათა გავლენას განიცდიდა და, შესაბამისად, მის წიაღში უფრო მეტი მრავალფეროვნებაც შეინიშნებოდა.

ქართული ბერმონაზვნობის კვლევისას, პირველ ყოვლისა, ჩნდება კითხვა: რომელ ტრადიციასთან იყო დაკავშირებული, გენეტიკურად, ქართული სამონასტრო ცხოვრება? ეს კითხვა უმჯიდროეს კავშირშია ქართული ბერმონაზვნობის აღმოცენების პრობლემასთან. მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის I ნახევრის განმავლობაში (ზოგიერთი მკვლევრის გამოკლებით) ითვლებოდა, რომ საქართველოში სამონასტრო ცხოვრება VI საუკუნის I ნახევარში ქართლის სამეფოში ასურელ მამათა მოსვლით დაიწყო. შესაბამისად,

ქართული სამონასტრო ტრადიციის აღმოცენებას სირიულ ბერმონაზვნობას უკავშირებდნენ, და, მიუხედავად ამ კავშირისა, სამონაზენო მოძრაობას საქართველოში ნაკლებად განიხილავდნენ სირიული (ან სხვა რომელიმე) ტრადიციის, და საერთოდ ქრისტიანული ასკეტიზმის, ფონზე.

IV-V საუკუნეები ქრისტიანული ბერმონაზვნობის აღმავლობითა და განვითარებით გამოირჩევა. ამ პერიოდში მონასტრებით დაიფარა მთელი ახლო აღმოსავლეთი, მცირე აზია, ბაკლანეთი, იტალია, გალია, ჩრდილოეთ აფრიკა და ესპანეთი. ბერმონაზვნური ცხოვრება ყვაოდა საქართველოს მეზობლად პონტოკაპადოკიასა და სომხეთში. უცნაური იქნებოდა, რომ მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ქართლსა და ეგრისში ამ მძლავრ მოძრაობას რაიმე გავლენა არ მოეხდინა, მითუმეტეს, სხვადასხვა წყაროებით, ჩვენთვის ცნობილია ქართველთა მჭიდრო კავშირი პალესტინასთან და სირიასთან და იქაურ სამონასტრო ცენტრებთან უკვე V-VI საუკუნეებიდან (ზოგიერთ ცნობას თუ ვენდობით, IV საუკუნიდანაც). ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ პეტრე ქართველი ქართულ მონასტრებს აარსებს პალესტინასა (და სავარაუდოდ - ეგვიპტეშიც). ბეთლემის სიახლოვეს მდებარე ქართული მონასტრის პირველადმომჩენი იტალიელი ფრანცისკანელი მღვდელი და არქეოლოგი, ვირჯილიო კორბო, აღნიშნავდა ამ მონასტრის გამორჩეულ ხასიათს. ეს იმიტომ, რომ ქართულ მონასტერში ზეთსახედელი და საწნახელი აღმოჩნდა, რაც განვითარებულ სამეურნეო საქმიანობაზე მიუთითებს. პეტრე იბერის ცხოვრებიდან კარგად ჩანს, რომ ასკეტურ განწყობილებებს უკვე ღრმად და ფართოდ მოვალეობინა ფეხი თავად ქართლის სამეფოშიც. ცხოვრების ავტორი გვამცნობს, რომ მეფე არჩილმა, რომელიც „ბაკურთან და ბუზმართან ერთად ღრმა მოხუცებულობაში იბერიას მართავდა... თავისი ცხოვრება ქალწულებასა და ღვთისმოსაობაში დაასრულა“ (ლოლაშვილი 1988: 81). პეტრე ყრმობისას აღსაზრდელად წმინდა ქალწულს მიაბარეს: „ბაკურისას პეტრე აღზარდა ერთმა წმინდა და ცხონებულმა ქალწულმა, რომელსაც სახელად ერქვა ძუძო“ (იქვე). „ქალწულება“ ამ შემთხვევაში სამონაზენო აღთქმას ნიშნავს (ქალწულების, როგორც ძველ კლესიაში არსებული განსაკუთრებული ფენომენის, შესახებ იხ. ქვემოთ). ცხოვრების ავტორი კიდევ უფრო მეტს გადმოგვცემს: „დიდი ბაკური – იბერთა პირველი ქრისტიანი მეფე – და მისი მეუღლე დუხტია, ქრისტეს მიმართ ღვთისმოშების ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ, ისეთი სათნოება და საქციელი გამოავლინეს, რომ თუმცა მეფეური ჩამომავლობისა იყვნენ, მაინც თავიანთი

მმართველობის დროს მონაზონურ-ასკეტურ ცხოვრებას მისდევდნენ და [ამ ცხოვრებით] არსებობდნენ” (ლოლაშვილი: 82).

უნდა ითქვას რომ ბაკურისა და არჩილის სამეფო კარზე გაბატონებულ ამ ასკეტურ განწყობას უკვე პქონდა ხანგრძლივი ტრადიცია ქართლში. ქართული და უცხოური წყაროების დაკვირვებული ანალიზის შედეგად ირკვვევა, რომ ორგანიზებულმა ქრისტიანულმა ასკეტურმა ცხოვრებამ ასურელი მამების მოსვლამდე კარგა ხნით ადრე მოიკიდა ფეხი ქართლსა და ეგრისში. ასკეტური ცხოვრების პირველგამავრცელებლად ჩვენთან წმ. ნინო – ქართლის განმანათლებელი უნდა ჩაითვალოს.

XX საუკუნის დამდეგიდან მოქცევად ქართლისადმი მიმართ ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის (რომელთაც პეტერბურგის უნივერსიტეტიდან მკვიდრად პქონდათ ათვისებული ლიბერალური თეოლოგიისა და ბიბლიური კრიტიკიზმის (ადოლფ ჰარნაკი), ასევე რანკეს, ლანგლუასა და სხვა ისტორიკოსთა მიერ ევროპაში გავრცელებული პოზიტივისტური მეცნიერების მყარი რწმენა წარსულის „ობიექტური” კვლევის შესაძლებლობისა და წყაროთა მიმართ, ხშირად, ზედმეტად მკაცრი მიდგომა) მიერ გავრცელებულმა მკვეთრად კრიტიკულმა დამოკიდებულებამ კარგა ხანს გასტანა და ამგვარი პიავერკრიტიკულობა ამ უძველესი და უნიკალური ქართული წყაროს მიმართ დღემდე იგრძნობა (განსაკუთრებით დასავლეურ ქართველოლოგიაში). ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ამ თხზულების მეორე ნაწილი, წმ. ნინოს ე. წ. ვრცელი ცხოვრება, რომელიც 6. მარმა. ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ და სხვა მეცნიერებმა IX საუკუნეში შექმნილ ფსევდოეპიგრაფიკულ ძეგლად გამოაცხადეს. XX საუკუნის II ნახევრიდან ისტორიკოსთა და ფილოლოგთა (მ. ვან ესბროკი, რ. სირაძე, მ. ჩხარტიშვილი, ზ. ალექსიძე, ზ. კიკნაძე, ლ. პატარიძე, კ. ლერნერი, თ. მგალობლიშვილი, 6. ნიკოლოზიშვილი, გ. ნარსიძე, გ. კუჭუხიძე, რ. ბარამიძე, ი. გიპერტი და სხვ.) ნაშრომებში ჩამოყალიბდა არგუმენტირებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც, წმ. ნინოს ცხოვრების (იგულისხმება ვრცელი ცხოვრება) ძირითადი ნაწილი (გვიანდელ ინტერპოლაციათა გამოკლებით) არა IX საუკუნის „ნაყალბევი ძეგლი”, არამედ IV საუკუნის ავთენტური ნაწარმოებია (რომელიც სავარაუდოდ IV საუკუნის ქართლის ებრაულ ქრისტიანულ თემში არამეულ ან სირიულ ენაზე უნდა შექმნილიყო). ამ შეხედულებას თხზულების ჩვენთვის საინტერესო კუთხით განხილვაც ადასტურებს. საქმე ისაა, რომ ნინოს Vita-ში ქრისტიანული ასკეტიზმის ისეთი არქაული და სპეციფიკური ფორმები

დასტურდება, რომელიც ქრისტიანულ ხმელთაშუაზღვისპირეთში III-IV საუკუნეებში იყო გარვცელებული და ოდრექრისტიანული ასკეტიზმსა და მონასტრულ ცხოვრებას შორის გარდამავალ ფორმას წარმოადგენდა და, ამავე დროს, ეს „გარდამავალი ტიპის ასკეტიზმი“ ბერმონაზვნობის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, მისი განვითარების უადრესი ეტაპია. როგორც ირკვევა, ნინო კაპადოკიელი მველ ეკლესიაში არსებული ქრისტიანთა განსაკუთრებული ფენის - ქალწულთა დახის (მწყობრის) - წარმომადგენელი იყო და ეფესოში რიცხიმიანელებთან ერთად ასკეტურ თემში ცხოვრობდა. ნინო ქართლშიც ასეთივე ქალწულთა თემს აყალიბებს. ქალწულთა თემები ძალზე გავრცელებული იყო მთელ იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში და მათი არსებობა მრავალი წერილობითი წყაროთი დასტურდება (მათ შორის ეგვიპტური პაპირუსებითაც). ნინოს ცხოვრებაში აღწერილი ასკეტური ცხოვრების სახე კი საოცარ მსგავსებას ავლენს იმდროინდელ წყაროებში აღწერილი ქრისტიანული ასკეტიზმის ფორმებთან, რაც უმჭველი დასტურია იმისა, რომ წმ. ნინო პირველია, ვინც ქართლში ქრისტიან ასკეტთა ორგანიზებული ერთობა დააფუძნა, ხოლო მისი Vita IV საუკუნის ძეგლია (გოჩა კუჭუხიძის თანახმად, ამ ავტორთა გარდა, თხზულებას რედაქტორიც უნდა ჰყოლოდა (კუჭუხიძე 2009: 105)).

IV-V საუკუნეების საქართველოში ბერმონაზვნური ცხოვრების გავრცელება ქართულ და უცხოურ წყაროებში გაფანტული სხვადასხვა ცნობებით დასტურდება. ერთ-ერთი მათგანია V საუკუნის საეკლესიო ისტორიკოს - სოძომენეს - ცნობა, რომლის მიხედვითაც, IV საუკუნის სახელგანთქმული მოღვაწე ევსტათი სებასტიელი პონტოსპირეთში ქადაგებდა (იხ. ქვემო), რაშიც, ჩვენი ვარაუდით, საქართველოს სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთ მხარეები უნდა იგულისხმებოდეს.

V საუკუნის ქართლში სამონასტრო ცხოვრებას ადასტურებს აქ ოპიზისა და წილკნის მონასტერთა არსებობაც. წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებით ცხადია, რომ ეს სამონასტრო კერები ასურელ მამათა იბერიაში მოსვლამდე კარგა ხნით აღრე ფუნქციონირებდა.

წინამდებარე ნაშრომში დიდ ყურადღებას ვაქცევთ ქართული ბერმონაზვნობის ტიპოლოგიზაციას, რომელიც მანამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ფუნდამენტურად არ განხორციელებულა (თუმცა პირველი მცდელობები ჰქონდათ იგ. ჯავახიშვილს, გრ. ფერაძეს, შემდგა - გ.

გაფრინდაშვილს). ჩნობილია, რომ ქრისტიანული ბერმონაზვნობის წარმოშობისთანავე სამონასტრო ცხოვრების რამდენიმე ძირითადი ტიპი გაჩნდა: ანაქორეტობა, ლავრა და კვინობი (ამ სამ ძირითად ფორმაში კიდევ მრავალი ვარიაცია და სახესხვაობა არსებობდა). ანაქორეტობა ინდივიდუალურ, განდეგილურ მოღვაწეობას გულისხმობს, როდესაც მონაზონი განმარტოებულ (მემხოლოე) ცხოვრებას ეწეოდა და არ იყო რომელიმე მონასტრის წევრი. ლავრა განდეგილთა ერთობაა. მარტომყოფელ მოღვაწეებს ჰქონდათ მთავარი ტაძარი და სხვა რამდენიმე საზიარო შენობა (მაგ. ტაძარი, სატრაპეზო, საცხობი). მონაზვნები კვირის ხუთი დღის განმავლობაში განმარტოებით მოღვაწეობდნენ, ხოლო შაბათ-კვირას მთავარ ტაძარში იკრიბებოდნენ საზიარებლად და საღმრთო ლიტურგიაში მონაწილეობის მისაღებად. რაც შეეხება კვინობს, მოღვაწეთა კრებულის ეს ტიპი ერთად მცხოვრებ ძმათა (ან დათა) ერთობას წარმოადგენდა, რომლებიც მუდმივად ერთად ცხოვრობდნენ, ერთად ტრაპეზობდნენ, ერთად ლოცულობდნენ, ერთ წინამდღვარსა და ერთ ტიპიკონს ემორჩილებოდნენ. პალესტინაში წარმოიშვა მონასტრის ე. წ. ჰიბრიდული მოდელი. ამგვარ მონასტერში გაერთიანებული იყო ლავრა და კვინობი. კვინობი იქცა მონასტრის ცენტრად. მას შემდგებ, რაც მონაზონი სხვებთან ერთად ცხოვრების გარკვეულ პერიოდს გაატარებდა, სულიერ გამოცდილებას მიიღებდა, სურვილის შემთხვევაში, მას ეძლეოდა კურთხევა, კვინობის მახლობლად სენაკში განდეგილად ემოღვაწევა, თუმცა კვინობის წინამდღვრის სულიერი ხელმძღვანელობის ქვეშ. ასე ჩამოყალიბდა აღმოსავლურ მონასტერში სოხასტერიონები ანუ სადაყუდებლოები, სადაც განდეგილი მონაზვნები მოღვაწეობდნენ, თუმცა არც მთავარ მონასტერთან წყვეტდნენ კავშირს (ასეთი სოხასტერიონები გვხდება შიო-მღვიმის, გელათის, მარტვილისა და საქართველოს სხვა მონასტრებში).

უკვე IV-V საუკუნეებში ქართულმა ბერმონაზვნობამ (საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ) ქრისტიანული სამონასტრო ცხოვრების ეს სამივე ძირითადი ტიპი შეითვისა. უძველია მომავალი წყაროთმცოდნეობითი ძიება ნარატიულ თუ არქეოლოგიურ წყაროებში, ახალ, სასურველ ინფორმაციას მოგვცემს ამ პერიოდის ქართული ბერმონაზვნობის განვითარებისა და თავისებურებების შესახებ.

ასურელ მამათა ქართლში მოსვლამ და მათმა მოღვაწეობამ ქართული ბერმონაზვნობის ისტორიაში ძირეული ცვლილებები მოიტანა. სირიელი ბერები

აქ, უპირველეს ყოვლისა, მოვიდნენ არა როგორც მონასტრების დამაარსებლები, არამედ როგორც მისიონერები, რომლებსაც ქართლში ქრისტიანობის შერყეული პოზიციები უნდა განემტკიცებინათ და წარმართობისა და ზოროასტრიზმის წინააღმდეგ უნდა ექადაგათ (ამას ადასტურებს ასურელ მამათა ცხოვრების უძველესი სინური რედაქცია). ასკეტურ თემთა ორგანიზება მათი მოღვაწეობის მხოლოდ ერთი ასპექტი იყო. მათგან დაფუძნებული მონასტრები მაღვევე გადაიქცნენ არა მხოლოდ მძლავრ რელიგიურ, არამედ კონომიკურ ცენტრებად. ქართული მონასტრები იმთავითვე აღმოჩნდნენ ჩართული ახლადჩამოყალიბებულ ფეოდალურ სისტემაში.

თუმცა წერილობითი წყაროებიდან და არქეოლოგიური გათხრებიდან ჩვენთვის ცნობილია მთელი რიგი მონასტრებისა, რომელთა დაარსება და განვითარება ასურელ მამებთან პირდაპირ არაა დაკავშირებული (ნაგზაურა, ყვირილის ხეობის მონასტრები (მდვიმევის ქვაბები, თირი), ატენი, ლამაზი გორა), რაც იმის მაუწყებელია, რომ ასურელ მამათა მოღვაწეობამდე, ქართლში, მონასტრული ცხოვრება დამოუკიდებელი გზით მიედინებოდა. რაიმე სანდო წყარო სირიელი ბერების ქვემო ქართლში მოსაგრეობის შესახებ (თუკი ვახუშტი ბატონიშვილისაგან დამოწმებულ ხალხურ გარდამოცემას არ ჩავთვლით) არ მოგვეპოვება. ცნობილია, რომ ქვემო ქართლი პიტიახშთა გამგებლობის ქვეშ, საუკუნეთა განმავლობაში, ცენტრალური ხელისუფლებისაგან თავისუფალ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა, რაც, ბუნებრივია საეკლესიო ცხოვრებაზეც აისახებოდა. აშკარაა, რომ აქ მონასტრული ცხოვრება ასურელ მამათაგან დამოუკიდებლად აღმოცენდა და აქაურ ბერმონაზვნობას წარმოშობის განსხვავებული წყარო ჰქონდა.

ქართული ბერმონაზვნობა სხვადასხვა გზით ყალიბდებოდა. საქართველოში სამონასტრო ცხოვრებას არა აქვს წარმოშობის ერთი წყარო (იქნება ეს ე. წ. ათცამეტი ასურელი მამა (სინამდვილეში მათი რაოდენობა, სულ მცირე, თხუთმეტი იყო), თუ მოღვაწეთა სხვა ჯგუფი). ქართული ბერმონაზვნობა სხვადასხვა გავლენებით იკვებებოდა და, ამავე დროს, ადგილობრივ ნიადაგზე აგრძელებდა თვითმყოფად განვითარებას. საბოლოო ჯამში, ის შუა საუკუნეების საქართველოს სულიერი და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფატქორად იქცა.

## თავი I. ქრისტიანული ბერმონაზვნობა

### §1. აღმოსავლური ბერმონაზვნობის აღმავლობა

საეკლესიო და ისტორიოგრაფიული ტრადიციის თანახმად, „პირველი ბერად”<sup>1</sup> ანტონი დიდი ითვლება. სინამდვილეში ანტონი სულაც არ ყოფილა „პირველი ბერი” და, როგორც თვით მისივე ცხოვრება გვიჩვენებს, III საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ანტონი მონაზვნობის გზას შეუდგა, ეგვიპტეში უკვე მრავლად იყვნენ განდეგილები, რომლებიც დასახლებულ ადგილებთან ახლოს ცხოვრობდნენ (იმნაიშვილი 1975: 11), როგორც ეგვიპტური ბერმონაზვნობის გამოჩენილი მპვლევარი ჯეიმს გერინგი (James Goehring) მიუთითებს, ანტონის პოპულარობა დიდი ალექსანდრიელი მდვდელმთავრის ათანასეს (დაახ. 293-373 წწ.) თხზულებამ განაპირობა, რომელშიც ანტონის ცხოვრება და მოღვაწეობაა აღწერილი (გერინგი 1999: 19). თვით თხზულებაში დახატული ისტორიული სურათი მკვლევართა შორის ყოველთვის ეჭვს იწვევდა, თუმცა ქრისტიანული

<sup>1</sup> პირველად სიტყვა „μονάχος” იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც დღეს გვესმის, 324 წლის ეგვიპტურ პაპირუსში იხსენიება (გერინგი... 1990: 457-459); აქვე ვიტყვით, რომ სიტყვა „მონაზონი” ქართულში უქორწინებლობის აღთქმის მიმღებ ყველა ქრისტიანს ეწოდებოდა, ქალებსაც და მამაკაცებსაც. „ბერი” ძველ ქართულში, ზოგადად, „მოხუცებულს” ნიშნავდა (აბულაძე 1973: 31), ამ სიტყვით, ასევე, სულიერ ცხოვრებაში მომწიფებულ, ღვთივგაბაბრძობილ (შეიძლება ითქვას „გონებით მოხუცებულ” ანუ გამოცდილ) მონაზონს მოიხსენიებდნენ (თანამედროვე რუსული „старець”-ის ექვივალენტი), მართალია X-XI საუკუნეებიდან ზოგჯერ ყველა მამაკაცი მონაზონი „ბერად” იხსენიება (იქვე), წყაროები, ძირითადად, მაინც ერთმანეთისგან განარჩევენ „ბერსა” და ჩვეულებრივ მონაზონს. მაგ. ანტონის ცხოვრებაში ანტონის პირველი მოღვაწი „ბერად” იხსენიება („რამეთუ იყო მას ქამსა მახლობელად დაბასა მას ბერი სიყრმითვან მონაზონებასა შინა”) (იმნიაშვილი 1975: 11), რადგან იგი აშკარა სულიერი ნიჭებით გამოირჩეოდა. ანტონის მოწაფეები მუდმივად „მონაზნებად” იხსენიებიან („და ესწო მიერითვან იყო მთასა ზედა მონასტრები, უდაბნო იქმნა ქალაქ მონაზონთაგან”, „ერთსა შინა დღესა მოვიდეს მისა მონაზონი...”) (იმნიაშვილი: 18); ასე გაგაქს სხვა ქართულად ნათარგმნ წყაროებშიც, მაგ. „კითხა მამან მამასა ანტონის... მიუგო ბერმან და პრქუა მას (დვალი 1966: 3). ვფიქრობთ ჩვეულებრივი „მონაზნის” ანუ „მმის” და „ბერის” განსხვავებაზე მიუთითებს აღნიშნული ეპიზოდი (არა წმ. ანტონისთან დაკავშირებული ციკლიდან): „მმამან პკითხა ბერსა... პრქუა მას ბერმან” (დვალი 1966: 6) ე. ი. სხვაა ჩვეულებრივი „მმა” („მონაზონი”), რომელსაც სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებით კითხვები უწნდება და სხვა „ბერი” – სულიერი ხედვის მქონე გამოცდილი მოღვაწი, რომელიც ამ კითხვებს პასუხობს, ასევე „ბერად” იწოდება წმ. მოსე შავი, რომელთანაც „ვინმე მმა” (ანუ რიგითი მონაზონი) მოღის და სულიერ ცხოვრებაზე შეკითხვას უსვამს (დვალი 1966: 7) და ა.შ. ასეთი მაგალითები აურაცხელია, რომლებსაც აღგილის უქონლობის გამო ვერ ვიმოწმებთ. იხ. თუნდაც შეა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანების I ტომი გამოცემული მ. დვალის მიერ (დვალი 1966), ხოლო ანტონი „ბერად” იწოდება (...დაყოვნა მრავალ-ჟამ და აღდგა და ტიროდა ბერი იგი” (იმნიაშვილი 1975: 47). დღეს, აშკარად შეცდომით, „მონაზონ”-ს მხოლოდ ქალებს უწოდებენ, ხოლო „ბერ-”ს – ყველა მამაკაც მონაზონს, მაშინ როცა „მონაზონი” საერთო სახელწოდებაა მონასტრულ აღთქმათა მიმღები ქალებისა და მამაკაცებისათვის, ხოლო „ბერი” სულიერი ხედვის მქონე მამაკაცი მონაზნის აღმნიშვნელია (ამ სიტყვის გამოყენება ქალი მონაზნისადმი ჩვენ არ შეგვხედრია).

ბერმონაზვნობის ცნობილი ისტორიკოსის დერვას ჩითის (Dervas Chitty) აზრით, ანტონის ცხოვრება ნდობას იმსახურებს (ჩითი 1995: 5). ეს ბრწყინვალე ძეგლი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში პაგიოგრაფიულ თხზულებათა ნამდვილ არქეტიპად იქცა, ქართულად პირველად, ჯერ კიდევ, VI საუკუნეში უნდა თარგმნილიყო (ჭელიძე 1989: 7).

ანტონი რევოლუციონერს, ნოვატორს წარმოადგენდა იმ გაგებით, რომ მან თვით ანაქორეტობის შინაარსი შეცვალა. ანტონის თანამედროვე ქრისტიანთა შორის ანაქორეტობა არა მაინცდამაინც შორს, უდაბნოში გასვლას, არამედ საზოგადოების სოციალური წყობიდან ამოვარდნას, სოციალური იერარქიიდან თავდახსნას ნიშნავდა (გერინგი 1999: 21). განდეგილს შეეძლო სადმე ნილოსის პირას, პალმების ჩრდილქვეშ, სოფლის მახლობლად ემოღვაწევა, მაგრამ ანტონიმ პირდაპირ ცხელ უდაბნოს მიაშურა, რომელიც ეგვიპტელთათვის უდაბნოს ქარიშხლის მძვინვარე ღმერთის – სეთის საუფლო იყო. ანტონის *Vita-b* თანახმად ის არ შეუშინდა ეშმაკის საცოცრებს, რომელიც მას განსაკუთრებული გააფთრებით ებრძოდა, მკაცრად მარხულობდა (ორ-სამ დღეში ერთხელ ჭამდა პურსა და მარილს მზის ჩასვლის შემდეგ, სასმელად მხოლოდ წყალი ჰქონდა) „და მოიხსენებნ სიტყუასა მოციქულისასა: „რაჟამს უძლურ ვიქმნი, მაშინ გავძლიერდი” (იმნაიშვილი 1975: 14). ჯეიმს გერინგის შენიშვნით, ეგვიპტეში არსებული მდგომარეობის სირთულე მთელ ადრეულ ქრისტიანულ სამყაროში მეორდება. რამდენადაც მკვლევრები წყაროთა ტენდენციურობასა და ადრეულ პერიოდში მათ შერჩევით გამოყენებას ითვალისწინებენ, იმდენად ცხადი ხდება ბერმონაზვნური ყოფისა და მისი მნიშვნელობის არაერთგვაროვანი წარმოშობა (გერინგი 1999: 32).

ამიტომ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრისტიანულ ბერმონაზვნობას არ აქვს ერთი კონკრეტული წყარო, ერთი სათავე. საუკუნეთა განმავლობაში ეს ფენომენი სხვადასხვა სახით და სხვადასხვა რეგიონში (სავარაუდოდ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად) ამოიზარდა ადრექრისტიანული ასკეტური პრაქტიკიდან (რომელიც თავის მხრივ ასევე უაღრესად მრავალფეროვანი იყო) და მოგვიანებით, საუკუნეთა განმავლობაში, საეკლესიო კანონთა და აღიარებულ ტიპიკონთა (ბასილი დიდის, საბა-წმინდის) გავლენით, მეტნაკლებად უნიფიცირდა. ამიტომ ყოველთვის მცდარია გვიანდელი გადასახედიდან რომელიმე ინსტიტუციის სათავეებზე რეტროსპექტული მსჯელობა. ეს მეთოდოლოგიურად მცდარი მიდგომაა და ყოველთვის მცდარ დასკვნებამდე

მიგვიყვანეს. ზუსტად იგივე შეიძლება ვთქვათ ქართული ბერმონაზვნობის წარმოშობაზე. თანამედროვე პკლევის ეტაპზე ქართული ბერმონაზვნობის წარმოშობის ახსნა, ქართლში ასურელი მამების მოსვლითა და მოღვაწეობით, საკითხის უკიდურესად პრიმიტიულ გადაწყვეტას წარმოადგენს, რადგან ზოგადად ქრისტიანული ბერმონაზვნობის მსგავსად, ქართულ ბერმონაზვნობასაც არა აქვს წარმოშობისა და ჩამოყალიბების ერთი წყარო.

თავად ანტონის გარშემო შეიქმნა მონაზონთა ერთ-ერთი პირველი ორგანიზებული თემი დაახ. 306 წელს პისპირში. ოცწლიანი მოსაგრეობის შემდეგ, ანუ 306 წელს, უკვე სახელგანთქმული ბერის ხილვისა და მასთან ერთად მოღვაწეობის მსურველებმა ანტონის სამყოფელის კარი ძალით დაარღვიეს და ბერს გარეთ გამოსვლა სთხოვეს. საინტერესოა, რომ „პირველი მონასტრის“ დაარსება ასე ერთგვარად, სპონტანურად და თავად ანტონის სურვილის საწინააღმდეგოდაც კი მოხდა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ქრისტიანული ბერმონაზვნობა ეკლესიის სულიერი ცხოვრების განვითარების ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა და არა რადაც წინასწარ შემუშავებული და განსაზღვრული გეგმის განხორციელებას. პისპირში პირველი სამონასტრო თემი დაარსდა. უნებრივია, აღნიშნული თემი არ უნდა წარმოვიდგინოთ გვიანდელი მონასტრების მსგავს მკაცრად ორგანიზებულ სამონასტრო ერთობად. ეს განდეგილ მოღვაწეთა პრიმიტიული ერთობა იყო. პისპირის ძმობა მალე ძალზედ მრავალრიცხოვანი გახდა. „და ესრეთ მიერითგან იყო მთასა ზედა მონასტრები, და უდაბნოდ იქმნა ქალაქ მონაზონთაგან. განვიდოდეს იგინი თუსაგან და აღიწერებოდეს ცათა შინა“ (იმნაიშვილი 1975: 18).

ანტონი ახლადშემონაზვნებულებს სულიერად მოძღვრავდა და ქრისტიანული ცხოვრების შესახებ ასწავლიდა, ესაუბრებოდა ასკეტურ მოღვაწეობაზე, ამქვეყნიურ ამაოებასა და მიწიერისა და მატერიალურის მსწრაფლწარმავლობაზე, დაცემულ ანგელოზებსა და მათთან ბრძოლის საშუალებებზე, სულიერ ნიჭებსა და ა.შ. მის სწავლა-მოძღვრებაში ბერმონაზვნული ფილოსოფიის საფუძველთა საფუძვლებია გადმოცემული. აქვე კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ მდინარე ნილოსის შუა წელზე ჩამოყალიბებული პისპირისა (და ასევე არსინოეს) ასკეტური ერთობები არ იყვნენ მონასტრები ამ სიტყვის გვიანდელი ან თანამედროვე მნიშვნელობით. მონასტრული ცხოვრება ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა. მონაზვნად აღკვეცის რიტუალიც პრიმიტიული ფორმისა იყო. პალადის

ლაგსაიკონში<sup>2</sup> პავლე უბრალოს (მეორენაირად „პავლე წრფელი“) შესახებ არსებული თხრობიდან ირკვევა, რომ მონაზვნად აღკვეცა უკვე ხდებოდა სპეციალური შესამოსელით, თუმცა შემონაზვნებისათვის საკმარისი იყო აღკვეცის მსურველის თანხმობა და სულიერი მოძღვრის რამდენიმე სიტყვა. მას შემდეგ რაც პავლე წრფელმა ანტონისთან მოღვაწეობის გარკვეული ხანი დაჰყო „ამისა შემდგომად სხუასა დღესა პრქუა მას წმინდამან ანტონიმ: „სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, აპა, ესერა იქმენ მონაზონ“ (მამასახლისი 2010: 248). როგორც ვხედავთ აღკვეცამდე მონაზვნობის მსურველი მორჩილების პერიოდს გადიოდა, ამავე პასაუიდანვე ნათლად ჩანს სულიერი მოძღვრის აუცილებლობა მონაზვნურ ცხოვრებაში.

ასკეტური ერთობანი ეგვიპტესა და სხვა რეგიონებში ხან ერთმანეთთან კავშირში, ხან დამოუკიდებლად ყალიბდებოდა. მაგ., ალექსანდრიის სამხრეთით რამდენიმე ათეულ კილომეტრში განფენილი ისეთი სახელგანთქმული ეგვიპტური სავანეები, როგორებიც იყო ნიტრია, კელიები და სკიტი, ერთმანეთის მიყოლებით დაარსდა და ამ უადრესად გავლენიანი მონასტრული ქსელის დაფუძნებაში ანტონი დიდმაც მიიღო მონაწილეობა. ამ თემების დამაარსებლად ამონ ნიტრიელი იქცა (მამასახლისი: 212-214). მან ნიტრიაში მოსაგრეობა IV საუკუნის I ნახევარში დაიწყო, მანვე ანტონი დიდთან ერთად დაახ. 338 წელს დაარსა კელიათა მონასტერი (მეორენაირად - „სენაკები“) (ჩითი 1995: 29-30), ხოლო ალექსანდრიიდან 65 კმ-ში, შორს, უდაბნოში, დაახ. 330 წელს ადრეული ქრისტიანული ბერმონაზვნობის დიდმა მოღვაწემ მაკარი ეგვიპტელმა დაიდო ბინა და ეს ადგილი სამონასტრო ცხოვრების უდიდეს კერად აქცია (სკიტის უდაბნო) (უაითი 1932: 95-96). სწორედ ამ სამონასტრო თემებს (ნიტრია, სენაკები, სკიტი) განეკუთვნება უმნიშვნელოვანესი ასკეტური კრებულის – პატეგმატიკების (*Apophegmata Patrum*) ჩამოყალიბება (დვალი 1966: 05-059).

კვინობური ცხოვრების დამწყებად და ბერმონაზვნობის ისტორიის დიდი ნოვატორად პახომი დიდი (292-346) ითვლება – კოპტი მონაზონი, რომელმაც ზემო ეგვიპტეში (Upper Egypt), თებეს მხარეში ცხრა მამათა და ორი დედათა

<sup>2</sup> პალაცი ჰელენოპოლელი (დაბადა დაახ. 363-364 წწ.) დაახ. 388 წელს ეგვიპტეში ჩავიდა და 399 წლამდე სახელგანთქმულ ეგვიპტელ ასკეტებთან ერთად ცხოვრობდა, რამაც მას დიდი სულიერი გამოცდილება და უამრავი მოგონება შესძინა. ითანე ოქროპირის მხარდაჭერის გამო 406 წელს გადაასახლეს. დაახ. 419-420 წლებში პალაციმ თავისი ლაგსაიკონი დაწერა (თხზულების სახელწოდება მოღმინარეობს იმ პირის სახელისგან (ლაგსე), რომლსითვისაც დაწერა მან ეს შრომა), სადაც ეგვიპტეში ცხოვრების პერიოდის მოგონებები გადმოსცა დიდ ეგვიპტელ ასკეტებსა და სულიერ მოძღვრებზე (ჩითი 1995: 210-211). მისი თხზულება შეა საუკუნეებში ქართულადაც ითარგმნა (იხ. მამასახლისი 2010)

მონასტერი დააფუძნდა. მის მიერ შემუშავებული სამონასტრო წესდება (რომელიც პალადი ჰქონდობოდებოდა და პახომის ცხოვრების თანახმად, გამოცხადებით, ანგელოზისგან მიიღო (ხოსროევი 2004: 201) მომავალში ყველა სხვა სამონასტრო განაწესის საფუძველთა საფუძვლად იქცევა, უპირველეს ყოვლისა კი - ბასილი დიდისა და ბენედიქტე წურსელის მიერ შედგენილი ტიპიკონებისა (ჰარმლესი 2004: 115). პახომი, როგორც ეს მისი ცხოვრების ამსახველ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებშია აღწერილი, მის მიერ დაარსებულ ასკეტთა კრებულის სახელწოდებისათვის სახარებისეულ სიტყვას „κοινωνία”-ს იყენებდა („კონონია” აღნიშნავს ევქარისტიაზე დაფუძნებულ ერთობას, ქრისტიანთა თანაცხოვრებას, სახარებისეულ თემს (ლაპმი 1961: 762-763)), რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის მონასტერი სახარების თანახმად მცხოვრებ ქრისტიანთა ერთობა, პირველი იერუსალიმური თემის მემკვიდრე იყო და არა რაღაც გვიანდელი ინოვაცია. ზუსტად ამგვარადვე აღიქვამდა მონასტრულ ცხოვრებას ბასილი დიდი, რასაც უფრო ვრცლად ქვემოთ შევეხებით.

ეგვიპტური ბერმონაზვნობის გავლენა ქრისტიანულ სამყაროში, ერთმნიშვნელოვნად, ძალიან დიდი იყო. ისტორიკოსებს შორის ყოველთვის იდგა საკითხი ამ „ეგვიპტური გავლენის” მასშტაბების შესახებ. რამდენად ჰქონდა რეალური და ისტორიული ხასიათი ამ გავლენას, მაგალითად, ასურულ (სირიულ) ბერმონაზვნობაზე, რომელიც აღმოსავლეთის საქრისტიანოში სამონასტრო ცხოვრების მეორე უდიდეს ტრადიციად იქცა (ასურული ეკლესია, ძალიან დიდი ხნის მანძილზე, ხოყიერ სულიერ საკვებს აწოდებდა ქართულ ქრისტიანობას. ასურულ ბერმონაზვნობას აუსრელ მამათა შესახებ საუბრისას შევეხებით, იხ. ქვემოთ).

პალესტინაში ბერმონაზვნური ცხოვრებას უკვე IV საუკუნის დასაწყისიდან ჩაეყარა საფუძველი და მისი აქ დამკვიდრება წმ. ილარიონსა და წმ. ხარიტონს უკავშირდება (პატრიკი 1995: 3; ბარი 2005: 49). წმ. ილარიონს პალესტინაში მოღვაწეობა 308 წლიდან უნდა დაეწყო, ხოლო რომის იმპერიაში დაწყებულ დევანას გამოქცეულ ხარიტონს, რომელმაც პალესტინაში ჰპოვა მშვიდი ნაგსაყუდელი, თავისი პირველი მონასტერი (ფარანის ლავრა) 330 წელს უნდა დაეარსებინა. ხარიტონამდე და ილარიონამდე იორდანის მდინარის პირას განდეგილებიც მოღვაწეობდნენ. მოგვიანებით ხარიტონმა კიდევ ორი მონასტერი დაარსა: დუკა იერიქონის მოპირდაპირე მხარეს და სუკა (პირშფელდი 1990: 425-

446; პატრიკი 1995: 3). საინატერესოა რომ ხარიტონის ცხოვრების ავტორი სამონასტრო თემს ქრისტიანთა პირველ ერთობას ადარებს:

და ვითარცა-იგი იყვნეს უამსა მას კაცნი, რომელთა ეცნა უფალი და მაცხუვარი ქადაგებითა მით, და განჰყიდდეს ყოველი, რაღცა აქუნდა, და სასყიდელსა დასდებდეს ფერწოა თანა მოციქულთასა. ეგრეთვე აქა (ე.ი. სამონასტრო თემებში – შ. მ.) ყოველთა, რომელთა დაეტევნეს საქმენი ამის სოფლისანი ზრახებითა ამის ნეტარისათა (ანუ ხარიტონის მოწოდებით – შ. მ.), მოაქუნდა საფასც მათი და მისცემდეს სულიერსა მას მამასა, რათა განუყოს გლახაკთა (იმნაიშვილი 1975: 140).

IV საუკუნის II ნახევარსა და V საუკუნის I ნახევარში მთელი პალესტინა მონასტრებით დაიფარა (პატრიკი: 4-6). მონასტრებს აშენებდნენ დედოფლები, არისტოკრატები, ადგილობრივი მოხელეები, უცხოელი პილიგრიმები, უბრალო ბერები და ა.შ.

პალესტინური ბერმონაზვნობის ისტორიაში გარდამტეს მომენტად იქცა აქ კაპადოკიელი მონაზვნის, ექვთიმე დიდის (377-473 წწ.) ჩამოსვლა. ექვთიმე დიდი კაპადოკიაში 377 წელს დაიბადა. ასკეტური ცხოვრების წესი მან სიყრმიდანვე შეიყვარა. სამი წლის ასაკში მამა გარდაეცვალა და დედამისმა პატარა ექვთიმე ადგილობრივ ეპისკოპოსთან მიიყვანა: „... და მოჰვარა ყრმად იგი და შეწირა ღმრთისა, ვითარცა მსხუერპლი კეთილი, ვითარცა შეწირა ანა სამოელ” (იმნაიშვილი 1975: 144). პალესტინაში სამოღვაწეოდ ექვთიმე 406 წელს ჩამოვიდა. 411 წელს თეოქტისტესთან ერთად მან კვინობი დაარსა. მოგვიანებით ახალი კვინობური სავანე დააფუძნა ქაბარბარიქაში დაახ. 422-426 წწ. კიდევ უფრო მოგვიანებით, 428 წელს, ლავრაც დააფუძნა, სადაც პალესტინის მრავალი სახელოვანი მოღვაწე აღიზარდა. ექვთიმე დიდი 473 წელს გარდაიცვალა.

V საუკუნეში პალესტინაში ახალი ტიპის სამონასტრო ერთობებმა – ე. წ. ჰიბრიდულმა მონასტრებმა იწყეს ჩამოყალიბება. პირველი ამგვარი „ჰიბრიდული სამონასტრო თემის“ (რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი) ნიმუში 455 წელს იორდანეს უდაბნოში გერასიმეს მიერ დაარსებული ლავრა იყო, რომლის ცენტრსაც კვინობური მონასტერი წარმოადგენდა (პატრიკი 1995: 8) ე. ი. ამგვარი მონასტრის შუაგულში მდებარეობდა კვინობი ანუ გალავნით შემოსაზღვრული ძმათა სავანე, სადაც მონაზვნები საერთო ტიპიკონისა და ერთი წინამდღვრის მკაცრი მორჩილების ქვეშ ცხოვრობდნენ, ხოლო კვინობის გარშემო ქვაბებში განდეგილი ძმები მოსაგრეობდნენ, რომლებიც წინამდღვრის სულიერ

ავტორიტეტს აღიარებდნენ და შაბათ-კვირას კვინობის მთავარ ტაძარში მოდიოდნენ და ლვოსმსახურებას ესწრებოდნენ.

პალესტინაში კვინობური ცხოვრების განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა წმ. თეოდოსი დიდმა (423-529). თეოდოსი დიდი კაპადოკიაში ლვთისმოსავ ქრისტიანთა ოჯახში დაიბადა. თეოდოსი კარგი ხმით გამოირჩეოდა და ადრეული ასაკიდანვე მედავითნეობდა ეკლესიაში. წმ. თეოდოსიმ პალესტინაში წასულა და მოღვაწეობის იქ გაგრძელება გადაწყვიტა. პალესტინაში ჩასული თავდაპირველად იმ ქვაბში დაეყუდა, სადაც გადმოცემით სამი მოგვი გაჩერდა დამით. თეოდოსი უმკაცრეს მოღვაწეობას ეწეოდა, განუწყვეტლივ ლოცულობდა და მარხულობდა:

და ვითარ მოვიდა მამად ჩუენი წმიდად თევდოსი ადგილსა ამას, დაადგრა დმრთისმსახურებით და ყოველთა დღეთა წარემატებოდა კეთილსა საქმესა და მიეახლებოდა დმერთსა. და იყო საჭმელად სიჭაბუქესა მისსა ცერც დამბალი გინა დანაკისკუდი ანუ კერატი. და ოდესმე მუაკლდის საზრდელი ადგილისა მის უცნაურებითა, და დანაკისკუდისა გურკასა დამბალსა ჭამნ. და ოცდაათსა წელსა პური არა ჭამა და კვირიაკით-კვირიაკედ ჭამის და ესევითარითა მარხვითა დასცემდა ჭორცთა თვესთა სიჭაბუქესსა მისსა და განიშორებდა მისგან ბრძოლასა მტერისასა. და დადგრომილ იყო იგი ლოცვასა შინა დამე და დღე ტირილითა და გლოვითა. და განითქუა საქმე მისი, და განცხადდეს სათხოებანი მისნი, ვითარცა წერილი იტყვას, ვითრამედ: ვერ შესაძლებელ არს დაფარვად ქალაქი, რომელი მთასა ზედა დაშცნებულ იყოს (იმნაიშვილი 1975: 186).

კირილე სკვითოპოლელის თანახმად, 476 წელს, სასწაულებრივი მინიშნების შედეგად უდაბნოში ლავრა დაარსა. ლავრა მალევე გადაიქცა კვინობურ მონასტრად. ანასტასის იმპერატორობის პერიოდში თეოდოსი მონოფიზიტობის აქტიურ მოწინააღმდეგ იქცა. ის 529 წელს გარდაიცვალა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა პალესტინურ, და ზოგადად, ქრისტიანული ბერმონაზვნობის ისტორიაში წმ. საბა განწმენდილს უჭირავს. საბა განწმენდილი კაპადოკიაში დაიბადა 539 წელს და ჩვიდმეტი წლის ასაკში სამონაზვნო აღთქმა დადო. მან კაპადოკიაში, ეპისკოპოს ფლაბიანეს მონასტერში, ათი წელი გაატარა, რის შემდეგაც იურუსალიმში ჩავიდა. აქედან საბამ ექვთიმე დიდის ლავრას მიაშურა, ექვთიმე ახალგაზრდა მონაზონი (სწორედ მისი ახალგაზრდული ასაკის გამო) თეოკტისტეს კვინობში გაგზავნა, სადაც ის ოცდაათი წლის ასაკამდე ცხოვრობდა. თეოქტისტეს სიკვდილის შემდეგ საბა

უდაბნოში, ერთ-ერთ გამოქვაბულში დაეყუდა, სადაც ხუთი წელი გაატარა. ამის შემდეგ ის უშუალოდ ექვთიმე დიდის სულიერი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. 473 წელს ექვთიმეს გარდაცვალების შემდეგ საბამ დატოვა ექვთიმეს ლავრა და უდაბნოს მიაშურა. უდაბნოში ის წმ. გერასიმე იორდანელის მონასტრის მახლობლად დამკვიდრდა. აქ საბამ 484 წელს დიდი ლავრა დაარსა. ამ ლავრაში წარმოქმნილი წინააღმდეგობისა და უთანხმოების გამო საბამ დატოვა მონასტერი და უდაბნოში ახალი ლავრა დაარსა, რომელიც ამავე სახელწოდებით გახდა ცნობილი („ახალი ლავრა”). 491 წელს იერუსალიმის ეპისკოპოსმა სალუსტიმ მას მღვდლად დაასხა ხელი, ხოლო 494 წელს პალესტინის ყველა მონასტრის არქიმანდრიტად დაადგინა. საბა განწმენდილის ტიპიკონი მართლმადიდებლურ სამყაროში (მათ შორის საქართველოში) ყველაზე პოპულარულ და გავრცელებულ წეს-განგებად იქცა. საბა განწმენდილი ორიგენზმისა და მონოფიზიტობის აქტიურ მოწინააღმდეგებ და პალესტინის ქალკედონური ბანაკის გამორჩეულ ლიდერად იქცა. ის 532 წელს პალესტინაში გარდაიცვალა.

საბა განწმენდილი მცირე აზიდან იყო. სწორედ მცირე აზიაში ჩაისახა და განვითარდა ბერმონაზვნური ცხოვრების ის ტიპი, რომელიც შემდგომში აღმოსავლური ბერმონაზვნობისათვის კლასიკურ მოდელად იქცა და რომელზე დაყრდნობითაც შეიმუშავა წმ. საბამ თავისი განგება.

მართალია, მცირე აზიაში, კერძოდ კი პაფლაგონიაში, პონტოში, სომხეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ამის შესახებ იხ. ქვემოთ) ასკეტურ თემთა ორგანიზების პირველდამწყები IV საუკუნის ცნობილი მოღვაწე ევტესათი სებასტიელი იყო (დაახ. 300-377), მაგრამ მისი სწავლებისა და ასკეტური ცხოვრების წესის ერეტიკული შინაარსის გამო, ის ღვაწლი, რაც მას ბერმონაზვნური ცხოვრების გავრცელებაში მიუძღვდა, დიდწილად, დაიჩრდილა. ამასთან ევსტათი ასკეტიზმის ძალიან სპეციფიკური (ენკრატისტული) სახის გამავრცელებლად იქცა.

ევსტათისგან განსხვავებით, მისი მეგობარი, შემდეგ კი ოპონენტი - ბასილი დიდი (329/330-377/379 წწ.), მცირე აზიაში, მართლმადიდებლური ბერმონაზვნობის ჭეშმარიტ მამამთავრად და ბიზანტიური სამონასტრო ტრადიციის ფუძემდებლად იქცა. ბასილი დიდის როლი განუზომელია ქველი ეკლესიის ისტორიაში. ეკლესიამ მას მოგვიანებით მსოფლიო მოძღვრის სახელი განუკუთვნა. ბასილი კესარიელის სახელს უკავშირდება არიანელობის წინააღმდეგ

მართლმადიდებელთა გაერთიანება, ტრინიტარული დვოთისმეტყველების ჩამოყალიბება და ასკეტური ცხოვრების ფორმათა ორგანიზება-ინსტიტუციონლიზაცია (კვასტენი 1986: 204). ამიტომ ის აღმოსავლეთის ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პატივდებული წმინდანია.

ბასილი მეცნიერებაში, ყველაზე გავრცელებული შეხედულების თანახმად, 329, ან 330 წელს უნდა დაბადებულიყო (სმითი 1879: 9; კვასტენი: 204; რუსო 1994: 1-4; მორისონი მისი დაბადების თარიღად რატომდაც 316 წელს მიუთითებს, მორისონი 1912: XII) პონტოს ძირძველ არისტოკრატიულ ოჯახში. XX საუკუნის 60-იან წლებში ე. ხინთიბიძემ და გ. გოზალიშვილმა წამოჭრეს საკითხი ბასილის ოჯახის შესაძლო ქართველური წარმომავლობის შესახებ (ხინთიბიძე 1982: 207-262). როგორც ე. ხინთიბიძემ გამოარკვია, ბასილი დიდის ოჯახი დანამდვილებით არ იყო ბერძნული და სომხური წარმომავლობისა. სომხებისა და ბერძნების გარდა პონტოში მესამე დიდ ეთნიკურ ჯგუფს მეტნაკლებად ელინიზირებული სამხრეთ-დასავლელი ქართველი ტომები წარმოადგენდნენ (ხინთიბიძე: 207-244). მართალია, ეს პიპოთება ყველაზე ლოგიკურია, მაგრამ ჯერჯერობით წყაროებში პირდაპირი მინიშნების (დამოწმების) არარსებობის გამო მისი საბოლოოდ დამტკიცება კვლევის ამ ეტაზე ვერ ხერხდება (თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყველაფერი, რაც კი ბასილი დიდის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ვიცით, ამ პიპოთების სასარგებლოდ მეტყველებს).

დაწყებითი განათლება ბასილიმ ოჯახის სამკვიდრო სოფელში ანისში (პონტოში), მდინარე ირისის პირას მიიღო, შემდგომ პონტოს ნეოკესარიაში. პონტოს ნეოკესარიიდან ბასილი განათლების მისაღებად კაპადოკიის კესარიაში გაემგზავრა. კესარიიდან ბასილი სასწავლებლად კონსტანტინოპოლიში გაემართა, კონსტანტინოპოლიდან კი - ათენში. ათენში ის დაახ. 351 წელს უნდა ჩასულიყო. ათენში ბასილი გრიგოლ დვოთისმეტყველთან და იმპერატორ კონსტანტინეს ნათესავთან - იულიანესთან (მომავალში იმპერატორი იულიანე განდგომილი) - ერთად სწავლობდა (რუსო 1994: 1-2; კვასტენი 1986: 204). ბასილიმ ათენი დაახ. 356 წელს დატოვა (კვასტენი: იქვე). მთავარი მიზეზი რატომაც ბასილიმ ანტიკური სამყაროს ინტელექტუალური ცენტრი მიატოვა, ევსტათი სებასტიელი იყო. ევსტათის ასკეტური ცხოვრების მაგალითი ბასილისათვის შთაგონებად იქცა მოღვაწეობის მომავალ გზაზე (ფრეიზი 1980: 21). მას ევსტათის პირდად ნახვა მოუნდა, თუმცა ანატოლიაში დაბრუნებულმა სახელგანთქმული მოღვაწე ვერ ნახა, რადგან ევსტათი ამ დროს აღმოსავლეთის მონასტრებში, იქაურ

მონაზონთა სახილველად მოგზაურობდა. ბასილიც ეპტსათის საძიებლად აღმოსავლეთში გაემგზავრა (ელმი 1994: 60-61; რუსო 1994: 1-2) და ეს მოგზაურობა მისთვის დაუკიტეარი შთაბეჭდილებების წყაროდ იქცა. ბასილი განცვიფრებული იყო აღმოსავლელ მონაზონთა ზეადამიანური მოღვაწობის წესით (ფრეიზი 1980: 22; კვასტენი: 205). ამან ახალგაზრდა რიტორს საბოლოოდ გადააწყვეტინა საერო ცხოვრების მიტოვება და მონაზვნური ცხოვრება.

სანამ ბასილი დიდი ათენში სწავლობდა, მანამ მისმა ძმამ ნავკრატიმ, რომელმაც ძალიან ახალგაზრდულ ასაკში მჭევრმეტყველების ბრწყინვალე უნარით გაითქვა სახელი, სამოღვაწეო გზა აირჩია და 352 წელს მდინარე ირისის ნაპირას, მშობლიური სახლის მოშორებით, ტყეში დაიწყო დაყუდებული ცხოვრება თავის მონა ქრიზიფესთან ერთად (თუმცა ქრიზიფეს მონა პირობითად ერქვა, რადგან იგი ნავკრატის ერთგულ მეგობრობას უწევდა).<sup>3</sup> ნავკრატი და ქრიზიფე თავს ნადირობით ირჩენდნენ და დღეებს ლოცვასა და შრომაში ატარებდნენ. ნავკრატიმ აქ ასკეტურ მოღვაწეობაში ხუთი წელი გაატარა, თუმცა 357 წელს, ის უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. მისი სიკვდილი ძალიან მძიმედ გადაიტანა დედამ ემილიამ (მამა, ბასილი უფროსი, 345 წელს გარდაიცვალა). ემილიას სულიერ მეგზურად, ამ ტრაგედიისას, უფროსი ქალიშვილი, ნავკრატის და, მაკრინა იქცა, რომლესაც ნავკრატის მსგავსად უკვე აერჩია ცხოვრებოს ასკეტური წესი. გრიგოლ ნოსელის გადმოცემით, მძიმე განსაცდელში მაკრინამ სულის მხნეობა შეინარჩუნა. მან მდინარე ირისის პირას ნავკრატის მიერ საფუძველჩაყრილი „მონუ“, ანუ მემყუდროეთა ერთობის ჩამოყალიბების პარალელურად მთელი საგვარეულო სახლი ერთ დიდ მონასტრად აქცია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი იყო – არისტოკრატიული სახლეულის გარდაქმნა მოსაგრეთა კრებულად. მაკრინა თანამედროვეებისა და შემდგომი თაობებისათვის ქალწულებრივი ცხოვრების ჭეშმარიტ მაგალითად იქცა (გრცლად ემილიას, ნავკრატის, მაკრინასა და მათი ასკეტური მოღვაწეობის შესახებ იხ. ელმი 1994: 87-107).

<sup>3</sup> მდ. ირისის პირას ნავკრატისა და შემდგომ ბასილის სამყოფელისა და სამონასტრო თემის ლოკალიზაციას 2006 წლის მარტში სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია მიეღვნა, რომელიც ავსტრალიის ახალი ინგლისის უნივერსიტეტის (University of New England) პროფესორის ანა სილვასის (Ana Silvas) თაოსნობით განხორციელდა. ექსპედიციის შედეგები პროფ. სილვასმა 2007 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში აღწერა (იხ. სილვასი 2007). უღრმეს მაღლობას მოვახსენებთ ქნ ანა სილვასს აღნიშნული სტატიის მოწოდებისთვის; ექსპედიციის შედეგად გაირკვა, რომ ბასილი დიდის სამყოფელი ახლოს უნდა ყოფილიყო თანამედროვე ქელთიქ ჩაისა (Keltik Çay) და იქშილ ირმაჯის (Yeşil İrmak) შესართავთან, ხეობაში, თანამედროვე ქალაქ ამასიდან 60 კმ-ში, შავი ზღვის სიახლოვეს (სილვასი 2007: 74)

ბასილი პონტოში 358 წელს დაბრუნდა და მდინარე ირისის პირას მმის მიერ დაწყებული საქმე გააგრძელა. აქ მან ასკეტთა ერთობა შექმნა. აქ დაწყებულმა ასკეტურმა მოღვაწეობამ მთელ პონტოსა და კაპადოკიაში დიდ და მძლავრ მონაზვნურ მოძრაობას დაუდო სათავე. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ასკეტიკონის შედგენამ, რომელიც შემდგომში მთელი ქრისტიანული ბერმონაზვნობისათვის სახელმძღვანელო თხზულება გახდა. ბასილი კესარიელი თანამედროვეთა და შთამომავალთა თვალში მცირე აზიაში ბერმონაზვნობის დამფუძნებლად იქცა. ბასილის დიდებამ გადაფარა მცირე აზიაში მანამადე არსებული ასკეტური ცხოვრების ფორმები და შთამომავლობისათვის ბერმონაზვნური მოღვაწეობის ერთი საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტი დააწესა. ბასილის დამსახურებით მონასტრულმა ცხოვრებამ არნახული აყვავება განიცადა პონტოსა და კაპადოკიაში (ელმი 1994: 61), რაც ბასილის სიკვდილის შემდეგ განვითარების აღმავალი ხაზით გაგრძელდა.

ბასილისეული ტიპიკონი ქართული ბერმონაზვნური მოღვაწეობის ერთ-ერთ უპირველეს წყაროდ გადაიქცა, რადგან როგორც ქვემოთ ვიხილავთ, სწორედ, ბასილისეული მონასტრების ტიპიკონი იქცა ჩვენთვის ცნობილი ერთ-ერთი უძველესი ქართული მონასტრის - ოპიზის - სამონასტრო წესდებად. ამიტომ ბასილი დიდის მონასტრების ცხოვრების წესზე შედარებით ვრცლად უნდა შევჩერდეთ.

რა უმთავრესი მახასიათებლებით გამოირჩეოდა ბასილისეული მონასტრები? ბასილი დიდის ასკეტური შეხედულებების განხილვისას, პირველ ყოვლისა, თვალში გვეცემა მისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება განდეგილობის მიმართ. ბასილი დიდი განდეგილობის სურვილს ეგოისტურ მისწრაფებად თვლის, მისი სწავლებით, მხოლოდ სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებაში ხდება შესაძლებელი ქრისტიანული იდეალის აღსრულება. ბასილი დიდი მარტოებითი ცხოვრების პრაქტიკულ სირთულეებსაც წარმოაჩენს. მარტოდ მცხოვრები ასკეტისათვისათვის საკუთარი თავის უზრუნველყოფა და მოვლა-პატრონობა გაცილებით რთულია, ვიდრე მონასტერში სხვა ძმებთან ან დებთან ერთად მცხოვრები მონაზვნისათვის. ბასილისათვის მხოლოდ სოციუმშია შესაძლებელია ქრისტიანული სიყვარულის სწავლა. „რამეთუ დამბადებელსა დმერთსა ესეთ განუჩინებიეს, რათა საჭმარ ვიყვნეთ ურთიერთას, ვითარცა წერილ არს და რათა შეერთებულცა ვიყვნეთ ურთიერთას” (მამასახლისი 2015: 107) ანუ სოციალურობა ადამიანისათვის განწესებული დკონის გეგმის ნაწილია,

მაცხოვრის სიტყვა მოგვიწოდებს, რომ ადამიანები არა საკუთარ სარგებელს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სხვის (სულიერ) სარგებელს ეძიებდნენ. მარტოებითი ცხოვრება კი არსებითად ეგოისტურია:

ხოლო მარტოებითსა ცხოვრებასა ერთი პირი აქვს, რაოთა თითოეული თვესისა საჯმრისა მზრუნველ იყოს, რომელი-ესე ცხად არს, ვითარმედ მბრძოლ არს სიყუარულისა შჯულთა, რომელნი-იგი მოციქულმან აღასრულნა, რამეთუ „არა ეძიებდა თვესა უმჯობესსა, არამედ მრავალთასა, რაოთა ცხონდენ (მამასახლისი 2015: 107).

ე. ი. ბასილის აზრით, განდეგილი (ის ვინც უადაბნოში მარტო დაყუდებული) მხოლოდ საკუთარ სულის სარგებელს ეძიებს, მაშინ როცა ქრისტიანული სიყვარული სხვათა დახმარებისკენ მოგვიწოდებს, ამიტომ მარტოებითი ცხოვრება, ბასილის რადიკალური შეფასებით, „მბრძოლ არს სიყუარულისა შჯულთა” ანუ სიყვარულის კანონთან პრინციპულ წინააღმდეგობაშია. მარტო მცხოვრები ქრისტიანისათვის საკუთარი სულიერი ნაკლის შეცნობაც როულია, რადგან მამხილებელი არავინ ჰყავს, სულიერი ნაკლულევანება და სნეულება მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში იჩენს თავს. მარტომყოფელი მხილებისაგან „დაზღვეულია”, მაშინ როცა მხილება ქრისტიანული ცხოვრების აუცილებელი კომპონენტია, „რამეთუ მხილებამან, მრავალგზის მტრისგანცა ქმნილმან, კურნებისა წადიერებავ მოატყუის კეთილადგონიერსა” (მამასახლისი 2015: 107). მარტოებით მყოფი ქრისტიანი სულიერ ხელმძღვანელობასაც მოკლებულია, რაც დამღუპველად აისახება მის სულიერ მდგომარეობაზე. გარდა ამისა, განდეგილი, ქველმოქმედების მადლსაც ვერ იღებს, რადგან მოწყვალების გაცემით, უცხოთშემწყნარებლობითა და სნეულებზე ზრუნვით არაა (უფრო სწორად ვერაა) დაკავებული, რაც ქრისტიანული მოღვაწეობისათვის არსებითია, ამიტომ ბასილის თქმით, ღვთის მცნებათა აღსრულება ერთად მცხოვრებ ქრისტიანთათვის გაცილებით ადვილია, ვიდრე - მარტო მცხოვრებისათვის. ზოგადცხორებულ (ერთად მცხოვრებ) ქრისტიანთა ერთობას კიდევ სხვა უპირატესობაც აქვს: აქ სხვადასხვა ქრისტიანი სხვადასხვაგვარი მადლითა და ნიჭით გამოირჩევა, ზოგისადმი ღვთისაგან „მიცემულ არს სიტყუად სიბრძნისად, სხვსადა – სიტყუად მეცნიერებისად, სხვსადა – სარწმუნოებად, სხვსადა წინაღსწარმეტყუელებად, სხვსადა – მადლნი კურნებათანი და შემდგომი ამისი” (მამასახლისი: 108), ამ ნიჭებით დაჯილდოებულ ქრისტიანთა ერთად ცხოვრება

კი ერთი რომელიმე ნიჭის სხვებისადმი გაზიარებასა და ფართოდ გავრცელებას იწვევს, რაც ასკეტური ერთობის სულიერ მდგომარეობაზე დადებითად აისახება, მაშინ როცა მას, რომელიც „მარტოებით ცხონდებოდის“ (ანუ მარტო ცხოვრობდეს) მხოლოდ ერთი ნიჭი აქვს და საკუთარი უსაქმურობით ამ ნიჭსაც ფლანგავს (მამასახლისი: 109). მარტოდ მცხოვრებ ქრისტიანს საკუთარი სათნოების გამოვლენის საშუალებაც არა აქვს:

რამეთუ ვისა ზედა აჩუმნოს სიმდაბლე თვისი, რაჟამს არცა ერთი ვინ აქენდეს, რომლისსა უმდაბლეს გამოაჩინოს თავი თვისი? ანუ ვის აჩუმნოს მოწყალებად, გამოკუცთილმან ზიარებისაგან მრავალთავსა? ხოლო სულგრძელბაზ თვისი ვითარ გამოცადის, რაჟამს არცა ერთი ვინ წინააღმდებოდის ნებასა მისსა?” (მამასახლისი: 110).

ზოგიერთი ქრისტიანი თავის მარტოებით ყოფნას, სულიერი ხელმძღვანელის უარყოფასა და უსაქმურობას იმით ამართლებდა, რომ ქრისტიანულ მოძღვრებას წმ. წერილისა და წიგნებისაგან დაისწავლიდნენ, რაზეც ბასილი დიდი პასუხობს, რომ ეს საქციელი იმის მსგავსია, როდესაც ვინმე ხუროთისა და მჭედლობის სწავლას ზეპირად ცდილობს და არა საქმით, პრაქტიკული გამოცდილებით. ბასილის ქრისტიანული მსახურების უპირველეს მაგალითად მაცხოვარს იმოწმებს:

აპა ესერა, უფალმანცა გარდამეტებულებითა კაცომოყუარებისათა არა კმა-იყო სიტყვა ხოლო მოძღვრებად, არამედ რათა ზედამიწევნითი მოგუცეს განცხადებული სახე სიმდაბლისად, სრულებითა სიყუარულისათა თვით მოირტყა და დაპბანნა ფერწნი მოწაფეთანი” (მამასახლისი 2015: 110)

და მარტოებით მცხოვრებ ქრისტიანს მიმართავს: „აწ უკუე შენ ვის დაპბანნე, ვის პმსახურო, ვისი უკანასკნელები იყო, ოდეს თვთ თავით თვისით მარტო თდენ მყოფ იყო?” (იქვე).

მაშ ასე, ბასილი დიდის ასკეტურ ფილოსოფიაში სოციალურობა უმნიშვნელოვანები და უძირითადები პირობაა ქრისტიანული მონაზვნობისათვის. ბასილისეულ მონასტრებს სწორედ ეს თვისებები გამოარჩევდათ: ისინი არა მარტო ასკეტთა ერთობები, არამედ საქველმოქმედო და სამედიცინო დაწესებულებანი იყვნენ. ბასილი სხვებზე ზრუნვას მონასტრული ცხოვრების განუყოფელ, ფუნდამენტურ ელემენტად თვლის. ამ კუთხითაც (მისი მოღვაწეობის სხვა მხარეებს, რომ თავი დავანებოთ) ბასილი კესარიელის წვლილი ცივილიზაციის ისტორიაში ძალზე დიდია, რადგან საუკუნეების განმავლობაში სწორედ მონასტრები იქცნენ კულტურის, განათლების,

სამკურნალო ხელობისა და ქველმოქმედების ცენტრებად. ბასილი დიდის მიერ შექმნილი ტიპიკონი დაედო საფუძვლად ბენედიქტე ნურსიელის (480-547) ტიპიკონს, რაც ევროპაში მონასტრული ცხოვრების საფუძველთა საფუძვლად იქცა, ხოლო ბიზანტიური ბერმონაზვნობისათვის ბასილისეული მონასტერი ყოველთვის ეტალონს წარმოადგენდა.

ბერმონაზვნობამ ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა ჩვენ მეზობელ სომხეთშიც. სომხეთში ქრისტიანობა I-II საუკუნეებიდანვე აქტიურად ვრცელდებოდა, ეს განსაკუთრებით დასავლეთ (მცირე) სომხეთს ეხება, რომელიც რომის იმპერიის საზღვრებში იყო მოქცეული. სომხეთში გავრცელებული ქრისტიანობის განსაკუთერბით ასკეტურ ხასიათზე წყაროებში ვხვდებით მითითებას. უკვე II საუკუნეში სომხეთში მოწამეობრივად აღესრულნენ ბერძენი პრესვიტერი ქრიზოსი და მისი ოთხი მოწავე, რომლებიც სომხურ პაგიოგრაფიაში „მძოვართა“ (βόσκοι) სახელით არიან ცნობილი (τუმცა ასკეტიზმის ამ ფორმის ასე ადრე გავცრელება საეჭვოა). სომხური ტრადიციის თანახმად, წმ. ქრიზოსი წმ. თადეოზ მოციქულის მოწავე იყო. გარდამოცემით ქრიზოსი თავის მოწაფეებთან ერთად მდ. ევფრატის სათავეებთან დასახლდა და აქ განდეგილურ მოღვაწეობას ეწეოდა. თავიანთი განდეგილობის ორმოცდამესამე წელს ისინი სომხეთის მეფე არტაშეს არშაკუნთან მივიდნენ და მას ქრისტიანობის შესახებ უქადაგეს (კაზარიანი 2006: 11). სომებთა მეფე სალაშქროდ უნდა წასულიყო, ამიტომ მქადაგებლებთან საუბარი შემდეგისათვის გადადო, თუმცა მათ მიმართ კეთილად გაუნწყო. წმ. ქრიზოსმა თავის მოწაფეებთან ერთად დედოფალ სატენიკსა და მის ნათესავებს უქადაგა და ახალ სარწმუნოებაზე მოაქცია, რის გამოც მეფის ვაჯებმა (მსახურებმა) წმ. ქრიზოსი და მისი მოწაფეები სიკვდილით დასაჯეს (107 წ.). დედოფლის ნათესავები წმ. სუქიასთან (ისიქიოსთან) ერთად ცხრამეტ ახლადგაქრისტიანებულ სომებ დიდებულთან ერთად ბაღრევანდის მხარეში, სუქავის მთაზე განმხოლოვდნენ და აქ დაიწყეს ასკეტური მოღვაწეობა. მათ აქ განდეგილობაში ორმოცდაოთხი წელი გაატარეს, რის შემდეგაც მოწამეობრივად აღესრულნენ დედოფალ სატენიკის წარმართ ნათესავთა ხელიდან. მათი წმინდა ნეშტები წმ. გრიგოლ განმანათლებლის ქადაგებამდე დაუკრძალავი იყო, წმ. გრიგოლმა სომხეთში ქადაგებისას დაკრძალა მათი წმინდა ნაწილები (კაზარიანი 2006: იქვე).

ბუნებრივია წმ. მოწამეთა და ასკეტთა ზემოაღწერილი მოღვაწეობა, ძირითადად, ლეგენდარული ხასიათისაა და გვიანდელი სამონასტრო ტრადიციის

გავლენა ეტყობა, მაგრამ სომხურ წყაროებს მაინც შემოუნახავს გარკვეული მინიშნება ადრეული სომხური ქრისტიანობის ასკეზური ხასიათის შესახებ.

ქართლის სამეფოს მსგავსად სომხეთი მეზობელი სირიული ქრისტიანული სამყაროს ძლიერ ზეგავლენას განიცდიდა (ტერიანი: 6<sup>4</sup>). სირიელი მისიონერები ყოველთვის აქტიურად ქადაგებდნენ სომხეთში და დიდი მონდომებით ავრცელებდნენ, როგორც ქრისტიანობას, ასევე ცხოვრების ასკეზურ წესს.

სამონასტრო ცხოვრების პირველგამავრცელებლად სომხეთში თავად წმ. გრიგოლ განმანათლებელი იქცა IV საუკუნის დასაწყისში, ხოლო მის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულეს მმებმა წმ. ანტონინემ და წმ. კრონიდემ, რომლებიც წმ. გრიგოლს კაპადოკიიდან მოჰყვნენ. იოანე კაზარიანის მითითებით, მათ პირველი მონასტერი დაახ. 314-315 წლებში ტარონის მხარეში დაარსეს, რომლის წინამდღვრადაც გრიგოლ განმანათლებლის სირიელი მოწაფე ზენონ გლაკი იქცა (კაზარიანი 2006: 24), თუმცა 314-315 წლებში ტარონში მონასტრის დაარსება, ზოგადად, სომხეთის მოქცევისა და ქრისტიანული სამონასტრო ცხოვრების განვითარების ქრონოლოგიას თუ გადავხედავთ, ძალზე საქვთვა (ამ მოვლენას გაცილებით გვიან უნდა პქონოდა ადგილი).

სომხეთში ბერმონაზვნური ცხოვრების ორგანიზებული ფორმები IV საუკუნის მიწურულს ვრცელდება, რაც კათალიკოს ნერსეს დიდის (კათალიკოსობდა 353-373 წლებში) კანონებით დასტურდება, რომელიც მონაზვნებს სულიერი სიფხიზლისკენ, მარხვისა და ლოცვის განაწესის დაცვისაკენ მოუწოდებს (ტერიანი: 6).

V საუკუნის სომხეთში ფართოდაა გავრცელებული ლავრის ტიპის მონასტრები. ამ პერიოდში სომხურ ეკლესიაში იგივე ტენდენცია შეინიშნება, რაც ბიზანტიურ ეკლესიაში – მაღალი იერარქია ცდილობს სამონასტრო მოძრაობა თავისი სულიერი ზედამხედველობის ქვეშ მოაქციოს, რასაც კარგად ვხედავთ სომხური წყაროებიდან, შაპაპივანის საეკლესიო კრების (გაიმართა 444 წელს) კანონებიდან, კათალიკოს პოვჰან მანდაკუნის (კათალიკოსობდა 487-484/490 წლებში) ორი ქადაგება და ა. შ. (ტერიანი 6-7).

იოანე კაზარიანი სრულიად უკრიტიკოდ იზიარებს სომხური დედათა და მამათა მონასტრების, სომხურ წყაროებში დაფიქსირებულ რიცხვს, რომლის მიხედვითაც IV საუკუნის მიწურულს სომხეთში მონასტრების რიცხვმა ორი

<sup>4</sup> აბრაჟამ ტერიანის (Abraham Terian) ინტერნეტში განთავსებული აღნიშნული პუბლიკაციის თარიღი მითითებული არ არის

ათას ორმოცს მოაღწია (კაზარიანი 2006: 24), რაც, ბუნებრივია, სრულიად ფანტასტიკური რიცხვია და მოკლებულია ყოველგვარ ისტორიულ საფუძველს.

სომები განდეგილთა სულიერი წინამდგვარი, ფავსტოს ბიზანტიელის ცნობით, იყო წმ. იღუმენი გინდი, რომელსაც პყავდა მოწაფე წმ. მუშე. სომები განდეგილები გამოირჩეოდნენ თავიანთი დვაწლითა და მოშურნეობით, მკაცრი ასკეტიზმითა და მარტომყოფელური ცხოვრების წესით. IV საუკუნის სომხეთში (როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღნიშნული) ბერმონაზგნური ცხოვრების წესს ნერგავდა ევტსათი სებასტიელიც (კაზარიანი: 25).

V საუკუნეში სომხური ბერმონაზგნობის გამორჩეულ წინამდგვრად იქცა წმ. მესროპ მაშტოცი, რომლის ცხოვრებაც კორიუნმა აღწერა, რომელმაც ჯერ კიდევ ერისკაცობიდან დაიწყო მოღვაწეობითი ცხოვრება (ნოჰერადი 2004: 274). მაშტოცი მკაცრი ასკეტური დვაწლით გამოირჩეოდა და მომავალში ის მთელი სომხეთის ლავრათა ზედამხედველად იქცა (ტერიანი: 4-5).

V საუკუნიდან, აბრაჟამ ტერიანის აზრით, სომხური ბერმონაზგნობა ნელნელა ითავისუფლებს თავს სირიული გავლენისაგან და ბასილისეული წესის სამონასტრო ცხოვრებას უახლოვდება (ტერიანი: 9). საინტერესოა, რომ ბასილი დიდის მიერ დაფუძნებული მონასტრების ზეგავლენა ამ პერიოდის ქართლზეც შეინიშნება (იხ. ქვემოთ), რაც საინტერესო პარალელია ქართულ და სომხურ ბერმონაზგნურ ტრადიციათა ისტორიაში. ტერიანის შეხედულებით, მომავალი ხუთი საუკუნე (V-X სს.) სომხური ბერმონაზგნობა ბიზანტიური (ბასილისეული) ბერმონაზგნობის გზით ვითარდებოდა (ტერიანი: 9). სომხური მონასტრები, საუკუნეთა განმავლობაში, განათლებისა და, ზოგადად, სომხური კულტურის უმნიშვნელოვანებს ცხრილებად იქცნენ, შეასრულეს რა უდიდესი როლი სომხეთის ისტორიაში.

## §2. ბერმონაზგნური ცხოვრების ტიპები

III საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული სამონასტრო ცხოვრება თავიდანვე გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით და ქრისტიანული ბერმონაზგნობის წარმოშობის ადრეულ ეტაპზევე გამოიკვეთა მოღვაწეობითი ცხოვრების სამი სახე: ანაქორეტული (ძველი ბერძნული სიტყვიდან „ἀναχορέω“ - „განვეშორები“) ანუ განდეგილური (მარტომყოფელური, განშორებული, მემხოლოე ცხოვრების

წესი (ჭელიძე 2013ბ: 267-268), მონაზვნური მოსაგრეობის ყველაზე ადრეული და „პრიმიტიული” ფორმა), ლავრული („ლაურა” ძველ ბერძნულში „მოხვეულ ქუჩას” ნიშნავდა (ჩითი 1995: 15-16; პირშველდი 1990: 428)), შემდგომში მონასტრის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სინონიმად იქცა) და კვინობური (ძველ ბერძნულში „კოსტიონ” ანუ „ერთად ცხოვრება”, ძველ ქართულად კვინობურ მონასტრებს „ზოგადცხოვრებული მონასტრებიც” ეწოდებოდა (ფრანკი 2010: 32-33; ჭელიძე 2013ბ: 228-230)).

ანაქორეტობა ანუ განმხოლოებითი, განმარტოებითი, განდეგილური ცხოვრება (ჭელიძე 2013ბ : 268-269) სამონაზვნო ყოფის თავდაპირველი, პრიმიტიული ფორმაა (თელამონი 1992: 296). სიტყვა „μοναχός” თავდაპირველი მნიშვნელობით სწორედ „მარტომყოფს” აღნიშნავს. სიტყვა „მონახოს” ჯერ კიდევ ეგვიპტურ პაპირუსებში იხსენიება, რომლებსაც ნაგ-ჰამადის კოდექსი შეიცავს (ამ ტერმინის უძველეს გამოყენებაზე იხ. ბუმაჟნოვი 2007: 21-26), შემდეგ ეს ტერმინი მონასტრული ცხოვრების ყველა მიმდევარზე გავრცელდა. მონასტრის აღმნიშვნელად ძველ ქრისტიანულ მწერლობაში მრავალი სიტყვა იხმარებოდა, თუმცა ყველაზე გავრცელებულად იქცა ტერმინი „τό μοναστήριον”, რომელიც თავდაპირველად მარტომყოფი ასკეტის, ანაქორეტის საცხოვრისს, განდეგილის სენაკს აღნიშნავდა (პერმიტ’ს ცელლ, ლამპი 1965: 878). აქედანაც ცხადია, რომ ბერმონაზვნური ცხოვრება სათავეს სწორედ ინდივიდუალური განდეგილებისგან იღებს.

ბერმონაზვნობის განვითარების შემდგომ პერიოდში ცალკეული ანაქორეტები ერთიანდებიან და ქმნიან სამონასტრო ერთობებს. ასე ჩამოყალიბდა ლავრები. ლავრის ტიპის მონასტრებში არ არსებობდა მკაცრი განაწესი და საერთო ტიპიკონი. მონაზვნები ერთი ქარიზმატული და სულიერი ავტორიტეტის მქონე პიროვნების გარშემო ერთიანდებოდნენ. თითოეული ანაქორეტი კვირის ხუთი დღის განმავლობაში ინდივიდუალურად მოღვაწეობდა საკუთარ სენაკში, შაბათ-კვირას კი საერთო ტაძარში ღვთისმსახურებას ესწრებოდა და ზიარებას იღებდა. „ლავრული” სასიათის მონასტრების არქეტიპები იყო სახელგანთქმული ეგვიპტური სამონასტრო ცენტრები, ნიტრია, კელიები (სენაკები) და სკიტი (იხ. ქვემოთ), თუმცა ამ ტიპის სამონაზვნო ცხოვრებამ კლასიკური სახე მაინც პალესტინაში შეიძინა, სადაც ძალზე გავრცელებული იყო კდლები გამოკვეთილი ლავრები (მაგ. სარიტონის ლავრა).

„ლავრის” ტიპის გარდა ქრისტიანულ სამონასტრო ტრადიციაში განვითარდა „კვინობის” ტიპის მონასტრები. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ტერმინი „კვინობი” ბერძნული სიტყვიდან მოდის და „ერთად (ძველქართულად „ზოგად”) ცხოვრებას” ნიშნავს. ამ ტიპის მონასტრებში მმები (ან დები) გალავნით შემოზღუდულ სენაკებში ერთად ცხოვრობდნენ და მათ ყველაფერი საზიარო პქონდათ, ისინი მონასტრის ერთ საერთო ტიპიკონს (განაწესება) ემორჩილებოდნენ, ერთად ტრაპეზობდნენ, ერთად მუშაობდნენ და ერთად ლოცულობდნენ, ამგვარ მონასტრებში სულიერი წინამდღვრის მკაცრი მორჩილება აუცილებელი იყო. კვინობური მონასტრების პრველდამფუძნებლად დიდი ეგვიპტელი ბერი პახომი დიდი იქცა (292-346 წწ.), ხოლო ბიზანტიური ბერმონაზვნობისათვის დამახასიათებელი კლასიკური სახე მან ბასილი დიდის და საბა განწმენდილის მიერ დაარსებულ მონასტრებში შეიძინა (იხ. ქვემოთ).

მოგვიანებით ლავრებისა და კვინობების სინთეზიც წარმოიქმნა. ამგვარმა მონასტრებმა განსაკუთრებული გავრცელება პპოვა პალესტინაში. ასეთი მონასტრის ცენტრს წარმოადგენდა კვინობი, რომელსაც ამ კვინობის მახლობლად ცალკეულ სენაკებში გაფანტული განდეგილები ემორჩილებოდნენ (კვინობის მთავარ ტაძარში ჩამოდიოდნენ შაბათ-კვირას დვორისმსახურებაზე). დენის პაპახრიზანთუ (ენისე აპატრიუსსანტპოუ) ამგვარ ასკეტურ თემებს „ჰიბრიდული ლავრების სისტემას” (ლე სყსტ მე ჰყბრიდე ლავრიოტე) უწოდებს (პაპახრიზანთუ 1973: 167). მოღვაწეს რომელსაც განდეგილური მოსაგრეობა სურდა, გამოცდა ჯერ კვინობში უნდა გაევლო, წინამდღვრის მორჩილების ქვეშ, რადგან პირდაპირ ინდივიდუალურ დაყუდებაზე გადასვლა სახიფათოდ ითვლებოდა. მხოლოდ მას შემდეგ რაც მონაზონი კვინობში, სხვა მმებთან (ან დებთან) ერთად გარკვეულ სულიერ გამოცდილებას მიიღებდა, მიდიოდა ის „უშინაგანეს უდაბნოში” მარტომყოფელური მოღვაწეობისათვის.

## თავი II. ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა

### §1. ქართული ბერმონაზვნობის გენეზისის კვლევის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

XIX საუკუნის I ნახევრიდან მოყოლებული საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის კვლევა ევროპული მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებითა და გამოყენებით დაიწყო. ბუნებრივია, ქართველოლოგიურ კვლევებში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის შესწავლამ თავიდანვე უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა. საქართველოს ეკლესიის (და ზოგადად საქართველოს) ისტორიის საკითხებზე მუშაობა შეუძლებელი იყო ქართული ბერმონაზვნობის ფენომენის გათვალისწინების გარეშე, ამიტომ ძიებანი საქართველოს ისტორიაში ქართული ბერმონაზვნობის კვლევასაც გულისხმობდა.

ქართული ბერმონაზვნობის წარმოშობაზე საუბრისას ქართველი თუ უცხოელი ისტორიკოსების დიდი უმრავლესობა საქართველოში ასურელ მამათა შემოსვლას უკავშირებდა. უკვე მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული ქართულ ისტორიოგრაფიაში მტკიცედ დამკვიდრდა აზრი, რომლის თანახმადაც, საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დამწყებნი სწორედ ასურელი მამები იყვნენ. ვახუშტი ბაგრატიონი თავის ცნობილ თხზულებაში აღწერა სამეფოსა საქართველოსა წერდა:

ხოლო ვახტანგ გორგასალ დასვა კათალიკოზი და ეპისკოპოზნი ყოველსა საქართველოსა შინა, ამათ მიეცა პატივი – კათალიკოზსა მეფისა თანა და ეპისკოპოზს ერისთვისა თანა, ხოლო მღვდელთა აზნაურთა თანა. ხოლო შემდგომად მოსვლისა იგ წმიდათა მამათა (იგულისხმება ცამეტი ასურელი მამა – შ.მ.) იქმნენ ამათ მიერ მონასტერნი და უდაბნონი, და ამათ მონასტერთა მამათა და წინამდგართა მიეცათ პატივი მთავართა თან (ლომური... 1941: 19).

ეს ტრადიცია XIX საუკუნეშიც გაგრძელდა. პლატონ იოსელიანი თავის ცნობილ ნაშრომში საქართველოს მოკლე საეკლესიო ისტორია (გამოიცა რუსულ ენაზე), კონკრეტულად ბერმონაზვნობის დასაწყისზე არ ამახვილებს უურადღებას, თუმცა საინტერესოა, რომ მისი მოსაზრება გაცილებით ახლოსაა

ისტორიულ რეალობასთან, ვიდრე გვიანდელი მეცნიერების აზრები, რომლებიც ასურელ მამათა მთავარ მისიას მონასტრების დაარსებაში ხედავდნენ. პლატონ იოსელიანი სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ ასურელ მამათა მოსვლის უმთავრესი მიზეზი რწმენაში შერყეულ ქართველთა სარწმუნოებაში განმტკიცება და ხალხის განსწავლა იყო (იოსელიანი 1843: 40-41). პლატონ იოსელიანისაგან განსხვავებით, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მეორე მესამირკვლე, სულხან ბარათაშვილი, ასურელი მამების ქართლში შემოსვლას საერთოდ არ ახსენებს (იხ. ბარათოვი: 1865).

ქართული ბერმონაზვნობის ჩამოყალიბებას თავის ნაშრომში შეეხო ისტორიკოსი დიმიტრი ფურცელაძე (1825-1891 წწ.). უკანასკნელ ხანებამდე ეს ძალზე საინტერესო ნაშრომი, რომელიც საქართველოს ეკლესიის ისტორიის ორიგინალურ ხედვას გვთავაზობს (თან XIX საუკუნის შუა ხანებში) უკანასკნელ დრომდე მივიწყებული იყო ჩვენ ისტორიოგრაფიაში (იხ. მათითაშვილი 2013/2014: 81-87). დიმიტრი ფურცელაძემ, პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, 1862 წელს გაზეთ *Кавказ*-ში გამოქვეყნებულ სტატიაში *История Грузинской Церкви* მოგვცა საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაციის ცდა. დ. ფურცელაძე, სხვათა მსგავსად, საქართველოში ბერმონაზვნური ცხოვრების დამფუძნებლებად ასურელ მამებს მიიჩნევს. საინტერესოა, რომ აღნიშნული მკვლევარი ასევე პირველი იყო, ვინც ქართული ბერმონაზვნობის ტიპოლოგიზაციას შეეცადა, რაც ერთი-ორად ზრდის მისი ნაშრომის მნიშვნელობას. ავტორი ბერმონაზვნური ცხოვრების სამ სახეს გამოჰყოფს: მემყუდროვე (ანუ ჰესიქასტური) მოღვაწეობა (რომლის ტიპიურ მაგალითადაც მას შიო მდგიმელი მიაჩნია), მესვეტეობა (ლოგიკურად ასკუტური მოღვაწეობის ამ წესის მიმდევრად დ. ფურცელაძე ანტონ მარტყოფელს თვლის) და მონასტრები, რომლებშიც ცხოვრების საერთო წესს მისდევდნენ ანუ კვინობები (ამგვარ მონასტერთა ნიმუშებად მკვლევარი შიო-მდვიმესა და დავით გარეჯას ასახელებს) (ფურცელაძე 1862: 538; მათითაშვილი 2013/2014: 84-85).

XIX საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა უმეტესობის მსგავსად, კონკრეტულად ქართული ბერმონაზვნობის წარმოშობა, არც მოსე ჯანაშვილს უკვლევია. იგი, ისევე როგორც პლატონ იოსელიანი, ასურელ მამებზე საუბრისას არა მონასტერთა დაარსებაზე, არამედ მათ მისიონერულ დვაწლზე საუბრობს (ჯანაშვილი 1886: 43-44). იგივე აზრს გამოთქვამდა პოლიეკტოს კარბელაშვილი, რომელსაც აქცენტი ასურელი მამების მისიონერობასა და სპარსელებთან

ბრძოლაში მათ მონაწილეობაზე გადაჭქონდა (კარბელაშვილი 2011: 34). ივ. ჯავახიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა, რომ საქართველოში სამონასტრო ცხოვრება ჯერ კიდევ V საუკუნეში უნდა ჩასახულიყო (ჯავახიშვილი 1979: 337), თუმცა ეს შეხედულება აღარ განუვითარებია. ამ აზრმა უცხოურ ისტორიოგრაფიაშიც მოიკიდა ფეხი, მაგ. პარიზში გამოცემულ კათოლიკური ლეგიონების ენციკლოპედიის V ტომში რემონ ჟანენი წერდა:

შეუძლებელია ზუსტი დროის დადგენა იმისა, თუ როდის გაჩნდნენ პირველი ბერ-მონაზვნები საქართველოში. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სამონასტრო ცხოვრება არ უნდა ჩასახულიყო V საუკუნეზე გვიანდედ ხანაში და იბერთა შორის გავლენა აღრევე უნდა მოეპოვებინათ. მართლაც, ამ ეპოქაში იგი მთელს აღმოსავლეთში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. უფრო მეტიც, მოციქულებმა და ეკლესიის მესვეურებმა საქართველოში, როგორც ჩანს, ეს გამოიყენეს ჭეშმარიტი რწმენის განმტკიცების უზრუნველსაყოფად. და ბოლოს, ისიც უნდა ავლნიშნოთ, რომ ამ დროიდან მოყოლებული ქართველი ბერები პალესტინაშიც ჩნდებიან (ჟანენი 1996: 33).

საინტერესოა, რომ თევზე უორდანია საქართველოში ბერმონაზვნური იდეალების გავრცელების ხანას ძალზე ადრეულ ეპოქას უკავშირებს:

...სწერენ, კეისარმა ქართველთ აჩუქა ადგილი გოლგოთაზე, სადაც ჯვარს აცვეს მაცხოვარი; ამ ადგილას მალე აშენდა ქართველთა მონასტერი (ე. ი. უბავ Ⅳ საუკუნის I ნახევარში – შ. მ.). ქართველი ბერები მრავლად მიდიოდნენ იერუსალიმსა და ახლო-მახლო ადგილებში. ქართველთა დიდკაცობაც ხელს უწყობდა ბერებს. სწერენ, თვით მირიან გაემგზავრაო იერუსალიმს და ამ გარემოებას ხომ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ქართველი ბერების გამრავლების საქმეში იერუსალიმს. მისმა შვილმაც, ბაქარ მეფემ, უკანასკნელნი წელნი თვისის ცხოვრებისა პალესტინაში გაატარა და, რასაკვირველია, ხელს მოუმართავდა ქართველთ იერუსალიმის მონასტრებს (ჟორდანია 2011: 324).

უცნობია, თუ რა წყაროებს ეყრდნობა თ. უორდანია, როდესაც ის მევე მირიანსა და მის ძეს, უფლისწულ ბაქარს (ბაკურს, რომელსაც არ უმეფია), იერუსალიმში გამგზავრებულებად თვლის. საინტერესოა, რომ მკვლევარი ამ პერიოდისათვის უკვე ვარაუდობს საქართველოში ბერების (მაშასადამე მონასტრების) არსებობას, თუმცა, სამწუხაროდ, მისი შეხედულებები მხოლოდ დაუსაბუთებელ ვარაუდებსა და დაუმოწმებელ წყაროებზეა აგებული, მიუხედავად ამისა, ქართული ბერმონაზვნობის ჩამოყალიბების

ისტორიოგრაფიული მიმოხილვისათვის, მისი შეხედულებები მნიშვნელოვანი და საყურდღებოა.

XX საუკუნის დასაწყისისათვის მეცნიერთა უმრავლესობა საქართველოში სამონასტრო ცხოვრების საფუძვლის ჩამყრელებად მაინც ასურელ მამებს თვლიდა. პ. კეკელიძის აზრით, სირიელ მამებს

დიდი კულტურული როლი უთამაშიათ ჩვენ ისტორიაში: მათ საფუძველი ჩაუყრიათ ჩვენში სამონასტრო ორგანიზაციისათვის, რომელმაც, როგორც ვიცით, წარუშლელი კვალი დასტოვა ძველს ქართულ ცხოვრებაში, მათ ქრისტიანობის შუქი შეუტანიათ ჩვენი ქვეყნის მივარდნილსა და მიუვალ კუთხეებში და ხელი შეუწყვიათ ხალხის გამოყვანისათვის ბარაბაროსობის წყვდიადიდან (კეკელიძე 1926: 170-171).

პ. კეკელიძე ამ აზრს სხვაგანაც იმეორებს:

საქართველოს ისტორიაში ცნობილი არიან ეგრეთ წოდებული ასურელი მამები, რომელნიც ჩვენში მოსულან მექქსე საუკუნეში შუამდინარიდან. მათ დიდი დვაწლი დასდეს ქართლის ეკლესის გაძლიერებას კერპთაყვანისმცემლობასთან ბრძოლაში, აგრეთვე სამონასტრო ცხოვრების და მისი ორგანიზაციის დამყარება-ჩამოყალიბებას (კეკელიძე 1960 : 157).

ზუსტად იგივე შეხედულებაა გამოთქმული პ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის მიერ გამოცემულ ნაშრომში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (კეკელიძე... 1987: 106). პ. კეკელიძის მოწაფე ლ. მენაბდეც საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დამწყებებად ასუელ მამებს მიიჩნევდა (მენაბდე 1962: 385).

XX საუკუნის I ნახევრიდან მოყოლებული ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებანიც გაჩნდა. მ. თარხნიშვილის აზრით, მართალია, უცნობია ვინ იყვნენ საქართველოში ბერმონაზვნური ცხოვრების მოთავები, მაგრამ ქართველებს ადრევე უნდა დაეწყოთ სწრაფვა „უსხეულოთა ცხოვრებისაკენ” (თარხნიშვილი 1994: 52). მ. თარხნიშვილის მოსაზრებით, ერთ-ერთი პირველი სამონასტრო კერა საქართველოში ოპიზა იყო, ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული (თარხნიშვილი 2014: 377), ის ასევე ურადღებას ამახვილებს ქართველთა მოღვაწეობაზე V საუკუნის პალესტინაში:

დაუჯერებელია და წარმოუდგენელი, რომ პალესტინაში მოღვაწე ქართველ ბერებს სამშობლოშიც არ შეეტანათ იმავე ცხოვრების იდეალი, იქაც არ განებნიათ თესლი ბერმონაზვნობისა. ამიტომ სრულის გულდაჯერებით

ძალგვიძს ვაღიაროთ: V საუკუნის ქართლსაც მიჰყენია შუქი ახლად აღმობრწყინებული ასკეტური ღვაწლმოსილებისა, მეუდაბნოების სახით მაინც (თარხის შვილი 2014: 384-485).

გრიგოლ ფერაძის შეხედულებითაც, სამონასტრო ცხოვრება საქართველოში ასურელი მამების შემოსვლამდე გაცილებით ადრე უნდა იღებდეს სათავეს და ბერმონაზვნური ცხოვრების თავდაპირველი ფორმა სწორედ ანაქორეტობა უნდა ყოფილიყო (ფერაძე 2006: 126):

საქართველოში ყველაზე გავრცელებული ფორმა ბერმონაზვნობისა არის ანაქორეტობა. ქართული ბერმონაზვნობის სათავეებთან ჩვენს წინ სწორედ ასეთი პირები წარმოდგებიან, და იმის გამო არიან უცნობი ჩვენთვის, რომ მთელი ცხოვრება მარტოობაში გაატარეს (ფერაძე 2012: 216).

უფრო მოგვიანებით რამდენიმე მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება საქართველოში ბერმონაზვნური ცხოვრების დაწყების შესახებ სირიელ მამათა მოღვაწეობამდე გაცილებით ადრე (შოთა მესხია, რომელიც ვახტანგ გორგასლის მიერ ოპიზაში მონასტრის დაარსებას რეალურად თვლიდა და ეთანხმებოდა ივ-ჯავახიშვილის მოსაზრებას საქართველოში მეუდაბნოების V საუკუნეში ჩასახვის შესახებ, იხ. მესხია 1986: 220; ასევე იხ. გაფრინდაშვილი 1988: 11; ხოშტარია 2009: 29-36; ბახტაძე 2007: 88-93 და ა.შ. (დაწვრილებით იხ. ქვემო).<sup>5</sup> ასე რომ, დღეისათვის ვეღარ ვიტყვით, რომ მოსაზრება, რომლის თანახმადაც საქართველოში სამონასტრო ცხოვრებას საფუძველი ასურელმა მამებმა ჩაუყარეს, საყოველთაოდაა გაბატონებული.

## §2. ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის პერიოდიზაცია

მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული ბერმონაზვნობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრებაში. ბერმონაზვნობა ეკლესიის სულად და გულად, მის უმტკიცეს საყრდენად იქცა მძიმე ისტორიული მომენტების ჟამს. ბერმონაზვნობამ შეუნახა ეკლესიას ლიტურგიკული ცხოვრების საუკეთესო ტრადიციები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უმდიდრესი ასკეტური მემკვიდრეობა, როგორც ქრისტიანული სრულყოფის

<sup>5</sup> ჩვენ აღნიშნულ მკვლევართა მოსაზრებებს, ახლა აქ, დაწვრილებით აღარ მიმოვისილავთ, რადგან მათი შეხედულებების დამოწმება და მათზე მსჯელობა, უფრო ვრცლად, ქვემოთ მოგვიწევს

საშუალება. ასე იყო მთელ აღმოსავლეთ საქრისტიანოში და, ასე იყო კონკრეტულად, საქართველოს შემთხვევაშიც.

ქართული ბერმონაზვნობის კვლევისას ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოში სამონასტრო ცხოვრების ისტორიის პერიოდიზაცია. პერიოდიზაცია დაგვეხმარება უკეთ აღვიქვათ ქართული ბერმონაზვნობა, როგორც ისტორიული ფენომენი, მისი განსხვავებული ხასიათი და ამ ხასიათის ცვლილება საუკუნეთა განმავლობაში.

ივ. ჯავახიშვილი იყო ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსთაგან, ვინც ქართული ბერმონაზვნობის პერიოდიზაციას შეეცადა. ივ. ჯავახიშვილის აზრით ასურელმა მამებმა საქართველოში მხოლოდ ანაქორეტულ, განდეგილურ მოღვაწეობას ჩაუყარეს საფუძველი (თუმცა წყაროებიდან საერთოდ არ ჩანს, რომ ისინი მხოლოდ ანაქორეტული ცხოვრების დამნერგავნი იყვნენ), ხოლო განვითარებული და ორგანიზებული სახე ქართულ სამონასტრო მოძრაობას გრიგოლ ხანძთელმა მისცა (ჯავახიშვილი 1914: 31-32).

გრიგოლ ფერაძე, მიქელ თარხნიშვილთან ერთად, ისტორიკოსთა და სხვა მეცნიერ-მკვლევართაგან ის იშვიათი გამონაკლისი იყო, რომელიც ქართული ბერმონაზვნობის თავისებურებათა ვრცლად აღწერას და დახასიათებას შეეცადა. აი, მაგალითად, ერთი საინტერესო ამონარიდი ქართული ბერმონაზვნობის გრ. ფერაძისეული ხედვის კარგად გასააზრებლად, სადაც ისტორიკოსი ქართულ ჰაგიოგრაფიაში წმ. სვიმეონ მესვეტის (უმცროსის) პოპულარობის ახსნას ცდილობს და აქედან განმაზოგადებელ დასკვნებს აკეთებს. შორ მღვიმელის ცხოვრების ავტორზე საუბრისას ის აღნიშნავს:

ავტორი შეხარის უდაბნოს მკვიდრებს და სენაკებში, მღვიმეებში, გამოქვაბულებში მცხოვრებლებს. მაგრამ ერთმა განსაკუთრებით მოხიბლა – ესაა წმ. სვიმეონ უმცროსი. რატომ მაინცდამაინც წმ. სვიმეონი? რატომ არა წმ. საბა ან ექვთიმე, ან ბასილი, ან კიდევ რომელიმე სხვა წმინდანი? ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გავიგოთ შინაგანი განვითარების ისტორია ქართული ბერმონაზვნობისა, მითუმეტეს, რომ სვიმეონი არა მარტო წმ. შიოს ცხოვრების ავტორთანაა დიდი სიყვარულით ციტირებული, არამედ სხვებთანაც... წმ. სვიმეონი პირადი ასკეტიზმის ყველაზე უკიდურესი მომხრე და მიმდევარი იყო. ქართველებთან კი ბერმონაზვნობის განვითარება სწორედ განდეგილობაზე გაჩერდა. ბასილის ან ათონის მოწესრიგებული ბერმონაზვნობის გავლენა ქართულ ბერმონაზვნობაზე ძალიან მცირდა. რაკი ქართული ბერმონაზვნობა თავის

სრულყოფილ იდეალს უმკაცრეს განდეგილობაში ხედავდა. ბუნებრივია, საზომად მისი უკიდეურესი მიმდევრები იქნენ მიღებული (ფერაძე 2012: 154).

მანვე ივ. ჯავახიშვილთან ერთად, პირველმა შემოგვთავაზა ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის პერიოდიზაცია:

ქართული ბერმონაზვნობის სათავეების შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. წინა ისტორიის გარეშე გადავდივართ მისი აყვავების ეპოქაში და ოქროს ხანაში. ქართული ბერმონაზვნობის ისტორიაში შეიძლება სამი პერიოდი გამოვყოთ: სირიული, პალესტინური და ბოლოს – ათონის მთის, ანუ ბიზანტიური (ფერაძე 2012: 211).

თუმცა მკვლევარი შენიშვნაში მიუთითებს:

რა თქმა უნდა, შეიძლება კამათი იმის შესახებ, ქართველ ბერ-მონაზონთა პალესტინასთან კავშირი ხომ არ უსწრებდა წინ სირიასთან კავშირს. ჩვენი აზრით, ისინი შეიძლება ერთდროულიც ყოფილიყო (ფერაძე 2012: 219, შენიშვნა 2).

კვლევის თანამედროვე ეტაპზე სრულიად აშკარაა, რომ ქართული ბერმონაზვნობა უკვე VI საუკუნეში მძლავრ სოციალურ ინსტიტუტსა და ძალაუფლების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, რომელსაც საერთ ხელისუფლებაც კი ანგარიშს უწევდა, ამიტომ არქიმანდრიტი გრ. ფერაძისეული დახასიათება, თითქოს, საქართველოში ბერმონაზვნური ცხოვრება ანაქორეტობაზე გაჩერდა, მცდარია და ეს ჩვენ კვლევაშიც გამოჩნდება, საიდანაც მკითხველი დაინახავს, რომ თუნდაც „ბასილის მოწესრიგებული ბერმონაზვნობის“ ნიმუში ჩვენ უკვე V საუკუნის ქართლში გვხდება, არათუ უფრო გვიან. ანაქორეტობა ქართული ბერმონაზვნობის მთელი ისტორიის მანძილზე სახეზეა, ანაქორეტი მოღვაწეები დღესაც არსებობენ საქართველოში და ეს სულაც არ ნიშნავს ქართული ბერმონაზვნობის, ერთმნიშვნელოვნად, ანაქორეტულ ხასიათს. მეტიც, დღეს მესვეტე ბერებიც კი გახდებიან საქართველოში (მაგ. ჭიათურის რაიონში, კაცხის სვეტზე, მოღვაწე მამა მაქსიმე (ქავთარაძე), რომელმაც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან სვეტზე სამი საუკუნის წინათ ჩამქრალი მონასტრული ცხოვრება აღადგინა). საქართველოში (ისევე როგორც სხვაგან) ანაქორეტული და ორგანიზებული ბერმონაზვნური ცხოვრების ტიპები ერთმანეთს ხელს არ უშლიდა და ერთი და იგივე პერიოდში თანაარსებობდა. ასევე არააღვაგატურად გვეჩვენება ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის პერიოდიზაციის მთლიანად უცხოურ გავლენებზე (სირიული, პალესტინური, ბიზანტიური) მიბმა, თუმცა ცხადია ამ გავლენებმა დიდი როლი

შეასრულა ქართული ბერმონაზვნობის განვითარებაზე და პერიოდიზაციის ამგვარ ვერსიას თავისი ლოგიკა გააჩნია.

რაც შეეხება წმ. სვიმეონ მესვეტე უმცროსის განსაკუთრებულ თაყვანისცემას, ეს წმინდანი ქართულ სასულიერო მწერლობაში სხვებზე (თუნდაც წმ. მთავარმოწამე გიორგიზე ან წმ. საბა განწმენდილზე ან წმ. ბასილი დიდზე) მეტი პოპულარობით ნამდვილად არ გამოირჩეოდა, მას დიდ პატივს მიაგებდნენ, თუმცა არა როგორც რაღაც გამორჩეულს, ექსკლუზიურს. ამიტომ ერთ (ან რამდენიმე) პაგიოგრაფიულ ძეგლში წმ. სვიმეონ უმცროსის აღმატებული მნიშვენელობის მიხედვით მთლიანად ქართულ ბერმონაზვნობაზე მსჯელობა, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, აშკარად მცდარია.

ივ. ჯავახიშვილისა და გრ. ფერაძის შემდეგ ქართული ბერმონაზვნობის პერიოდიზაციას გ. გაფრინდაშვილი შეეცადა. გ. გაფრინდაშვილი ერთმანეთისგან, ტერმინოლოგიური და შინაარსობლივი თვალსაზრისით, განარჩევს „უდაბნოსა“ და „მონასტერს“. მისი დაკვირვებით, საქართველოში სამონასტრო ცხოვრების პირველ ეტაპზე მხოლოდ უდაბნოები გვხვდება. „უდაბნო“ გ. გაფრინდაშვილის აზრით, პირველ ეტაპზე, აუცილებლად მონაზონთა ქვაბოვან საცხოვრისს გულისხმობს (გაფრინდაშვილი 1987: 5) ე. ი. უდაბნოს აუცილებლად ქვაბოვანი ხასიათი აქვს, ქვის ნაგებობათა გარეშე და გ. გაფრინდაშვილის განცხადებით უდაბნოს ეს მნიშვნელობა მის მიერ იყო „ამოხსნილი“ (გაფრინდაშვილი 1988: 7). მისი შეხედულებით, ქართული ბერმონაზვნობის განვითარების ადრეულ ეტაპზე „მონაზონთა საყოფი კლდოვანი ნაპრალები და ბუნებრივი სიდრუვეებია. შემთხვევითი მოხაზულობა აქვთ ამავე დროის უხეშად გამოკვეთილ ქვებებსაც“ (გაფრინდაშვილი 1969: 11). ამის საილუსტრაციოდ გ. გაფრინდაშვილს მოჰყავს „წმინდა კაცის“ პასაჟი შუშანიკის მარტვილობიდან. ამ წმინდა კაცის სამყოფელს „ვანი“ ეწოდება, რაც მკვლევრის აზრით, „უქვეელად ქვაბოვან სენაკს უნდა გულისხმობდეს. მისი შეხედულებით ტოპონიმი „ვანი“ კლდის ძეგლებს უკავშირდება. გ. გაფრინდაშვილი აცხადებს „ვანის“ განმარტების ცნობაც „მე მეკუთვნისო“ (გაფრინდაშვილი 1988: 11). „სრულიად აშკარაა რომ წმ. კაცი მეუდაბნოეა და ქვაბშია დამკვიდრებული“. მხოლოდ მოგვიანებით ქართული ბერმონაზვნობის განვითარების შემდგომ, მეორე ეტაპზე გვხდება კლდოვან საცხოვრისებთან ერთად ქვის ნაგებობანი. ქვაბთა და ქვის ნაგებობათა კომპლექსს – ერთობლიობას კი უკვე შეგვიძლია

კურტოდოთ „მონასტერი“ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით (გაფრინდაშვილი 1988: 9).

გ. გაფრინდაშვილის მოსაზრებათა დამაჯერებელი კრიტიკა მოგვცა 6. ბახტაძემ. 6. ბახტაძემ შიომღვიმის (VI ს.), ზედაზნის (VI ს.), ბრეთის (VI ს.), კონდამიანის (VI ს.) და კაცხის (V-VI სს.) (ეს უკანასკნელი 6. ბახტაძის აზრით გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანით თარიღდება) მაგალითებზე ცხადყო, რომ ტერმინების „უდაბნოსა“ და „მონასტრის“ გაფრინდაშვილისეულ დეფინიციას რეალური საფუძველი არა აქვს, რადგან „უდაბნო“ აუცილებლად არ გულისხმობს მხოლოდ კლდოვან გამოქვაბულებს. უძველესი ქართული უდაბნო-მონასტრები კლდოვანი ქვაბებისა და ქვის ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდნენ და არავითარი საფუძველი არა გვაქვს „უდაბნოში“ მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლის მარტო კლდოვან-ქვაბოვანი ხასიათი ვიგულისხმოთ (ბახტაძე 2007: 88-93).

დღეისათვის აშკარაა, რომ ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის პერიოდიზაციის ივ. ჯავახიშვილისეული, გრ. ფერაძისეული და გ. გაფრინდაშვილისეული ვერსიები მცდარია. ქვემოთ დავინახავთ რომ სამონასტრო ცხოვრების თითქმის ყველა სახე უკვე გვხდება IV-V საუკუნეების საქართველოში, ხოლო ასურელი მამები მხოლოდ ანაქორეტული ტიპის მოღვაწეობის გამავრცელებლებლად არ გვევლინებიან, არამედ მათ მიერ დაარსებულ მონასტრებში განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, როგორც ლავრულმა, ისე კვინობურმა ცხოვრებამ (და ასევე მათმა სინთეზმა). მითუმეტეს სრულიად უსაფუძვლოა გ. გაფრინდაშვილის შეხედულება, თითქოს ქართული ბერმონაზვნობა ჯერ ქვაბოვან ხასიათს ატარებდა, შემდეგ კი ქვის ნაგებობათა შენებაც დაიწყეს. კვლევა გვაჩვენებს, რომ ქართული ბერმონაზვნობის ტიპოლოგიური მრავალფეროვნება ქრონოლოგიურად თანადროულია და ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს შემთხვევაში, სამონაზვნო ცხოვრების ერთი ტიპი აუცილებლად მეორისგან განვითარდა (როგორც მაგალითად ეგვიპტეში).

ქართული ბერმონაზვნობა (როგორც ეგვიპტური და სირიულ-პალესტინური) IV-V საუკუნეებში ისახება. IV-V საუკუნეები, როგორც ქართული ბერმონაზვნობის ჩასახვისა და განვითარების ხანა, მის პირველ პერიოდად უნდა ჩაითვალოს. მართალია გრ. ფერაძეს ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროდ V საუკუნე მიაჩნდა (ფერაძე 1927: 1-2), სპეციალისტთა აბსოლუტური

უმრავლესობა თანხმდება, რომ სირიელი ბერები აქ VI საუკუნეში მოვიდნენ და მათი ქართლის სამეფოში მოსვლითა და დამკვიდრებით ქართული ბერმონაზვნობის ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება. სირიელი მამები საქართველოში ორგანიზებულ სამონასტრო ცხოვრების წესს ფართოდ ავრცელებენ და მას მისიონერულ ხასიათს ანიჭებენ. VI-VIII საუკუნეებში ქართული ბერმონაზვნობა აღმავლობის გზაზეა, მას დიდი სულიერი, კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალური როლი აკისრია. ეს როლი განსაკუთრებულად გაიზარდა ქართული ბერმონაზვნობის მესამე პერიოდში - IX-X საუკუნეებში.

მერვე საუკუნის ბოლოსა და მეცხრე საუკუნის დასაწყისში ტაო-კლარჯეთში ფართო სამონასტრო კოლონიზაცია იწყება. გრიგოლ ხანძთელის მეთაურობით ქართველი ბერები და მონაზვნები უდიდეს რელიგიურ და კულტურულ მოძრაობას წამოიწყებენ და ამ მოძრაობის სავანედ ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფო“ მოგვევლინა. ტაო-კლარჯეთის მონასტრები (ისევე როგორც ზოგადად მონასტრები) მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო ცნობებად იქცნენ. ასეთ ცენტრები იყო ოპიზაში, შატბერდში, ხანძთაში, ოშკში, იშხანში, წყაროსთავში და ა. შ. გარდა ტაო-კლარჯეთის მონასტრებისა, აღსანიშნავია ქართველ ბერ-მონაზონთა ლვაწლი უცხოეთში. უცხოეთში ქართული ბერმონაზვნობა განსაკუთრებულ აყვავებას განიცდის V-X საუკუნეებში.

X საუკუნიდან ქართველ ათონელთა მოღვაწეობით ქართული სამონასტრო ცხოვრების ისტორიაში სრულიად ახალი (მეოთხე) პერიოდი იწყება, რომელიც ჩვენი აზრით მთლიანად განვითარებულ და გვიან შეა საუკუნეებს მოიცავს. გრ. ფერაძის აზრით, ათონელების დროს

მიიღო ქართულმა ბერმონაზვნობამ უნივერსალური ხასიათი, ქართული მონასტრები იყო ყველა გავლენიან აღგილას (სირიაში, პალესტინაში, ათონზე და კონსტანტინეპოლიში). ბერებს ერთმანეთთან ურთიერთობა ჰქონდათ და ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი ეროვნული კავშირი საერთო ინტერესებისათვის. მიუხედავად ძლიერი გავლენისა, ქართული ბერმონაზვნობა ამ გავლენის მონად კი არ ქცეულა, არამედ მოახერხა, ასე ვთქვათ, თვითონ ემართა სიტუაცია და ეროვნული ხასიათი შეენარჩუნებინა (ფერაძე 2014: 212).

ქართულმა მონასტრებმა საქართველოს ძლიერების ხანაში არნახულ აყვავებას მიაღწია, მონასტერი ტრადიციულად ინარჩუნებდა იმ დიდ სულიერ,

კულტურულ (ხშირად პოლიტიკურსაც) და სოციალურ როლს, რომელიც მას უკვე ადრეული შეა საუკუნეებიდან მოყოლებული პქონდა. ქართულ მონასტერზე პირდაპირ აისახებოდა ქვეყნის მდგომარეობა. ქვეყნის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური კითარებისას მონასტერები ცარიელდებოდა, მათი სიცოცხლისუნარიანობა მცირდებოდა.

მეათე საუკუნე ქართული კულტურის ისტორიაში ქართველ ათონელთა მოღვაწეობის დაწყებით აღინიშნა. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს წმინდა მთის ქართველთა როლი ზოგადად საქართველოს ეკლესიის და კონკრეტულად ქართული სამონასტრო ცხოვრების წინსვლისა და განვითარების საქმეში. ქართველ ათონელთა მოღვაწეობით ქართული ეკლესია ძლიერ დაუახლოვდა ბიზანტიურს (კაკელიძე 1980: 42-66), თუმცა სხვა ქართული მონასტრებივით ქართველთა ათონური სავანეც საქართველოს პოლიტიკური და სხვა სახის მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად სუსტდება და ქართველებისაგან იცლება. მიუხედავად საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობისა, სამეფო კარი მაინც ცდილობდა ქართული მონასტრის აღორძინების საქმეს ყოველმხრივ დახმარებოდა. მაგ., ერთ-ერთ ასურელ მამათაგან დაარსებული მონასტერი დავით გარეჯი, გვიანდენდალურ პერიოდში, კვლავაც განაგრძობდა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების საუკეთესო ტრადიციებს (ქავთარია 1965: 5).

მეცხრამეტე საუკუნე, ანუ საქართველოში რუსული საერო და საეკლესიო მმართველობის ეპოქა, ქართული ბერმონაზვნობის ისტორიაში ახალ მეცნიერებით უნდა ჩაითვალოს. საეკლესიო სლავური კულტურის შემოდინება რუსეთის იმპერიის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა, თუმცა გასათვალისწინებელია რუსული საეკლესიო გავლენის რეალური მასშტაბები. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იძულებითი შეჩერება (არა გაუქმება, რადგან რუსეთის სინოდს საერთოდ არ გააჩნდა ამგვარი უფლება) და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა აღნიშნული პერიოდის უმთავრესი მახასიათებელია, მაგრამ, ვფიქრობთ, XIX საუკუნის საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარმა მაქსიმალური ობიექტურობით უნდა ადადგინოს საქართველოს იმდროინდელი საეკლესიო ცხოვრების პერიპეტიები. ეს ეპოქა საქართველოში 1811 წლიდან 1917 წლიდენ გაგრძელდა.

მეექვსე პერიოდი, ძირითადად, საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქას ემთხვევა, როდესაც ბერმონაზვნული ცხოვრების ტრადიცია საქართველოში (და არა

მარტო საქართველოში) თითქმის სრულ განადგურებამდე მივიდა. 1977 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის აღსაყდრებიდან, უფრო ზუსტად კი საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, ქართული ბერმონაზვნობის ისტორიაში ახალი, მეშვიდე პერიოდი იწყება, რომელიც დღემდე გრძელდება და სამონასტრო ცხოვრების აღმავლობითა და, ამავე დროს, მთელი რიგი სირთულეებით ხასიათდება.

### თავი III. ქართული ბერმონაზვნობა IV საუკუნეში

#### §1. წმ. ნინო და ქრისტიანული ასკეტიზმი: წმ. ნინოს ცხოვრება როგორც უძველესი ქართული პაგიოგრაფიული თხზულება

XIX საუკუნის მიწურულამდე ნინოს ცხოვრების რამდენიმე რედაქცია იყო ცნობილი. ამ ცხოვრებათა ავტორები შუა საუკუნეების ქართველი მემატიანეები და პაგიოგრაფები იყვნენ. XI საუკუნის ეპისკოპოსმა ლეონტი მროველმა ნინოს მოღვაწეობისა და ქართლის მოქცევის ისტორია საკუთარ თხზულებაში შეიტანა, რომელიც ქართლის ისტორიას უძველესი ეპოქიდან მირიან მეფის მემკვიდრეებამდე მოგვითხრობს. XII საუკუნეში დაგით აღმაშენებლის თანამოღვაწემ არსენი იყალთოელმა ნინოს ცხოვრების ახალი რედაქცია შექმნა. ამავე საუკუნეში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერისძემ თავის საღვთისმეტყველო ტრაქტატში საკითხავი ხუმისა ცხოველისა, კუართისა საუფლოხა და კათოლიკე კალებისა ნინოს მისიონერობისა და ქართლის მოქცევის ისტორია ქრისტიანული ღვთისმეტყველების შუქჩე განიხილა. XIII საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ არსენის თხზულების პერიფრაზი დაიწერა, რომელშიც რამდენიმე ახალ და განსხვავებულ ცნობას ვხვდებით.

1888 წელს ქართული ისტორიოგრაფიისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. 6. მარმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლი საზოგადოების წინგოთსაცავში შატბერდის კრებული აღმოაჩინა. 1890 წელს ახალგაზრდა მკვლევარმა ექვთიმე თაყაიშვილმა საკუთარი ხარჯებით შატბერდის კრებულში დაცული თხზულების მოქცევაზე ქართლისავის პირველი ნაწილი - ისტორიული ქონიკა გამოაქვეყნა, რომელშიც ნინოს ცხოვრების მოქლე რედაქცია იყო ჩართული, ხოლო 1891 წელს შატბერდისეული ხელნაწერის მიხედვით მოქცევაზე ქართლისავს მეორე ნაწილი - ნინოს ცხოვრების ვრცელი რედაქციაც გამოსცა და მას „ახალი ვარიანტი“ უწოდა (რადგან ქართლის განმანათლებლის ცხოვრების სხვა, ჩვენგან ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტები უპავ ცნობილი იყო). ეს ე. წ. ახალი ვარიანტი სინამდვილეში ნინოს ცხოვრების ყველაზე ძველი რედაქცია და უმთავრესი წყაროა გვიანდელი ავტორებისათვის.

*მოქცევად ქართლისად დღეს ათი რედაქტიოთ არის ცნობილი: შატბერდული, რომლის მიხედვითაც გამოაქვეყნა თაყაიშვილმა ისტორიული ქრონიკა და ნინოს ცხოვრება, ჭელიშური, რომელიც არქიმანდრიტმა ამბროსიმ (ხელაია) 1906 წელს ჭელიშის მონასტერში იპოვა და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სინური რედაქცია: Sin-48 და Sin-50 (ალექსიძე 2007: 7-9).<sup>6</sup> ეს ოთხი უმთავრესი რედაქცია. გარდა ამისა გვაქვს ლეონტი მროველისეული სამი რედაქცია (ქართლის ცხოვრების ანასეულ (XV ს.), მარიამისეულ (XVII ს.) და ვახტანგ მეექვსისეულ (XVIII ს.) რედაქციებში დაცული), მროველისეული ნინოს ცხოვრების სომხური თარგმანი, არსენ ბერისეული და არსენ ბერის პერიფრაზი (შესრულებული უცნობი ავტორის მიერ) (ალექსიძე 2011: 103-104). ზემოდასახელებულთა გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ენაზე შემორჩენილია კიდევ ერთი, წმიდა ნინოს ე. წ. მოკლუ ცხოვრება, რომელიც მოქცევად ქართლისადის პირველ ნაწილში – ისტორიულ ქრონიკაშია ჩართული. ამ მოკლე ცხოვრებას ივ. ჯავახიშვილი ვრცელ ცხოვრებაზე უფრო ძველ თხზულებად მიიჩნევდა:*

შატბერდისეულ წმიდა ნინოს ცხოვრებაზე უწინარეს ქართველთა განმანათლებლის უფრო ძველი ცხოვრება არსებობდა, ამას „მოქცევად ქართლისად“-ს მატიანეც ამტკიცებს: იქ შეტანილი ცნობები წმიდა ნინოს ცხოვრების შესახებ შატბერდისეულ ცხოვრებისაგან განსხვავდება და უფრო პირვანდელი ხასიათიც აქვს (ჯავახიშვილი 1916: 30).

მ. ჩხარტიშვილის აზრით ეს ცხოვრება, რომელიც ქართლის მოქცევის პირველ ნაწილში, ისტორიულ ქრონიკაშია ჩართული, ცალკე რედაქციად უნდა ჩავთვალოთ:

ეს თვალში საცემია ერთი შეხედვითაც. მას გარკვეული დისონანსი შეაქვს ქრონიკაში, ჯერ ერთი, თავისი მოცულობით (დანარჩენი ნაწილის თითქმის ნახევარს შეადგენს), მეორეც იმით, რომ გაქრისტიანების შესახებ თხრობისას მეფე ერთგვარად უკანა პლანზეა და წინ წამოწეულია ნინოს

<sup>6</sup> შატბერდისეულ და ჭელიშურ რედაქციებს შორის რიგი განსხვავდანია: პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შატბერდული უფრო ზუსტად გადმოგვცემს ისტორიულ მოვლენებს, პირებისა თუ გეოგრაფიულ ადგილთა სახელებს, თუმცა ჭელიშური ინფორმაციული თვალსაზრისით უფრო ტევადი და განვრცობილია, თუმცა ლექსიკური და ორთოგრაფიული თვალსაზრისით, ძლიერ დამახინჯებულია (ქურციკიძე 1964: 68). ჭელიშური რედაქცია შეიცავს თხრობას სოჯი დედოფლის, ანუ პეროვავრი სიგნილის მოქცევისა და მის მიერ სვეტიცხოვლის მოხილვის შესახებ (ლერნერი 2004 : 29-36), რაც შატბერდულ რედაქციას აკლია. ს. უბანეიშვილის დასკვნით, ჭელიშური რედაქცია შატბერდულის გადაკეთების შედეგადაა ჩამოყალიბებული (უბანეიშვილი 1940: 92)

მოღვაწეობა, მაშინ როცა ჩვეულებრივ, აღნიშნული ქრონიკა ასახელებს ჯერ მეფეს ან ერისთავს და მხოლოდ ამის შემდეგ მიუთითებს მათ მმართველობაში მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტებზე (ჩხარტიშვილი 1987: 6).

ზემოდასახელებულთა გარდა მ. ჩხარტიშვილი ცალკე რედაქციებად გამოყოფს ნინოს სომხურსა (მოსე ხორენელის სომხეთის ისტორიაში დაცულ) და ბიზანტიურ (ანუ ბიზანტიელ ავტორებთან (რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი და სხვ.) დაცულ) ცხოვრებებს (ჩხარტიშვილი 1987: 24-62).

ამ რედაქციებიდან ყველაზე უკეთ დაცული შატბერდული ნინოს ცხოვრებაა, ამიტომ მსჯელობისას, ძირითადად, სწორედ მას დავეყრდნობით (თუმცა, ბუნებრივია, სხვა რედაქციების ცნობებსაც აქტიურად გამოიყენებთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციების ცნობები, რომლებიც მრავალ ფაქტს აზუსტებს). ნინოს ცხოვრება მოქცევად ქართლისათვის მეორე (ბ) თავიდან იწყება (ხოლო ოდეს დასრულა სრბად თვის სარწმუნოებასა ზედა...). თხზულების სტრუქტურა შემდეგნაირია: მცხეთისკენ წამოსული ნინო მძიმედ დასწეულებული გზად დაბა ბოდში ჩერდება. ნინო გარდაცვალების მოახლოებას გრძნობს და მოწაფეებსა და სულიერ მეგობრებს თავისთან მოუხმობს. სიკვდილის პირას მყოფ განმანათლებელთან შეკრებილი „დედოფალი სალომე უჯარმელი და პეროვავრი სივნიელი და მათ თანა ყოველნი მთავარნი ჰკითხვიდეს“ მისი ცხოვრებისა და წარმომავლობის შესახებ (გიგინეიშვილი... 1979: 328) და ნინოს თავგადასავლის თხრობაც იწყება. ნინოს ცხოვრებაც სწორედ ესაა - მოგონებათა კრებული, რომელიც განსაკუთრებული მხატვრული ძალითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა. ნინოს ცხოვრება ქართლის მოქცევის მონაწილეთა ინტერვიუირებაა, როგორც მ. ჩხარტიშვილი აღნიშნავს:

იქმნება შთაბეჭდილება რომ კითხვები („როგორი იყო ქართველთა ცხოვრება ადრე?“ „როგორ აღმოჩნდა მცხეთაში ის კვართი, რომელიც ნინომ ახსენა?“ „კურნებათა შესახებ რადას იტყვით?“ „მირიან მეფის მოქცევის შესახებ?“ „ეკლესიის მშენებლობა როგორდა იყო?“) ამოჭრილია და კადრში მიდის მხოლოდ პასუხები (ჩხარტიშვილი 1987: 67).

პირველი მოგონება თავად ქართლის განმანათლებელს ეკუთვნის, რომელიც მე-3 (გ) თავიდან იწყება, სადაც ნინო თავისი მშობლების შესახებ გვიყვება. ამ მოგონებას სალომე უჯარმელი იწერს, ამავე სალომე უჯარმელს ეკუთვნის მეოთხე (დ) და მეექვე (ვ) თავების აღწერილობა (მე-5 თავი თხზულებაში არ გვხვდება), სადაც მოთხოვილია ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა ქართლში

შემოსვლამდე და მისი ქართლში შემოსვლა. ამას მოსდევს ებრაელი მდგდლის „ახალ პავლედ” წოდებული აბიათარის ასულის, ნინოს ერთგული თანამოღვაწის, სიდონიას მოგონებანი (მე-7, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 თავები). მეთორმეტე თავი აბიათარის თხრობაა, მეცამეტე თავში ქართლის მოქცევისა და მცხეთის მოპირდაპირე ბორცვზე ჯვრის აღმართვის ისტორიას „საბერძნეთიდან” (ანუ რომის იმპერიიდან) მოსული მდგდელი იაკობი ყვება (შემდგომში ქართლის მთავარეპისკოპოსი), მეთოთხმეტე თავს ეწოდება აღმართებად პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისად და მერმე ჯუალად გამოჩინებად, მეთხუთმეტე თავი მირიან მეფის წერილია - წიგნი რომელი დაწერა მირიან მეფემან ქართლისამან უამსა სიკუდილისასა, აღიწერა კელითა იაკობ მთავარეპისკოპოსისადთა და მიხვა ხალომებს უჯარმელსა, ძის ცოლხა თჯხსა, რომელი მეცნიერ იყო კოველხავე ჭეშმარიტად. Vita-ს მირიან მეფის ანდერმი აგვირგვინებს საკუთარი ვაჟის - რევისა და მეუღლის - ნანა დედოფლის მიმართ.

ბუნებრივია, თხზულების გამოქვეყნებისთანავე მისი ავთენტურობის საკითხიც დადგა. ქართლის მოქცევის ორივე ნაწილი შედგენილობის (შინაარსის) სირთულითა და კომპლექსურობით ხასიათდება. მთლიანად მოქცევა ქართლისას, და განსაკუთრებით მის მეორე ნაწილს (ნინოს ცხოვრებას), საკმაოდ მძიმე ბედი ერგო, არა მხოლოდ ისტორიის ძნელბედობის, არამედ ქართველოლოგიურ მეცნიერებებში ჩამოყალიბებული დაუმსახურებელი შეფასების გამოც. ჩვენ მხოლოდ ზოგადად მიმოვინარებთ ნინოს ცხოვრების ავთენტურობის საკითხს (რადგან ამ პრობლემის ყველა ასპექტის განხილვა ცალკე მონოგრაფიას მოითხოვს).

პირველად ნინოს ცხოვრება კრიტიკულად ნ. მარმა განიხილა და იმის საფუძველზე, რომ თხზულებაში მირიანი ახალსპარსულ ფრაზას წარმოთქმას, ეს ნაწარმოები IX საუკუნეში შექმნილად მიიჩნია (მარი 1897: 7).

ნინოს ცოხვრების ისტორიული ღირებულების უარყოფით შეფასებაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი, ალბათ მაინც, ივ. ჯავახიშვილისეულმა კრიტიკამ ითამაშა.

1898 წელს პეტერბურგის აღმოსავლური ფაკულტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსისათვის დაწერილ თემას 1900 წელს ივ. ჯავახიშვილი გაზეთ „მოამბეში” აქვეყნებს (სტატიის რუსული ვარიანტი 1901 წელს დაიბეჭდა „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში”), სადაც ახალგაზრდა

მეცნიერი ვრცლად შეეხო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ წმინდა ნინოს ცხოვრებას (ჯორბენაძე 1981: 43-45). ივ. ჯავახიშვილის თქმით,

საზოგადოდ ჩვენი მკვლევარები მეტისმეტი ნდობით, თითქმის მოწიწებით ეპყრობიან ჩვენ ორ უძველეს მატიანეს (იგულისხმება ქართლის ცხოვრება და ქართლის მოქცევა – ქ. მ.). რასაკვრიველია, იმიტომ, რომ შატბერდისეული წმ. ნინოს ცხოვრება თვით ნინოს ნაამბობად და მის თანამშრომელთა და თანამედროვეთა ნაწერადა თვლიან, როგორც თვითონ ცხოვრების დამწერი გვარწმუნებს (ჯავახიშვილი 1900ა: 57).

თხზულებაში არსებული ქრონოლოგიურ აღრეულობათა, გვიანდელ ინტერპოლაციათა და ანაქრონიზმთა გამო მკვლევარმა ნინოს ცხოვრება არაავთენტურ, ფსევდოეპიგრაფიკულ ნაწარმოებად მიიჩნია, რომლის შექმნაც ქართველებს მეცხრე საჟუნეში სომხებთან საღვთისმეტყველო-ისტორიული პოლემიკის ჟამს ნინოს კულტის რესტავრაციისათვის დასჭირვებიათ, მანამდე კი, ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ქართველები თავიანთ განმანათლებლად გრიგოლს (სომხეთის მომაქცეველს) მიიჩნევდნენ.

მოკლედ მიმოვინდოთ თუ რა არგუმენტებს ეყრდნობოდა ივ. ჯავახიშვილი ნინოს ცხოვრების ნაყალბევ (ფსევდო-ეპიგრაფიკულ) ნაწარმოებად გამოცხადებისას. პირველ ყოვლისა ის გარეგნული შენიშვნებით იწყებს: თხზულებაში თავების სათვალავები არეულია (ჯავახიშვილი 1900ა: 57-58), გარდა ამისა სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენები (მაგ., ჯვრის აღმართვა, საბერძნეთიდან სამღვდელოების მოსვლა) არეულადაა შეტანილი (ჯავახიშვილი 1900ა: 58-59). ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ცხოვრების დასაწყისში აღნიშნულია, რომ ნინოს მონათხობს ორი მწერალი ქალი სალომე უჯარმელი და პეროუავრი სივნიელი წერდნენ, მაშინ როცა თხზულება მხოლოდ სალომე უჯარმელს მიეკუთვნება და პეროუავრის ავტორობის შესახებ არაფერია თქმული (ჯავახიშვილი 1900ა: 59-60). ივ. ჯავახიშვილს უცნაურად ეჩვენება ის ამბავი, რომ სამწყსო ნინოს სიკვდილის წინ ევედრება მისი ამბისა და თავგადასავლის მოყოლას, მაშინ როცა კაპადოკიელი ქალწული უკვე მრავალი წელი ქადაგებდა ქართლში და მათ ეს ყველაფერი, წესით, ნინოს სიკვდილამდე უნდა სცოდნოდათ (ჯავახიშვილი 1900ა: 60-61) და ასკვნის: „ცხადია, მგონი, რომ შატბერდისეულ წმინდა ნინოს ცხოვრების ავტორის ცნობა, ვითომც ნინოს სიკვდილის წინ ეამბნას თავგადასავალი, დასაჯერებელი არ არის” (ჯავახიშვილი 1900ა: 62). ივ. ჯავახიშვილი ერთ-ერთ არგუმენტად თხზულების იმ

პასაჟს იმოწმებს, სადაც იაკობ მღვდელი სასაწულებრივ ხეზე (ხე რომელიც დღეგანდელი ჯვრის მონასტრის ადგილას იყო აღმართული და რომლისგანაც სამი ჯვარი გამოკვეთეს) ყვება:

მაშინ ძირსა ზედა აღმართეს, კარსა ეკლესიისასა სამხრითსა. და ჰბერვიდა წყალთაგან ნიავი და შალვიდა ფურცელსა ხისა მისგან და აძრევდა რტოთა მისთა. და იყო ხილვად მისი შუენიერ და სულპამო, ვითარცა სმენით ვიცით ხისა მისთვის ალვისა” (გიგინეიშვილი... 1979: 348)

მაშინ როცა იაკობის მონასტრიდან, ცხადია, რომ მას ხის ჯვრებად აღმართვაში მონაწილეობა უშუალოდ უნდა ჰქონოდა მიღებული და გაუგებარია ხეზე, რომელიც თავად იხილა, რატომ ამბობს „სმენით ვიცითო” (გიგინეიშვილი... 1979 : 68). ივ. ჯავახიშვილი მკაცრად აკრიტიკებს ცნობებს ნინოს შთამომავლობისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. ნინოს ბიძა არც იუბენალი უნდა ყოფილიყო და არც იერუსალიმის პატრიარქი, რადგან მეოთხე საუკუნეში იერუსალიმის მღვდელმთავრებს შორის არ იხსენიება იუბენალი და პატრიარქობის ინსტიტუტიც მხოლოდ მეხუთე საუკუნეში მკვიდრდება მსოფლიო ეკლესიაში (ჯავახიშვილი 1900ა: 69). ივ. ჯავახიშვილის თქმით, თხზულების აშკარად ფსევდოეპიგრაფიკულ ხასიათზე მიუთითებს ისიც, რომ მოხსენიებულია „ბაღდადი” და მირიანი ახალ სპარსულად ლაპარაკობს (ჯავახიშვილი 1900ა: 69) (არგუმენტი რომელიც პირველად ნ. მარმა გამოიყენა). ასევე ტყუილი და გამონაგონი უნდა იყოს, მეცნიერის აზრით, ცნობა ზაბილონის მიერ „ბრანჯთა” დამარცხებისა და მის მათი მოქცევის შესახებ (ჯავახიშვილი 1900ბ: 18-19). მითუმეტეს ნინოს ბრწყინვალე შთამომავლობას არ იხსენიებენ არც რუფინუსი და არც მოქცევა-ში დაცული ნინოს მოკლე ცხოვრება, არც ბაკური (ჯავახიშვილი 1900ბ: 19-20), არც ხორენელი ამბობს ამის შესახებ რამეს. ეს მხოლოდ მისი ტყვეობის გადასაფარვად უნდა მოეგონებინათო (ჯავახიშვილი 1900ბ: 21).

შატბერდისეული ცხოვრების დამწერს თითქო სრულებით ავიწყდება, რომ ნინო ელენე დედოფლისათვის გამოჰყვა ეფესელ დედაკაცს, და ელენე დედოფლის წინაშე ნინოს ქადაგების შესახებ არას გვეუბნება... აქ არაფერია მოხსენებული ნინოს ქადაგებრივ მოღვაწეობაზე სამეფო სახლობის წინაშე (ჯავახიშვილი 1900ბ: 23).

ივ. ჯავახიშვილის თქმით: „ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, რადა სცხოვრობს ნინო დვინელ დედაკაცთან, როცა იერუსალიმში იყვნენ მისი დედა და ბიძა; თუ ნინოს დედა გლახაკებს ემსახურებოდა, ნუთუ თავის ერთ ქალს ვერ

გამოზდიდა?” (ჯავახიშვილი 1900ბ: 23). ივ. ჯავახიშვილი თხრობის აღრეულობასაც არ ივიწყებდა (ჯავახიშვილი 1900ბ: 23-24), მისი აზრით რიცხვისა და გაიანეს მარტვილობა ნინოს ცხოვრებაში გვიან უნდა ყოფილიყო შეტანილი (ჯავახიშვილი 1900ბ: 26). ცხოვრების თანახმად, ოზია სიდონიას მამის – აბიათარის მამა იყო ანუ სიდონიას ბაბუა, რომელსაც ანა მდვდელმთავარმა მისწერა მაცხოვრის გასამართლების აუცილებლობის შესახებ, ხოლო ელიოზი, რომელიც მაცხოვრის ჯვარცმას დაესწრო, სიდონიას მამის აბიათარის დედის ძმა იყო. „მაგრამ... სიდონიას (IV ს.) ბებიის ძმა, როგორ უნდა დასწრებოდა იქსო ქრისტეს ჯვარცმას? განა შესაძლებელია, რომ სამმა თაობამ სამი საუკუნის განმავლობაში იცოცხლოს?” (ჯავახიშვილი 1900ბ: 28). ივ. ჯავახიშვილის ირონიული შენიშვნით,

როგორ მოახერხა დალოცვილ ელიოზმა სამი დღის განმავლობაში (სამ დღეს მოხდა იქსო ქრისტეს შეპყრობა, სამართალი და ჯვარცმა სახარებისამებრ) იერუსალიმიდან წერილის მიღებაც და იერუსალიმშიც მისვლაც. ელიოზის მსწრაფლ მიმოსვლა სწორედ ზდაპრულ გმირობას მოაგონებს კაცს (ჯავახიშვილი 1900ბ: 29).

ივ. ჯავახიშვილი ნინოს ცხოვრებასთან დაკავშირებით იმავე კრიტიკულ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა 1916 წელს გამოცემულ უმნიშვნელოვანეს მონოგრაფიაში (რომელიც ქართველოლოგის დიდ მონაკოვრად იქცა) ძველი ქართული მწერლობის პირველ ტომშიც და ადრე გამოთქმულ შეხედულებებს იმეორებდა. ამჯერად ისტორიკოსმა ყურადღება, უფრო მეტად, ქართველთა და სომეხთა რელიგიურ დავაზე გაამახვილა. ნაშრომის ავტორის თანახმად, ქართველთა მიზანი სომეხთაგან დამოუკიდებელი განმანათლებლის შექმნა იყო, ქართველთა მოქცევა სომეხთა მოქცევის მსგავსად არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ბართლომე მოციქულთან და გრიგოლ განმანათლებელთან, ამიტომ ქართველებმა სპეციალურად შექმნეს ნინოს ვრცელი ცხოვრება, სადაც ნინო პირველ პირში აამეტყველეს (ჯავახიშვილი 1916: 30-33). ივ. ჯავახიშვილის თანახმად, წმ. ნინოს ძველ ცხოვრებაში ანუ შატბერდულ-ჭელიშური ცხოვრების პროტორედაქციაში ნინო „მხოლოდ რიცხვისა და გაიანეს ამხანაგად ყოფილა გამოყვანილი, მისი დამოუკიდებელი მოღვაწეობა კი სრულებით დაჩრდილული ყოფილა” (ჯავახიშვილი 1916: 36). კირიონი ხომ ნინოს, სომხებთან კამათში, საერთოდ არ ახსენებდა (იქვე).

ხოლო სამუდამო განხეთქილების შემდგომ, როდესაც ქართულმა და სომხურმა ეკლესიებმა ეროვნული მიმართულებები შეისიხლხორცეს და მეტოქეობა უფრო და უფრო გამწვავდა, მაშინ ქართველმა სამდგდელოებამ და მეცნიერებმა თავის ეკლესიის დაარსებისა და ქართველთა მოქცევის ისტორიის გამოძიება და შესწავლა დაიწყეს. სწორედ ასეთს დროს მიაქციეს ყურადღება მათ წმინდა ნინოს მოციქულებრივ მოღვაწეობას და მაშინ დარწმუნდნენ, რომ ქართულ ეკლესიას თავისი საკუთარი მოციქული ჰყავდა. ეს იყო „ვითარცა ტალანტი“ წინამდღურთაგან დაფარული” შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა” ნაპოვნი (იქვე: 37).

ნინოს ცხოვრების მიმართ ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება ქართულმა ისტორიოგრაფიამ, არსებითად, გაიზიარა. როგორც ავლიშვილ, ნ. მარმა ნინოს ცხოვრების მიმართ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა ჯავახიშვილამდე გამოთქავა ჯერ კიდევ 1897 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მაცხოვრის კვართის შესახებ არსებულ ლეგენდებზე, მაგრამ, როგორც ჩანს, მას საკუთარი არგუმენტები არასაკმარისად ეჩვენებოდა, ამიტომ ნინოს ცხოვრების დათარიდებისას 1906 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში უკვე არა თავის ძველ ნაშრომს, არამედ ივანე ჯავახიშვილისეულ დასკვნებს ეყრდნობოდა (მარი 1906: 319), მაშინ როცა ივანე ჯავახიშვილი პირიქით, ძველ ქართულ საიხტორიო მწერლობაში არა თავის სტატიას, არამედ რატომდაც ისევ ნიკო მარის ნაშრომს უთითებს (ჩხარტიშვილი 1988: 77-80).

კ. კეკელიძის აზრით, ნინოს ცხოვრება სხვადასხვა დროის თხზულებათა გაერთიანებაა. მისი შეხედულებით, მცხეთაში ებრაელთა მოსკლის ისტორია მცხეთელ ებრაელთა დიასპორაში უნდა იყოს შექმნილი (კეკელიძე 1956: 65), კეკელიძე პარალელებს ავლებს მირიანის მიერ კვართის პოვნასა და დედოფალ ელენეს მიერ ჯვრის აღმოჩენას შორის (კეკელიძე 1956: 67-68). ავტორი ჯავახიშვილის კვალკდაკვალ ანაქრონიზმად თვლის სიდონიას მიერ ელიოზის მამის დედის ძმად და ოზიას აბიათარის მამის მამად გამოცხადებას (კეკელიძე 1956: 69), ასევე ეხება აპოკრიფულ წყაროებს და აღნიშნავს, რომ თხზულებაში გამოყენებულია სომხურიდან ნათარგმნი ჯვრის პოვნის ისტორია (კეკელიძე 1956: 69-71). თხზულების მთავარი ლაიტმოტივი კი, მისი აზრით, ბერძნებთან მეტოქეობაა (კეკელიძე: 79-83). სხვა ნაშრომში ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ კ. კეკელიძე გამოთქვამს შეხედულებას ქართლისა და იბერიის სხვაობის შესახებ. მისი აზრით, ეთნოგრაფიული ქართლი ქვემო ქართლის ანუ გუგარქის ტერიტორიაა, ხოლო იბერია ქართული ჰერეთია.

გუგარქში ქრისტიანობა ადრევე უნდა გავრცელებულიყო, რის შემდეგაც ის იბერიას, ანუ პერეთს, მოეფინა (კეკელიძე 1957: 262-292). მისი აზრით, თხულებაში მოხსენიებული მარტის წელიწადი იმას ნიშნავს, რომ თხულება მეცხრე საუკუნეში დაიწერა, რადგან მარტის წელიწადი საქართველოში სწორედ მეცხრე საუკუნიდან შემოვიდა (კეკელიძე 1980: 531). საბოლოო ჯამში ქ. კეკელიძის აზრით,

...ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კრებული შედგენილია არაუადრეს მეცხრე საუკუნისა, დაახლოებით მის უკანასკნელ მეოთხედში. შედგენილია ტაო-კლარჯეთში, შატბერდის მონასტრის მოღვაწის მიერ. ამ თხულებამ, რომელიც ეკლესიაში საკითხავადაა დაწერილი, შექმნა ჩვენში ნინოს კულტი, მისი ლიტურგიკული თაყვანისცემა და პატივისცემა... (კეკელიძე 1980: 531).

ქ. კეკელიძის ზემოდამოწმებული შეხედულება ნინოს ცხოვრების მიმართ XX საუკუნის ქართველოლოგიაში გაბატონებული მოსაზრებად იქცა. როგორც ვხედავთ, ქ. კეკელიძე ნინოს კულტის ჩამოყალიბებას მხოლოდ IX საუკუნის მიწურულს უკავშირებს. ქართველოლოგიაში ზუსტად იგივენაირი სკეპტიციზმი იყო გამეფებული IV-VIII საუკუნეებში წმ. ნინოს კულტის არსებობის მიმართ. რატომდაც მკვლევართა უმრავლესობამ, IV-VIII სს. ქართლში, ვერსად იპოვა წმ. ნინოს კულტის დამადასტურებელი კვალი, ამიტომ წმ. ნინოს ისტორიას, ძირითადად, ლეგენდარული ხასიათის გარდამოცემებად მიიჩნევდნენ, მეტიც, ადრე გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ქართველებს წმ. ნინოს შესახებ გვიან უნდა შეეტყოთ (პეტერსი 1932: 42-52).

შეხედულება წმიდა ნინოს ცხოვრების ფსევდოეპიგრაფიკულობის შესახებ მისადებად მიიჩნიეს ს. კაკაბაძემ და პ. ინგოროვამ. ს. კაკაბაძის აზრით, ქართული წყაროები ქართლის მოქცევის შესახებ გვიანდელია და მხოლოდ მათი კრიტიკული ანალიზითა და უცხოური წყაროების დახმარებით შეიძლება სიმართლის დადგენა (რაც თავისთავად სწორია) (კაკაბაძე 1912: 7-8). ქართლში შემოსული „ქრისტიანობა იყო სირიულ-პალესტინურ-სომხური მიმართულებისა“. ქართველები, თავდაპირველად, IV-IX საუკუნეების განმავლობაში თავიანთ განმანათლებლად წმ. გრიგოლს თვლიდნენ (კაკაბაძე: 10), ხოლო IX-X საუკუნეში, როდესაც ქართველებმა ქრისტიანობისაგან ამ მიმართულებათაგან თავი გაითავისუფლეს, სწორედ მაშინ გავრცელდა საქართველოში წმ. ნინოს

კულტი და მისი ცხოვრების დაწერაც ამ კულტის აღმოცენებასა და დამკვიდრებას უნდა დავუკავშიროთ (კაპბაძე 1912: 11-14).

პავლე ინგოროვგას შეხედულებითაც, ნინოს ვრცელი ცხოვრება ფსევდოეპიგრაფიკულია და ის „მოგონილი ავტორებისადმი მიწერილია“ (ინგოროვგა 1978: 437). მისი მოსაზრებით ნინოს ცხოვრება ეპუთვნის ხანას, როდესაც აღმოსავლურ (სირიულ-პალესტინურ-სომხურ) საეკლესიო ტრადიციასთან კავშირის საბოლოოდ გაწყვეტის შემდეგ, ქართულ ეკლესიაში მტკიცდებოდა ახალი მიმართულება საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობისა და დასავლეთის (ანუ ამ შემთხვევაში ბიზანტიის) ეკლესიასთან ერთობის ნიშნის ქვეშ. პავლე ინგოროვგა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ნინოს ცხოვრების, ასე ვთქვათ, გენდერული ასპექტი შენიშნა და სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ თხზულებაში ქალი მამაკაცის თანასწორადად გამოყვანილი. ეს ნაწარმოების ავტორს იმისთვის დასჭირებია, რომ ყველასთვის განეცხადებინა:

ქალი განმანათლებლის მიუხედავად, ქართული ქრისტიანობა არაფრით ნაკლები არ არის სხვა ერების ქრისტიანობასთან შედარებით, რადგან ქალი და მამაკაცი თანასწორნი არიანო (ინგოროვგა 1978: 440).

და მკვლევარი (ალბათ მეცნიერთაგან ერთადერთი), იქვე შენიშნავს, რომ ამგვარი რამ „იშვიათი შემთხვევაა ადრეულ საშუალო საუკუნეთა მწერლობაში“ (იქვე).

შეხედულება წმ. ნინოს კულტის გვიან აღმოცენების შესახებ ჯერ კიდევ მ. თარხნიშვილმა გააკრიტიკა. მართალია თარხნიშვილი, ქართველოლოგიაში იმხანად გაბატონებული სკეპტიციზმისაგან, ბოლომდე ვერც თვითონ გათავისუფლდა, მაგრამ ის მაინც თქვა, რომ ცოდნა წმ. ნინოს შესახებ ზეპისიტყვიერ ქართულ ტრადიციაში უნდა შენარჩუნებულიყო და ეს ზეპირსიტყვიერი გადმოცემები მოგვიანებით ჩაიწერეს (ბუნებრივია, თარხნიშვილის აზრით, მათი უმეტესობა ლეგენდებს უფრო წარმოადგენდა) და IX საუკუნეში ყველა ეს ფსევდო-ეპიგრაფიკული თხზულება ერთ ნაწარმოებად (ნინოს ცხოვრებად) გააერთიანებს (თარხნიშვილი 1940: 48-49). თარხნიშვილი პეტერსის შეხედულებას აკრიტიკებს და სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ წმ. ნინოს არსებობა ქართველებს უცხოელებისგან კი არ უნდა გაეგოთ, არამედ პირიქით, ბიზანტიულ და სომებს ავტორებს, სწორედ, ქართველთაგან უნდა შეეტყოთ კაპადოკიელი ქალწულის მოღვაწეობის შესახებ (ახლა

უცნაურია, რომ ისტორიკოსს ამის მტკიცება უხდებოდა, იმდენად ყოვლისმომცველი და ფესვგადგმული იყო ქართულ წყაროთა მიმართ გამეფებული ეჭვი და უნდობლობა. სამწუხაროდ დასავლური ქართველოლოგია კვლავაც ამ ტრადიციას აგრძელებს), რადგან ადგილობრივი ტრადიცია კარგად იცნობდა წმ. ნინოს კულტს, ან კი როგორ შეეძლოთ ქართველებს საკუთარი განმანათლებლის დავიწყება (თარხნიშვილი 1940: 52-57) (ბაკური წმ. ნინოს მისიონერულ საქმიანობაზე IV საუკუნის ბოლოს მოუთხრობს რუფინუს, მოსე ხორენელი V საუკუნეში წერს ქართველთა განამანათლებელ წმ. ნუნეზე, VII საუკუნეში იწერება მოქცევაზე ქართლისაღის პირველი ნაწილი – ისტორიული ქრონიკა, რომელიც აშკარად გაცილებით ძველ წყაროებს ეყრდნობა (იხ. ზემოთ) და რომელშიც წმ. ნინოს ცხოვრების მოკლე და სრულიად დამოუკიდებელი რედაქციაა ჩართული, ბოლოსდაბოლოს, ნუთუ ქართველების გარდა ყველამ იცოდა წმ. ნინოს არსებობის შესახებ და მხოლოდ ქართველებს დაავიწყდათ თავიანთი განმანათლებელი?), მაგრამ მ. თარხნიშვილი, ნებისით თუ უნებლიერ, მაინც უხდიდა ხარგს იმდროინდელ ქართველოლოგიურ მეცნიერებებში გავრცელებულ მოსაზრებას და აცხადებდა, რომ, მართალია, ქართველებმა წმ. ნინოს შესახებ იცოდნენ, მაგრამ მისი კულტი, გარკვეულწილად, მივიწყებას მიეცა, რადგანაც ნინო ქალი იყო, თან ტყვე, ანუ, დაბალი სოციალური წრისა, ამიტომ ეროვნულმა ცნობიერებამ ის ჩრდილში დატოვა (თარხნიშვილი 1940: 58). წმ. ნინოს კულტის აღმავლობა და პოპულარიზაცია, თარხნიშვილის აზრით, თამარის მმართველობას უნდა უკავშირდებოდეს, როდესაც ქალთა მდგომარეობა გაუმჯობესდა, რაც შოთა რუსთაველის პოემაშიც გამოიხატა (თარხნიშვილი 1940: 62), ამასთან ნინოს კულტის აღორძინებისათვის ხელი სომხებთან რელიგიურ დაპირისპირებასაც უნდა შეეწყო (თარხნიშვილი 1940: 71-72).

ზემოაღნიშნული განაზრებანი ფართოდ გავრცელდა დასავლურ ქართველოლოგიაში. ახლახან გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ანდრეა შტერკიც (Andrea Sterk) ნინოს კულტის მივიწყებას ზემოდასახელბული მიზეზებით ხსნის (შტერკი 2010: 25-26), მისი აზრით, გვიანდელმა ქართულმა წყაროებმა ნინოს არისტოკრატიული წარმომავლობის ქალწულად და იერუსალიმის პატრიარქის დისშვილად აქციეს (იქვე: 19-26). მართალია ა. შტერკზე უფრო ადრე ევა სინეკმა (Eva M. Synek), ასევე მხარი დაუჭირა პეტრესის შეხედულებათა თარხნიშვილისეულ კრიტიკას და გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული ცხოვრება ძალიან ბევრ ავთენტურ ცნობას უნდა შეიცავდეს (სინეკი 1988: 142),

მაგრამ სინეკიც სვამს კითხვას, თუ რატომ დუმს ქართული წყაროები წმ. ნინოზე VII საუკუნემდე? ეს მკვლევარიც თარხნიშვილის კვალდაკვალ იმეორებს, რომ ნინოს სქესსა და სოციალურ სტატუსს მისი კულტის დამკვიდრებისთვის ხელი უნდა შეეშალა (სინეკი 1988: 143-148). ცოტა განსხვავებულია, ამასთან დაკავშირებით, კორნელია ჰორნის (Cornelia Horn) მოსაზრება. გარკვეული არგუმენტების მოხმობით მკვლევარი მიუთითებს, რომ წმ. ნინოს კულტი V-VII სს. ქართლში ნამდვილად არსებობდა, თუმცა ის არცოუ ისე ძლიერი იყო, და წმ. ნინოს სქესი კვლავ წარმოადგენდა გარკვეულ დაბრკოლებას ამ კულტის საყოველთაოდ აღიარების საქმეში (ჰორნი 1998: 260-262).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ნინოს ცხოვრებისა და მისი კულტის მიმართ ჯავახიშვილისეული (და სხვა მეცნიერების მიერ მეტნაკლებად გაზიარებული) პიპერკრიტიკული დამოკიდებულების მთავარი სისუსტე ნინოს ცხოვრების რედაქტირების ხანგრძლივი ისტორიის გაუთვალისწინებლობაში მდგომარეობს. თანამედროვე კვლევები გვიჩვენებს, რომ ნინოს ცხოვრებამ გადამუშავებისა და სხვა თხზულბეჭეთან ჩართვის ძალიან გრძელი გზა გაიარა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს თხზულების ძირითადი ტექსტის ფსევდო-ეპიგრაფიკულობას. მეოცე საუკუნის მეორე ნახვარში ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მეცნიერთაგან გამოითქვა დასაბუთებული შეხედულება ნინოს ცხოვრების ავთენტურობის, მისი მეოთხე საუკუნით დათარიღების შესაძლებლობის შესახებ. ვრცელი გამოკვლევები მიუძღვნეს ნინოს ცხოვრებას: მ. ვან ესბროკმა, რ. სირაძემ, ვ. გოილაძემ, მ. ჩხარტიშვილმა, ზ. კიკნაძემ, ლ. პატარიძემ, კ. ლერნერმა, გ. კუჭუხიძემ, რ. ბარამიძემ და სხვ., რომელთაც ვრცლად მიმოიხილეს ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთაგან წამოყენებული იმ არგუმენტების ნაკლი, რითაც ისინი ჩვენთვის საინტერესო თხზულების ფსევდოეპიგრაფიკულობის დამტკიცებას ცდილობდნენ.

ვფიქრობთ, არაფერია უჩვეულო იმაში, რომ სალომე უჯარმელსა და პერიუარი სივნიელს ნინოსთვის სიკვდილის წინ ეთხოვათ მისი თავგადასავლისა და ცხოვრების შესახებ მოთხოვობა. წლების განმავლობაში ქადაგებისას მათ ეს ყველაფერი ზეპირი გზით იცოდნენ, ახლა კი წერილობითად სურდათ შთამომავლობისათვის დაეტოვებინათ ქართლის მოქცევის ამბავი. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ნინო საუკთარ წარმომავლობაზე ცოტას, ან საერთოდ არ საუბრობდა, რადგან მისი უმთავრესი მოვალეობა ახალი რწმენის ქადაგება იყო და არა - საკუთარი თავგადასავლის თხრობა,

წმინდანთაგან ბიოგრაფიისა და წარმოშობის დაფარვა საკმაოდ ცნობილი მოტივია ქრისტიანულ ჰაგიოგრაფიაში, ასე რომ, გასაკვირი და უცნაური ამაში არაფერია, სიცოცხლის ბოლოს კი მოწაფეებს თხოვნაზე უარი არ უთხრა და თავის თავზეც მოუთხრო, თუ საიდან იყო წარმოშობით და როგორ მოვიდა ქართლის ქვეყანაში. ნინოს ცხოვრების ფსევდოეპიგრაფიკულობის დასტურად ვერ გამოდგება ის ფაქტები, რომ თხზულებაში თავები აღრეულია, რომ ნინოს ცხოვრების ქრონოლოგიაც ასევე არეულია და ზოგიერთ თავში ისეთი ამბავი იხსენიება, რაც ამ თავებამდე არაა აღწერილი, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ნაწარმოებმა მრავალი გადამწერის (რედაქტორის) ხელში გამოიარა და ბუნებრივია, რომ ამბავთა თხრობაში გარკვეულ აღრეულობას ადგილი უქნება. რაც შეეხება იაკობ მღვდლის (ქართლის მომავალი მთავარეპისკოპოსის) მონაყოლს, იგი, როგორც ჯერ კიდევ კავკალიძე მიუთითებდა სამართლიანად, ბიბლიაში ნახსენები ალვის ხეზე მოგვითხრობს და არა იმ ხისა და მისი აღმართვის შესახებ, რისი შემსწრევ თავად იყო. იაკობი მომავალი ჯვრის მონასტრის ადგილას აღმართულ ხესა და ბიბლიურ ალვის ხეს ერთმანეთს ადარებს. ამიტომაც ამბობს ბიბლიურ ხეზე „ვითარცა სმენით ვიციოთ” (კავკალიძე 1956: 65). რაც შეეხება იმას, თუ რატომ ცხოვრობს ნინო დვინელ დედაკაცთან, როცა დედამისი სუსანა იერუსალიმში მოდვაწეობდა, ამაზე ცოტა ქვემოთ შევჩერდებით. ნინოს ბრწყინვალე შთამომავლობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სრულიად შესაძლებელია მისი შთამომავლობის არისტოკრატიულობა და მნიშვნელობა მომავალ რედაქტორთაგანაა გაზვიადებული, თუმცა ასევე შესაძლებელია, ნინო მართლაც ყოფილიყო არისტოკრატიული წარმომავლობისა. აშკარად გვიანაა ჩართული ან დამახინჯებულია ცნობა ნინოს ბიძის შესახებ. ზაბილონსა და მის მიერ „ბრანჯთა” დამარცხებისა და მონათვლის საკითხიც აშკარად გვიანდელი რედაქტორებისგან უნდა იყოს სახეცვლილი (ამ შემთხვევაში ზაბილონის ამბავს რაღაც ისტორიული საფუძველი უნდა ჰქონდეს), ან ეს თხრობა მანამადე საერთოდ არ არსებობდა და გვიან შეიტანეს. ამ პრობლემას თავის ნაშრომებში შეეხო კ. გოილაძე და აღნიშნულ ცნობათა რეალურობისა და ისტორიულობის შესახებ საინტერესო, თუმცა ძალზე საკამათო დასკვნები გააკეთა (გოილაძე 1991: 96-112). ალბათ „ბრანჯთა” ამბავის ისტორიულობის შესახებ ყველაზე დასაბუთებული შეხედულება 6. ნიკოლოზიშვილმა გამოთქა (იხ. ნიკოლოზიშვილი 2006), თუმცა საკითხი მაინც შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ნინოს კავშირი რიფსიმიანელებთან რეალურად უნდა მივიჩნიოთ, რადგან V საუკუნის სომეხი მემატიანე მოსე ხორენელი ნინოს „ერთ რიფსიმიანელთაგანს” უწოდებს (აბდალაძე 1984: 170-172). რაც შეეხება მარტის წელიწადს, კ. კეკელიძის აზრით მარტის წელიწადის გამო ნინოს ცხოვრება IX საუკუნის ძეგლია (კეკელიძე 1960: 531), მაშინ როცა სხვა ნაშრომში ამბობს, რადგან ეს წელიწადი ნინოს ცხოვრებაშია მითითებული, ამიტომ საქართველოში ის IX საუკუნეში უნდა შემოსულიყო (კეკელიძე 1956: 122-123). ჭელიშურ რედაქციაში აგვისტოს მექქსე თვედ მოხსენიება არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან შატბერდულში და მროველისეულში აგვისტო მექქსე თვედ კი არ იხსენიება, არამედ ნახსენებია მხოლოდ აგვისტოს მექქსე დღე ანუ ფერისცვალება (ჩხარტიშვილი 1988: 78-79), რაც ჭელიშურში შეცდომით მექქსე თვედ უნდა ასახულიყო. აბიათარის მიერ საკუთარი წინაპრების „მამის მამად” მოხსენიება ჩვეულებრივი ამბავია ძველ ქართულ მწერლობაში. მაგ. „მამის მამად” იხსენიებს ვახტანგ გორგასალი მირიანს (ყაუხჩიშვილი 1955: 160). რა უნდა ითქვას ელიოზ მცხეოლისა და ლონგინოზ კარსნელის იერუსალიმში ჩასვლაზე? ამ ცნობის ჩვეულებრივ ლეგენდად გამოცხადებისას ასევე სიფრთხილეა საჭირო. როგორც წლობით წარმოებულმა სამეცნიერო მუშაობამ გაარკვია, ნინოს ცხოვრებაში და ზოგადად მოქცევაზ ქართლისად-ში დაცული ბევრი ცნობა რეალურ ისტორიულ საფუძველს ეყრდნობა. ამიტომ მცხეოლ ებრაელთა იერუსალიმში წასვლის ისტორიულ პერიპეტიათა დადგენას კიდევ ხანგრძლივი კვლევა სჭირდება.

რაც შეეხება ნინოს კულტს: უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ არავითარ დაბრკოლებას, მისიონერის სქესი ამავე მოღვაწის კულტის გავრცელებაში, არ წარმოადგენდა. თუკი წმ. რიფსიმიანელთა კულტი სომხეთში (და არა მარტო სომხეთში), საუკუნეთა განმავლობაში, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე არსებობდა და კრცელდებოდა, რატომ უნდა უარყოთ წმ. ნინოს კულტის არსებობა ქართლში? ალბათ სერიოზულად არავინ დაიწყებს იმაზე მსჯელობას, რომ შუა საუკუნეების სომხეთში ქალთა „უფლებრივი მდგომარეობა” უკეთესი იყო, ვიდრე ქართლში. წმ. ქალწულნი, რიგ შემთხვევებში, მისიონერებად გვევლინებიან, მაგ. იგივე რიფსიმიანელნი, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს სომხეთის მოქცევაში, იქმენის მომაქცეველი წმ. ქალწული სახელად თეოგნოსტა და ა.შ. (შტერკი 2010: 9-10). მათი კულტი ნამდვილად არ მისცემია დავიწყებას (და არც ჩრდილში მოქცეულა) იმის გამო, რომ რიფსიმე, მისი თანამოღვაწენი და თეოგნოსტა

ქალები იყვნენ. ქრისტიანობის გავრცელების ადრეული პერიოდიდანვე ქალთა მოციქულებრივი დვაწლის არქეტიპებად იქცნენ მარიამ მაგდალინელი და თეკლა (იხ. ჰასკინსი 1993; სესაირი 1998). ქალთა სამოციქულო მსახურება სრულებითაც არ წარმოადგენდა რაიმე ერეტიკულ გადახრას მართლმადიდებელ თემებში. ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდაა ცნობილი, რომ გვიანანტიკური ხმელთაშუაზღვისპირული (და საერთოდ, ყველა იმ ეპოქის მეტნაკლებად ცნობილი) კულტურა პატრიარქალური ხასიათით გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, რელიგიურ მსახურებაში ქალთა დამსახურების სრული უარყოფა, მათი სქესის გამო, არავის უცდია (ქალთა საპატიო და გამორჩეული მსახურებანი ცნობილი იყო, როგორც მართლმადიდებელ, ასევე სხვადასხვა პეტეროდოქსულ ეკლესიებში, ისევე როგორც წარმართულ კულტებში). ნუთუ მაინცდამაინც ქართლში იყო ქალთა „ჩაგვრა“ გამეფებული? ვფიქრობთ არგუმენტი, თითქოს ნინო ქალი იყო და ამიტომ მიივიწყეს ქართველებმა მისი დვაწლი, სერიოზულობას მოკლებულია.

IV-V სს. ქართველ მოღვაწეს, ბაკურს, ვისგანაც რუფინუსმა ქართლის მოქცევის ისტორია მოისმინა, წმ. ნინოს თაყვანისცემა სწორედ ქართლში პქონდა შეთვისებული, რაც იმდროინდელ იბერიაში წმ. ნინოს კულტის, სამეფო კარის დონეზე, არსებობის დამადასტურებელია (მთელი IV საუკუნე ნინოს ქართლში თაყვანს სცემდნენ და მერე მიივიწყეს?). უბრალოდ იმ წყაროებს, რომლებიც წმ. ნინოს არ ახსენებენ, იმ კონკრეტულ კონტექსტში არც სჭირდებოდათ მისი ხსენება და ეს წმ. ნინოს კულტის არარსებობის არგუმენტად ვერ გამოდგება (ჩხარტიშვილი 2000: 29-30), როგორც მაგალითად, კირიონ კათალიკოსს არ უხსენებია ნინო სომეს კათალიკოსებთან კამათისას. კირიონი წმ. გრიგოლ განმანათლებლის სახელს იმოწმებს, რადგან სწორედ წმ. გრიგოლი წარმოადგენდა სომხებისათვის ავტორიტეტს და წმ. ნინოს ხსენება, იმ კონკრეტულ შემთხვევაში, კირიონს არაფერს მისცემდა (წმ. ნინოს კულტის VI საუკუნეში არსებობის შესახებ იხ. ესბროკი 1975).

რაც შეეხება „ტყვის“ სტატუსს. დავიწყოთ იქიდან, რომ ქართული წყაროები სულაც არ მაღავენ, რომ წმ. ნინო ტყვე იყო („და იყო მის თანა ტყუე ერთი დედაკაცი შუენიერი, სახელით ნინო...“, „...რავსა იტყვა ტყუებასა, ტყუეთა მგსნელო, სანატრელო!“ (გიგინეიშვილი... 1979: 322, 328)). ლ. პატარიძე ზ. კიკნაძის კვალდაკვალ აღნიშანვს, რომ ნინოს „ტყვეობა“ პავლე მოციქულის სიტყვების შუქჩე უნდა გვესმოდეს: „ნუ უკუა გრცხვენინ წამება იგი უფლისა

ჩუენისა, ნუმცა მე კრული მისი” (კიკნაძე 1982: 62-69; პატარიძე 1993: 84-85). ქრისტიანი დვთის მონაა, ტყვეა (კრული ანუ დაჭერილი). ტყვე მიუსაფრობასთან, მწირობასთანაა კაგშირში, რაც წუთისოფელში თითოეული ქრისტიანის ხვედრია (პატარიძე 1993: 86-91). ლ. პატარიძის თანახმად

...საფიქრებელია, რომ წმ. ნინოს ზედწოდებას „ტყვე” თხზულებაში ორმაგი სემანტიკური შრე აქვს: ერთი მხრივ, ის აღნიშნავს იმას, რომ ნინოსათვის ქართლი უცხო ქვეყანაა, ხოლო მეორე მხრივ, ის გულისხმობს ნინოს, როგორც ქრისტიანის დროებით სამყოფელში ყოფნას ამქვეყნად (პატარიძე 1993: 90).

ჩვენი აზრი ნინოს „ტყვეობასთან” დაკავშირებით ამგვარია: თავდაპირველად ქართლში შემოსულ ნინოს თავისი ვინაობა და წარმომავლობა უნდა დაემალა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა წმინდანთა შემთხვევაში, მაგრამ ნინომ „ტყვეობის” ამ საფარველში რელიგიური შინაარსიც ჩადო, რადგან თითოეულ მორწმუნეს შეიძლება ეწოდოს „ტყვე” ამ სიტყვის სულიერი გაგებით. ქართულ წყაროებს არაფერი დასამალი ნინოს ტყვეობით არ ჰქონდათ და კაპადოკიელის ქალწულის „ტყვეობა” ნამდვილად ვერ შეუშლიდა ხელს წმ. ნინოს კულტის გავრცლებას.

მეტიც, ნინოს „ტყვეობა” უქველ კაგშირშია მის „უცხოებასთან”. ნინოს ცხოვრებაში ქართლის განმანათლებელი „უცხოდაც” იწოდება. ეს თითქოს მცირე დეტალი თხზულების ავთენტურობის ერთ-ერთი საუკეთესო არგუმენტია. „უცხოება” ადრეულ ქრისტიანობაში განსაკუთრებული სტატუსს წარმოდგენდა და დაკავშირებული იყო მოგზაურობასთან. ადრექრისტიანული ლიტერატურის (განსაკუთრებით აპოკრიფების) ქალი პერსონაჟები მუდმივ მიმოსვლაში არიან, მუდმივად მოგზაურობენ. ეს თხზულებები გადაადგილების თავისუფლებას გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან მოგზაურობა აქ პირდაპირ უკავშირდება სამოციქულო მისიას (დევისი 1998: 21). თეკლას მარტვილობაში პავლე და თეკლა პირდაპირ იწოდებიან „უცხოებად” („ξένοι”, „strangers” ინგლისურ თარგმანში), რაც მათ რელიგიურ და სოციალურ სტატუსზე მეტყველებს. თეკლა თავის თავს „ξένη”-დ მოიხსენიებს (დევისი 1998: 24-25). სტივენ ჯონ დევისის (Stephen John Davis) თქმით,

ადრეულ ქრისტიანულ კულტურაში გვხდება სტანდარტული სოციალური ტიპი, რომელიც მოხეტიალე ქარიზმატის სახითაა ცნობილი; ამ სოციალური ტიპის გამორჩეული წარმომადგენლები იყვნენ პირები, რომლებმაც მიატოვეს

სახლი, ოჯახი, ქონება და უსაფრთხო ცხოვრება სახარების ქადაგების გულისფრთვის (დევისი 1998: 25).

ზემოაღწერილი სურათი ზუსტად შეესატყვისება წმ. ნინოს, ამიტომ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სრულიად სამართლიანია გ. ჩარტიშვილის დასკვნა წმ. ნინოს კულტის არსებობასთან დაკავშირებით:

...ქართული ეპლესის არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში დამკვიდრებული იყო წმ. ნინოს, როგორც განმანათლებლის კულტი, მის ჩანაცვლებას სხვა წმინდანის კულტით არასოდეს ჰქონია ადგილი (ჩარტიშვილი 2000: 30).

ზოგი რამ ნინოს ცხოვრების ლიტურგიკული ასპექტების შესახებაც ვთქვათ. ნაწარმოებში შემონახულია ისეთი უძველესი ლიტურგიკული ფორმები და პრაქტიკა, რომელიც ადრეულ იერუსალიმურ-პალესტინურ ლიტურგიკულ ტრადიციას უკავშირდება. მაგ. ცხოვრებაში მოცემულია წმ. ნინოს ლოცვის ტექსტი, სადაც საუბარია წყლითა და მიწით ნათლობაზე. ნინოს ლოცვაში წარმოდგენილი დოქსოლოგია აშკარად პალესტინური წარმოშობისა, ამგვარი დოქსოლოგია გავრცელებული იყო პალესტინაში IV საუკუნის დასაწყისიდან, რაც ცხადად მიუთითებს ნინოს კავშირს პალესტინურ ქრისტიანობასთან (ასე რომ, იუბენალის ეპიზოდი მთლიანად ინტერპოლაციას არ წარმოადგენს. ეს ეპიზოდი თავდაპირველ ტექსტში არსებული ცნობის დამახანჯება უნდა იყოს) (მგალობლიშვილი... 1998: 41). გარდა ამისა ძალიან საინტერესოა ცხოვრებაში მოცემული ცნობა იმის შესახებ, რომ სვეტიცხოველში, მას შემდეგ, რაც ანგელოზისაგან აღმართულმა სვეტმა სასწაულთა აღსრულება დაიწყო, მხოლოდ კვირა დღეს შედიოდნენ, სხვა დღეებში კი იქ შესვლა აკრძალული იყო. ტაძარში ადგილს, სადაც სვეტი იყო აღმართული ბიბლიურ-იერუსალიმური ტრადიციის თანახმად, „წმიდათა წმიდას” უწოდებდნენ (მგალობლიშვილი... 1998: 41-42), რაც თ. მაგლობლიშვილისა და ი. გაგოშიძის აზრით, ადრეულ ქართულ ქრისტიანობაზე იუდაურ-ქრისტიანული თემის აშკარა გავლენაზე უნდა მიუთითებდეს. მკვლევარები სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ნინოს ცხოვრება თავდაპირველად სწორედ ქართლის ქრისტიან ებრაელთა წრეში უნდა ჩაწერილიყო (მგალობლიშვილი... 1998: 46). ქართლის ებრაული ქრისტიანული თემის არსებობა კი ცხადად დასტურდება, როგორც წმ. ნინოს ცხოვრებით, ასევე სხვა წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებით (იქვე: 39-58).

თხზულებაში ასევე ძალიან აშკარად ვლინდება წმინდა ცხოველმყოფელი ჯვრის თაყვანისცემის იერუსალიმური ტრადიცია (მგალობლიშვილი 1991: 158-159; პატარიძე 1993: 40-41). იერუსალიმური ღვთისმსახურების ციკლის ნიშნები აქ უფრო ფართო სურათის - პიეროტოპიის - ნაწილია. მცხეთა ახალი იერუსალიმია, ქართლის ერთ კი საზეპურო ერთა - ახალი ისრაელი (ქართლის ზეპურობისა და ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის ტრადიცია შედარებით მოგვიანებით ჩნდება, თუმცა მათი ნიშნები უკვე გვაქვს ნინოს ცხოვრებაში (პატარიძე 1993: 17-35; ჩხარტიშვილი 2009: 147-165; მაგ. ცხოვრებაში ნახსენები მაყვლოვანი, სავარაუდოდ, ღვთისმშობლის სიმბოლურ განსახიერებას უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც გვიანდელ წყაროთა თანხმად (არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერისძე) ნინო ქართლში ღვთისმშობელმა წარმოგზავნა, მანვე უბოძა ნინოს ვაზის ჯვარი, იხ. ბეზარაშვილი 2002: 127-136)). რადგან მცხეთა ახალი იერსუალიმია, საკრალური გეოგრაფიის შესაბამისად, მას ღვთისმსახურების შესატყვისი, იერუსალიმური ტრადიცია ესაჭიროებოდა.

ღვთისმსახურების ეს სახე საბერძნეთიდან მოსული მდვდლის იაკობის მიერ თხოთში, მცხეთასა და უჯარმაში ჯვრების აღმართვის აღწერაში მოიპოვება. თხზულებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ჯვრები იმ ხისგან, რომელიც მცხეთის მოპირდაპირე გორაზე იყო აღმართული (სადაც ახლა ჯვრის მონასტერი მდებარეობს) 25 მარტს მოკვეთეს, 25 მარტი კი, ადრეულ ქრისტიანობაში, მაცხოვრის ჯვარცმის დღედ აღიქმებოდა (პატარიძე 1993: 46-47). „ამიტომ ჩვენ დასაშვებად მივიჩნევთ, რომ 25 მარტს საჯვარე ხის მოჭრა სიმბოლურად უფლის ჯვარცმის გამომხატველი იყოს“ (პატარიძე 1993: 46-47). 1 მაისს მოკვეთილი ხისაგან სამი ჯვარი დაამზადეს, ხოლო 7 მაისს ჯვართაგან ერთ-ერთი დღევანდელი ჯვრის მონასტრის ადგილას აღმართეს. ცნობილია რომ წმ. ჯვრის იერუსალიმური დღესასწაული (როგორც ამას ქართული მრავალთავაები ამოწმებს) 1 მაისს აღინიშნებოდა (პატარიძე 1993: 47-48; მგალობლიშვილი 1991: 218-233), ხოლო 7 მაისს იერუსალიმში ჯვრის სასწაულებრივად გამოჩინებას დღესასწაულობენ (როდესაც იერუსალიმის თავზე, კირილე იერუსალიმელის მღვდელმთავრობის დროს, 351 წელს, მთელ ცარგვალზე ნათლის სახით ჯვარი გამოისახა). საინტერესოა, რომ იაკობი საერთოდ არ ახსენებს კირილე იერუსალიმელსა და იერუსალიმში ჯვრის სასწაულებრივად გამოჩინებას (პატარიძე 1993: 50).

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ იაკობი არ იცნობს კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეს (სადაც ამ სახწაულის შესახებაა მოთხოვილი – შ. მ.) და არც 7 მაისს უკავშირებს იერუსალიმში ჯვრის ხელახალი გამოჩინების დღესასწაულს. ამიტომ საგარაუდოა, რომ კირილე იერუსალიმელი და იაკობ მდვდელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ეყრდნობიან ჯვრის საგაზაფხულო დღესასწაულის უფრო ადრეულ ტრადიციას და თავისებურ ინტერპრეტაციას უძებნიან მათ (1993: 50).

ე. ი. 7 მაისს, ჯვრის გამოჩინებამდეც, ზეიმობედნენ წმიდა ჯვრის დღეს და ეს უძველესი იერუსალიმური დღესასწაული (რომელიც შემდეგ 351 წელს ჯვრის სასწაულებრივ გამოცხადებასთან გაიგივდა) ნინოს ცხოვრებაში შემოინახა (იხ. მგალობლიშვილი... 1998: 45-46). ლ. პატარიძის აზრით, წმ. ჯვრის თაყვანისცემა მცხეთაში 25 მარტიდან 15 მაისამდე (როდესაც თხოთსა და უჯარმაში დანარჩენი ორი ჯვარი აღმართებ) აღგდომიდან მარტვილიამდე არსებული იერუსალიმური სადღესასწაულო ციკლის გამომხატველია (პატარიძე 1993: 51-54).

ნინოს ცხოვრების კვლევის თანამედროვე ეტაპზე საინტერესოა მოქალაკე ქართლისათ-ის ინგლისურად მთარგმნელის კონსტანტინე ლერნერის (Constantine Lerner) მოსაზრებები. კ. ლერნერი ერთმანეთს ადარებს რუფინუსისა და ნინოს ცხოვრების მონაცემებს და ამ შედარებისას წარმოადგენს ნინოს ცხოვრების იმ ეპიზოდებს, რომლებიც მისი აზრით, გვიანდელი ინტერპოლაციებია. მისი თქმით ნინოს არისტოკრატიული წარმომავლობა, იერუსალიმში ცხოვრების პერიოდი, ქართულ ცხოვრებაში მოთხოვილი ზოგიერთი სასწაული გვიანდელი ჩანამატებია, რადგან ისინი რუფინუსის თხზულებაში არ გვხვდება. კ. ლერნერის შეხედულებით, რუფინუსის თხრობა, რომელიც მან ქართველი უფლისწულის ბაკურის ნაამბობზე დაყრდნობით შეადგინა, ნინოს ცხოვრების თავდაპირველ, მარტივ ვარიანტს უნდა ასახავდეს, რომელიც მოგვიანებით, სხვადასხვა რედაქტორთა ხელში, სხვადასხვა ინტერპოლაციებით შეივსო. კ. ლერნერი უურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ არსად ნინოს ცხოვრებაში არ იხსენიება მირიანის მომდევნო მეფე ბაკური. თხზულებაში მხოლოდ მირიანი და რევი (რომელსაც არ უმეფია) გვხდებიან, რაც ისტორიკოსს ავარაუდებინებს, რომ ნინოს ცხოვრება მირიან მეფის გარდაცვალებამდე და ბაკურის გამეფებამდე ანუ 362 წლამდე უნდა ყოფილიყო დაწერილი რომელიმე სემიტურ (სირიულ ან არამეულ) ენაზე (რაც კ. ლერნერის აზრით, თხზულების ლექსიკიდან და სინტაქსიდანაც ჩანს) (ლერნერი 2004: 15-135).

ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი შეხედულება ლოგიკურია და შესაბამისი არგუმენტებითაცაა გამყარებული, თუმცა ქართული ნარატივის რუფინუსთან მიმართება და ინტერპოლაციების საკითხი, ვფიქრობთ, გარკვეულ შესწორებას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ არ შეიძლება *a priori* უპირატესობა ბიზანტიურ წყაროებს მივანიჭოთ. ჩვენი აზრით, ცხადია, რომ ნინოს შესახებ ყველა არაქართული წყარო სათავეს ქართული წყაროებიდან უნდა იღებდეს. რუფინუსმა ნინოს მოციქულებრივი დვაწლის შესახებ პალესტინაში მყოფი ბაკურისგან მოისმინა. ჯერ ერთი, ბაკური რუფინუსს ყველაფერს ანუ ნინოს მთელ ცხოვრებას დეტალებში არ მოუყვებოდა, მეორეც, თუნდაც ბაკურს რუფინუსისათვის ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა, ცხადია, რომ თავად რუფინუსს ეს ყველაფერი არ დაამახსოვრდებოდა და მესამე, ზემოთ ჩამოთვლილი ორი არგუმენტიც, რომ მცდარი იყოს, აშკარაა რომ რუფინუსის განზრახვა სულაც არ ყოფილა ნინოს თავგადასავლის სრულად გადმოცემა. რუფინუსი საუკლესიო ისტორიას წერდა, სადაც კონკრეტულ ამბებს ის კონკრეტული მიზანდასახულობითა და განზრახულობით გადმოცემდა, ბუნებრივია, შეკუმშული, შემოკლებული სახით, რამდენადაც კონტექსტი და ადგილი ამის საშუალებას იძლეოდა, ასე რომ, რუფინუსს, ზეპირადაც რომ სცოდნოდა ნინოს მთელი ცხოვრება, თავის თხზულებაში იბერიის განმანათლებლის სრული ცხოვრების აღწერას მაინც არ დაიწყებდა. ის თავის შრომაში იმ ძირითად თხრობას მიყვება, რომელშიც უშუალოდ ქართლის მოქცევაა გადმოცემული, რუფინუსს არც აქვს ინტერესი (და არც დრო და ადგილი) თხრობა დაიწყოს ნინოს მშობლების, იერუსალიმში ცხოვრებისა თუ რიცხიმიანელების შესახებ. ის მოკლედ ყვება იმას, რაც იმ მომენტისათვის მას, როგორც იბერიის მოქცევის აღმწერს, სჭირდებოდა.

იმ ფაქტს, რომ რუფინუსი ყველაფერს არ ყვება სხვა არაქრთული წყაროებიც ცხადყოფს, მაგ. მოსე ხორენელი, რომელიც ნინოს „რიცხიმიანელად“ მოიხსენიებს, რასაც ქართული წყაროებიც ადასტურებენ.

ნინოს ცხოვრება დატვირთულია ქალთა სახეებით. ისინი არაჩვეულებრივი აქტიურობით გამოირჩევიან. რ. სირაძის აზრით, ნინოს ცხოვრებაში აშკარად შეინიშნება ქალის კულტი (სირაძე 1987: 104). ჩვენთვის რთულია სხვა ქრისტიანული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების დასახელება, სადაც ქალთა რელიგიური მსახურება ასეთ სიმაღლეზეა აყვანილი. თვით ნინოს ნამბობიც (მაგრამ არა მთელი თხზულება, როგორც ამას მ. ჩხარტიშვილი მიიჩნევს), თუკი

მისი ავთენტურობის შესახებ მოსაზრებას გავიზიარებთ, ქალების (სალომე უჯარმელისა და პეროვავრი სივნიელის) მიერაა ჩაწერილი, რაც *Vitas*-ს მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის არა მხოლოდ ქართული, არამედ ზოგადად გვიანანტიკურული და ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული ჰაგიოგრაფიისათვის, რადგან თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ხშირად ჩივიან გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ეპოქის ქალ ავტორთა ნაკლებობის გამო (კლარკი 1990: 19; უილსონ-კასნერი... 1981: VII; კლარკი 1983: 165; კლარკი 1998: 33). ეს კი ძალიან საყურადღებო გარემოებაა, რადგან ჩვენ ცხოვრება სწორედ ქალთა ასკეტური ცხოვრების წესის თვალსაზრისით გვაინტერესებს. როგორც ზემოთ ავლნიშნავდით, მონასტრულ ცხოვრებას, ქალებისა და მამაკაცების შემთხვევებში, განვითარების განსხვავებული გზები პქონდა და ამის გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ნინოს ცხოვრების ავთენტურობის ერთ-ერთი ცხადი დასტური ქრისტიანული ასკეტური პრაქტიკის ის ფორმებია, რომლებიც III-IV საუკუნეებში იყო გავრცელებული მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში, შემდგომ ეპოქებში კი გაქრა, მთლიანად შეერწყა რა ადგილობრივ ეპისკოპოსთაგან კონტროლირებულ, ორგანიზებულ და ინსტიტუციონალიზებულ სამონასტრო თემებს (ამის შესახებ იხ. რეიდერი 1981: 3; გერინგი 1999: 26), ნინოს ცხოვრებაში კი დარჩა და დაილექა, როგორც ადრეული ქრისტიანული ცხოვრების უძველესი რელიქტი.

ზემოაღნიშნული ფაქტორია უმთავრესი მიზეზი იმისა, თუ რატომ მიიქცია ჩვენი ყურადღება ნინოს ცხოვრების წესმა. საერთოდ ისტორიკოსები ამ გარემოებით ნაკლებად ინტერესდებოდნენ, თუმცა ბოლო დროს ისეთი ნაშრომებიც გამოჩნდა, სადაც ავტორები ნინოს მოღვაწეობის ასკეტურ მხარესაც განიხილავენ (ყაუხეჩიშვილი 1999: 54-58; ჯიქია 2010: 45-77). ნინოს ცხოვრება ქრისტიანული ასკეტიზმისა და დვთისმსახურების ფორმებით, ლიტერატურული მოდელებით და მსოფლმხედველობით (ქრისტიანობაში ქალთა როლის განსაკუთრებული გამახვილება) გენეტიკურად იმ ეპოქას უკავშირდება, როდესაც რეალურად უნდა შექმნილიყო ნინოს ცხოვრების დღევანდელ რედაქციათა არქეტიპი – IV საუკუნეს.

აქვე რამდენიმე განმარტება უნდა გავაკეთოთ ჰაგიოგრაფიაში ქალი პერსონაჟების შესწავლისა და პვლევის მეთოდებთან დაკავშირებით. ჰაგიოგრაფიის მკვლევარი სუსან ეშბრუკ ჰარვი (Susan Ashbrook Harvey) ქრისტიანულ ჰაგიოგრაფიაში ქალთა სახეების რეკონსტრუქციასთან

დაკაგშირებით რამდენიმე შენიშვნას გამოთქვამს. პირველ ყოვლისა, ჰაგიოგრაფია ლიტერატურული დისკურსის სიმბოლური სახეა ანუ ჰაგიოგრაფიაში აღწერილი პირებისა და მოვლენების მთავარი მიზანდასახულობაა ქრისტიანები დვთისმოსავი ცხოვრებისაკენ აღძრას, რაც მათში აღწერილ მოვლენათა ისტორიულობას ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი: ქალი წმინდანების დვაწლის აღმწერლებლად უმეტეს შემთხვევაში (თითქმის ყველა შემთხვევაში) მამაკაცები გვევლინებიან (ჰარვი 1990: 36). ჰაგიოგრაფიის უპირველესი მიზანი ადამიანის დვთაებრივთან შეხვედრის აღწერაა, ჰაგიოგრაფიის გმირები წმინდანები არიან, რომლებიც ქრისტეს მიემსგავსნენ (imitatio Christi), სასწაულმოქმედების ძალა მოიხვეჭეს და ქრისტიანთათვის სამაგალითო ცხოვრების ნიმუშებად იქცნენ (ჰარვი 1990: 37). ამ ჟანრის თხზულებათა ავტორთა მოვალეობა მათი დვაწლის აღწერა და ქრისტიანთა ფართო წრისათვის ამ ამბის გადაცემა იყო, ამისთვის კი მწერალს შეეძლო ბიბლიურ ნარატივზე აღმოცენებული უკვე არსებული მზა ლიტერატურული ყალიბის გამოყენება, წმინდანის სახის თავისებური რეკონსტრუქცია, ისე რომ მხატვრულ წარმოსახვაში ისტორიული რეალობა და წმინდანის ნამდვილი სახე შეიძლება საერთოდ დაკარგულიყო (იქვე), მაგრამ ავტორის უმთავრეს მიზანს ხომ ქრისტიანის იდეალური ხატების შექმნა წარმოადგენდა და, არა ისტორიული რეალობის სკრუპულოზური ასახვა.

ეს მსჯელობა სპეციალურად დავიმოწმეთ, რადგან ნინოს ცხოვრების უნიკალურობას ისიც განაპირობებს, რომ ზემოთ ნახსენები ორი მნიშვნელოვანი გარემოება (ლიტერატურული ფიქცია, ან როგორც ლინდა ქუნი (Linda Coon) მოიხსენიებს „წმინდა ფიქცია“ (Sacred Fiction) და მამაკაცთა ავტორობა), ჩვენი აზრით, ამ თხზულებას არ ეხება. ქართლის განმანათლებლის ისტორიულობა კარგად საბუთდება საკონტროლო წყაროებიდან, ხოლო რაც შეეხება ნინოს ცხოვრების ავტორობას, ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ნინოს ცხოვრების ავთენტურობისა და მათში დაცული ცნობების ანალიზისას ჩვენ სხვა არგუმენტებთან ერთად სტივენ დევისის (Stevan L. Davis) მიერ შემოთავაზებულ მეთოდოლოგიასაც ვაყრდნობით. აპოკრიფული მოციქულთა საქმეების განხილვისა და ანალიზის შედეგად დევისმა საინტერესო დასკვნები გააკვთა. ეს აპოკრიფული თხზულებებია ოთარებს საქმენი, პეტრებს საქმენი, პავლებს საქმენი, ანდრიას საქმენი, თომას საქმენი და პოლიქენას საქმენი (დევისი 2012: 4). სპეციალისტთა აზრით ეს ნაწარმოებები II-III საუკუნეების

მიჯნაზე უნდა იყოს შექმნილი, უფრო კონკრეტულად კი - დაახ. 160-220 წლებში (იქვე: 8), მცირე აზიასა და საბერძნეთში თომას საქმეთა გამოკლებით (იქვე: 10), რომელიც სირიაში დაიწერა. პირველ ყოვლისა დევისი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ აპოკრიფული საქმეები პირველ საუკუნეთა ქრისტიანული ცხოვრების შესწავლის საქმეში გამოუსადეგარია (მათი შინაარსის ფანტასტიკურობის გამო). მისი აზრით, აპოკრიფულ თხზულებებში არა ერეტიკოსთა ან დახვეწილ და განათლებულ თეოლოგთა აზრები, არამედ უბრალო, ნაკლებად განათლებული, რიგითი ქრისტიანების წარმოსახვა, შეხედულებები, განცდები და მსოფლმხედველობა აისახა (დევისი 2014: 11), მაგრამ რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, დევისის აზრით, ამ აპოკრიფულ თხზულებათა ავტორები ქალები არიან, კერძოდ კი „ქვრივები“ - ქრისტიან ქალთა განსაკუთრებული კატეგორია, რომელთაც ძველ ეკლესიაში გამორჩეული სტატუსი ჰქონდათ. დევისის უმთავრესი მეთოდოლოგიური არგუმენტი შემდგომში მდგომარეობს: მოციქულთა საქმეებში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სექსუალურ თავშეკავებაზე (ადამიანში არსებული სექსუალობა, პრინციპი, მთლიანად ბოროტებადაა გამოცხადებული), ქალწულებრივ, უქორწინებელ ცხოვრებასა და ქრისტიანობის გავრცელებაში ქალთა განსაკუთრებულ როლზე. აპოკრიფული საქმენი ქრისტიანთა აღზრდა- განათლებისთვის იყო განკუთვნილი და მათში დახატული გმირები ქრისტიანთათვის (პირველ რიგში კი ქრისტიანი ქალებისათვის) იდეალურ მოდელებსა და მისაბაძ მაგალითებს ქმნიდნენ. ქალები მოციქულთა აპოკრიფულ საქმეებში არაჩვეულებრივად ფართო რაკურსით არიან წარმოდგენილი. ყველა ნაწარმოებში ყურადღება ქალ პერსონაჟებზეა გამახვილებული, ეს ქალები ცათა სასუფევლისთვის ქალწულებრივ ცხოვრებას ირჩევენ, და თითქმის ყველა შემთხვევაში, თავიანთი დვაწლითა და სულიერი სიმედგრით, მამაკაცებს ჯობნიან. ქალები ამ აპოკრიფულ საქმეთა ძირითადი მოქმედი გმირები არიან: ქარიზმატული წინამდლოლები, მისიონერები, წინასწარმეტყველნი და მოციქულები. მათთან შედარებით მამაკაცთა მხატვრული სახეები ძალზე ფერმკრთალია. თვით მოციქულებიც კი არ არიან სათანადოდ წარმოჩენილნი, ხოლო ერთ-ერთ ამგვარ აპოკრიფულ თხზულებებში მოციქულები საერთოდ არ გვხდებიან<sup>7</sup>. საქმეებში წარმოდგენილ პრობლემათა და ლიტერატურულ

<sup>7</sup> ეს თხზულება სამი ქრისტიანი ქალის: ქსანთიპეს, პოლიქსენასა და რებეკას დგაწლზე მოგვითხრობს.

მოდელთა გათვალისწინებით დევისს გამოაქვს დასკვნა, რომ ამ აპოკრიფულ საქმეთა ავტორები ძველ ეკლესიაში არსებული განსაკუთრებული კატეგორიის - „ქვრივების” წარმომადგენლები („ქვრივების” შესახებ იხ. ქვემოთ) იყვნენ.

ობიექტურობისთვის აქვე უნდა ითქვას, რომ დევისის მსჯელობას ნაკლიც აქვს. ეს ნაკლი კრიტიკულად გაიაზრა და წარმოაჩინა როზი კრემერმა (Rosie Kraemer) (კრემერი 1991: 223-242). აპოკრიფულ საქმეთა ავტორობაზე საუბარი რთულია, რადგან ავტორთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია. კრემერის აზრით, დევისის მსჯელობის მთავარი ნაკლი ისაა, რომ მკვლევარი შემდეგი აპრიორული წანამდღვრით სარგებლობს: თხზულებებს სადაც ქალთა როლი განსაკუთრებული და აღმატებულია, მამაკაცი არ დაწერდა, რადგან მამაკაცები მხოლოდ ქალებზე ბატონობით იყვნენ დაინტერესებულნი და არა ქალთა განსაკუთრებული როლის წარმოჩენით, მაგრამ როგორც რ. კრემერი მიუთითებს ასეთი თხზულებები (მამაკაცთა ავტორობით) ჩვენთვის ცნობილია (იქვე) და არ შეიძლება, აპრიორულად, ამ ტიპის ნაწარმოებები მხოლოდ ქალებს მივაკუთვნოთ.

მაგრამ ჩვენ შემთხვევაში საქმეს ის აადვილებს რომ ნინოს თავგადასავლის (ანუ თხზულების საწყისი თავების) აღმწერელთა ვინაობა ცნობილია – სალომე უჯარმელი და პეროვავრი სივნიელი და ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ ამ ცნობისადმი უნდობლობის არავითარი საბუთი ჩვენ არ გაგვაჩნია, რასაც (თუკი დევისის მეთოდოლოგიას გავიზიარებთ) თხზულების სახისმეტყველებაც ადასტურებს, თუმცა შესაძლებელია თხზულება ქალთა იუდაურ-ქრისტიანულ ასკეტურ თემში ჩამოყალიბდა (რომელიც ქართლში ნინომ დააფუძნა) და შემდეგ მისი ავტორობა სალომესა და პეროვავრს მიაწერეს. აშკარაა, რომ სხვადასხვა „მონათხოვისგან” შედგენილი ამ ნაწარმოების კომპოზიციური გამართვა (და შესაძლებელია ლიტერატურული გაშალაშინებაც) შედარებით გვიანდელ (თუმცა საგარაუდო IV საუკუნის) რედაქტორს ეკუთვნის (კუჭუხიძე 2009: 105).

ნინოს ცხოვრება ქალ გმირთა მთელ გალერეას წარმოგვიდგენს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ უადრესად მდიდარ და კომპლექსურ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში, ძირითადად ქალთა ხმები ისმის, ქალები მთავარი მოქმედი პირები არიან. ქალები გვევლინებიან, როგორც განსწავლული მოძღვრები, ქარიზმატული წინასწარმეტყველები და მოციქულები. მამაკაცები (თვით მევე მირიანიც კი) ქალთა სულიერების წარმოსაჩენად მხოლოდ ფონს ქმნიან, თითქოს მთელ თხზულებას ლაიტმოტივად გასდეგს ქალთა როლის გამორჩეულობა

ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. ნინო ქალი მოციქულია, რომელიც მარიამ მაგდალინელის კვლადაკვალ წარმართებს მოძღვრავს და ხალხს ნათლობისათვის ამზადებს, კურნავს და სხვადასხვა სასწაულებს აღასრულებს, რითაც ძალზედ ემსგავსება გვიანანტიკურობის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებების გმირებსა თუ ისტორიულ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ: ფიბე - კენკრელთა ეპლესიაში (რომელსაც პავლე მოციქული ახსენებს და განსაკუთრებული მსახურებისა და სულიერი მოღვაწეობისათვის აქებს<sup>8</sup>), თუნდაც ჩვენგან ზემოხსენებული აპოკრიფულ საქმეთა გმირები: თეკლა (პავლე მოციქულის ლეგენდარული თანამგზავრი), მაკრინა (ბასილი დიდის უფროსი და), პაულა, მელანია უფროსი, მელანია უმცროსი და სხვ. შესაბამისად ნინოს ცხოვრების მთელი ნარატივი ქალთა ავტორობას ამართლებს (გ. კუჭუხიძის აზრით, სალომესეულმა ტექსტმა, მოგვიანებით, რედაქტორის ხელში გაიარა. სწორედ ეს უცნობი რედაქტორი ასახელებს სალომეს ტექსტის ავტორად (კუჭუხიძე 2009: 105)).

აქ კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: თეკლას მარტვილობაზე საუბრისას ს. დევისი გვაჩვენებს ამ თხზულების არალიტერატურულ წარმომავლობასა და მის სოციალურ ფუნქციას, რაც ნინოს ცხოვრებასთან მიმართებითაც ძალიან საყურადღებო ფაქტორია.

დევისის აზრით თეკლას მარტვილობა, პირველ ყოვლისა, ქალთა აუდიტორიისათვის იყო განკუთვნილი და, თავდაპირველად, პირველმოწამე თეკლას ისტორიები ზეპირსიტყვიერი გზით უნდა ყოფილიყო დაცული II-III საუკუნეების ქალწულთა და ქვრივთა ასკეტურ თემებში. ქალ ასკეტთა გარემო იყო ის სოციალური კონტექსტი, სადაც ეს ნაწარმოები შეიქმნა. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც ფიქრობს, რომ თეკლას ლიტარატურული სახის შექმნაზე ელინისტურ ნოველასაც უნდა ჰქონდა გავლენა (დევისი 1998: 9-11). ყველაზე საინტერესო ჩვენს შემთხვევაში თეკლას მარტვილობის არალიტერატურული, არაწერილობითი წყაროებია ე. ი. თეკლას ამბებს ასკეტი ქალები ჰყვებოდნენ, ერთმანეთს აცნობდნენ, რადგან საუკუნეების განმავლობაში თეკლა უქორწინებელი, მოღვაწე ქალის არქეტიკულ მაგალითად იქცა (პირველმოწამე თეკლაზე და მის კულტზე სელევკიაში და სხვაგან იხ. ქვემოთ). უეჭველია თეკლას საკვირველი საქმენი თითოეული ასკეტურად მცხოვრები ქალისათვის

<sup>8</sup> ფიბეს ხშირად პირველ დედათვიაკვნად მოიხსენიებენ, რაც არ არის სწორი (იხ. მარტიმორი 1986: 18-20)

უაღრესად შთამაგონებელი და გამამხნევებელ მაგალითად იქცეოდა, ამიტომ გასაკვირი ნამდვილად არ არის, რომ ეს თხრობანი სწორედ ასკეტურად მოღვაწე ქალთა წრეებში ცირკულირებდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ხოლო უცნობი მცირეაზიელი პრესვიტერი ამ ამბების მხოლოდ ჩამწერი უნდა ყოფილიყო (დევისი 1998: 13).

თეკლას მარტვილობის ზეპირსიტყვიერ წარმომავლობაზე მსჯელობისას ისტორიკოსებს ქალთაგან მოთხოვობილი და ჩაწერილი ისტორიების სხვა მაგალითებიც მოჰყავთ, მაგ., პაპიას პიერაპოლელმა (I საუკუნის მიწურულისა და II საუკუნის დამდეგის მოღვაწე, პირადად იცნობდა მოციქულებს) ფილიპე მოციქულის ქალიშვილთაგან ორი ისტორია ჩაიწერა, მარკიონელი (გნოსტიკური სექტა) აპელესის ორაკულთა წიგნი წინასწარმეტყველმა ქალმა ფილუმენებმა დაწერა, ხოლო მონტანისტი ქალი წინასწარმეტყველის მაქსიმილას ორაკულები პერგამენტზე ასტერიუს ურბანიუსმა გადაიტანა (დევისი 1998: 13). დევისის აზრით, თეკლას მარტვილობის ფორმალურ-ტექსტოლოგიური ანალიზი ამ თხზულების ზეპირსიტყვიერ წარმომავლობას ადასტურებს (განსაკუთრებით ისეთი ისტორიები, როგორიცაა მამაკაცთაგან სექსუალური ძალადობის საფრთხე და ქალების მიერ ქალწულების აღთქმის შენარჩუნება გაქცევითა და დამალვით, რაც ნინოს ცხოვრებაში და რიცხიმიანელთა მარტვილობაშიც გვხვდება, როდესაც ნინო და რიცხიმიანელი სომხეთში გარდიან, რათა იმპერატორის ავხორცულ გულისთქმას გაერიდონ) (იქვე).

გვიანანტიკურ სამყაროში ქალების, როგორც მთხოვობელთა, ზეპირსიტყვიერი ისტორიების გადამცემთა, როლი საყოველთაოდ ცნობილი იყო. მართალია მამაკაცი ავტორები ქალების ამ ფუნქციას, ხშირად, უარყოფითად აფასებდნენ ქალების „ენაჭარტალობისა და ჭორიკნობის“ გამო, მაგრამ ისტორიკოსისათვის ქალთა ეს საქმიანობა ძალიან საყურადღებო ასპექტია, მთუმეტეს ნინოს ცხოვრების განხილვისას. თეკლას მარტვილობისა თუ სხვა აპოკრიფულ საქმეთა კვლევა, სადაც ქალები მთავარი მოქმედი გმირები არიან და მკითხველის წინაშე განსაკუთრებული რაკურსით წარდგებიან, კიდევ უფრო ცხადად წარმოაჩენს ამ თხზულებათა სოციალურ ფუნქციას. მათში იმ ქალთა სურვილები, ოცნებები და მისრწაფებანი აირეკლა, ვის წრეშიც ეს აპოკრიფული ნაწარმოებები იქმნებოდა, რადგან ამ თხზულებებს ასკეტი ქალებისათვის აღმზრდელობითი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, დევისის თქმით „...თეკლას დახასიათება გვთავაზობს

სარგმელს იმ ქალების თემთა საზოგადოებრივ ადათ-წესებში, რომლებიც ამ ისტორიას უვებოდნენ” (დევისი 1998: 18).

უპირველესი ასპექტი, რომელსაც თეკლას მარტვილობა გვიჩვენებს, არის რადიკალური ასკეტიზმი, ქორწინების უარყოფა და ქალწულების საციცოცხლო მნიშვნელობა ცხონებისა და სასუფევლის დამკვიდრების საქმეში (დევისი 1998: 18-20). სწორედ ეს თვისებები იყო დამახასიათებელი იმ ასკეტი ქალებისათვის, ვინც იყვნენ თეკლას ისტორიათა მთხოვბელნი. თეკლას მთავარი თვისებები ბევრს გვეუბნება მისი მარტვილობის შემქმნელებზე. თეკლას მარტვილობისა და სხვა აპოკრიფულ ნაწარმოებთა შინაარსისა და ავტორთა პრობლემამ შესაძლებელია ძალზე ბევრი გვითხრას ნინოს ცხოვრების შეთხვის, ავთენტურობისა და ავტორთა საკითხზეც.

როგორც უკვე ვთქვით, ნინოს ცხოვრებაშიც მთავარი მოქმედი გმირები, და მთავარი გმირის ისტორიის ჩამწერები, ქალები არიან. ნინოს ცხოვრებაშიც თეკლას მარტვილობის მსგავსად ქალთა მნიშვნელობა განსაკუთრებითაა გაზრდილი და ქალები აქ (როგორც აპოკრიფულ საქმეებში) მამაკაცებს თითქმის ყველაფერში აღემატებიან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მამაკაცები მხოლოდ ფონს ქმნიან. თეკლას მარტვილობის მსგავსად ნინოს ცხოვრებაშიც ქალები არიან წინასწარმეტყველები, სულიერი წინამძღვრები, მოციქულები, სასწაულმოქმედნი, ისინი გაურბიან მოძალადე მამაკაცებს, რომლებსაც სურთ ამ მოდვაწე ქალებს ქალწულების აღთქმა დაარღვევინონ. აპოკრიფულ საქმეთა გმირებივით ნინოც მოხეტიალე მქადაგებელია.

ვფიქრობთ ზემოთქმულის შემდეგ უსაფუძვლო არ იქნება იმის ვარაუდი, რომ ნინოს ცხოვრებაც სწორედ ასკეტურად მოდვაწე ქალთა წერში შეიქმნა. ჩვენ ქვემოთ შევეხებით ნინოს მიერ ქართლში ქალწულთა ორგანიზებული ასკეტური თემის (ნახევრადმონასტრული ერთობის) დაფუძნებას, სწორედ ეს ასკეტური თემია, უპირველეს ყოვლისა, ის სოციალური წრე, სადაც ნინოს ცხოვრებას საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ფუნქცია უნდა ჰქონოდა იმ გოგონებისა და ქალებისათვის, რომლებიც თავიანთ თავს ზეციურ სიძეს – ქრისტეს უძღვნიდნენ. ცნობილია რომ შავბერდის კრებულს საგანმანათლებლო ფუნქცია ჰქონდა (ლორთქიფანიძე 2003: 359), ამიტომ გასაკვირი არაა, რომ X საუკუნეში ნინოს ცხოვრება ამგვარი დანიშნულების კრებულში ჩართეს.

მაგრამ ნინოს ცხოვრებასა და აპოკრიფულ საქმეებს შორის სერიოზული განსხვავებებიც არსებობს. პირველ ყოვლისა, ის უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს

აპოკრიფული თხზულებები არაკანონიკურია და მათში ბევრი რამ არის ისეთი, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატურ და კანონიკურ სწავლებას არ შეესატყვისება (მაგ. ქორწინების რადიკალური უარყოფა, აპოკრიფული ნაწარმოებები პირდაპირ აცხადებენ, რომ ვინც იქორწინებს ანუ ვინც სრულად არ მოიკვეთს სექსუალურ გულისთქმას, ის ვერ ცხონდება, თეკლას მიერ საკუთარი თავის მონათვლა, ქალების მიერ თმის მოკვეცა და მამაკაცური შესამოსლის ტარება და ა. შ.). ამ ნაწარმოებთაგან განსხვავებით ნინოს ცხოვრებაში არაფერია ისეთი, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის ნორმატიული სწავლებიდან ყოფილიყო ამოვარდნილი. ამასთან აუცილებლად უნდა ავლნიშნოთ, რომ მხატვრული თვალსაზრისით ნინოს ცხოვრება აპოკრიფულ თხზულებებზე გაცილებით მაღლა დგას. აპოკრიფული საქმენი აშკარად გადამლაშებულია სრულიად ფანტასტიკური ისტორიებით, ბავშვური გულუბრყვილობითა და ხშირად განმეორებადი მოტივებით (ქალწულთა გაქცევა, მრავალფერი და გაუთავებელი ტანჯვა-წამების აღწერა და ა.შ.). ასეთივე (ხშირად მდარე) სტილი ახასიათებს აპოკრიფულ სახარებებსა და მოციქულთა საქმეებს, რომლებიც როგორც წესი, მაცხოვრის ეპოქიდან გვიან, II-III საუკუნეებში იქმნებოდა, ძირითადად, გნოსტიკოსთა და ენკრატისტთა წრებში. ნინოს ცხოვრებას კი არაჩვეულებრივი მხატვრული ძალა, ექსპრესიულობა, დახვეწილობა და კომპოზიციური სრულყოფილება გამოარჩევს (ამის შესახებ იხ. კუჭუხიძე 2009: 105-106). გადაჭარბებული არ იქნება, თუკი ვიტყვით, რომ გარკვეულ მომენტებში, ნინოს ცხოვრების კითხვისას, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს მოდერნისტულ ნოველას კითხულობდეს. ნინოს ცხოვრების გმირები თავიანთ ისტორიებს პირველ პირში ყვებიან, ამასთან ყველა თავის პირად, შეიძლება ითქვას, ინტიმურ რელიგიურ გამოცდილებას გადმოგვცემს, ქართლის მოქცევის ყველა მონაწილეს ნინოსთან შეხვედრის საკუთარი, ინდივიდუალური ისტორია აქვს: ნინო საკუთარი თავგადასვლის თხრობას იქ ასრულებს, როდესაც დასავლეთიდან მოსული ქარიშხალი კერპებს დაამსხვრევს, ნინო ამ სასწაულს პირველ პირში, საკუთარი პერსპექტივიდან ყვება, სიდონია ნინოს თავგადასვლის მოყოლას კი იქიდან აგრძელებს, სადაც ნინომ თხრობა დაასრულა, ე. ი. ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა თავად ნინოსაც მოვუსმინოთ, მისი შინაგანი სამყარო ვინილოთ და ქართლის განმანათლებელი სხვა გმირთა თვალთახედვით, „გარედანაც“ დავინახოთ. ჩვენ ხშირად ვიხსენებთ, თუ სად გავიცანით პირველად ის ადამიანები, რომლებთანაც დიდი ხნის

მეგობრობა და სიყვარული გვაკავშირებს. მხედვების ვითარებას ვხვდებით აქაც, პაგიორგაფიულ ნაწარმოებში, სიდონია - წმ. ნინოს ერთგული მეგობარი ისეთ დეტალსაც კი გადმოგვცემს, თუ სად დაინახა პირველად ნინო:

ოდეს ვიხილე ასულმან აბიათარისმან სიდონია წმიდავ ნინო თავსა  
ციხისასა პირველ მცხეთისასა, კოშკსა მას მაღალსა ბრინჯთა მათ ქუეშე,  
ბრატმან მეფისა საგრილთა და სასუენებელთა ჯდა... (გიგინეიშვილი... 1979:  
340).

ნინოს ცხოვრებაში ჩვენ ისეთ ეპიზოდებსაც ვხვდებით, რომლებსაც განსაკუთრებული მხატვრული ძალა გამოარჩევს, მაგ. ჯავახეთში შემოსული ნინოს მიერ ზაფხულში დათოვლილი მთების ხილვა (ცხოვრება კარგად აჩვენებს იმ განცვიფრებას, რომელიც ნინომ ამ მთების ნახვისას მიიღო), ნინოს სიზმრისეული ხილვა, რომლის მნიშვნელობაც მას სიდონიამ განუმარტა, სვეტიცხველთან ლოცვის ეპიზოდი, სადაც ნინოსთან ერთად მლოცველ ქალწულებმა ფანტასტიკური ჩვენება იხილეს, თითქოს ქართლს სპარსელები შემოესივნენ, მირიან მეფე დაიღუპა, მტკვრისა და არაგვის გარშემო აღმართული მთები ჩამოიქცა და ახლადმოქცეული ქართლი მთლიანად აოხრდა. ეს ეპიზოდი ისეა გადმოცემული და აღწერილი, თანამედროვე მწერლობასა და კინემატოგრაფიასაც, რომ შეშურდება, რაც ნინოს ცხოვრებას არა მხოლოდ ქართული, არამედ ზოგადად ქრისტიანული მწერლობის შედევრად აქცევს.

თხზულების ავტორობის შესახებ, დასკვნის სახით ვიტყვით, რომ დიდი ალბათობით, ნინოსთან დაკავშირებულ ისტორიათა (თხრობათა) ციკლი ზეპირსიტყვიერად ცირკულირებდა ქართლში ნინოსაგან დაფუძნებულ ასკეტ ქალწულთა ქრისტიანულ-ებრაულ წრეებში (შესაძლებელია ზოგიერთი ისტორია ჩაწერილიც ყოფილიყო). როგორც მ. სურგულაძე მიუთითებს (ციტატა ზეპირსიტყვიერებაზე), ხოლო წერილობითად ის შედარებით გვიან გაფორმდა ერთი რედაქტორის მიერ (რომელიც ნინოს ცხოვრების ჩამწერად სალომე უჯარმელს ასახელებს).<sup>9</sup> როდისაა ეს „გვიან“ რთულია სათქმელია, მაგრამ ქართლის მოქცევასა და ნინოს ცხოვრების წერლობით ფიქსაციას შორის მაინცდამაინც დიდი პერიოდი, შესაძლოა, არც ყოფილიყო. შესაძლებელია ეს

<sup>9</sup> მართალია მ. სურგულაძე აღნიშნავსა, რომ თითქმის შეუძლებელია თხზულებაში ადრინდედი და გვიანდედი (რედაქტორისეული ან რედაქტორებისეული) შრეების გამიჯვნა, „იმ ზომამდე ძლიერია ტექსტის მთლიანობის უფექტი, იმ ზომამდე მრავალმნიშვნელოვანი და შემჭიდროებულია თითქმის ყოველი ფრაზა“ (სურგულაძე 2001: 317), მაგრამ ამის მიუხედავად, გვიქრობთ, სხვადასხვა ქრონოლოგიური პლასტების გამიჯვნა, გარკვეულ დონემდე, მაინც შესაძლებელია

დრო 362 წლამდეც ვივარაულოთ, როდესაც მირიანი გარდაიცვლა და ტახტზე მისი ძე ბაქარი (ბაკური) ავიდა, რადგან თხზულებაში ბაქარი არსად იხენიება (ლერნერი 2004: 58-59).

შესაბამისად, ჩვენი აზრით, ნინოს ცხოვრების ძირითად პლასტი ავთენტურ ხასიათს ატარებს და ის უძველესი ქართული ჰაგიორგაფიული თხზულებაა, რომელშიც ძალზე ფართო და ზუსტი ასახვა ჰპოვა აღრეული ქრისტიანული ცხოვრების სხვადასხვა მხარეებმა, მათ შორის ასკეტურმა მოღვაწეობამაც, რასაც, კიდევ უფორ ცხადად, ქვემოთ დავინახავთ.

## §2. წმინდა ნინო როგორც ქრისტიანი ასკეტი

როდესაც წმინდა ნინოს ისტორიას, და განსაკუთრებით წმინდანის ცხოვრების წესს, ვეცნობით ბუნებრივად გვებადება კითხვა - ვინ იყო ქართლის განმანათლებელი? მონაზონი თუ ჩვეულებრივი საერო პირი? ნინოს ცხოვრების მრავალმხრივი შესწავლისა და პვლევის მიუხედავად ეს საკითხი, უმეტეს შემთხვევაში, მსჯელობის მიღმა რჩებოდა, თითქოს ნინოს განსაკუთრებული სტატუსი თავისთავად იყო ნაგულისხმები და შემდგომ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებდა.

III-IV საუკუნეთა მიჯნაზე დაბადებული ნინო მონაზონი (ამ სიტყვის გვიანდელი, შუა საუკუნეობრივი) ვერ იქნებოდა, რადგან მონაზნობის კლასიკური ფორმები ის-ის იყო ყალიბდებოდა, მაგრამ ქართულ და უცხოურ წყაროთა ცნობებზე თვალის ერთი გადავლებითაც კი აშკარაა, რომ ქართლის განმანათლებელი არც ჩვეულებრივი საერო ადამიანი ყოფილა, რადგან ის ადრეული ასაკიდანვე „გლახაკთა მსახურებაში” იზრდება, იმპერიაში არსებული ტრადიციის თანახმად (სადაც გოგოებს თორმეტი ან ცამეტი წლის ასაკში ათხოვებდნენ) არ ქორწინდება და განსაკუთრებული მისიისთვის ემზადება.

საქმე ისაა, რომ ნინო ადრეული ქრისტიანობაში ჩასახული და ჩამოყალიბებული ქალწულთა ასკეტური დასის (მწყობრის, ბანაკის) (გაბიძაშვილი... 1975: 483) ტიპიური წარმომადგენელია. ქალწულები იყვნენ ორივე სქესის ქრისტიანები, რომლებიც უქორწინებლობის აღთქმას დებდნენ და განსაკუთრებულ მოღვაწეობას ეწეოდნენ, რითაც დანარჩენი ქრისტიანებისაგან გამოირჩეოდნენ. ქალწულები მონაზნური ცხოვრების ერთგვარ დამწყებებად

იქცნებ. ასეთი ერთობები უკვე II საუკუნის მიწურულიდან ჩანან წყაროებში, თუმცა თითქმის დანამდვილებით შეგვიძლია თქმა, რომ ასკეტური ცხოვრების წესის მქონე ქრისტიანთა ჯგუფებს არსებობა უფრო აღრეული პერიოდიდანაც უნდა დაეწყოთ (ბრაუნი 2008: 85). აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ პირველად, ქართულ ისტორიოგრაფიაში, ქრისტიანული ასკეტიზმის ამ ტიპს ყურადღება დეკანოზმა (მომავალში კათალიკოს-პატრიარქმა) კალისტრატე ცინცაძემ მიაქცია. დავით გარეჯელის თბილისში მოღვაწეობის შესახებ არსებული თქმულების განხილვისას, პ. ცინცაძე ამ თქმულებაში მოხსენიებული „დედათა მონასტერის“ საკითხს შეეხო. რადგანაც ჩვენ ისტორიოგრაფიაში იმხანად (XIX საუკუნე და XX საუკუნის I ნახევარი) გავრცელებული შეხედულების თანახმად, სამონასტრო ცხოვრება საქართველოში ასურელმა მამებმა დანერგეს, ამიტომ VI საუკუნის I ნახევრის ქართლში დედათა მონასტრის არსებობა არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. მკვლევარმა ამ თქმულებაში დაცულ ცნობას სხვაგარი ახსნა მოუძებნა. მისეული ახსნა სწორედ ადრექრისტიანული ასკეტიზმის ფორმათა განხილვას დაეფუძნა. დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის შენიშვნით, ქრისტიანები, რომელთაც ჰეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრება სურდათ

...განეშორებოდნენ თავიანთ ოჯახს, იშენებდნენ ქალაქისა თუ სოფლის შორე-ახლო სენაკებს, ანუ ქოხებს და იქ ცხოვრობდნენ, თანახმად ქრისტეს სწავლა-მოძღვრებისა. ამგვარად სდგებოდა მოსენაკეთა საზოგადოება, რომელიც ხშირად თავს იყრიდა რომელიმე პატარა სოფლის ტაძრის გარშემო (ან თვითონ აშენებდნენ ასეთს) და ამ ტაძრის მოძღვრისაგან ისმენდენ ქრისტიანულ სხვადასხვა დარიგებას. ამ მოსენაკეთა საზოგადოებას აერთიანებდა ტაძარში წირვა-ლოცვის მოსმენა და მოძღვრის სწავლა-დარიგება. სხვაფრივ კი მოსენაკენი იყვნენ დამოუკიდებელნი ერთი მეორეთაგან, განკერძოებულნი... ასეთი „მონასტრებითა და „მონაზონებით“ სავსე იყო მეოთხე-მეხუთე საუკუნეებისში ეგვიპტე, პალესტინა და ბიზანტია, ანუ საბერძნეთი, საიდანაც ჩვენში გადმოვიდა ქრისტიანობა თავის (არა არსებითად შეცვლილ) წეს-წყობილებით (ცინცაძე 1994: 11).

მხოლოდ მკვლევრის დაკვირვების შესანიშნავი უნარითა და ბრწყინვალე ერუდიციით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ იმხანად მან ასეთ მნიშვნელოვან დეტალს მიაქცია ყურადღება და ამ გზით შეუცედა აეხსნა თქმულებაში დაცული ცნობა ქართლში „დედათა მონასტრის“ არსებობის შესახებ. ჩვენ კ. ცინცაძისაგან პირველად აღნიშნული „მოსენაკეთა

საზოგადოების” მნიშვნელობა არა დავით გარეჯელის მოღვაწეობასთან კავშირში, არამედ წმ. ნინოს ცხოვრებასთან დაკავშირებით გვაინტერესებს (დავით გარეჯელის თქმულება ზეპირსიტყვიერი გადმოცემაა, რაც დიდად ამცირებს მის სანდოობას). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქრისტიანული ბერმონაზვნობის ეს ყველაზე ადრეული, პრიმიტიული ფორმა (კალისტრატე ცინცაძისაგან „მოსენაკეთა საზოგადოებად” წოდებული) ყველაზე უკეთ ხსნის წმინდა ნინოს ცხოვრების წესსა და მის ვრცელ ცხოვრებაში დაცულ ისტორიულ დეტალებსა და გარემოებებს. კონტექსტუალიზაციისათვის საჭიროა ქრისტიანული ასკეტიზმის ამ ფორმათა შედარებით ვრცელი მიმოხილვა.

ქალწულებრივად ცხოვრების მოსურნე ცალკეული ქრისტიანები ჯერ კიდევ ჩვენამდე მოღვაწეულ ერთ-ერთ უძველეს ქრიატიანულ ძეგლში - პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ გაგზავნილ პირველ ეპისტოლეში - იხსენიებიან. ქალწულებს უკვე ისეთი ადრეული მამები ახსენებენ, როგორებიც იყვნენ: კლიმენტი რომაელი (ჯუდელი 2014: 54) და ეგნატე ლმერთშემოსილი (ჯუდელი 2014: 177, 182). როგორც ადგნიშნეთ, წყაროთა თანახმად, ქალწულები იყვნენ ორივე სქესის ქრისტიანები, რომლებიც სხვა ქრისტიანთაგან გამორჩეული ცხოვრების წესს ირჩევდნენ და სიცოცხლის ბოლომდე უქორწინებელნი რჩებოდნენ, მაგრამ კლიმენტი ალექსანდრიელის ცნობაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთვქათ, რომ უქორწინებლობა ანუ სექსუალური თავშეკავებულობა ამ „აღთქმის” ერთადერთ პრინციპს არ წარმოადგენდა, ქალწულს განსაკუთრებული სულიერი და ზნეობრივი ცხოვრება მოეთხოვებოდა, მას თავი არა მარტო ხორციელი კავშირისგან, არამედ სხვა ყოველგვარი ვნებისა და ცოდვისაგანაც უნდა შეეკავებინა (ჩედვიკი... 1957: 67). ქალწულთა ასკეტური ცხოვრების წესი მაინცდმაინც განმარტოებასა და უდაბნოში გასვლას არ ითხოვდა, და ქალებისთვის, ზოგაგად, ეს არც იყო სასურველი (რადგან ხშირი იყო გატაცების, გაუპატიურების შემთხვევი და ა.შ.) (კლარკი 1993: 101), ისინი დასახლებულ ადგილებში, ან მათ მასლობლად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე - ერთობლივად, ხშირად - საკუთარ ოჯახებში. ბერძნულად ქრისტიანთა ამ ნაწილს „τάγμα τῶν παρθένων” ერქვა (ელმი 1994: 139), რაც ქართულად „ქალწულთა დასად” ან „ქალწულთა მწყობრად” ითარგმნებოდა (...და განმრავლდების აწ მწყობრი ქალწულთა...).<sup>10</sup>

<sup>10</sup> საინტერესოა რომ IV საუკუნის განმავლობაში „ქალწულთა დასის” ინსტიტუციონალიზაცია და დედათა მონასტრების ქსელში ჩართვა მის სახელწოდებაზეც აისახა. 363/364 წელს

ცხადია, „ქალწულთა დასი” რაღაც სტატიკური მოვლენა არ ყოფილა, ამ კატეგორიის ხასიათი დროთა განმავლობაში იცვლებოდა. თავდაპირველად ისინი ვინც ქალწულების აღთქმას დებდა, საკუთარ სახლებში, ოჯახებში ინდივიდუალურად მოღვაწეობდნენ, მაგრამ მოგვიანებით ასკეტურად მცხოვრებ ქრისტიანებს ერთად ცხოვრების სურვილიც გაუჩნდათ, თანდათანობით დაიწყო ქალწულთა ერთობების, ასკეტური თემების ჩამოყალიბება. ანტონი დიდის ცხოვრებაში უკვე ვხვდებით ამგვარი ერთობის ხსენებას (საუბარია III საუკუნის 70-იან წლებზე ანუ როდესაც ანტონი მეუდაბნოე ცხოვრებას იწყებდა). მას შემდეგ რაც ანტონიმ ეკლესიაში სახარების სიტყვები მოისმინა „გამოვიდა და მისცა იგიცა (ანუ ქონების დარჩენილი ნაწილი – შ. მ.) გლახავთა და დავ იგი თვისი შევვედრა მეცნიერთა მისთა მორწმუნეთა ქალწულთა და მისცა იგი საქალწულესა განზრდად...” (ხაზგასმა ჩემია - შ. მ.) (იმნაიშვილი 1975: 11).

უპირველესად უნდა ითქვას, რომ ქალწულება მაინცდამაინც ფიზიკურ, ბიოლოგიურ მდგომარეობას არ გულისხმობდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ეგნატე ღმერთშემოსილის ეპისტოლე სმირნელთა მიმართ. ეპისტოლეს XIII თავში ეგნატე სმირნელ ქრისტიანებს მოიკითხავს: „მოვიკითხავ ჩემი მმების ოჯახებს, მათი ცოლებითა და შვილებითურთ, და ქალწულებს წოდებულთ ქვრივებად” (καί τάς παρθένους τάς λεγομένας χήρας) (ჯუდელი 2014: 177; მარტიმორი 1986: 26).<sup>11</sup> ცალკე დასად არსებობდნენ ქველ ეკლესიაში „ქვრივები”. ზოგიერთ ეკლესიაში „ქვრივები” განკერძოებულ კატეგორიას ქმნიდნენ, ხოლო ზოგან ქალწულთა რიგში შედიოდნენ ანუ „ქვრივიც” უფრო ტექნიკური ხასიათის ტერმინი იყო და ისიც ყოველთვის იმ მნიშვნელობას არ გულისხმობდა, რა მნიშვნელობითაც ეს სიტყვა დღეს გვესმის. წყაროებიდან ნათელი ხდება, რომ „ქვრივის” წოდება ხშირად მიემართებოდათ ქალებს, ქალწულებს, ან ნამდვილად ქვრივებს, რომლებსაც თავი გამორჩეულად ასკეტური ცხოვრებისათვის მიეძღვნათ (დევისი 2012: 71). „ქვრივებს” ჯერ კიდევ პავლე მოციქული ახსენებს ტიმოთეს მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში (1გიმ. 5 : 5-10), საიადანაც ვიგებთ, რომ უკვე პავლე მოციქულის დროიდან, განსაკუთრებული საეკლესიო მსახურებისთვის, ქვრივების „ამორჩევაც” ხდება.

---

გამართულ ლაოდიკიის კრებაზე „ქალწულთა დასს” უკვე „τάγμα τῶν μοναχόντων” ანუ „მონაზონთა დასი” ეწოდება. „მონაზონთა დასი” ორივე სქესის ასკეტებს გულისხმობდა (ელმი 1994: 159).

<sup>11</sup> შდრ. ინგლისური თარგმანი: „I greet the households of my brothers with their wives and children, and the virgins who are called widows” (პოლმხი 2006: 125)

პავლე მოციქული ახალგაზრდა ქალების ქვრივთა დასში ჩარიცხვის წინააღმდეგია აგხორცული გულისთქმებისა და სიძვის საფრთხის გამო (1ტიტ. 5 : 11-15).

საინტერესოა რომ ადრეულ ეკლესიაში პავლე მოციქულის სიტყვებს ყოველთვის არ ასრულებდნენ და ქვრივებად ახალგაზრდა ქალებსაც იღებდნენ. მაგ. გადმოგვცემს რა II-III საუკუნენთა მდგომარეობას კართაგენის ეკლესიაში, ტერტულიანე ამბობს: „მე დაზუსტებით ვიცი, რომ ზოგიერთ ადგილას ქალწული, რომელსაც ჯერ არ შესრულებოდა ოცი წელი, შეყვანილ იქნა ქვრივობაში” (ჯუდედი 2014: 177). ტერტულიანე ამგვარ ქალწულს „ქალწულ ქვრივს” (virgo vidua) უწოდებს (იქვე). როგორც ვხედავთ, ეს ორი ტერმინი („ქალწული” და „ქვრივი”) ხშირად ფარავდა ერთმანეთს და ქრისტიანი ასკეტი ქალის ერთი და იმავე სტატუსს გამოხატავდა. უძველესი ქრისტიანული წყაროები (ქალწულთა მსგავსად) ქვრივთა დადგინების (და არა ხელთდასხმის) ლოცვებსაც შეიცავს (მარტიმორი 1986: 51). ამის შესახებ ბასილი დიდი წერდა:

ვინაÁცა ქურივმან სამეოცისა წლისამან უგუეთუ აღირჩიოს კუალად  
თანამაცხოვრებელ-ყოფაÁ ქმრისაÁ, არა ღირს იქმნების ზიარებასა  
კეთილისასა, ვიდრე არა დააცხოვოს ვნებაÁ იგი არაწმინდებისაÁ. ხოლო  
უპუეთუ უწინარეს სამეოცთა წელიწადთაÁსა აღვრაცხოთ იგი ქურივთა  
თანა, ჩუქნი არს ბრალი – არა დედაკაცისაÁ მის (გაბიძაშვილი... 1975: 486)

ე. ი. თუკი სამოც წელს გადაცილებული, ქვრივთა დასში აღრიცხული ქალი  
დაქორწინდებოდა, მას ეს მრუშობის ცოდვაში ეთვლებოდა (რამეთუ ის  
„ქვრივად” აღრაცხისას უპვე იყო დაქორწინებული მარადიულ სიძეზე –  
ქრისტეზე), ხოლო თუკი სამოც წლამდე ასაკის ქალს შეიყვანდნენ ქვრივთა  
დასში, მაშინ პასუხისმგებლობა უპვე სამღვდელოებას ეკისრებოდა. ქვემოთ  
დავინახავთ, რომ ძველ ეკლესიაში არსებული ქვრივთა დასის მნიშვნელობისა  
და მახასიათებლების გააზრება კარგად დაგვეხმარება წმ. ნინოს აღმზრდელის  
სარა ნიაფორის (მიაფორის) ლიტერატურული და ისტორიული სახის უკეთ  
გაგებაში.

წმ. ნინოს ასკეტური და ქალწულებრივი ცხოვრების წესის განხილვისას  
ანკვირიისა და ელვირას კრებების ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი  
ჩვენთვის უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს, რადგან ეს კრებები ზუსტად იმ  
პერიოდში ჩატარდა, როდესაც ქართლის განმანათლებელს მოუწია მოღვაწეობა  
(ელვირის კრება დაახ. 306 წელს გაიმართა, ხოლო ანკვირიისა - 314 წელს).

კრებათა რამდენიმე კანონი დაცემულ ქალწულებს ეხება, რაც III-IV საუკუნეთა მიჯნის ქალწულებრივი ცხოვრების შესწავლისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროა. კრებათა დადგენილებებში ძირითადი აქცენტი ქალებზეა გადატანილი. ქალწულების აღთქმა ზეციურ სიძეზე ქორწინებად აღიქმებოდა, ამიტომ ანკვირიის კრების მე-19 კანონი დაცემულ ქალწულებს იმავე სასჯელს განუწესებს, რასაც მეორედ დაქორწინებულთ:

რაოდენთა აღმოქუმელთა ქალწულებისათა უგარ-ყონ აღთქუმაÁ თÂსი,  
მეორედ ქორწინებულთა კანონი აღასრულონ, ვინაÁცა მომავალნი  
ქალწულნი ვიეთნიმე, ვითარცა დანი, მოსლვად დავაყენენით (გაბიძაშვილი...  
1975: 240).

აღნიშნული წყაროებიდან ჩვენ ადრეული ეპლესის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ვიდებთ ინფორმაციას: ქრისტიანთა ნაწილი დებდა აღთქმას (ბერძნ. „ἐπαγγελία”, ლათინურში „Pactum”, ძვ. ქართულში „აღთქუმავ”) ეცხოვრათ მუდმივ უქორწინებლობაში. კანონები კრძალავს ასკეტ ქალთა და მამაკაცთა თანაცხოვრებას. ელგირისა და ანკვირიის კრებები ეკლესიაში არსებულ ამ ცხოვრების წესს არეგულირებენ. კრებები არაფერს ამბობენ თავად აღთქმის დადების გარემოებებისა და შინაარსის შესახებ.

ქალწულთა შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სხვა საეკლესიო კანონებიც, როგორებიცაა - იპოლიტები, ფსევდო-ბასილისა და ფსევდო-ათანასეს კანონები (ელმი 1994: 228). იპოლიტები კანონები რომაული სამოციქულო გარდამოცემის გადამუშავებას წარმოადგენს. მე-18 კანონი ქალწულებს სქელი თავსაბურავის (ლათ. Pallium, ინგლისურ თარგმნაში thick veil) ტარებას, ხოლო 32-ე კანონი ქალწულებს და ქრისტიანული ლოცვასა და მარხვას ავალებს (ელმი 1994: 229). საინტერესოა, რომ აღნიშნული საეკლესიო კანონები ქალწულთა და ქვრივთა ხელთდასხმას კრძალავს, ისინი მხოლოდ სამდვდელოთაგან წარმოთქმული ლოცვით „დგინდებოდნენ” (როგორც ზემოთ ავლიშნეთ) ანუ კანონები, ისევე როგორც სხვა უძველესი ქრისტიანული წყაროები (რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი) იმთავითვე განასხვავებს „ხელთდასხმასა” და „დადგინდებას” და კრძალავს ქალთა ხელთდასხმას, რადგან ხელთდასხმა მხოლოდ მამაკაცებისათვის იყო განკუთვნილი და სამდვდელო მსახურებაზე კურთხევას გულისხმობდა, რაც ქალებისთვის ყოველთვის იკრძალებოდა. ქალწულებსა და ქვრივებს მარხვასთან და ლოცვასთან ერთად უძლეურთა მსახურებაც ევალებოდათ (ელმი 1994: 229-230), „უძლეურთა

მსახურების” მომენტს ჩვენ ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით. ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას უკრძალავს ასკეტ ქალებსა და მამაკაცებს ფსევდო-ბასილისეული კანონები, ასევე შეიცავს ეპიტიმიებს დაცემული ქალწულებისათვის. საინტერესოა, რომ ეს კანონები ქალწულებსა და ქვრივებს ერთიან დასში აერთიანებს, მაგრამ ქალწულებს უპირატესად მიიჩნევს (ამ შემთხვევაში მათ შორის მკვეთრ ზღვარს ავლებს, ალბათ იმიტომ, რომ ქალწულებს ქვრივებისგან განსხვავებით სექსუალური გამოცდილება არ ჰქონიათ). ფსევდო-ათანასისეული კანონები შედარებით უფრო გვიანდელ ვითარებას ასახავს (შედგენილი უნდა იყოს დაახ. 350-450 წწ.), აქ უკვე აღთქმის დადების გარდა „სქემით” (σχῆμα) შემოსვაზეა საუბარი (ელმი 1994: 230).

ახლა მივყვეთ ნინოს ცხოვრებას და ვნახოთ, თუ როგორ ავლენს მოქცევაი ქართლისათვის – ში თავს ქრისტიანული ასკეტიზმის ძალზე არქაული პლასტი, რაც ჩვენი აზრით, ნინოს ცხოვრების ძირითადი ნაწილის ავთენტურობის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს.

ქართლის მოქცევის თანახმად ნინო კაპადოკიული არისტოკრატი მშობლების ერთადერთი შვილი იყო. მამას ზაბილონი ერქვა, დედას - სუსანა. რომის კეისრის სამსახურიდან<sup>12</sup> დაბრუნებული ზაბილონი იერუსალიმს მიაშურებს, სადაც იურუსალიმის პატრიარქის იუბენალის დას სუსანას შეირთავს ცოლად. ახლადდაქორწინებულნი ფრიგიაში, სუსანასა და იუბენალის მშობლიურ ქალაქ კოლასტეში<sup>13</sup> დასახლდებიან. აქ დაიბადება ნინო და აქ ატარებს ის თავის ადრეულ ბავშვობას<sup>14</sup>. ნინო ამ პერიოდის შესახებ ძალზე ლაკონურ ცნობას გვწვდის: „და აღმზარდა მე დედამმან ჩემმან წიაღთა შინა თვისთა მსახურებასა გლახაკთასა დღე და დამე დაუცადებლად” (გიგინეიშვილი... 1979: 330). მართალია, ცნობა მოკლეა, მაგრამ ამ მოკლე ცნობიდან მთელი იმ ქვეტექსტის ამოკითხვა შეგვიძლია, რომლითაც ჩვენ წინაშე გვიანანტიურობის ქრისტიანული ოჯახი წარმოდგება. ზაბილონსა და სუსანას მხოლოდ ერთი შვილი ჰყავთ. ლეონტი მროველის ცნობით, „ესე წმიდა ნინო, მოძღვარი

<sup>12</sup> ზაბილონის სამხედრო მსახურების ისტორიულობის დამადასტურებელი მქარი არგუმენტები აქვს წარმოდგენილი ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილს თავის კვლევაში ზაბილონიდან მირიანამდე (ნიკოლოზიშვილი 2003: 3-56)

<sup>13</sup> ჩვენი აზრით ქალაქ „კოლასტეს” ყველაზე დამაჯერებელი ახსნა ფ. ვონ ლილიენფელდი (F. von Lilienfeld) და ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა შემოგვთავაზეს (ნიკოლოზიშვილი 2006ა: 52-54). ქალაქი „კოლასტე” (კილისია/კილასია) რომის იმპერიის პროვინცია ფრიგიაში (Phrygia) მდებარეობდა (ნიკოლოზიშვილი 2006ა: 52-54)

<sup>14</sup> ვფიქრობთ ნინოს ცხოვრების ქრონოლოგიის დაახ. 300-331 წლებით განსაზღვრა სრულიად დამაჯერებელია (ვრცლად ამ ქრონოლოგიის შესახებ იხ. ნიკოლოზიშვილი 2003: 3-56; ნიკოლოზიშვილი 2006ბ: 57-60).

ქართლისა, მათგან იშვა (ე. ი. ზაბილონისა და სუსანასგან – ჰ მ.) ოდენ მხოლოდ თვისები სხვა შვილისა” (ანთელავა... 1996: 90), რაც იმას ნიშნავს, რომ ნინოს დაბადების შემდეგ, წლების განმავლობაში, ისინი როგორც „და და ძმა” ისე ცხოვრობდნენ, ემზადებოდნენ რა მომავალში კიდევ უფრო მკაცრი ასკეტური მოდგაწეობისათვის (რაც გავრცელებული პრაქტიკა იყო აღრეულ ქრისტიანებში). მშობლები რომის იმპერიის არისტოკრატიაში გავრცელებული წესს არ მისდევენ, სადაც ქალიშვილებს ცამეტი-თოთხმეტი და ზოგჯერ თორმეტი წლის ასაკშიც ათხოვებდნენ (რუთერი 1979: 73), ნინოს პირიქით „გლახაკთა მსახურებაში” ზრდიან ე. ი. არა ქორწინებისთვის, არამედ ცხოვრების სხვა, განსაკუთრებული წესისათვის ამზადებდნენ.

ზემოთდამოწებულ ლაკონურ ცნობასთან ერთად ნინოს ცხოვრების აღრეულ პერიოდზე ბევრის თქმა შეუძლია მკვლევარების დევიდ ამანდ დე მენდიეტასა (David Amand de Mendieta) და მეთიუ ჩარლზ მუნის (Matthieu-Charles Moon) მიერ აღმოჩენილ და 1953 წელს გამოქვეყნებული ანონიმური ავტორის ბერძნული ქადაგების ტექსტს. ქადაგებას ეწოდება ქალწულების შესახებ და, გამომცემელთა აზრით, IV საუკუნის დასაწყისში, 325 წლამდე (ე. ი. ნიკეის კრებამდე ანუ ნინოს თანადროულ პერიოდში) უნდა იყოს შეთხხული. ქადაგების ინგლისურად მთარგმნელის ტერეზა შოს (Teresa Shaw) თქმით:

ტექსტი ლირებული წყაროა ქრისტიანული ასკეტიზმის, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთში გავრცელებული „ოჯახური” ანუ „სახლის მონასტრების” ისტორიისათვის (შო 1990: 29).

ქადაგების ავტორი ახალგაზრდა ქალწულის მშობლებს მიმართავს, და თუკი სხვა ქრისტიან მშობლებთან ერთად ჩვენ ამ ქადაგების აღრესატებად ზაბილონსა და სუსანასაც წარმოვიდგენთ, ნინოს აღრეული ასაკისა და ცხოვრების სურათის აღდგენასაც შეგძლებთ, რადგან ცხადია, რომ ნინოც იმ ქრისტიან ქალწულთა რიგებში იყო, რომლებზეც ქადაგების უცნობი ავტორი საუბრობს. ამ ქადაგების ტექსტი ნიკეამდელი ქრისტიანული თემის მიკროორგანიზმს - ქრისტიანულ ოჯახს (ჩვენ შემთხვევაში წმინდა ნინოს ოჯახს) აღგვიწერს, სადაც ახალგაზრდა გოგო ქალწულებრივი ცხოვრებისა და სულიერი მოღვაწეობისათვის ემზადებოდა. მკვლევრები ქადაგების არქაულობას იმითაც ამტკიცებენ, რომ ავტორი არსად ახსენებს უდაბნოში მოღვაწე მონაზვნებს ან დედათა მონასტრებს, არც ქალწულების აღთქმის საზეიმოდ დადებას ან მღვდელმთავრისაგან ქალწულად დადგინდებას. საუბარი სახლის

ფარგლებს არ სცილდება. ქალწული აღთქმას, სავარუდოდ, ოჯახის გარემოცვაში დებდა და იქვე აგრძელებდა მოღვაწეობას (შო 1990: 30).

IV საუკუნისთვის ქალწულებრივმა ცხოვრებამ უფრო დახვეწილი და ინსტიტუციური სახე მიიღო. საინტერესოა რომ ქალწულთა თემები ეპისკოპოსთა გავლენისა და ძალაუფლების აუცილებელ ატრიბუტად იქცა (ბრაუნი 2008: 259-260). აღთქმის დადების შემდეგ ეს ახალგაზრდა ქალები უკვე აღარ იყვნენ ჩვეულებრივი ქრისტიანები, არამედ თითოეული მათგანი ლვოისათვის მიძღვნილ განსაკუთრებულ წმინდა ჭურჭელს წარმოადგენდა (ბრაუნი 2008: 260), რომელიც ცხოვრებას ადგილობრივი ეპისკოპოსისა და მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ აგრძელებდა და სულიერ მოღვაწეობას<sup>15</sup>.

თორმეტ წელს მიღწეული ნინო მშობლებმა იერუსალიმში წაყვანეს. სწორედ ამ ასაკში დებდნენ გოგონები ქალწულების აღთქმას (ქუნი 1997: 86) და ვფიქრობთ, წმინდა ნინოც არ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი. ამ მნიშვნელოვან მოვლენას უნდა უკავშირდებოდეს მისი იერუსალიმში წაყვანა (როგორც ჩანს, ნინო უკვე ქალწულთა მწყობრში იყო „ადრაცხული”). ზაბილონმა და სუსანამ თავიანთი დიდი ხნის სურვილი აისრულეს: მთელი ქონება გაყიდეს და გლახაკებს დაურიგეს. ზაბილონმა პატრიარქისაგან „ჯვარი დაიწერა“ (ანუ კურთხევა აიღო) და იორდანეს უდაბნოში წავიდა „კაცთა მათ თანავე ველურთა რომელი რას ყოფა მისი იცის უფალმან იესუ“ (გიგინეიშვილი... 1979: 330)<sup>16</sup>.

ნინოს გარემოცვაში, ძირითადად, ქალები არიან. პირველ ყოვლისა დედა - სუსანა. „ხოლო დედაი ჩემი მისცა პატრეარქმან დედათა უძლურთა მსახურად“, - იგონებდა ნინო სიკვდილის წინ (გიგინეიშვილი... 1979: 333). სუსანა ქმართან ნებაყოფლობითი დაცილების შემდეგ ცხოვრებას განსაკუთრებული წესით აგრძელებს. ის აღარ არის დაოჯახებული, დაქორწინებული ქალი,

<sup>15</sup> სხვათა შერის აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხმირად ქალიშვილები საკუთარი მშობლების ხელში ფინანსურ-მატერიალური გამორჩენის იარღებადაც იქცევოდნენ, როგორც ბასილი დიდი გვაუწევებს, ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მშობლები ან მმები ან ნათესავები ძალით აღებინებდნენ გოგოებს ქალწულების ათქმას, რათა მზითევთან დაკავშირებული ხარჯებისათვის თავი აერიდებინათ (ბრაუნი 2008: 260-261).

<sup>16</sup> ნინოს ცხოვრება აქაც რეალურ ისტორიულ ცნობებს გვაწვდის. ცნობილია რომ პალესტინაში ორგანიზებული სამონასტრო ცხოვრების დაწყებამდე, იუდას უდაბნოში მარტომყოფელი მოღვაწენი, განდევგილი მეუდაბნოენი მოსაგრეობდნენ. IV საუკუნის დასაწყისის განდევგილის სარიტონის (პალესტინური ბერმონაზვნობის ერთ-ერთი მამამთავრის) ცხოვრებაში ისხენიებიან მეუდაბნოე მამები, რომლებიც უდაბნოში ხარიტონამდე „საგრობდნენ“: „და მას ქამსა ფრიად მცირე იყვნეს მამანი უდაბნოს და ივლტოდეს პირისაგან უდმრთოთავსა და იყოფოდეს ქუაბთა კალამონისათა აქა და იქი“ (იმნაიშვილი 1975: 131; დი სენი 1990: 394-395)

ქმართან ერთად სუსანა ნინოსაც შორდება და მთლიანად „უძლურ დედათა მსახურებაში” ერთვება, თუმცა არსენ იყალთოელის გადმოცემით, მისი მოვალეობა მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. არსენის ცნობით, მას შემდეგ რაც იუბენალი და სუსანა იერუსალიმში ჩავიდნენ (არსენი მათ სახელებს არ გადმოგვცემს) იუბენალი იერუსალიმის პატრიარქი გახდა, ხოლო სუსანა „მსახურებდა წმიდასა აღდგომასა და ჰმორჩილობდა დედაკაცსა დირსსა და წარჩინებულსა სარრას ბეთლემელსა” (აბულაძე 1963: 11). ეს მცირე პასაჟი „ნინოს ცხოვრების” არქაულობის კიდევ ერთ ძალზე ცხად დადასტურებას წარმოადგენს და ქვემოთ შევაცდებით ავხსნათ, თუ - რატომ.

ზემოთქმულთან კავშირში აუცილებლად უნდა შევეხოთ ძველ ეკლესიაში არსებულ დიაკონისობის, ანუ დედათდიაკვნობის ინსტიტუტს. ადრეულ ეკლესიაში დედათდიაკვნობის მსახურების წარმოშობაზე საუბრისას მკვლევრები იმ მიზეზებსა და ფაქტორებს ეხებიან, რამაც ქალთა მსახურების ამგვარი ფორმის ჩამოყალიბება განაპირობა. ემე ჟორჟ მარტიმორმა (Aimé Georges Martimort) თავის მნიშვნელოვან მონოგრაფიაში დედათდიაკვნობის შესახებ საფუძვლიანად მიმოიხილა აღნიშნული საეკლესიო ინსტიტუტის გენეზისი და განვითარება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებში. როგორც მარტიმორმა გაარკვია, პირველად დედათდიაკვნების მსახურების ხენებას დიდახალიაში ვხვდებით (შექმნილი უნდა იყოს III საუკუნის I ნახევარში და ჩვენამდე მოღწეულია სირიულ ენაზე), ასევე ისეთ ძეგლებში, როგორებიცაა სამოციქულო განწევებანი, აღთქმა უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტეს და ა. შ.<sup>17</sup> რა იყო დედათდიაკვანთა უპირველესი მოვალეობა? ამის შესახებ დიდახალიაში პირდაპირაა საუბარი, სადაც დიაკვანთა და დედათდიაკვანთა<sup>18</sup> დადგინების

<sup>17</sup> უფრო ადრე დედათდიაკვნების ხენება არ გვხვდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს წოდება ეკლესიაში მანამადე არც არსებობდა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, პირველი დიაკონისა ფიბე უნდა ყოფლიყო, რომელსაც მოციქული პავლე ახსენებს, თუმცა საკითხის უფრო სიღმისეულად შესწავლა ცხადყოფს, რომ ფიბეს დედათდიაკვნობის მსახურებასთან საერთო არაფერი ჰქონდა, რადგან ფიბესთან მიმართებით პავლე მოციქულის მიერ გამოყენებული ტერმინი „ბიაკონია“ ზოგადად მსახურებას ნიშნავს და არა სპეციფიკურად დედათდიაკვნის მსახურებას (მარტიმორი 1986: 18-20).

<sup>18</sup> აქვე ხაზგასმით უნდა ავლიშნოთ, რომ ხშირად თანამედროვე ფემინისტი ისტორიკოსები, რომელიც ქალების ხელთდასხმისათვის თეოლოგიური არგუმენტაციის ძიებით არიან გატაცებული, პირველწყაროებში უშედეგო კირკიტის შემდეგ, ფანტაზიას ფართო გასაქანს აძლევენ და ამტკიცებენ, რომ ადრეულ ქრისტიანობაში დედათდიაკვნობის ინსტიტუტი ქალთა მდვდელმსახურების ფორმა იყო, გათანაბრებული დიაკვნობის საეკლესიო ხარისხთან. უნდა იოქვას, რომ ამ შეხედულებას რაიმე ისტორიული საფუძველი არ გააჩნია. დედათდიაკვნობა საეკლესიო ხარისხი არ ყოფილა, რაც ძალიან ცხადადა ნათქვამი დედათდიაკვანთა დადგინების

წესია მოცემული. პირველ რიგში დედათდიაკვანებს მოვალეობა იყო ეპისკოპოსებსა და მღვდლებს ქალების ნათლობაში დახმარებოდნენ. საქმე ისაა რომ ნათლობისას ყველას, მათ შორის ქალებსაც, გაშიშვლება უწევდათ. დიდახალის თანახმად (და ზოგადად ქრისტიანული მოსაზრებებიდან გამომდინარე), არ იყო სასურველი, მღვდელმსახურს ქალის შიშიშვლე ეხილა, ამიტომ საიდუმლოს გარკვეული ნაწილის შესრულებაში მას დედათდიაკვანი უნდა დახმარებოდა. მეორე მიზეზი თუ რატომ გახდა საჭირო ძველ ეკლესიაში დედათდიაკვანთა მსახურება ამ ტექსტის მიხედვით შემდეგია:

ცხადია, რომ დედათდიაკვნები საჭირო არიან წარმართოა იმ სახლებში მისასვლელად, სადაც ქრისტიანი ქალები ცხოვრობენ. დედათდიაკვნებს შეუძლიათ იქ მისვლა და მათი მონახულება, ვინც უძლურებაშია, რათა ემსახურონ მათ ყოველგვარ საჭიროებაში და განბანონ ისინი, ვინც გამოჯანმრთელების გზას ადგას (ციტირებულია მარტიმორის მიხედვით, მარტიმორი 1986: 39).

პარალელები ნინოს ცხოვრებასთან ძალიან თვალსაჩინოა. სუსანაც ხომ „უძლურ დედებს“ ემსახურებოდა. თხზულებაში ძალზე ზუსტად და ნათლად აისახა იმდროინდელი (III-V სს.) საეკლესიო მსახურების ერთ-ერთი თავისებური ელემენტი. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში კიდევ სხვა რამაა საინტერესო. საქმე ისაა, რომ ნინოს ცხოვრების ტექსტის ოთხი უძველესი რედაქციიდან სუსანა „დედათდიაკვნად“ არც ერთში არაა მოხსენიებული. ეს გარემოება ამ ტექსტთა ძირითადი ფენის არქაულობის დამადასტურებელი კიდევ ერთი უნიკალური ფაქტია. საქმე ისაა, რომ იერუსალიმის ეკლესიაში VI საუკუნემდე დედათდიაკვნები საერთოდ არ იხსენიებიან,<sup>19</sup> მათ შორის არც IV საუკუნის პილიგრიმი ქალის ეგერიას თხზულებაში, სადაც იერუსალიმური ლიტურგიის უაღრესად ძველი ფორმებია აღწერილი (იხ. უილსონ-ქასნერი... 1981: 71-158), იერუსალიმის ეკლესიის საღვთისმსახურო ტექსტებში (მაგ., წმ. იაკობის ლიტურგიაში) კი დედათდიაკონთა ხსენება მხოლოდ X-XI საუკუნეებში იწყება (მარტიმორი 1986: 122). იერუსალიმში დედათდიაკვნების მოვალეობას ქალწულები

---

ლოცვათა უძველეს ტექსტებში (მარტიმორი 1986: 156) ანუ დიაკვნობა სამდვდელო მსახურება იყო, დიაკვანი საღმრთო მსხვერპლშეწირვის – ევქარისტიის აღსრულებაში მონაწილეობდა, ხოლო დედათდიაკვანს მსგავსი მსახურება აკრძალული პქონდა, ეს მსახურება თანამედროვე სტიქაროსანთა მსახურებას უფრო მოგვაგონებს. ხოლო ზოგიერთ ეკლესიაში ამგვარი მსახურება საერთოდ არც არსებობდა, როგორც მაგალითად კოპტურ, ეთიოპიურ და, გარკვეული პერიოდი, იერუსალიმურ ეკლესიებში (მარტიმორი 1986: 76-100; 122).

<sup>19</sup> VI საუკუნიდან გვაქვს რამდენიმე ეპიგრაფიკული წარწერა, სადაც დედათდიაკვნები არიან ნახსენები (მარტიმორი 1986: 122).

ასრულებდნენ (უილსონ-კასნერი 1981: 74) ანუ „ნინოს ცხოვრების” წერისას იერუსალიმში დედათდიაკვნები არ ყოფილან, ამიტომაც არ იხსენიება სუსანა დედათდიაკვანად, მაშინ როცა სრულიად აშკარაა, რომ ის უშუალოდ დედათდიაკვნის მოვალეობას ასრულებდა.

მეორე არგუმენტი ჩვენი შეხედულების დასამტკიცებლად: როგორც ზემოთ დავიმოწმეთ, არსენი გადმოგვცემს, რომ იერუსალიმში ჩასული სუსანა „წმიდასა აღდგომასა პმსახურებდა” ანუ იერუსალიმის წმინდა აღდგომის სახელობის ტაძარს ემსახურებოდა. როგორც ჩანს, არსენი ან მოქცევამ ქართლისაფ-ს ჩვენთვის ცნობილ რედაქციებთან ახლოს მდგომი, მაგრამ ინფორმაციულად უფრო მდიდარი რედაქციით სარგებლობდა, ან რაიმე სხვა დამატებით ცნობებს იყენებდა, რადგან სუსანას მსახურება წმინდა აღდგომის ტაძრისადმი სხვა არც ერთ რედაქციაში არ იხსენიება, მაშინ როცა ეს ცნობა ნინოს ცხოვრების გენეზისის კვლევისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ IV საუკუნის პილიგრიმი ქალის ეგერიას თხზულება, სადაც ის იერუსალიმიური ლიტურგიის არქაულ ფორმას აღწერს. ეგერიას გადმოცემით იერუსალიმის ტაძარს სწორედ ქალწულები ემსახურებიდნენ (უილსონ-კასნერი... 1981: 108-109). ეს ქალწულები იხსენიებიან, როგორც *Apotacticoi*, რაც წუთისოფლისგან განდგომილთ ნიშნავს. ქრისტიანთა ეს კატეგორია უარს ამბობდა საერო ცხოვრებაზე და თავს მთლიანად გლახაკო მსახურებასა და წმ. აღდგომის ეკლესიის მსახურებას სწირავდნენ. ასე რომ, ნინოს ცხოვრების ავთენტურობისათვის ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა, აქ ერთი სერიოზული დაბრკოლებაა. თუკი ვიგულისხმებთ, რომ ნინო IV საუკუნის დასაწყისში დაიბადა, მაშინ ბავშვობისა და ახალგაზრდობის პერიოდში შეუძლებელია ვისაუბროთ იერუსალიმის აღდგომის ტაძარზე, რადგან ეს ტაძარი იმ დროს საერთოდ არ არსებობდა (ნინომ იერუსალიმში 312-314 წლები გაატარა (იხ. ნიკოლოზიშვილი 2003: 55), აღდგომის ტაძარი აიგო დაახ. 326 წელს). მაშინ სად მსახურობდა სუსანა? შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ არქეტიპულ რედაქციაში საუბარი პალესტინის საერთოდ სხვა ქალაქზე იყო, რადგან ცხადია, რომ ნინოს ბიძის იერუსალიმის პატრიარქად ყოფნაც გვიან ჩამატებულია. აშკარაა რომ ეს ქრონოლოგიური შეუსაბამობა შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ქართლის მოქცევის თანახმად, ახალგაზრდობაში, სუსანა იერუსალიმში მცხოვრები სომეხი ქალის - (რომელიც წარმოშობით დვინიდან ყოფილა) სარას

- მოწაფე იყო. ნინოს იერუსალიმში ჩასვლისა და მშობელთაგან მოღვაწეობითი ცხოვრების გზის არჩევისას, სარა უკვე მოხუცი იყო, ამიტომ მოქცევად მას „დედაბრად” მოიხსენიებს. პატრიარქმა ნინო სარას ჩააბარა, ნინო მას ორი წლის განმავლობაში ემსახურა. არსენ იყალთოელი სარას დამოწაფებული ნინოს სახეს განხაკუთრებულად ასკეტურ ფერებში წარმოაჩენს. ნინოც დედის მსგავსად „მარადის ჰმსახურებდა წმიდასა აღსადგომელსა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა” (აბულაძე 1967: 14). ნინოს დვოისმშობლის „ხატი მოეგო სურვილით და წინაშე მისსა მდგომარე სენაკსა შინა თვესა მარადის განკრძალულ იყო ლოცვასა და ვედრებასა” (იქვე: 15). არსენი გადმოგვცემს ნინოს ხილვასა და დვოისმშობლის მიერ მისთვის ვაზის ჯვრის გადაცემას (იქვე: 16-17). ბუნებრივია, არსენი მეტაფრასულად აღწერს ნინოს ცხოვრებას და ძველ, ლაკონურ ცნობებს საკუთარი ფანტაზიით ავსებს, თუმცა ძველი წყაროების მსგავსად ხაზს უსვამს, რომ სარა ნინოს სულიერი აღზრდითა და ხელმძღვანელობით იყო დაკავებული.

ვინ იყო სარა მიაფორი (ნიაფორი)? ნინოს ცხოვრებაში მასზე მცირე, თუმცა მრავლისმეტყველი ცნობებია დაცული.

*ნინოს ცხოვრების* ამ, მართალია, ეპიზოდურ, თუმცა კი ბალიან მნიშვნელოვან ფიგურაში, ჩვენ ქარიზმატულ ქალს ვხედავთ, რომლის სულიერმა მოძღვრობამაც ნინოს მომავალ მოღვაწეობაში ბევრი რამ (შეიძლება ითქვას, რომ მთელი მისი მოღვაწეობა) განსაზღვრა. სარაში ქალწულის (და ამასთანავე ქვრივის), მოძღვრისა და წინასწარმეტყველის სახეები ერთიანდება. სწორედ სარასგან შეიტყობს ნინო „ჩრდილოეთის ქვეყნის”, ანუ ქართლის, შესახებ. სარა ნინოს ქრისტიანულ მოძღვრების საფუძვლებში განსწავლიდა. ძველ ეკლესიაში ფართოდ იყო გავრცელებული ახალგაზრდა ქალწულთა მხცოვანი, განსწავლული ქალწულებისა და ქვრივებისათვის აღსაზრდელად ჩაბარების პრაქტიკა. მართალია, ქალს ეკლესიაში ქადაგება და მასწავლებლობა ეკრძალებოდა, მაგრამ ზემოსენებული პრაქტიკა მათთვის ქრისტიანთა მომავალი თაობების აღზრდისა და დამოძღვრის ალტერნატიულ გზას წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით წყაროებში არაერთი საყურადღებო ცნობაა დაცული. მაგ. IV საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთ პაპირუსში მოიხსენიება ქალი, რომელსაც „დიდასკალი” ანუ მოღვარი, მასწავლებელი ეწოდება: „Κυρίαν τήν διδάσκαλον” (ტექსტში აკუზატივის ბრუნვითაა მოცემული) (ელმი 1994: 246). მართალია, ჩვენთვის ცნობილია „დიდასკალის” თანამდებობა

ალექსანდრიის კატეხეზისის სკოლიდან, რომელიც პანტენოსს, კლიმენტისა და ორიგენეს, მოგვიანებით კი იშვიათი გამონაკლისის გარეშე, საეკლესიო იერარქიის წარმომადგენლებს ეკავათ (ანუ მხოლოდ მამაკაცებს), ისიც ვიციო, რომ პავლე მოციქულის თანახმად ქალებს ეკლესიაში მოძღვრობა და მასწავლებლობა ეკრძალებოდათ (1ტიმ. 2 : 11-14), მაგრამ - საქმე ისაა - რომ პავლე მოციქული ქალებს კაცების დამოძღვრას უკრძალავას საჯარო ადგილებში, პირველ ყოვლისა, შესაკრებელში ანუ - ტაძარში, მაგრამ ქალებს შეეძლოთ თავიანთი სქესის ახალგაზრდა წარმომადგენლები განესწავლათ, რაც ქვრივების ერთ-ერთი მოვალეობა და ძველ ეკლესიაში გავრცელებული პრაქტიკა იყო, სარაც სწორედ ამგვარი „კύρια ḥ διδάσκαλος” უნდა ყოფილიყო. როგორც გხედავთ, ამ შემთხვევაშიც ნინოს ცხოვრებაში ადრეული ეკლესიის ცხოვრების კიდევ ერთი არქაული ელემენტია დაცული და ბუნებრივია მისი გვიან, VII ან IX საუკუნეში ჩამატება თითქმის გამორიცხულია (მაშინ როცა ამ არქაული ფორმების რეკონსტრუქცია ხშირად თანამედროვე ისტორიკოსებისთვისაც კი რთულია).

ნინო სარას „გნებათა მათთვის ქრისტესთა, ჯუარ-ცუმისა და სამოსლისა მისისა და ჯუართა და ტილოთასა და სუდარისასა ყოველსა მიწყებით” პკითხავდა, „რამეთუ არავინ ყოფილ იყო, არც იყო შორის იერუსალემს ზომი მისი მეცნიერებათა შჯულსა გზასა ძუელსა და ახალსა”. საინტერესოა, რომ წყარო სარას, განსწავლულობით, არათუ ქალებს შორის, არამედ მთელ იერუსალიმში გამოარჩევს. ეს შემთხვევითი არაა, რადგან საერთოდ ქრისტიანულ ლიტერატურაში ნაკლებად აღნიშნავდნენ ხოლმე ქალის ღვთისმეტყველებაში განსწავლულობას (კლარკი 1993: 130-138). სარას ერთ-ერთი მოვალეობა ახალგაზრდა ქალწულების აღზრდა იყო, რაც იერუსალიმის ეკლესიაში მის განსაკუთრებულ სტატუსზე მეტყველებს. ამგვარი სტატუსი მას, ჩანს, დიდი ხანია, რაც ჰქონდა, რადგან სარა ნინომდე სუსანასაც მოძღვრავდა. ამ რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით ძნელი არაა მივხვდეთ, რომ კეთილმსახური სომეხი „დედაბერი” ადრეული ასაკიდანვე ქრისტეს იყო დამოწაფებული და მისთვის, როგორც „სასძლო”, ქალწულებრივად ცხოვრობდა და მდიდარი სულიერი გამოცდილებისა და ცოდნის ქრისტიან ქალწულთა ახალი თაობებისათვის გადაცემით იყო დაპავებული.

მაგრამ ქალწულისა და ქრისტიანული ცხოვრების მასწავლებლის გარდა სარა ნიაფორში, ადრეულ ქრისტიანობაში ქალებისათვის ასე დამახასიათებელ წინასწარმეტყველის სახესაც ვხედავთ.

ადრეულ ქრისტიანობაში სულიწმინდა მუდმივმოქმედ, ცხოველმყოფელ სულად აღიქმებოდა (და ასე აღიქმება დღემდე), რომელიც მარადუამს მყოფობდა რა ეკლესიაში, მისი მოხვეჭა ნებისმიერ ქრისტიანს შეეძლო, მაგრამ ამავდროულად დვთის სული ქრისტიანთა შორის თავისთვის განსაკუთრებულ ჭურჭელსაც გამოარჩევდა, რომლის მეშვეობითაც მორწმუნეთა კრებულს ესაუბრებოდა. ქრისტიანობამ სხეულის მიმართ განსაკუთრებული, და ელინისტურ და გვიანანტიკურ სამყაროში მანამდე არსებულ რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობათაგან განსხვავებული, დამოკიდებულება მოიტანა. მართლმადიდებელი ეკლესია, ზოგიერთი გნოსტიკური მიმდინარეობის საპირისპიროდ, არა სხეულის, როგორც ბოროტების უარყოფას, არამედ მის გარდაქმნას და თავდაპირველ სამოთხისებურ მდგომარეობაში დაბრუნებას (და უფრო მეტიც განდმრთობას) ქადაგებდა, ასკეტიზმს - ქალწულებას ამ ტრანსფორმაციაში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა, რადგან ქრისტიანს თავისი სხეული დვთის ტაძრად უნდა ექცია, ამიტომ წინასწარმეტყველება და ქალწულება (ასკეტიზმი) თავიდანვე მტკიცედ დაუკავშირდა ერთმანეთს (ბრაუნი 2008: 68-69).

როგორც ცნობილია, ძველ ეკლესიაში ქალებს პირველი ქრისტიანული თემის ჩამოყალიბების დროიდანვე არ ეძლეოდათ იერარქიული მსახურების (მდვდელსახურების) ნება, ამიტომ ადამიანთა სულიერი წინამდოლები ისინი პირადი ქარიზმისა და მადლმოსილების საფუძველზე ხდებოდნენ (რუთერი... 1979: 19). ქრისტიანის სიწმინდე მოიზიდავდა სულიწმინდას, რომელიც მორწმუნები მკვიდრდებოდა და წინასწარმეტყველების ნიჭით აჯილდოებდა მას. ადრეულ ეკლესიაში წინასწარმეტყველი ქალები განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ (რუთერი... 1979 : 21). მათი როლი არა მარტო მართლმადიდებელ ეკლესიაში, არამედ სხვადასხვა ჰეტეროდოქსულ ჯგუფებშიც დიდი იყო, ამ ფაქტის წარმოსაჩენად მონტანიზმის გახსენებაც საკმარისია. II საუკუნის შუა ხანებში ფრიგიაში წარმოქმნილი მონტანისტური მოძრაობაში ამ მოძღვრების დამფუძნებელთან მონტანთან ერთად მისი თანამოღვაწე წინასწარმეტყველი ქალები პრისკილა და მაქსიმილაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, ასევე გამორჩეული როლი ენიჭებოდათ ქალებს მარკონელებთან, კარპოკრატელებთან

და სხვა ერეტიკულ ჯგუფებში, ქალებისათვის მსახურების ამგვარი ალტერნატივა მართლმადიდებელ ეკლესიაში, როგორც აღვნიშნეთ, ქვრივობა (ქალწულება) და დედათდიაკვნობა იყო (კლარკი 1990: 23).

სარა, როგორც წინასწარმეტყველი, წარმოჩინდა სიტყვებით, რომლებითაც მან ნინოს მიმართა, სანამ ეს უკანასკნელი მისიონერულ მოგზაურობაში გაემართებოდა:

ვხედავ შვილო ძალსა შენსა ვითარცა ძალსა ლომისა მუკისასა, რომელი იზახებნ ყოველსა ზედა ოთხფერჯსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის უფროდს მამლისა და ყოველი ქუეყანად გუგასა თუალისა მისისა, მცირესა მარგალიტის სწორსა, შეაყენის და განიხილის საჭმელი მისი, ცეცხლებრ დაინახის, მიუტევის ფრთხი შრიალებად და მიმართის მის ზედა. ეგრეთ იყოს ცხორებად შენი წინამძღვრებითა სულისა წმიდისადთა (გიგინეიშვილი... 1979: 333).

ზემოდამოწმებული სიტყვები ცხადპყოფს, რომ თხზულების ავტორს (რედაქტორს) სარა წინასწარმეტყველ ქალად წარმოუდგენია, თუმცა ნინოსადმი მისი ეს მიმართვა არა მხოლოდ სარას წინასწარმეტყველების უნარს უსვამს ხაზს. ის გაცილებით მეტს გვეუბნება არა მარტო სარასა და ნინოზე, არამედ მთლიანად ნინოს ცხოვრების ხასიათზე. სარა ნინოს არათუ მამაკაცთა თანასწორად, არამედ მათზე აღმატებულადაც აცხადებს („ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის უფროის მამლისა“). აქ კიდევ აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ გვიანანტიკურობის შემდეგ ქალის, როგორც წინასწარმეტყველის, აღქმა დაიკარგა, ქალთა ამ ქარიზმატულ მსახურებას განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ადრეულ ქრისტიანობაში ენიჭებოდა (რეიდერი 1981: 3), რისი გათვალისწინებაც წმინდა ნინოს ცხოვრების შესწავლისას ძალიან მნიშვნელოვანია.

ეკლესიის მამათა თხზულებებში ქალების მიმართ ერთობ ამბივალენტური დამოკიდებულება გვხვდება (ქუნი... 1990: 4). თუკი ზოგიერთ თხზულებაში ქრისტიანი ავტორები ქალებს მრავალი ცოდვის (პირველ ყოვლისა ევს შეცოდების) გამო მოუწოდებენ რა ქმრებისადმი მორჩილებასა და თავმდაბლობას, სხვაგან ქალებს მამაკაცებზე სულიერად აღმატებულებადაც კი წარმოაჩენენ (ქუნი 1983: 27-76). საერთოდ ანტიკურ და გვიანანტიკურ საზოგადოებებში გავრცელებული იყო ქალის, როგორც „დამცრობილი მამაკაცის“, სუსტი და კაპრიზული არსების გაგება. წარმართ და ქრისტიან

ავტორებთან ქალურობა, ხშირ შემთხვევაში, კნებებთან და ირაციონალურობასთან (ამ სიტყვის უარყოფითი გაგებით) ასოცირდებოდა (კლარკი 1993: 119), ამიტომ თვით ქრისტიანი მოღვაწე ქალებიც კი ამგვარად გაგებული „ქალურობის”, გადალახვას ცდილობდნენ, რჩებოდნენ რა სხეულით ქალები, მათი გონება ასკეტური მოღვაწეობის შედეგად „მამაკაცებრივი” ხდებოდა, მაგალითად, როდესაც ორმა მონაზონმა ცნობილი ეგვიპტელი განდეგილის ამმა სარას თავმდაბლობაში გამოცდა მოისურვეს, მასთან მივიღნენ და უთხრეს, რომ არ გაამპარტვანებულიყო იმაზე ფიქრით, რომ მასთან, უბრალო ქალთან, თვით მეუდაბნოე ანაქორებები მოდიოდნენ, რაზეც ამმა სარამ უპასუხა: „ბუნებითად დედაკაცი ვარ, მაგრამ ჩემი აზრების მიხედვით მე მამაკაცი ვარ, ხოლო თქვენ დედაკაცები” (კლარკი 1993: 129). საინტერესოა, რომ სწორედ ასეთი დამოკიდებულების ერთგვარ გამოძახილს ვპოვებთ ნინოს ცხოვრებაშიც, როდესაც ნინოს დვაწლს ავტორი მამაკაცისას ადარებს:

ნეტარმან და სანატრელმან ნინო, რომელი გვექმნა მახარებელ გულთა ჩვენთა და ემბაზ სულთა და ხორცთა ჩვენთა, გვაუწყა ჩვენ მამაკაცებრ ერთარსებად წმიდისა სამებისად, რომელი არა დააყენა დედობრივმან ბუნებამან და არცა უძლურებამან ხორცთამან დააბრკოლა გზათა ძნელთა და ფიცხელთა (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (გიგინეიშვილი... 1979 : 330).

ე. ი. აქაც „დედაკაცური ბუნება”, გარკვეულწილად, არასრულყოფილად, „ფიცხელი და ძნელი გზებისათვის”, მძიმე დვაწლისათვის შეუფერებლად, ხოლო „მამაკაცებრ” მოქმედება იდეალურ, მისაბაძ მაგალითად ითვლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ქრისტიანული მოძღვრების ერთი საყურადღებო გარემოებაა გასათვალისწინებელი: ეკლესიის სწავლების თანახმად, ესქატოლოგიურ პერსპექტივაში სქესობრივი განსხვავება ქრება. ქრისტეში გაერთიანებულ ადამიანებში უკვე ადარაა „არც მამაკაცება, არც დედაკაცება”, რაც ყველაზე თვალნათლივ მაშინ გამოჩნდა, როდესაც კაპადოკიელმა ქალწულმა ქართლის საზღვრები გადმოლახა და საკუთარი უძლურებით შეშინებულს, ჩაძინებულს ხილვა ჰქონდა. ჯავახეთში მცხეთისკენ მომავალ გზაზე ნანას ხილვას, ქართლის მოქცევის თანახმად, ნინო თავად იგონებს:

მივხედენ მთათა ჩრდილოსათა, რამეთუ დღეთა ზაფხულისათა სავსენი ჩნდეს პირირითა და თოვლითა სასტიკითა. და შევძრწუნდი ფრიად და ვთქჲ: „უფალო, უფალო, მიმიღე სული ჩემი ჩემგან”. და მოვიღე ლოდი ერთი და დავიდევ სასოფლაო თავსა, და გარდასადინელსა მის ტბისასა დავიძინე.

და მოვიდა ჩუქენებით კაცი ერთი ჰასაკითა ზომიერი, თმითა ნახევარ-თმოსანი. და მომცა მე წიგნი დაბეჭდული და მრქუა მე: „ადდეგ და სწრაფით მიართვი ესე მცხეთას მეფესა წარმართოასა”. და ვიწყე ტირილით ვედრებად მისსა და ვარქუ: „უფალო, დედაკაცი ვარ უცხომ და უმეცარი, ვითარ მივიდე მე, არცა ენად ვიცი, თუ რად ვთქუა უცხოთა ნათესავთა თანა?” მაშინ განხსნა წიგნი იგი და მომცა მე კითხვად. დაწერილ იყო პრომაულებრ და დაბეჭდული იყო იქსუსი. დაწერილნი იყვნეს ათნი სიტყუანი, ვითარცა პირველ ფიცართა ქვისათა. პირველი სიტყუა: „სადაცა იქადაგოს სახარებად ესე, მუნცა ითქუმოდის დედაკაცი ესე. ბ. არცა მამკაცებად, არცა დედაკაცებად, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ. გ. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-სცემდით სახელითა მამისამთა და ძისამთა და სულისა წმიდისამთა. დ. ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა დიდებად ერისა შენისა ისრაელისა. ე. სადაცა იქადაგოს სახარებად ესე სასუფეველსა, ყოველსა სოფელსა ითქუმოდეს. ვ. რომელმან თქუენ შეგიწყნარეს, მე შემიწყნარებს, და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნარებს მომავლინებულსა ჩემსა. ზ. ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენნ სიბრძნესა ჭეშმარიტსა. ე. ნუ გეშინინ მათგან რომელთა მოსწყვიდნენ ხორცი თქუენნი, ხოლო სულსა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად. თ. პრქუა მარიამ მაგდალინელსა იესუ: „წარვედ დედაკაცო და ახარე ძმათა ჩემთა. ი. სადაც პქადაგებდეთ სახელითა მამისამთა და ძისამთა და სულისა წმიდისამთა; და ვითარცა ესე წავიკითხე, ვიწყე ვედრებაი ღმრთისა მიმართ და გულისხმა-ვყავ, ვითარმედ ზეცით იყო ჩუქენებაი ესე. და აღვიხილენ თუალნი ჩემნი ზეცად და მაღალი გაკურთხე და მისგან გითხოვე შეწევნად ჩემი ჭირთა შინა. და გარდასამოდინელსა ტბისასა მივჰყევ და წარვემართე (გიგინეიშვილი... 1979: 333).

ამ პასაუში გვიანანტიკურობაში ქალებთან დაკავშირებულ უმთავრეს სტერეოტიპს (რომელიც ორივე სამყაროში, წარმართულშიც და ქრისტიანულშიც მკვიდრად იყო ფეხმოკიდებული) ძალიან კარგად გამოხატავს შემინებული ნინოს სიტყვები: „უფალო, დედაკაცი ვარ უცხოა და უმეცარი...”. ნინო ქალია – სუსტი არსება, ამასთან სრულიად უცხო ქვეყანაში მყოფი, არ იცის ამ ქვეყნის არც ენა და არც წეს-ჩვეულებები. ნინო საერთოდაა ამოვარდნილი გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ტრადიციული კულტურის კონტექსტიდან. ახალგზარდა უცნობი ქალი უცხო ქვეყანაშია მამის, ქმრის, ძმის ან სხვა ძლიერი ნათესავის

(რა თქმა უნდა, მამაკაცი ნათესავის) მფარველობის გარეშე, მაგრამ ნინოს ცხოვრების, ისევე როგორც აპოკრიფული საქმეების მთელი ლაიტმოტივიც ესაა – მარიამმა თავისი მორჩილებით ევას ურჩობა გამოისყიდა, დვთისაგან წამოსული კურთხევის შეუსრულებლობა ქალური სისუსტითა და მორჩილებით ვერ გამართლდება, რადგან ქრისტიანულ მსახურებაში სქესობრივ განსახვავებას მნიშვნელობა აღარ ენიჭება („ჰასაკითა ზომიერი, ნახევართმოსანი კაცი” ნინოს პავლე მოციქულის სიტყვებით მიმართავს: „არა არს არცა მამაკაცება, არცა დედაკაცება, არამედ თქუენ ყოველნი ერთნი ხართ”). უნდა აღინიშნოს, რომ ასკეტური ცხოვრების წესი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში (განსაკუთრებით ფემინისტ ისტორიკოსებს შორის) ხშირად გაიგება, როგორც გვიანანტიკურობის ქალებისათვის გათავისუფლების (ემანსიპაციის) გზა, რადგან მათ აღარ უწევდათ საზოგადოებისა და კულტურისაგან დადგენილი ტრადიციული როლების მორგება და შეთავსება, ქარიზმატული სულიერი წინამდღოლობა, მოწამეობა და ასკეტიზმი მათ მამაკაცების გვერდით აყენებდა (კლარკი 1990: 20-24), რაც ადრეულ ეკლესიაში ქალთა ასკეტური ცხოვრების ხასიათის, ერთმნიშვნელოვნად, მცდარი აღქმაა. სუსან ეშბრუკ ჰარვის (Susan Eshbrook Harvey) საინტერესო დაკვირვებით:

...წმინდა ქალები, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ, არ ცდილობდნენ სოციალური ან კულტურული წნევის მოშორებას, როგორც მათი ქმედებებიდან გამომდინარე შეიძლებოდა გვეფიქრა. გრძნობა, რომელიც მათ ტრადიციული ჩარჩოების გარღვევისკენ უბიძგებდა, არ იყო ეგოიზმი ან პატივმოყვარეობა, უფრო პირიქით. ეს იყო იმის შეგრძნება, რომ დმერთი მათ განსაკუთრებული დვაწლის აღსრულებისკენ მოუწოდებდა. ამიტომ მათ უნდა აღესრულებინათ ეს დვაწლი. ეს იყო საკუთარი თავის გადალახვა, ანუ საკუთარი თავის არად ჩაგდება (ჰარვი 1990: 39).

ეს არის მარადქალწული მარიამის მორჩილების მიბაძვა, მარიამ მაგდალინელის მისიის გაგრძელება, თეკლასა და სხვა დიდმოწამე ქალწულთა თანამოსაგრეობის გზა, რომელიც ნინომ იტვირთა. აშგარაა, რომ მიუხედავად ზოგიერთი თანამედროვე ავტორის მოსაზრებისა, რომელიც ასკეტურ, ქალწულებრივ ცხოვრებას იმდროინდელი ქალებისათვის (როდესაც გათხოვების გარდა სხვა არჩევანი არ იყო) ცხოვრების ალტერნატიულ (ერთგვარი გათავისუფლების, „ემანსიპაციის”) გზად სახავს, მკვლევრის ზემოთდამოწმებული სიტყვები ნინოს შემთხვევაში აბსოლოტურად

რელევანტურია.<sup>20</sup> ნინო არ ცდილობს ქალის ტრადიციული მოვალეობებისა და ოჯახური თანაცხოვრებისაგან გაქცევას, ის ქალის „ტრადიციულ როლზე“ სწორედ საღვთო მისის – ქართველთა მოქცევის აღსრულების გამო ამბობს უარს. „ჰასაკითა ზომიერი და თმითა ნახევარ-თმოსანი კაცი“, რომელიც ნინომ ჩვენებაში იხილა, აპოკალიფსური სახეა. ნინოსთვის „ესქატონი“ უკვე მოსულია, ქართლის ერისთვის ცათა სასუფეველი ახლოვდება და ნინოს წმინდა მოწოდება, სულიერი თვალსაზრისით, საციცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

აქვე რამდენიმე სიტყვა უნდა ვთვქათ ნინოს ცხოვრებაში დამოწმებულ ბიბლიურ არქეტიპებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, სრულად სამართლიანია მ. სურგულამის შეფასება იმის შესახებ, რომ „ნინოს ცხოვრება“ მდიდარია ბიბლიური ციტატებით, ოდონდ ეს ციტატები, ხშირად, არა ტექსტის პირდაპირ ციტირებას, არამედ პარადიგმის შექმნას გულისხმობს:

სასწაულებით, სიტუაციით, სიტყვიერი სიმბოლოთი ან პერსონაჟის ქმედებით. ამ გზით ხდება ძველის განმეორება, პირველსაწყისთან მიბრუნება ისევე, როგორც ეს ხდება მითოსში. ასეთ პასაჟებში დრო კარგავს დინამიურობას, იგი გაჩერებულია და მხოლოდ საკრალურ მარადისობაში იძენს შინაარსობრივ დატვირთვას. თხზულებაში ასე ჭარბად არსებული პარადიგმატული სახეებისა და ქმედებების მიმართება ბიბლიურ არქეტიპებთან დამყარებულია მითის ტექსტურ კონსტრუქციაზე და სწორედ ეს უზვენებს ავტორის აზროვნების არქაულობას, მის სააზროვნო მექანიზმს – იგი არის მატარებელი სოციალური მეხსიერებისა, თუმცა ცნობიერ დონეზე მისი კულტურული ორიენტირები მთლიანად ახალი რწმენის მსოფლმხდველობრივ ნიადაგზეა აღმოცენებული (სურგულამი 2001: 317).

ჩვენთვის საინტერესო საკითხებში უკეთ გასარკვევად აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ქრისტიანული ჰაგიოგრაფია მთლიანად ბიბლიურ ნარატივსა და ძველ და ახალ აღთქმისეულ ლიტერატურულ<sup>21</sup> მოდელებს ემყარება. წმინდანები ბიბლიურ გმირთა ნაკვალევზე დადიან და ღმერთსა და ადამიანებს შორის შეამავლებად გვევლინებიან. ელია და ელისე წინასწარმეტყველები, იოანე

<sup>20</sup> თუმცა აქვე უნდა ავდნიშნოთ, რომ დიდი ალბათობით ქალების მრავალრიცხვანი ნაწილისათვის „ქალწულების“ ან „ქვრივობის“ გზა მართლაც „ემანსიპაციის“ საშუალება იქნებოდა, რადგან ქრისტიანობის მიერ მოტანილი რიგი თავისუფლებებისა და იურიდიული გარანტიების მიუხედავად, ქალები მაინც დაქვმედებარებული, მამისა და ქმრის მორჩილებისათვის მოწოდებული, მათი ბრძანებების უსიტყვოდ შემსრულებელი უნდა ყოფილიყვნენ (კლარკი 1993: 6-62), ამ შემთხვევაში კი ასკეტური ცხოვრება გაცილებით მეტ თავისუფლებას იძლეოდა (თუმცა ესეც არა ყველა შემთხვევაში).

<sup>21</sup> აქ ტერმინ „ლიტერატურას“ ვხმარობთ არა მაინცდამაინც მხატვრული გაგებით.

ნათლისმცემელი და სხვა ბიბლიური სახეები ქრისტიან წმინდანთათვის და მათ „ცხოვრებათა” აღმწერელთათვის სანიმუშო მაგალითებად (role models) გვევლინებიან, წმინდანთა ცხოვრების აღწერით ჰაგიოგრაფი გვაუწყებს, რომ ბიბლიური ეპოქის მსგავსად დმერთი კვლავაც აგრძელებს კაცობრიობის ისტორიაში აქტიურ ჩარევას (ქუნი 1997: 1-2). ჰაგიოგრაფიის უნივერსალურობის უმთავრესი გასაღებიც ეს არის: ბიბლიური „ენა” ხომ მთელი ქრისტიანული (და არა მხოლოდ ქრისტიანული) სამყაროსათვის იყო გასაგები.

მარიამ მაგდალინელი<sup>22</sup> ქრისტიანობაში არსებული უმნიშვნელოვანები ბიბლიური „ქალური” არქეტიპია (რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება ნინოს ცხოვრების მტკიცე კავშირი გვიანანტიკურ ქრისტიანულ ლიტარატურასთან), რომელიც ნინოს ცხოვრებაში ყველაზე ხშირად იხსენიება. შეიძლება ითქვას, რომ ნინოსთვის მარიამ მაგდალინელი უშუალო და ყველაზე ახლო მაგალითია, რადგან ნინოს მსგავსად მარიამიც ქალი მოციქული და ქრისტიანობის გამავრცელებელი იყო (ჰასკინსი 1993: 11; სინეკი 1988: 148). მარიამ მაგდალინელი ქრისტიანობაში „ქალური მსახურების” უძლიერესი პირველხატია. სახარებაში მისი სახე ძალიან კარგად წარმოაჩენს ქრისტიანობის დამოკიდებულებას ქალის მიმართ, რაც სიახლეს წარმოადგენდა და ქალისადმი ძველებრაული (იუდაური) ტრადიციული მიდგომისაგან განსხვავდებოდა (ჰასკინსი 1993: 10-11; ქუნი 1997: 14-15). მარიამმა სხვა მენელსაცხებლე დედებთან ერთად, ბოლომდე უერთგულა მაცხოვარს, მაცხოვრის აღდგომაც ხომ პირველად მარიამსა და სხვა მენელსაცხებლე დედებს უწყვათ (ჰასკინსი 1993: 11). ბიბლიური

<sup>22</sup> მარიამ მაგდალინელის მოხსენიება ოთხთავში ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ის ძირითადად მაცხოვრის აღდგომასთან დაკავშირებულ პასაუებში იხსენიება (ჰასკინსი 1993: 3-9), ასევე მოხსენიებულია მართასთან ერთად და ლაზარეს აღდგინების თხრობისას (ჰასკინსი: 18-29). მარიამი გვიანდელ ეგზეგეტიკურ ტრადიციაში ხშირად ასოცირდებოდა იმ მონანულ მექავთან, რომელმაც მაცხოვარს ცრემლით ფერხი დაბანა და თმებით შეუმშრალა (ლუკა 7 : 36-39), ასევე იმ ქალთან, რომელმაც ქრისტეს თავზე ნელსაცხებელი სცხო, რის გამოც იუდას საყვედური დაიმსახურა (იოანე 12 : 1-8), თუმცა მკვლევართა თქმით, ამგვარი გაიგივებანი საფუძველსმოკლებულია (ჰასკინსი 1993: 14-29), მარიამ მაგდალინელი ძალზედ პოპულარული სახეა პოკრიფულ და გნოსტიკურ სახარებებში, სადაც ის თვით მოციქულებზე უპირატესადაც კია წარმოჩენილი. სინოპტიკურ კანონიკურ სახარებათაგან განსხვავებით ამ სახარებებში ქალების როლი გაცილებით დიდია და მათი მსახურების ხასიათი არ განსხვავდება დანარჩენ მოციქულთა მსახურებისაგან (იქვე: 31), გნოსტიკურ მარიამის სახარებაში (რომელიც 1947 წელს ნაგ-პამადში სხვა გნოსტიკურ თხზულებებთან ერთად იქნა აღმოჩენილი) პეტრე მოციქული მარიამს ასე მიმართავს: „დაო, კუწყით ჩვენ, რამეთუ მაცხოვარს უყვარდი სხვა დედებზე უმეტესად” (იქვე: 36), რითაც ხაზგასმულია საღვთო მისიაში მარიამის განსაკუთრებული მნიშვნელობა და ეს სიტყვები ასევე გამოხატავს ქალთა მსახურების დაწინაურებას იმ სინკრეტულ მიმდინარეობებში, რომლებსაც პირობით გამაერთიანებენ სახელად „გნოსტიკურს” ვუწოდებთ.

(ახალადთქმისეული) თხრობა ხშირად უსგამს ხაზს ქალთა გულწრფელ და უბრალო რწმენას, რომელიც მამაკაცთა ცივ და რაციონალურ გონებასთანაა შეპირისპირებული (ქუნი 1997: 44). მოციქულებს მუდმივად კითხვები და უჭვები აწუხებთ, ზოგჯერ (თომა მოციქულის შემთხვევაში) საკუთარი რწმენის განსამტკიცებლად სასწაულებრივ ნიშნებსაც ითხოვენ, მაშინ, როცა ქალები ყოველგვარი ყოფმანის გარეშე მიჰყვებიან ქრისტეს. ლინდა ქუნის (Lynda Coon) თქმით,

სახარებათა ავტორები ხშირად მიმართავენ ინგერციის რიტორიკას, რათა მამაკაც მკითხველს შეახსენონ, რომ სარწმუნოება დამყარებულია მორჩილებასა და სინაწლზე, ანუ იმ თვისებებზე, რომელიც მტკიცედაა დაკავშირებული ქალებისათვის დამახასიათებელ რწმენასთან (ქუნი 1997: 47).

ნინოც დვთის სიტყვის მორჩილად შემსრულებელია, ის თავს სწირავს იმ დვთაებრივი მისის აღსასრულებლად, რომელიც მას ადრეული ასაკიდანვე პქონდა გაცნობიერებული.

აშკარა ბიბლიური პარალელია ნინოს არისტოკრატი მოწაფე ქალის – პეროჟავრი სივნიელის მიერ მტკვრის სასწაულებრივად გადალახვის ეპიზოდი, რომელიც მოსესა და ებრაელთა მიერ წითელი ზღვის გადალახვის ისტორიას მიემსგავსა. ამ ეპიზოდით ხაზგასმულია ახლადმოქცეული პეროჟავრი სივნიელის რწმენის სასწაულებრივი ძალა (ნინოს ცხოვრებაში ბიბლიური ხატების შესახებ იხ. სირაძე 1987: 80-128).

მარიამ მაგდალინელისა და სხვა ბიბლიურ სახე-ხატთა გარდა ნინოს მოღვაწეობას ქრისტიანულ ლიტერატურაში სხვა მრავალი მოღველი თუ პარალელი მოეპოვება. პირველ ყოვლისა, ალბათ, თეკლა უნდა ვახსენოთ. თეკლას მარტვილობაზე ჩვენ ზემოთაც გვქონდა საუბარი. თეკლა იყო პავლე მოციქულის ლეგენდარული მოწაფე, რომელმაც ქალწულებრივი ცხოვრება, სახარების ქადაგება და ქრისტესთვის ტანჯვა აირჩია. ნინო როგორც მქადაგებელი და მოციქული ძლიერ ემსგავსება თეკლას (შტერკი 2010: 23). თეკლას მარტვილობა<sup>23</sup> ადრეულ ქრისტიანობაში ერთ-ერთი ყველაზე

<sup>23</sup> ნაგზაურას VI საუკუნის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე სხვა უმნიშვნელოვანეს არტეფაქტებთან ერთად არქეოლოგებმა იპოვეს ქვაჯვარის ფრაგმენტი VII საუკუნის წარწერით „პირველმოწამე”, რომელიც გ. ოთხმეტურის ვარაუდით „თეკლე” უნდა ყოფილიყო, რადგან ქვაჯვარის VIII საუკუნით დათარიღებულ ერთ პილიგრიმულ გრაფიტოში იკითხება „ქრისტე შეიწყალე თეკლე” (ოთხმეტური 2016: 11-12), რაც საქართველოში პირველმოწამე თეკლას კულტის ძალზე ადრეულ გავრცელებაზე უნდა მიუთითებდეს. შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ ეს წარწერები ერთ-ერთი უძველესი ქართული მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩნდა

პოპულარული ძეგლი იყო, მოგვიანებით ის ქართულადაც ითარგმნა.<sup>24</sup> თუკლას მარტვილობის თანახმად ახალგაზრდა ქალწული პავლე მოციქულის ქადაგებას მოუსმენს და ქრისტიანულ ცხოვრებას გადაწყვეტს. მარტვილობას რადიკალური ასკეტური სულისკვეთება ახასიათებს, რისი გამოხატულებაცაა პავლე მოციქულის სიტყვები, რომელთაც ის ქადაგებისას წარმოთქვამს:

ნეტარ იყვნენ, რომელთა დაიმარხნენ ჭორცნი თვისნი სიწმიდნით, რამეთუ იგინი ტაძარ ღმრთისა ითქუნენ. ნეტარ იყვნენ, რომელთა დაიტანჯნენ თავნი თვისნი სიწმინდისათვს, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ. ნეტარ იყვნენ, რომელთა შეურაცხ ყონ გულისთქუმაÁ ამის სოფლისაÁ, რამეთუ იგინი სათონ ეყვნენ ღმერთსა. ნეტარ იყვნენ, რომელთა ესხნენ ცოლ და რეცა არა ესხნენ, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეფანა” (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (აბულაძე 1975ბ: 47).

პავლეს ქადაგების მოსმენის შემდეგ თეკლა, რომელიც გავლენიანი იკონიელი არისტოკრატის თემეროზის საცოლე იყო, ქალწულებრივ ცხოვრებას გადაწყვეტს და თემეროზზე დაქორწინებას გადაიფიქრებს. თემეროზი ჩივის:

...ვინ არს კაცი ეგე, რომელი თქუენ თანა შინა არს, რომელი ესერა შეიტყუებს ჭაბუქთა და ქალწულთა და ამცნებს, რაÁთა რაÁთურთ ყოვლად არა იყოს ქორწილი, არამედ დადგრომად იგინი სიწმინდით” (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (აბულაძე 1975ბ: 49).

თეკლა საპყრობილები მყოფ პავლესთან შევიდა და „დაჯდა იგი ფერÁთა თანა პავლÁსთა და ისმენდა იგი დიდთა მათ საკÁრველებათა ღმრთისათა” (აბულაძე 1975ბ: 55).<sup>25</sup> თეკლას წარმართები მოწამეობრივად სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტენ, ის კი, მოწამეობისა და სიკვდილისაგან სასწაულებრივად თავდასწილი, პავლე მოციქულს მიმართავს: „შევიკუეცო თმაÁ ჩემი და შეგიდგე შენ, ვიდრეცა ხვიდოდი შენ” (ენკრატიზმის აშკარა ნიშნები) (აბულაძე 1975ბ: 61). ანტიოქიაში საქადაგებლად ჩასული თეკლა ქორწინებაზე უარს ეუბნება იქაურ გავლენიან მოხელეს ალექსანდრესაც, რის გამოც კვლავ მოწამეობის დათმენა უწევს (აბულაძე 1975ბ: 62). თეატრონში მყოფი მხეცებით გარშემორტყმული თეკლა იქვე მახლობლად წყალს („ტბას” როგორც

<sup>24</sup> მარტვილობად თუკლასი აპოკრიფული ძეგლია, უძველესი ქართული ნუსხა XI ს. ხელნაწერშია დაცული და გადაწერილი უნდა იყოს უფრო ძველი ნუსხიდან (აბულაძე 1975ბ : 25), არსებობს ასევე გვიანდელი რედაქციაც (იქვე : 29). როგორც ილია აბულაძემ გამოარკვია თუკლას მარტვილობა სომხურიდან უნდა იყოს ნათარგმნი (იქვე : 30-32).

<sup>25</sup> აქ კარგად ჩანს პარალელი მარიამ მაგდალინელთან, რომელიც ასევე მაცხოვრის „ფერÁთა თანა” დაჯდა და მის სიტყვებს ისმენდა

„მარტვილობაშია” მოხსენიებული) იხილავს. „და იხილა მუნ ტბაÁ ერთი სავსე წყლითა და თქუა:

ამიერითგან უამი არს ნათლისდებისაÁ” და აღიპყრნა Áელნი თÂსნი ზეცად და თქუა: „სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტÂსითა აღსრულებისა ჩემისა დღეს, ნათელს ვიღებ” (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (აბულაძე 1975ბ: 69-70).

თეკლა წყალში მყოფ მხეცებს არ შეუშინდება და „ტბაში” შედის: „ჰყარვიდა ღრუბელი ბრწყინვალÀ იგი ნათლისაÁ, რომლითა არა ჩნდა შიშულებაÁ იგი თეკლაÁსი” (აბულაძე 1975ბ: 70). ქალწულმოწამე ყველანაირ განსაცდელს გადაურჩა, პავლეს სანახავად რომში ჩავიდა, შემდეგ იკონიაში მიბრუნდა და აქ ქადაგებდა, შემდეგ კი სელევკიაში, სადაც აღესრულა კიდევაც (აბულაძე 1975ბ: 71-78). თეკლას მარტვილობა შესანიშნავად წარმოადგენს ქალი მისიონერის სამაგალითო სახეს და ეს თხზულება საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა ქრისტიან ქალთა აღზრდასა და ქრისტიანულ მოძღვრებაში განსწავლას, მაგრამ აქვე ხაზი უნდა გავუსვათ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს: თეკლას მარტვილობა ბოლომდე არ შეესატყვისება მართლამდიდებლურ მოძღვრებას. როგორც ჩანს ამ პოპულარულ ნაწარმოებში „გაპარული” არამართლმადიდებლური ელემენტები შემდგომდონდელ გადამწერებს და მთარგმნელებს მხედველობიდან გამორჩათ. ეს ელემენტები გამორჩენია ქართველ მთარგმნელსაც. საქმე ისაა, რომ თეკლას მარტვილობას აშკარად ენკრატისტული ნიშნები აქვს (ამ მოძრვებაზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი). თხზულებაში (პავლე მოციქულის ქადაგებაში, დერმისა და ერმოგენეს პასუხში, თემეროზის სიტყვებში და ა.შ.) აშკარადაა ხაზგასმული, რომ ქრისტიანები სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ, თუკი საბოლოოდ არ იტყვიან უარს ქორწინებასა და სექსუალურ ცხოვრებაზე, ანუ ვინც სრულ უბიწოებას არ დაიცავს, ის მკვდრეთით ვერ ადსდეგბა, ვერ ცხონდება. ამასთან, როგორც დავინახეთ, თეკლა საკუთარ თავს ინათლავს, საკუთარი თავის მონათვლა და მითუმეტეს ქალის მიერ, მართლმადიდებლური დვთისმეტყველების თანახმად სრული ნონსენსია და უცნაურია, რატომ არ „გაასწორეს” გვიანდელმა რედაქტორ-მთარგმნელებმა ეს პარადოქსი.

თეკლას მარტვილობის მსგავსად განსაკუთრებული აქტიურობითა და მოშურნეობით გამოირჩევიან აპოკრიფული საქმეთა გმირები ქსანთიპე, პოლიქსენა და რებეკა, ისინი ერთად მცხოვრები ქრისტიანი ქალწულები და მისიონერები არიან (დევისი 2012: 64). წარმართობიდან მოქცევის შემდეგ

აქტიურად შეუდგებიან ქრისტიანობისა და უქორწინებელი ცხოვრების ქადაგებას და მრავალი დაბრკოლებისდა მიუხედავად (მათ ხშირად თეკლას, რიფსიმესა და სხვა ქალწულთა მსგავსად მათზე ქორწინების მოსურნე მამაკაცთაგან „ლტოლვა” ანუ გაქცევაც უწევთ), სულიერი ბრძოლიდან გამარჯვებულები გამოდიან.

მაშ ასე, ჩვენ დავინახეთ რომ ნინოს ცხოვრებას ბევრი პარალელი მოეპოვება აპოკრიფულ თხზულებებთან. ნინოს ღრმა სულიერი კავშირი და ნათესაობა პქონდა სარა ნიაფორთან – ერთ იმ ქვრივთაგანთან, რომლებიც დიდი ალბათობით, ქმნიდნენ მოციქული და მისიონერი ქალების სახეებს. ნინო მარიამ მაგდალინელის, თეკლას, ქსანთიპეს, პოლიქსენას, რებეკასა და სხვათა მსგავსად მისიონერი და მქადაგებელი ქალია, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც ნინოს ცხოვრებას ზემოთაღწერილ ქალ მისიონერთა ცხოვრებათაგან განასხვავებს, ის არის, რომ ეს თხზულება არასდროს ტოვებს მართლმადიდებლობის საზღვრებს. ნინოს ქალური მსახურების აღმატებულებაც კი მხოლოდ მტკიცე ორთოდოქსიის ფარგლებშია წარმოდგენილი. გავიხსენოთ, რომ ნინო როდესაც მირიან მეფესა და ნანა დედოფალს მოაქცევს, ეუბნება, რომ თვითონ „უძლური დედაკაცია” და ერის ნათლობისათვის მღვდლებისა და მღვდელმთავრების ჩამოყვანაა აუცილებელი. ახლა დანამდვილებით ძნელია იმის თქმა ნინოს ვრცელ ცხოვრებაში იყო აპოკრიფების გავლენით შესული რაიმე პეტეროდოქსული (თუნდაც ენკრატისტული) ელემენტები და თხზულება ამ ელემენტთაგან შემდგა „გაიწმინდა” თუ ნინოს ცხოვრება თავიდანვე მტკიცე მართლმადიდებლური მსოფლედვით დაიწერა, თუმცა ამ შემთხვევაში ამას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ასეა თუ ისე, ნინოს ცხოვრება ზუსტად თავსდება გვიანანტკურ ხემლთაშუაზღვისპირეთში შექმნილი ლიტერატურის წრეში.

წმინდა ნინო ასკეტურ ღვაწლს ქართლში შემოსვლის შემდეგაც აგრძელებს. ის ჯერ „ბრინჯოთა ხის” ქვეშ დაუყუდება, მისი ქალწულებრივი ღვაწლი, სხვა ქალების დამოწაფებისას, კიდევ უფრო წარმოჩნდება. მაყვლოვანი ნინოსათვის დასაყუდებელ ადგილად იქცევა, სადაც დღეუბს ლოცვასა და მისტიკურ ჭვრეტაში ატარებს და ქართლის მიწაზე მონაზვნური (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) ცხოვრების პირველ დამნერგავად და მქადაგებლად მოგვეველინება. ამიტომ ახლა საჭიროა, ნინოს მოღვაწეობა ადრეულ ეკლესიაში

ქალწულებრივი ცხოვრების თრგანიზებისა და ინსტიტუციონალიზაციის კონტექსტში განვიხილოთ.

### §3. წმინდა ნინო – ქრისტიან ქალწულთა ასკეტური თემის წინამდღვარი

დაგუბრუნდეთ იმ მომენტს, როდესაც იერუსალიმში ჩასული „ვინმე ეფესელი დედაკაცი“ ნინოსა და სარას საიმპერატორო ოჯახის მონათვლის სურვილის შესახებ ახარებს. ნინომ კონსტანტინესა და მისი ოჯახის მოსაქცევად წასვლა გადაწყვიტა და ამ გადაწყვეტილების შესახებ სარას აუწყა: „ხოლო მე ვარქუ მიაფორსა: „წარმავლინე და წარვიდე წინაშე ჰელენე დედოფლისა, ნუუკუ მიმიახლოს სიტყვისგებად წინაშე ქრისტესათვის“ (გიგინეიშვილი... 1979: 331). ნიაფორმა ნინოს გადაწყვეტილების შესახებ პატრიარქს შეატყობინა, ამ უკანასკნელმა თავის დისმვილს სამოციქულო ღვაწლის აღებაზე კურთხევა მისცა. ე. სინეკის აზრით, პატრიარქს ნინო დედათდიაკვნად უნდა დაედგინა, რადგან პატრიარქის დალოცვის ტექსტი ძლიერ მოგვაგონებს დედათდიაკვნად დადგინების წესს (სინეკი 1988: 144). სინეკის შეხედულებით, მღვდელმთავრის ეს განზრახვა ქალის სამოციქულო მისიისათვის სულიერი ნებართვისა და კურთხევის გაცემა იყო (სინეკი 1988: 145). ნინო ეფესელ ქალთან ერთად მისონერულ მოგზაურობაში გაემართა. ეფესოში ჩასული ნინო იქ რიფსიმეს შეხვდა.

ოდეს მივედით სახიდ მისა, მუნ ვპოვეთ დედუფალი ვინმე მეფეთა ავადაგი სახელით რიფსიმე, რომელ ელოდა იერუსალემით ნათლისდებასა და ქრისტეს აღსაარებისათვის სუროდა (გიგინეიშვილი... 1979: 332).

ნინო რიფსიმესთან დარჩა, ნათელი სცა რიფსიმესა და „ორმეოცსა სულსა მის თანა სახლისა მისისათა. და წარვედით სახიდ მისდა და ვიყვენით მუნ ორ წელ“ (გიგინეიშვილი... 1979: 332).

ნინო ეფესოშივე შეიტყობს კონსტანტინესა და მისი ოჯახის მიერ ნათლისდების შესახებ, ამიტომ იქვე, რიფსიმიანელებთან დარჩება და ასკეტურ

ცხოვრებასა და მოღვაწეობას მათთან ერთად გააგრძელებს.<sup>26</sup> ჩვენი აზრით, აშკარაა, რომ ნინოს დაკავშირება საიმპერატორო კარის მოქცევასთან გვიანდელი გაზვიადებაა. ქართველი ჰაგიოგრაფები ნინოს მისიონერულ მოღვაწეობას იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს ცენტრალურ მოვლენებს უკავშირებენ, რაც არაფრით (სხვა, არაქართული წყაროებით) დასტურდება. რა იყო თავდაპირველ ტექტსტში ნინოს მიერ იერუსალიმის დატოვების მიზეზი, უცნობია.

ნინოს რიფსიმიანელებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანი ასპექტია მისი მოღვაწეობის წარმოსაჩენად. ბუნებრივია მოქცევად ქართლისად ძირითადი აქცენტები ნინოზე გადააქვს, მისი ყურადღება ნინოზეა კონცენტრირებული, მისი როლი გაზრდილია და ნინო კაპადოკიელი რიფსიმესა და „მის თანა მყოფ სულთა“ ნათლიად, შესაბამისად ერთგარ სულიერ წინამდლოლადაა წარმოჩენილი. რიფსიმიანელთა ისტორია წმიდა ნონის მოღვაწეობის ფონია, მაშინ როცა სომხური წყაროები უმთავრესი რაკურსით რიფსიმიანელებს წარმოგვიდგენენ, როგორც სომხეთის მოქცევის უმნიშვნელოვანეს მონაწილეობა. წმიდა ნინო, ანუ ნუნე, როგორც მას სომხური წყაროები მოიხსენიებენ, მხოლოდ ერთი რიფსიმიანელთაგანია, თუმცა ამ შემთხვევაში სხვა რამაა მნიშვნელოვანი: ნინოს ცხოვრებისა და რიფსიმიანელთა წამებაზე დაყრდნობით ჩვენ ვხედავთ თუ როგორ ყალიბდება რიფსიმეს, ნინოსა და გაიანეს გარშემო გვიანანტიკური ქრისტიანული სამყაროსათვის ასე ტიპიური ქალწულთა თემი. ნინო რიფსიმესთან და მისგან მონათლულ ორმოც სულთან ერთად ორი წლის განმავლობაში ერთად ცხოვრობს, სავარაუდოდ ერთ ჭერქვეშ, ერთ სახლში („და წარვედით სახიდ მისა და ვიყვენით მუნ ორ წელ“). რატომ ცხოვრობენ ერთად ნინო და სხვა რიფსიმიანელები? რას აკეთებდნენ ისინი ამ ორი წლის განმავლობაში? ამის გამოსარკვევად გვიანანტიკურ ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებული ასკეტური თანაცხოვრების სხვადასხვა ფორმათა მიმოხილვა მოგვიწევს.

<sup>26</sup> მოქცევად ქართლისად-ში დაცული წმ. ნინოს ცხოვრების მოკლე რედაქციის მიხედვით ელენე დედოფლის მიერ ცხოველმყოფელი ჯვრის აღმოჩენიდან მეთოთხმეტე წელს (თარიღი არაზუსტია) რიფსიმე „რომლისამე მიზეზისათვე“ ილტვოდა დედა-მტუმეებთან ერთად. „და იყო მის თანა ტყუე ერთი დედაკაცი შუენიერი სახელით ნინო, რომლისა საქმე გამოიძია ჰელენე დედოფალმან. და იყო იგი პრომი მთავარი, და თვთ მოევლო გზად თვსი და ექმნეს კურნებანი. და მოწვენულ იყო საბერძნეთა და პმოძლურიდა მთავარსა მას რიფსიმეს“ (აბულაძე 1963: 83-84).

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ქრისტიან ქალწულთა ერთად ცხოვრებისა და მოღვაწეობის პრაქტიკა უაღრესად გავრცელებული იყო გვიანანტიკურ სამყაროში. ისტორიკოსები ასკეზ ქალწულთა თემების გენეზისის მიმოხილვისას ყურადღებას ამახვილებენ საოჯახო მოდელზე, რომელიც ძალიან ხშირად გამოიყენებოდა ამგვარი თემების ჩამოყალიბებისას. ქრისტიან მოსაგრეთა თემი ახალი ოჯახია, მისი წევრები ერთმანეთთან შეიძლება სისხლით ნათესაობითაც ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი, მაგრამ ახლა მათ ურთიერთობაში სულიერი ნათესაობა უფრო მნიშვნელოვანია. ასეთი „საოჯახო ასკეზური თემები“ ძალიან ხშირად გვხვდება III-IV საუკუნეების მცირე აზიასა და ეგვიპტეში.

მამაკაცთა ასკეზიზმისაგან განსხვავებით, რომელმაც უკიდეგანო უდაბნოები მოიცვა და იქაურობა „ქალაქებად“ აქცია, ქალთა ასკეზიზმი, როგორც ძველად, ახლაც (ანუ უკვე IV საუკუნეში), ადგილობრივ ტაძრებთან, ან ოჯახურ გარემოცვაში აგრძელებდა განვითარებას (ბრაუნი 2008: 262). IV საუკუნის განმავლობაში ქალთა მოსაგრე ცხოვრება პახომი დიდის, ბასილი დიდის, მელანია უფროსის, ოლიმპიასა და სხვა მნიშვნელოვან ასკეზთა დვაწლით ეკლესიის ნორმატიულ კანონიკურ ჩარჩოებში მოექცა და ასე ჩამოყალიბდა დედათა მონასტრები, მაგრამ ეს პროცესი არ უნდა წარმოვიდგინოთ რაღაც ერთბაშად მომხდარ მოვლენად, რამდენიმე წელიწადში აღსრულებულ ფაქტად, პირიქით, პროცესი მთელი IV საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა, და მრავალფეროვნებითა და კომპლექსურობით ხასიათდებოდა. ჩვენ ზემოთაც ვამბობდით, რომ ქალ ასკეზებს არ ჰყავდათ ისეთი გრანდიოზული ფიგურები, როგორებიც იყვნენ პავლე თებელი, ანტონი დიდი ან მაკარი ეგვიპტელი, წმინდა საბა განწმენდილი, ან ბასილი დიდი, როგორც ერთგვარი წყალგამყოფები, ქრისტიანული ასკეზიზმის ისტორიაში. ქალების მოღვაწეობითი ცხოვრება, პიტერ ბრაუნის სიტყვებით რომ ვთვაქთ, „ძველებური დვთისმოსაობის“ (old-fashioned piety) წესზე რჩებოდა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქალ ასკეზთა თემების ჩამოყალიბება არ იყო დაკავშირებული რაიმე ფორმალობებთან და წესდებების შექმნასთან, დვთისმოსავი ცხოვრების მოსურნე უქორწინებელი ქალები ხშირად სულიერებითა და გავლენით გამორჩეულ პიროვნებათა გარშემო ერთიანდებოდნენ, რომლებსაც შესაბამისი მატერიალური შესაძლებლობებიც გააჩნდათ (როგორც მაგალითად ეს მოხდა მელანია უმცროსისა და ოლიმპიას შემთხვევაში), ამგვარი კვაზი-მონასტრული თემების ჩამოყალიბებისათვის სულაც არ იყო საჭირო რომელიმე მღვდელმთაგრის კურთხევა, ან ოფიციალური

პირის ნებართვა, ქალები ყველაფერს საკუთარი ინიციატივით აკეთებდნენ. ისინი იკრიბებოდნენ და ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ. ეს ფაქტორი, ანუ ერთ სახლში, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება (საღმე ქალაქში ან სოფელში ან ქალაქისა და სოფლის მახლობლად) ქალთა ასკეტიზმის ძალიან სპეციფიკური მახასიათებელი იყო. მართალია, სულიერ მოღვაწეობაში ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებითი განსხვავება არ ყოფილა, მაგრამ წყაროებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ჰაგიოგრაფები ქალ წმინდანებს მაინც განსხვავებული კუთხით წარმოგვიდგენენ. ქალები ყველაზე მეტად სახლის საქმიანობასთან, დიასახლისობასთან, კერიასთან, რთვასთან და ქსოვასთან ასოცირდებოდნენ (ქუნი 1997: 76), მაშინ, როცა მამაკაცები ქადაგებით, მოძღვრებითა და მისიონერობით არიან დაკავებულნი, მაგრამ როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ (და ამაში მდგომარეობს ქრისტიანული ჰაგიოგრაფიის ქალებისადმი დამოკიდებულების პარადოქსი), ქალი წმინდანები ხშირად ამსხვრევენ ამ სტერეოტიპს, ხოლო წმინდა ნინოს ცხოვრება ამგვარ წარმოდგენებს საერთოდ თავდაყირა აყენებს. ნინო ერთდროულად მისონერი და მქადაგებელია, ის არათუ ცალკეულ თემებს, არამედ მთელ ერს მოძღვრავს და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცევს.

1901 წელს იტალიელმა მკვლევარმა პიო ფრანჩი დე კავალიერიმ (Pio Franchi de Cavalieri) ორი მცირეაზიელი მარტვილის წმ. თეოდოტე ანკვირელისა და წმ. არიადნეს მარტვილობა გამოაქვეყნა (ელმი 1994: 52).<sup>27</sup> თხზულების ავთენტურობაში გამოქვეყნებისთანავე ცოტა ვინმეს თუ ეპარქოდა ეჭვი, თუმცა წმ. თეოდოტეს სამლოცველოს აღმოჩენის შემდეგ მისი ისტორიული ღირებულება საბოლოოდ დადასტურდა. თხზულებაში საუბარია თეოდოტესა და შვიდ ქალწულზე, რომლებიც ქალაქ ანკვირიაში ცხოვრობდნენ. სუსანა ელმი (Susanna Elm) ყურადღებას აქცევს იმ შვიდ ქალწულს, რომლებიც გმირულად ეწინააღმდეგებიან წარმართი ტირანის ძალადობას და თავიანთ რწმენას იცავენ. ისინი სახელებით არ მოიხსენებიან ერთი მხცოვანი ქალწულის გარდა, რომელსაც „πρεσβυτέρα τέκουσα“ ანუ „უხუცესი ტეკუზა“ ეწოდება. საქმე ისაა, რომ „უხუცესი“ ამ შემთხვევაში მხოლოდ მის ასაკს არ გამოხატავს, მარტვილობის ავტორი ამ სიტყვას უფრო დრმა, სულიერი მნიშვნელობით

<sup>27</sup> შემორჩენილია თეოდოტეს მარტვილობის ძველი ქართული თარგმანებიც. თეოდოტე ანკვირელის წამების სვინაქსარი შესულია გიორგი მთაწმინდელის დიდ სვინაქსარში, ხოლო ცალკეა შემონახული თეოდოტეს ანკვირელისა და შვიდი ქალწულის წამება (გაბიძაშვილი 2004: 219).

იყენებს (ელმი 1994: 55). საინტერესოა რომ „უხუცესად” მოიხსენიება ფებრონიას წამებაში (მისი ძველი ქართული თარგმანი გამოუქვეყნებელია) ფებრონიას ქალწულთა თემის წინამდღვარი ბრენიც: „იყო მას ქალაქსა შინა მონასტერი, რომელსა შინა იყო ოცდაათი ქალწული და მათ ზედა უხუცესი ბრენი...” (ხევ. A-382: 15v). ფებრონიას წამება VI საუკუნეშია დაწერილი, თუმცა IV საუკუნის დასაწყისის ვითარებას აღწერს. ბუნებრივია, გვიანდელი ავტორი „ქალწულთა თემს” მონასტრად აღიქვამს, თუმცა მნიშვნელოვანია თხზულებაში „უხუცესის” მოხსენიება, რაც პაგიოგრაფის წყაროს ავთენტურობის ნიშანი უნდა იყოს, რადგან როგორც ჩანს, ასე მოიხსენიებდნენ III-IV საუკუნეებში ქალწულთა თემების წინამდოლებს. რაც შეეხება სიტყვას „Τέκουσα”, ს. ელმის დაკვირვებით ნიშნავს „დედა”-ს (სიტყვა Τίκτω-ს (ვჰობ) აორისტის მიმღება ანუ „მშობელი”) ე. ი. „ტეკუზა” ქალწულთა თემის სულიერი დედა იყო. ტეკუზა სულიერი ავტორიტეტია არა მხოლოდ დანარჩენი ექვსი ქალწულისათვის, არამედ თეოდოტესთვისაც, რომელიც ახალგაზრდობიდან სულიერი ცხოვრება სწორედ ტეკუზას რჩევითა და გავლენით დაიწყო. რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია ეს შვიდი ქალწული ანკვირიაში დაახ. 312-313 წწ. უნდა აღსრულებულიყვნენ (იმ დროს როდესაც ნინო იერუსალიმში ცხოვრობდა), მათი მოღვაწეობის დრო ეფესოში ნინოსა და დანარჩენ რიცხიმიანელთა მოსაგრეობის პერიოდს ემთხვევა. შვიდი ანკვირელი ქალწული და ეფესოში დამკვიდრებული რიცხიმიანელი ქალწულებიც ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებული ერთი და იგივე ასკეტური პრაქტიკის მიმდევრები არიან.

ახლა ნინოსა და სხვა რიცხიმიანელთა ცხოვრების წესის უკეთ წარმოსაჩენად ისეთ ძველსა და სანდო წყაროებს მივმართოთ, როგორიც პაპირუსებია. მშრალი კლიმატის გამო პაპირუსები ყველაზე უკეთ ეგვიპტემ შემოინახა. III-IV საუკუნეთა პაპირუსებში ასახული ქრისტიანული მოსაგრეობის ტიპი არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებულ სულიერი მოღვაწეობის სახეებს წარმოგვიდგენს (ვფიქრობ ამას ზემოთ დამოწმებულ მასალასთან შედარებაც დაგვარწმუნებს).

სადაც კანონები ნორმატიული კონცეპტის გატარებას ცდილობს და, აქედან გამომდინარე წინასწარ განსაზღვრული და სტილიზებულია, პაპირუსებში უმეტესწილად შემთხვევითი ინფორმაციაა დაცული, უმთავრესად, ყოველდღიურ აქტივობათა ფრაგმენტები (ელმი 1994: 234).

პაპირუსებში ძალიან საინტერესო სურათს გხვდებით. აქ ასკეტურად მცხოვრები ქალები სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიებიან, თითქოს პაპირუსებზე შემორჩენილი ტექსტების (რომელთა უმეტესობა პირადი წერილები ან სამართლებრივი აქტებია) ავტორები, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ქალწულთა დასში დიფერენციაციას აკეთებენ. ასე მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ (სადაც ქრისტიან ქალებზეა საუბარი), III საუკუნის პაპირუსში მოიხსენიება „ამმა თაუბარიანე და აპპა დიოსი და ძმები...” (ელმი 1994: 237). „ამმა” ან „ამმაც”, როგორც წესი, „დედას” ან „ძიძას/აღმზრდელს” აღნიშნავდა და II ან III საუკუნეების პაპირუსებში გვხვდება. მოგვიანებით IV საუკუნისათვის ამ სიტყვამ სულიერი მნიშვნელობა შეიძინა და „სულიერი დედის” აღმნიშვნელად იქცა (ელმი 1994: 245-246). მკვლევრის აზრით, ზემოხსენებულ პაპირუსში ტერმინი „ამმა” შეიძლება უკვე რელიგიური მნიშვნელობით გამოიყენებოდეს და ასკეტთა თემის წინამდღოლს ნიშნავდეს (ელმი 1994: 246), რაც (თუ ელმის მოსაზრება სწორია) ამ სიტყვის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული გამოყენების შემთხვევა იქნება.

საინტერესოა, რომ IV საუკუნის დასაწყისითა და I ნახევრით დათარიღებულ პაპირუსებში ასკეტი ქალები თითქმის არ იხსენიებიან, როგორც „მონაზვნები” (μονάχαι). ამ პერიოდიდან მოღწეულ წყაროებში მათ „ἀειπάρθενοι” ანუ „მარადქალწულები” ეწოდებათ. მაგ. ოქსირინქუსის ერთ-ერთ პაპირუსში, რომელიც 371 წლამდე უნდა დაწერილიყო, აღწერილია მემკვიდრეობის გაყოფა, აქვე ნახსენებია ვინმე თავსისი, ქონების ერთ-ერთი მემკვიდრე, რომელსაც ქონების სამართლიანად გადანაწილებამდე, წიგნების მიზაცებაში ედებოდა ბრალი. ის იხსენიება როგორც „Θαίσιος ἀειπάρθενος” ანუ „თავსი მარადქალწულისა” (ბერძნულ დედანში მოცემულია გენეტივის ბრუნვით). 371 წლით დათარიღებულ პაპირუსში პანაპოლისის ორი მცხოვრებია ნახსენები, ერთ-ერთი მათგანია „ἀδελφή Διδύμη ἀειπάρθενος” ანუ „და დიდიმე მარადქალწული” (ელმი 1994: 236).

მაგრამ ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოა IV საუკუნის დასაწყისიდან (ანუ ნინოსა და რიცხიმიანელთა მოღვაწეობის დროიდან) შემორჩენილი ორი პაპირუსი. ორივეს ტექსტი წერილია. პირველ წერილს „დიდიმე და დები” წერენ „საყვარელ დას სოფიას” (გერინგი... 1990: 462). პირველ წერილში მოხსენიებული არიან ვალერიანა, „სხვა ვალერიანა”, რომელთაც წერილის ავტორი „კურია”-დ

ანუ „ქალბატონდ/დედოფლად” იხსენიებს, ისევე როგორც მეორე წერილში ათიენათეთიას, რომელიც „კύρια αδέλφη”- დ მოიხსენიებს, ისევე როგორც ვინმე ასუსას (გერინგი... 1990: 463; ელმი 1994: 236-237).

391/392 წლის 24 იანვრით დათარიდებულ ოქსირინქუსის<sup>28</sup> პაპირუსში მემკვიდრეობის გაყოფაა აღწერილი. პაპირუსში იხსენიება ვინმე „Ανν... μοναχή”, რომელიც გამომცემელთა თანახმად უნდა აღდგეს, როგორც „ანისტოსი”, ქალის საკუთარი სახელის ნათესაობით ბრუნვაშია, ხოლო „μοναχός” ჩვეულებისამებრ „მარტომყოფელს” ნიშნავს (ელმი 1994: 234-235). „მონაზვნებად” ასკეტი ქალები 400 წლით დათარიდებულ პაპირუსშიც იხსენიებიან. ეს პაპირუსიც ქონებასთან დაკავშირებულ საკითხს შეეხება. ეგვიპტის ქალაქ ოქსირინქუსის მცხოვრებლები აურელია თეოდორა და აურელია ტაურისი თავიანთი სახლის პირველ სართულზე მდებარე ერთ-ერთ ოთახს აქირავებენ ვინმე ებრაელს სახელად ოსიას, იუდას ძეს. საინტერესოა, რომ სახლის პატრონები იხსენიებიან, როგორც „μονάχαις ‘αποτάκτικαις’”. IV საუკუნის მიწურულით დათარიდებულ ერთ-ერთ პაპირუსში ნახსენებია სამი ქალი, რომელთაც „μοναχή” ეწოდებათ, ორი და მოხსენიებულია, როგორც „αποτάκτικοι”, ხოლო სამი ქალი აღწერილია, როგორც „ἀειπάθηενοι”. „აპოტაკტიკოსები” ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ნინოს დედის, სუსანას იერუსალიმის ტაძარში მსახურებასთან დაკავშირებით. გავიხსენოთ, რომ ქრისტიან ქალწულთა ამ კატეგორიას IV საუკუნის პილიგრიმი ქალი ეგერიაც იხსენიებს.

პაპირუსები ცხადყოფს, რომ ასკეტი ქალები, ერთმნიშვნელოვნად, გამოირჩეოდნენ საზოგადოებაში. სამართლებრივ დოკუმენტებსა თუ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ისინი სხვადასხვა წოდებით მოიხსენიებიან (რაც ქალწულთა დასში ერთგვარ დიფერნეციაციაზე უნდა მეტყველებდეს), მაგრამ საზოგადოებაში მათ მყოფობას და სამართლებრივ აქტებში მონაწილეობას უჩვეულოდ არავინ აღიქვამდა, როგორც ჩანს ეს მონასტრული ტიპის ერთობანი, თუ ინდივიდუალრი ასკეტური მოღვაწეობა უკვე კარგა ხნის ისტორიის მქონე მოვლენა იყო IV საუკუნის ეგვიპტურ (და არა მარტო ეგვიპტურ) საზოგადოებაში (ელმი 1994: 240), ამიტომ მათ ტიტულებსა და წოდებებს საგანგებო განმარტება არ სჭირდება. ეს ქალები არ არინ მეუდაბნოე განდეგილები, ისინი ქალაქებსა და სოფლებში ეწევიან მოსაგრე ცხოვრებას,

<sup>28</sup> ძველი ქალაქი ეგვიპტეში.

მართალია ფლობენ საკუთრებას, თუმცა ხორციელ ნათესავებს, ხშირ შემთხვევაში, მოშორებული არიან. ამ ასკეტურ ერთობებში გარკვეული იერარქიული სტრუქტურაც იკვეთება (როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ დიდიმეს შემთხვევაში) (ელმი 1994: 243).

ვფიქრობთ, საინტერესოა, და ჩვენი საკითხისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ნინოსა და რიცხიმიანელთა შეხვედრის აგათანგელოსისეული და ლეონტი მროველისეული გადმოცემა. აგათანგელოსის თანახმად, რიცხიმე და გაიანე ქალწულთა მონასტერში ცხოვრობდნენ (ოღონდ აგათანგელოსი რომს მიუთითებს). აგათანგელოსის ცნობით, ამ „მონასტრის“ წინამდღვარი გაიანე იყო, იქვე ცხოვრობდა რიცხიმე, დგთისმოსავ მშობელთა შვილი და სამეფო გვარის ჩამომავალი (თომსონი 1976: 147-149). ლეონტის<sup>29</sup> მიხედვით,

და ვითარ მიიწინეს სამეფოსა პრომს სახიდ დედაკაცისა, რომლისა-იგი თანამოგზაურ იქმნა, პოვეს მუნ დედოფალი ვინმე მეფეთა ნათესავი, სახელით რიცხიმე, და დედამძუძე მისი გაიანე, მონასტერსა შინა ქალწულთასა, რომელთა ქრისტეს აღსარებისათვს სუროდა და ელოდეს იერუსალიმით ნათლისდებასა (ხაზგასმა ჩემია შ. მ.) (ყაუხხიშვილი 1955: 80).

ანუ აგათანგელოსისა და ლეონტი მროველისათვის რიცხიმე, გაიანე და მათთან მცხოვრებნი ერთმნიშვნელოვნად მოღვაწე, ასკეტი დედები იყვნენ, ხოლო მათი ერთობა მონასტერს წარმოადგენდა. მართალია, IV საუკუნის დასაწყისისათვის სიტყვა „მონასტრის“ ხმარება (ამ სიტყვის კლასიკური, შუა საუკუნეობრივი გაგებით) ანაქრონიზმია, მაგრამ როგორც ჩანს, ლეონტი მროველს (ისევე როგორც აგათანგელოსს) სავსებით რეალური და ისტორიული ცნობები პქონდა რიცხიმიანელთა ერთობის ხასიათის შესახებ.

ახლა, ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს ნინოს ცხოვრების ცნობა: „და წარვედით სახიდ მისა და ვიყვენით მუნ ორ წელ“ (გიგინეიშვილი... 1979: 332) და ამ წინადადების მთელი კონტექსტი. ნინოსა და რიცხიმეს ეფესოში (ან შესაძლოა რომში) სწორედ ამგვარი ასკეტური თემი უნდა ჩამოეყალიბებინათ. ამ პასაჟში ჩვენ პირველად ვხედავთ ნინოს სხვა ქალწულებთან ერთად, როგორც ასკეტური თემის წევრს. საყურადღებოა, რომ ნინო რიცისმესთან ერთად ნათლავს სწორედ „ორმეოცსა სულსა სახლისა მისისასა“ ანუ რიცისმესა და მის სახლეულს. სახლეულში კი ახლო ნათესავების, მსახურებისა და მონების

<sup>29</sup> ლეონტი ან აგათანგელოსს ეყრდნობა, ან ორივე (ლონტი და აგათანგელოსი) საერთო წყაროს იყენებენ, რადგან ქართველი მემატიანეც აგათანგელოსის მსგავსად რიცხიმინიანელთა საცხოვრებელ ქალაქდ რომს ასახელებს და არა ეფესოს (როგორც ქართლის მოქავა).

ერთობა იგულისხმება (მამულია 1979: 42-92). ამჟამად მნიშვნელოვანი არაა მათი რიცხვი, არამედ თავად ეს ფაქტი დაფიქსირებული ნინოს ცხოვრებაში, ფაქტი, რომლის ავთენტურობა ეჭვს არ იწვევს და კარგად გამოხატავს ნინოს მოღვაწეობისდროინდელ ისტორიულ რეალობას. ეს რეალობა კი ტიპიურია III-IV საუკუნეებისათვის. მოგვიანებით ასეთი „ექსპერიმენტული პრაქტიკა“ ნელ-ნელა ქრება, ასკეტთა მოღვაწეობა სულ უფრო მეტად ექცევა საეკლესიო კანონთა მიერ განსაზღვრულ ჩარჩოებში.

ნინო და რიცხვისიმიანელები ორი წლის განმავლობაში ეფესოში ცხოვრობდნენ და ჩვენთვის უცნობია აპირებდნენ თუ არა ისინი საერთოდ ამ ქალაქის დატოვებას, რომ არა „რომელიმე მიზეზი“. მიზეზის შესახებ მოგვითხობენ აგათანგელოსი (ამ წყაროს ცნობით, კეისარი დიოკლიტიანეა), ხოლო ქართულ წყაროებში ლეონტი მროველი (რომელიც კეისრის სახელს არ ახსენებს), არსენ იყალთოელი (რომლის თანახმადაც, იმპერატორი მაქსიმიანეა) და არსენისეული ნინოს ცხოვრების პერიფრაზის ავტორიც, რომელიც კეისრად ასევე დიოკლიტიანეს ასახელებს. ამ წყაროთა თანახმად, იმპერატორს მთელ იმპერიაში მხატვრები დაუგზავნია, რათა მისთვის საცოლე მოენახათ. კეისარს რიცხიმე მოსწონებია და მისი ცოლად მოყვანა განუზრახავს. ამის გამო რიცხიმე ნინოსთან და გაიანესთან ერთად სომხეთში გაქცეულა. აქაც მსგავსი ამბავი დატრიალებულა. იმპერატორმა რიცხიმეს სომხეთში ყოფნის ამბავი შეიტყო, თრდატს მისი რომში გაგზავნა სთხოვა, მაგრამ ისიც შეუთვალა, თუ ძალიან მოგეწონოს, შენთვის დაიტოვეთ. თრდატიც დიოკლიტიანეს მსგავსად რიცხიმეს ცოლად მოყვანას გადაწყვეტს, რაზეც რიცხიმე უპასუხებს: „უწყალო მსაჯულო, მე ზეცისა სასძლოსა მითხოვილ ვარ და შენ ვითარ იკადნიერებ ამას“ (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (აბულაძე 1963: 58). მართალია, მთელი ეს ამბავი რიცხიმეს ცოლად მოყვანის შესახებ ლეგენდარული ხასიათისაა და კარგად ცნობილი მოტივია ქრისტიანულ პაგიოგრაფიაში, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა სიტყვები, რომელებსაც უცნობი ავტორი რიცხიმეს მიაწერს. ავტორის თვალთახედვით, მას ქალწულების აღთქმა აქვს დადებული და იგი „ზეციურ სასძლოზეა მითხოვილი“. იგივეს გვამცნობს აგათანგელოსიც (თომსონი 1976: 159). აქვე ძალიან საინტერესოა ლეონტი მროველის ცნობებიც:

ხოლო იხილეს რა ნეტარმან რიცხიმე, გაიანე და სხუათა მათ წმიდათა და ყოვლად ქებულთა დედათა განსაცდელი მათ ზედა მოწევნულად, მაშინ მოიქსენეს მათ უბიწო იგი აღთქმა და დირსი ქებისა მარტოებით ცხოვრება,

რომელსა-იგი იყვნეს განსწავლულ, და გოდებით ტიროდეს გამოხატვით შესწავებისა მისთვის წინაშე მეფისა უსჯულოსა შუენერებისა წმიდისა რიცხვისა, რომელი იგი გამოეხატა და წარგზავნეს (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (ყაუხეჩიშვილი 1955: 81-82).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ლეონტი მროველის ცნობა სომხეთში ქალწულების ცხოვრების შესახებ:

და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა სომხითისათა, ადგილსა მას, რომელსა პრქან ახალქალაქი, უაღრეს შეწებულსა, რომელ არს დვინი, საყოფელი სომებთა მეფისა. და შევიდეს მუნ საწნახელთა ვენაჯისათა,<sup>30</sup> რომელი შენებულ არს ჩრდილოთ კერძ და აღმოსავალით, და იზარდებოდეს მუნ შინა ჯელთსაქმრისაგან ვაჭრობი (ყაუხეჩიშვილი 1955: 82).

ვფიქრობთ, ლეონტი მროველის ცნობებსა და პაპირუსებში დაცულ ინფორმაციას შორის პარალელები ძალიან აშკარაა. ზემოთდამოწმებული პაპირუსებიდან ჩვენ შევიტყვეთ, რომ ასკეტი ქალები ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობდნენ და ძალიან აქტიურადაც იყვნენ ჩართული „ამქვეყნიურ საქმიანობაში“. ერთადერთი ლოგიკური ახსნა ისაა, რომ ლეონტი (და სხვა მემატიანენი) რიცხვისა ცხოვრების აღწერისას ისეთი ავთენტური წყაროებით სარგებლობდა, რომლებშიც რიცხვისა და ნინოს მოღვაწეობის შესახებ სავსებით რეალური ცნობები იქნებოდა დაცული.

რიცხვიმე და დანარჩენი ქალწულები სომებთა მეფისაგან მოწამეობრივად აღესრულნენ, ნინომ კი თავი ქართლს შეაფარა. სწორედ აქ, ჯავახეთში, შემოსულმა იხილა მთებზე თოვლი და შეეშინდა, აქ ქვაზე მიძინებულს ეჩვენა კაცი „პასაკითა ზომიერ და თმითა ნახევარ-თმოსან“, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. როდესაც წყალმა (ანუ მტკვარმა) აღმოსავლეთით იწყო დინება „მიერითგან იყო ლხინებად ჩემი“, როგორც ამას, ნინოს ცხოვრების თანხამად, თავად ნინო გადმოგვცემს. ახალგაზრდა ქალწული ჯავახეთში მწყემსებს შეხვდა, რომლებმაც მას მცხეოსკენ მიმავალი გზა მიასწავლეს. მხეცეთაში ჩასული აქ ქართველთა უძველესი კერპების თაყვანისცემა იხილა და ქართველთა კერპორაციის შეძრწუნებული არმაზი, გაცი და გაიმი ლოცვით დაამხო.

<sup>30</sup> ვენახესა და საწნახელს პატრისტიკულ მწერლობაში სომბლური დატვირთვა პქონდა და მაცხოვრის ჯვარცმასა და აღგდომას აღნიშნავდა (შტერკი 2010: 17)

ვითარცა დასცხერა რისხევად იგი, გამოვედ კლდისა მისგან ნაპრალისა და გპოვე თუალი ბივრიტი (რომელიც არმაზის კერპს ეკეთა - შ.პ.), აღვიღე და წარმოვედ წინა კერძო დასასრულსა მის კლდისასა, სადა ძუელი ქალაქი ყოფილ იყო და მის ადგილსა ყოფილ არს ციხე; და მუნ დგა ხე მშუენიერი ბრინჯისაი მაღალი და რტო-მრავალი. მოვედ ქუეშე ხესა მას და გამოვინიშე ნიში იგი ქრისტესი ჯუარისად და ვილოცევდი მუნ ექუს დღე (გიგინეიშვილი... 1979: 336).

ამ „ბრინჯის ხესთან“ ეყრება საფუძველი ნინოს გარშემო ქალწულთა ახალი თემის ჩამოყალიბებას. ნინოს ცხოვრების მიხედვით, თავად, კაპადოკიელი ქალწული სიკვდილის წინ იგონებდა:

მაშინ მოვიდა და ესე ჩემი შროშანა, სეფექალი, მიხილა და მოიყვანა ბერძლმეტყველი დედაკაცი და მკითხა ყოველი გზად ჩემი. მაშინ ვხედევდ მე თუალთა მისთა ცრემლთა დინებასა უცხოვებისა ჩემისათვის. ოდეს ცნა ყოველი საქმე ჩემი, მაიმულა წარყვანებად ჩემი სეფედ, ხოლო მე არა ვანებე. და იგი წარვიდა, და მესამესა დღესა ჩამოვედ ქალაქად მცხეთად და მივმართე სამოთხესა მეფისასა (გიგინეიშვილი... 1979: 336).

სამეფო ბადში მისულმა ნინომ იქვე მცირე სახლაკში მცხოვრები მებაღის ცოლი ანასტოსი გაიცნო. ანასტოსმა ნინო, როგორც ახლობელი, ისე „შეიტკო“. წმინდანი მასთან ცხრა თვე დარჩა და მებაღე და მისი მეუდღე უშვილობისგან განკურნა. მებაღეებთან ცხოვრების შემდეგ ნინომ ქალაქის ზღუდის გარეთ, მაყვლის ბუჩქთან დაიდო ბინა. მოკლე რედაქციის მიხედვით,

...იყო სამ წელ ეგრეთ ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყულისამთა; და შექმნა სახლ ჯუარისად ნასახლევისად და მუნ დაადგრა და ილოცვიდა. და ადგილი იყო ზღუდისა გარეგან“ (გიგინეიშვილი... 1979: 332).

ლეონტი მროველის გადმოცემით,

მაშინ წმინდამან ნინო ქალაქისა ზღუდეთა გარეგან პოვა ქოჩი ერთი ბრწამი მაყულისა, სადა აწ არს საკურთხეველი ზემო ეკლესიისა საეპისკოპოსო, და იგი შექმნა საყოფელად თვისა. და შექმნა ჯუარი ნასხლევისა და აღმართა ქოჩისა მას ქუეშე, და მარადის ილოცავნ დღე და ღამე დაუცხომლად, და მსახურებდეს ცოლ-ქმარნი იგი, და იყვნეს დაკპრებულ ღუაწლთა მისთა, მარხვასა, და ლოცვასა, და მღვიმარებასა (ყაუხჩიშვილი 1955: 94).

არსენი იყალთოელი ნინოს ადგილსამყოფელს შემდეგნაირად აღწერს: ნინო

წარვიდა საყოფელად თვისად, შორის მაყუალთა მათ, რომელნი მდგომარე იყვნეს სამოთხესა მის მახლობელად, კპაროზთა მათ საკრველთა, რომელნი სახედ ტალავრისა გარდათხმულ იყვნეს და დაპფარვიდეს მას (აბულაძე 1967: 25).

არსენი ძალიან ნათლად და ხატოვნად გვიხატავს წმ. ნინოს მოღვაწეობის სახეს:

ხოლო მოქალაქობად მისი და მოღუაწებად ფრიადი და ცრემლითა და ლოცვითა სამარადისოთა სავსე და საწადელ საშუებელ მისსა – სიმრავლე მარხვისად და კეთილ სამოსელ მისა – სამოსელი ბალნისად და ცხედარ და სარეცელ განსასუენებელ მისსა - ძაბავ მიწასა ზედა დარეცილ (აბულაძე 1967: 25).

XIII საუკუნის არსენისეული ნინოს ცხოვრების პერიფრაზის უცნობი ავტორი ნინოს სულიერი მოსაგრების გადმოცემისას თითქმის არსენის მიყვება

...იყო მოქალაქობად მისი და მოღუაწებად ცრემლითა ლოცვად და საშუებელ მარხვად, და სამოსელი მისი დაბებკული მიწასა ზედა. ესევითარითა მოღუაწებითა დაადგრა მაყუალთა მათ შინა ექუს წელ<sup>31</sup> და ჰკურნებდა სნეულთ (აბულაძე 1967: 67).

ახლა ვნახოთ, როგორ წარმოგვიდგენენ ბიზანტიული ავტორები ნინოს ასკეტურ სახეს. გელასი კესარიელის აღწერით, ნინომ

სათონ ცხოვრებას მიაღწია და თავისი კრძალულებითა და სხვა კეთილი საქმეებით მას აღტაცებაში მოჰყავდა ყველა. როდესაც მას ეკითხებოდნენ ასეთი განდეგილობის მიზეზის შესახებ, ის წმინდა დედაკაცი მარტივად უპასუხებდა ხოლმე, ქრისტეს მიზეზისათვის, ძისა ღმრთისაო (გამყრელიძე... 1961: 186).

გელასი ნინოს ახასიათებს სიტყვებით „ένκρατεία” ანუ „კრძალულება” და „ასტერის” ანუ „განდეგილობა” (განდეგილურად) (თუმცა ამ უკანასკნელი სიტყვის „მოღვაწეობად” თარგმნა უფრო მიზანშეწონილი იქნება). გელასის გადმოცემით განკურნებული ნანა დედოფალი ეუბნება მირიანს ნინოზე, რომ „მისთვის მთელი სიცოცხლე მარხვა და განდეგილობაა” („Η γὰρ ὁ πᾶς βίος νηστεία καὶ ἐνκράτεια”) (გამყრელიძე... 1961: 188). რუფუნისიც ხაზს უსვამს ნინოს

<sup>31</sup> ნინოს ცხოვრების მოკლე რედაქცია ნინოს მაყვლოვანში დაყუდების ხანგრძლივობად სამ წელს უთითებს, რაც ნინოს ფარულად მოღვაწეობის დროს უნდა გულისხმობდეს, რადგან ვრცელი რედაქციების (შატბერდულ-ჭელიშური და სინური) თანახმად ნინომ მეოთხე წელს „არწმუნა ნანა დედოფალსა”, ხოლო მეექვსე წელს მირიანი მოაქცია, ამიტომ სხვა რედაქციებში ნინოს მაყვლოვანში მოღვაწეობის პერიოდს ექვსი წლით განსაზღვრავენ.

ასკეტური მოდგაწეობის ხასიათს: „ის მათთან მოხვდა ტყველ და ეწეოდა სათხო და საკმაოდ ფხიზელ და უმანკო ცხოვრებას, მთელი დღეები და ღამეები დაუცხრომლად ლოცულობდა დმრთისა მიმართ” (გამყრელიძე... 1961: 201). საინტერესოა, რომ რუფინუსი გვამცნობს: „...თვით ამ მედგრობამ ტყვე-ქალისამ ერთგვარი ცნობისმოყვარეობა აღმრა ქალებში, თუ რა სარგებლობა მიიღებოდა ასეთი დიდი თავგანწირვისგან” (გამყრელიძე... 1961: 201). ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ რუფინუსი ხაზს უსვამს იმ ამბავს, რომ ნინო ქალია, „მოდის ტყვე-ქალი და მოძღვრავს მეფეს ქრისტე ღმერთის შესახებ და უმარტვას მას, რამდენადაც ამის შესახებ შეეძლო ქალს განმარტებების მიცემა...” (გამყრელიძე... 1961: 204). აქ კარგად ჩანს ბიზანტიული ავტორისათვის ნინოს მოღვაწეობის ერთგვარი არანორმატიულობა. ქალი სარწმუნოებას ქადაგებს და ხალხს მოძღვრავს, რაც რომაელისათვის ნამდვილად უჩვეულო იყო. ნინოს მოსაგრეობის აღწერა მოგვეპოვება აღმოსავლური ასკეტიზმის ისეთ დიდ მემატიანებთან, როგორიც იყო თეოდორიტე კვირელი. თეოდორიტეს გადმოცემით ნინო

თავის დროს გამუდმებულ ლოცვაში ატარებდა; საწოლად და რბილ ლოგინად მას ჰქონდა ტომარა, იატაკზე დაგებული, ხოლო უმწვერვალეს ფუფუნებად მარხვას თვლიდა. ამ დამაშვრალობამ მოაპოვებინა მას ნიჭი მოციქულობისა (გამყრელიძე... 1961: 210).

სოკრატე სქოლასტიკოსის სიტყვებით კი,

„ტყვე ქალი ბარბაროსებს შორის იყო და სიბრძნისმოყვარულ ცხოვრებას ეწეოდა; უმანკოების დაცვასთან ერთად იგი მარხვასაც ზედმიწევნით ინახავდა და გულმოდგინე ლოცვებსაც ეძლეოდა (გამყრელიძე... 1961: 230).

ერმია სოძომენეს აღწერით,

ის უაღერსად მორწმუნე იყო და ლვთისმოსავი, არც უცხო ტომთა შორის გაანება თავი თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას. ძალიან უყვარდა მას მარხვა, დამით და დღისით ლოცვა და ღმერთის დიდება (გამყრელიძე 1961... : 236).

როგორც ზემოთდამოწმებული ქართული და ბიზანტიური წყაროები გვაუწყებენ, ციხე-სიმაგრესთან და შემდეგ „ბრინჯის ხის” ქვეშ მყოფი ნინო შეუმჩნეველი არ დარჩენილა. სიდონიას მოგონებიდან ირკვევა, რომ პირველად ნინო მან სწორედ „ბრინჯის ხის” ქვეშ დაინახა. სიდონიას თანახმად, მან ქართლში ქრისტიანობის განცხადებულად ქადაგებამდე (რაშიც ქართლის სამეფო კარის ოფიციალურად მოქცევა იგულისხმება) ექვსი წელი გაატარა. „და ოდესმე შვიდნი დედანი დაგვიმოწაფნა შჯულსა მისსა, რამეთუ პყოფდა

ფარულად კურნებათა მრავალთა” ე.ი. ამ ექვსი წლის განმავლობაში ნინომ შვიდი ქალი დაიმოწაფა და მათ შორის - სიდონია. ისინი არიან ქართლში მოსული ნინოს პირველი „დები”, მათგან დაიწყო ქალწულთა თემის ჩამოყალიბება, როგორც ჩანს ეს „დედები” ებრაული თემიდან უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ნინო საქადაგებლად პირველად ებრაულ თემში მოვიდა, როგორც ეს მოციქულთა დროიდან ხდებოდა.

სიდონიას როლი ქართლის მოქცევის ისტორიაში განსაკუთრებულია. მის მონათხოვობაში ნინოსთან პირველი შეხვედრის შემდგომ აღსრულებულ სასწაულთა უშუალო, ცოცხალი შთაბეჭდილებებია დაცული. ქრისტიანობაზე მოქცეული ეს ებრაელი ქალწული ნინოს ცხოვრებაში კიდევ ერთ დვთისმეტყველებაში განსწავლულ და წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოებულ ქალად გვევლინება. არსენის გადმოცემით, „ესე სიდონია სწავლულ იყო სჯულსა მოსესა და წინასწარმეტყულთასა და კეთილად და ლირსებით მეცნიერ...” (აბულაძე 1967: 24). საყურადღებო ფაქტია სიდონიას მიერ ნინოს ხილვის განმარტება. ხილვა ნინოს ცხოვრებაში ძალიან მხატვრულად და ცოცხლადაა აღწერილი და შეუძლებელია თანამედროვე მკითხველი გაკვირვებული არ დარჩეს ამ მცირე ეპიზოდის მხატვრული ცხოველმყოფელობით:

ვინიდე ჩუენებასა შინა მცირედსა მას მირულებასა ჩემსა მუკლთა ზედა: მოვიდიან მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან სამოთხესა მას, ბაბილოსა მას მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან, და მოწლედ ჩემდამო ლალადებედ, რეცა ჩემი არს სამოთხე იგი, გარე მომადგიან ჟღავილით და წმობედ ჩემდა მომართ; მრავალფერად და შუენიერად იყო ხილვად იგი მათი. და მრავალგზის იყო ესე. და უთხარ ესე დასა ჩემსა, ასულსა აბიათარისსა... და მომექცა და მრქუა: „ჩუენებად შენი არს ესე, რამეთუ ადგილი ესე სამოთხისად შენ მიერ იქმნეს სამოთხე სადიდებელად ლმრთისა, რომლისად არს დიდებად აწ და მარადის და უკუნიოთ უკუნისამდე, ამინ (გიგინეიშვილი... 1975: 336).

აქ სიდონია ნინოზე უპირატესადაც კი მოჩანს. ნინო საკუთარი ხილვის შინაარსს ვერ სწვდება და მისი ახსნისათვის სიდონიას, თავის სულიერ დას, მიმართავს, რომელიც ნინოს ხილვასაც განუმარტავს და მის მომავალ მოღვაწეობასაც უწინასწარმეტყველებს. სიდონია ლრმად განსწავლულია საკუთარი ერის ისტორიაში.

თავის მონათხობში სიდონია ამჟღავნებს ძველი ადთქმის (საკუთარი ხალხის) არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას (იგი საგანგებოდ აღნიშნავს თავის ნაკითხობას), არამედ განიცდის მთელი ძველი ადთქმის ისტორიის შინაგან და პროვიდენციულ ლოგიკას და, რაც მთავარია, პროფეტული ნათელხილვის ძალით სწორება კავშირს ძველსა და ახალ ადთქმებს (ახალ ჟამს) შორის, ის რეალობა, რაც ბუნდოვნად იყო გამოთქმული ძველი ადთქმის წინასწარმეტყველთა მიერ, მის ბაგებში სრული სიცხადით არის ვერბალიზებული (კიკნაძე 2009: 41-42).

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სიდონია უშუალოდ მოქცევის მონაწილეა. სალომე უჯარმელი ნინოს მონათხობს გადმოსცემს, სიდონია, როგორც მონაწილე, საკუთარი ოვალით ნანახს და განცდილს გვიზიარებს. იგი არა მხოლოდ აღწერს ფაქტებს და ხდომილებებს... სიდონია არა მხოლოდ ძველი ადთქმის კვალიფიციური ეგზეგეტია, არამედ ფაქტების პერმენევტიკოსი, რომელიც ისევ და ისევ ძველი ადთქმის შუქზე ამხელს მათ საზრისს (კიკნაძე 2009: 43).

სიდონია ლრმად განსწავლული ებრაელი ქალია. ამგვარი ებრაელი ქალის სახე კარგად არის ცნობილი გვიანანტიკურობის ქრისტიანულ და ებრაულ ლიტერატურაში. I-II საუკუნეების ებრაული აპოკრიფებიდან ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე ქალი პერსონაჟი, რომლებიც თავიანთი განსწავლულობით, წინასწარმეტყველების უნარითა და ლმერთოან განსაკუთრებული სიახლოვით ყველა სხვა დანარჩენ მორწმუნეს აღემატებიან. ებრაულ აპოკრიფში იუბილეული წიგნში (ამ წიგნს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც მცირე შესაქმეს, ეთიოპიური ეკლესიის მიერ ის კანონიკურადაა მიჩნეული, დანარჩენ ეკლესიათა მიერ კი - არაკანონიკურ აპოკრიფად) ისააკის ცოლი რებეკა განსაკუთრებულ ფერებშია დახატული. სწორედ რებეკა და არა ისააკია, ამ თხზულების მიხედვით, ხიდი აბრაამსა და იაკობს შორის, ლმერთი რებეკას მეშვეობით უცხადებს საკუთარ ნებას თავის რჩეულთ, ის ძველადქომისეული რწმენის განსახირება და სადვთო ცოდნის მიმღებელია (ჩესნუთი 1991: 120). იგივე როლს ასრულებს ასინეთი იოსეგბისა და ასინეთის აპოკრიფში. ის ჭეშმარიტ რწმენაზე მოუქცევა, ამიტომ იუდაიზმზე მოქცეულ პროზელიტთვის ასინეთა არქეტიპულ სახედ იქცა. მისი რწმენა და მადლმოსილება არაფრით ჩამოუვარდება იოსებისას (იქვე). თავისი განსაკუთრებული დვოისმოსაობით რებეკასა და ასინეთას ემსგავსებიან იობის

ასულები აპოკრიფული იობის აღთქმიდან (ჩესნუთი 1991: 120).<sup>32</sup> შეგვიძლია, სიდონიაც რებეკას, ასინეთასა და იობის ასულთა რიგში ჩავაყენოთ, რადგან აშკარაა რომ ნინოს ცხოვრებაში აღწერილი სიდონიას სახე აშკარად განსხვავდება ქალის ტრადიციული ებრაული (იუდაური) ხედვისგან. ეს კიდევ ერთი მხარეა, რითაც ნინოს ცხოვრება ხმელთაშუაზღვისპირულ ქრისტიანულ და ებრაულ კულტურებსა და ამ კულტურებში გავრცელებულ ლიტერატურულ მოდელებს უკავშირდება.

სპარსი მოგვის ხუარას (ის ნანა დედოფლის ბიძად მოიხსენიება) განკურნების შემდეგ კაპადოკიელმა ქალწულმა მძიმედ დასწეულებული დედოფალიც გამოიხსნა ავადმყოფობისგან და მირიან მეფეს ქრისტეს შჯული უქადაგა. საინტერესოა, რომ თავდაპირველად მირიანმა ნინოს შესთავაზა „ყოფილიყო ერთი მაწოვნებელთაგანი პატივცემულ ქუეყანასა ამას” ანუ მირიანი მიიჩნევს რომ ნინო სასწაულებს არმაზისა და ზადენის ძალით სჩადის (კიკნაძე 2009: 55), მირიანი ნინოს „არმაზის მხევლობას ჰპირდება”, რაც ერთგვარი პარალელი უნდა იყოს ძველ აღმოსავლეთსა და რომში გავრცელებულ ქალწულთა კულტთან (კიკნაძე 2009: 56). მისი აზრით ნინო ქართველთა უძველესი დმერთებისაგან სასწაულებრივი უნარებით იყო დაჯილდოვებული, მირიანისათვის ნინოს ძალა და ფუნქცია ნაყოფიერებასთან ასოცირდება (ყოფილიყო ერთი მაწოვნებელთაგანი), რაც ნამდვილად არაა გასაკვირი, რადგან ძველი ქალდმერთები თავიანთ ძალმოსილებას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ნაყოფიერებასა და შობადობაში ავლენდნენ (ბალარდი 2013: 8-9). ნაყოფიერება ქალის სოციალური სტატუსისათვის აუცილებელი იყო, მისი მნიშვნელობა იზრდებოდა, თუკი ამ ნაყოფიერებას საკრალური დატვირთვა ენიჭებოდა. ქალის სხეული (რომელსაც ძველი აღმოსავლეთის წარმართულ კულტებში დიდი ადგილი ეკავა) იმთავითვე ნაყოფიერებასთან იგივდებოდა, მაგ, აპულეიუსი ქალდმერთ ისიდას ერთ-ერთ დღესასწაულს აღწერს. სადღესასწაულო პროცესის დროს გამოდიოდა ქურუმი, რომელსაც ქალის მკერდის ფორმის ჭურჭელი ეკავა და რძეს ღვრიდა (ბალარდი 2013: 12), ამიტომ მირიანის შეთავაზება სულაც არაა გასაკვირი, თუმცა მირიან მეფე მალევე გამოვიდა წარმართული კულტების გავლენიდან.

<sup>32</sup> აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იობის ასულები გამორჩეული სულიერი უნარებით აღნიშნული თხზულების ინტერპოლაციაში არიან წარმოდგენილი, რომელიც 46-53-ე თავებს მოიცავს (ჩესნუთი 1991: 120).

*მოქავეთ* ქართლისადაც გადმოცემით, ქართლის მმართველი სასწაულებრივად მოექცა ქრისტიანობაზე (მზის დაბნელება თხოთის მთაზე), ქალაქისაკენ მომავალს გახარებული მოსახლეობა ქინძარსა და დართოან ხვდებოდა. მირიანი ნინოს ქართლში მოსვლას ახალი ჟამის დადგომას, ქართველთა ქვეყნის ფერისცვალებას უკავშირებს, იხსენებს რა თავის ანდერძი საკუთარ მოქცევასა და მისტიკურ გამოცდილებას: „შუვა დამეს ოდენ მეჩუენა მზც ბრწყინვალც, ქრისტე დმურთი ჩუენი”. შეიძლება ამ სიტყვების ავთენტურობაში, ზ. კიკნაძის შენიშვნით, ეჭვი შევიტანოთ, „მაგრამ უდავოა, რომ რაღაც მსგავსი ხატი უნდა გაჩენილიყო მის ცნობიერებაში” (კიკნაძე 2009: 59).

„ხოლო ნეტარი ნინო დადგრომილ იყო ლოცვასა მწუხრისას ჩვეულებისამებრ მაყვლოვანსა შინა და ჩუენ მის თანა ორმეოც და ათი ასული” (გიგინეოშვილი... 1979: 342) ე. ი. ნინოს გარშემო შემოკრებილ დედათა რაოდენობა (თუ გადამწერის, ან გვიანდელი რედაქტორის შეცდომასთან არ გვაქვს საქმე) ორმოცდათამდე გაიზარდა.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ ნინოს ცხოვრებაში ასახულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს (რომელიც ასევე გამოდგება ამ პაგიოგრაფიული თხზულების სიძველისა და ავთენტურობის დასადასტურებლად). ჩვენ ზემოთ შევეხეთ ნინოს „ტყვეობის” საკითხს. ქართული, სომხური და ბიზანტიური წყაროები ნინოს ერთხმად აღიარებენ ტყვედ. რ. სირაძის საინტერესო დაკვირვებით,

ნინოს სახე მრავალმხრივია. ესაა „გარდამავალი” სახე წარმართობიდან ქრისტიანობისაკენ, უფრო ზუსტად, იგი სინთეზური სახეა წარმართულისა და ქრისტიანულისა, ნიმუშია წარმართული იდეალების ქრისტიანული მოდიფიცირებისა. ამის გამომხატველია მასში ორი ნიშანთვისების შერწყმა, რომ ის არის „დედუფალი”, და ამავე დროს „ტყვეც”. „დედუფალი” აქ წარმართობიდან მომდინარე მახასიათებელი უნდა იყოს, ხოლო „ტყვე” – ქრისტიანული იდეალების გამომხატველ (სირაძე 1987: 98).

რ. სირაძე ძალიან კარგად აჩვენებს ნინოს ცხოვრებაში დალექილ უძველეს წარმართულ პლასტებს. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რომ ნინოს „ტყვედ” მოხსენიებაც დიდი ალბათობით ქრისტიანული იდეალების გამომხატველი უნდა იყოს, ჩანს ქართლში ახლადშემოსული ნინო იქაურებს თავს უბრალო „ტყვედ” აცნობდა, მალავდა რა ამით საკუთარ წარმომავლობას, ამასთან „ტყვეში” უკვე თვითონვე დებდა დრმა სულიერ და საღვთისმეტყველო შინაარსს. რ. სირაძის აზრით,

...ქრისტოლოგიური თვალსაზრისით ნინო სულიერი მეუფე „მონაცაა”, ასეთია ქრისტე და ასეთივე აზრით უნდა ეწოდებოდეს ნინოს „დედუფალიცა” და „ტყვეც”... როგორც უნდა იყოს, ნინოს ტყვეობას იმთავითვე სიმბოლური მნიშვნელობა უნდა მისცემოდა (სირაძე 1987: 101-102).

რაც შეეხება „დედუფალს”, აქ პატივცემულ მკვლევართან დათანხმება გაგვიჭირდება (თუმცა, ბუნებრივია, რ. სირაძის არგუმენტაციას თავისი ლოგიკა აქვს), სავარაუდოდ, ნინოს „დედუფლად” მოხსენიება მისი ადრეულ ქრისტიანულ ასკეტიზმთან და ქალწულთა თემებთან კავშირის კიდევ ერთი ცხადი დასტურია. საქმე ისაა, რომ როგორც პაპირუსებიდან და სხვა წერილობითი წყაროებიდან, შევიტყვეთ ქალწულთა თემის წინამდღოლებს „კურია”-დ ანუ „დედოფლად” მოიხსენიებდნენ. რ. სირაძის სამართლიანი შენიშვნით, „...ნინო დედოფლად იხსენიება არა წარმოშობის გამო, არამედ ქართლის წინაშე მისი დამსახურების გამო”, ანუ „დედუფალი”, ამ შემთხვევაში, ნინოს არისტოკრატიული წარმომავლობის აღმნიშვნელი აშკარად არ არის. ნინოს ეს წოდება, პირველ ყოვლისა, როგორც ქალწულთა თემის წინამდღოლს, ეკუთვნოდა. როდესაც მოწაფეები ნინოს „დედუფლად” მოიხსენიებენ, მათ ჯერ კიდევ არ უწყიან ნინოს არისტოკრატიული წარმომავლობა.

მირიან მეფის მოქცევას მოჰყვება ქართლში იმპერატორ კონსტანტინესთან მოციქულების გაგზავნა, ეკლესიათა მშენებლობა და ხალხის მონათვლა, რაც ვრცლადაა მოთხოვნილი ნინოს ცხოვრების ყველა რედაქციაში. სვეტიცხოვლის მშენებლობის ერთ-ერთ ეპიზოდში ნინო კვლავ ქალწულთა თემის წევრებთან ერთად ჩანს. როდესაც მშენებლებმა სვეტის აღმართვა ვერ შეძლეს და მეფე და ერი დამწუხერებულნი დაიშალნენ, „ნებარი ნინო დაშთა ადგილსავე, და ათორმეტნი დედანი სხუანი” (გიგინეიშვილი... 1979: 344; აბულაძე 1963: 138). ამ ცნობას შატბერდულიცა და ჭელიშური რედაქციებიც გვაწვდის. როგორც ჩანს, ეს თორმეტი ქალწული ნინოსთან განსაკუთრებულად იყო დაახლოებული.

ნინოს მოწაფეებში არა მხოლოდ უბრალო ქალები – დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, არამედ არისტოკრატებიც იყვნენ, კერძოდ კი ნანა დედოფლი, სალომე უჯარმელი და პეროვავრი სივნიელი. ეს ორი უკანასკნელი მისი თავგადასავლის აღმწერელად იქცა. სალომე უჯარმელი ნინოს ცხოვრების ერთ-ერთი შემოქმედი და ქართლის გაქრისტიანების გამორჩეული მონაწილეა. მისი სახელი „სალომე” (ბიბლიური სახელი) ებრაულ გავლენას უნდა უკავშირდებოდეს” (კიკნაძე 2009: 65-66), თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ სალომე

მისი ნათლობის სახელი იყოს. სიკვდილის წინ ნინომ პელენე დედოფლის მიერ გამოგზავნილი წერილი სალომე უჯარმელს გადასცა (ამის შესახებ ჭელიშვილი რედაქცია გვაუწყებს (აბულაძე 1963: 90)).

სალომე უჯარმელის გავლენა და ავტორიტეტი ფარავს და აფრემკრთალებს მისი მეუღლის, მეფე მირიანის ძის, რევის სახეს. ზ. კიკნაძის აზრით, „უფლისწელი რევი არის იმის ცოცხალი მაგალითი, თუ როგორ უპირატესობენ ქალები მოქცევაზი და სძლევენ მამაკაცთა ინიციატივას მის ეველა ეტაპზე, ეველა საქმიანობაში” (კიკნაძე 2009: 60). რევი ქართლის მოქცევაში ნაკლებად ფიგურირებს, როგორც ჩანს ის უფრო ინდივიდუალურ დონეზე მოღვაწეობდა. სალომე უჯარმელის ფონზე ის მართლაც უკანა პლანზე დგას.

ქართლის მოქცევაში მნიშვნელოვანი პირია ნინოს ცხოვრების თანახმად, ნინოს ცხოვრების მეორე აღმწერელი და ავტორი პეროვავრი სივნიელი. პეროვავრის შესახებ არ გვაქვს იმდენი ინფორმაცია, რამდენიც სალომეს შესახებ, თუმცა ნინოს ცხოვრების დასაწყისიდან ჩანს, რომ პეროვავრი ნინოსთან დაახლოებული უნდა ყოფილიყო.

ქართლის განმანათლებელი მცხეთაში მოღვაწეობის შემდეგ მთიელებთან საქადაგებლად გაემართა. შემდეგ კახეთს ჩამოვიდა და იქაურები მოაქცია. კახეთში ყოფნისას ნინო დასწეულდა და მცხეთისკენ წამოემართა, თუმცა გზაზე „სწეულება დაუმძიმდა” და დაბა ბოდს<sup>33</sup> გაჩერდა. აქედან მან წერილები გაუგზავნა მეფე მირიანსა და ნანას. ნინო ბოდში გარდაიცვალა,<sup>34</sup> მეფემ მისი წასვენება მცხეთაში ისურვა, თუმცა მისი ცხედარი ვერ დაძრეს, ამიტომ იქვე დაკრძალეს.

ნინოს მიერ ჩამოყალიბებული ქალწულთა თემის შემდგომი ბედი უცნობია. ზემოთ დამოწმებული წყაროებიდან ჩვენ დავინახეთ რომ ქალწულები მუდმივად ნინოსთან იყვნენ და მასთან ერთად მაყვლოვანში მოღვაწეობდნენ. ნინოს ცხოვრებიდან არ ჩანს, გაყვნენ თუ არა ისინი ქართლის განმანათლებელს მთიანეთსა და კახეთში მისიონერული მოგზაურობისას. შესაძლებელია მათი ნაწილი ქადაგებისას თან ახლდა ნინოს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ

<sup>33</sup> ნინოს გარდაცვალებისა და განსასვენებლის ადგილი წყაროებში მრავალნაირად ფორმით გვხვდება: ბოდი/ბუდი/ბოდინი/ბოდისი, ჩვენ ამ შემთხვევაში შატბერდისეული რედაქციის გარიანტს ვანიჭებთ უპირატესობას, რადგან ეს რედაქცია უფრო ზუსტად გადმოგვცემს კერძო პირთა და გეოგრაფიულ სახელებს.

<sup>34</sup> როგორც ნინოს ცხოვრების სინური რედაციებიდან ირკვევა, ნინო რომელიდაც ინფექციური დაგადებით, კერძოდ კი მაღარიით, უნდა გარდაცვლილიყო დაახ. 331 წელს (ნიკოლოზიშვილი 2006ბ: 57-60).

ბოდში, მის განსასვნებლეთან დარჩენენ და აქ გააგრძელეს მოღვაწეობა, რისი ვარაუდიც ყველაზე ლოგიკური იქნებოდა, თუმცა ამის დამადასტურებელი რაიმე ხელშესახები ცნობა ჩვენ ამჟამად არ გაგვაჩნია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნინო განმანათლებელი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ასკეტური, მონაზვნური ცხოვრების პირველმქადაგაბელიც იყო. ნინოსა და მის გარშემო მყოფ ქალთა სახეებში ჩვენ მოწამეებს, მისიონერებს, სასწაულმოქმედებს, წინასწარმეტყველბსა და მოციქულებს ვხედავთ. ნინო ადრეულ ქრისტიანობაში ჩამოყალიბებულ ქალწულთა დასის (ქალწულთა მწყობრის) ტიპური წარმომადგენელია. ქრისტიანული ასკეტიზმის ეს ერთგავარად გარდამავალი ფორმა, I-III საუკუნეების (შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, გაუფორმებელი, „ექსპერიმენტული“) ასკეტური პრაქტიკიდან IV-V საუკუნეების ინსტიტუციონალიზებულ სამონასტრო ცხოვრებაზე, კარგად აისახა ნინოს ცხოვრებაში, რომლის ძირითადი ავთენტური ნაწილი 362 წლამდე უნდა შექმნილიყო. ნინოს ცხოვრება ძალიან აშკარად გამოხატავს იმდროინდელ ქრისტიანულ ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცლებულ „სულისკვეთებებს“, ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ რელიგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ, გენდერულ და ეთნიკურ კოდებს, რაც ამ წყაროს ძირითადი პლასტის ავთენტურობაზე ნათლად მიანიშნებს. თხზულებას აშკარად ეტყობა ქალ ავტორთა ხელი, ქალთა ავტორობა კი არათუ გვიანანტიკური, არამედ მთლიანად ქრისტიანული პაგიოგრაფიის ისტორიისათვის ძალზე უჩვეულო და იშვიათია, ეს კი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა, რითაც ნინოს ცხოვრების მნიშვნელობა და უნიკალურობა დასტურდება ზოგადად და, კონკრეტულად, ქართული ასკეტური ტრადიციის ისტორიაში.

#### §4. ეპსტათი სებასტიელი

ჩვენი დაკვირვებით, IV საუკუნის I ნახევარში საქართველოში (მის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში) ბერმონაზვნური ცხოვრების წესის პირველგამავრცელებელი ეპსტათი სებასტიელი (ეპსტათიზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი). უნდა ყოფილიყო. რის საფუძველზე გამოგვაქვს ამგვარი დასკვნა?

ჩვენი ყურადღება მიიქცია ერმია სოძომენებს ერთმა ცნობამ. ეპლესიის ისტორიკოსის გადმოცემით: „Αρμενίοις δὲ καὶ παφλαγόσι, καί τοῖς τὸν Πόντον οἰκοῦσι, λέγεται, Εὐσταθίος ὁ τῆς ἐν Σεβαστίᾳ τῆς Αρμενίας ἐκκλησίαν ἐπιτροπεύσας, μοναχικῆς πολιτείας ἄρξαι” αნუ, „αმենա რომ სოմեցի, პաֆլագոნიյցի და პონტოს მცხოვრებლებში ევსტათი, სომხეთის სებასტიის ეპლესიის წინამდღოდი, ქადაგებდა ბერმონაზვნურ ცხოვრებას” (ხინობიძე 1982: 179). ეს არის *Patrologia Graeca*-ს ტექსტი, რომელიც ე. ხინობიძეს აქვს დამოწმებული, მაგრამ როგორც ცნობილია *Patrologia Graeca*-ს გამომცემელს აბატ ჟან პოლ მინს ტექსტები კრიტიკულად არ დაუდგენია. დამოწმებულ ნაწყვეტში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა წინადაღება: „Αρμενίοις δὲ καὶ Παφλαγόσι καὶ τοῖς πρός τὸν Πόντον οἰκοῦσι”, ანუ „სომხებში, პაფლაგონიელებსა და პონტოს მცხოვრებლებში”. საქმე ისაა, რომ ე. ხინობიძეს „τοῖς πρὸς τὸν Πόντον οἰκοῦσι” ნათარგმნი აქვს, როგორც „პონტოს პირას მოსახლენი” (ხინობიძე 1982: 179), ოუმცა ნაწილაკი „πρός” აკუზატივუსში მდგარ არსებით სახელთან პρეპოზიციურ წყობაში შეიძლება ნიშნავდეს, როგორც „ταῦ (პირას)”, ასევე „ში”. უფრო ლოგიკურია, ოუ ამ პასაჟს ვთარგმნით, როგორც „პონტოს მცხოვრებლებში (მოსახლეებში)”, და არა „პონტოს ნაპირას (ან პონტოსთან) მოსახლეებში”. მაგრამ ტექსტი, რომელიც კრიტიკულადაა დადგენილი „პონტო” მიცემითში დგას და არა აკუზატივში: „Αρμενίοις δὲ καὶ Παφλαγόσι καὶ τοῖς πρὸς τῷ Πόντῳ οἰκοῦσι” (ელმი 1994: 107). ამ შემთხვევაში შეთანხმების „πρὸς τῷ Πόντῳ” ყველაზე ადეკვატური თარგმანი იქნება „პონტოსთან” ან „პონტოსპირეთში” ან „პონტოს მახლობლად”. ასევე აქვს ნათარგმნი რუს მთარგმნელსაც: „У Армиянъ, Пафлагониян и обителей Припонтийскихъ” (ხაზგასმა ჩვენია – ქ. მ.) (სოძომენე 1851: 199). განსხვავებულად თარგმნის ამ პასაჟს სუსანა ელმი: „It is said that Eustathius, who governed the church of Sebaste in Armenia, founded a society of monks in Armenia, Paphlagonia and Pontus” (ხაზგასმა ჩემია – ქ. მ.) (ელმი 1994: 107), რაც არ არის ზუსტი თარგმანი.

ვინ უნდა ყოფილიყვნენ „პონტოს მახლობლად მცხოვრებნი” სომხებისა და პაფლაგონიელების გარდა? ბუნებრივია, „პონტოს მახლობლად მცხოვრებლებში”, რომლებსაც ევსტათი სამონაზვნო ცხოვრებას უქადაგებდა, იძერიელები და კოლხები უნდა ვიგულისხმოთ. ვფიქრობთ, აქ მცირე ექსპურსი იქნება საჭირო, ბიზანტიურ მწერლობაში, იბერიისა და კოლხეთის

გეოგრაფიული მდებარეობის აღწერის თვალსაზირისით, რათა ერმია სოძომენისეულ ცნობას პარალელი დაეძებნოს სხვა ავტორებთან.

სე, მაგალითად, შესაქმის წიგნის ლათინურ რედაქციაში ქართველური მოდგმის ხალხები უშუალოდ პატლაგონიელებთან მოიხსენიებიან:

...და ეს იაფეტის ტომები მიდიოდან ოკეანის დასავლეთ კიდემდე არიან გადაჭიმული ჩრდილოეთისაკენ; ესენი არიან... პატლაგონიელები, მარიანდელები, ტიბარენები, ხალიბები, მოსსკნოტები, კოლხები, მელანკები... (გამყრელიძე... 1961: 13).

კესარიოს ნაზიანზელი (გრიგოლ დვორისმეტყველის უმცროსი ძმა) ასე აღწერს ქართველურ ტომთა განსახლებას:

ზემო სარმატიაში და სკვითიაში და ყველა იმ ტომთებთან, რომელნიც პონტოს გარეთა მხარეს ცხოვრობენ, - ვერსად ვერ ნახავ ზარაფს, ვერც მოქანდაკეს ან მხატვარს, ვერც ხუროთმოძღვარს, ვერც აშურსა და მსახიობს, როგორც ეს ჩვენშია (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (გამყრელიძე... 1961: 37).

ცხადია, რომ „ყველა იმ ტომებში, რომლებიც პონტოს გარეთა მხარეს ცხოვრობენ“ (καὶ πᾶσιν ἐν τοῖς ἐξωτικοῖς μέρεσι τοῦ Πόντου ἔθνεσιν) ქართველური ტომები უნდა იგულისხმებოდნენ. ფილოსოფოს თემისტიოსის ერთ-ერთ თავის წერილში ასე აღწერს კოლხეთის მდებარეობას:

მეც ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფი მოვწევიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა... და აი, ასეთი ბარბაროსული ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად, იმ ერთი კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხების და არმენიელების ქვეყანაში... (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (გამყრელიძე... 1961: 50).

IV საუკუნის ცნობილი მემატიანე ამიანე მარცელინე ქართველური მოდგმის ხალხებით დასახლებულ ტერიტორიებს „პონტოს უბეში“ მდებარე ქვეყნებად თვლიდა:

დროა, რომ, როგორც ვფიქრობ, რაკი დიდი ხელმწიფის მიზეზით ამ მხარეებს მივადექით, მკაფიო სარწმუნოებით აღვწერო, რაც კი რამე ნახული ან წაკითხული მაქვს თრაკიის შორეული [კუთხეებისა] და პონტოს უბის მდებარეობის შესახებ (გამყრელიძე... 1961: 103).

თრაკიის აღწერის შემდეგ კი ამიანე სწორედ ქართველურ ტომთა განსახლების აღწერილობაზე გადადის (გამყრელიძე... 1961: 108-120). გელასი კესარიელი წერს:

იმავე ხანებში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწაწყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამადე არ სწამდათ (Κατὰ δὲ τὸν αὐτὸν χρόνον καὶ οἱ πρὸς τῇ κατά Πόντον γῇ Ἰβηρές τε καὶ Λαζοὶ τόν τοῦ Θεοῦ ἐδέξαντο λόγον, μήπω πρὸ τούτου εἰς αὐτὸν πεπιστευκόντες) (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (გამყრელიძე... 1961 : 186).

რუფინუსის გადმოცემით, „ამავე ხანებში იბერთა ტომმა, რომელიც ცხოვრობს პონტოს მხარეში, მიიღო ღმრთის მცნების კანონები და მომავალი (საიქიო) ცხოვრების რწმენა” (Per idem tempus Iberorum gens, quae sub axe Pontico iacet, verbi Dei foedera et fidem future suscepérat) (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (გამყრელიძე... 1961: 201)).

ზემოთდამოწმებული მცირე, თუმცა სხვადასხვა პერიოდის, მასალიდანაც ვფიქრობთ ნათელია, რომ ბერძნულ-რომაული წყაროები „პონტოსპირეთში” (კიგულისხმებთ „პონტოში” რომის იმპერიის პროვინციასა თუ უბრალოდ შავ ზღვას) მოსახლე ტომებად იბერიელები და კოლხები მიაჩნდათ, ამიტომ სოძომენე „პონტოსპირეთში” მოსახლე ხალხებში, რომელთა შორისაც ევსტათი სებასტიელი ბერმონაზვნური ცხოვრების წესს ნერგავდა, სწორედ იბერიელები და კოლხები უნდა ვიგულისხმოთ. მაშასადამე, ევსტათი სებასტიელის ქადაგება ქართლსაც (ალბათ მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეებს) და ეგრისსაც მისწვდა. ეს ცნობა საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დაფუძნებისა და გავრცელებების ერთ-ერთ უადრეს ეპიზოდად უნდა ჩავთვალოთ. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში, იბერიასა და კოლხეთში, გარკვეული სახით, არიანელობის გავრცელებაც ვივარაუდოთ, რადგან ამ პერიოდში ევსტათი არიანული მოძღვრების მხურვალე მქადაგებელსა და მიმდევარს წარმოადგენდა.

## თავი IV. ქართული ბერმონაზვნობა V საუკუნეში

### §1. წილკნის მონასტერი

წერილობით და არქეოლოგიურ წყაროთა დაკვირვებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ V საუკუნის ქართლში ბერმონაზვნური ცხოვრების ანაქორეტული (განდეგილური) და კვინობური (ზოგადცხოვრებული ანუ ასკეტთა მჭიდრო ერთობა) სახეები უნდა გავრცელებულიყო. საუბრობს რა საქართველოში საეკლესიო წეს-წყობილების შესახებ, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ საეკლესიო ცხოვრების სხვა ფორმებთან ერთად „V საუკუნეში ჩნდება საქართველოში მეუდაბნეობაც” (ჯავახიშვილი 1980: 337), თუმცა აღნიშნულ შეხედულებას კონკრეტული წყაროს დასახელების გარეშე გამოთქვამს. არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძეც მიუთითებდა, რომ ქართული ბერმონაზვნობის პირველდამწყებნი და საფუძვლისჩამყრელნი ანაქორეტები – მარტომყოფელი მონაზვნები უნდა ყოფილიყვნენ (ფერაძე 2006: 126).

1978 წელს ს. წილკანთან ახლოს თლილი ქვებით ნაშენები მიწისქვეშა აკლდამა აღმოჩნდა. არქეოლოგებს აკლდამის შიგნით კირხსნარით დაფარულ დასავლეთ კედელზე წითელი და შავი ასომთავრულით შესრულებული ძლიერ დაზიანებული ოთხსტრიქონიანი ბერძნული წარწერა დახვდათ. როგორც ჩანს წარწერა თავდაპირველად წითელი ასოებით უნდა ყოფილიყო გამოსახული, შავი საღებავი შემდეგ გადაუსვეს. წარწერა ქრიზმებითაა გაფორმებული, თავდაპირველად სამი სტრიქონი უნდა წაეწერათ, IV მოგვიანებითაა მიმატებული, ისევე როგორც წარწერის დანარჩენი ნაწილი, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. წარწერა ასე იკითხება (ვიმოწმებთ თ. ყაუხეხიშვილისეულ წაკითხვას): „έγώ Τικᾶς καὶ ἡσυχαστής ἀββ]α μου Φαρανούσης ἐποιήσαμην [β]ωμὸν τοῦτον ἵσό[δ]ομ[ον ἔαυτοῖς] [Π]α[π]ριοῦπας (?) Ισδ[ιγέρδης] (?) [πρὸς δε καὶ ἐνθάδεν κεῖνται] (ყაუხეხიშვილი 2000: 213-214). წარწერა ასე ითარგმნება (თ. ყაუხეხიშვილისეულ თარგმანი): „მე ტიკასმა და ბერმა ჩემმა ამბა ფარანუსესმა გავაკეთეთ ეს აკლდამა თლილი ქვებისგან ჩვენთვის. პაპრიუპასი (?), ისდიგერდესი (?) ასევე აქ განისვენებენ” (ყაუხეხიშვილი 2000: 213-214). ვიმოწმებთა ასევე გ. ჭელიძისეულ თარგმანის: „მე ტიკასმა და ჩემმა აბბამ, დაყუდებულმა ფარანუსემ ვქმენით

ჩვენთვის სამსხვერპლო (სამარტვილე) თანაბრად შენებული, პაპრიუპა და ისდიგერდე ასევე აქ მდებარეობენ” (ნაცვლიშვილი 2005: 363).

წარწერაში ჩვენთვის ძალიან საინტერესოა სიტყვა, რომლის მხოლოდ პირველი სამი ასო იკითხება და ო. ყაუხეჩიშვილი სავსებით ლოგიკურად მას „წუხასტეს”-დ აღადგენს. ტერმინი „წუხა” უკვე ფართოდ გამოიყენებოდა IV საუკუნის ასკეტურ ლიტერატურაში. მისი ქართული შესატყვისი იყო „დაყუდება”, „მყუდროება” (ჭელიძე 2013ა: 373). „ჰესიქასტი” გარკვეული პერიოდი ითარგმნებოდა, როგორც „დაყუდებული”, თუმცა შემდგომში, გელათური მთარგმნელობითი სკოლის გავლენით, მის თარგმანად „მემყუდროვე” დამკვიდრდა (ჭელიძე 2013ა: 327, 273; ჭელიძე 2013ბ: 114). მას განდეგილის, მარტომყოფელის მნიშვნელობაც აქვს (ლამპის თარგმანით *solitary, distinct from cenobite* (ლამპი 1963: 609)). ეს სიტყვა უკვე გვხვდება IV საუკუნის ისეთ ავტორებთან, როგორებიც არიან ამონი – ანტონის მოწაფე და სავარუდოდ ქალაქ ოქსირინქუსის ეპისკოპოსი (სიდოროვი 2012: 39), ესაია განშორებული (ჭელიძე 2013ა: 61), ბასილი დიდი (ქაჯაია 1992: 211), V საუკუნეში ნილოს სინელი (ჭელიძე 2013ბ: 24) და სხვ.

რა არის „დაყუდება” და ვინ არის „მემყუდროვე” („დაყუდებული”)? ბასილი თავის მე-2 ეპისტოლეში გრიგოლ დვთისმეტყველს სწერს: „...დაყუდება დასაბამი არს სულისა განწმენდისაა” (ქაჯაია 1992: 211) („*Ἡσυχία οὐν ἀρχή καθάρσεως τῇ φύῃ*” (PG: 228)). დაყუდებაში ქრისტიანი ავტორები ვნებათაგან განშორებასა და ლვთაებრივ, შეუქმნელ სინათლესთან მიახლებას გულისხმობდნენ. მემყუდროვე ქრისტიანი ასკეტია, რომელიც სულიერი თვითჩაღმავებითა და გონიერი ლოცვით სულს განიწმენდს. ბასილი დიდის სწავლებით დაყუდების საფუძველი გონების შემოკრებაა.

რამეთუ გონებად ოდეს არა განბნეულ იქმნეს და განსცხებოდის ხედვათაგან, არა შეუკდეს საგრძნობელთა გუამისათა რამე შფოთთაგანი ამის საწუთოროსაა. შემოკრების გონებად თავსა შინა თვესსა და ხედავნ გულისხმისათა საღმრთოთა და იხარებნ მაშინ და განათლდებინ შუენიერებითა მით ზეშთაედსითა, ვიდრემდის დაავიწყდის კაცსა ბუნებადცა და არა გული უთქუამნ ჭამადთათვს და ორცა ზრუნავნ სამოსლისათვს. გარნა განთავისუფლებულ იქმნის ყოვლისა ზრუნვისა ამის ქუეყანისა, რამეთუ დწოლად მისი და ზრუნვად ესე არს, თუ ვითარ უკვე მოიპოვნეს

საქმენი იგი კეთილნი და დიდებულნი და ვითარ შეიკრძალოს სიწმინდეს და სიმჯნით მოთმინებად, სიმართლეს და გონიერებად და ყოველივე, რადცა იშვების დიდებულისა მისგან სათხოებისა (ქაჯაია 1992: 211).

სათხოებებში წვრთნისა და სულის დაფარულ სნეულებათაგან განწმენდის შემდეგ კი მას ღმერთის ხილვის შესაძლებლობა ეძლევა. იოანე ოქროპირის განმარტავს რა სახარებისეულ სიტყვებს („ნეტარ არიან წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ” (მათე 5 : 8)), ამბობს:

არამედ სხუასაცა უაღრესსა რასმე ხილვასა ნეტარებად იგი მოასწავებს დამარხულსა წმიდათათვს გულითა, რომელ-იგი ბუნებასა შინა კაცობრივსა შესაძლებელ არს დატევნად, რომელი მას საუკუნესა განმზადებულ არს წმიდათათვს, რომელსა ვჰონებ, თუ იგი არს უაღრესობად ყოველთა მათ კეთილთა სასუფევლისათა, და უფროდსდა ვთქუა, თუ იგი არს სასუფევლი ცათად, ხილვად ღმრთისად, რავდენ-იგი შესაძლებელ არს, არა თუ რად იგი არს, არამედ რამ-იგი იცის მან მხოლომან, ვითარმედ თავს-იდებს ბუნებად ჩუენი ხილვად (თვალთვაძე... 2014: 231).

ასე რომ, მემყუდროვე განსაკუთრებული სულიერი ღვაწლის მატარებელი მოღვაწე, განდეგილია, რომელიც უარყოფს რა წუთისოფელს, მონაზვნების გზაზე შემდგარი საკუთარი სულის განწმენდითაა დაკავებული.

წილკნის აკლდამის წარწერაში დაცულია კიდევ ერთი საინტერესო ტერმინი „აბბა”. ეს სიტყვა სირიული წარმოშობისაა და „მამას” ნიშნავს. ქრისტიანულ მეტყველებაში მან „სულიერი მამის” დატვირთვა შეიძინა.<sup>35</sup> აქევ შევნიშნავთ, რომ „აბბა” (ამბა) აუცილებლად მონაზონს, ბერს არ გულისხმობს, ის პრესვიტერებსაც და მღვდელმთავრებსაც მიემართებოდათ.<sup>36</sup> ჩვენ შემთხვევაში კი „აბბა” მემყუდროვე ბერს ფარანუსესს ეწოდება, რაც შესაძლებელია იმაზე მიანიშნებს, რომ ფარანუსესი (ფარნაგაზი?) მცირერიცხოვანი საძმოს წინამძღვარი იყო (ყაუხეჩიშვილი 2000: 214).

<sup>35</sup> ეგვიპტურ პაპირუსებში „άππα” (άππας) მშობლისადმი საპატივცემულო მიმართვა იყო, III საუკუნის ბოლოდან და IV საუკუნის დასაწყისიდან მან „სულიერი მამის” მნიშვნელობა შეიძინა (ელმი 1994: 246).

<sup>36</sup> მაგ. ქართული ლაპიდარული წარწერებიდან ცნობილია ურბნისის სიონის V საუკუნის I ნახევრის საამშენებლო წარწერა: „უფალო იქსე ქრისტე, კოსტანტი, მამად მიქაელ შეიწყალენ, ამის სიონისა მაშენებელნი”, სადაც „მამა” სწორედ „აბბა”-ს ექვივალენტია. წარწერაში მოხსენიებული მიქაელის ეპიტეტი „მამა” აუცილებლად მის მონაზვნობას არ ნიშნავს.

დ. ხოშტარიას შენიშვნით, წილკნის აკლდამასთან ყველაზე მეტ სიახლოვეს რ. რამიშვილის მიერ აღმოჩენილი ერწოს სიონის აკლდამა ავლენს (ხოშტარია 2000: 50).

წილკნის აკლდამის წარწერა ქართული მონასტრიციზმის ისტორიის უადრეს წყაროს წარმოადგენს. ის მოწმობს რომ წილკანში ადრექრისტიანულ ხანაში არსებობდა მონასტერი. რამდენადაც ბერ-მონაზონთა საძვალეები, როგორც წესი, მათსავე მონასტრებში ეწყობოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მონასტერი, რომლის ბერიც იყო ფარანუსესი, აქვე მდებარეობდა, ე. ი. აკლდამა გაკეთდა მონასტრის ტერიტორიაზე. ამ აზრს განამტკიცებს აკლდამის დასავლეთით, სულ სამიოდე მეტრის მოშორებით გამოვლენილი ეკლესიის ნაშთი. ეკლესია დარბაზულია, აქვს აფსიდური საკურთხეველი. ის საკმაოდ ძველი ჩანს, მაგრამ დაზუსტებით დასათარიღებლად ხელმოსაჭიდი არაფერი გვაქვს (ხოშტარია 2009: 50).

დ. ხოშტარიას აზრით, ფარანუსესი ქართული ფარნავაზი უნდა იყოს (ხოშტარია 2009: 50).

6. ნაცვლიშვილის შეხედულებით, წარწერაში ნახსენები ბერები ეთნიკურად ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ. „წარწერაში მოხსენიებულ ბერძნებს პქონიათ ეკლესია და აკლდამა (იგივე სასაფლაო), რომელთაც შემოვლებული პქონია ზღუდე” (ნაცვლიშვილი 2005: 364). დ. ხოშტარიას კვლადკავალ 6. ნაცვლიშვილიც ფიქრობს, რომ აკლდამა დაყუდებულ ბერებს უნდა აეშენებინათ, აკლდამის მოშორებით შემორჩენილი აბსიდიანი ეკლესიის ნაშთი (ნიკოლეიშვილი 1986: 40), მისი აზრით, მემყუდროვე ბერების სამლოცველო ეგვტერი უნდა ყოფილიყო, ხოლო აკლდამა - მათ სამუდამო განსასვენებელი (ნიკოლეიშვილი 1986: 365). ვფიქრობთ დ. ხოშტარიასა და 6. ნაცვლიშვილის ამგვარი ვარაუდი საფუძვლიანია. ჩვენ საქმე გვაქვს ერთ-ერთ უადრეს მონასტერთან საქართველოში, რომლის ძმობასაც აპბა ფარანუსესი წინამძღვრობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 6. ნაცვლიშვილს ეს ბერები ბერძნები პგონია.

ნათელია ისიც, რომ IV-V საუკუნეებში წილკანში უცხოვრიათ ბერძენ მონაზონსა და მის მოწაფეს, თუმცა საუკუნეთა გადასახედიდან ძნელი გასარკვევია, ადგილობრივები იყვნენ, ისინი, თუ საბერძნეთიდან ჩამოსულები. რაც შეეხება მონასტერს, საეპისკოპოსო უკვე გულისხმობს იქ, თუნდაც ერთი მონაზვნის, ეპისკოპოსის ცხოვრებას, ასე რომ, როგორც ჩანს,

წილკანში ბერძენი ბერის მისვლამდე უკვე არსებობდა ქართული მონასტერი (ნაცვლიშვილი 2005: 368).

6. ნაცვლიშვილი ცდილობს წილკნის მონასტრის ისტორია აღადგინოს საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით, მისი აზრით, „წილკნის შემთხვევაში უცხოელი მონაზვნები „შეწყანრებულნი“ არიან ადგილობრივი ეპისკოპოსისა და მონასტრის მიერ (ნაცვლიშვილი 2005: 53) და შესაბამისად „ბერძენი ბერები“ ქართულ მონასტერსა და ქართველ ეპისკოპოსს ემორჩილებოდნენ.

წილკნის აკლდამის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ელინიზირებული სახელები ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ბერები აუცილებლად ბერძნები იყვნენ.<sup>37</sup> ბერძნული სახელები გავრცლებული იყო ეთნიკურად უაღრესად ჭრელ და მრავალფეროვან ელინისტურ სამყაროში. მეორეც, ამ პირების სახელები სულაც არაა ბერძნული. თ. ყაუხეჩიშვილის სამართლიანი შენიშვნით, წარწერაში მოხსენიებული ყველა საკუთარი სახელი სპარსულია (შესაძლებელია დ. ხოშტარიას აზრი მართებულია და „ფარანუსესი“ ქართული „ფარნავაზის“ ელინიზირებული ფორმა იყოს, თუმცა თ. ყაუხეჩიშვილი შენიშნავს, რომ სახელიც („ფარანიუსუს/ფარნაიუსუს“) სპარსულია (ყაუხეჩიშვილი 2000: 214)), ამიტომ სახელების მიხედვით ჩვენ ნამდვილად ვერ ვიმსჯელებთ წარწერაში მოხსენიებულ პირთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ, თუმცა იმის თქმა კი დანამდვილებით შეგვიძლია რომ ისინი ბერძნები არ იყვნენ, რადგან გაუგებარია, რატომ უნდა რქმეოდათ ბერძნებს სპარსული სახელები, როდესაც ქრისტიანულ სამყაროში არაბერძნებსაც კი ბერძნული სახელები ერქვათ? რატომ არის წარწერა შესრულებული ბერძნულად და ნიშნავს თუ არა წარწერის ბერძნულენოვნება და სპარსული სახელები იმას, რომ მასში მოხსენიებული პირები ქართველები არ არიან? ერთი მხრივ, ბერძნული წარწერა და სპარსული სახელები მათ უცილობელ უცხოელობას არ ნიშნავს, მეორე მხრივ, არც მათი ქართველობის დამადასტურებელი რაიმე ცნობა და საბუთი მოგვეპოვება. გარდა ამისა საფუძველსმოკლებულად გვეჩვენება 6. ნაცვლიშვილის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ეს „ბერძენი ბერები“ აქ მანამადე არსებულ ქართულ მონასტერს ექვემდებარებოდნენ და ამ მონასტრისგან იყვნენ „შეწყანრებულნი“, რადგან აღნიშნული მოსაზრებების დასამტკიცებლად არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია, თუმცა თითქმის უგვეველია, რომ ეს მონასტერი წილკნელ მდგდელმთავარს

<sup>37</sup> წილკანში ეპისკოპოსის ყოფნა სულაც არ ნიშნავს აქ მონასტრის არსებობას. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ეპისკოპოსად ხელთდასხმისათვის მონაზვნად აღკვეთა არ იყო საგადადებულო

ემორჩილებოდა, რადგან აქ, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების უაღრესი ეტაპიდანვე, არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა. აღსანიშნავია ისიც, რომ VI საუკუნის 40-იან წლებში ასურელ მამებს წილკანში მონასტერი არ დაუარსებიათ.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ წარწერა IV-V საუკუნეების (ამ საუკუნეთა მიჯნის) ქართლში (წარწერის უფრო ზუსტად დათარიღება შეუძლებელია) მცხირერიცხოვანი სამონასტრო ძმობის (მემყუდროვე მოღვაწეების) არსებობას ადასტურებს.

## §2. განდეგილები V საუკუნის ქართლში

ქართლში მოღვაწე სხვა დაყუდებულ განდეგილთა შესახებ ცნობას იაკობ ცურტაველის თხზულებაში ვხვდებით. შუშანიკის მარტვილობაში ვკითხულობთ:

ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისად მის პიტიახშისად, რომელსა სახელი ერქეა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა გისმე წმიდისა განად მისრულ იყო კითხვად რადსამე სიტყვა. და მეცა ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას. და მყის მოიწია ჩუენდა დიაკონი შინავთ და გვთხრა ჩუენ ესე ყოველი: მოსვლად პიტიახშისად და საქმენი დედოფლისანი. ხოლო ჩუენ აღვივსენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა გტიროდეთ განმწარებულნი ცოდვათა ჩუენთა წარმოჩინებისათვის; ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ” (ხაზგასმა ჩემია – ჭ. მ.) (აბულაძე 1938: 8).

აქ რამდენიმე გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: ეპისკოპოსი აფოცი და მღვდელი იაკობი რჩევის საკითხავად „ვინმე წმიდა კაცთან” იყვნენ მისულები და როგორც ჩანს ეს წმინდა კაცი „დაბიდან” შორს არ ცხოვრობდა, რადგან დიაკვანი შუშანიკის ამბის შესატყობინებლად აფოცსა და იაკობს მალევე აკითხავს და იაკობიც იმ დღესვე ბრუნდება დაბაში, სადაც შუშანიკის ტრაგიკული ისტორია დაიწყო. ა. ჯიქია შენიშნავს, რომ „წმინდა კაცი” ყოველგვარი საეკლესიო ხარისხის გარეშეა მოხსენიებული. საეკლესიო ხარისხის ქონის შემთხვევაში, ბუნებრივია, იაკობი მას შესაბამისად ახსენებდა, როგორც სხვა შემთხვევაში სჩვევია, მაგრამ უცნობი უბრალოდ „წმინდა კაცად”

იწოდება (ჯიქია 2010: 159-162). საინტერესოა, რომ ეს მოღვაწე იმდენად დიდი ავტორიტეტით გამოირჩევა, რომ მასთან სულიერი დარიგებისათვის სამდგდელოების წარმომადგენლები მიღიან.

ა. ჯიქია ყურადღებას ამახვილებს ამ წმინდა კაცის სამყოფელზე, რომელიც „ვანად” იწოდება (იქვე). სულხან-საბას განმარტებით „ვანი” სადგომია (ორბელიანი 1991: 253). ილ. აბულაძე „ვან”-ს სადგომის, დაბის, საცხოვრებელის, სამყოფელის, ბუნაგის გარდა „მონასტრის” მნიშვნელობითაც განმარტავს (აბულაძე 1973: 153). „მოვანე” ძველ ქართულ ში დაყუდებულ ბერს, მოწესეს აღნიშნავდა (აბულაძე: 262), მაგ. დედათა მონასტრის წინამდღვარს „ვანისდედავც” ეწოდებოდა (სარჯველაძე 1995: 80). „ვანი” ასკეტის, ბერის საცხოვრებლის, სადაყუდებლოს მნიშვნელობით სხვაგანაც გვხვდება. მაგ., როდესაც ანტონი დიდი სხვა მოღვაწეთა საონოებებს აკვირდებოდა და სწავლობდა, „ყოველსაგვ ერთბამად ქრისტის მსახურებასა და ურთიერთას სიყუარულსა მას მათსა შეისწავებნ და ესროთ სავსე მიიქცის თვეს მას ვანსა” (ხაზგასმა ჩემია – ჟ. მ.) (იმნაიშვილი 1975: 11). წმინდა კვფოზმეს ცხოვრებაში აღწერილია იერუსალიმის პატრიარქისა და წმინდანის დიალოგი. მოხუცებული ბერი პატრიარქს მიმართავს:

შემინდევ მე, მამო პატიოსანო. მე გევედრები, რამთა ზრუნვიდე ვანსა (საუბარია წმინდანის მიერ დაარსებულ მონასტერზე – ჟ. მ.) ამისთვის. მიუგო პატრეაქტან და ჰრეკუა მას: ოდეს წმიდა თეოკტისტე ცოცხალ იყო, შენ განაგებდი ვანსა ამას და შენ აღაშვინე და ჰყავ სიწმინდის ადგილ ქრისტისა ძალითა სულისამთა, რომელ არს შენ თანა” (ხაზგასმა ჩემია – ჟ. მ.) (იმნაიშვილი 1975: 167).

ასე რომ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იაკობ ცურტაველის მიერ ნახესენები „ვანი” ასკეტის სამყოფელია. სრულიად ლოგიკურად ა. ჯიქია წმინდა კაცს მონაზვნად მიიჩნევს.

ჭეშმარიტებაა ისიც, რომ „წმინდა კაცის” სახე არ არის კოდირებული, მისი მოხსენიება მხოლოდ სხვა დეტალის დასაზუსტებლად დასჭირდა ავტორს ე. ი. მისი არსებობა არ არის ხაზგასასმელი, „წმინდა კაცის” არსებობა ჩვეულებრივობაა, რადგან ეტყობა სხვა მსგავს სავანეებშიც არიან „წმინდა კაცები (ჯიქია 2010: 61-62).

„წმინდა კაცი” დაყუდებული ბერი, ანაქორეტია. ბუნებრივია ეპისკოპოსი აფოცი და იაკობ ცურტაველი მასთან სულიერი რჩევის საკითხავად მიღიან. ეს

მოვლენა სრულიად ბუნებრივი ამბავი იყო, არა მხოლოდ ქართლისათვის, არამედ სრულიად ქრისტიანული ხმელთაშუაზღვისპირეთისათვის. შუშანიკის მარტვილობაში ნახსენებ „წმიდა კაცს” იმ ეპოქის ანაქორეტისა და ქარიზმატული სულიერი მოძღვრის დამახასიათებელი ყველა ნიშანი აქვს: ის დიდ სულიერ ავტორიტეტს ფლობს, დასახლებული ადგილიდან არცთუ ისე შორს ცხოვრობს და სულიერ რჩევებს აძლევს ადამიანებს, თვით მაღალი რანგის სასულიერო პირებსაც კი. „წმინდა კაცები” ტოვებენ წუთისოფელს ანუ უარს ამბობენ ვნებებსა და მიწიერ სიამოვნებებზე, თუმცა არ ტოვებენ წუთისოფელში მცხოვრებ ადამიანებს და მათ სულიერად ეხმარებიან.

### §3. ოპიზის მონასტრის დაარსება

ოპიზა ერთ-ერთი უძველესი ქართული მონასტერია, რომელიც ვახტანგ გორგასალმა და მისმა ძეუმტემ არტავაზმა კლარჯეთში V საუკუნის შეა ხანებში (დაახ. 456 წელს) დაარსეს. ვახტანგ გორგასალმა ოპიზის მონასტრისათვის მეზობელ პონტო-კაპადოკიაში არსებული სამონასტრო ცხოვრების მოდელი აიღო. საერთოდ ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობასთან დაკავშირებული წყაროების ავთენტურობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ძველ შეხედულებათა გადაფასების მიუხედავად, კვლავაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ამიტომ პირველ ყოვლისა, იმ თხზულებათა სანდოობას შევეხებით, სადაც გვხვდება ცნობა ოპიზის მონასტრის დაარსების შესახებ.

თ. უორდანია ერთ-ერთი პირველი მკაფიოებელი იყო, ვინც ჯუანშერ ჯუანშერიანის ვახტანგ გორგასლის ცხოვრება მეცნიერულად განიხილა და ის ავთენტურ და სანდო ნაწარმოებად მიიჩნია (უორდანია 2004: XXXIV-XXXV), თუმცა XX საუკუნის დასაწყისში ქართულ წყაროთა მიმართ ჩამოყალიბებული პიპერებიტიკული დამოკიდებულება ამ თხზულებასაც არ ასცდებია (გოლაძე 1991: 20) და შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად ეს კრიტიკა სწორედ მას შეეხო, რის გამოც ვახტანგ გორგასლის ცხოვრებამ, როგორც ისტორიულმა წყარომ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ძალიან იზარალა. იგ. ჯავახიშვილმა ეს ნაწარმოები „თითქმის გამოუდეგარად” მიიჩნია. მისი თქმით,

ჯუანშერის მიერ დაწერილი „ცხოვრება ვახტანგ გორგასრისა” ისეთი კილოთი არის გამსჭვალული და იმგვარ დაუჯერებელ ცნობებით არის აღსავსე, რომ ზდაპარს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილ ისტორიას” (ჯავახიშვილი 1916: 129).

ს. კაკაბაძე „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას” „ნახევრად ეპიკურ” ნაწარმოებად მიიჩნევდა (კაკაბაძე 1924: 17), მწვავედ აკრიტიკებდა ამ თხზულებას კ. კეკელიძე (კეკელიძე 1923: 4). ისტორიკოსები და ფილოლოგები ჯუანშერის მოღვაწეობის დროზეც დაობდნენ. ივ. ჯავახიშვილი მისი მოღვაწეობის დროს დაახ. X-XI საუკუნეებს მიაკუთვნებდა (ჯავახიშვილი 1916: 128), კ. კეკელიძე საერთოდ უარყოფდა მის ავტორობას და ვახტანგის ცხოვრებას ლეონტი მროველის შემოქმედების ნაყოფად მიიჩნევდა (კეკელიძე 1957: 188), თ. ქორდანიას აზრით კი ჯუანშერი VIII ს. მემატიანე იყო (ქორდანია 2004: XXXIV-XXXV).

XX საუკუნის მიწურულს ვ. გოილაძე შემცადა ჯუანშერის თხზულების მიმართ ეს ზედმეტად მკაცრი დამოკიდებულება გადაესინჯა და მისი ცნობების სანდოობა დაემტკიცებინა, თუმცა მან ამ კუთხით, ჩვენი შეხედულებით, გარკვეულწილად გადააჭარბა, წყაროს მიმართ ზედმეტი ნდობა გამოავლინა და ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის თანამედროვედ მიიჩნია (გოილაძე 1991: 42-61), რაც, ვფიქრობთ, მოკლებულია საფუძვლიან არგუმენტიას (იხ. ა. ბოგვერაძის რეცენზია ვ. გოილაძის ნაშრომზე, ბოგვერაძე 1999).

ვახტანგ გორგასლის ცხოვრება ქართლის ცხოვრების ყველა რედაქციის ერთ-ერთი უმთავრეს თხზულებათაგანია. სწორედ მასში დაცული ცნობების მიხედვით ვახერხებთ V საუკუნის ყველაზე ცნობილი ქართველი მეფის მოღვაწეობის ძირითად მოვლენათა რეკონსტრუქციას. წყაროთმცოდნეობით-კრიტიკული განხილვის შედეგად შესაძლებელია ამ ნაწარმოებში რეალურისა და ისტორიულის განცალკევება არარეალურისა და მითიურისაგან.

ვ. გოილაძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ ჯუანშერის თხზულება ჩვენამდე თავდაპირველი სახით არაა მოღწეული, ის ეთანხმება კ. კეკელიძის აზრს, რომლის თანახმადაც, ლეონტი მროველის მეფეთა ცხოვრებას და ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას ერთი რედაქტორის ხელში უნდა გაევლო, მაგრამ რედაქტორის ვინაობა და რედქატირების დრო უცნობია (გოილაძე 1991: 61), თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს გაერთიანების ეპოქაში ქართული რელიგიური და ეთნიკური იდენტობისათვის ვახტანგ გორგასლის მნიშვნელობა ერთ-ორად გაიზრდებოდა, ამიტომ ეს გადაკეთება-რედაქტირება XI საუკუნეში უნდა მომხდარიყო (გოილაძე 1991: 65). ისტორიული პირიდან გორგასალი

ხალხური თქმულებების პეროკულ გმირად გადაიქცა, რედაქტორმა უხვად გამოიყენა ფოლკლორული წყაროები და უშრეტი ხალხური ფანტაზია,<sup>38</sup> რის შედეგადაც ისტორიული ქრონიკა (რაც უნდა ყოფილიყო თავის დროზე ჯუანშერის თხზულება) ეპიკურ ნაწარმოებად გადაიქცა.<sup>39</sup> თუკი ვ. გოილაძის დავეთანხმებით და ჯუანშერს ვახტანგ გორგასლის თანამედროვედ მიგიჩნევთ (რაც ძალიან საეჭვოა<sup>40</sup>), ან მას VIII საუკუნის ავტორად ჩავთვლით, მაშინ XI საუკუნეში მისი თხზულება უცნობი რედაქტორის გადაკეთებული უნდა იყოს, მაგრამ თუ ივ. ჯავახიშვილის კვლადაკვალ ჯუანშერს X-XI სს. ავტორად ვალიარებთ (ჯავახიშვილი 1916: 128), ამ შემთხვევაში გორგასლის შესახებ არსებული ისტორიული ხასიათის ცნობები თავად ჯუანშერს უნდა შეემოსა ფოლკლორული საბურველით. საქმე ისაა, რომ ჯუანშერის მოღვაწეობის თარიღი საბოლოოდ დადგენილი არაა და ამ საკითხს აუცილებლად ჭირდება შემდგომი კვლევა-ძიება.

ჩვენი აზრით ვ. გოილაძის მიერ ვახტანგ გორგასლის ცხოვრებასთან დაკავშირებით წამოყენებული მოსაზრებები განსაკუთრებული სიმყარით ვახტანგ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიის დადგენის საკითხში გამოიირჩევა. ჯუანშერის თხზულების დაკვირვებულმა კვლევამ და ანალიზმა, უცხოურ წყაროებთან მისმა შედარებამ ვ. გოილაძეს ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა და ზუსტი ქრონოლოგიის გამორკვევის შესაძლებლობაც მისცა.<sup>41</sup>

<sup>38</sup> ჯუანშერს ან ვახტანგ გორგასლის ცხოვრების რედაქტორს ღვთაება ვარათრანგის შესახებ არსებული გადმოცემებით უნდა ესარგებლა, რომლის კულტი სომხეთის მსგავსად საქართველოშიც იყო გავრცელებული. გ. ახვლედიანის მართებული შენიშვნით, ჯუანშერის ცხოვრების ერთ-ერთი წყარო ხალხური ეპონია, თხზულებას უეჭველად ხალხურობის დაღი აზის, მასში ვპოულობთ ისეთ მოტივებს, რომელთა უშეალო წყარო ზეპირმეტყველებაა (ახვლედიანი 1979: 126). ამავე მკვლევრის აზრით „ჯუანშერის ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, რომელიც საინტერესო ისტორიული თხზულებაა, ამავე დროს არის მხატვრული ნაწარმოები მთლიანად. მემატიანის თხრობის მაღალი კულტურა, მოქმედ პირთა თუ ხასიათთა გამოკვეთის ოსტატობა, მოვლენათა აღწერის შესანიშნავი უნარი ჯუანშერის „ისტორიას“ მხატვრული პროზის ნიმუშად ხდის (ახვლედიანი 1979: 130).

<sup>39</sup> ვახტანგ გორგასლის ისტორიული სახე სომხურ მწერლობაშიცაა დაცული, სადაც მისი პიროვნება და მოქმედება უფრო რეალისტურ ფერებშია გადმოცემული, ვიდრე ქართულ წყაროებში (ჯანაშია 1962: 243-268).

<sup>40</sup> ამასთან დაკავშირებით ის. ბოგვერაძე 1999: 83.

<sup>41</sup> დიდი ხნის განმავლობაში ისტორიკოსებს სრულიად სხვადასხვა შეხედულებები ჰქონდათ ვახტანგ გორგასლის ცხოვრების წლებზე. დღეისათვის ყველაზე მიღებული ქრონოლოგია 442-502 წლებია. პირველად ს. გორგაძემ მეფის დაღუპვა ბერძენ-სპარსელთა ომის დროით (502-507 წწ.), 503 წლით დაათარიღა, ივ. ჯავახიშვილმა მეფის დაღუპვა ამ ომის დროს დამაჯერებლად მიიჩნია, უბრალოდ მისი გარდაცვალების თარიღი 502 წელზე გადმოსწია (ჯავახიშვილი 1979:

მეცნიერმა უურადღება მიაქცია სირიულ ენაზე დაწერილ კრთ-ერთი მარტვილობის (სადაც ქართლ-ალბანეთის მარზან ფირან-გუშნასპის მოწამეობრივ აღსასრულზეა საუბარი) პასაჟს. ტექტსში ვკითხულობთ: „როცა სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო... [ზავის დადების] მეორმოცე წელს ტახტზე ავიდა ხოსრო” (გოლაძე 1991: 70). ცნობილია, რომ სპარსეთის სახელგანთქმული მბრძანებელი ხოსრო ანუშირვანი ტახტზე 531 წელს ავიდა ე. ი. ზავი „გურზანისა და არანის მხარეში” მომხდარი ომის შემდეგ 491 წელს უნდა დადებულიყო.

სათანადო მასალის გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ ჯუანშერის მიერ აღწერილი ბიზანტია-ირანის ომი, რომელშიც ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა ...იგივე სირიულ ძეგლში მითითებული ირან-ბიზანტიის 491 წლის ომია. აღნიშნულიდან გამომდინარე ვახტანგის გარდაცვალება 491 წლით უნდა დათარიღდეს. რადგან გარდაცვალებისას ვახტანგი სამოცი წლის იყო, მისი დაბადების თარიღი 431 წელზე მოვა (გოლაძე 1991: 71).

ამ ომის მიმდინარეობა სხვა სირიული წყაროთიც დასტურდება, კერძოდ იეჟუა სტილიტის *ქრონიკით* (გოლაძე 1991: 75). ჯუანშერის თხრობის რეალურობას ამტკიცებს მისივე ცნობა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე იმავე 491 წელს მომხდარი ცვლილების შესახებ, როდესაც ბიზანტიის იმპერატორი ზენონი<sup>42</sup> გარდაიცვალა და ტახტზე ანასტასი ავიდა. აღნიშნული მასალა კარგად ადასტურებს, რომ ჯუანშერის ცნობები არც ისე ზღაპრული და არარეალური შინაარსისა უნდა იყოს,<sup>43</sup> როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდნენ.

ჯუანშერი ოპიზის მონასტრის დაარსებას ვახტანგ გორგასლის ბიზანტიაში ლაშქრობას უკავშირებს. ქართველი მემატიანის თანახმად, ვახტანგი ამ ლაშქრობის დასაწყისში ოცდაორი წლის იყო, ანუ, სავარაუდოდ, სამხედრო ექსპედიცია 453 წელს უნდა დაწყებულიყო. ლაშქრობის მარშრუტი ჯუანშერს

329), ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ შეხედულების ფართოდ გავრცელების მიუხედავად, ლ. ჯანაშიას სამართლიანი შენიშვნით, ასეთი დათარიღება ძალიან საეჭვოა (ჯანაშია 1962: 162-165).

<sup>42</sup> ჯუანშერს შეცდომით ლეონი (457-474) ჰყავს დასახელებული, მაგრამ აშკარაა, რომ ვახტანგ გორგასლის ცხოვრების თავდაპირველ ვარიანტში ზენონი ეწერებოდა (გოლაძე 1991: 72-73)

<sup>43</sup> აქვე უნდა ავდნიშნოთ, რომ ამას არამარტო ზემოთ დამოწმებული მასალა, არამედ ჯუანშერის თხზულებაში მოტანილი მრავალი ცნობა ადასტურებს. როგორც გამოირკვა, ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში აღწერილ მოვლენათა დიდ ნაწილს გარკვეული ისტორიული საფუძველი აქვს, რასაც ჯერ კიდევ მარი ბროსე მიუთითებდა (ბროსე 1849: 189 შენიშვნა 2), იქნება ეს ქართლში „ოსთა“ ლაშქრობა, ვახტანგის მიერ საპასუხო სამხედრო ექსპედიცია, ომი ბიზანტიასთან, პეროზთან ერთად აღმოსავლეთში სპარსეთის დამპყრობლურ ლაშქრობებში მონაწილეობა ქუშანთა, აბაშთა და სხვა ხალხთა წინააღმდეგ, თუ ვახტანგის უკანასკნელი ომი.

საკმაო სიზუსტით ააქვს აღწერილი და მის მიერ გადმოცემულ გეოგრაფიული ტოპონიმები ავთენტურ ხასიათს ატარებს.<sup>44</sup>

წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოჭრნა გზასა ქალაქის სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი. და მოადგეს ლაშქარნი პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვსკიდესა; და ბრძოდეს სამ თუე, და მიუწია ლაშქარმან ვიდრე ქალაქისა მის კონსტანტინისა (ყაუხჩიშვილი 1955: 160).

„ეკლეცი” ცნობილია ქართული წყაროებით, ეს გეოგრაფიული პუნქტი მდ. ევფრატის გაყოლებაზე თანამედროვე ქ. ერზინჯანთან მდებაროებდა, „ანძორეთი” ქ. ნეოკესარია უნდა იყოს, ხოლო „სტერი” – ქ. ამასია. რაც შეეხება „პონტოსა დიდსა ქალაქსა”, ვ. გოილაძის აზრით, ეს ქალაქი სინოპია, პონტოს სამეფოს უძველესი დედაქალაქი.

მართალია, ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში ლაშქრობა საკმაოდ ვრცლადა აღწერილი და ცნობები ლაშქრობის შესახებ მრავალ ავთენტურ ელემენტს შეიცავს, ჩვენ მაინც ვამჯობინებთ, რომ ჯუანშერის ცნობებს, აღნიშნული სამხედრო ექსპედიციის შესახებ, სიფრთხილით მოვეპყროთ. მნელი წარმოსადგენია სამწლიანი ლაშქრობა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, ბიზანტიური წყაროებისათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ვ. გოილაძე ამ ლაშქრობის გამოძახილად პიდატიუსის ცნობას თვლის, რომლის მიხედვითაც „ლაზები იქნენ ამოულებილი მარკიანეს ჯარის მიერ” (გამყრელიძე... 1961: 277-278), მაგრამ ცნობილია, რომ დამოწმებულ პასაუში, დაზიანებული სიტყვა „ლაზებად” თეოდორ მომზენის მიერაა აღდგენილი (გამყრელიძე... 1961: 277), მართალია, ვ. გოილაძე ამ აღდგენას სამართლიანად მიიჩნევს, თუმცა გაუგებარია, რატომაა ბიზანტიურ წყაროში ნახსენები „ლაზები”, როდესაც ჯუანშერის ცნობების გათვალისწინებით, პირველ რიგში, „სპარსელები და იბერიელები” უნდა ყოფილიყვნენ მოხსენიებულნი (თუმცა გამორიცხული არაა

<sup>44</sup> აგ., ჯუანშერი გადმოგვცემს: „წარემართა ვახტანგ შესვლად საბერძნეთად. და მიიწივნეს სომხითს, და მოერთნეს პეროვა-კაფას, სადა-იგი ციხე აეგო პირველკსენებულსა ფეროზე...” (შოშიაშვილი... 1996 : 147), როგორც ვ. გოილაძე აღნიშავს „პეროვა-კაფა” იგივე პეროვ-კავჩია უნდა იყოს, რომელიც ალბანეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენციას წარმოდგენდა და ალბანეთის დედაქალის ბარდას დამცავი ფუნქცია ეკისრა, როგორც თბილისის ციხეს მცხეთისა (გოილაძე 1991: 119). მისი აზრით, ვარაზ-ბაკურის ბიზანტიისკენ მიმავალ ლაშქარს ადარბადაგანის, ანუ რანის, გზა უნდა გაევლო (იქვე), რაც კარგად ესადაგება იმდროინდელ ისტორიულ რეალობას. მეკლევრის აღნიშვნით, „ჯუანშერის ცნობა მირიანის სიძის ფეროზის მიერ აღბანეთის ტერიტორიაზე ციხის აგების შესახებ უძველესია და კარგად ასახავს იმ დროის ისტორიულ

ვახტანგის ჯარში ლაზებიც ყოფილიყვნენ). ნუთუ ასეთი მასშტაბური ლაშქრობა არც ერთ ბიზანტიურ, სირიულ ან სომხურ წყაროში არ ასახულა?

წყაროსადმი ფრთხილი დამოკიდებულებისდა მიუხედავად, ჩვენი აზრით, გარკვეული სახის სამხედრო, ალბათ გაცილებით მცირე მასშტაბების, ექსპედიციას პონტოში მართლაც ჰქონდა ადგილი,<sup>45</sup> თუმცა ეს ლაშქრობა აშკარად არ იყო იმ მნიშვნელობისა, როგორც ჯუანშერს აქვს წარმოდგენილი თავის თხზულებაში. ცხადია, რომ თხზულების ავტორს (ან რედაქტორს) მევე ვახტანგის მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკურ მოდვაწედ გამოყვანა დაუსახავს მიზნად, რომელიც მნიშვნელოვან საკითხებს აგვარებს სპარსეთის შაპანშაჲსა და აღმოსავლეთ რომის იმპერატორს შორის, რაც ბუნებრივია მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია და არა ისტორიული რეალობა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჯუანშერი (ავტორი/რედაქტორი) რაღაც ისტორიულ ცნობებს იყენებდა და მთლიანად ცარიელ საფუძველზე არ აგებდა ვახტანგისა და სპარსელების მიერ რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში სახელოვან ლაშქრობას, რადგან გეოგრაფიულ მარშრუტთა და ადგილთა აღწერისას, მისი ცნობები, სავსებით ადეკვატურია იმ ეპოქისა, როდესაც ვახტანგი მოდვაწეობდა.

საინტერესოა, რომ ჯუანშერის მიხედვით ვახტანგის პირველი შეხვედრა პონტოელ მოწესებთან სწორედ ამ ლაშქრობის დროს მოხდა. ლაშქარში მყოფმა სპარსელებმა ქრისტიანი მონაზვნებისა და მდვდელმსახურების ხოცვა დაიწყეს. ვახტანგ გორგასალმა

ამცნო სპათა სომხითისათა და ყოველთა სპარსთა, რათა არავინ ჰქლვიდენ მოწესეთაგანსა, არამედ ტყუე ჰყოფდენ, და ჰრეჲა მათ: მამისმამა ჩემი მირიან ოდეს შემოჲყვა მეფესა სპარსთასა, მმისწულსა თვესა, ბრძოლად ბერძენთა ზედა, ესევითარსა უყოფდეს მოწესეთა და ეპლესის მსახურთა, და იძლივნეს ძლევითა ბოროტითა ურიცხუნი სპანი მცირეთა ლაშქართაგან (ყაუხეჩიშვილი 1955: 160).

ვახტანგმა ვრცელი სიტყვით მიმართა მოლაშქრეებს, რის შემდეგაც განავლინა ქადაგი, რათა ყოველნი მოწესენი გამოვიდენ სამალავთაგან მათთა, და ტყუენი განუტევნენ, და სადაცა ენებოს წავიდენ. და გამოვიდა სიმრავლე მღდელთა და დიაკონთა, მოწესეთა მონაზონთა და

<sup>45</sup> ამ ლაშქრობის რეალურობას აღიარებდა მ. ვან ესბროკიც. მას ეს აზრი თავის გამოუქვეყნებელ ნაშრომში აქვს გამოთქმული, ამასთან დაკავშირებით ცნობა ბ-ნ დ. ხოშტარიას მიაწოდა ქნმა თ. მგალობლიშვილმა (ხოშტარია 2009: 34).

ენკრატისთა, ქუაბებით და მთათაგან, და უმრავლესნი პონტო ქალაქით, რამეთუ შეიწრებულ იყო ქალაქი ოთხ თუე ოდენ (ყაუხეჩიშვილი 1955: 163).

პონტოში ყოფნისას ვახტანგი პეტრე მღვდელსა და სამოელ მონაზონს გაიცნობს, მათი ლოცვით ვახტანგი დამით ჩვენებაში გრიგოლ დვთისმეტყველს, კეისარსა და წმინდა ნინოს იხილავს. ჯუანშერი ამ ხილვას გადმოგვცემს, როგორც გარდამტებ მომენტს ქართლისა და ბიზანტიის ურთიერთობაში. ბიზანტიაში ლაშქრობიდან ვახტანგი კლარჯეთის გავლით მცხეთაში დაბრუნდა.<sup>46</sup>

სწორედ ლაშქრობიდან დაბრუნების აღწერისას გადმოგვცემს ჯუანშერი ცნობას, რომლის მიხედვითაც ვახტანგმა არტავაზს თპიზის მონასტრის დაარსება უბრძანა.<sup>47</sup>

ჯუანშერის გადმოცემით „საბერძნეთში“ ანუ ბიზანტიაში ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ვახტანგ გორგასალმა

იხილა კლდე შეა კლარჯეთსა, რომელსა ერქვა არტანუჯი. და მოუწოდა არტავაზს, ძუძუმტესა მისსა, და დაადგინა იგი ერისთავად; უბრძანა, რათა გამონახოს ხევსა შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი. და რქუა არტავაზს: უკეთუ განძლიერდეს სპარსენი ჩვენ ზედა, საყუდელი ჩვენი აქა ყოფად არს; ხოლო არტავაზ ადაშენა ციხე არტანუჯისა, და მონასტერი, რომელ არს თპიზა, და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შენდობისა და ახიზისა. და განაახლა ციხე ახიზისა, და ქმნა იგი ქუაბად (ყაუხეჩიშვილი 1955: 177-178).<sup>48</sup>

<sup>46</sup> კლარჯეთში ყოფნისას ვახტანგმა თუხარისის ციხე იხილა. ჯუანშერი გადმოგვცემს: „და ვითარ მოიწია თუხარისად, მიხედნა და შეუყურდა ციხე, და თქუა: „ჭეშმარიტად თუ ხარ შენ ციხე“ (ყაუხეჩიშვილი 1955: 177). ჩვენთვის საინტერესოა ლეგენდა, რომელიც ამ ციხესა და მასში არსებულ ეკლესიას უკავშირდება. ბერთის სახარების ერთი მინაწერი გადმოგვცემს იორდანის ნაპირას მცხოვრები ქართველი ბერის შესახებ, რომელიც კონსტანტინოპოლიში წასულა, იქ კი მას ხილვა ჰქონდა, რის შემდეგაც სხვა ორ მონაზონთან, ანდრიასა და ილარიონთან ერთად წმ. გიორგი ხატით საქართველოში, სალიჯვარს მოსულა, მერის შემოსევის შემდეგ ეს ხატი ბერებმა ჭოროხის პირას კლდეზე დაასვენეს, ვახტანგ გორგასალს კი ამ ხატისთვის „თუხართა მთავარმოწამე“ უწოდებია (ხოშტარია 2009: 26).

<sup>47</sup> ჯუანშერის გადმოცემით, ბიზანტიაში წასვლამდე ვახტანგი ოცდაორი წლის იყო ანუ ლაშქრობა 453 წელს დაიწყო და შესაბამისად 456 წელს დამთვარდა. ამ შემთხვევაში, ჯუანშერისეული ქრონილოგიისადმი არსებული ეჭვის მიუხედავად, თპიზის მონასტრის დაარსების მიახლოებით თარიღდად 456 წელი უნდა მივიჩნიოთ.

<sup>48</sup> ვარიანტული განსხვავებებით ეს პასაჟი გვხდება უმველეს ე. წ. ანასეულ ქართლის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია, რომ „არტავაზ ადაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერნი... (ყაუხეჩიშვილი... 1942: 119-120). იქმნება შტბეჭდილება, თითქოს არტავაზმა რამდენიმე მონასტერი დაარსა, თუმცა ეს გადამწერის ან რედაქტორის შეცდომა უნდა იყოს, რადგან ქართლის

XX საუკუნის განმავლობაში ამ ცნობას ეჭვის თვალით უყურებდნენ. ეჭვის მთავარი მიზეზი ქართველოლოგიაში ორი მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიცია იქცა: ჯუანშერის თხზულება არ არის სანდო და მონასტრული ცხოვრება საქართველოში მაინცდამაინც ასურელ მამებს უნდა დაეწყოთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ შეხედულებას არ იზიარებდნენ ივ. ჯავახიშვილი, გრ. ფერაძე, მ. თარხნიშვილი და სხვ. და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეზობელ პონტო-კაპადოკიასა და სომხეთში სამონასტრო ცხოვრება უკვე ყვაოდა და საერთოდაც ქართლში ასურელი მამების შემოსვლამდე მეზობელ ქრისტიანულ და არაქრისტიანულ (მაგ. სპარსეთში) ქვეყნებში ბერმონაზგნობა უკვე ორ საუკუნეზე მეტს ითვლიდა! მნელი წარმოსადგენია საქართველო ასე ყოფილიყო ამოვარდნილი იმდროინდელ საეკლესიო სამყაროში მიმდინარე ასეთი დიდმნიშვნელოვანი პროცესებიდან.

პირველი მიზეზი კი, როგორც ვახსენეთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯუანშერის თხზულებისადმი გამეფებული საყოველთაო უნდობლობა იყო. ამ უნდობლობიდან გამომდინარე ვახტანგ გორგასლის მიერ კლარჯეთში მონასტრის დაარსებას სპეციალისტთა ნაწილი არარეალურად მიიჩნევდა. თვალსაზრისს ოპიზის მონასტრის V საუკუნეში დაფუძნების შესახებ არ იზიარებდა ივ. ჯავახიშვილი (მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მეუდაბნოების დასაწყისს ის V საუკუნეში ვარაუდობდა). მისი აზრით, სამონასტრო ცხოვრება ტაო-კლარჯეთში პირველად გრიგოლ ხანძთელს უნდა დაეწყო (ჯავახიშვილი 1916: 48-49), კ. კეკელიძეც იმ საფუძველზე, რომ მონასტრის დასახელება მხოლოდ ერთ ნუსხაში მოიპოვება, ცნობას გვიანდელ გლოსად თვლიდა და კლარჯეთში ვახტანგ გორგასლის მიერ მონასტრის დაარსებას უარყოფდა (კეკელიძე 1962: 147). ლ. მენაბდეც კ. კეკელიძის აზრს

---

ცხოვრების ყველა სხვა რედაქციაში მხოლოდ ერთ მონასტერზეა ლაპარაკი (თაყაიშვილი 1906: 157-158; ბროსე 1923: 132 და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ გორგასლისა და არტავაზის მიერ მონასტრის დაარსება ქართლის ცხოვრების ყველა ნუსხაში გვხვდება, თუმცა მონასტრის დასახელება „ოპიზა“ მხოლოდ ერთ, ჭალაშვილისეულ ნუსხაშია დაცული: „ხოლო არტვაზ ადაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერი, რომელ არს ოპიზისა, და სამნი ეკლესიანი: ბაბამერისა (უნდა იყოს „დაბა მერისა“ – შ. მ.), შენდობისა და ახიზისა“. ამასთან დაკავშირებით ს. ყაუხეჩიშვილი შენიშნავს: „კონტექსტიდან ცხადია, რომ „რომელ არს ოპიზისა“ სწორი ვარიანტი უნდა იყოს. „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში მოხსენებულია, რომ არტავაზმა ააშენა: 1. ციხე, 2. მონასტერი და 3. სამნი ეკლესიანი. ციხისა და სამი ეკლესიის სახელწოდებები მოყვანილია, ხოლო თუ რომელი მონასტერი ააშენა – ეს გამოტოვებულია. ჩხადია, მონასტრის სახელწოდებაც უნდა ყოფილიყო მოყვანილი და ის შემოუნახავს C (ანუ ჭალაშვილისეულ – შ. მ.) ხელნაწერს“ (ყაუხეჩიშვილი 1942: XXXIII, შენიშვნა 1)

იზიარებდა (მენაბდე 1962: 385), იმ „არგუმენტზე“ დაყრდნობით, რაც ზემოთაც ავლნიშნეთ: რევოლუციამდელ და საბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დაწყება აუცილებლად ასურელ მამებს უკავშირდებოდათ. ასევე ეჭვის თვალით უყურებდა ვახტანგ გორგასლის მიერ ოპიზის მონასტრის დაარსების რეალურობას ვახტანგ ჯობაძე (ჯობაძე 1992: 15-16).

ზემოაღნიშნული უნდობლობის მიუხედავად, მეცნიერთა მეორე ნაწილი ჯუანშერის ამ ცნობას მაინც დამაჯერებლად მიიჩნევდა. ვახტანგ გორგასლის მიერ ოპიზის დაარსების ისტორიულობას აღიარებენ ს. ყაუხეჩიშვილი (ყაუხეჩიშვილი 1942: XXXIII), პ. ინგოროვა (ინგოროვა 1954: 324), მიხეილ თარხნიშვილი (თარხნიშვილი 1958: 132), შ. მესხია (მესხია 1986: 220), დ. ხოშტარია (ხოშტარია 2009: 33), მ. ჩხარტიშვილი (ჩხარტიშვილი 1994: 67). ვინაიდან სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თანახმად, ოპიზის დაარსების შემდგომ აქ მიქაელ პარეხელი დამკვიდრდა, ამიტომ ა. ბოგვერაძეს აზრით, ოპიზა და პარეხი სინქრონულად VI საუკუნეში უნდა დაარსებულიყო (მკვლევარი სერაპიონ ზარზმელს VI-VII სს. მოდვაწედ მიიჩნევდა, იხ. ბოგვერაძე 1964: 51).<sup>49</sup> როგორც აღვნიშნეთ ჯუანშერის ცნობის უგულვებელყოფის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ის შეხედულება ითვლებოდა, რომლის თანახმადაც სამონასტრო ცხოვრება საქართველოში ასურელმა მამებმა დაიწყეს.

ეს შეხედულება დიდი ხნის მანძილზე დომინირებდა ქართველოლოგიურ მეცნიერებაში. ბოლო ათწლეულებში გამოვლენილი მასალები სხვაგვარად წარმოაჩენს ქართული მონასტრიციზმის ისტორიის აღრეულ ეტაპს და, ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით საფუძველი აღარ გვაქს ეჭვი შევიტანოთ ჯუანშერის ცნობის სისწორეში (ხოშტარია 2009: 33).

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გააჩნია ისტორიული ხასიათი ჯუანშერის მიერ აღწერილ ვახტანგ გორგასლის ლაშქრობას პონტოში,<sup>50</sup> კლარჯეთში

<sup>49</sup> მ. ჩხარტიშვილი იზიარებს აზრს, რომლის მიხედვითაც ოპიზა და პარეხი თანადროულად უნდა დაარსებულიყო, მაგრამ ამ მოვლენებს V საუკუნეში ათავსებს (ჩხარტიშვილი 1994: 60-61). მისი აზრით, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში სახელის გარეშე მოხსენიებული უცნობი ბერი, რომელმაც პარეხში ეგვტერი ააშენა, პარეხის მონასტრის დამაარსებელი უნდა ყოფილიყო ოპიზის მონასტრის დაარსებიდან მცირე ხნის შემდეგ ანუ იმავე V საუკუნეში.

<sup>50</sup> დ. ხოშტარიას საფუძვლიანი შენიშვნით, საქართველოში აღრეული (IV-V სს.) მონასტრების „დაარსების ინიციატორები, ალბათ, უპირატესად იყვნენ ქართლის ეკლესიის ბერძენი მდგდელმთავრები და თვით მონასტრებიც ბერძნული ტიპისა იყო. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ ვახტანგ მეფემ საგანგებოდ მიუთითა არტავაზს ოპიზისათვის ნიმუშად აედო „მონასტრი საბერძნეთისანი“. ვახტანგსა და არტავაზს თავადაც, რომ არასოდეს ენახათ

მონასტრის დაარსების შესახებ დაცულ ცნობაში ეჭვის შეტანის საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს (ჩხარტიშვილი 1994: 67). ჩვენ ამ ცნობის დამოუკიდებლად განხილვაც შეგვიძლია, როგორც პონტო-კაპადოკიის საეკლესიო ცხოვრების გავლენის დადასტურება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე. ამ გავლენას ოდითგანვე ჰქონდა ადგილი და ჯუანშერის თხზულებაში შესაბამისი ასახვაც ჰპოვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი (და ალბათ ერთადერთი) მკვლევარი, რომელმაც ქართლზე მცირეაზიური ბერმონაზვნობის ეს გავლენა შენიშნა, მიქელ თარხნიშვილი იყო (თარხნიშვილი 2014: 377).

აქ ჩვენ ყურადღება ერთ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ: ვახტანგ გორგასალი, ბიზანტიაში მიღებული ჯერ კიდევ ცოცხალი შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფი, თავის ძუძუმტეს ისეთი მონასტრის აშენებას უბრძანებს, როგორი მონასტრებიც „საბერძნეთში“ ნახა, ანუ როგორც ჯუანშერი გადმოგვცემს: „ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი“ (ყაუხეჩიშვილი 1955: 178). სწორედ აღნიშნული წინადადება სძენს ყველაზე მეტ დამაჯერებლობას ჯუანშერის თხრობას. მემატიანის თანახმად, მონასტერი კლარჯეთში სწორედ „საბერძნეთის“ ანუ პონტოს მონასტრების მაგალითზე დაფუძნდა. ცალკე აღებული ეს ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, სწორედ პონტოში ჩაისახა მონასტრული ცხოვრების ის წესი, რომელიც შემდგომში ბიზანტიური ბერმონაზვნობის კლასიკურ მოდელად იქცევა (თალბოთი 2009: 257). ბასილისეულ მონასტრებზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. IV საუკუნის შუა ხანებისათვის (დაახ. 358 წ.) ბასილი დიდის მიერ პონტოსა და კაპადოკიაში დაწყებულმა სამონასტრო ცხოვრებამ ნამდვილ აყვავებას მიაღწია და წყაროებიდან ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ V საუკუნის შუა ხანებისათვის მონასტრული ცხოვრება აქ ნამდვილად აღმავლობის გზაზე იყო. ბასილი დიდმა მონაზვნური მოღვაწეობა პონტოში მდ. ირისის პირას დაიწყო. როგორც ერმია სოძომენე გადმოგვცემს, ბასილი „პონტოში განმარტოვდა და იქ სიბრძნისმოყვარეობდა მონაზვნებთან ერთად“ (...καὶ πρός τόν πόντον ὑπεχώρησε, καί τοῖς ἐνθάδε φιλοσοφοῦσι μοναχοῖς συνῆν') (PG: 1329),<sup>51</sup> ბასილი დიდის მიერ სახარებისეული ცხოვრების წესის დაუცხომელი და დაუდალავი ქადაგებით ბერმონაზვნური მოღვაწეობა მაღე მთელი დიოცეზის ტერიტორიაზე

---

ეს მონასტრები, იოლად შეეძლოთ მიედოთ ცნობები მათს შესახებ ქართლში მყოფი ბერძენი მდვდლებისაგან“ (ხოშტარია 2001: 54-55).

<sup>51</sup> თარგმანი ჩემია.

გავრცელა (PG: 1329-1336). ბასილისეული წესის სამონასტრო ცხოვრება მაღლე გასცდა პონტოს ფარგლებს და მთელი იმპერიის მასშტაბით დაიწყო გავრცელება. ამას მოწმობს თუნდაც ბასილი დიდის ასკეტიკონის ჩამოყალიბების ძალზე ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია (ხინთიბიძე 1982: 41-44; ქაჯაია 1992: 60-65),<sup>52</sup> თუმცა V საუკუნეში ბასილისეული მონასტრული ცხოვრების აყვავების ყველაზე ნათელი დადასტურება პალესტინური ბერმონაზვნობაა. ჩვენ ზემოთაც ვამბობდით, რომ პალესტინაში სამონასტრო ცხოვრების ნამდვილი აღმავლობა კაპადოკიიდან გამოსულ პირებს უკავშირდებათ, რომლებმაც პონტოსა და კაპადოკიაში გავრცელებული, ბასილი დიდის მიერ დანერგილი სამონასტრო ტრადიცია ფართოდ გაავრცელეს მთელი პალესტინის მასშტაბით (პატრიკი 1995: 28)<sup>53</sup>. VI საუკუნეში იმპერატორმა იუსტინიანემ თავისი ნოველებით მთელ იმპერიაში დააკანონა ბასილი დიდისეული პრინციპები, როგორც სამონასტრო ცხოვრების სტანდარტი (ფრეიზი 1982: 272). ბასილი დიდის მიერ ჩამოყალიბებული სამონასტრო ცხოვრების წესი ბიზანტიური ბერმონაზვნობის კლასიკურ მოდელად იქცა (თალბოთი 2009: 257). ჯუანშერის ცნობა, რომლის თანხმადაც, ვახტანგმა არტავაზს მონასტრის დაარსება „საბერძნეთის“ მაგალითის მიხედვით მიუთითა, იმას ნიშნავს, რომ ოპიზა ბასილისეული წესის მონასტერი იყო და მისმა გავლენამ, როგორც ჩანს, სომხეთის მსგავსად (იხ. ზემოთ) ქართლშიც შემოაღწია, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი, რადგან ქართლი და სომხეთი პონტო-კაპადოკიის უშუალო მეზობლები იყვნენ.

ოპიზის მონასტრის დაარსება ვახტანგის ფართო საეკლესიო აღმშენებლობისა და რეფორმის ერთი ეპიზოდი იყო. ცნობილია, რომ ვახტანგმა ქართლში ახალი საეპისკოპოსოები დააარსა. ისიც ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერიაში უკვე IV საუკუნიდან დაიწყო ბერმონაზვნობის – ქრისტიანული ცხოვრების ამ შედარებით ახალი, მაგრამ ძალიან გავლენიანი ფენომენის, საეკლესიო კანონმდებლობით დარეგულირება. ჯერ კიდევ არიანელმა

<sup>52</sup> პონტოში მდ. ირისთან განმარტოებულმა ახალგაზრდა ბასილი დიდმა მორალური წევები შეადგინა, მომდევნო პერიოდის განმავლობაში ამ თხზულებას მოღვაწეობითი ხასიათის თავისი სხვა ხაშრომებიც დაუმატა და სიცოცხლის ბოლოს პონტოს მონასტრებს რამდენიმე ასკეტური შინაარსის ნაწარმოების გაერთიანებით შექმნილი კრებული, ანუ ასკეტიკონის სრული ვერსია გაუგზავნა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში პიტოტოპოსად იწოდება (ქაჯაია 1992: 61).

<sup>53</sup> როდესაც სამონასტრო ცხოვრების კაპადოკიური ტრადიცია ფართო გავრცელებას ჰქონის პალესტინაში, ამის შემდეგ რადა გასაკვირია, თუკი ეს ტრადიცია მეზობელ კლარჯეთზე რადაც ფორმით მაინც აისახებოდა

იმპერატორმა ვალენსმა დაამტკიცა კანონი ბერებისა და მონასტრების შესახებ 370 წელს, ხოლო 390 წლის 2 სექტემბერს იმპერატორმა თეოდოსი დიდმა გამოსცა ედიქტი, ომელიც ბერებს აქეთ-იქით წანწალსა და ქალაქებში ხეტიალს უკრძალავდა. ქრისტიანული ბერმონაზვნობას განვითარების ადრეულ ეტაპზე ახასიათებდა ქაოტურობა და ანარქიისაკენ მიღრებილება, ფანატიკოსი ბერების დაჯგუფებები ხშირად ხდებოდნენ ფიზიკური ძალადობის ინიციატორები,<sup>54</sup> ამიტომ სამონასტრო ცხოვრების მოქცევა სამოქალაქო და საეკლესიო კანონების ჩარჩოებში აუცილებელი გახდა, რაც საბოლოოდ ქალკედონის კრებაზე აღსრულდა (ფრეიზი 1982: 268-269). ქალკედონის კრების მე-4 კანონი გვაუწყებს:

...ჯერ-გპჩნდა უკუკ, რავთა არავინ არასადა აღაშენოს მონასტერი ანუ სახლი სალოცველი თუნიერ თანაჯერჩინებითა ეპისკოპოსისა მის ქალაქისა, ხოლო თითოეულისა ქალაქისა და ქუმყანისა მონაზონნი დაემორჩილნენ ეპისკოპოსსა მათსა და მყუდროებად შეიტყბონ... (გაბიძაშვილი... 1975: 270).

ყველა მონასტერი ეპისკოპოსის კონტროლს დაექვემდებარა. ბუნებრივია, ასე უნდა ყოფილიყო საქართველოშიც. ომელი ეპისკოპოსის გამგებლობაში უნდა მოქცეულიყო ოპიზის მონასტერი? ალბათ უსაფუძვლო არ იქნება იმის ვარაუდი, რომ ოპიზის მონასტერი ვახტანგ გორგასლისგან ახლადდაარსებულ ახიზის ეპისკოპოსს მეთვალყურეობას უნდა დაქვემდებარებოდა, რადგან ეს კათედრა ოპიზასთან ყველაზე ახლოს იყო, თან წყაროს მითითებით, არტავაზი ახიზის ეკლესიას ოპიზის მონასტრის პარალელურად აშენებს.

არქეოლოგიურად ოპიზა შესწავლილი არ არის. ბუნებრივია, გათხრებით მონასტრის ცხოვრების უძველესი პლასტების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეგვიძლია. უშუალოდ ოპიზასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მონაცემების არარსებობის გამო საკონტროლო წყაროს როლი, ამ შემთხვევაში, ახიზის ეკლესიას შეუძლია იტვირთოს. ჯუანშერის გადმოცემით ხომ არტავაზმა ოპიზის მონასტერთან ერთად ახიზის ეკლესიაც ააშენა. ახიზის ტაძრის აფსიდში აღმოჩნდა ორანტის ტიპის დმრთისმშობლის მოზაიკა. ახიზიდან შემორჩენილია ასევე ორი ანტიფექსი: ერთზე ორი განადლებული ჯვარია გამოსახული, ხოლო მეორეზე - ირემი, რაც ადრეული შეასაუკუნეებისათვის (განსაკუთრებით V-VI სს.) ძალზე დამახასიათებელია

<sup>54</sup> აქ შეიძლება წარმართო ფილოსოფოსი ქალი ჰიპატია გავისხენოთ, რომელიც ფანატიკოსთა ბრძომა დაუნდობლად მოკლა ალექსანდრიაში.

(სხირტლაძე 1991: 155-156; ხოშტარია 2009: 30-31). ამის მიხედვით იმის ვარაუდის საშუალება გვეძლევა, რომ წესით, ოპიზის შესწავლის შემთხვევაშიც, ახიზის მსგავსად აქაც ადრეული ხანის მასალა უნდა გამოვლინდეს.

ახლა გამოსარკვევი დაგვრჩა კიდევ ერთი საკითხი. ცნობილია თუ არა ჩვენთვის იმ მონაზონთა ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პირველი ქართველი ბერების” ვინაობა? მათი ვინაობა, ვინც პირველად დაემკვიდრა სამოღვაწეოდ ოპიზაში?

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დაცული ცნობის თანახმად სახელგანთქმული ბერის მიქაელ პარეხელის მოწაფე სერაპიონ ზარზმელი თავდაპირველად ოპიზაში მოღვაწეობდა. აქ ცხოვრების ავტორი ბასილი ზარზმელი გვატყობინებს ოპიზის „აღმშენებელთა” სახელებს: ამონი, ანდრია, პეტრე და მაკარი. ეს მონაზვნები ოპიზის „მაშენებლები” ყოფილან, ხოლო მათ შემდგა მოვიდა მიქაელ პარეხელი და პარეხში დაემკვიდრა (ჯანაშვილი 1909: 5; ვაჩნაძე 1975: 153-154) ე. ი. ოპიზა მიქაელ პარეხელის მოსვლამდე აუშენებია ამ ოთხ ბერს, ამიტომ იმის დასადგენად, თუ როდის მოღვაწეობდა ეს ოთხი ბერი, ჯერ თავად დიდი ქართველი ასკეტისა და წმინდანის მიქელ პარეხელისა და მისი მოწაფის, ასევე დიდი ქართველი წმინდანისა და მოღვაწის - სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დრო უნდა გამოვარკვიოთ, რაც თავისთვალი, ქართულ ისტორიოგრაფიაში, ცალკე არსებული პრობლემაა. ჩვენ ისტორიოგრაფიაში დღემდე მიმდინარეობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი საუკუნის მოღვაწეა სერაპიონ ზარზმელი. XX საუკუნის მკვლევართა უმეტესობა, სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით, სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობას IX საუკუნეს მიაკუთვნებდა (იხ. ვაჩნაძე 1975: 27-30),<sup>55</sup> მაგრამ წმ. სერაპიონის ცხოვრებაში არის ისეთი მნიშვნელოვანი დეტალები და გარემოებანი, რის საფუძველზეც ზოგიერთი მკვლევარი თხზულების IX საუკუნით დათარიღებას უარყოფს და VI-VII საუკუნეებით ათარიღებს.<sup>56</sup>

დღესაც, ქართულ ისტორიოგრაფიაში, სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობის დროდ ზემოთ აღნიშნული ორი სავარაუდო თარიღი რჩება – VI-VII საუკუნეები

<sup>55</sup> სერაპიონ ზარზმელი IX საუკუნის მოღვაწედ მიაჩნდათ ივ. ჯავახიშვილს (ჯავახიშვილი 1916: 61-72), ლ. მენაბდეს (მენაბდე 1962: 489-494), ე. თაყაიშვილს (თაყაიშვილი 1919: 124-134).

<sup>56</sup> სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას VIII საუკუნით, არჩილის ეპოქით, ათარიღებდა მისი პირველგამომცემელი მ. ჯანაშვილიც (ჯანაშვილი 1909 LI), ა. ბოგერაძემ და მ. ჩხარტიშვილმა რიგი არგუმენტები წამოაყენეს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების გადათარიღებისათვის (იხ. ბოგერაძე 1964; ბოგერაძე 1986; ჩხარტიშვილი 1994).

და IX-X საუკუნეები. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების პირველგამომცელი მოსე ჯანაშვილი სერაპიონის მოღვაწეობას VII-VIII საუკუნეებით ათარიღებდა (ჯანაშვილი 1909: LI), თუმცა ადრეული დათარიღების მომხრეთა უმრავლესობამ იგი VI-VII სს. მოღვაწედ მიიჩნია. ამ ორი, ერთმანეთის საპირისპირო, შეხედულების მომხრეებს თავიანთი მყარი არგუმენტები გააჩნიათ. მაინც როდის მოღვაწეობდა სერაპიონ ზარზმელი და როდის დაწერა ბასილი ზარზმელმა მისი ცხოვრება? მკვლევართა ერთი ჯგუფი, რომლებიც სერაპიონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ადრეული ხანით ათარიღებენ, შემდეგ არგუმენტებს ეყრდნობიან: თხზულებაში ნათქვამია, რომ სერაპიონ ზარზმელი იყო მიქაელ პარეხელის მოწაფე, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ, შიო მღვიმელის (VI ს.) აღზრდილი ყოფილა (ჯანაშვილი 1909: LI; პეტერსი 1923: 165; ინგოროვა 1954: 324-339; ჩუბინაშვილი 1959: 29-31; ბოგვერაძე 1964: 51; ჩხარტიშვილი 1994: 56), ეს მიქაელ პარეხელი არაა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნახსენები მიქაელ პარეხელი, რადგან გიორგი მერჩულესგან მოხსენიებული მიქაელ პარეხელი მიძნაძორიდან მოდის ბერთაში, ხოლო ბასილი ზარზმელისაგან ნახსენები მიქაელი შიო საკვირველომოქმედის მოწაფეა, შემდეგ ის თპიზაში მკვიდრდება, აქედან კი – პარეხში, გარდა ამისა, ვ. ბერიძის შეხედულებით, საჭვო ბასილისეული გიორგი მაწყვერელის და გიორგი მერჩულესეული გიორგი მაწყვერელის გაიგივება (ბერიძე 1955: 121) (გიორგი მაწყვერელი ბასილისათვის, სერაპიონის ცხოვრების შესახებ, ერთ-ერთ მთავარ ინფორმატორს წარმოადგენდა), ამასთან, ილ. აბულაძის შენიშვნით, გიორგი მერჩულის თხზულებაში აღნიშნული „პარეხთა“ გეოგრაფიული სახელწოდება (გიორგი მერჩულეს მიქაელი კლდოვან ადგილას, ბუნებრივ პირობებში ცხოვრობს), ხოლო ბასილი ზარზმელის „პარეხი“ ზოგადი სახელია კლდოვანი ადგილისა (თან ბასილი ზარზმელის მიქაელი ეგვტერს აშენებს და იქ დაეყუდება) (აბულაძე 1943: 938-939) თხზულება არ იხსენიებს ბაგრატიონებს (ჩუბინაშვილი 1959: 30), არ იხსენიებს არაბობას, ასევე არსადაა ნახსენები გრიგოლ ხანძთელის ხელმძღვანელობით დაწყებული სამონასტრო კოლონიზაცია ქართლში (ჯანაშვილი 1909: LV; ინგოროვა 1954: 149; ბოგვერაძე 1964: 60-62).

გვიანდელი დათარიღების (IX ს.) მომხრეთა არგუმენტები შემდეგია: ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულესაგან ნახსენები მიქაელ პარეხელი (სერაპიონის მოღვარი) და გიორგი მაწყვერელი აშკარად ერთი და იგივე პირები არიან, რადგან ბასილი ზარზმელი და გიორგი მერჩულე მას ერთნაირად

ახასიათებენ (ჯაგახიშვილი 1916: 62-65), ზარზმის ფერისცავლების ხატის I წარწერაში (რომელიც 886 წლით თარიღდება) მოხსენიებული პავლე მამასახლისი არის სერაპიონიდან მეოთხე წინამდგვარი ზარზმისა: სერაპიონი, გიორგი, მიქაელი, პავლე და სწორედ ეს უკანასკნელი მამასახლისობდა ზარზმაში 886 წელს, ამიტომაც სერაპიონის მოდგაწეობა მოვა IX საუკუნის I ნახევარზე, ხოლო მისი მოწაფეებისა - IX საუკუნის II ნახევარზე (თაყაიშვილი 1919: 110), თხზულებაში აღწერილი ფერდალიზმის სურათი IX-X საუკუნეებს შეესატყვისება და არა VI-VII საუკუნეებს (ვაჩნაძე 1975: 51-92), ცნობა, მიქაელის წმ. შიოს მოწაფეთა რიგში ჩარიცხვის შესახებ, XI ს. მეტაფრასტს ეკუთვნის (კეკელიძე 1980: 147), სინტაქსური და მორფოლოგიური თვალსაზრისით ტექსტი X-XI საუკუნეების თხზულებათა რიგს მიეკუთვნება (გოგუაძე 1964: 22; ვაჩნაძე 1975: 27),<sup>57</sup> ლექსიკური მასალაც ამას მიუთითებს (საკუთარი სახელები: ბეჭედი, ამასპო, ლატავრი, გარბანელი, ქურდ, ასევე გვარი „ბაჟლაუნდი”, რომელიც „დ” დაბოლოებით ახალ საარსულს უახლოვდება (ვაჩნაძე 1975: 27-28; 92-127)), თხზულებაში მოხსენიებულია ფერისცვალების დღესასწაული, რომელიც საყოველთაოდ მხოლოდ VIII საუკუნიდან ვრცელდება (ვაჩნაძე 1975: 28), ცხოვრებაში ასევე მოცემულია შედარებით გვიანდელი (IX-X სს.) სოციალური ტერმინოლოგია, ნაწარმოებში აღწერილი აწყურის ეპისკოპოსის გავლენა და ძალაუფლება უფრო გვიანდელ ეპოქას შეაფერება, ვიდრე VI-VII საუკუნეებს (კეკელიძე 1980: 148-149), ტერმინი „ქუეყანა” და „სოფელი” დამოწმებულია ახალი (IX-X საუკუნეთა) მნიშვნელობით, ბაჟლაუნდთა გვარისაგან წარმოქმნილი გვარები – ლაკლაკები და ახალი ჩორჩანელები პირველად X-XI საუკუნეთა წყაროებში იხსენიებიან (ვაჩნაძე 1975: 9). 6. ვაჩნაძის თქმით,

სრულიად გამორიცხულია, რომ ლაკლაპ ბაჟლაუნდი, მოხსენიებული „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში”, ყოფილიყო VI საუკუნის მოდგაწე, ხოლო ლაკლაკთა გვარი წარმოქმნილიყო X-XI საუკუნეში. ასევე გამორიცხულია, რომ პირველ ჩორჩანელთა საგვარეულო, მოხსენიებული „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში”, გადაშენებულიყო VI საუკუნეში,

<sup>57</sup> რაც შევხება ცხოვრების ტექსტს: ცხოვრებიდან ჩვენ, სულ მცირე, სამი ავტორის ხმა გვესმის: ბასილი ზარზმელისა, რომელიც კიმენური ცხოვრების ავტორია, მეტაფრასტის, რომელმაც XI საუკუნეში თხზულებას რედაქტირება გაუკეთა და სერაპიონ ზარზმელის თანამოღვაწე და თანამგზავრი მონაზვნისა, რომელიც სერაპიონ ზარზმელის საქმეთა და ლვაწლთა ოყიოშხილველი იყო - ის თხზულებაში პირველ პირში საუბრობს (გოგუაძე 1964: 9; ჩხარტიშვილი 1994: 69-83). 6. გოგუაძის თქმით, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ცხოვრების ენა: „ერთი თხზულების ფარგლებში თავსდება ბასილი ზარზმელის ენა, სერაპიონის თანმხლები პირის თხრობა, მეტაფრასტის ენა, პლუს მე-16 საუკუნეში გადაწერილი ნუსხის ზოგიერთი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი” (გოგუაძე 1964: 11)

ჩორჩანის მემამულები გამხდარიყვნენ იმავე საუკუნეში, ხოლო ჩორჩანელები მათ სწოდებოდათ X-XI საუკუნიდან (ვაჩნაძე 1975: 29).

როგორც ადგნიშნავდით, ორივე, ზემოთ დამოწმებული მოსაზრების მომხრებს თავიანთი დამაჯარებელი არგუმენტები გააჩნიათ. წყაროთა აღნიშნულ მონაცემთა გათვალისწინებით უაღრესად როულდება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიის განსაზღვრა, ამიტომ იძულებული ვართ, ეს საკითხი დიად დავტოვოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ დავიწყებოთ რომელიმე ამ ზემოთ აღნიშნული შეხედულების დამაჯერებელ მტკიცებას, მაინც ვფიქრობთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ტრადიციულად დამკვიდრებულ შეხედულებას, სერაპიონ ზარზმელის IX საუკუნეში მოღვაწეობის შესახებ, უფრო წონადი არგუმენტები გააჩნია. მართალაც, ძნელია თვალი დახუჭო ცხოვრებაში დამოწმებულ იმ ლექსიკურ მასალაზე, რომელიც IX-X საუკუნეებზე ადრე ქართულ წყაროებში არსად გვხდება (ბეშქენი, ლატავრი, გარბანელი, ქურდი და ა.შ. ასევე „სოფლისა“ და „ქუეყანის“ ახალი მნიშვნელობით გამოყენება). გარდა ამისა, ვფიქრობთ, ძალიან დამაჯერებელია 6. ვაჩნაძის ზემოთ ციტირებული მოსაზრება, რომლის თანახამდაც შეუძლებელია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ნახსენებ დიდებულს ლაკლაკ ბაჰლაუნდს VI საუკუნეში ეცხოვრა, ხოლო მისგან წარმოქნილი საგვარეულოების ხსენება (ლაკლაკები და ბაჰლაუნდები), რაღაც საკვირველი მიზეზით, მხოლოდ ოთხასი წლის შემდეგ დაწყებულიყო. როგორც ვთქვით, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების VII საუკუნით დათარიღების მომხრეთავის ყველაზე ძლიერ არგუმენტს ის ცნობა წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, სერაპიონის მოძღვარი - მიქაელ პარეხელი „...იყო მოწაფე დიდისა შიომსი საკვრველომოქმედისად, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისად, ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა...“ (ვაჩნაძე 1975: 153-154), მაგრამ აქ, შესაძლებელია, არა უშუალოდ შიო მღვიმელისადმი დამოწაფება, არამედ შიო- მღვიმის მონასტერში მოღვაწეობა იგულისხმებოდეს. ქართულ ნარატიულ წყაროებში, რომლებიც შიო- მღვიმის მონასტერს ეხება, ხშირად გვხდება შიო მღვიმელისადმი (რომელიც სიმბოლურად შიო-მღვიმის მთელ მონასტერს განასახიერებს) ინდივიდუალური მიმართვისა და დამოკიდებულების მაგალითები. წმინდანი, ქრისტიანული მოძღვრებით, ყოველთვის ცოცხალია, ხორციელი სიკვდილის შემდეგაც, ამიტომ საქართველოს სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომდგენლები, შიო-მღვიმის მონასტრისადმი გაკვთებული შეწიურულობისა თუ სხვა რაიმე სოციალური თუ

ეკონომიკური აქტისას, ხშირად, უშუალოდ შიო მღვიმელს მიმართვადნენ, და მას, როგორც ცოცხალს, ისე მოიხსენიებდნენ. მაგ., VII საუკუნის დასაწყისში, სტეფანოზ ერისმთავარსა და შიო-მღვიმეს შორის წარმოქნილ დავისას, ჰაგიოგრაფის თანახმად, სტეფანოზს სასწაულებრივი გამოცხადებით, უშუალოდ შიოსთან უწევს ურთიერთობა და იმ ორ ურჩეულეს სამეფო დაბას, რომელიც სტეფანოზმა შიო-მღვიმის მონასტერს „მისტაცა”, სწორედ, წმიდა შიოს უწერს და ამ დაწერილობის დამამტკიცებელ ქარტას წმ. შიოს საფლავზე დებს (აბულაძე 1955: 205). გიორგი I-ის შიო-მღვიმისადმი ბოძებულ შეუვალობისა და თავისუფლების სიგელში წერია: „და სიგელი ესე სიმტკიცისათვის დაგუიწერია და მოგუიჯენებია წმიდისა მამისა შიოსდა... (ენუქიძე... 1984: 47). გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში იხსენიება „წმიდა შიოს ოქროთი და ვერცხლით” შესყიდული სოფლები – ცხევერი და გავაზელნი (ენუქიძე... 1984: 68) ანუ შიო-მღვიმის მონასტრისადმი კუთვნილი ქონება უშუალოდ წმ. შიოს საკუთრებად ითვლებოდა. 1189/1200 წლებში შიო-მღვიმის მონასტრის მიერ ტოხაასძეებისადმი გაცემულ დაწერილში აღნიშნულია, რომ კვირიკე კახთა მეფეს, თავისი მოძღვრის, ბასილი ტოხაასძის რჩევით „...შემოეწირვინა წმიდისა შიოასოვს... მთათა შინა დაოთი და ბართა შინა რუეთი” (ენუქიძე... 1984: 83). ყველაზე ცხადად ის გარემოება, რომ შესაძლებელია „შიოს მოწაფეობაში” ბასილი ზარზმელი (უფრო XI საუკუნის მეტაფრასტი) მიქაელ პარეხელის შიო- მღვიმეში მოღვაწეობას (და არა უშუალოდ შიო მღვიმელისადმი დამოწაფებას) გულისხმობდა, ჩანს დაახ. 1200 წლისათვის შიო-მღვიმის მონასტრის მიერ ვინმე ზოსიმესადმი დაწერილში. აქ მონასტერი ზოსიმეს კვირიკე კახთა მეფის სამწირველოს უმტკიცებს: „...ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, მღვმელთა ერთობით სრულად კრებულთა, წმიდისა მამისა შიოას შვილთა და მოწაფეთა, შენ, ზოსიმეს...” (ხაზი ჩემია – შ. მ.), (ენუქიძე... 1984: 89) ე. ი. მონასტრის ძმობის (კრებულის) ყველა წევრი უშუალოდ წმიდა შიოს მოწაფედ აღიქმებოდა. დაწერილის ბოლოს შიო-მღვიმის მონაზვნები კვლავ წმიდა შიოს მოწაფეებად და შვილებად იხსენიებიან: „აწ, ამას დაწერილსა ჩუენსა მოწამენი ვართ ამას უდაბნოსა შინა მყოფნი მმანი და მოწაფენი და შვილნი წმიდისა მამისა შიოასნი...” (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (ენუქიძე... 1984: 90), აქედან ცხადია, რომ შუა საუკუნეების საქართველოში, წმ. შიო მთელ მონასტერს განასახიერებდა და მონასტერში მოღვაწე მონაზონი, თავისოთავად, შიო მღვიმელის მოწაფედ

ითვლებოდა, რაც კიდევ უფრო ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ IX საუკუნეში შიო-მღვიმის ლავრაში მოღვაწე მიქაელ პარეხელი შიო საკვირველთმოქმედის მოწაფედ ჩაეთვლათ (მითუმეტეს ასე შეეძლო გაეგო ეს გვიანდელ მეტაფრასტს).

გარდა ამისა, ვფიქრობთ, დამაჯერებელია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში აღწერილი სოციალური სურათის IX-X საუკუნეებით დათარიღება. აქ, ჩვენ წინაშე, უკვე გართულებული, მკვეთრად იერარქიული, ფეოდალური საზოგადოების სურათი (თუმცა ამ საზოგადოების გვერდით ჩანან, ჯერ კიდევ შემორჩენილი, თავისუფალი მეთემკები) დამახასიათებელი სოციალური ტერმინოლოგიითა და ლექსიკით, რაც უფრო გვიანდელ პერიოდს შეესატყვისება, ვიდრე VI-VII საუკუნეებს.

ამრიგად, ჩვენ უფრო იმ ვარაუდისაკენ ვიხებით, რომ სერაპიონ ზარზმელი IX საუკუნის მოწაფეა. სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობის პ. კეკელიძისეული ქრონოლოგია ამგვარია: სერაპიონმა მოღვაწეობა დაიწყო დაახ. 850 წელს, ზარზმა ააშენა დაახ. 861-868 წლებში, ხოლო გარდაიცვალა დაახ. 900 წელს. სერაპიონის ძმისშვილმა – ბასილმა, რომელმაც მონასტრის წინამდღვრობა პავლეს შემდეგ გადაიბარა (დაახ. 916-926 წწ.), ბიძის ცხოვრება აღწერა X საუკუნის 20-იანი მიწურულს (კეკელიძე 1980: 150), თუმცა ე. თაყაიშვილის მოსაზრება, ამ შემთხვევაში, უფრო სწორი უნდა იყოს. 886 წელს ზარზმის მამასახლისი პავლეა, რაც იმას ნიშნავს, რომ სერაპიონი, ამ დროისათვის, უკვე კარგა ხნის გარდაცვლილია. ე. თაყაიშვილის თანახმად, სერაპიონ ზარზმელი IX საუკუნეში უნდა ემოღვაწევა, ხოლო ბასილი ზარზმელს მისი ცხოვრება და მოღვაწეობა X საუკუნის დასაწყისში უნდა აღეწერა (თაყაიშვილი 1919: 110-111), რაც, ვფიქრობთ, ყველაზე ახლოს უნდა იყოს ისტორიულ რეალობასთან.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც თავს ვიკავებთ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების გვიანდელობის მკაცრი მტკიცებისაგან და ამ საკითხს ლიად ვტოვებთ, რადგან, ვფიქრობთ, აღნიშნული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა, დამატებითი წყაროებისა და ცნობების მოძიებისა და აღმოჩენის გარეშე, შეუძლებელია.

დაგუბრუნდეთ ჩვენგან ზემოხსენებული ოთხი პერის (ოპიზის აღმშენებელთა) საკითხეს: ე. ი. თუკი სერაპიონ ზარზმელი ცხოვრებას VII საუკუნით დავათარიღებთ, მაშინ ამონი, ანდრია, პეტრე და მაკარი V საუკუნეში მოღვაწებად, ვახტანგ გორგასლის თანამედროვებად გამოდიან (და ასეც

თვლიდა პავლე ინგოროვგა (ინგოროვგა 1954: 340)). არაბთა შემოსევების შემდეგ ოპიზის განმაახლებელად პ. ინგოროვგა ამბა სამოელს მიიჩნევდა (ინგოროვგა 1954: 341), რადგან გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ოპიზის მონასტრის მესამე წინამდღვარი გიორგი იხსენიება, რომლის დროსაც გრიგოლი ოპიზაში მივიდა, ხოლო პირველ წინამდღვრად სამოელი („და იყო წინამდღურისა მათისა სახელი ამბა გიორგი, რამეთუ მესამე მამავ იყო ოპიზისავ, რავთგან სამოელ და ანდრია გარდაცვალებულ იყვნეს” (მარი 1911: 9)). პ. ინგოროვგა ოპიზის სემინარიისა და ტაძარში შემორჩენილი ფრესკული წარწერების მიხედვით ოპიზის მეორედ რესტავრატორად, ანუ „მეორედ აღმშენებლად” აშოგ კურაპალატს მიიჩნევდა (ინგოროვგა 1954: 342) ე. ი. თუ პავლე ინგოროვგასგან წამოყენებულ და შემდეგ სხვა მეცნიერთაგან აღიარებულ შეხედულებას გავიზიარებთ, ბასილი ზარზმელისგან ნახსენები ოთხი ბერი (ამონი, პეტრე, ანდრია და მაკარი) V საუკუნეში მოღვაწე, ვახტანგ გორგასლის თანამედროვე სასულიერო პირები არიან. მოგვიანებით VI საუკუნეში აქ შიო მდვიმელის მოწაფე მიქაელ პარეხელი მკვიდრდება. მიქაელ პარეხელის შემდეგ დაახ. VII საუკუნის I ნახევარში ოპიზაში სერაპიონ ზარზმელი დაეყუდება. VIII საუკუნის 30-იან წლებში ოპიზა არაბთა შემოსევების შედეგად დაინგრა და დაახ. ამავე საუკუნის შუა ხანებში მონასტერი სამოელ მონაზონს უნდა განეახლებინა. სამოელის შემდეგ მონასტერს სათავეში ანდრია ჩაუდგა, ხოლო შემდეგ - გიორგი, რომელიც აქ წინამდღვრად 780 წელს გრიგოლ ხანძთელის მოსვლისას ყოფილა. IX საუკუნის 60-იან წლებში ოპიზას ხელმეორედ ჩაუტარდა რესტავრაცია. „მეორედ მაშენებელი” გუარამ მამფალი იყო, აშოგ დიდი კურაპალატის ძე.<sup>58</sup> მატიანე ქართლისათ-ს გადმოცემით „და მოკუდა გუარამ ძე აშოტისი, და დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან აღშენებულსა” (ყაუხეჩიშვილი 1955: 260).<sup>59</sup>

მაგრამ კიდევ ერთხელ: მოელი ეს ქრონოლოგია, ასე მწყობრად, იმ შემთხვევაში დალაგდება, თუკი სერაპიონ ზარზმელს VII საუკუნის მოღვაწედ ჩავთვლით, მაგრამ თუ მას, ქართულ ისტორიოგრაფიაში XX საუკუნეში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, IX საუკუნეში მცხოვრებ ბერად მივიჩნევთ (რაც, როგორც უკვე ვთქვით, უფრო დამაჯერებლად გამოიყურება)? მაშინ ოპიზის მონასტრის ქრონოლოგია შემდგენაირი იქნება: ოპიზა პირველად

<sup>58</sup> ოპიზის ტაძრის ფრესკულ წარწერასა და საოსტიგნეში შემორჩენილ წარწერაში ოპიზის მაშენებლად აშოგიც იხსენიება, რომლის ვინაობა ბოლომდე გარკვეული არ არის.

<sup>59</sup> ვახტანგი ტაძრის „მეორედ მაშენენებლად” შეცდომით გურგენს მიიჩნევდა (ლომოური... 1941: 135).

სამოელ მონაზონის მიერ ამავე საუკუნის შუა წლებში განახლდა, ხოლო ხელმეორედ რესტავრაცია IX საუკუნეში გუარამ მამფალმა ჩაუტარა, მაგრამ მაშინ ეს ზემოხსენებული ოთხი ბერი ვინ არის? რა პერიოდში შეიძლება მათი მოღვაწეობის მოთავსება? როგორც ჯერ კიდევ ა. ბოგვერაძე აღნიშნავდა, სამოელ მონაზონის თანამოღვაწეებიდ ისინი არ ჩანან (ბოგვერაძე 1964: 62), არც გრიგოლ ხანძთელთან გვხვდება მათი ხსენება, ხერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ცნობით კი ისინი სერაპიონის მოძღვრის მიქაელ პარეხელის იქ მისვლამდე მოღვაწეობდნენ და ოპიზის „აღმშენებლები“ იყვნენ. ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში ოპიზის მონასტრის ისტორიის ქრონოლოგიაში მათი მოთავსება ძალიან გართულდება, ამასთან არ შეიძლება ამ ცნობის, როგორც რაიმე ანაქრონიზმის, გამონაგონის ან გადამწერის შეცდომის გამოცხადება შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე. მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიის გარკვევა მომავლის საქმეა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ოპიზა ერთ-ერთი უძველესი ქართული მონასტერია დაარსებული ვახტანგ გორგასლისა და მისი ძუძუმტის, არტავაზის, მიერ V საუკუნის შუა ხანებში (დაახ. 456 წ.) ბასილისეული მონასტრების ნიმუშისა და წეს-განგების მიხედვით. შემთხვევითი არაა, რომ ოპიზა სწორედ პონტო-კაპადოკიური ბერმონაზვნობის გავლენის შედეგად დაარსდა და ბასილისეული წესის მონასტრად იქცა. ისტორიოგრაფიაში ცნობილია დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მჭიდრო, ეთნიკური და კულტურული კავშირი პონტოსთან და კაპადოკიასთან მოყოლებული უძველესი დროიდან. ჯუანშერის თხზულებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ამ კავშირმა ამ ორი მხარის ქრისტიანულ ცხოვრებაშიც პპოვა გამოვლინება.

## §4. პეტრე იბერიელი

პალესტინაში ქართულმა ბერმონაზვნობამ ძალზე ადრე მოიკიდა ფეხი.<sup>60</sup> ქართულ წყაროებში დაცული ცნობები (რომელთა მიღებაც უკრიტიკოდ არ

<sup>60</sup> ნაზარეთში, სადაც საეკლესიო გარდამოცემის თანახმად, ყოვლადწმინდა ქალწული ცხოვრობდა, საუკუნეების განმავლობაში, აგებდნენ ტაძრებს. 1959 წელს ახალი ფრანცისკანული ტაძრის აშენების წინ არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა, რომელმაც IV-V საუკუნეების ბიზანტიური ბაზილიკა გამოავლინა. ბაზილიკის ნაგრევებში, ბათქაშიან ქვებზე ბერძნული, სირიული, სომხური და ქართული გრაფიტები აღმოჩნდა (ალექსიძე 2011: 20). ტაძარი IV

შეიძლება) ქართველთა მოღვაწეობას წმ. მიწაზე ძალზე ადრეულ ხანას უკავშირებს. მეფე მირიანის მიერ ჯვრის მონასტრისათვის მიწის შესყიდვისა და ვახტანგ გორგასლის მიერ ამ მიწაზე ჯვრის მონასტრის დაარსების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას თეიმურაზ ბაგრატიონი (ბაგრატიონი 1848). რა წყაროებს ეყრდნობა ავტორი, ჩვენთვის უცნობია, ამიტომ ამ ცნობის სანდოობის მტკიცებისაგან თავს შევიკავებთ, თუმცა ფაქტია, რომ ქართული ტრადიცია პალესტინაში ქართული ბერმონაზვნობის გაგრცელებას ასე ადრეულ ეპოქას მიაწერდა (ფერაძე 1995: 97; მგალობლიშვილი 2003: 21). გრ. ფერაძე რატომლაც უკრიტიკოდ ენდობა ამ ქართულ გარდამოცემას და აცხადებს, რომ „ჯვრის მონასტერი აშენდა IV საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო შემდგომში XI ს-ში (1038 წელს) აღადგინა ქართველმა ბერმა პროხორემ“ (ფერაძე 1995: 97). რაიმე სანდო წყაროს მოძიებამდე ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდად შეიძლება დარჩეს.

თუმცა პალესტინაში ქართული მონასტრების აღმოცენებასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, პეტრე იბერი გვახსენდება. პეტრე (ერისკაცობაში ნაბარნუგი), თავისი დროის სახელგანთქმული ბერი, მრავალი აღმოსავლელი ქრისტიანის სულიერ ლიდერად იქცა. პეტრე იბერიელის სახელს უკავშირდება პალესტინასა და ეგვიპტეში ანტიქალკედონური (მონფიზიტური/მიაფიზიტური) მოძრაობის აღმავლობა, პეტრე ნამდვილად იქცა არაქალკედონურ აღმოსავლურ ეკლესიათა ერთ-ერთ სულიერ მესამირკვლევ.

პეტრე ქართველი ჩვენ, ამ შემთხვევაში, ქართული ბერმონაზვნობის კონტექსტში, გვაინტერესებს. რამდენად იყო მის მიერ დაარსებული მონასტრები ქართული და რა გავლენა ჰქონდა მის ასკეტურ ცხოვრებაზე იმ რელიგიურ ატმოსფეროს, რომელშიც ის ქართლის სამეფო კარზე იზრდებოდა?

მაგრამ სანამ უშუალოდ პეტრეს ბიოგრაფიაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია მოკლედ შევეხოთ იმ რამდენიმე ძირეულ საკითხს, რომელიც პეტრე იბერიელის

საუკუნის დასაწყისში უნდა აშენებულიყო, ხოლო V საუკუნის შუა ხანებისათვის ის უკვე დანგრეული იყო, რაც ქართულ გრაფიტებს V საუკუნის I ნახევრით ან უფრო ადრე, IV საუკუნით ათარიღებს (ალექსიძე 2011: 23-24), თუმცა თვით ქართულ ასომთავრულ ასოთა მოხაზულობა, პალეოგრაფიული და ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ანაქრონიზმად გამოიყურება (ალექსიძე 2011: 25). მართალია, ჩვენთვის უცნობია, თუ ვის ეკუთვნის წარწერები (ქართველ ბერებს? უბრალო საერო პილიგრიმებს, რომლებიც პალესტინაში დროებით ჩერდებოდნენ?), მაგრამ სანამ საკითხი ბოლომდე გაირკვევა, ვარაუდის სახით, შეგვიძლია გთქვათ, რომ ნაზარეთის წარწერები ქართველთა პალესტინაში ყოფნის უქველესი არქეოლოგიური მოწმობა უნდა იყოს.

ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხება, ქართველოლოგიაში იყო და, გარკვეულ წრეებში, კვლავაც აქტუალურია.

მეცნიერებაში პეტრე იბერიელთან დაკავშირებულია დიონისე არეოპაგელის კორპუსის ავტორობის პრობლემა. არეოპაგიტული კორპუსის ავტორი ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელითა ცნობილი, ანუ გაურკვეველია მისი ნამდვილი ავტორი, რომელიც I საუკუნის მოღვაწეს, დიონისე არეოპაგელის სახელქვეშ იმალება.<sup>61</sup>

1942 წელს ქართველმა ფილოსოფოსმა შ. ნუცუბიძემ და 1952 წელს ბელგიელმა ფილოლოგმა ე. პონიგმანმა (და ეს უკანასკნელი შ. ნუცუბიძეს იმოწმებს, ისინი ერთი და იგივე დასკვნამდე დამოუკიდებლად არ მისულან) გამოოქვეს მოსაზრება ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იგივეობის შესახებ (პონიგმანი 1955: 51-78), შ. ნუცუბიძე დარწმუნებული იყო (ამ მოსაზრებას პონიგმანის ნაშრომის რუსული თარგმანის შესავალ სიტყვაში გამოოქვამდა), რომ მათი იდენტურობა დამტკიცებული იყო (პონიგმანი 1955: 4). ცოტა მოგვიანებით შ. ნუცუბიძისა და ე. პონიგმანის მიერ წამოყენებული დებულებები ირენე ჰაუშერმა (Irénée Hausherr), ჰიერონიმუს ენგბერდიგმა (Hieronymus Engberding) და რენე როქმა (René Roques) გააკრიტიკეს. პეტრე იბერიელის ავტორობას, ამ არგუმენტებით, თითქოს საფუძველი გამოეცალა, თუმცა პეტრე ქართველის მიერ არეოპაგიტიკის შეთხვის თეორიას მიშელ ვან ესბროკი (Michel van Esbroek) და ბასილი ლურიე (Basil Lurié) მიუბრუნდნენ (ლურიე 2010: 143-144). ეს უკანასკნელი დღემდე პეტრე ქართველის ავტორობას ემსრობა.

დღეის მდგომარეობით, აკადემიურ სივრცეში, ფსევდო-დიონისეს ვინაობის პრობლემა კვლავ დაუძლეველ სირთულედ რჩება (ქორიგანი... 2004; ლოუთი 2004: 2), ზოგიერთი მეცნიერი იმასაც ფიქრობს, რომ არავთარი ფსევდო-დიონისე არეოპაგელი არ არსებობს და *Corpus Areopagiticum* რეალურად I საუკუნეში

<sup>61</sup> არეოპაგიტული კორპუსი საუკუნეების განმავლობაში დიონისე არეოპაგელის შეთხულად მიაჩნდათ. ავტორი თავის თავს იმ დიონისედ წარმოგვიდგენს, რომელიც პავლე მოციქულმა ათენის არეოპაგში ქადაგებისას მოაქცია და რომელიც მოგვიანებით ათენის ეპისკოპოსად იქცა. მისი ეპისტოლების აღრესატებში იხსენიებიან იოანე დვოთისმეტყველი, ტიტე და ტიმოთე ავტორი მოგვითხოვთ, რომ ის ყოვლადწმინდა დვოთისმრბლის მიძინებასაც დაესწრო. ევროპულმა ტრადიციამ დიონისე პარიზის პირველ ეპისკოპოსად და სენ-დენის (Saint-Denis) სააბატოს მფარველად აქცია, თუმცა შუა საუკუნეების (მაგ. პიერ აბელიარი) და რენესანსის ავტორთა მიერ გაირკვა, რომ დიონისე არეოპაგელი მხოლოდ ფსევდონიმი იყო სავარაუდო V საუკუნის ავტორისათვის, ვის კალამსაც რეალურად ეკუთვნის არეოპაგიტული კორპუსი (ლოუთი 2004: 1-2).

მცხოვრებ დიონისე არეოპაგელს მიეკუთვნება (პარკერი... 2015; ჭელიძე), თუმცა ისტორიკოსთა და ფილოლოგთა უმეტესობა ამ აზრს არ იზიარებს.

მეორე საკითხი, რომელიც პეტრე იბერიელს უკავშირდება, არა იმდენად დასავლური, არამედ კონკრეტულად ქართული მეცნიერებისათვის იქცა აქტუალურ პრობლემად (უფრო უკანასკნელ ხანებში). ესაა პეტრე ქართველის აღმსარებლობა. ჩვენ არც ამ საკითხს მიმოვიხილავთ ვრცლად. დასავლურ ისტორიოგრაფიაში პეტრე ქართველი ერთბუნებიანთა (იგივე მონოფიზიტთა ან, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მიაფიზიტთა<sup>62)</sup>) ერთ-ერთ გამორჩეულ წინამდლოლადაა აღიარებული. მონოფიზიტობის ცნობილი ისტორიკოსის უ. ჰ. ს. ფრენდის (W. H. C. Frend) აღნიშვნით, „მთელი თაობისათვის პეტრეს მონასტერი, მაიუმას მახლობლად, ანგიქალკედური წინააღმდეგობის უმთავრეს ცენტრად იქცევა” (ფრენდი 2008: 153), თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამას დასავლური მეცნიერების აღიარება სულაც არ სჭირდება, ფაქტი აშკარაა: პეტრეს ცხოვრების აღმწერელნი ითანე რუფუსი და ზაქარია რიტორი (იხ. ქვემოთ) მგზებარე მონოფიზიტები იყვნენ, პეტრე ქართველი კი თეოდოსი იერუსალიმელთან, ტიმოთე კვერნასთან (იგივე ტიმოთე კატა ანუ ალექსანდრიელი), პეტრე მონგთან, ესაია განდეგილთან და პეტრე ფულონთან ერთად მონოფიზიტური მოძრაობის სულიერ მამათა რიგს მიეკუთვნებოდა, ამასთან ზოგი მათგანისაგან (მაგ. პეტრე მონგისა ან პეტრე ფულონისაგან) განსხვავებით პეტრე მონოფიზიტთა რადიკალურ ფრთას ედგა სათავეში, უარყოფდა რა ზენონის პენოტიკონს. ფაქტია რომ პეტრე იბერიელი პალესტინასა და ეგვიპტეში მონოფიზიტთა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან წინამდლოლსა და ქალკედონის კრების შეურიგებელ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა. ასევე ფაქტია ისიც, რომ VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ პეტრე ქართველი ანათემას გადასცა, როგორც ამ სწავლების ერთ-ერთი აქტიური მქადაგებელი. მექქასე მსოფლიო კრების განჩინება გვაუწყებს ამ ანათემას:

<sup>62</sup>თანამედროვე თეოდოგიურ და ისტორიულ ლიტერატურაში მონოფიზიტებს ხშირად „მიაფიზიტებად“ მოიხსენიებენ, რადგან ტერმინი „მონოფიზიტი“ აღექატურად ვერ გამოხატავს არაქალკედონურ ეკლესიათა მოძღვრების არს. ღვთისმეტყველთა ნაწილის აზრით, თანამედროვე ეტაპზე, გამორკვეულია, რომ ქალკედონურ და არაქალკედონურ ეკლესიათა შორის რეალური თეოდოგიურ-დოქტრინალური განსხვავება არ არსებობს. ჩვენი ეკლესიები იზიარებენ წმ. კირილე ალექსანდრიელის საღვთისმეტყველო ფორმულას ღვთის ერთი შედეგნილი ჰიპოსტასის (რომელსაც არაქალკედონელები, ამ თეოდოგთა აზრით, „ბუნებას“ უწოდებენ) შესახებ. ამიტომ თანამედროვე არაქალკედონელები „მიაფიზიტებად“ მოიხსენებიან, რადგან „მიას“ აღნიშნავს „ერთს“, რომელიც სხვადახვა არსისგან შედგება, ხოლო „მონოს“ უბრალოდ ერთს, მარტივს, შეუდგენელს, რადგან არაქალკედონელები მაცხოვარში რეალურად არსებულ ადამიანურობას აღიარებენ ამიტომ მათ დღეს „მიაფიზიტებს“ უწოდებენ.

ამრიგად, სამარადჟამოდ ანათემასა და შეზვენაბაში იყოს წმინდა და თანაარსი და თაყვანსაცემი სამების, - მამის, და ძის, და სულიტმინდის, - მიერ: პირველად სიმონ მოგვი, ... მის შემდეგ, აგრეთვე, კლებეოსი, მენანდრე, ... ევტიქი, დიოსკორე - ევტიქის დამცველი და თანამოსაჯული, ბარსუმა, ზოორა, ტიმოთე, „კატად“ წოდებული, პეტრე მონგოსი და აკაკი, რომლებმაც ზენონის „კენოტიკონი“ (კენოტიკონის დამამცირებელი სახელწოდება მართლმადიდებლებში - შ. მ.) იხელოვნეს, ... პეტრე მკაწვრელი, რომელმაც სამწმიდაობის ლოცვისადმი ჯვრის დართვა გაბედა, **სხვა პეტრე, იბერიელი და გონება-ველური წყლული** (ტექსტი ციტირებულია ე. ჭელიძის მიხედვით, ჭელიძე 2016: 74).

სრულიად სამართლიანია პეტრეს რელიგიური მსოფლმხედველობის ა. თარხნიშვილისეული დახასიათება:

დღიდან მისი მწყემსმთავრად დადგენისა, პეტრე გვევლინება, როგორც უდრეკი მიმდგომი და მექომაგვ მონოფიზიტობისა. ამ ერთხელ ათვისებულ მოძღვრებას იგი სიკვდილამდის აღარ გადასდგომია (თარხნიშვილი 2014: 383).

ახლა უშუალოდ პეტრე ქართველის ცხოვრება მიმოვისილოთ, რომლის შესასწავლად რამდენიმე წყარო გაგვაჩნია. უპირველესი მნიშვნელობა იოანე რუფუსის პეტრე იბერის ცხოვრებას გააჩნია. ეს ბრწყინვალე პაგიოგრაფიული ძეგლი, თავდაპირველად, ბერძნულად უნდა დაწერილიყო დაახ. 500 წელს, ხოლო შემდეგ სირიულად უნდა ეთარგმნათ (პორნი 2006: 10). სირიული ტექსტი გერმანულად თარგმნა და გამოაქვეყნა რიხარდ რააბემ (Richard Raabe) 1895 წელს. პირველად ინგლისურად ეს თხზულება ქრისტიანული ბერმონაზვნობის სახელგანთქმულმა მკვლევარმა, ანგლიკანმა მღვდელმა და ისტორიოკოსმა, ჩვენგან უკვე ზემოხსენებულმა დერვას ჩითიმ თარგმნა. თარგმანი მას დაახ. 1967 წლისათვის დაუმთავრებია, მაგრამ რატომდაც მისი გამოქვეყნება ვეღარ მოხერხდა (ეს თარგმანი დღემდე გამოუქვეყნებელია). 2008 წელს კორნელია ჰორნმა (Cornelia Horn) და რობერტ ფენიქსმა (Robert Phenix) იოანე რუფუსის თხზულების ინგლისური თარგმანი გამოსცეს (პორნი... 2008).

პეტრე იბერის ცხოვრება ქართულად XIII საუგუნეში თარგმნა ვინმე მაკარი მღვდელმა, ხოლო ამ თარგმანს რედაქტირება გაუკეთა XV საუკუნეში მოღვაწე პავლე დეკანოზმა. პეტრე იბერიელის ქართული ცხოვრება თარგმანს არ წარმოადგენს ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. მაკარი მღვდელმა თარგმანს ანდერძიც დაურთო, სადაც პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა ვინმე „ზაქარია ქართველს“ მიაწერა. მთარგმნელმა (ან

თარგმანის რედაქტორმა) სერიოზულად გადაამუშავდა სირიული ორიგინალი და მონოფიზიტობის მედროშე პეტრე მართლმორწმუნე ქალკედონელად აქცია. პავლე დეკანოზი თავის ანდერძში გვაუწყებს, რომ მან თხზულება „შემატება-დაკლების” პრინციპით „შეასწორა”, დაზიანებულ ქართულ თარგმანს შესავალი დაურთო და მისი „კეთილად დასრულებაც” არ დავიწყებია (ლოლაშვილი 1972: 97; ლოლაშვილი 1988: 64).<sup>63</sup>

1988 წელს ივ. ლოლაშვილმა პეტრე იბერის ცხოვრების რ. რააბესეული გერმანული თარგმანის ქართული თარგმანი გამოაქვეყნა (ლოლაშვილი 1988).

1912 წელს გამოქვეყნებულ თავის მნიშვნელოვან გამოკვლევაში (*Johannes Rufus – ein monophysitische schriftsteller* (იოანე რუფუსი – მონოფიზიტი მწერალი)), პეტრე იბერის შესახებ, ცნობილმა გერმანელმა ფილოლოგმა ე. შვარცმა დაასაბუთა, რომ პეტრე იბერის ცხოვრების ავტორი პეტრეს განუყრელი მოწაფე და მეგობარი იოანე რუფუსია (იხ. შვარცი 1912: 1-28). როგორც ავღნიშნეთ იოანე რუფუსმა ეს თხზულება ბერძნულად დაწერა, ბერძნული დედანი დაკარგულია და შემორჩენილია მხოლოდ მისი სირიული თარგმანი. სირიული (ასურული) ენა მონოფიზიტური ეკლესიის საღვთისმეტყველო და საღვთისმსახურო ენად იქცა, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მონოფიზიტობის სახელგანთქმული მოღვაწის ცხოვრება სწორედ ამ ენაზე შემოგვრჩა. პეტრე იბერის ცხოვრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ქონდა, არა მარტო წმინდა თეოლოგიური ან ლიტურგიკული (ამ თხზულებას ხმამაღლა კითხულობდნენ მონოფიზიტურ ეკლესიებში პეტრეს ხსენებისას (ჰორნი 2006: 17-18)), არამედ „მონოფიზიტური იდენტობისის” თვალსაზრისითაც. მონოფიზიტურმა რელიგიურმა თვითშეგნებამ ქალკედონის კრების შემდეგ საკმაოდ სწრაფად იწყო ჩამოყალიბება, ხოლო VI საუკუნის 40-იანი წლებიდან, როდესაც იაკობ ბარადეოსის წყალობით, ქალკედონურის პარალელური ანტიქალკედონური იერარქიაც აღმოცენდა, მონოფიზიტობამ (მიაფიზიტობამ) აღმოსავლეთის ხალხებში (სირიელებში, სომხებში, ეგვიპტელებში, ეთიოპიელებსა და ინდოელებში) უმყარესი ნიადაგი ჰპოგა. მონოფიზიტური ჰაგიოგრაფია კი, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ამ პროცესს.

იოანე რუფუსს ეკუთვნის (უფრო სწორად ის, ამ შემთხვევაში, უფრო რედაქტორად გვევლინება, ვიდრე უშუალო ავტორად) პლეროფორიუმი, რომელიც მონოფიზიტურ ჰატერიკებს წარმოადგენს, აქ შეკრებილია სხვადასხვა

<sup>63</sup> მიქელ თარხნიშვილს ქართული ცხოვრების შექმნის შესახებ განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა. მისი აზრით, ახურულიდან პეტრეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი თხზულება არა XIII საუკუნეში, არამედ VIII საუკუნეში ითარგმნა (თარხნიშვილი 2014: 379).

მოდვაწეებთან დაკავშირებული სწავლებანი და სასწაულთა თხრობანი, რომელიც ითანეს თავად პეტრესგან მოუსმენია (პორნი 2006: 10-11).

1972 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში არეოპაგიტიკის პრობლემები ივ. ლოლაშვილმა პეტრეს ცხოვრების ითანე რუფუსისადმი კუთვნილება უარყო და თხზულების ავტორად ქართული თარგმანის ანდერძში მოხსენიებული ვინმე ზაქარია ქართველი გამოაცხადა (ლოლაშვილი 1972: 97-102). ივ. ლოლაშვილის მიერ გამოთქმულ შეხედულებას მწვავე კრიტიკით გამოეხმაურა ა. გაწერელია. კამათი ივ. ლოლაშვილსა და ა. გაწერელიას შორის თითქმის მთელი 70-80-იანი წლების განმავლობაში გაგრძელდა. ა. გაწერელიამ სამართლიანად აღნიშნა, რომ ეს „ზაქარია ქართველი“ XV საუკუნის ქართული თარგმანის რედაქტორის პავლე დეკანოზის მოგონილია (სხვაგან არსად, არც ერთ წყაროში, ამ ზაქარია ქართველის სხენებაც კი არ არის) და ზაქარია ქართველს „ფოლოლოგიური მირაჟი“ უწოდა (გაწერელია 1977: 284-285). 80-იანი წლების ბოლოს ივ. ლოლაშვილი კვლავაც თავის აზრზე რჩებოდა. მისი თქმით,

არსებობს მოსაზრება, რომ ზაქარია ქართველი ფიქტიური პირია, აღრეულია ზაქარია რიტორში, რომელსაც თითქოს შეუთხავს პეტრეს ცხოვრების ვრცელი საკითხავი, ან, უბრალოდ, პირველი ზაქარია მეორე ზაქარიას თხზულების მიმთვისებელია, ხოლო ის ანდერძი, რომელიც ქართულ რედაქციას ერთვის, ფალსიფიკაციადა და შეთხზულია პავლე დეკანოზის მიერ საკმაოდ მოგიანებით. მე ამგვარი სკეპსისი... კატეგორიულად უარვდავ და მას ვერც ახლა გავიზიარებ, რადგან ძველქართული ბიბლიოგრაფიული ცნობისადმი ამგვარი უნდობლობითი დამოკიდებულება ფილოლოგიურ კვლევაში ყველაზე იოლი გამოსავალია ნებსითი პიპოთეზის შესათხველად (ლოლაშვილი 1988: 62).

მაგრამ „ნებსითი პიპოთეზა“ პეტრეს ცხოვრების ავტორად სხვა წყაროებით აბსოლუტურად უცნობი ზაქარია ქართველის გამოცხადებას უფრო ეთქმის, ვიდრე მეცნიერებაში საყოველთაოდ გაზიარებულ შეხედულებას, რომელიც ე. შვარცმა შესაბამისი არგუმენტებით გაამყარა. ა. გაწერელია კვლავ გამოეხმაურა ივ. ლოლაშვილის მოსაზრებას და ისევ დამაჯერებლად უარყო ზაქარია ქართველის არსებობა (გაწერელია 1988: 87-103). ჩვენ ახლა შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ზაქარია ქართველი XV საუკუნის ქართველი დეკანოზის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი.

მეორე ავტორი, რომელიც პეტრე ქართველის ცხოვრებისა და მოდვაწეობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის, არის ცნობილი მონოფიზიტი

მემატიანე ზაქარია რიტორი, იგივე ზაქარია მიტილენელი (შესაძლებელია სწორედ ეს ზაქარია აქცია თხზულების ქართველმა მთარგმნელმა თუ რედაქტორმა ზაქარია ქართველად), რომელიც თავის თხზულებებში საკულტო ისტორიაში, სევეროს ანტიოქიელის ცხოვრებასა და ესაია ახეკის ცხოვრებაში პეტრეს შესახებ ვრცლად საუბრობს. ზაქარია დაზელი იყო, მისი მამა-პაპისეული სახლი, სადაც პატარა ზაქარია იზრდებოდა, პეტრეს მიერ დაარსებული მაიუმას მონასტრის სიახლოვეს მდებარეობდა (პორნი 2006: 45). პეტრე ქართველის მასშტაბურ რელიგიურ ფიგურას, რომელსაც უზარმაზარი გავლენა პქონდა აღმოსავლეთის მონოფიზიტურ წრეებში, ღრმა კვალი უნდა დაემჩნია ზაქარიას პიროვნებასა და მსოფლმხედველობაზე. ზაქარია სევეროს ანტიოქიელს, ესაია ასკეტსა და პეტრე ქართველს მონოფიზიტურ მოძრაობის სამგამოჩენილ წინამდღვრად თვლიდა (პორნი 2006: 45). მეცნიერთა ნაწილის აზრით, ზაქარიას პეტრეს ცხოვრებაც უნდა აღეწერა. ამ ვარაუდის წარმოქნას ხელი შეუწყო Sahau 321 სირიულ ხელნაწერში (სადაც ზაქარიას ნაშრომებია დაცული) შემონახულმა ფრაგმენტმა, რომელიც თითქოს პეტრე იბერის დაკარგული ცხოვრების ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. კ. პორნის აზრით ეს ფრაგმენტი არაფერს ამტკიცებს და ზაქარია რიტორის მიერ პეტრეს ცხოვრების აღწერა კვლავ ჰიპოთეზად რჩება (პორნი 2006: 46).

იოანე რუფუსის თანახმად, პეტრე ქართლის სამეფო ოჯახში დაიბადა. პეტრეს დაბადების თარიღად მეცნიერებაში სხვადასხვა დროს მიიჩნევდნენ 409 წელს (პორნი 2006: 52), 411 წელს (ლოლაშვილი 1988: 9), 412 წელს (დევო 1968: 337-350), 417 წელს (პორნი 2006: 52). კ. პორნი ამ უკანასკნელს უჭერს მხარს (პორნი 2006: 52) და ჩვენც ეს წელი ყველაზე დამაჯერებლად გვეჩვენება. საამისო არგუმენტი შემდეგია: პეტრე თორმეტი წლის იყო, როდესაც კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსმა ნესტორმა დვთისმშობლის შესახებ საკუთარი სწავლების წარმოთქმა დაიწყო (429 წ.), ერთ-ერთ ამგვარ ქადაგებას პეტრეც ესწრებოდა (ის ნესტორს პირადად იცნობდა), ამიტომ ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ პეტრე სწორედ 417 წელს დაიბადა.

„ნეტარი პეტრეს სამშობლო იყო იბერთა განთქმული ქავანა, იმ ჩრდილოელთა [ქვეყანა], რომელნიც მზის აღმოსავალთან ბინადრობენ”, - გვაუწყებს რუფუსი (ლოლაშვილი 1988: 80). პეტრეს ერისკაცობაში ნაბარნუგი ერქვა და არა მურვანი, როგორც ეს, მისი ქართული ცხოვრების წყალობით,

ჩვენს ისტორიოგრაფიაში შეცდომით გარვცელდა. ა. გაწერელიას მართებული შენიშვნით, ეს სახელი

ბერძნულიდან სირიულში გადასული იბერიელი უფლისწულის ნამდვილი სახელის ქართული მოდიფიკაცია „მურვანოსის“ სახით. უქველია: რადგან XIII-XIV სს-ში „ნაბარნუგიოსი“ არაქართულად ქდერდა (გაწერელია 1990: 90).

ნაბარნუგად იხსენიება პეტრე ერისკაცობაში პლეროფორიებში, ოდონდ აქ მისი სახელი კიდევ უფრო ზუსტად, ბერძნული დაბოლოება „ოს“-ის გარეშე წერია (გაწერელია 1990: 90).

ნაბარნუგის მამა ქართლის მეფე ბოზმარი (ბუზმიპრი) იყო,<sup>64</sup> მამის მამასაც ასევე ბოზმარი ერქვა. ნაბარნუგის დედის სახელი იყო ბაკურდუხტია, ხოლო დედის დედისა დუხტია, რომელმაც თავისი სიწმინდით გაითქვა სახელი. რუფუსის გადმოცემით, ნაბარნუგის

პაპა დედის მხრიდან გახლდათ დიდი ბაკური, დუხტიას მეუღლე. ეს ბაკური ამ ქვეყნის მმართველთაგან პირველი ქრისტიანი მეფე იყო, რომელმაც მთელი ხალხი ღვთისმოშიშებამდე მიიყვანა (ლოლაშვილი 1988: 81).

ამ ბაკურის შესახებ, რომელიც იოანე რუფუსს რატომდაც ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მიაჩნია, ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ.<sup>65</sup> ნაბარნუგის წმინდა და ღვთისმოშიშ წინაპართა და ნათესავთა რიცხვი ამით არ ამოიწურება. რუფუსის გადმოცემით, პეტრეს ბაბუას ბაკურს ჰყავდა ძმა – არჩილი, რომელიც მრავალს აღემატა ასკეტური ცხოვრებითა და მოღვაწეობით.

იგი ბაკურთან და ბუზმართან ერთად დრმა მოხუცებულობაში იბერიას მართავდა, იბერთა მეფეთმონაცვლეობის წესის თანახმად, და თავისი ცხოვრება ქალწულებასა და ღვთისმოსაობაში დაასრულა (ლოლაშვილი 1988: 81).

<sup>64</sup> პეტრე იბერის ქართული ცხოვრება პეტრეს დაბადების განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს: ამ ნაწარმოების თანახმად, თეოდოსი იმპერატორის მმართველობის უამს, ქართველთა მეფე იყო კეთილმორწმუნე ვარაზ-ბაკური, „მართლმადიდებელი და დიდად დმრთისმსახური“ (აბულაძე 1967: 215). მეფეს ძე არ ესვა, ამიტომ ღმერთს დღე და დამ ვაჟის მონიქებას ევედრებოდა. ერთხელაც მცხეთისაკენ მიმავალს, დაუდამდა და მტკვრის პირას ჩაემინა. აქ მას ანგელოზი გამოეცხადა, რომელმაც ძის დაბადება უწინისაწარმეტყველა. „და შემდგომად დღეთა რავოდენთამე მიუდგა ცოლი მეფისა და უშვა მას ძე... უწოდეს სახელი მურვანოს“ (აბულაძე 1967: 216-217). აღნიშნული თხრობა არ დასტურდება ბერძნულ-სირიულ წყაროებში, შესაბამისად, დიდი ალბათობით ეს ისტორია ქართული ცხოვრების ავტორის (ან რედაქტორის) მდიდარი ფანტაზიის ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს.

<sup>65</sup> ჩვენ უშუალოდ ბაკურის ისტორიული იდენტიფიკაციის საკითხს არ შევეხებით. ამის შესახებ ქართველობითი ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული, რადგან ეს პრობლემა ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს სცდება, მასზე მსჯელობას ადარ გავაგრძელებთ. ბაკურის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით იხ. გოზალიშვილი 1974; ჩხარტიშვილი 2013.

პატარა ნაბარნუგი ძიძასთან იზრდებოდა. ამ ღვთისმოშიში ქალის სახელი ძუძო იყო, ის უფლისწულს სპარსელთაგან მალავდა და ღვთისმოსაობით ზრდიდა. ნაბარნუგის აღზრდაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ძუძოს ქალიშვილი ოტა, რომელიც ასევე დედობილად და აღმზრდელად ექცა ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრეს (ლოლაშვილი 1988: 81-81).

როგორც იოანე რუფუსი გადმოგვცემს, ნაბარნუგი თავიდანვე უჩვეულოდ ასკეტურ გარემოში იზრდებოდა. ის გარემოცული იყო ქრისტიანული მოღვაწეობის სულით. რუფუსის თქმით

დიდი ბაკური – იბერთა პირველი ქრისტიანი მეფე – და მისი მეუღლე დუხტია ქრისტეს მიმართ ღვთისმოშიშების ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ, ისეთი სათხოება და საქციელი გამოავლინეს, რომ თუმცა მეფური ჩამომავლობისა იყვნენ, მაინც თავიანთი მმართველობის დროს მონაზონურ-ასკეტურ ცხოვრებას მისდევდნენ და [ამ ცხოვრებით] არსებობდნენ (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (ლოლაშვილი 1988: 82).

პეტრეს ბებიამ და ბაბუამ ქრისტიანთა შორის ძველთაგანვე გავრცელებულ პრაქტიკას მიმართეს და, მას შემდეგ, რაც შვილები შეეძინათ, ხორციელი ურთიერთობა შეწყვიტეს. რუფუსი სურათს ისე ხატავს, თითქოს ქართლის მთელი სამეფო კარი ერთ დიდ მონასტრად გადაიქცა. ბაკური მკაცრად მარხულობდა, ლოცულობდა, მოწყალებას არიგებდა და ქალაქის (იგულისხმება ალბათ მცხეთა) ეკლესიას კვირაში სამჯერ საკუთარი ხელით ჰგვიდა (ლოლაშვილი 1988: 82). თავმდაბლობის გარდა ბაკური გლახაკთა სიყვარულითაც გამოირჩეოდა:

თავის დირსების დამცირებად არ მიაჩნდა, როცა თავის სასახლეში მათთვის სხვადასხვანაირ საჭმელებს ამზადებიდებდა; შემდეგ ეს საჭმელები კალათებით თვითვე მიჰქონდა დამღამობით მის მიერვე გლახაკთათვის აგებულ თავშესაფარში, და ვინც იქ იწვნენ, მათ თავისი ხელით აჭმევდა (ლოლაშვილი 1988: 82-83).

რუფუსის გადმოცემით, ბაკური ქრისტეს აღსარებითაც გამობრწყინდა. ჰაგიოგრაფი მოგვითხრობს იმ შემთხვევას, რომელიც ბაკურს სპარსეთის მეფის ჯარში მსახურებისას შეემთხვა. ლაშქრობისას მეფესა და მის მხლებლებს (მათ შორის ბაკურს) თავზე დაათენდათ. მზის ამოსვლისას სპარსეთის შაჰანშაჰი და მისი მსახურნი ცხენებიდან ჩამოცვივდნენ, მირს დაემხნენ და მზეს, როგორც ღვთაებას, თაყვანი სცეს. ბაკური, მირს დამხობა კი არა, ცხენიდანაც არ

ჩამოსულა, რაც მსახურებმა უმაღ მეფეს მოახსენეს. ამ უკანასკნელმა ბაქურს პკითხა, მართალი იყო თუ არა, რომ მან მზის თაყვანისცემაზე უარი თქვა.

ბაქურმა, დანიელისა და სამი ჭაბუკი მეგობრის ჰეშმარიტმა მიმბაძველმა, მთელი ჯარის წინაშე გულწრფელად წამოიძახა: „მე ქრისტიანი ვარ და არა მაქვს უფლება უარვყო ერთადერთი ჰეშმარიტი ღმერთი, ყოველთა შემოქმედი, და თაყვანი ვსცე მის მიერ გაჩენილს [მზეს], რომელიც დაბადებულია ჩემი და ყველა ადამიანის სამსახურებლად და გასანათებლად (ლოლაშვილი 1988: 83-84).

სპარსეთის მბრძანებელი იძულებული გახდა, პრაგმატული, სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ბაქურისთვის ანგარიში გაეწია:

ასე რომ მეფე თუმცა განცვიფრდა და მის გულახდილობაზე გაწითლდა კიდეც, მაგრამ მიუბრუნდა თავისიანებს და ჩუმად უთხრა: „ის ბაქურია და ჩვენ გვჭირდება. რა უნდა ვუქნათ მას? (ლოლაშვილი 1988: 84).

ბაქურს მისი მეუღლე, ნაბარნუგის ბებიაც, არ ჩამორჩებოდა დვოისმოსაობასა და მოღვაწეობაში. დუხტია მთელ დროს ლოცვაში, მარხვაში და მოწყალების გაღებაში ატარებდა. მან სადედოფლო შესამოსელის მაგივრად ძაბა შეიმოსა. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს შუშანიკი, რომელსაც ანტიოქიური პალეკარტის ქვეშ, ძაბა ემოსა. ძაბით შემოსვა ქრისტიანებში სინაცელს განასახიერებდა, გავიხსენოთ, რომ მონაწელი მეძავი, პელაგია ანტიოქიელიც ძაბით შეიმოსა (პორნი 2006: 116), ძაბით შემოსვა მოასწავებდა მოღვაწეობას, სინაცელსა და თავმდაბლობას. როგორც ჩანს, ამგვარი პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებული იყო IV-V სს. ქართლის ქრისტიანულ არისტოკრატიაში.

რაღა უნდა ითქვას ნაბარნუგის დიდ ბიძაზე, არჩილზე, რომელიც ქართლში V საუკუნის 20-იან წლებში მეფობდა. არჩილი თითქმის ყველას ჩრდილავდა საკუთარი სიწმინდითა და უმანკოებით. შეიძლება ითქვას, რომ ქართლის ეს მეფე ერში მონაზვნად იქცა. მართალია, არჩილი სამეფო ტახტის მემკვიდრეობის გასაგრძელებლად დააქორწინეს, მაგრამ მას მეუღლესთან საერთოდ არ ჰქონია ხორციელი კავშირი და „მის მიმართ... ქალწულად დარჩა“ (ლოლაშვილი 1988: 84). მოხდა ისე, რომ არჩილ მეფის მეუღლე მრუშობის ცოდვაში ჩავარდა, რის გამოც არჩილმა ცოლი ამხილა. დედოფალმა არ შეინანა და როდესაც მეფემ მას მრუშობისას წასწრო, კაცს რომელთანაც დედოფალი მრუშობდა, უთხრა:

მიწუქებია შენთვის სიცოცხლე და სისხლი. აპა, საგზალი და სამგზავრო ფული! სასწრაფოდ მომშორდი და ამ ქვეყანაში ნუდარ გაჩერდები, რომ

რაიმე უბედურება არ შეგემთხვეს და შენი სისხლი ვალად არ მომეთვალოს (იქვე).

არჩილი ცოლს სადვოთო სასჯელით დაუმუქრა და მართლაც, ქალი სასტიკად დაისაჯა: მას „ქვედა ტანის ის ადგილი მატლებმა დაულპეს და მისი სიცოცხლე და სხეული ტკივილებით წახდა” (ლოლაშვილი 1988: 84-85). დედოფალს მხოლოდ ღრმა სინაზულის შემდეგ ეშველა, ამის შემდეგ ისიც მკაცრი მოღვაწეობის გზას დაადგა (ლოლაშვილი 1988: 85).

მეფე არჩილმა „სათხო ყოფა-ქცევით დვთისაგან ისეთი დიდი მოწყალება და სასიხარულო ნდობა მოიპოვა, რომ თავისი ლოცვა-ვედრებით სასწაულებს ახდენდა”, როგორც ამას მოგვიანებით თავად პეტრე პყვებოდა (ლოლაშვილი 1988: 85).

გამოხდა ხანი და არჩილმა იერუსალიმში თავისი ძმის შვილის შვილის, ნაბარნუგის მონაზვნად აღკვეცა შეიტყო. არჩილმა ახლა უკვე ახლადადკვეცილ პეტრეს წერილი მისწერა, სადაც თავისთვის ლოცვას ითხოვდა (ლოლაშვილი 1988: 85-86).

მეფე არჩილთან დაკავშირებით იოანე რუფუსი კიდევ ერთ ძალზე საინტერესო დეტალს გვაწვდის, რაც ძალიან საყურადღებოა, არა მხოლოდ პეტრესა და მისი ახლობლების ცხოვრების, არამედ ზოგადად, ქართლის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების აღსაწერად.

ხოლო ვინაითგან ამა ქვეყნის წარჩინებულთ, გართობის მოსურნეთა და უზრუნველთ, რომელთაც ჩვეულებად აქვთ მოიწვიონ მგოსან-მომღერალნი ქალნი და კაცნი, ამა ქვეყნის არარაობანი, რათა იმღერონ მათი სიამოვნებისა და წარმავალი გართობის მოსაგვრელად, მანაც დავით მეფის მსგავსად თავისთან დაიყენა წმიდა გალობათა მთქმელნი, რომელნიც პურისჭამისა თუ ყოველ ღროს ღმრთის წმინდა პიმნებს გალობდნენ. ასე რომ, მისი სასახლე არაფრით გამოირჩეოდა ეკლესიისაგან” (ხაზგასმა ჩემია – შ. მ.) (ლოლაშვილი 1988: 86).

აქ რამდენიმე გარემოებაა საყურადღებო: ეთნოფსიქოლოგიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართველი არისტოკრატიის დახასიათება, რომლებიც „გართობის მოსურნენი და უზრუნველნი” ყოფილან და, ვფიქრობ, ქართული კულტურის კარგად მცოდნისათვის, აქ საოცარი არაფერია, ეთნოგრაფიის (და ეთნომუსიკის) კუთხით საინტერესოა ცნობა, რომლის თანახმადაც, სამეფო კარზე საერო (სავარაუდოდ ხალხურ) სიმღერებს მამაკაცთა და ქალთა სპეციალური გუნდები ასრულებულნენ, და ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ

იოანე რუფუსთან, ალბათ, პირველი ცნობა გაგვაჩნია ქართული საეკლესიო გალობის შესახებ, რომელიც მაშინ ჩამოყალიბების სტადიაში უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ნაბარნუგის აღმზრდელი ძუძო. ძალიან მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის იოანე რუფუსი ამ ძუძოსა და პატარა ნაბარნუგუის ურთიერთობის შესახებ:

ხოლო ცხონებული ძუძო, რომელმაც ცხონებული [პეტრე] აღზარდა, ისეთი წმინდანი იყო, რომ როდესაც ყრმას მასთან ეძინა, [მძინარეს] ბევრჯერ აპერებდა ცრემლებს, დამით დგებოდა და ქართულ ენაზე ამბობდა შემდეგს: „უფალო იქსო, ღმერთო ჩემო და დამბადებელო ჩემო, შემიბრალე მე!” (ლოლაშვილი 1988: 86).

შეიძლება ითქვას, რომ იოანე რუფუსის თხზულებაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი ცნობა გვაქვს იქსოს ლოცვის შესახებ ე. ი. ქართულ ასკეტურ წრეებში უკვე V საუკუნის დამდეგს გავრცელებული ყოფილა მონაზვნური მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი – გონიერი (მოუკლებელი) ლოცვა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ იარაღად ითვლება ასკეტურ ტრადიციაში.

იბერიის მეფე ბაკურს არც მისი ასული, ნაბარნუგის დედა ბაკურდუხტია, ჩამორჩებოდა სულიერ დვაწლსა და მოთმინებაში. ბოზმარის გარდაცვალების შემდეგ მან ქვრივის ქალწულებრივი ცხოვრება აირჩია (რომლის შესახებაც ზემოთ საკმარისად ვისაუბრეთ) და მემყუდროვე ცხოვრებას შეუდგა.

ვინაიდან ის უკვე ვეღარ იტანდა ქალაქში ცხოვრებას, არამედ ამჯობინებდა თავის სოფლებში შესდგომოდა განდეგილურ ცხოვრებას. ის ყოველ სოფელში აგებდა უცხოთა თავშესაფარსა და სასწეულოს. როდესაც ცხონებულმა პეტრემ შეიტყო, რომ დედამისს უნდა მასთან მისვლა და ნახვა, იგი კვიპრზე (ქართულად მთარგმნელს „კვიპროსად” უნდა გადმოყდო – ვ. გ.) გაიქცა, რათა მისი სახე პირდაპირ არ ეხილა. ხოლო როცა ეს დედამ გაიგო, შვილთან აღარ წავიდა. მას შემდეგ, რაც პეტრემ, მონაზონის ჩოხა ჩაიცვა, საერთოდ აღარ ჰსურდა თავისიანებისათვის ოდესმე წერილი მიეწერა ან მათგან მიეღო. ეს თვითონ მას ჩვენთვის ხშირად უთქვამს (ლოლაშვილი 1988: 87).

აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. იოანე რუფუსის თხზულება ჰაგიოგრაფიული ქანრის ნაწარმოებია და მისთვის არსებითია წმინდანთან დაკავშირებულ მოვლენათა იკონოგრაფიული აღქმა. ჰაგიორგაფისათვის ნაკლებმნიშვნელოვანია ისტორიულ მოვლენათა ზუსტი აღწერილობა, ისევე როგორც ხატმწერისათვის მნიშვნელობა არა აქვს სურათის

რეალისტურ ფერებში გადმოცემას ანუ სხვულთა სიმეტრიებს, მხატვრულ პერსპექტივას და ა.შ. ამიტომ ისტორიკოსს დიდი ყურადღება მართებს გაარჩიოს, სად არის ისტორიული რეალობა, სად ჰაგიოგრაფიული ფიქცია, ხშირად ამის გარკვევა ძალიან რთულია, ხშირად შეუძლებელიც. კ. პორნის თანახმად, პეტრეს ადრეული წლების ასკეტიზმის წარმოჩენა ითანა რუფუსისათვის რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა: პეტრეს ლირსეულ წინაპართა ჩვენებით პეტრეს სულიერი ავტორიტეტის გამყარება და ასკეტური ცხოვრების მაგალითების მოხმობა რომის იმპერიის ფარგლებს გარეთ არსებული ქრისტიანული კულტურიდან, იმ ეკლესიის წიაღიდან, რომელიც კ. პორნის შეხედულებით, შესაძლებელია, ქალკედონური სამყაროს ფარგლებს გარეთაც იყო (რაც არ შეესაბამება ისტორიულ რეალობას, რადგან ქართლის ეკლესიას არასდროს უარუცვია ქალკედონის აღსარება, არ არსებობს ქართლის ეკლესიის მიერ მონოფიზიტობის მიღების დამადასტურებელი რაიმე უმნიშვნელო ცნობაც კი (იხ. ალექსიძე 2010: 124-144; ალექსიძე 2010: 145-158).

რუფუსისათვის პეტრეს ახლობელთაგან ყველა წმინდანი და ღვთისმოსაობის სანიმუშო მაგალითია, რაც, ბუნებრივია, ჰაგიორგაფებისათვის დამახასიათებელი იდეალიზაცია, გადაჭარბებაა, მაგრამ, ვფიქრობთ, პეტრეს ასკეტური ოჯახის მთლიანად ფიქციად გამოცხადება სწორი ნამდვილად არ იქნება. ბუნებრივია, რუფუსი, გარკვეულწილად, აჭარბებს, მაგრამ ის პეტრეს ოჯახის სამარცხვინო ლაქებსაც არ მალავს. აი, მაგალითად:

ხოლო ფარსმანი იყო ოსდუხტიას, მამის მხრიდან მისი ბებიის, მმა, რომელიც რომაელთა მეფე არკადისთან დიდი პატივით იყო მიღებული, ჯარის სარდლის თანამდებობა ჰქონდა და [სამეფო კარზე] პირველი ადგილი ეკავა, მაგრამ ბოლოს, როდესაც არკადის მეუღლე ევდუქსიასთან მრუშობის გამომჟღავნების გამო მან, [რომიდან] გაქცევა და დამალვა მოახერხა, სასწრაფოდ წავიდა თავის ქვეყანაში; იქ იბერებზე უფლობის დროს თავისთან მიიყვანა თეთრი ჰუნები – იბერთა მეზობლები, და ვინც კი რომაელთა ქვეშვერდომნი იყვნენ, მათთვის მრავალი უბერდურების მიზეზი გახდა (ლოლაშვილი 1988: 81).

ჩვენ პეტრე იბერის ცხოვრება და მოღვაწეობა ამ კუთხით, ასკეტიზმის თვალსაზრისით, გვაინტერესებს. სწორედ ოჯახური აღზრდაა ის ძაფი, რითაც პეტრეს მოღვაწობის ქართული ბერმონაზვნობის კონტექსტში განხილვა შეგვიძლია. პეტრემ ქართულ ნიადაგზე შეითვისა ქრისტიანული ბერმონაზვნობის

მოდვაწეობითი იდეალები და კონსტანტინეპოლში, პალესტინასა და ეგვიპტეში მოსაგრეობისას სრულყო ეს სათხოებითი ცხოვრება.

კიდევ ერთი მიზეზი, თუ რისთვის გვიყვება რუფუსი პეტრეს ოჯახის ვინაობას, ჩამომავლობას და ამ ოჯახის წევრთა სათხო ცხოვრებას: პაგიოგრაფები ხომ ხშირად გაურბიან წმინდანის მიწიერ ვინაობაზე საუბარს. მათვის ძვირფასი მხოლოდ „ქრისტიანის“ წოდებაა და არა ადამიანის სოციალური თუ ეთნიკური წარმომავლობა, მაგრამ ამგვარი, პაგიოგრაფის კვალობაზე, ვრცელი აღწერილობის მიზეზებს თავად იოანე გვიმხელს:

ხოლო ნურავინ გამოიჩენს სულმოკლეობას და ამ სახელების ჩამოთვლას ნუ მიიჩნევს ზედმეტად, რადგანაც ეს ჩვენ უსაფუძვლოდ არ ვახსენეთ, არამედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტად მოსიყვარულე და ღვთსიმოსავმა მამამ ყველა ეს [ხსენებული] სახელი გააერთიანა წლის ერთ დღეს... სახელდობრ, დიდმარხების ოთხშაბათს, და მათ მატარებელ პირთა ხსენება დააწესა. ამით თავისიანებს მიუზღო სამაგიერო ჯილდო იმ მშვიდობისათვის, რომელიც მათ მას მიანიჭეს, და რაც თვითონ აირჩია ამ ქვეყნის უარყოფის მიზნით (ლოლაშვილი 1988: 82)

ანუ მონაზვნად აღკვეცილ ნაბარნუგს არ დაუკარგავს სიყვარული და მადლიერება საკუთარი ოჯახის წევრების იმართ, მაგრამ მათ ხილვას ერიდებოდა, სულიერი მყუდროების დარღვევის შიშით, რაც ძალიან გავრცელებული მოტივია ქრისტიანულ პაგიოგრაფიასა და ასკეტურ მწერლობაში.

რუფუსის თანახმად, დაახ. 429 წელს ბოზმარმა იმპერატორ თეოდოსი II-ის მრავალგზისი დაუინებული მოთხოვნის შემდეგ ნაბარნუგი კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარზე გაგზავნა, როგორც პოლიტიკური მძევალი, „რადგანაც ის ქრისტიან რომაელებთან მეგობრობას უფრო დიდად აფასებდა, ვიდრე უდვით სპარსთა [დახმარებასა და] მხარდაჭერას“ და ამიტომაც ნაბარნუგი იმპერიის დედაქალაქში წარგზავნა, სადაც იოანე რუფუსის გადმოცემით ნაბარნუგი საიმპერატორო კარზე შეიღივით მიიღეს და სიყვარულით აღზარდეს (ლოლაშვილი 1988: 91).

ნაბარნუგი ქართლშიც ასკეტურად ცხოვრობდა, კონსტანტინეპოლში კიდევ უფრო მოუმატა მოდვაწეობას. შიგნით ტანზე ძაბა ემოსა, ხოლო გარედან ძვირფასი შესამოსელი, საკვებს ძალზე მცირე რაოდენობით იღებდა, მხოლოდ სამ-ოთხ დღეში ერთხელ, ხანდახან კვირაშიც ერთხელ, საწოლის მაგივრად

იატაკზე ეძინა და „ურიგო აღტუინების დასათრგუნავად უყვარდა სხეულის გვემა (საკანონოს დადება)" (ლოლაშვილი 1988: 92).

ნაბარნუგმა ქართლიდან სპარს მოწამეთა ნაწილები წამოიღო, რომლებიც საიმპერატორო კარზე, თავის ოთახში, ზანდუკში ჰქონდა შენახული. ნაბარნუგი იატაკზე ამ ზანდუკის წინ იძინებდა. ახალგაზრდა უფლისწული დვთისმსახურებასაც თვითონ ასრულებდა:

სანთელ-საგმევლით, გალობითა და ლოცვებით. და აი, როცა მათ (ანუ სპარს მოწამეთ – შ. მ.) ასეთ დიდ პატივსა და სიხარულსა ჰგვრიდა, ბევრჯერ აშკარად ჰქონდავდა, თუ ეს ნაწილები... როგორ გალობდნენ, მდვიძარებდნენ და ლოცულობდნენ (ლოლაშვილი 1988: 92; პორნი 2006: 66-67).

ქართლის სამეფო ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრე თავისი ასკეტური ცხოვრებით ყველას აკვირვებდა. იოანეს რუფუსის გადმოცემით, უკვე ამ ასაკში, ნაბარნუგის რწმენა და ლოცვა სასწაულებს აღასრულებდა (მაგ. კანდელთა უზეთოდ დანთება, მაცხოვრის ხილვა ნაზირეველის შესამოსელში და ა. შ.). რუფუსის თქმით, მის მიერ მოთხოვნილი, „მეტისმეტად მცირეოდენია” იმ მრავალრიცხოვან სასწაულთაგან, რაც ახალგაზრდა ქართველი უფლისწულის სახელს დაუკავშირდა კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარზე (ლოლაშვილი 1988: 94). პეტრეს ქართული ცხოვრების ცნობით პეტრეს „ემოსა ფლასი ფიცხელი ქუეშე კერძო სამეუფოსა შესამოსელთა და იმარხავნ იგი ორ-ორით და სამ-სამით და ოდესმე კპრიაკითი-კპრიაკედ, ვითარცა დანიელ და სამნი ყრმანი. და ამით დასცემდა იგი ჭორცთა სიმჯურვალესა და ცეცხლსა მას სულისასა განაძლიერებდა” (აბულაძე 1967: 219).

როდესაც ნაბარნუგმა ზრდასრულ ასაკს მიაღწია, მას წმიდა მიწაზე წასვლის დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა. რუფუსი ნაბარნუგის სურვილსა და ამ სურვილის განხორციელებას ბიბლიური ალუზიებით გადატვირთული ფრაზებით აღწერს, რაღგან მას თვით ის მიუძლოდა წმიდა მიწისკენ, ვინც ებრაელი ერი ეგვიპტური მონობისაგან იხსნა (ლოლაშვილი 1988: 94-95). მართალია ა. კოფსკის (A. Kofsky) აზრით, უცნობია, აპირებდა თუ არა საბოლოოდ წმიდა მიწაზე დარჩენას ნაბარნუგი (კოფსკი 1997: 211), მაგრამ რუფუსისეული თხოობიდან აშკარაა, რომ წმიდა მიწისკენ გამგზავრებისას ნაბარნუგს, სწორედ, მონაზვნობის (ანუ იქ დარჩენის) სურვილი ამოძრავებდა. ეს განზრახვა მას კონსტანტენეოპლში ყოფნისას გაუჩნდა და ამ საღვთო ზრახვის წარმოქნაზე განსაკუთრებული გავლენა 437 წელს კონსტანტინეპოლში

დასავლეთ რომის იმპერატორ ვალენტინიანე III-სა და თეოდოსი II-ის ქალიშვილ ლიკინია ევდოქსიას დაწინდვისათვის ჩასულმა სახელგანთქმულმა მელანია უმცროსმა (483-439) (ასევე სახელგანთქმული მოღვაწის მელანია უფროსის (325-417) შვილიშვილმა) მოახდინა (პორნი 2006: 67). ნაბარნუგი დედაქალაქიდან გაქცევას მრავალგზის შეეცადა, ბუნებრივია ამ განზრახვის განხორციელებას, უპირველეს ყოვლისა, წინ თავად იმპერატორი ელობებოდა, რომელსაც ქართლის სამეფოსთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდა, ასევე, ის მონები და შუბოსნები, რომლებიც მის მცველებად იყვნენ დადგენილნი და რომლებიც ნაბარნუგს, გაქცევის პერამანენტული მცდელობებით, ისე ჰყავდა გამწარებული, რომ ახალგაზრდა უფლისწულის მოკვლაც კი სცადეს, მაგრამ რუფუსის თანახმად, ახალგაზრდა მოღვაწე ზეციურმა მფარველობამ გადარჩინა. ნაბარნუგის სურვილი იმპერატორმაც გაიგო, „ამიტომაც თეოდოსიმ უფლისწული თავისთან იხმო, დატუქსა და მასზე მკაცრი მეთვალყურეობა დაადგინა, რათა ფარულად არ გაქცეულიყო” (ლოლაშვილი 1988: 95), მაგრამ ნაბარნუგი მაინც გაიქცა.

უფლისწულმა საიმპერატორო კარზე მითრიდატე გაიცნო, წარმოშობით ლაზიკიდან (ბუნებრივია, მათ დაახლოებაზე ზეგავლენას მათი წარმოშობაც იქონიებდა), რომელსაც ასევე სურდა წმიდა მიწაზე წასვლა და იქ ასკეტური ცხოვრება. ნაბარნუგი და მითრიდატე გაქცევაზე შეთანხმდნენ (პორნი 2006: 68) და ერთ ბნელ დამეს სპარს მოწამეთა წმ. ნაწილებთან ერთად იმპერის დედაქალაქი დატოვეს. რუფუსის თქმით, მოგვიანებით, უკვე მოხუცი პეტრე იხსენებდა, თუ როგორ მიუძღვდათ მას და მითრიდატეს დრუბელი და ცეცხლოვანი სვეტი უკუნ დამეში, „როგორც გზის მაჩვენებელნი” (ლოლაშვილი 1988: 96). მათი გაქცევა დაახ. 437 წელს უნდა მომხდარიყო (პორნი 2006: 68). ახალგაზრდა ნაბარნუგმა და მითრიდატემ მთელი მცირე აზია ფეხით გაიარეს და ეს მოგზაურობა, რუფუსის აღწერით, სავსე იყო სასწაულებითა და მოულოდნელობებით. ხალხი ისე, რომ, ნაბარნუგი და მითრიდატე არავის არაფერს ეუბნებოდნენ, სოფლებისა და ქალაქების შესასვლელებთან რტოებითა და სანთლებით ეგებებოდა მათ და წმიდა მოწამეთა ნაწილებს. ერთ-ერთ დიდმოხელეს ისინი გაქცეული მონები ეგონა და ახალგაზრდები დაატყვევა, თუმცა სასწაულებრივი ჩარევის შემდეგ, ორივე გაათავისუფლა და მათ მიწის სპეციალურად გამოყოფილ ნაკვეთზე მონასტრის აშენება შესთავაზა, თუმცა

ნაბარნუგი და მითრიდატე არ დათანხმდენ. მათი მიზანი ხომ წმიდა ქალაქი, იერუსალიმი, იყო (ლოლაშვილი 1988: 99).

და თითქოს მცირე გზა ყოფილიყოს, ისე სიხარულსა და ნეტარებაში მიემგზავრდებოდნენ ახალი რომიდან იერუსალიმამდე, მაშინ როდესაც ყოველ ჟამს ერთ უცხოელს მეორეში ურევდნენ და უცნობებს – უცნობებში, და ეს ხდებოდა [დვთაებრივი] სიყვარულის შედეგად, რომელიც მათ გულებში ღვიოდა და ხეტიალით დაუძლურებულთ მარადეამს ამხნევებდა იღუმალ (ლოლაშვილი 1988: 100).

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, ალბათ, 437 წელს, ნაბარნუგი და მითრიდატე იერისალიმში ჩავიდნენ და ზეთისხილის მთაზე მელანია უმცროსის მიერ დაარსებულ მამათა მონასტერში გაჩერდნენ. მონასტრის წინამძღვარი სახელგანთქმული ასკეტი (და მომავალში მონოფიზიტობის მოშურნე დამცველი) გერონტი იყო (პორნი 2006: 71). ახალგაზრდები სულიერად უკვე სრულებით იყვნენ მომზადებული სამონაზენო აღთქმისა და მოღვაწეობისათვის, ამიტომ გერონტიმ ნაბარნუგი და მითრიდატე მონაზვნებად აღკვეცა. აღკვეცისას მათ ახალი სახელები დაერქვათ, ნაბარნუგს – პეტრე, ხოლო მითრიდატეს – იოანე (ლოლაშვილი 1988: 105).

ახალგაზრდა მონაზვნები დიდი მონდომებით შეუდგენენ „ანგელოზებრივ ცხოვრებას“. პეტრემ გააგრძელა და სრულყო თავისი ასკეტური ცხოვრების წესი (მარხვა, ლოცვა, მიწაზე წოლა, მღვიძარება, ხშირად შიმშილობდა) და ამ მკაცრი მოღვაწეობით სხეული დაადნო და დააუძლურა „ისე, რომ თუ წინათ ჯანმრთელი იყო და ტანადობით გამოირჩეოდა, ახლა უკვე ბევრი გვემულობისა და გაუთავებელი ასკეტობის გამო მოიღუნდა და მოიხარა“ (ლოლაშვილი 1988: 107).

პეტრეს აღკვეციდან ერთი წლის შემდეგ, 438 წელს, დედოფალმა ევდოკიამ სახელგანთქმული კირილე ალექსანდრიელი პალესტინაში წმ. სტეფანე პირველმოწამის ეკლესიის საკურთხებლად მოიწვია. კირილე პალესტინაში ეგვიპტელ მღვდელმთავართა და მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით ჩამოვიდა და წმ. სტეფანე პირველმოწამის ტაძარი დიდი ზეიმით აკურთხა. კურთხევის მეორე რიტუალი კირილე ალექსანდრიელმა, მელანია უმცროსის, თხოვნით ზეთისხილის მთაზე აღასრულა, სადაც მელანიას მიერ აგებულ სამარტვილეში წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა და პეტრეს მიერ ქართლიდან ჩამობრძანებულ სპარს მოწამეთა ნაწილები მდებარეობდა (პორნი 2006: 76;

ლოლაშვილი 1988: 106). სავარდაუდოდ, ამ მსახურებისას პეტრეს პირადად უნდა გაეცნო ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთ უკულაზე დიდი ღვთისმეტყველი (საინტერესოა რომ პეტრე იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს ორ უმთავრეს, ერთმანეთთან დაპირისპირებულ მოღვაწეს – ნებტორსა და კირილეს, პირადად იცნობდა).

პეტრემ უკვე თავისი მონაზვნური მოღვაწეობის დასაწყისშივე გადაწყვიტა მონასტრის დაარსება. ამ მონასტრის დაარსება სწორედ ის მოგლენაა პეტრეს ცხოვრებიდან, რომელიც პეტრეს მოღვაწეობიდან ჩვენი კვლევის ყურადღების ცენტრში უქვევა. ეს მონასტერი, როგორც ამას რუფუსი გადმოგვცემს, მომავალში „იბერთა მონასტრის“ სახელით გახდა ცნობილი (ლოლაშვილი 1988: 116). პეტრემ მონასტრის დაფუძნება იმდროინდელი ცნობილი ასკეტის – პასარიონის - მოღვაწეობის მაგალითის მიხედვით გადაწყვიტა:

სახელდობრ, როდესაც მან [ნეტარმა პეტრემ] დაინახა, რომ ნეტარმა პასარიონმა გლახაკთა და უცხოთა დიდმა მეგობარმა, თავის ადრინდელ, ღვთისაგან ბოძებულ სათხოებათა და კეთილ საქმეთა გარდა, ქალაქის კარიბჭის გარეთ ააშენა გლახაკთა თავშესაფარი სახლი იმათ მოსავლელად და სანუგეშებლად (ლოლაშვილი 1988: 107-108).

პეტრემ თვითონაც განიზრახა მოღვაწეთა შესაკრებელის აგება, რომელსაც ასკეტურის გარდა, ძალზე აქტიური საქველმოქმედო ფუნქცია ექნებოდა. ამის შემდეგ რუფუსი მოგვითხრობს, თუ როგორ შეეცადა ეშმაკი პეტრეს ამ კეთილი წამოწყების ჩაშლას და როგორ გაამხნევა პეტრე მაცხოვრის გამოცხადებამ, რის შედეგადაც სიონის მთაზე, დავითის კოშკის მახლობლად, ქართველთა მონასტერი დაარსდა.

გვიქრობთ შემთხვევითი არ არის, რომ წმ. მიწაზე დაარსებული პირველი ქართული მონასტერი ბასილი დიდისა და პახომი დიდის ტიპიკონების მიხედვით მოეწყო (პორნი 2006: 198-199). ჩვენ ამ ტიპიკონებისა და მათ მიხედვით დაფუძნებულ მონასტერთა შესახებ ზემოთ უკვე გვთვისა საუბარი. ჩვენ იმაზეც ვისაუბრეთ, თუ რა სახის პარადოქსი ახასიათებდათ ამგვარ მონასტრებს: ისინი ასკეტურად მცხოვრებ ქრისტიანთა ერთობებს წარმოდგენდნენ, აქ ქრისტიანები განდეგილური და დაყუდებული ცხოვრებისათვის მოდიოდნენ, შორდებოდნენ რა წუთისოფელსა და ამქვეყნიურობას, საერო ცხოვრებისათვის კვდებოდნენ, მაგრამ ამავე დროს, საკვირველია, მაგრამ პახომისეულ და ბასილისეულ მონასტრებს უაღრესად აქტიური სოციალური შინაარსი და მიზანდასახულება

გამოარჩევდათ. ეს მონასტრები (განდეგილთა თემები!), ფილანთროპიული თვალსაზრისით, ალბათ ყველაზე აქტიურ და ნაყოფიერ ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ, არათუ მხოლოდ ბერძნულ-რომაული ანტიკურობის, არამედ მთელი ძველი სამყაროს ისტორიაში (მოდერნულ ეპოქაში საავადმყოფოებისა და სხვადასხვა საქვემოქმედო ფონდებისა და ორგანიზაციების დაარსებამდე).

ჩვენთვის ცნობილი ერთ-ერთი პირველი ქართული მონასტერი (ოპიზა), როგორც ზემოთ გამოვარკვიეთ, სწორედ ასეთი ასკეტური თემი იყო. აქ მხოლოდ ვარაუდის სახით გამოვთქვამთ, რომ შესაძლებელია პეტრე უკვე ქართლში ყოფნისას გაცნობოდა ბასილისეული წესის ქართულ მონასტრებს (ოპიზის გარდა ალბათ სხვაგანაც იქნებოდა ასეთი სამონასტრო ერთობები). ამიტომ ნამდვილად არაა შემთხვევითი, რომ პეტრე სწორედ ბასილი დიდის ტიპიკონს ირჩევს. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ბასილი დიდის ტიპიკონი, ერთმნიშვნელოვნად, არა მხოლოდ ქართულ, არამედ ზოგადად, ქრისტიანულ სამყაროში ძალიან პოპულარული იყო, ასე რომ პეტრეს არჩევანი, პირველ ყოვლისა, ამ საყოველთაო პოპულარობას უნდა განესაზღვრა, და შესაძლოა მის გადაწყვეტილებაზე ქართულმა გამოცდილებამაც იქონია ზეგავლენა.

მაგრამ უპირველესი მიზანი, თუ რატომ შეარჩია პეტრემ პალესტინის პირველი ქართული მონასტრისათვის პახომი დიდისა და ბასილი დიდის ტიპიკონები, არის პეტრეს საქველმოქმედო მიზნები. ცხადია პეტრესთვის (ისევე როგორც პახომისა და ბასილისათვის, ან პეტრეს უშუალო მაგალითის, პასარიონისათვის) მონასტერს ნამდვილად არ ჰქონდა მხოლოდ ლოცვისა და მეტანიების კეთების დანიშნულება, არამედ მონასტერი, საქვემოქმედო ორგანიზაცია იყო, სადაც გლახაკებს, სნეულებსა და არაფრისმოქნეთ აპურებდნენ, არწყულებდნენ და მკურნალობდნენ. გლახაკათმოწყალება რომ პეტრესა და იოანეს უპირველესი მიზანი იყო, იმითაც ჩანს, რომ ახალგაზრდა მონაზვნები იმდენად ჩართნენ გლახაკომსახურებაში, რომ მათი სამონაზვნო აღთქმა, შედარებით, ჩრდილქვეშ მოექცა.

პეტრეს მონასტერი დაახლოებით 430-იანი წლების მიწურულს (ალბათ 438-440 წლ.) უნდა დაეკარსებინა. დაახლოებით ასი წლის შემდეგ უკვე დანგრეული „იბერთა მონასტერი” იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა განაახლა (პორნი 2006: 201-202). ქართველთა მონასტერში ძმათა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა და მონასტრის დაარსებიდან დაახ. ექვსი წლის შემდეგ, 444 წელს, როდესაც პეტრე

იერუსალიმიდან დაზაში, მაიუმაში წავიდა, მონასტერს უკვე მრავალრიცხოვანი ძმობა ჰყავდა.

დაახ. 442 წელს პალესტინაში (ამჯერად უკვე საბოლოოდ) დედოფალი ევდოკია ჩამოვიდა და პეტრეს ხილვა მოისურვა, რითაც ამ უკანასკნელის მყუდროებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. თავიდან პეტრემ შეხვედრაზე უარი უთხრა, თუმცა ევდოკია პეტრესთან თავად მივიდა და ახალგაზრდა მოღვაწეც იძულებული გახდა დედოფალს შეხვედროდა (ლოლაშვილი 1988: 119), მაგრამ იმის შიშით, რომ დედოფალი თავს არ დაანებებდა და ისევ მოსთხოვდა შეხვედრებს, 444 წ. პეტრემ იოანე ლაზარე ერთად, სახელგანთქმული ასკეტის, ზენონის, რჩევით, იერუსალიმი დატოვა და დაზაში წავიდა. აქ იგი დაზასა და მაიუმს შორის მდებარე მონასტერში დამკვიდრდა (ლოლაშვილი 1988: 120).

მაგრამ აქ პეტრეს ქართული ცხოვრება საინტერესო ცნობას გვაწვდის პეტრეს, იოანესა და მისი თანამოღვაწეების მიერ იორდანეს უდაბნოში მონასტრის დაარსების შესახებ. მას შემდეგ, რაც მათ იერუსალიმის, დავითის კოშკთან მდებარე, ქართველთა მონასტრეში დვთსიმშობლის სახელზე ეკლესია ააგეს (აბულაძე 1967: 229), მათ უდაბნოს მიაშურეს:

ამისა შემდგომად გამოვიდეს მიერ წმიდად პეტრე, იოვანე, ნეტარნი მამანი,  
და წარვიდეს იორდანისა პირსა ადგილსა უდაბნოსა. და იშენეს მონასტერი.  
და მრავალნი სასწაულნი იქმნეს მონასტერსა მას ღმრთისა მადლითა..  
(აბულაძე 1967: 231).

ცნობა პეტრეს მიერ იორდანეს პირას მონასტრის დაარსების შესახებ რუფუსისეულ თხრობაში არ გვხდება. უცნობია, რომელი მონასტერი უნდა იგულისმხებოდეს ამ შემთხვევაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ ავტორი გვაწვდის ცნობას იუდას უდაბნოში აღმოჩენილი რომელიმე ქართული მონასტრის შესახებ (ბირ ელ-კატის ან უმ-ლეისუნის შესახებ (იხ. ქვემო)), თუმცა რაიმე პირდაპირი მინიშნების გარეშე ამ მოსაზრებას მხოლოდ ვარაუდის სახე ქნება.

პეტრეს მემყუდროვე ცხოვრებას სხვა კუთხითაც ექმნებოდა საფრთხე. იერუსალიმის მთავარეპისკოპოსი იუბენალი პეტრეს მდვდლად ხელთდასხმას ცდილობდა, რასაც ეს უკანასკნელი ცეცხლივით გაურბოდა. დაზაში გაქცეული პეტრეს მდვდლად კურთხევას ახლა აქაური ეპისკოპოსი, იუბენალის მმისწული, პავლე შეეცადა. პეტრემ მდვდელმთავარს პირობა დაადებინა, რომ მდვდლობის ტვირთს არ დააკისრებდა, თუმცა პავლემ პირობა არ შეასრულა და, დაახ. 446

წ. წმ. ვიქტორის ხელნების დღეს, პეტრესა და იოანეს ძალდატანებითი ხელთდასხმა აღასრულდა. ხელთდასხმის მიუხედავად პეტრე მღვდელმსახურებას ჯიუტად არ ასრულებდა მთელი შვიდი წლის (446-452 წწ.) განმავლობაში (ლოლაშვილი 1988: 122; პორნი 2006: 90). ღვთისმსახურების აღსრულება მან მხოლოდ ქალკედონის კრების შემდეგ დაიწყო, როდესაც მისი მღვდელმთავრად ხელთდასხმა აღესრულდა.

451 წელს კონსტანტინეპოლის გარეუბანში, ქალკედონში გამართულმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ (რომელშიც მონაწილეობას ექვსასზე მეტი ეპისკოპოსი იღებდა) მიიღო პაპ ლეონის ტომოსი და დაადგინა მაცხოვრის ერთი ჰიპოსტასისა და ორი ბუნების აღსარება. თავდაპირველად ქალკედონის კრება არ აპირებდა რწმენის ახალი ფორმულის შემუშავებას, თუმცა იმპერატორ მარკიანეს მხრიდან ზეწოლის შედეგად, კრების მამებმა ჩამოაყალიბეს სწავლება ქრისტეში ერთი ჰიპოსტასისა და ორი ბუნების შესახებ (გრილმაიერი 1975: 543). „ორი ბუნება” კირილე ალექსანდრიელის ღვთისმეტყველების მიმდევართათვის სრულებით თავზარდამცემად ჟღერდა. „ორი ბუნება” მათთვის ორ ქრისტეს ანუ ნესტორიანობას ნიშნავდა, რამეთუ მათი აზრით, არ არის ბუნება ჰიპოსტასის გარეშე კ. ი. გამოდიოდა, რომ ორი ქრისტე არსებობდა, ერთი შეუქმნელი – ლოგოსი და მეორე კაცი, რომელსაც ეს უქმნელი ლოგოსი შეუერთდა. კირილესეული ღვთისმეტყველებისა და ტერმინოლოგიის მომხრეთათვის ქალკედონის კრება იმთავითვე იქცა „ნესტორიანელობად”, „ჰურიაებად” და ა. შ. ქრისტიანთა ის ნაწილი, რომელიც კირილეს სიტყვებს „განხორციელებული ღვთის სიტყვის ერთი ბუნება” და ალექსანდრიის ტახტზე კირილეს მემკვიდრეს, დიოსკორეს ემხრობოდა, თავიდანვე მძაფრი პროტესტით შეხვდნენ ქალკედონის კრებაზე პაპ ლეონ დიდის ტომოსის (რომელიც უკვე ცნობილი იყო და ნესტორიანულად მიიჩნევდნენ) მიღებასა და დიოსკორეს გასამართლებას. მდგომარეობას ის ართულებდა, რომ ქალკედონის კრების აღსარება მთელი იმპერიისათვის სავალდებულოდ გამოცხადდა (ფრენდი 2008: 143). ასე დაიწყო ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედია, რომლის აქტიურ მონაწილედაც იქცა პეტრე იბერი. საბოლოო ჯამში, როგორც აღოიზ გრილმაიერი (Aloys Grillmeier) შენიშვნავს, ქალკედონის კრება სრულად შეიწყნარა ლათინურმა დასავლეთმა, კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ, ანტიოქიის სამწყსოს ნახევარმა, იერუსალიმის სამღვდელოებისა და მრევლის

უმრავლესობაში, ხოლო ალექსანდრიის სამწყსოს მხოლოდ მცირედმა ნაწილმა (გრილმაიერი 1995: 1), რაშიც ასევე დიდი დამსახურებმა მიუძღვდა პეტრე იბერს.

იერუსალიმის მთავარეპისკოპოსმა იუბენალმა პალესტინაში დიოსკორეს მომხრეებს პირობა მისცა, რომ ქალკედონის აღსარებას ხელს არ მოაწერდა, მაგრამ კონსტანტინეპოლიში ჩასულმა კრების დადგენილებებს ხელი მაინც მოაწერა. მისმა დაბრუნებამ პალესტინაში დიოსკორეს მომხრეებს შორის ნამდვილი ისტერია გამოიწვია. იუბენალს გზა გადაუღობეს და ქალაქში არ შეუშვეს, მდვდელმთავარი „იუდად“ გამოაცხადეს (ფრენდი 2008: 149). იუბენალმა კონსტანტინეპოლიში გაქცევით უშველა თავს. იერუსალიმში ძალაუფლება ხელთ ანტიქალკედონელებმა ჩაიგდეს, რომლებმაც იერუსალიმის მდვდელმთავრად ცნობილი ანტიქალკედონელი მოღვაწე თეოდოსი გამოარჩიეს და მისი ხელთდასხმაც აღასრულებს, ხოლო თეოდოსიმ თავის მხრივ, პეტრეს წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ უკანასკნელს დაასხა ხელი 452 წლის 7 აგვისტოს (ფრენდი 2008: 149).

თუმცა იმპერატორ მარკიანეს (450-457) ძალისხმევით პალესტინაში წესრიგი მალევე აღდგა, პატრიარქი იუბენალი იერუსალიმში დაბრუნდა და იმპერატორის განკარგულებას თვით თეოდოსი იერუსალიმელიც დაემორჩილა, მშვიდობა და კომპრომოსები, ამ შემთხვევაში, მაინც სანმოკლე აღმოჩნდა. ცენტრალურმა ხელისუფლებმა ანტიქალკედონელთა წინააღმდეგ აქტიური რეპრესიები წამოიწყო და ის მდვდელმთავრები, რომლებიც ქალკედონის აღიარებაზე უარს ამბობდნენ, გადაასახლა. ხელი მხოლოდ პეტრეს ვერ ახლეს, რადგან ამ უკანასკნელს მისი აღმზრდელი ევდოკია მფარველობდა, თუმცა მდგომარეობა ამ კუთხითაც მალევე შეიცვალა. დედოფალი თავდაპირველად მხარს მონფიზიტობას უჭერდა, მაგრამ 455 წელს ვანდალთა მეფე გენზერიხმა (გაიზერიხი/გეიზერიხი) რომი აიღო და ევდოკიას ქალიშვილი (დასავლეთ რომის იმპერატორ ვალენტინიანე III-ის მეუღლე) ტყვედ ჩაიგდო. ევდოკია იძულებული გახდა საიმპერატორო კარისთვის მიემართა (სადაც რეალური ძალაუფლება მის ძმის ცოლს, პულქერიას ეპყრა). პულქერიამ და მარკიანემ დახმარების სანაცვლოდ ევდოკიას იუბენალთან შერიგება და ქალკედონის კრების აღიარება მოსთხოვეს, მითუმეტეს, ამასვე სთხოვდნენ ისეთი დიდი სულიერი ავტორიტეტები, როგორებიც იყვნენ სვიმეონ მესვეტე და უქვთიმე დიდი. ევდოკიამ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვეღარ გაუძლო და ქალკედონის კრება აღიარა. პეტრე იბერიელი პალესტინაში გავლენიანი მოკავშირის გარეშე დარჩა, ამიტომ

ეგვიპტეს მიაშურა (ფრენდი 2008: 153-154), სადაც მონფიზიტური მოძრაობა დიდ იმედებს იძლეოდა (და მომავალმა გაამართლა კიდევაც ეს იმედები).

ყველა ჩვენ ხელთ არსებული წყაროს თანახმად, პეტრე ანტიქალკედონური მოძრაობის დასაწყისშივე იქცა მონფიზიტური მოძღვრების დაუცხრომელ მქადაგებელად. ეგვიპტეში ჩასული, ის დაუდალავად ეხმარებოდა აქაურ, საკმაოდ მრავალრიცხოვან ანტიქალკედონურ თემს გავლენისა და ძალაუფლების განმტკიცებაში. როგორც ქრისტოფერ ჰაასი (Christopher Haas) აღნიშნავს, „უკვე დიოსკორეს ალექსანდრიის საპატრიარქო ტახტიდან დამხობისთანავე (451 წელი, ის მცირე აზიის ქალაქ დანგრაში გადასახლება) ეგვიპტეში ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებული ქალკედონური და მონფიზიტური ბანაკები აღმოცენდა (ჰაასი 1993: 299). ალექსანდრიის ტახტზე დიოსკორეს შემცვლელი პროტერიუსი (451-457) ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდა (მონფიზიტი მწერლები გადაჭარბებულად შავ ფერებში ხატავენ მის მოღვაწეობას (მაგ. იგივე იოანე რუფუსი (ლოლაშვილი 1988: 133)), რის გამოც დიოსკორეს დამხობის შემდგომ პერიოდში ანტიქალკედონურების ქალაქში სუსტი პოზიციები პქონდათ, ამიტომ პეტრეც ოქსირინქუსში იმალებოდა (ლოლაშვილი 1988: 133). პროტერიუსი თავდაპირველად მდგომარეობის დამშვიდებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ 454 წელს დანგრაში დიოსკორეს გარდაცვალების ცნობამ ანტიქალკედონურ ბანაკში კიდევ უფრო დიდი ზიზდი და აგრესია გამოიწვია, ამიტომ მარკიანემ მონფიზიტთა წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო (ფრენდი 2008: 154). პეტრეც ცეცხლზე ნავთს ასხამდა და ყველანაირად ცდილობდა პროტერიუსის ძალაუფლების მორყევას. მან ოქსირინქუსიდან მალევე მიაშურა ალექსანდრიას, რათა იქ დარჩენილი ანტიქალკედონური მრევლი ენუგეშებინა. როდესაც 457 წელს ალექსანდრიაში ქალკედონელ იმპერატორ „მარკიანეს... სისაძაგლეთა მოთავის, დამწყებისა და დამცველის სიკვდილის ცნობამ მიაღწია”, მონფიზიტური ბანაკი უცებ გამოცოცხლდა (ლოლაშვილი 1988: 134). პეტრე უკვე ქალაქში იყო. მან ქმედითი მონაწილეობა მიიღო ალექსანდრიის მონფიზიტი პატრიარქის გამორჩევის საქმეში. ანტიქალკედონურმა ბანაკმა პატრიარქად ეპისკოპოსი ტიმოთე ელური ანუ ტიმოთე კვერნი (კატა) გამოარჩია (ლოლაშვილი 1988: 134; ჰაასი 1993: 299-300; ფრენდი 2008: 155). ტიმოთეს ხელთდასხმიდან მალევე ქალკედონელი პატრიარქი პროტერიუსი ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მოკლა, შემდეგ მოკლული პატრიარქის ცხედარი მთელ ქალაქში ათრიეს, ნაწილებად დაგლიჯეს, ბოლოს

კი აგორაზე კოცონზე დაწვეს (პაასი 1993: 299). პროტერიუსის მკაფლელობა ისეთი საზარელი ფორმით მოხდა, რომ თვით იოანე რუფუსიც კი ერიდება დეტალებზე საუბარს:

რაც ამ ამბავს (ანუ პროტერიუსის მახვილით განგმირვას – შ. მ.) მოჰყვა, გამოვტოვებ, რადგანაც ეს აგვაცდენს იმას, რომ დვთისმოშიშებმა გაიგონ რაიმე და სხვებს უამბონ ან აღწერონ, რამეთუ რაც მას გარდახდა, დაიმსახურა კიდეც, მაგრამ მსგავსი რამ არც მოსასმენად გვეკადრება და არც მოსაყოლად (ლოლაშვილი 1988: 137).

ტიმოთე ელური კათედრას 459 წლამდე იკავებდა.

459 წელს 165-ე ეპისტოლეში პაპმა ლეონმა კიდევ ერთხელ განმარტა ქალკედონის კრების აღსარების არსი. ტიმოთე მზად იყო პაპს ევტიქიანელობის განსჯაში დათანხმებოდა, მაგრამ ჯიუტად ითხოვდა პაპის ადრინელი ტომოსისა და ქალკედონის კრების დაგმობას. საპასუხოდ ტიმოთე იმპერატორ ლეონის (457-474) ბრძანებით ყირიმში (ხერსონესში) გადაასახლეს. ხელისუფლებამ გამდვინვარებულ ანტიქალკედონურ ფანატიზმს ვერაფერი მოუხერხა, ტიმოთეს მომხრები „სამდვდელო პირები, ბერები და ერისკაცნი ყოველ დღე აშკარად სწყევლიდნენ ქლაკედონის უღვთო კრებას“ (ლოლაშვილი 1988: 138). ტიმოთე ელურის მაგივრად ალექსანდრიის ტახტზე 460 წელს, ხელისუფლების დახმარებით, ტიმოთე სალოფაკიალოსი ავიდა (პაასი 1993: 300; ფრენდი 2008: 162-163). მთავრობა ანტიქალკედონური ბანაკის „მორჯულებას“ რეპრესიებით შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

როდესაც პეტრემ, იმ დვთისმსახურმა და დიდი მოსეს მსგავსად თავგამოდებულმა, ნახა, რომ მორწმუნე (ანუ მონოფიზიზ – შ. მ.) მმებს სჩაგრავდნენ, რადგანაც ისინი სიკვდილის სახლში დარჩნენ და მათ წაართვეს ის, რაც შეეძლოთ აეშენებინათ და დაეცვათ, და ემუქრებოდათ საფრთხე, რომ რწმენის ჭეშმარიტებაში მერყევნი გახდებოდნენ, გამოიჩინა დვთაებრივი გულმოდგინება იქამდე, რომ სიკვდილის გარდუვალობასაც არ შეუშინდა... უარყო თავისი საყვარელი სიმშვიდე, როგორც უდრო-უდროო, და წავიდა ალექსანდრიელთა ქალაქში და მის გარშემო მდებარე მონასტრებში, ეგვიპტის სხვა მრავალ ქალაქსა და სოფელში. იგი ფარულად მიმოდიოდა ყველგან, მართლმადიდებელთა (ანუ ანტიქალკედონელთა – შ. მ.) ბრძოებს ამაღლებდა სულიერად და ამტკიცებდა, როგორც მეორე მოციქული პავლე, იყო ყოველთა შორის ყოველი (ლოლაშვილი 1988: 139).

ტიმოთე სალოფაკიალოსის მცდელობები, რამენაირად მშვიდობა დაცვა და ანტიქალკედონელნი მიემხრო, ამაო გამოდგა. ქალკედონის მოწინააღმდეგენი ტიმოთე ელურის ერთგულებას ინარჩუნებდნენ. ტიმოთე სალოფაკიალოსი დიპლომატი იყო, ფრთხილი და რბილი მოქმედებებით გამოირჩეოდა, პროტესიუსის მხეცური მკვლელობით დამფრთხალი, ქალაქში დაცვის გარეშე არ გამოდიოდა. დიპლომატიის გამო მან ლიტურგიკულ მოსახსენებელში (დიპტიქში) დიოსკორეს სახელი აღადგინა, მართალია ამით ანტიქალკედონელნი ოდნავ მოალბო, სამაგიეროდ პაპ ლეონის რისხვა დაიმსახურა (პაასი 1993: 301).

დაახ. 455-475 წლებში პეტრე ძალიან აქტიურად მისიონერობდა მთელ ეგვიპტეში, მტკიცედ უჭერდა რა მხარს ანტიქალკედონური ბანაკის პოზიციათა განმტკიცებას. პეტრე ქართველის ბიოგრაფიის „ეგვიპტური პერიოდის“ აღწერისას ითანე რუფუსი რამდენიმე სასწაულს გადმოგვცემს (პეტრეს მიერ ახალგაზრდა ქალის განკურნება, დემონური ზმანების განქარვება და ა. შ.), რუფუსის თქმით, პეტრემ ეგვიპტეში

დკონიერივი წეალობითა და მისთვის დამახასიათებელი ძალით რამდენი სასწაული და ხილვა, რამდენი კურნება და ძლევა განახორციელა, მათი ამომწურავად აღწერა ჩვენს უძლურებას არ ძალუძს (ლოლაშვილი 1988: 139-140).

მაგრამ კურნებისა და სასწაულების გარდა, ბიოგრაფიის თანახმად, პეტრემ თავი დოგმატურ წიაღვსლებშიც გამოიჩინა. პროტერიუსის დროს, მონოფიზიტა წინააღმდეგ დაწყებული დევნისას, პეტრემ თავის მოწაფეებთან ერთად თებაიდის მთიან მხარეს მიაშურა და ოქსირინქუსში გაჩერდა. პეტრეს ოქსირინქუსში ყოფნის დროს ეგვიპტეში პროტერიუსის მიერ დაწერილი ეპისტოლე გავრცელდა, რომელშიც ავტორმა „მაცდურად და ფარულად შეურია ქალკედონის კრების უდგომ მოძღვრება და ფრიად ცბიერული ბოროტებითა და თვალთმაქცობით იქადაგა“ (ლოლაშვილი 1988: 131). ადგილობრივმა ეპისკოპოსმა ოქსირინქუსის მოსახლეობას ეს ეპისტოლე წაუკითხა, მრევლმა „თაფლში გარეული შხამი“ (რუფუსის სიტყვები) ვერ შეამჩნია, ამიტომ ქალაქის თავკაცებმა პეტრეს ეპისტოლეს ჰეშმარიტი შინაარსის განმარტება თხოვეს. პეტრე თავიდან უარობდა, რადგან „ხალხის წინაშე გულახდილი სიტყვის წარმოთქმის გამოცდილება არა ჰქონდა“ (ლოლაშვილი 1988: 132), თუმცა ბოლოს იძულებული გახდა, დათანხმებოდა. პეტრე იმ სვეტის კვარცხლბეჭებზე ავიდა, რომელზეც იმპერატორის ქანდაკება იდგა და პროტერიუსის ეპისტოლეს განსაქიქებლად

ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. რუფუსის გადმოცემით, თითქოს პეტრეს თეოდოსი იერუსალიმელი (ვინც პეტრე მღვდელმთავრად აკურთხა) გამოეცხადა და ეპისტოლეს იმ ადგილებზე მიუთითა, რომლებიც „საცდურის“ შემცველი იყო. პეტრემ ხალხი ეპისტოლეს მხილებით დამოძღვრა.

როდესაც მან [პეტრემ] ხალხი ასე დაარწმუნა და განამტკიცა, იგი ყველას მიერ ანგელოზად იქნა წარმოსახული და განდიდებული. ამით მან ისინი გამოიხსნა ცოუნების ბედისაგან (ლოლაშვილი 1988: 132).

აქ ძალიან საინტერესოა ზემოთ დამოწმებულ პასაუის ერთი დეტალი: ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს პეტრეს, ეპისტოლეს გასაკრიტიკებლად და მისი დოგმატური „ცდომილების“ გამოსამყდავნებლად, საკმარისი საღვთისმეტყველო ცოდნა არ გააჩნდა. ამიტომ საჭირო გახდა თეოდოსის გამოცხადება და მის მიერ პეტრესათვის „ცდომილი“ ადგილების საგანგებო მითითება. საინტერესოა რატომ „გაიპარა“ ასეთი საჩოთირო დეტალი რუფუსისეულ თხრობაში? რუფუსის თხზულების მიზანი ხომ პეტრეს ყოველმხრივი შესხმა და განდიდებაა, ვითარცა ქალკედონის კრების მამხილებლისა და ანტიქალკედონური მოძღვრების ერთ-ერთი მეწინამძღვრისა? მაგრამ, აშკარაა, რომ პეტრეს პროტერიუსის ეპისტოლის შინაარსის გასაგებად თეოლოგიური ცოდნა არ ეყო და ამიტომ აუცილებელი გახდა თეოდოსი იერუსალიმელის სასწაულებრივი ჩარევა. საერთოდაც, პეტრე რუფუსს უფრო მეტად დახატული ჰყავს, როგორც ასკეტი, პრაქტიკოსი ქრისტიანი მოღვაწე. მართალია, პეტრე ქალკედონის კრების საწინააღმდეგოდ დაუდალავად ქადაგებს, მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ მას ფუნდამენტური თეოლოგიური და ფილოსოფიური განათლება ჰქონდეს და სერიოზულად იყოს ჩაბმული ანტიქალკედონური ბანაკის დოგმატურ მუშაობაში, როგორც, მაგალითად, მოგვიანებით სევეროს ანტიოქიელი (ყველაზე სახელგანთქმული მონოფიზიტი ლვთისმეტყველი, ანტიოქიის პატრიარქი 512-518 წლებში) იყო დაკავებული საღვთისმეტყველო ნაშრომების წერითა და ანტიქალკედონური მოძღვრების თეორიული დაფუძნებით. პეტრეს ეპისტოლებიც კი არ გვაქვს შემორჩენილი, სადაც დოგმატური ხასიათის საკითხებზე იქნებოდა მსჯელობა. ვფიქრობთ აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო ამცირებს არეოპაგიტული კორპუსის პეტრესეული ავტორობის შესაძლებლობას, რადგან ეს უკანასკნელი (როგორც წყაროებიდან ჩანს) ლვთისმეტყველი (ამ სიტყვის ინტელექტუალური შინაარსით,

ანუ დვთისმეტყველი, რომელიც უშუალოდ რთული დოგმატური საკითხების გადაჭრითა და თეოლოგიური ტრაქტატები წერით იყო დაკავებული) არ ყოფილა.

ასეა თუ ისე, V საუკუნის შუა ხანებში ეგვიპტის ეკლესიაში მიმდინარე მოვლენების განხილვისას, ძნელია გადაჭარბებით იქნას შეფასებული პეტრეს როლი ეგვიპტის მონოფიზიტური ეკლესიის დაფუძნების საქმეში.

აქვე უნდა განვიხილოთ ცნობა პეტრეს მიერ ეგვიპტეში ეკლესიის აგების შესახებ. ეგვიპტეში პეტრე და მისი თანამოღვაწეები

სურვიელ იქმნეს უდაბნოსა მას, და გამოარჩიეს ადგილი და აღაშენეს ეკლესიად და გარემოდს მონასტერი. და მოყვანეს ეპისკოპოსი და აკურთხეს ეკლესიად. და ვითარ აკურთხევდეს, იხილეს, რამეთუ წმიდად მარკოზ მახარებელი სცხებდა ნელსაცხებელსა ეკლესიასა შინა და აკურთხევდა (აბულაძე 1967: 235).

დაახ. 475 წელს, თითქმის ოცწლიანი ეგვიპტური მისიის შემდეგ, პეტრე პალესტინაში დაბრუნდა. წმ. მიწაზე დაბრუნებულმა იგივე საქმიანობა განაგრძო: დადიოდა და ყველგან ქალკედონის საწინააღმდეგო მოძღვრებას ქადაგებდა. პეტრე ასკალონის მახლობლად გაჩერდა და ქადაგება აქედან დაიწყო. მისი ქადაგება მხოლოდ სპეციფიკურად ანტიქალკედონური შინაარსით არ ამოიწურებოდა, ის მონაზვნური ცხოვრების უპირატესობის შესახებაც ასწავლიდა, მის მოძღვრებას მრავალმა მიაპყრო ყური და ბევრი შემონაზვნდა კიდევაც (იოანე რუფუსი ზოგიერთ მათგანს ახსენებს, მაგ. პროკოფი, კირილე და თეოდორე სქოლასტიკოსი (ლოლაშვილი 1988: 145)), პეტრე მოძღვრავდა მათ „უქორწინებლობის ნაზი უდელი კისერზე დაედგათ“ (ლოლაშვილი 1988: 145).

ამ მიზნით იგი ხშირად დაეხეტებოდა ერთი ადგილიდან მეორეში. ხან მიდიოდა დაზას ახლო-მახლო სოფლებში და მაიუმად წოდებულ ქალაქში, ხან კაესარიასა (კესარია – ჰ. მ. ივ. ლოლაშვილი შეცდომით ლათინურ Caesarea-ში ასო „ა“-საც კითხულობს) და იერუსალიმთან მდებარე სოფლებში, არაბეთის ქვექნამდე” (ლოლაშვილი 1988: 145).

474 წელს იმპერატორ ლეონის სიკვდილის შემდეგ ალექსანდრიის საპატრიარქო ტახტზე ტიმოთე ელური დაბრუნდა (პაასი 1993: 302) და პეტრეს ალექსანდრიაში ჩასვლა თხოვა, თუმცა პეტრემ პალესტინაში დარჩენა არჩია, როგორც ჩანს, პეტრე ფიქრობდა (და სინამდვილეში ასეც იყო), რომ ქალკედონის წინააღმდეგ ბრძოლა პალესტინაში უფრო იყო საჭირო. ამავე დროს ანტიოქიაში 475 წელს საპატრიარქო ტახტზე მონოფიზიტობის მგზნებარე

მქადაგებელი პეტრე ფულონი ანუ პეტრე მკაწვერელი ავიდა (რომელსაც ჩვენი ისტორიკოსები რატომღაც, ყოველგვარი სერიოზული არგუმენტაციის გარეშე, ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებას მიაწერენ, მაშინ როცა ვახტანგ გორგასლის დროს ქართლის ეკლესიას საერთოდ არ მიუღია ავტოკეფალია და რომც მიედო, პეტრე ფულონისაგან მონიჭებული ავტოკეფალია, მართლმადიდებელი ეკლესის კანონიკური სამართლის თვალსაზრისით, ამგვარი ავტოკეფალია ვერ იქნებოდა (და ვერ იქნება) ლეგიტიმური (იხ. მათითაშვილი 2017)). აღმოსავლეთში ანტიქალკედონურმა ბანაკმა, თითქოს, გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა: ალექსანდრიის ტახტე ტიმოთე იჯდა, ანტიოქიაში - პეტრე ფულონი, ხოლო პალესტინაში ქალკედონის წინააღმდეგ დაუდალავად ქადაგებდა პეტრე იბერი. ქალკედონის მოწინააღმდეგეთა სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მართალია 474 წელს ტახტზე ასული ზენონი 475 წელს მონოფიზიტების მიმართ კეთილგანწყობილმა ბასილისკომ დაამხო, თუმცა მმართველობის ბოლოს თვით ბასილისკომაც (კონსტანტინეპოლი დაწყებული მდელვარების გამო) პროქალკედონური პოზიცია დაიკავა, მაგრამ ბასილისკოს დღეები ისედაც დათვლილი იყო: 476 წელს ის დაამხეს და ტახტი ზენონმა დაიბრუნა. იმპერატორმა პეტრე ფულონი გადააყენა. ტიმოთე ელური 477 წელს გარდაიცვალა. ანტიქალკედონელთათვის ამ მძიმე ჟამს პეტრე ქართველი

პალესტინაში ცხოვრობდა და ყველასათვის საყრდენი იყო, რადგანაც ის, როგორც მზის შარავანდი, მართლმორწმუნე (ანუ მონოფიზიტ - ჰ. მ.) ხალხთა სულებს ანათლებდა არა მხოლოდ პალესტინაში, არამედ ეგვიპტეშიც და ყველა მხარეში და არ დაუშვებდა, რომ მათ თავგზა აკბნეოდათ და უღვთოების ბურუსში გახვეულიყვნენ (ლოლაშვილი 1988: 148).

პეტრე ქალკედონის მიმართ ყოველთვის რადიკალურად იყო განწყობილი. მართალია პატრიარქ მარტვირის (478-486) დროს პალესტინაში ანტიქალკედონურმა მოძრაობამ იკლო (პორნი 2006: 203) და 482 წელს იმპერატორ ზენონისა და პატრიარქ აკაკის მიერ მონოფიზიტებისადმი შემრიგებლური სარწმუნოებრივი აღსარება პეტრიკონი იქნა შეთავაზებული (რომელიც 506 წლის დვინის კრებაზე ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიებმაც მიიღეს (იხ. ალექსიძე 2010: 124-144)), მაგრამ პეტრე იბერიელი წინააღმდეგობას არ ასუსტებდა, უფრო მეტიც, პეტრე ქართველი, როგორც ზაქარია რიტორი გადმოგვცემს, ერთ-ერთი მონაწილე იყო იმ სასამართლოსი,

რომელიც ალექსანდრიის მონოფიზიტ პატრიარქ პეტრე მონგს მოუწყვეს პეტრიტიონის მიღების გამო (პორნი 2006: 105). პეტრეს რადიკალური პოზიციის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მან (ისაია ასკეტთან ერთად) უარი თქვა იმპერატორ ზენონის მიერ დედაქალაქში მოწვევაზე (პორნი 2006: 105).

ამის შემდეგ იოანე რუფუსი იმ ხილვებისა და სასწაულების შესახებ ყვება, რომელიც პეტრეს ცხოვრებაში აღსრულდა. პეტრე აღმოსავლეთ რომის იმპერიის Palestina-ს, Arabia-სა და Phoenicia-ს პროვინციათა მოსახლეობაში განუწყვეტლივ დადიოდა და ქალკედონის საწინააღმდეგოდ დაუდალავად ქადაგებდა. პეტრეს ქართული ცხოვრება პეტრეს მიერ პალესტინაში კიდევ ერთი მონასტრის დაარსების შესახებ გვაუწყებს:

მაშინ მიიქცა წმიდად პეტრე თვესა საყდარსა და სამწყსოსა და ჰმწყსიდა მათ ქრისტეს ღმრთისა მიერ. და გარეშე ქალაქსა აღაშენა მონასტერი და გვლესიად შუენიერი, და შეკრიბნა ძმანი მრავალნი და განუწესა მათ წესი და კანონი სულიერი და საღმრთო (აბულაძე 1967: 247).

უწყეტი ასკეტური ღვაწლითა და მისიონერობით დამაშვრალი 491 წელს ასკალონის მახლობლად გარდაიცვალა (პორნი 2006: 106), მისი ცხედარი ლოცვითა და გალობით მაიუმის მონასტერში წაასვენეს და იქ დაკრძალეს.

პეტრეს ასკეტური სახის წარმოსადგენად და წარმოსაჩენად რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი. მართალია, პეტრე (უფრო კი მისი პაგიოგრაფიულ-ლიტერატურული სახე) აერთიანებდა რა საკუთარ თავში, მანამდე ქრისტიანულ წარმოსახვაში არსებულ ასკეტური ცხოვრების ტიპიურ თვისებებს (ეს თვისებანი ისეთი არქეტიპული მაგალითებიდან მომდინარეობდა, როგორებიც იყო წმ. ანტონის ცხოვრება, უგიატური პატერიკები, უფრემ ასურის თხზულებანი და ა.შ.), მაგრამ, ამავე დროს პეტრეს სახით ახალი, სირიულენოვანი ანტიქალკედონური აუდიტორიის წინაშე რუფუსმა „მონოფიზიტური ასკეტიზმის“ სპეციფიკური სანიმუშო მაგალითიც (Role Model) წარადგინა. უეჭველია ერთი საუკუნის განმავლობაში (V საუკუნის შუა ხანებიდან VI საუკუნის შუა ხანებამდე) სულ უფრო მზარდ, და აღმოსავლეთის ხალხთა ცნობიერებაში, აწ უკვე მკვიდრად უესვგადგმულ, მონოფიზიტურ იდენტობას საკუთარი წმინდანები სჭირდებოდა და მონოფიზიტი პაგიოგრაფები ამ იდენტობის ჩამოსაყალიბებლად აქტიურად ზრუნავდნენ (როგორც, მაგალითად, - იოანე ეფესელი). იოანე რუფუსი კი, ამ საქმეში, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო.

კ. პორნი პეტრეს ასკეტური მოღვაწეობის სამ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: პეტრე, როგორც ეშმაკთა განმსხმელი (პიტერ ბრაუნი გვიანანტიკური ეპოქის „წმინდა კაცისათვის“ ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლად ეგზორციზმის უნარს მიიჩნევს, თუმცა აღმოსავლურქრისტიანულ ცნობიერებაში ამგვარი თვისება წმინდანს ყოველთვის განეკუთვნება, და არა მხოლოდ გვიანანატიკურ ეპოქაში), პეტრე, ვითარცა ბიბლიურ გმირთა მიმბაძველი და პეტრე, როგორც ნაზირეველი (კვლავაც ძველაღთქმისეულ-ბიბლიური ალუზია), რაც პალესტინის ქრისტიანული (რომელსაც ფეხვები იუდაურ-ქრისტიანულ ტრადიციაში პქონდა) გარემოსათვის დიდი მნიშვნელობა გააჩნდა (პორნი 2006: 113-114). პეტრეს მოღვაწეობის განსაკუთრებულ ასპექტად მის მიერ მონასტერთა დაარსება უნდა გამოვყოთ (პორნი 2006: 114).

პეტრეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, მის მკაცრ ასკეტიზმში, ბიბლიური ისტორია ცოცხლდება. პეტრე მნიშვნელობის ეშმაკის შემოტევებს, ებრძვის საკუთარ დაცემულ ბუნებას, არ ნებდება და ამ ბრძოლიდან, როგორც ანტონი დიდი, გამარჯვებული გამოდის. პეტრესთან კავშირში ჩვენ ვხედავთ იოანე ნათლისმცემელს – ქრისტიანული ბერმონაზვნობის ამ უცვლელ პირველსახეს, პეტრე იოანეს საკრალური გეოგრაფიითაც უკავშირდება – პეტრეც ნათლისმცემლის მსაგვსად იუდას უდაბნოში მოღვაწეობს (პორნი 2006: 173), იოანე რუფუსი პეტრე ქართველს ასევე ადარებს მოსე წინასწარმეტყველსა და პეტრე მოციქულს, ასევე იაკობ მოციქულს (პორნი: 180-188): იაკობი ნაზირეველობის აღთქმას იცავდა და მკაცრი ასკეტიზმით ცხოვრობდა. პეტრეც ნაზირეველთა სულიერი შთამომავალია, ის სულიერად იაკობ მოციქულს უნათესავდება (რუფუსი პეტრეს მეგობარსა და სულიერ მენტორს, თეოდოსი იერუსალიმელს, „ახალ იაკობს“ უწოდებს, გულისხმობს რომ ანტიქალკედონური იერარქია ჭეშმარიტი სამოციქულო იერარქიის მემკვიდრეა).

პეტრე იბერიელი მნიშვნელოვან მაკავშირებლად იქცა ქართულ ქრისტიანულ ასკეტურ გარემოსა და აღმოსავლეთის ქრისტიანულ ბერმონაზვნობას შორის. მან იერუსალიმში, დავითის კოშკთან, ქართველთა მონასტერი დაარსა. ის რომ მონასტერი „იბერთა“ სახელს ატარებდა, იმის მანიშნებელია, რომ ამ მონასტრის ძმობის ძირითადი წევრები, V საუკუნეში მონაზვნური მოღვაწეობისათვის ქართლიდან (შეიძლება ეგრისიდანაც) ჩასული, ქართველები იყვნენ. „იბერთა მონასტერი“ ქართლიდან პალესტინაში და პალესტინიდან ქართლში

ქრისტიანული ბერმონაზვნობის იდეათა გენერირების ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრად და, ამავე დროს, წმ. მიწაზე ქართული ბერმონაზვნობის გავრცელების პიონერად უნდა ქცეულიყო.

საბოლოო ჯამში პეტრე ქართველი აღმოსავლეთის არაქალკედონურ ეკლესიათა კუთვნილება გახდა. ქართველებმა მისი „დაბრუნება“ XIII საუკუნიდან მოისურვეს, XV და XVIII საუკუნეებში ეს ცდები გაანახლეს, თუმცა აღნიშნული მცდელობანი თავიდანვე წარუმატებლობისათვის იყო განწირული, რადგან პეტრე იბერიელი, ერთმნიშვნელოვნად, მონოფიზიტობის ისტორიას მიეკუთვნება და იგი ანათემირებულია VI მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ.

## §5. ბეთლემის (ბირ ელ-კატის) წმ. თეოდორეს სახელობის ქართული მონასტერი

პირველ ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ არავითარი მონაცემითა და წყაროებით ვირჯილიო კორბოს (Virgilio Corbo) მიერ ბეთლემის მახლობლად აღმოჩენილი ქართული მონასტრის (სადაც ოთხი, დღემდე ცნობილი, ყველაზე ძველი ქართული წარწერა აღმოჩნდა) კავშირი პეტრე იბერიელთან არ დასტურდება. შესაძლებელია, ეს მონასტერი V საუკუნის შუა ხანებში ან ამავე საუკუნის II ნახევარში პალესტინაში პეტრეს მოდვაწეობის გავლენით დაარსებულიყო (არც ამის დამადასტურებელი ცნობა გაგვაჩნია), ან შეიძლება, მის არსებობას სრულიად დამოუკიდებელი წყარო ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ამის გარკვევა მომავალ კვლევა-ძიებას უნდა მივანდოთ.

მონასტრის გათხრები იერუსალიმის კათოლიკეთა პატრიარქის ალბერტო მოროს ინიციატივით დაიწყო, რომელიც ქართველთა შესახებ ჯვაროსანთა ცნობებით იყო დაინტერესებული და რომელსაც კონსულტაციას ქართველი კათოლიკე მღვდელი და საქართველოს ეკლესიის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი მიქელ თარხნიშვილი უწევდა. ალბერტო მოროს დავალებით იტალიელმა მღვდელმონაზონმა და არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, გათხრები დაიწყო, სადაც 1952 წლის დეკემბერში უძველესი ქართული მონასტერი გამოვლინდა (თარხნიშვილი 2014, იხ. 6. პაპუაშვილის შესავალი წერილი, გვ. 48-49). მღვდელი მიქელ

თარხნიშვილი პირველი იქო, ვინც ბირ ელ-კატის ქართული მონასტრის წარწერები პალეოგრაფიულად შეისწავლა და დაათარიღა (თარხნიშვილი 2014: 49-50). თარხნიშვილის შემდეგ მონასტრის კვლევას სხვა ქართველმა სპეციალისტებმაც მიყვეს ხელი.

მონასტერში ოთხი ქართული წარწერა გამოვლინდა, რომელშიც იხსენიებიან მარუანი, ბურზენი, ბაკური, აბბა ანტონი და სეფის მომსხმელი იოსია (წარწერების სრული ასომთავრული ტექსტები მხედრული ტრანსკრიფციით, ლინგვისტური და პალეოგრაფიული ანალიზით იხ. წერეთელი 1960: 10-52). წარწერების I ჯგუფი, სადაც მარუანი, ბურზენი და ბაკური იხსენიებიან, მონასტრის არსებობის უადრეს პერიოდს განეკუთვნება, ხოლო წარწერათა II ჯგუფი (სადაც აბბა ანტონისა და იოსიას სახელები გვხდება) მონასტრის განახლების შემდეგ (VI ს. 30-იანი წლები) უნდა იყო ამოკვეთილი.

როგორც უკვე აღინიშნა, წარწერებზე ყურადღება პირველად გ. თარხნიშვილმა გაამახვილა (თარხნიშვილი 1954: 12-17). შ. ნუცუბიძემ გამოთქვა აზრი, რომ წარწერებში მოხსენიებული „მარუანი“ პეტრე იბერის საერო სახელი უნდა ყოფილიყო (ნუცუბიძე 1959: 150), ხოლო ს. ყაუხებიშვილმა ეპიგრაფიკულ ძეგლში ნახსენები „ბაკური“ პეტრეს ბაბუად გამოაცხადა (ყაუხებიშვილი 1959: 058-062). გ. წერეთელმა გამოარკვია, რომ წარწერაში მოხსენიებული „ბურზენი“ არის სახელ „ბურზენ/ბურზენ-მი(ჰ)რ-“ის პირველი ნაწილი სახესხვაობა და ის პეტრეს მამის სახელი („ბოზმარი/ბუზმირი“) უნდა ყოფილიყო, რადგან სახელი „ბუზ-მიპრი“ „ბუზ-მიპრ-“ისა და „ბურზენ-მიპრ-“ისგან წარმოიშვა (წერეთელი 1960: 19-23).

იმის შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ ტექსტში მოხსენიებულია პეტრე ქართველის ერისკაცობის სახელი მარუან, აგრეთვე სახელი მამისა და პაპისა... ბურზენ [-მი(ჰ)რ], ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს, რომ წარწერა მართლაც პეტრე ქართველს ეკუთვნის (წერეთელი 1960: 23).

შ. ნუცუბიძის, ს. ყაუხებიშვილის, გ. წერეთლის და სხვა მეცნიერ-მკვლევართა განცხადებით, პეტრე იერუსალიმის მახლობლად მონასტერს აშენებს, ამ მონასტრის მოზაიკაში საკუთარ წინაპრებსა და საკუთარ თავს, ერისკაცობის სახელით, „მურვანით“ (მარუანი) იხსენიებს და სწორედ ეს მონასტერია ვირჯილიო კორბოს მიერ აღმოჩენილი შესანიშნავი ნანგრევები. ამ მოსაზრებამ ქართველობობიაში (განსაკუთრებით ქართველ მეცნიერთა შორის)

არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა და საბოლოო ჯამში გაბატონებულ შეხედულებად გადაიქცა.

მაგრამ არის ერთი სერიოზული პრობლემა: პეტრეს ერისკაცობაში მურვანი (მარუანი) არ ერქვა (და როგორც ზემოთაც ავღნიშნავდით, ამის შესახებ ძალიან გარკვევით ისაუბრა ა. გაწერელიამ თავის მრავალრიცხოვან წერილებსა და გამოკვლევებში). მაშინ ვინ არის მოზაიკურ წარწერაში მოხსენიებული ეს „მარუანი“ თუ არა პეტრე იბერიელი? ყველაზე მარტივი და ადგევატური პასუხი, ალბათ, იქნება: კვლევის თანამედროვე ეტაპზე მისი ვინაობა უცნობია. მიუხედავად იმისა, რომ სხვა სახელები (ბურზენი და ბაკური) პეტრეს ოჯახის წევრების (მამისა და ბაბუის) სახელებს ემთხვევა, მთავარი სახელი არ ემთხვევა, და გაუგმბარია, ვინმე მარუანი რატომ უნდა იხსენიებდეს პეტრე იბერიელის მამასა და ბაბუას? აღნიშნული ლაფსუსი, მონასტრის დათარიდებაშიც ერთგვარ პრობლემას ქმნის. მართალია გ. წერეთელი წარწერას, პალეოგრაფიული ანალიზით, V საუკუნით ათარიდებს, მაგრამ თუკი მონასტერი პეტრეს მიერ არ არის დაარსებული, მაშინ ქრონლოგიური ჩარჩო საკმაოდ გაურკვეველი სახით წარმოგვიდგება (მონასტრის აღმშენებლად პეტრეს მიწნევის შემთხვევაში ბირ ელ-კატის წმ. თევდორეს მონასტერი V საუკუნის 40-იანი წლებითა დათარიდებოდა), ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი ქართველოლოგიურ მეცნიერებაში ჯერჯერობით ლიად უნდა დარჩეს, რაიმე დამატებითი ინფორმაციის მოძიებამდე.

რაც შეეხება აბბა ანგონის („ანგონი აბად“) წარწერას, გ. წერეთლის თანახმად, ეს წარწერა 532-552 წწ. უნდა იყოს შესრულებული, ანუ მონასტრის განახლების პერიოდში, და ის სახელგანთქმულ ქართველ მოღვაწეს, აბბა ანგონის ეკუთვნის, რომელიც ასევე ძალზე ხშირად იხსენიება მართას ცხოვრებაში და რომელიც უნდა ყოფილიყო კიდევაც დანგრეული მონასტრის (დანგრევის მიზეზი უცნობია) განმაახლებელი (წერეთელი 1960: 15-17).

ვირჯილიო კორბოს მიერ აღმოჩენილი ქართული მონასტერი იუდას უდაბნოს ბიზანტიურ მონასტერთა მსგავსია. საინტერესოა, რომ ეკლესიისა და სხვა შენობების გარდა, მონასტრის ტერიტორიაზე ზეთის სახდელი ოთახი და მარანია შემონახული, რაც მნიშვნელოვანი წყაროა მონასტრის სამეურნეო საქმიანობის შესასწავლად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონასტერი აღუდგენიათ მეექვე საუკუნეში. ვირჯილიო კორბოს აღწერით:

ადამიანს პირველი შეხედვისთანავე თვალში ეცემა ნაგებობის კვადრატული ფორმის გეგმა, რომლის ჩრდილოეთ კედელზე სწორკუთხოვანი ეკლესიის დანამატია. მონასტერი პარმონიულადაა განლაგებული ცენტრალური ეზოს ირგვლივ, რომელიც აერთებს აგრეთვე შესავლის გარეგან ნაწილს, ეზოსთან პირდაპირ შეერთებული ვესტიბულის წინაკარის საშუალებით. ჩვენ არ ვიცნობთ პალესტინაში სხვა მონასტერს, რომელსაც მსგავსი გეგმა ჰქონდეს (ჩაჩანიძე 1974: 61-62)

ბეთლემის ქართული მონასტრის შემთხვევაში ორი რამ ნამდვილად ცხადია: მონასტერი აშკარად კვინობური ხასიათისა იყო ანუ მონაზვნები აქ ერთად ცხოვრობდნენ, ერთი წინამდღვრის მორჩილების ქვეშ და ერთი ტიპიკონით ხელმძღვანელობდნენ. ჩვენ მხოლოდ VI საუკუნეში განახლებულ სამონასტრო ცხოვრებაზე შეგვიძლია ვისაუბროთ, რადგან აბბა ანტონის მიერ მონასტრის აღდგენას მნიშვნელოვანწილად უნდა შეეცვალა აქ თავდაპირველად არსებული მონასტრის იერ-სახე.

მიუხედავად იმისა პეტრეს დაარსებულია თუ არა ბირ ელ-კატის წმ. თევდორეს მონასტერი, საგსებით ცხადია, რომ ეს შესანიშნავი კვინობი პალესტინაში ქართული ბერმონაზვნობის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ და მძლავრ კერას წარმოადგენდა.

## §6. ახლადაღმოჩენილი ქართული მონასტერი იუდას უდაბნოში

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პეტრე და იოანე აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქველმოქმედებაში. მათ დავითის კოშკთან მდებარე იბერთა მონასტერში სასტუმროც ააშენეს, სადაც პილიგრიმებსა და გლახაკებზე ზრუნავდნენ. მუდმივმა საზრუნავმა პეტრესა და იოანეს სულიერ მყუდროებას საფრთხე შეუქმნა, ამიტომ ამბა ზენონის რჩევით, მათ სხვა მონასტერს მიაშურეს და იქ იპოვეს „თავშესაფარი”, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ კვლავ იბერთა მონასტერში დაბრუნდნენ. კ. ჰორნი ვარაუდობს, რომ ეს მონასტერი, რომელსაც პეტრე და იოანე დროებით შეეფარნენ, შესაძლებელია იყოს იუდას უდაბნოში, იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1996 წელს აღმოჩენილი ქართული მონასტერი ხირბათ უმმ ლეისუნის (Khirbat Umm-leisun) მახლობლად, თუმცა

ბუნებრივია ეს მხოლოდ ვარაუდია, რადგან მისი დამადასტურებელი წყარო არ მოგვეპოვება (პორნი 2006: 72).

1996 წელს იერუსალიმის მცენი ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ბიზანტიური პერიოდის მონასტერი გამოავლინა სამლოცველოთი, სენაკებითა და მოზაიკური იატაკით (სელიგმანი 2015: 145). თავდაპირველად მკვლევრებმა ეს ნანგრევები წმ. ევსტათის ბიზანტიურ მონასტერს მიაკუთვნეს, თუმცა შემდგომმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ახლადაღმოჩენილი ნაშთები წმ. ევსტათის მონასტერს არ ეკუთვნოდა (სელიგმანი 2015: 145). არქეოლოგიური გათხრები 2002 და 2004 წლებშიც გაგრძელდა (სელიგმანი 2014: 144). ამ ექსპედიციებმა ქართული კულტურისიათვის უმნიშვნელოვანესი მასალები გამოავლინეს.

მონასტერი იუდას უდაბნოში იერუსალიმსა და ბეთლემს შორის მდებარეობდა, წმ. თეოდოსის დიდი კვინობი მისგან მხოლოდ 3 კმ-ით იყო დაშორებული. გათხრებმა აჩვენა, რომ მონასტერი აშკარად კვინობს წარმოადგენდა. მონაზვნები აქ გალავნით შემოსაზღვრულ სივრცეში ცხოვრობდნენ.

მონასტრის შენობები და ეკლესია მართკუთხა ფორმის დასახლებას ქმნიდა, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 65 მ-ზე იყო გადაჭიმული, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 40 მ-ზე (სელიგმანი 2015: 145), შესასავლელი მონასტერს აღმოსავლეთიდან ჰქონდა, რომელიც შემსვლელს შიდა ეზოსკენ მიუძღვდა (პარალელური ბირ-ელ კატის ქართულ მონასტერთან, თუმცა შიდა ეზო მხოლოდ ქართული მონასტრებისათვის არ იყო დამახასიათებელი, ეს პალესტინის ბიზანტიური კვინობური მონასტრებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნად იქცა (სელიგმანი 2015: 148-150)), რომლის ფართობი დაახ. 30X40 მეტრს წარმოადგენდა (სელიგმანი 2015: 148-150).

მონასტერი გაშენებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დაქანებულ ფერდობზე, რაც ტერასების გაკეთების აუცილებლობას ქმნიდა. მონასტერში კიბეები არ გვხდება, მხოლოდ შესასვლელი ეზოსთან შედარებით ერთი საფეხურითაა დადაბლებული (სელიგმანი 2015: 145).

მონასტრის შიდა ეზოს ქვით მოკირწყლულ იატაკში გამოკვეთილი ლაპვები მიწისქვეშა რეზერვუარების წყლით შევსებას უზრუნველყოფდა (სელიგმანი 2015: 145). დამატებითი ცისტერნა მოთავსებული იყო მონასტრის შესასვლელთან (სელიგმანი 2015: 146). მონასტრის სამხრეთით უცნობი დანიშნულების ოთახები

გამოვლინდა, ხოლო ჩრდილოეთით შთამბეჭდავი აკლდამა, რომელიც სავარაუდოდ მონასტრის დამფუძნებელს უნდა ეკუთვნოდეს (სელიგმანი 2015: 146). მონასტრის დასავლეთ ზღურბლთან მდებარეობდა სამლოცველო და ოთახები, რომელთა იატაკი მოზაიკით იყო გაფორმებული. პვინობის ჩრდილოეთით კიდევ ერთი წყლის რეზერვუარი აღმოჩნდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქაური სამონასტრო თემი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და მონაზვნებს წყლის პრობლემა აშკარად მოგვარებული ჰქონდათ (სელიგმანი 2015: 147).

მონასტრის აკლდამა კლდის ქანშია გამოკვეთილი, აკლდამა ორი თაღედი განყოფილებისაგან შედგება, საითკენაც შემსვლელს კიბეები მიუძღვება (სელიგმანი 2015: 150-152). კიბე კლდის კედლებშია მოქცეული, რომლებიც კირქვის ბათქაშითაა დაფარული (სელიგმანი 2015: 152). აკლდამის სამხრეთ განყოფილებაში აღმოჩნდა ბიზანტიური ხანის კერამიკა, კრამიტი, შუშის ჭურჭელი, მარმარილოს ნატეხები (სელიგმანი 2015: 152). ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკლდამის მეორე განყოფილება, სადაც დასავლეთის ზღურბლთან მდებარე ამაღლებული საფლავის ქვის ფილაზე არქეოლოგებს დახვდათ შესანიშნავად დაცული ხუთსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა (ფოტოები იხ. სელიგმანი 2015: 155; მგალობლიშვილი 2003: 8), სადაც ფურტავის ეპისკოპოსი იოანე ქართველი იხსენიება.

წარწერას არ ახლავს დაქარაგმება, შესრულებულია ამოღარვით, თითოეული ასო იმდენად კარგად და გარკვევითაა ამოკვეთილი, რომ წარწერა თავისუფლად იკითხება, ასო-ნიშან „კ“-ს მეორე სტრიქონში (სიტყვა „იოპანე“-ში) თითქოს მცირე დაზიანება ეტყობა, თუმცა ეს მის ამოკითხვას სულაც არ უშლის ხელს. წარწერის ასოთა მაქსიმალური ზომა 9.7 სმ. ხოლო მინიმალური – 5.5 სმ (ზომები მოცემული გვაქვს გ. გაგოშიძის აღწერის მიხედვით, იხ. გაგოშიძე 2014: 124). წარწერა არავითარი ორნამენტით ან ნიშნით არაა შემკული, მხოლოდ ბოლოში ჯვარი აქვს დასმული.

რაც შეეხება პალეოგრაფიულ ნიშნებს, ასოთა ფორმებისა და მოხაზულობის თვალსაზრისით უახლოეს პარალელები მას, პირველ ყოვლისა, ბირ ელ-კატის წმ. თეოდორეს წარწერასთან მოექებნება. ბირ ელ-კატის გარდა აღნიშნულ წარწერა, მთელი რიგი ნიშნებით, ძლიერ ემსგავსება V-VII სს. ისეთი ეპიგრაფიკულ ძეგლებს, როგორებიცაა ბოლნისის, ბალიჭის, ქობულ-სტეფანოზისა და სხვა ლაპიდარული წარწერები (გაგოშიძე 2014: 124), თუმცა

პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერის უფრო კონკრეტული (და უფრო ადრეული) დათარიღებაცაა შესაძლებელი. სხვადასხვა ასოებს ყველაზე დიდი მსგავსება V-VI საუკუნეების ძეგლებთან, კერძოდ კი ბოლნისის, ბალიჭისა და ბირ ელ-კატის წარწერებთან მოქმედებათ (იხ. ვრცლად გაგოშიძე 2014: 124-127). 2001-2002 წლებში ისრაელში მყოფმა ექსპედიციამ (გ. გაგოშიძემ) წარწერა V საუკუნის მიწურულითა და VI საუკუნის დამდეგით დაათარიღა (მგალობლიშვილი 2014: 8). ამის გარდა, სახელ „იოჰანეს“ ამგვარი ფორმით დაწერილობა ჩვენ მხოლოდ V-VII საუკუნეების ხანმეტ ძეგლებში გვხდება. VII საუკუნის მიწურულიდან ამ სახელს „იოანეს“ ფორმით წერენ, ასო-ნიშან „ჸ“-ს გარეშე (მგალობლიშვილი 2014: 117-118).

ვინ არის წარწერაში მოხსენიებული იოჰანე ფურტაველ ეპისკოპოსი, ჩვენთვის უცნობია. რომელი გეოგრაფიული პუნქტი უნდა იგულისხმებოდეს „ფურტავში“? შესაძლებელია „ფურტავში“ ცურტავის ვარიანტული სახესხვაობა ან „ცურტავის“ დამახინჯებული ფორმა გვევარაუდებინა (თუმცა ეს უკანასკნელი ახსნა ყველაზე ნაკლებ დამაჯერებელია). არადა ძნელია მკვლევარმა, ამ ვარაუდისგან, გაითავისუფლო თავი, „ფურტავისა“ და „ცურტავის“ დიდი მსგავსების გამო.

„ფურტავის“ გეოგრაფიული მდებარეობისა და ეტიმოლოგის ახსნას რამდენიმე მკვლევარი შეეცადა. ალბათ თ. მგალობლიშვილმა კვლევის საწყის ეტაპზე ყველაზე დამაჯერებელი (თუმცა სავარაუდო) მოსაზრება შემოგვთავაზა. მეცნიერი ამ გეორგაფიულ სახელს სირიული ენების მეშვეობით ხსნის და მას ადგილობრივ, პალესტინურ ტოპონიმად მიიჩნევს (მგალობლიშვილი 2014: 118-119). თ. მგალობლიშვილის თანახმად ამ ტოპონიმის ეტიმოლოგია ასეთია: ებრაულად „ფურა“ (*pura*) ნიშნავს „საწნახელს“, ხოლო არამეული „ფურთა“ (*purta*) აღნიშნავს „პატარას“, „მცირეს“, რამე დიდის მცირე ნაწილს (მგალობლიშვილი 2014: 119-120). თუკი ჩვენ „ფურტავის“ ებრაული ენით ახსნას ვენდობით, მაშინ ტოპონიმის მეორე ნაწილიც (თავი (*tavi*)) უნდა განვმარტოთ. *tav* არამეულიდან ითარგმნება, როგორც „კეთილი, წმიდა, კურთხეული“ ე. ი. გვექნება *pura+tav*, სადაც „ა“ შეიკვეცა, სიტყვას ბოლოში ქართული ენაში სახელობითი ბრუნვის ნიშანი „ი“ დაემატა და მივიღეთ „ფურტავი“ (ებრაულ-არამეულად „წმიდა საწნახელი“) (მგალობლიშვილი 2014: 120), მაგრამ თუკი ტოპონიმის ეტიმოლოგიის ახსნისას მხოლოდ არამეულს მოვიშველიებთ, მაშინ ეს ტოპონიმი

თარგმანში იქნება „მცირე მონასტერი” („ფურთა” ანუ მცირე) (მგალობლიშვილი 2014: 120-121).

მგალობლიშვილისეული განმარტებები ლოგიკურია, თუმცა მაინც პიპოთეტური. ტოპონიმ „ფურტავის” უკეთესი ახსნა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურება ამ გეორგაფიული სახელის ჩეხანოვეცისეული და ხურცილავასეული მოსაზრებები (მით.). თვით „ფურტავის” ეტიმოლოგიის ზუსტი დადგენა გამოარკვევს, ეს იოპანე ადგილობრივი ქართული მონასტრის (თუ მონასტრების) ეპისკოპოსი იყო თუ ერთ-ერთი ქართული ეპარქიის მეთაური, რომელმაც მიატოვა სამდვდელმთავრო მსახურება და წმინდა მიწას მიაშურა სამოღვაწეოდ, სადაც აღქსრულა კიდევაც ჩვენთვის ხომ პალესტინის X საუკუნემდელი ქართველი მოღვაწეები თითქმის უცნობია (რამდენიმეს, მაგ., პეტრე იბერისა და იოანე ლაზის გამოკლებით), მათი სახელები არც ერთმა ქართულმა თუ უცხოურმა წყარომ არ შემოინახა. არქეოლოგიურმა გათხრებმა სულ რამდენიმე სახელი გახადა ჩვენთვის ცნობილი (ბირ ელ-კატისა და უმ-ლეიზუნის წარწერები). ასეთია, მაგალითად, ვინმე „სამუელ ქართველი ეპისკოპოსი”, რომელიც ბერძნულ წარწერაში იხსენიება და რომელსაც პეტრე იბერის მიერ დავითის კოშკთან დაარსებულ ქართულ მონასტერში უნდა ემოღვაწევა (მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონიკოლოგიური ჩარჩო V-VII საუკუნეებია) (ფერადე 1995: 135-136; მგალობლიშვილი 2014: 116). იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალი კვლევა-ძიება ბიზანტიური და ადრეარაბული ხანის პალესტინის კიდევ უფრო მეტი ქართველი მოღვაწის სახელს გახდის ჩვენთვის ცნობილს.

ფაქტია, რომ ბიზანტიური ხანის პალესტინაში ქართულ ბერმონაზვნობას მნიშვნელოვანი და შესამჩნევი ადგილი ეკავა. ნაზარათეის წარწერათა დათარიღებას თუ ვენდობით (და ჯერჯერობით საფუძველი არ გვაქვს, რომ არ ვენდოთ), ქართველ ბერებს მოღვაწეობა აქ ძალიან ადრე, V საუკუნის დამდეგს უნდა დაეწყოთ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს (პეტრე ქართველის ცხოვრებასთან ერთად) იმდროინდელ ქართლში ასკეტიზმის იდეალთა პოპულარობას.

ისრაელელი არქეოლოგი ჯონ ზელიგმანი (Jon Seligman) ძალიან კარგად აღწერს პალესტინის ადრეულ ქართულ მონასტერთა ხასიათს და განვითარების თავისებურებებს. მისი ოქმით, ქართული მონასტრები მცირე კვინობებია, რომლებიც პალესტინის ბიზანტიურ კვინობთა მოღელებს თითქმის სრულებით

იმეორებენ და რომლთა ტიპიური სახე ამგვარად წარმოგვიდგება: მცირე ეკლესია (სამარტვილო-სამლოცველო), მის გარშემო მდებარე სხვადასხვა დანიშნულების ოთახები და სენაკები და წყლის რეზერვუარები, რომლებშიც წყალი ლაპვებით გროვდებოდა.

ეს კვინობები, რომელთა ეკონომიკაც მიმდებარე მიწების კულტივაციაზე იყო დაფუძნებული, წინამორბედი რომაული პერიოდის საგლეხო მეურნეობათა ფუნქციურ მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ და ხშირად იმავე ადგილებზე არსებობდნენ (სელიგმანი 2014: 145).

ზელიგმანი იმასაც აღნიშნავს, რომ ქართულ მონასტერთა გეოგრაფიაში აშკარად შეიმჩნევა ერთ გეოგრაფიულ არეალში თავმოყრის ტენდენცია (ზელიგმანი 2014: 144-145). პეტრემ V საუკუნის 40-იან წლებში, ქართული მონასტერი იერუსალიმში, დავითის კოშკთან ააშენა, იერუსალიმის მახლობლად კი, იუდას უდაბნოში, სულ სამი-ოთხი კილომეტრის სიშორეზე, განლაგებული იყო ბირ ელ-კატის წმ. თეოდორეს (V-VI სს.) და უმ-ლეიზუნის (V-VI სს.) ქართული მონასტრები.

## თავი V. ასურელი მამები

### §1. ასურელ მამათა ცხოვებაში

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის შემოტევა ქართლზე გაძლიერდა. ამ შემოტევას, სამხედრო-პოლიტიკურის გარდა, რელიგიური ხასიათიც ჰქონდა. მართალია ქართლი VI საუკუნის 70-იან წლებამდე ინარჩუნებდა პოლტიკურ ავტონომიას (ამ პერიოდის განმავლობაში ქართლში ჯერ კიდევ არსებობდა მეფობის ინსტიტუტი (თუმანოვი 1963: 381)), მაგრამ სასანური ირანის ძლიერი წნევის ქვეშ.

სწორედ ამ არამდგრად და მდელვარე ეპოქაში მოვიდა საქართველოში ცამეტი სირიელი ბერი. მართალია მათი შემოსვლის თარიღი ზუსტად გარკვეული არაა (მათი შემოსვლის თარიღთან დაკავშირებით არსებული ისტორიოგრაფიის ფართო მიმოხილვა იხ. მერკვილაძე 2006: 41-84), მაგრამ დღეისათვის ყველაზე მიღებული მოსაზრების თანახმად, ქართლში ისინი VI საუკუნის I ნახევარში უნდა მოსულიყვნენ (კეკელიძე 1926: 101-105; მერკვილაძე 2006: 41-84). აქვე ვიტყვით, რომ ჩვენ ნაშრომში მხოლოდ ასურელ მამათა მოღვაწეობის ასკეტურ მხარეს ვეხებით (მონასტერთა დაარსება, მათი ტიპები, ორგანიზაცია და ა.შ). სირიელ ბერთა ქართლში მოსვლის პრობლემის მასშტაბურობის გამო ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ამ საკითხთის ყველა ასპექტის ვრცლად მიმოხილვას, ზოგიერთ მათგანს მხოლოდ მოკლედ შევეხებით.

ასურელმა ბერებმა დიდი მისიონერული სამუშაო გასწიეს და გარდამტეხი ცვლილება შეიტანეს ქართული ბერმონაზვნობის განვითარების ისტორიაში. მათი მოღვაწეობის შედეგად „წმინდა კაცთა“ როლი განუზომლად გაიზარდა გვიანაზტიკური და ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში (მათითაშვილი 2018: 4-39).

ასურელი მამების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ცნობებს მათ შესახებ დაწერილი პაგიოგრაფიული თხზულებებიდან ვიღებთ. ადრეული ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ პაგიოგრაფიულ ნაშრომთა წყაროთმცოდნებითი ბაზისი. საჭიროა ამ თხზულებათა წარმომავლობის, რედაქტირების ისტორიისა და, შესაბამისად, წყაროთმცოდნებითი „ტევადობის“, ინფორმაციულობის

შესწავლა, რადგან ისტორიკოსი (წყაროთმცოდნე) ისტორიულ ძეგლს, პირველ რიგში, ისტორიულ წყაროდ აღიქვამს (ჩხარტიშვილი 1996: 4).

ამ თხზულებათა შექმნის დროის, ტექსტოლოგიურ ურთიერთმიმართებათა და ხასიათის შესახებ მრავალი განსხვავებული მოსაზრება გამოითქვა (კაკაბაძე 1928: 1-18; აბულაძე 1955: IX-XXXII; მერკვილაძე 2006: 9-12). XIX საუკუნეში ასურელ მამათა ცხოვრებების მხოლოდ მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციები იყო ხელმისაწვდომი (მერკვილაძე 2006: 9-10), XIX საუკუნის ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ და საეკლესიო ისტორიის მკვლევარმა მიხეილ-გობრონ საბინინმა ეს რედაქციები შეკრიბა და 1882 წელს საქართველოს სამოთხეში გამოაქვეყნა. 1928 წელს ს. კაკაბაძემ ასურელი მამების ცხოვრებანი გამოაქვეყნა თავის ნაშრომში ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიკები, ხოლო 1955 წელს იღ. აბულაძემ ასურელ მამათა ცხოვრების კრიტიკულად დადგენილი ტაქსტები გამოსცა.

დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია, რომ X საუკუნეში ასურელ მამათა ცხოვრების რამდენიმე რედაქცია არსებობდა. იოანე ზედაზნელის ცხოვრება (რომელიც შიო მღვიმელის, ევაგრესა და ისე წილკნელის ცხოვრებებსაც მოიცავდა) X საუკუნის გამოჩენილმა ქართველმა ჰაგიოგრაფმა და ღვთისმეტყველმა არსენ II კათალიკოსმა (955-980) შექმნა (აბულაძე 1955: XVIII-XXI).

სინას მთაზე აღმოჩენილმა ხელნაწერებმა ახალი შუქი მოჰყინა ასურელ მამებთან დაკავშირებულ ჰაგიორგაფიულ ციკლს. გაირკვა, რომ X საუკუნეში არსებობდა სხვა, ჩვენთვის აქამდე უცნობი თხზულება სახელწოდებით საქმენი წმიდისა იოანე ზედა ზადნელისანი, რომელი მოვიდა შოვა მდინარითა ასურეთისათა შემდგომად ქართლის მოქცევითგან მეორასაესა წელსა, იგი და მოწაფენი მიხნი. აქვეა დაცული აბიბოსის მარტვილობაც შემდეგი სათაურით: ცხორებად და წამებად წმიდისა აბიბოზ ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზისა (ალექსიძე 1999: 20-22). ზ. ალექსიძის აზრით, ეს რედაქცია ასურელ მამათა ცხოვრებისა ყველაზე ძველია შემორჩენილ რედაქციათა შორის, ამასთანავე სინური ხელნაწერი ქართლში მოსულ სირიელ მისიონერთა შესახებ ახალ ცნობებსაც გვაწვდის (ალექსიძე 2011: 170).

მაგრამ შიო მღვიმელის XII საუკუნის მეტაფრასულ ცხოვრებაში დაცული ცნობის თანახმად ვგებულობთ, რომ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების კროტოგრაფიული ვერსია ჯერ კიდევ VI საუკუნეში, ასურელ მამათა

მოღვაწეობის უამს შეიქმნა. ჩვენთვის ცნობილია ამ თავდაპირველი თხზულების ავტორიც – ვინმე იოანე-მარტვირი (ჩხარტიშვილი 1996: 139). მ. ჩხარტიშვილის თქმით „შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ საერთოდ ციკლის ჩამოყალიბების ისტორია უკავშირდება მარტვირის სახელს“ (ჩხარტიშვილი 1996: 139). აღნიშნულ ინფორმაციას სპეციალისტები, როგორც წესი, არ თვლიდნენ ყურადღების ღირსად. კ. კეკელიძის აზრით ეს ცნობა ფსევდო-ეპიგრაფიკული ხასიათისა იყო და შესაბამისად არ ჰქონდა ისტორიული ღირებულება (კეკელიძე 1926: 20). მ. ჩხარტიშვილი შეხედულებით აშკარაა, რომ თხზულებანი სირიელ ბერთა მოღვაწეობის შესახებ, თავდაპირველად, სწორედ იოანე-მარტვირს უნდა დაეწერა (ჩხარტიშვილი 1996: 141), მაგრამ ვინ იყო ეს იოანე-მარტვირი? რადგანაც ისტორიკოსები და ფილოლოგები შიო მდვიმელის ცხოვრებაში დაცულ ცნობას იოანეს შესახებ ყურადღებას არ აქცევდნენ, ამიტომ მისი ვინაობის ირგვლივ მსჯელობას ადგილი არ ჰქონია. XII საუკუნის შიო მდვიმელის ცხოვრების მეტაფრასულ რედაქციას ამგვარი სათაური აქვს: ცხოვრებად და საკარგელებანი წმიდისა და ნეტარისა შიოდნის, რომელი იყო ანტიოქიათ შუამდინარისადთ. ხოლო მოიწია ქუვანად ქართლისა და დაეგმუკდოა ხარკინისა მღვმელა, რომელი-ესე აღწერა ღირსმან მარტვრი, პირველ რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კონსტანტინებოლით (აბულაძე 1955: 69). აქედან გამომდინარე მ. ჩხარტიშვილი ფოქრობს, რომ იოანე ზედაზნელი კონსტანტინებოლელი უნდა ყოფილიყო (რადაგანაც სათაურში გვხვდება სიტყვები „რომელი-ესე აღწერა ღირსმან მარტვრი, პირველ რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კონსტანტინებოლით“) და შემდგა „გამოსულიყო“ სირიაში, როცა შიო ოცი წლის შესრულდა (და როდესაც იოანეს დაემოწაფა), ამიტომ პატივცემული მეცნიერის აზრით, იოანე-მარტვირი, სწორედ, იოანე ზედაზნელის მოწაფეა, მაგრამ შიო მდვიმელის ცხოვრების მეტაფრასული სათაური უცილობლად ამგვარი დასკვნის გაკეთებას არ გვაიძულებს. ასურელ მამათა ცხოვრებათა არც ერთ რედაქციაში არ გვხდება ცნობა ან რაიმე მინიშნებაც კი იოანე ზედაზნელის „კონსტანტინებოლელის“ შესახებ. საჭმე ისაა რომ სიტყვა „კონსტანტინებოლით“ არა იოანე ზედაზნელს, არამედ იოანე-მარტვირს უნდა ეკუთვნოდეს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ იოანე-მარტვირი იყო სწორედ კონსტანტინებოლელი და კონსტანტინებოლიდან ჩამოსული უნდა დამოწაფებოდა იოანე ზედაზნელს, რაც სრულიად დასაშვებია. ასევე სრულიად რელურია იმის

შესაძლებლობა, რომ ასურელ მამათა ცხოვრებანი თავდაპირველად სწორედ იოანე-მარტვირს დაეწერა, მითუმეტეს, ჩვენ გვაქვს არსენი კათალიკოსის ცნობა, რომ ამგვარი ნაწარმოებები ძველთაგანვე არსებობდა. არსენი ასეთ რამეს ამცნობს ზედაზნის მონასტრის წინამდღვარსა და მმათა კრებულს იოანე ზედაზნელის შესახებ:

ამას რად ვიტყვ, არა თუ მუნ რომელთამე საქმეთა და ცხორებასა მისსა გაუწყებ თქვენ, მმანო, არამედ რომლითა მიზეზითა მოიწია სოფელსა ამას ჩუენსა მოგითხობ, ხოლო პირველი იგი ცხორებად და საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან პირველსა მას წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად (აბულაძე 1955: 18, ხაზგასმა ჩვენია – შ. მ.)

ანუ არსენის სიტყვები რამდენიმე გარემოებას ცხადყოფს: არსენი სარგებლობდა „პირველი წიგნით” ანუ იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების შესახებ დაწერილი თავდაპირველი თხზულებით და არსენის სამწერლობო მოღვაწეობის მიზანი, ამ შემთხვევაში, საღვთისმეტყველო ხასიათისაა და არა ისტორიული, რაზეც მიუთითებს მისი სიტყვები, რომლის თანახმადაც მისი თხზულების მიზანი იყო ზედაზნელი ბერებისათვის განეცხადებინა ის „მიზეზი”, რის გამოც სირიელი მამები ქართლში მოვიდნენ. ეს მიზანი კი პროვიდენციული, საღვთო შინაარსისა იყო.

მ. ჩხარტიშვილი იოანე ზედაზნელის ცხოვრებათა რედაქციებს შემდეგი ინდექსებით აღნიშანვს: ვრცელი რედაქცია – Z<sub>1</sub>, არსენისეული რედაქცია – Z<sub>2</sub>, მეტაფრასული – Z<sub>3</sub>, ხოლო სვინაქსარული – Z<sub>4</sub>. მისი შეხედულებით,

Z<sub>2</sub> (ანუ არსენისეული – შ. მ.) რედაქციის დახვეწილობა და სტილისტური სისადაგეც შედეგი უნდა იყოს იმისა, რომ მისი შემქმნელი რედაქციულ სამუშაოს უკვე არსებული ძეგლის მიმართ ეწევა, მასალის შეკრებისა თუ თხზულებაში მისი რაციონალური განაწილების სიმბიმე მას არ აწევს (ჩხარტიშვილი 1996: 129).

ზემოთქმულიდან გამომდინარე არ შევცდებით თუკი ვიტყვით, რომ ეს „პირველი ცხოვრებანი” სწორედ იოანე-მარტვირს უნდა აღწერა და ეს „ცხოვრებანი” უფრო მეტად იყო დატვირთული ისტორიული ხასიათის ცნობებით. მ. ჩხარტიშვილს ამის შესახებ სავსებით მართებულად მსჯელობს:

როგორ ასახავს ციკლის არსენისეული ვერსია პროტოძეგლებს? უპირველეს ყოვლისა, აშკარაა, რომ პროტოგრაფული ვერსიის რედაქციები გაცილებით ვრცელი და ფაქტებით მდიდარი თხზულებები იყო. არსენი არც მალაგს, რომ ამოკლებს. ჩანს მას სურდა მოუცა კომპაქტური თხრობა, წარმოედგინა

ერთიანი ისტორიული პარონამა... ეს იყო ადაპტირებული დიდაქტიკური სულისკვეთების ტექსტები, შედარებით შეზღუდული ფაქტობრივი მონაცემებით და ვრცელი მსჯელობებით ეთიკურ თემებზე. მათ ხმარებიდან გამოდევნეს ისტორიოგრაფიული მიზანდასახულობის ვრცელი რედაქციები და საბოლოოდ, ჩანს, ამ უკანასკნელთა დაკარგვის მიზეზადაც იქცნენ (ჩხარტისვილი 1996: 134).

თუმცა იოანე-მარტინის მიერ დაწერილი თხზულებები საბოლოოდ დაკარგულად მაინც ვერ ჩაითვლება. საგარაუდოდ იოანე-მარტინის თხზულებათა გვიანდელი (IX-X სს.) რედაქცია უნდა იყოს სინურ ხელნაწერებში დაცული „იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრებაც”, რომელიც საგსებით ახალ ცნობებს გვაწვდის და ეს ცნობები სწორედ ბიოგრაფიული, ისტორიული ხასიათისა (იხ. ქვემოთ).

იოანე ზედაზნელის ცხოვრება ხუთი რედაქციითაა მოღწეული. ვრცელი უძველესი რედაქცია X საუკუნის არსენ II (955-980) ეპუთვნის და ნაკლული სახითაა შემორჩენილი (თხზულება იოანესაგან ზედაზნებზე განრდვეულის განკურნებაზე წყდება), მეორე რედაქცია არსენისეული ნაწარმოების შემოკლებული ვარიანტია, ხოლო მესამე – ამ შემოკლებულ გერსიაზე აღმოცენებული მეტაფრასული (ვრცელი) რედაქციაა (აბულაძე 1955: IX-XXIII), მეოთხეა სვინაქსარული (ჩხარტიშვილი 1996: 128-129), ხოლო მეხუთე – სინური (ალექსიძე 2016: 29).

შოთა და გვაგრეს ცხოვრების მხოლოდ ორმა რედაქციამ მოაღწია ჩვენამდე – მოკლემ და ამ მოკლე რედაქციის გადამუშავების შედეგად აღმოცენებულმა ვრცელმა. აბულაძის თანახმად, შოთა და გვაგრეს ცხოვრება თავიდან იოანე ზედაზნელის ცხოვრების ნაწილი, მისი გაგრძელება უნდა ყოფილიყო (აბულაძე 1955: VII).

დაგით გარეჯელის ცხოვრებაც ორი რედაქციით გვაქვს: მოკლეთი და მეტაფრასულით (რომელიც XII საუკუნეში უნდა შექმნილიყო) (აბულაძე 1955: VIII)

სამი რედაქციითაა (მოკლე, ვრცელი და სინური) დაცული აბიბოს ნეკრესელის წამება. პ. კეკელიძის აზრით აბიბოს ნეკრესელის წამების კიმენური (მოკლე) რედაქცია IX არსენ I დიდს უნდა შეექმნა, ხოლო ვრცელი რედაქცია XII საუკუნეში უნდა შეეთხაოთ (კეკელიძე 1980: 537). კიმენის (მოკლე რედაქციის) არქეტიპულობას უჭერდა მხარს ბ. მარტინ-იზარი (მარტინ-იზარი

1985: 159-165). ილ აბულაძისა და ზ. ალექსიძის თანახმად, „უძველესია კრცხლი და არა მოკლე რედაქცია (აბულაძე 1955: VIII; ალექსიძე 1999: 28). მარტვილობა (შემორჩენილ რედაქციათა არქეტიპი) უნდა დაეწერა ნეკრესის უცნობ ეპისკოპოსს, მაშინ როდესაც კახეთი „გევია“ (ასე მოიხსენიება ტექსტში) და არა დამოუკიდებელი სამთავრო (ამ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ის VIII საუკუნეში იქცა), ამიტომ თხზულება დაწერილი უნდა უყოს VI საუკუნის მიწურულს ან VII საუკუნის დამდეგს (ალექსიძე 1999: 28).

დანარჩენ ასურელ მამათა ცხოვრებანი გვიანდელი, მეტაფრასული და სვიანაქსარული რედაქციებითაა შემორჩენილი. სირიელ ბერთა მოღვაწეობის აღწერის ხელახალი წამოწყება XVIII საუკუნეში გარეჯის ლიტერატურულ სკოლას უკავშირდება (გაბიძაშვილი 1968: 226).

## §2. ასურელი მამები – ასკეტები და მისიონერები

ქართველოლოგიაში ასურელი მამების მოღვაწეობასთან დაკავშირებით უურადღებას ყოველთვის მათ მიერ დაარსებულ მონასტრებზე ამახვილებდნენ და მათ უპირველეს დამსახურებად სწორედ ქართული ბერმონაზვნობისათვის საფუძვლის დადებას თვლიდნენ. ამ მოსაზრებასთან ერთად XX საუკუნის I ნახევარში ასურელ მამებს სხვა „დამსახურებაც“ აღმოუჩინეს. მეცნიერთა ნაწილის თანახმად მათი მოღვაწეობა სპეციფიკურად კონფესიურ ხასიათს ატარებდა. 1926 წელს პ. კეკელიძემ გამოთქვა შეხედულება მათი მონოფიზიტური აღმსარებლობის შესახებ (კეკელიძე 1926: 96), რომელიც გაიზიარა ლ. მენაბდემ (მენაბდე 1962: 179, 269, 274), შესაბამისად ამ მეცნიერებმა ასურელ მამებს ერთერთ მიზანდასახულობად ქართლში მონოფიზიტობის ქადაგებაც ჩათვალეს, თუმცა სპეციალისტთა ნაწილმა მათი მონოფიზიტობა არადამაჯერებლად მიიჩნია და ასურელ მამათა მოღვაწეობის უმთავრეს მოტივად, პირიქით, მონოფიზიტობის წინააღმდეგ დიოფიზიტობის გავრცელება მიიჩნია (ჯავახიშვილი 1979: 411).

ჩვენ არ გვაქვს არავითარი მტკიცებულება იმ მოსაზრების სამტკიცებლად, რომლის თანახმადაც ასურელი მამების მოღვაწეობის უმთავრეს მიზანს ქართლში სამონასტრო ცხოვრების დაარსება ან კონფესიური ანტაგონიზმი წარმოადგენდა. მაშ რისთვის მოვიდა ეს ცამეტი სირიელი ასკეტი

საქართველოში? წყაროთა მიხედვით პასუხი ცალსახაა: მათი მოვალეობა მისიონერული საქმე ანუ ქართული წარმართობისა და სპარსული ზოროასტრიზმის წინააღმდეგ ქადაგება იყო. ასურელი მამათა ცხოვრებანი ხაზს უსვამს, რომ ისინი ქართლში წმ. ნინოს საქმის გამგრძელებლები იყვნენ. ცხოვრებებში მათი სულიერი კავშირი და ერთგვარი ლეგიტიმაცია წმ. ნინოსგან ძალიან აშკარაა. მართალია ქართლი ქრისტიანობაზე უკვე ორასი წლის მოქცეული იყო, მაგრამ ქართული წარმართობა ჯერ კიდევ მძლავრობდა (განსაკუთრებით მთიანეთში), ხოლო ცეცხლთაყვანისმცემლობას იბერიაში, სომხეთსა და ალბანეთში სპარსეთის იმპერია ავრცელებდა, რომელიც ამიერკავკასიის ქვეყნებზე მუდმივად აცხადებდა პრეტენზიას და ამის გამო რომის იმპერიასთან მუდმივ დაპირისპირებაში იმყოფებოდა (თუმანოვი 1963: 360-361). ზოროასტრიზმი ქართლში ფართოდ იყო გავრცელებული, რასაც ნარატიული წყაროები (ქართული ისტორიული ქრონიკები და ჰაგიოგრაფიული ძეგლები), არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ზოროასტრული ტაძრები და თვით XX საუკუნეები ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცული ჩვეულებანი ადასტურებს (ჯავახიშვილი 1979: 324; მაკალათია 1927: 179-196; კეკელიძე 1945: 342-353; ჭილაშვილი 2000: 44-59; იონგი: 2015: 126-127).

ასურელი ბერმონაზვნობისათვის დამახასიათებელი იყო მკაცრი ასკეტიზმისა და ამავე დროს აქტიური მისიონერული საქმიანობის შეთავსება. ცხადია რომ ასურელი მამები მშობლიური ტრადიციის გამაგრძელებლები იყვნენ და მათ საღვთო მოწოდებას იბერიაში ასკეტურ მოღვაწეობასთან ერთად ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება წარმოადგენდა. აქვე აღსანიშნავია, რომ სირიელ ასკეტთა და მისიონერთა ქადაგებას მხოლოდ ქართლში არ ჰქონია ადგილი. მაგ. სომხეთში დანიელ ტარონელი და მისი მოწაფეები აქტიურად ქადაგებდნენ და აარსებდნენ მონასტრებს V საუკუნის დასაწყისში (ჰაასი 2009: 96), ასეთივე ასკეტ მისიონერთა ჯგუფი ჩავიდა ალბანეთში დაახლოებით ამავე ხანებში (VI საუკუნის შუა წლებში), პეტრე გლახაკომოყვარის მონასტრიდან (ჯავახიშვილი 1979: 414), ქართლსა და ალბანეთში მოღვაწე სირიელ მამათა თანამედროვე იყო ცხრა ასურელი მამა, რომელიც ჩრდილოეთ ეთიოპიასა და ერითრიაში (აქსუმის სამეფოში) მოღვაწეობდა ქარისტიანობისა და ბერმონაზვნური ცხოვრების გასავრცელებლად (ჰაასი 2009: 96).

შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად ასურელ მამათა რიცხვი ცამეტი იყო (რაც უპირველეს ყოვლისა

სიმბოლურია, მაგრამ ეს სიმბოლურობა მათი რაოდენობის ისტორიულობას არ გამორიცხავს). ესენი იყვნენ (მათი ზედწოდებები საქართველოში მათი მოღვაწეობის ადგილებს აღნიშნავს): ბერების ჯგუფის წინამდღოლი იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები - შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ისიდორე სამთავნელი, სტეფანე ხირსელი, ზენონ იყალთოელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, მიქაელ ულუმბოელი და ელია დიაკონი. მათი რაოდენობა 15 იქნება, თუკი მათ რიცხვს ანტონ მარტყოფელსა (რომელიც მოგვიანებით, 545 წელს შეუერთდა იოანე ზედაზნელის გუნდს) და თეოდოსი მრეხელს მივუმატებთ (ალექსიძე 2016: 29). ბერების რიცხვთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში გაურკვევლობა იყო და ზოგიერთი მკვლევარი თვლიდა რომ მათი რაოდენობა 17-ს აღწევდა (კეგელიძე 1926: 87-88), თუმცა ეს გაუგებრობა გამოწვეული იყო ასურელ მამათა ორ სიას შორის არსებული განსხვავებით. ერთი სია დაცულია შიო მღვიმელის მეტაფრასულ ცხოვრებაში, ხოლო მეორე იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში. საქმე ისაა რომ ასურელ მამათა ჩამონათვალი უკეთად დაცული იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში, ხოლო შიო მღვიმელის მეტაფრასულ ცხოვრებაში ახალი სახელებია ჩამატებული, რაც ცხოვრების ავტორმა სახელთა არასწორად გაგების შედეგად მიიღო (მერკვილაძე 2005: 189-204). აქვე უნდა შევნიშნოთ რომ ასურელ მამათა რიცხვს ახალ სახელებს უმატებს ასურელ მამათა ცხოვრების სინური რედაქციაც. სინური ხელნაწერის მიხედვით მათი სახელებია: შიო, დავითი, იოსები, ზენონი, თევდოსიოსი, ეზდრიოსი, სოლომოზ, თათა, პრობოზ, ვათა, პიმენ, ნათან (ალექსიძე 2011: 170). აქედან სოლომოზი, ვათა, პიმენი და ნათანი იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში დაცული სიისათვის უცნობია (როცლია არაა იმის გამოცნობა, რომ პრობოზი იგივე პიროს ბრეთელია), თუმცა ზ. ალექსიძის სამართლიანი შენიშვნით, ეს უკანასკნელი იოანე ზედაზნელის სხვა, ქართველი მოწაფეები უნდა ყოფილიყვნენ (ალექსიძე 2011: 172). იგივეს ვერ ვიტყვით თევდოსიოსზე, რომელიც სინური რედაქციის თანახმად, იოანეს ისიდორესთან (ისიდორე სამთავნელი) ერთად ედესაში შეხვედრია. თევდოსიოსი ედესაში დაცული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის (მანდილონის) წინაშე მსახური, ბერდიაკვანი იყო, ქალაქის მსაჯულის ვაჟი (ანუ არისტოკრატიული ოჯახიდან) (ალექსიძე 2011: 170). სინური რედაქცია მას თეოდოსი მრეხელად იხსენიებს, ქართლში მოსული ის რეხის ქვაბში დაეყუდა

და აქვე აღაშენა მონასტერი. ის სხვა ასურელ მამებთან ერთად მოვიდა იბერიაში.

ქართული წყაროები უკელგან ხაზგასმით აღნიშნავენ მათ სირიულ წარმომავლობას. XIX საუკუნის ისრტორიოგრაფიაში სხვადასხვა მწერლისა და პუბლიცისტის წარმოსახვაში, ისინი ქართველებად იქცნენ, ბოლო დროს ზოგიერთმა მკვლევარმაც გაიზიარა აზრი მათი ქართული წარმომავლობის შესახებ (გოილაძე 2002: 144), თუმცა ეს შეხედულება მოკლებულია დამაჯერებელ არგუმენტაციას და არც ერთ წყაროში არ პოულობს დასტურს. კამპანიები მათი ეთნიკურად ქართველობის დასამტკიცებლად იოანე ზედაზნელის ქართულად ამეტყველების პასაჟს იმოწმებდა (კეკელიძე 1926: 96), მაგრამ აღნიშნული პასაჟი ტიპიურია პაგიოგრაფიისათვის: წმინდა კაცი მოულოდნელად იწყებს უცხო ენაზე საუბარს. ეს ნარატივი გენეტიკურად საქმე მოციქულთაში მოთხოვთ სულთმოფენობის სასწაულს უკავშირდება, როდესაც მოციქულებმა, რომლებსაც ხალხთა მოქცევის მისია ეკისრათ, მათვის უცხო ენებზე დაიწყეს მეტყველება. ასეთივე მისია ჰქონდათ სირიელ ბერებსაც და ამიტომაც მათი წინამდოლი მოულოდნელად ქართულად იწყებს საუბარს. მათ სირიულ წარმომავლობას ადასტურებს მათი ცხოვრების უძველესი სინური რედაქციაც (ალექსიძე 2011: 170-173), სადაც, სხვათა შორის, ზემოხსენებული ეპიზოდი არ გვხდება. სინურ რედაქციებზე დაყრდნობით ზ. ალექსიძემ ცხადად აჩვენა მათი ქართული წარმომავლობის შესახებ არსებული აზრის უსაფუძვლობა (ალექსიძე 2016: 28-32).

სირიელ მამათა მოღვაწეობა ბიზანტიურ პაგიოგრაფიაში თეოდორიტე კვირელისა და კირილე სკვითოპოლელის მიერ დასახულ კლასიკურ ხაზს მიჰყვება. X საუკუნის ავტორი არსენ კათალიკოსიც ქართლში შემოსული ასურელი მამების ცხოვრების აღწერისას სახელგანთქმული სირიელი და პალესტინელი ბერების ცხოვრებათა მოდელებს ეყრდნობა. არსენ II პირდაპირ იმოწმებს ხაბა განწმენდილის ცხოვრებას, ადარებს რა იოანე ზედაზნელის ბრძოლას დაცემულ ანგელოზთა წინააღმდეგ საბა განწმენდილის იმავე სახის მოღვაწეობას (აბულაძე 1955: 28). კათალიკოსი არსენ II ვრცელი და ორიგინალური საღვთისმეტყველო შესავლის შემდეგ ასე იწყებს იოანე ზედაზნელის ცხოვრების აღწერას:

ესე ნეტარი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით და წინამდლურებითა სულისა წმიდისადთა მოიწია ქუეყანასა ქართლისასა, მახლობელად დედა-ქალაქსა

მცხეთას, რომელმან განუქუთვნა თავი თუსი სიყრმითა თუსითგან ქრისტესა  
(აბულაძე 1955: 12).

იოანემ ადრეული ასაკიდანვე დაიწყო მონაზვნური ცხოვრება და მიიღო  
სასწაულთმოქმედების უნარი, რითაც სახელი განითქვა (აბულაძე 1955: 16),  
მაგრამ იოანე დიდებასა და ამ დიდებისაგან გამოწვეულ, ასკეტურ პრაქტიკასა  
და ლიტერატურაში კარგად ცნობილ ყველაზე საშიშ ვნებას – ამპარტავნებას  
გაურბოდა, ამიტომ დაყუდების თავდაპირველი ადგილი მიატოვა და უდაბნოს  
მიაშურა. როგორც იოანეს ცხოვრება გვაუწყებს ის უდაბნოში ერთ-ერთ  
გამოქვაბულში დაყუდება თავის მოწაფეებთან ერთად ე. ი. მოწაფეები მას ჯერ  
კიდევ მოღვაწეობის თავდაპირველ ადგილას, უდაბნოში გასვლამდე  
შემოუკრებია. თხზულების ამ პასაუში ჩვენ ვხდებით ანაქორეტთა ანუ  
განდეგილთა ერთობას. ეს ერთობა ყველაზე პრიმიტიული, ემბრიონული თემია  
მომავალი ორგანიზებული მონასტრებისა, ისეთი თემი როგორებიც აღწერილი  
აქვს თეოდორიტე კვირელს. ასე იწყებდნენ მოღვაწეობას იულიანე-საბა,  
მარკიანე, ევსები ტელადელი, თეოდოსი და IV-V საუკუნეების სხვა  
სახელგანთქმული სირიელი ასკეტები (ჯულელი 2011: 68-146). მარტომყოფელთა  
ამ ერთობაში არ არის რაიმე მკაცრად გაწერილი დღის რეჟიმი, ტიპიკონი, არც  
სხვა სახის რაიმე განაწესი. მოღვაწენი ქარიზმატული წინამდოლის გარშემო  
არიან შეკრებილები. მაგრამ ბერების რიცხვის გამრავლებასთან ერთად თავს  
იჩენს ჰაგიოგრაფიის მარადიული თემა და თავსატეხი: ანაქორეტობისკენ  
დაბრუნება. ნებისმიერი დიდი წმინდანი თავისი მოღვაწეობის ადრეულ  
საფეხურზე დაბრუნებას ელტვის და ამიტომ მუდმივად „გარბის“. წმინდანი  
სახელს განითქვამს სასწაულმოქმედებითა და წინასწარმეტყველების  
მადლმოსილი ნიჭით, მის გარშემო მოწაფეთა მრავალრიცხოვანი წრე იკრიბება  
და სულიერი და ხორციელი კურნების მოსურნე ხალხი უხვ ნაკადად აწყდება,  
თავდაპირველი მყუდროების დარღვევით შეწუხებული ასკეტი კი პვლავ  
მარტოებას ეძებს. ასეა იოანე ზედაზნელის შემთხვევაშიც, იოანე მოწაფეებთან  
ერთად უდაბნოში მდებარე ქვაბში დაყუდება (როგორც სირიული სამონასტრო  
ცხოვრების ფუძემდებელი იულიანე-საბა (ჯულელი 2011: 503)) და  
საზრდელისათვის რომელიმე მოწაფეს პერიოდულად ქალაქში აგზავნის, მაგრამ  
იოანეს თავის საბოლოოდ დაფარვა მაინც არ გამოუვიდა, რადგან საღმრთო  
ჩვეულების თანახმად, ვინც თავს დაიმდაბლებს, ის ამაღლდება. ასე დაემართა  
იოანესაც და მისი სახელი პვლავ განითქვა, მითუმეტეს სირიაში ზღვარი

უდაბნოსა და დასახლებულ სამყაროს შორის არც ისე მკვეთრი იყო, ამიტომ იოანესთან წუთისოფელი კვლავ შემოიჭრა უდაბნოში, რის შემდეგაც მან სირიის საბოლოოდ მიტოვება და უცხო ქვეყანაში წასვლა გადაწყვიტა, თუმცა ამ უცხო ქვეყანაში ზღვარი უდაბნოსა და სოფელს შორის კიდევ უფრო მოწყვლადი აღმოჩნდა.

კათალიკოსი არსენ II დაწვრილებით არ აღწერს იოანეს სირიაში მოღვაწეობის პერიოდს, რადგან მისი თქმით იოანეს ცხოვრების სირიული პერიოდი მის „პირველ ცხოვრებაში“ იყო აღწერილი (აბულაძე 1955: 18), რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია (და რომლის ავტორიც იოანე-მარტვირი უნდა ყოფილიყო). იოანეს უცხოეთში მარტოდ წასვლა სურდა, მაგრამ მოწაფეებმა ელისე წინასწარმეტყველის სიტყვა გაიხსენეს და მის მარტოდ გაშვებაზე უარი თქვეს. იოანე ზედაზნელი ელიას ემსგავსება, ხოლო მოწაფეები – ელისეს, რაც ასე ტიპიურია ქრისტიანული პაგიოგრაფიისათვის. ისტორიული თხრობა ბიბლიურ ყალიბში ექცევა და წმინდა წერილისეული პასაუები წმინდანთა ცხოვრების თითოეულ ეპიზოდში პოულობენ გამოძახილს. არსენ II თქმით ასურელი მამები ქართლში „უხილავი ძალის წინამდღურობით“ მოვიდნენ, იმ უხილავი ძალისა, რომელიც ოდესდაც მოგვებს მოუძღვებოდა ბეთლემში ახალშობილი ყრმის სანახავად (აბულაძე 1955: 22), ხოლო იოანე ზედაზნელის მეტაფრასული ცხოვრების უცნობი ავტორის აღწერით იოანე ქართლში წამოვიდა „დამტევებელი ქუეყანისა და მამულისა თვითისა, ვითარ სხუად ვინმე აბრაჟამ, საუფლოვსა ჭმისა მიერ წოდებული...“ (აბულაძე 1955: 23). ასე მოვიდნენ ასურელი მამები ქართლში. კათალიკოსს ევლალიოსს საღმრთო ჩვენებით ეუწყა ქართლში წმინდა მამების მოსვლის შესახებ (აბულაძე 1955: 81) და ბერებს მცხეოაში შეეგება. აქ პაგიოგრაფი ცოტა ხნით ჩერდება და იმის შესახებ ყვება, თუ როგორ ამეტყველდა ქართულად იოანე კათალიკოსთან შეხვედრისას და ამ ეპიზოდს სულთმოფენობის სასწაულს ადარებს. იოანემ მოწაფეებთან ერთად სვეტიცხოველს თაყვანი სცა და დმერთს სამოღვაწეო ადგილის ჩვენებას შეევედრა (აბულაძე 1955: 24). პაგიოგრაფის აღწერით, საღვთო უწყებით, იოანემ ზედაზნის მთას მიაშურა, რომელიც ჯერ კიდევ იმყოფებოდა წინარექრისტიანული კულტების გავლენის ქვეშ, და აქ დაემკვიდრა „უდაბნოს მოყუარე ესე გურიტი“ (აბულაძე 1955: 27), თუმცა სინური რედაქციის ცნობით ზედაზნის მთაზე ასვლამდე, მოწაფეებთან ერთად, მთელი ქართლის სამეფო მოიარა ქადაგებით (ალექსიძე 2011: 172). შოთა და უვარეს ცხოვრების

გადმოცემა ითანებს ცხოვრების ცნობებს ავსებს: ერთ დღესაც ითანემ ზედაზნის მთაზე ეშმაკთა სიმრავლე იხილა, ამიტომ მათთან საბრძოლველად სწორედ ამ მთაზე დამკვიდრება და დაცემულ ანგელოზთა განდევნა გადაწყვიტა (აბულაძე 1955: 84), მიუხედავად იმისა რომ კათალიკოსმა ეს არ ურჩია, ითანემ მოწაფეებთან ერთად ზედაზნის მთას მიაშურა, მაისის თვეში ადიდებული არაგვი სასწაულებრივად გადალახა და მთაზე ერთ-ერთ ქვაბში დაეყუდა, ხოლო მოწაფეებმა „იქმნეს მცირედი რამე ტალავრები და იღწუიდეს ძლიერად...“ (აბულაძე 1955: 86).

როგორც ავლნიშნეთ სირიულ ასკეტურ ტრადიციაში პირველი ასეთი პრიმიტიული სამონასტრო თემის ჩამოყალიბება იულიანე საბას უკავშირდება. IV საუკუნის დასაწყისში იულიანე საბამ უდაბნოში მოღვაწეობა დაიწყო, დროთა განმავლობაში მის გარშემო ასკეტური მოღვაწეობის მსურველები შემოიკრიბნენ (ჯუდელი 2011: 501-502). ასკეტები იულიანე-საბას სულიერი ხელმძღვანელობის ქვეშ ცხოვრობდნენ და მათ საერთოდ არ ჰქონდათ ორგანიზებული სამონასტრო ცხოვრების წესი. თავდაპირველად სწორედ ამგვარი ფორმის იყო ითანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა მიერ ჩამოყალიბებული ერთობა ზედაზნის მთაზე.

მაგრამ ითანე ზედაზნელის ცხოვრების თანახმად, ითანეს განმარტოების სურვილი არ ტოვებდა, ამიტომ მოწაფეებს ქართლის სხვადასხვა კუთხეში საქადაგებლად წასვლა დაავალა (აბულაძე 1955: 29-30), თუმცა შორსა და კვაგრებს ცხოვრების ცნობით, ეს მხოლოდ ითანეს განმარტოების სურვილით არ ყოფილა გამოწვეული. ითანემ ერთ დამეს ჩვენებაში ყოვლადწმინდა ღვთისმმობელი და წმინდა ნინო იხილა, რომლებმაც ითანეს მოწაფეების სხვადასხვა ადგილას „განთესვა“ უბრძანეს ქრისტიანობის საქადაგებლად. აქ ისევ ცხადად ჩანს ქართულ ჰაგიოგრაფიაში გატარებული აზრი წმინდა ნინოსა და ასურელი მამების ღრმა პროვიდენციული და სულიერი კავშირის შესახებ: ასურელი მამები წმინდა ნინოსაგან დაწყებულ საქმეს აგრძელებენ (აბულაძე 1955: 91; სირაძე 1987 : 51). იგივე მოტივი გვხდება ასურელ მამათა ცხოვრების სინურ რედაქციაში (ალექსიძე 2016: 30-32).

საქადაგებლად გაგზავნის წინ ითანემ მოწაფეები დამოძღვრა. ითანეს დარიგებას რ. სირაძე ცალკე თხზულებად თვლის, რომელსაც იგი ითანეს სწავლებებს უწოდებს (სირაძე 1992: გვ.). მართლაც ითანეს ეს სწავლება მოწაფეებისადმი ცალკე საღვთისმეტყველო-პომილებიკური ნაწარმოების

შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ახლა ძნელია იმის თქმა თავიდან ცალკე ნაწარმოები იყო თუ არა ის. მოწაფეთა დარიგების შემდეგ იოანემ ისინი ქართლის სამეფოს სხვადასხვა კუთხეებში დაგზავნა (აბულაძე 1955: 38-39). იოანეს მიერ მოწაფეთა საქადაგებლად გაგზავნა სიმბოლურად აშკარად უკავშირდება მაცხოვრის მიერ თავის მოწაფეთა წაგზავნას სახარების საუწყებლად პალესტინის სხვადასხვა მხარეებში. მეტაფრასული იოანე ზედაზნელის ცხოვრების ავტორი ასურელ მამებს მოციქულებს ადარებს (რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს მათ უმთავრეს მისიაზე), ახასიათებს რა სირიელ ბერებს პავლე მოციქულის სიტყვებით, აღწერს მათი ასკეზური ცხოვრების სირთულეებს. საინტერესოა, რომ მეტაფრასის თვალთახედვით ასურელმა მამები მოციქულებსაც მიემსგავსნენ და „პირველ მამებსაც“ – დიდ მეუდაბნოებს, რომლებიც „უხელოვნო და მარტივ“ ცხოვრებას მისდევნენ. ათვამეტი სირიელი ბერის მსახურებაში მოციქულებრივი და მონაზვნური იდეალები ერთმანეთს შეერწყა, რამაც ქართლისათვის და მისი ეკლესიისათვის უმნიშვნელოვანები შედეგები გამოიდო.

იოანემ ანაქორეტული მოღვაწეობა ელია დიაკონთან ერთად ზედაზნის მთაზე გააგრძელა. ჰაგიოგრაფი მაღალმხატვრულად აღწერს თუ როგორ ებრძოდა იოანე დაცემულ ძალას. თავისი სულიერი დვაწლით ზედაზნის მთაზე კერპომსახურების დროიდან დაბუდებული ბოროტი სულები განდევნა. ეშმაკებმა ჩრდილოეთით გადაინაცვლეს. ქართული ჰაგიოგრაფიის (და არა მარტო ქართული ჰაგიოგრაფიის) თანახმად ჩრდილოეთი ცოდვისა და სიბნელის ადგილია, ქართლის მოქცევაშიც ხომ წარმართული ქართლი ჩრდილოეთის ანუ „კედარის ქვეყნად“ მოიხსენიება (ლერნერი 2004: 139). იოანემ განწინდა თავისი სამკვიდრებელი და ასე გააგრძელა მოღვაწეობა.

იოანე ზედაზნელის სახელს ჰაგიოგრაფი რამდენიმე სასწაულს უკავშირებს, მათ შორის ზედაზნის მთაზე წყაროს აღმოცენებას და დათვის მოთვინიერებას, რაც ჰაგიოგრაფიაში ერთ-ერთი უმთავრესი მოტივის - წმინდანებსა და ბუნაბას შორის არსებული ჰარმონიის (რაც წმინდა მოღვაწის ადამის პირვანდელ, უცოდველ მდგომარეობაში დაბრუნებას ასახავს (მერკვილაძე 2005: 44)) ტიპიური გამოხატულებაა. ბუნება სირიელი ასკეტისათვის მშობლიური სახლი და ლვთისაგან ბოძებული გადაშლილი წიგნია დიად ლვთაებრივ საქმეთა შესამეცნებლად.

იოანე ზედაზნელი ბოლომდე მკაცრი სირიული ანაქორეტიზმის ერთგული დარჩა. არსენ კათალიკოსის თქმით,

ხოლო შენებად არა ინება მას ადგილსა, არამედ ვითარცა არს წესი მარტოდ მყოფობისად, იყოფვოდა; ნაპრალსა მას კლდისასა ეპოვნა ქუაბი მცირე, რომელსა შინა ადასრულა მწირობად სარწმუნოსა ამის ცხორებისად... (აბულაძე 1955: 52).

სიკვდილის მოახლოებისას იოანემ მოწაფეებს მოუწოდა და სულიერი დარიგებანი მისცა, რის შემდეგაც გარდაიცვალა. მართალია იოანემ თავის განსასვენებლად თავისივე სამოღვაწეო ადგილი აირჩია, ელია დიაკონმა და თადეოზმა, რომელსაც ზედაზნის მთის ძირში მონასტერი ჰქონდა აშენებული, მისი წმინდა ნაწილების მონასტერში გადასვენება გადაწყვიტეს, ასეც მოიქცნენ და მისი წმინდა ცხედარი ლუსკუმაში ჩაასვენეს, მაგრამ მიწისძვრის შემდგომ მისი ნეშტი კვლავ მისი დაყუდების დააბრუნეს, სადაც მოგვიანებით კათალიკოსმა კლიმენტიმ ეკლესია ააშენა. გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით, პირველი ეკლესია ზედაზენზე იოანეს მოღვაწეობის ადგილზე VI საუკუნის ბოლოს ან VII საუკუნის დასაწყისში აშენდა იოანეს მოწაფეთა მიერ. სწორედ ამ ეკლესიაში დაასვენეს წმ. იოანეს წმიდა ნაწილები, რომელიც გ. ჩუბინაშვილის დასკვნით, თავდაპირველად, ხის ლუსკუმაში უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ეს ეკლესია დარბაზულია და მართკუთხა ფორმის საკურთხეველით გამოირჩევა. VIII საუკუნეში ქართლის კათალიკოსმა კლიმენტიმ აქ სამეკლესიანი ბაზილიკა ააშენა და ეს ტაძარიც ამ სამეკლესიან ბაზილიკაში ჩართო (ჩუბინაშვილი 1971: 31-38).

შიო მღვიმელი იოანე ზედაზნელის გამორჩეული მოწაფე და ერთ-ერთი დიდი ქართული მონასტრის დამაარსებელი იყო. შიოც ეთნიკურად სირიელია, ის „იყო ქუეყანით ასურეთისათ, დიდით მით ღმრთის ქალაქით ანტიოქიათ”, მორწმუნე არისტოკრატი მშობლების შვილი. შიომ ადრეული ასაკიდანვე დაისწავლა წმინდა წერილი და ქრისტიანული ღვთისმეტყველება.

იქმნა რაო წლისა ათექუსმეტისა, იწყო გამოძიებად სიტყუათა წმიდათა წიგნისა, და ზინ და იკითხავნ განუსუენებელად დღე და დამე... (აბულაძე 1955 : 71).

შიომ მშობლების შემონაზვნების შემდეგ ქონება გაყიდა, გლახაკებს დაურიგა და თვითონ იმ დროისათვის სახელგანთქმულ მოღვაწეს იოანეს დაემოწაფა, ეს მოხდა როდესაც „დირსი შიო იქმნა ოცისა წლისა” (აბულაძე

1955: 72). როგორც ზემოთ ავლიშნეთ სირიელი ბერები თავდაპირველად ზედაზნის მთაზე დამკვიდრდნენ და აქ ოთხი წელი გაატარეს. რადგანაც შიო დაყუდების მოყვარე იყო, „ევედრებოდა იოანეს, რათა უბრძანოს მას დაყუდებით ყოფად” (აბულაძე 1955: 91). იოანემ და ქართლის კათალიკოსმა შიოს დაყუდებაზე კურთხევა მისცეს და შიოც დაემკვიდრა „კაცთაგან ყოვლად უვალთა მაღნართა და კლდეთა საშინელთა”, მცხეთის დასავლეთით მდებარე ხევში.<sup>66</sup> ხევი იყო

ღრმავ უნუგეშისცემო, ურწყული, სავსე მჭეცთა მიერ და ქუეწარმავალთა გესლიანთა, რომელი-იგი მიხედვით ოდენ შეაძრწუნდებდა კაცობრივსა ბუნებასა (აბულაძე 1955: 92).

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ შიომ სულიერი მამებისგან – იოანესა და კათალიკოსისგან განსაკუთრებული კურთხევა აიღო განსაკუთრებულ ღვაწლზე – მემყუდროვე ცხოვრებაზე ანუ ჰესიქასტურ მოდვაწეობაზე. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული მონასტრის წინამდღვრები მონაზვნებს ამგვარი ღვაწლის აღებაზე არ აკურთხებდნენ, თუკი მონაზონს შესაბამისი მომზადება არ გაევლო კვინობში ანუ სხვა ძმებთან ერთად. მხოლოდ ამის შემდეგ გადიოდა მონაზონი უდაბნოში მარტო სამოღვაწეოდ. ჰაგიოგრაფი გვამცნობს რომ სირიაში შიო იოანესთან ოცი წელი ცხოვრობდა, ხოლო ზედაზენზე – ოთხი, რის შემდეგაც სთხოვა შიომ სულიერ მოძღვარს – ბერ იოანეს დაყუდებლ ცხოვრებაზე ნებართვის მიღება და ამ შემთხვევაშიც კი იოანეს მარტო არ მიუდია გადაწყვეტილება, არამედ შიო ქართლის კათალიკოსთან გააგზავნა და მხოლოდ მისი თანხმობის მიღების შემდეგ მისცა ნებართვა მარტო მყოფს დაყუდებაში ემოღვაწევა. შიომაც დაიწყო მოღვაწეობის ეს ძნელი და „ფიცხელი” გზა სრულიად „უნუგეშო უდაბნოში”. თხზულების თანახმად დაყუდების პირველი სამოცი დღე შიოს საკვები საერთოდ არ მიუდია: „და განასრულა ღირსმან შიო სამეოცი დღე ყოვლად მიუღებელმან საზრდელისა და სასუმელისამან” (აბულაძე 1955: 92-93).

როგორც ცნობილია ჰესიქასტური მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაყოფი შეუქმნელი ნათლის ხილვაა. ჰაგიოგრაფი ლოგიკურად აკავშირებს შიოს უმკაცრეს მემყუდროვე მოსაგრეობასა და ამ ნათლის ხილვას. მას შემდეგ რაც შიომ მორიგი დამე ლოცვაში გაატარა „და ვითარცა მოეახლა ცისკარი, იხილა

<sup>66</sup> 6. ანდღულაძის აზრით, შიო იოანესთან ერთად ზედაზნის მთაზე 543-547 წლებში მოღვაწეობდა, ხოლო ინდივიდუალური განდეგილობა 547 წელს დაიწყო (ანდღულაძე 1972: 7)

ქუაბსა მას შინა თვესა ნათელი მიუთხობელი, რომლისა განცდად ვერ შეუძლებდა” (აბულაძე 1955: 94). ამის შემდეგ აღწერილია ლვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის გამოცხადება. რ. სირაძე აღნიშნავდა, რომ ქართულ ჰაგიოგრაფიაში სახეთა ესთეტურობა მათ სიმბოლიზმში ვლინდება (სირაძე 1987: 3). ასეა ამ პასაუშიც: ლვთისმშობელი როგორც ყოველთა ქრისტიანთა დედა და შემწე და ქართლის გამორჩეული მფარველი (გავიხსენოთ რომ სწორედ ლვთისმშობელი ეცხადება წმინდა ნინოსა და ასურელ მამებს (თან არაერთგზის) და ქართლის გაქრისტიანებას ავალებს) და იოანე ნათლისმცემელი – ქრისტიან მეუდაბნოეთა უცვლელი და უპირველესი არქეტიპი, ქრისტიანული მონაზვნობის მარადიული წინარესახე, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ ქრისტიანი ჰაგიოგრაფები, როგორც მეუდაბნოების კლასიკურ ბიბლიურ ნიმუშს (ელია წინასწარმეტყველთან ერთად). ლვთისმშობელი შიოს უდაბნოს აყვავებასა და მონაზონთა გამრავლებას უწინასწარმეტყველებს: „...იქმნეს უდაბნო ესე აღსავსე კაცთა მიერ ღმერთ-შემოსილთა, რომელი მობაძავ იყვნენ ცხოვრებასა შენსა...” (აბულაძე 1955: 95). ლვთისმშობლის წინასწარმეტყველება ახდება და შიოს თავდაპირველად დიდი მთავარი ევაგრე დაემოწაფება, რომელიც ფარსმან მეფესთან დაახლოებული პირია, ხოლო შემდეგ სხვებიც შემოუერთდებიან, სანამ მონაზონთა რიცხვი ორი ათასამდე არ გაიზრდება.

შიო-მღვიმის მონასტერი ამ ადრეულ პერიოდში (VI საუკუნის შუა ხანები) უბრალო ანაქორეტთა მარტივი ერთობა იყო. შიოს მალევე დაემოწაფა ადგილობრივი არისტოკრატი ევაგრე. შიო თავის გამოქვაბულში აგრძელებდა დაყუდებას, ევაგრე ცალკე ქვაბულში მოღვაწეობდა, ისევე როგორც დანარჩენი ძმები. საწყის ეტაპზე ძმობას ეკლესიაც კი არ პქონდა. ეს არის ჩვეულებრივ ანაქორეტთა არაორგანიზებული ერთობიდან ლავრის კლასიკურ მოდელზე გარდამავალი სამონასტრო ტიპი. თემში მალევე დადგა ეკლესიის საჭიროება.

შემდგომად ამისა იწყეს განმრავლებად მმათა და უღონო იყვნეს, რამეთუ არა იყო მათდა ეკლესია, რომელსაცა შინა შეკრებულ იყვნეს დიდებულსა დღესა წმიდასა კპრიაკესა, და ამისთვის ეტყოდეს ნეტარსა შიოს, რათა უბრძანოს მათ აღშენებად წმიდა ეკლესია (აბულაძე 1955: 106).

შიო ლვთის სასწაულებრივი მინიშნებით ეკლესიისათვის შესაფერისი ადგილი მონახა და მმებმაც აქ დაიწყეს ტაძრის მშენებლობა.

ამის შემდეგ ჰაგიოგრაფი მეფე ფარსმანისა და შიო მღვიმელის შეხვედრის საინტერესო ეპიზოდს მოგვითხოვთ. ეს ეპიზოდი კარგად გამოხატავს

ფეოდალიზაციის გზაზე მდგარი ქართლის საზოგადოებას მონასტრების ადგილს ფეოდალიზაციის ამ ადრეულ პროცესში.

ევაგრე, რომელიც შიოს მიერ მონაზვნად აღიკვეცა დიდად დაახლოებული ყოფილა მეფესთან. შიოსა და ევაგრეს ცხოვრების უცნობი ავტორი მოგვითხობს, რომ მეფე ფარსმანმა ევაგრე ქართლის მმართველად დატოვა, როდესაც თვითონ იმპერატორ იუსტინიანესთან ერთად ტასკუნებთან საომრად იყო წასული. ქართლში დაბრუნებულმა მეფემ გაიგო რომ ევაგრე მონაზვნად აღპვეცილა, რამაც მეფე ფარსმანი ძალიან დაამწუხარა, ამიტომ ის ევაგრესთან მივიდა და ერში დაბრუნება თხოვა.

ხოლო პრქუა მას ღირსმან ევაგრი: შ მეფეო, რად მაწუხებ დაბადებულსა ღმრთისასა, რათა შევირაცხო მსგავსად ძაღლთა კუალად მიქცევითა ნათხევარსავე. და დაარწმუნებდა მრავლითა სიტყვა, რათა კუალად არარად პრქუას ესევითარი (აბულაძე 1955: 109).

### აქ ფარსმანი შიოს შეხვდა და

იხილა რაო ხატი მისი, ზარი განტდა, რამეთუ მაღლი რაომე ღმრთისა იხილა მის ზედა საშინელი და მყის დააგდო ქუეფანად შარავანდი მეფობისა და განიჭხნა სარტყელი და მიისწრაფა და დავარდა ფერგთა თანა ბერისათა (აბულაძე 1955: 109-110).

და წმინდანისაგან შენდობა ითხოვა. შიომ მეფე წამოაყენა, გვირგვინი დაუბრუნა და დალოცა. ამ დროს აღესრული სასწაული და ერთ-ერთი მთავართაგანი, რომელსაც ცალი თვალი ისრისგან ჰქონდა დაზიანებული, ამ ჰრილობისგან განიცურნა. „ესრე რა საკვირველებად იხილეს, ყოველნი აღიდებდეს ღმერთსა” (აბულაძე 1955: 111). მეფემ

მიანიჭა უკუე მონასტერსა მას ოთხნი რჩეულნი სამეფოთა დაბათაგან და დაწერა ჰქელითა თვესითა თავისუფლებად მათი და მისცა ევაგრის ოცდაათი ლიტრა ოქრო ეკლესიათა მათთვს საკმრად, ბარძიმი ოქროსად და ფეშუმი და სხუა ყოველი სამსახურებელი ვეცხლისა, ჯუარი დიდი ოქროსად და სახარებად, ფრიად შუენიერად შემკობილი სანატრელისა მეფისა ვახტანგის მიერ. და განაჩინა ზედა-მდგომელნი საქმისანი, რათა სწრაფით ყონ აღშენებად ეკლესიათა მათ (აბულაძე 1955: 111-112).

წმინდა შიოს მიერ დაარსებული სამონასტრო ერთობა სწრაფად გადაიქცა მრავალრიცხოვან ლავრად.

და განმრავლდა რიცხვ შეკრებულთა მმათავ თრი ათასად და განიოჭა სახელი წმიდისა ამის ყოველსა შინა ქართლსა, და ყოვლით კერძო

მოვიდოდეს ყოველნი და ვერდარა უძლებდეს. და იწყეს მიერითგან სხუათა ადგილთა შენებად, რამეთუ რომელნიმე კოდმანისა კერძო წარვიდეს და ქმნეს მუნცა ლავრად დიდი, ხოლო რომელნიმე სარკინისა (აბულაძე 1955: 113).

პ. ლომინაძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ შიო-მლვიმის მონასტერი უკვე შიოს წინამდღვრობაშივე იქცა ორგანიზაციულად დასრულებულ და ჩამოყალიბებულ ერთობად: მონასტერს ჰყავდა მამასახლისი, პეტრი წესდება და გააჩნდა ვრცელი მამულები (გოროვანი და სხალტბა ის სოფლებია, რომლებიც შიო-მლვიმეს უკვე VI საუკუნეში ეკუთვნოდა და რომელთა სახელები გვიანდელ წყაროებშია შემორჩენილი) (ლომინაძე 1949: 14). იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, ხელოვნებათმცოდენობითი ანალიზით, VI საუკუნეს მიეკუთვნება, რაც ადასტურებს პაგიორგაფიულ ტრადიციას მთავარი ტაძრის შიოს წინამდღვრობაში აშენების შესახებ (ჩუბინაშვილი 1925: 246-253)

ქართველი არქეოლოგები მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ გათხრებს მცხეთასა და მის შემოგარენში, მათ შორის კოდმანისა და სარკინის ტერიტორიებზე, სადაც დიდიალი არქეოლოგიური მასალაა აღმოჩენილი. არქეოლოგიური წყაროები ადასტურებს ამ ადგილთა ფართო განსახლებასა და განვითარებას უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, მაგ. სარკინეში არსებობდა ელინისტური სანის დასახლება, 1980 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ კრამიტისა და გალავნის ნაშთები აღმოჩნდა, რომელიც სარკინის დასახლებას ჩრდილო-დასავლეთიდან იცავდა (აფაქიძე... 1989: 24-26). ასე რომ ასურელ მამათა ცხოვრებაში მონასტრების კოდმანისა და სარკინეს მიდამოებში მშენებელობა (მისიონერული თვალსაზრისით) სრულიად ლოგიკურია.

ცხოვრების ავტორი გამოარჩევს შიო მდვიმელის მიერ წყაროს აღმოცენებისა და მგლის მოთვინიერების ამბავს, რაც აგრეთვე ერთი ტიპიური ეპიზოდია ბუნებისა და წმინდანის პარმონიულ ურთიერთობათა ძალზე მრავალრიცხვანი ისტორიებიდან.

იოანე ზედაზნელმა სიკვდილის წინ თავისი მოწაფეები მოიხმო და სულიერი დარიგებანი მისცა მათ. შიომ ამჯერად ხელმეორედ თხოვა იოანეს ნებართვა დაყუდებაზე, ოდონდ ამ შემთხვევაში მისი დაყუდების სახე უფრო მკაცრი იქნებოდა. ის მიწის სიღრმეში, მდვიმეში უნდა ჩასულიყო. იოანემ მისცა კურთხევა ამ მკაცრ მოღვაწეობაზე და შიოც დაემშვიდობა რა თავის მოწაფეებს, მდვიმეში ჩავიდა, სადაც უმკაცრეს მოსაგრეობას შეუდგა.

ჰაგიოგრაფი აღგვიწერს რომ ნებისა და ჰაერის შეხუთულობისგან შიოს კანი გაშავდა, უმკაცრესი მარხვისგან კი მისი სხეული ჩამოდნა, თუმცა შიომ, მეტაფრასული ცხოვრების უცნობი ავტორის თქმით, დრმა მიწისქვეშა მდვიმე ზეცასთან დამაკავშირებელ კიბედ აქცია (აბულაძე 1955: 140-141). ასეთი პრაქტიკა ტიპიური იყო სირიული ასკეტიზმისათვის. ჩვენ ვიცით რომ სირიელი ასკეტები სამოღვაწეოდ ორმოებსა და მდვიმებშიც ჩადიოდნენ. მაგ. თეოდორიტე კვირელი გვამცნობს სოდომის უდაბნოში მოღვაწე ბერის შესახებ, რომელიც ორმოში ცხოვრობდა (ჯუდელი 2011: 134), ასევე ცნობილია, რომ სვიმეონ მესვეტე, გარკვეული პერიოდი, ორმოში მოღვაწეობდა, საიდანაც ბერებმა თოკებით ამოიყვანეს (ჯუდელი 2011: 195), ასე რომ შიოს მოღვაწეობა სრულიად ბუნებრივად გამოიყერებოდა სირიული ასკეტიზმისათვის. ამ მდვიმეშივე აღესრულა წმინდანი და აქვე დაკრძალეს მისი წმინდა ნაწილები.

შიო-მდვიმის ლავრა სწრაფად აგრძელებდა განვითარებას: VI საუკუნის მიწურულს ის უკვე მძლავრ ფეოდალურ ორგანიზაციადაა გადაქცეული (ლომინაძე 1953: 34-36). როგორ შეიცვალა შიო-მდვიმის მონასტრის ხასიათი ამ დროის განმავლობაში? წყაროები ბევრს არაფერს გვეუბნებიან ამის შესახებ, თუმცა დიდი ალბათობით, როგორც კველა სხვა შემთხვევაში, შიო-მდვიმეც ლავრიდან კვინობად უნდა ქცეულიყო, რომელსაც თავისი ტიპიკონი და განაწესი ექნებოდა, თუმცა თანადროულად ინდივიდუალური განდევილებიც აგრძელებდნენ მოღვაწეობას, განსაკუთრებით სხალტის ქედის ქვაბოვან მონასტრებში, რომლებიც ქედზე 3-3,5 კმ-ის მანძილზეა გამოკვეთილი (ამ გამოქვაბულთა არქეოლოგიური შესწავლა რამდენიმეგზის განხორციელდა (1948, 1954 და 1957 წლებში)). ქვებებში გამოვლინდა სამეურნეო დანიშნულების ორმოები და მერხებით გაწყობილი ინტერიერი, ჰორიზონტალურად ქვაბები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო დია კორიდორებით, ხოლო ვერტიკალურად გადაადგილება თოკებით იყო შესაძლებელი (გაფრინდაშვილი 1962: 41-43).

ჩვენ დავინახეთ, რომ მეფე ფარსმანი მყისვე დაემორჩილა შიო მდვიმელის ავტორიტეტს, ასევე მოხდება სტეფანოზ ერისმთავრის შემთხვევაშიც VII საუკუნის დასაწყისში (იხ. ქვემოთ). შიო-მდვიმის მსგავსი მონასტრები გახდებიან მცხეთის საკათალიკოსოს დამოუკიდებელი და გავლენიანი პოლიტიკის უმთავრესი დასაყრდენი.

VI ასწლეულიდან მოყოლებული, საუკუნეების განმავლობაში, დავით-გარეჯის უდაბნო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა საქართველოს

რელიგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი მისი დამაარსებელი – დავით გარეჯელი, იონე ზედაზნელის ერთ-ერთი გამორჩეული მოწაფე, რომელიც ასევე ეთნიკური სირიელი იყო: „გამომდებელი ვიდრემე მამული ამის ღირსისა და საკპრველთ მოქმედისა მამისა შუამდინარე ლელისა ასურეთისა იყოფების...” (აბულაძე 1955: 146). XII საუკუნის ჰაგიოგრაფის (მეტაფრასული ცხოვრების ავტორის) ონოფრეს გადმოცემით, დავითის მშობელთა ვინაობა და წარმომავლობა უცნობი დარჩა, ის არ ეწერა დავით გარეჯელის უძველეს ცხოვრებაშიც. „...რამეთუ არცალა თუთ პირველითგანვე აღმწერელსა ცხოვრებისა მისისასა დაეტევა აღწერით ვინაობად და ვიეთგან ყოფად ამის წმიდისა...” (აბულაძე 1955: 147-148), თუმცა სინური რედაქცია გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ დავითიც იოანე ზედაზნელის მსგავსად წარმოშობით ანტიოქიის სანახებიდან იყო (ალექსიძე 2011: 172). ჩანს, დავითი ადრეული ასაკიდანვე დამოწაფებია იოანე ზედაზნელს და გარკვეული პერიოდი გაუტარებია მასთან, განისწავლა რა საკუთარი მოძღვრისგან ასკეტურ ცხოვრებასა და ყოველგვარ სათხოებაში. დავითი იმ მოწაფეთა რიცხვში იყო, რომლებიც იოანეს ქართლში თან წაჲყვნენ. ქართლში მოსული დავითს იოანესთან ერთად ზედაზნის მთაზე უნდა ეცხოვრა ოთხი წლის განმავლობაში, შემდეგ კი იგი წავიდა და „ურწყულ და უდაბნო ადგილას” დაემკვიდრა თავის მოწაფესთან ლუკიანესთან ერთად, მეტაფრასული ცხოვრების ავტორის თქმით „...საკპრველი და სანატრელი მამა დავით, ვითარ სხუდ ვინმე ელია უდაბნოს მოყუარე, გარესჯისა უდაბნოდ მოიწია...” (აბულაძე 1955: 151).<sup>67</sup>

გარეჯის უდაბნოში მოსული დავითი და ლუკიანე გამოქვაბულებში დაემკვიდრნენ. ეს გამოქვაბულები დღემდე იხილვება გარეჯის მონასტერში. ეს არის დავითის ლავრის (გარეჯის თორმეტი მონასტრიდან უძველესის) ქვედა ეზოში მდებარე ოვალური, ირეგულარული ფორმის ორი ქვაბი, რომლებსაც ოდნავ ეტყობათ ხელოვნური დამუშავება (ჩუბინაშვილი 1948: 27). მართალია ჩვენამდე მოღწეულია არქაული ფორმის ეს და სხვა გამოქვაბულები, თუმცა პულტურული ფენები ამ გამოქვაბულებში არ შემორჩენილა, რაც იმით უნდა

<sup>67</sup> დავითის მოღვაწეობა თბილისსა და ქვემო ქართლში, მაშავერას ხეობაში (ვახუშტი წერს, რომ კუნძულის მთაში „...არს უდაბნო კლდისა გამოკვეთილი, ეკლესია-სენაკი წმიდის დავით გარეჯელისაგან ქმნული და აწ ცარიელი, ლომოური...1941: 39) მთლიანად ზეპირსიტყვიერ გადმოცემებს ემყარება, ამიტომ მათი სანდოობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. დავითის მოღვაწეობის მკვლევრები სანდოდ თვლიან ამ გადმოცემებს (ცინცაძე 1994: 9-12; მერკვილაძე 2012: 5-52), რაც ჩვენი აზრით, სხვა რაიმე დამატებითი (წერილობითი ან არქეოლოგიური) წყაროს აღმოჩენამდე, გამართლებული არაა

აიხსნას, რომ აქ ცხოვრება მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა (ბახტაძე 2007: 95; თვლაჭრელიძე 2011: 29). გარეჯა მთლიანად დაფარულია ქვაბოვანი სისტემით, რომელზეც (კაპადოკიისგან განსხვავებით) შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მონასტრული ცხოვრებისათვის იყო განკუთვნილი (ისთმონდი 2001: 221).

უდაბნო სადაც დავით გარეჯელი და მისი მოწაფე დაემკვიდრნენ ყოვლითურთ უნუგეშო იყო. საკვები თითქმის არსად მოიპოვებოდა, რის გამოც დავითის მოწაფე ლუკიანე მწუხარებაში ჩავარდა, თუმცა აქ ჰაგიოგრაფიისათვის ტიპიური სურათი იხატება: სულმოკლეობითა და მცირედმორწმუნეობით შეპყრობილ მოწაფეს დვთივგაბრძნობილი მოძღვარი ამხნევებს და დვთის განგებისადმი მინდობისკენ მოუწოდებს. დავითი და ლუკიანე თავდაპირველად გარეჯის უდაბნოში გაზაფხულზე ამოსული მცენარეულობით ირჩენდნენ თავს, თუმცა შემდეგ ზაფხულში ძლიერი სიცხეები დაიწყო და ბალახეული მთლიანად გადახმა, რამაც ლუკიანე კიდევ უფრო მეტ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. აქ კვლავ ტიპიური ჰაგიოგრაფიული ნარატივი: წმინდანს თავად ბუნება ეხმარება. დავითთან და ლუკიანესთან ირმები და მათი ნუკრები მოდიან, დავითმა ლუკიანეს ირმის მოწველვა უბრძანა, შემდეგ დავითმა რძეს ჯვარი გადასახა და ხაჭოდ აქცია (ეს მოკლე ცხოვრების ცნობით, ხოლო ვრცელი ცხოვრების გადმოცემით ყველად), მაშინ ლუკიანემ ადიდა დმურთი და სულმოკლეობისათვის მოძღვარს შენდობა სთხოვა (აბულაძე 1955: 153-157). ირმები დავითთან და ლუკიანესთან ყოველ დღე მოდიოდნენ ოთხშაბათ-პარასკევის გარდა (აბულაძე 1955: 158). დავით გარეჯელის ცხოვრების აღნიშნული და სხვა ეპიზოდები მოგვიანებით ვრცლად აისახა გარეჯის მონასტერთა მოხატულობაში (ისთმონდი 2001: 220-221).

ამის შემდეგ თხობა კვლავ ტრადიციული ჰაგიოგრაფიული ნარატივით მიდის: დავითის შესახებ ადგილობრივი მცხოვრებლები შეიტყობენ და მასთან დარჩენას ითხოვენ, რაზეც დავითი უარს ეუბნება, თუმცა შემონაზვნების მსურველები მაიც მოდიან და დროთა განმავლობაში გარეჯის უდაბნოში მოღვაწეთა რიცხვი იზრდება. დავითთან მოდის დირსი მამა დოდო, რომელიც მანამადე უნდა ყოფილიყო მონაზონი (აბულაძე 1955: 166). მას შემდეგ რაც მმათა რიცხვი გამრავლდა, დავითმა დოდოს კურთხევა მისცა დავითის საცხოვრებელი გამოქვაბულის მოპირდაპირე კლდეზე ასულიყო და მმებთან ერთად იქ დაყუდებულიყო. დოდომაც შეასრულა მოძღვრის კურთხევა და მმებთან ერთად

დავითის ქვაბის მოპირდაპირე კლდეზე დაემკვიდრა (სადაც მოგვიანებით ცალკე მონასტერი ჩამოყალიბდა). დავითი დროგამოშვებით მიდიოდა მათთან და კლდის ძირას ლოცულობდა. დავით გარეჯელთან დაკავშირებულ სასწაულთაგან აღსანიშნავია მის მიერ უდაბნოში დამკვიდრებული გველის გაძევება, იერუსალიმში გამგზავრება და იქიდან ქვების წამოდება, ბუბაქარის მოქცევა, მწარე წყლის დატკბობა და ა. შ.

დავით გარეჯელის ცხოვრებაში საყურადღებო ცნობა მოიპოვება დავით-გარეჯის მონასტრების თავდაპირველი ტიპისა და ხასიათის შესახებ. მოკლე ცხოვრების ავტორი გადმოგვცემს:

მაშინ წმიდად მამა და მწყემსი კეთილი წმიდად დავით დღითი-დღე განვიდის მოკითხვად ძმათა მათ განშორებულთა და ყოველთა ნუგეშინის-სცემდა, განამტკიცებდა და განაძლიერებდა და ახარებდა მათთვეს განმზადებულსა სასუფეველსა ცათასა (აბულაძე 1955 : 183).

ე. ი. დავითი ანაქორეტებთან (განშორებულებთან) მიდიოდა და მათ ამხევებდა და მოძღვრავდა. მეტაფრასული ცხოვრების ავტორი უფრო დაწვრილებით აღწერს:

...და დღითი-დღე ფრიადი სიმრავლე მოიწეოდა უდაბნოსა ამას შინა, რომლისა ძლით აღსავსე იქმნა კაცთა მიერ სათნოთა და ღირსთა ყოველი იგი ადგილი. და რომელნიმე მათგანნი მარტოებით იყოფებოდეს ნაპრალთა შინა კლდისათა დამკვდრებულნი, ხოლო სხუანი კრებულსა თანა ძმათასა დაეწესებოდეს და ყოვლით კერძო განდიდნებოდეს სადიდებელნი ღმრთისანი; ხოლო დიდი იგი მწყემსი და მამა ჩუქი დავით მოხარული ესრეთ აღორძინებასა ზედა სამწყსოთასა დღითი-დღე განვიდოდის მოხილვად ძმათა განშორებულთა და მარტოებით მყოფთა მოღუაწეთა და ყოველთავე ნუგენიშინ-სცემნ და განამჭნობნ და განაძლიერებნ მათ კეთილისა მიმართ სარგოსა... (აბულაძე 1955: 183).

ჰაგიოგრაფთა ეს აღწერილობა შეიძლება უნიკალურ ცნობად ჩავთვალოთ დავით-გარეჯის სამონასტრო ცხოვრების გენეზისისა და განვითარების უადრესი ეტაპის შესახებ. ამ აღწერიდან ჩანს რომ დავითისა და ლუკიანეს მიერ დაარსებული მონასტერი ნახევრადკვინობური ხასიათისა იყო. ძმების ნაწილი „კრებულსა თანა იყვნენ დაწესებულნი“ ანუ სხვა მონაზვნებთან ერთად ცხოვრობდნენ. ეს ერთი ტიპიკონის არსებობას გვავარაუდებინეს ამ კრებულისათვის, ხოლო მონაზონთა ნაწილი განმარტოებით ცხოვრობდა,

ეწეოდა ოა ანაქორეტულ მოდგაწეობას, თუმცა ამავე დროს დავითის სულიერ წინამძღვრობას ემორჩილებოდნენ, არ წყვეტდნენ კავშირს კვინობთან.

საუკუნეების მანძილზე, სამონასტრო ცხოვრების გაფართოების შედეგად, გარეჯში თორმეტი უდაბნო ანუ თორმეტი მონასტერი აღმოცენდა (როგორც მოგვიანებით სამხრეთ საქართველოში - ტაო-კლარჯეთში, სადაც ასევე თორმეტი ცნობილი მონასტერი არსებობდა „კლარჯეთის თორმეტი უდაბნოს“ სახელით, თუმცა სინამდვილეში გარეჯაშიც და კლარჯეთშიც, მონასტერთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო). დავითის საგანისაგან მოშორებით, ახალი მონასტერი დაარსა დავითის მოწაფემ დოდომ (ეს მონასტერი ცნობილი გახდა, როგორც დოდოს-რქა), ხოლო სხვა მოწაფემ, ლუკიანემ, წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი დააფუძნა (ლომინაძე 1966: 11-13). მოგვიანებით ამ მონასტრებს სხვა სავანეებიც დაემატა, როგორებიცაა მაგალითად ბერთუებანი, უდაბნო, წამებული და სხვ. (ლომინაძე 1966: 15-16).

გარეჯის მონასტრებიდან არქაული ფორმის გამოქვაბულთა გარდა მოდწეულია ადრეული ცხოვრების სხვა ნიშნებიც. მაგ., VI-VII საუკუნეების წარწერიანი სტელა ნათლისმცემლის მონასტრიდან, დავით გარეჯელის განსასვენებლი ქვის ლუსკუმა და მხატვრობის ნაშთები, რომლებიც გ. წ. თეთრ უდაბნოში აღმოჩნდა და VII-VIII საუკუნეებზე გვიანდეს არ უნდა იყოს (თვალჭრელი 2011: 30-31).

ისევე როგორც შიომდვიმე, დავით-გარეჯის ლავრაც უმნიშვნელოვანეს ფეოდალურ ორგანიზაციად იქცა. დავით გარეჯელის მიერ დანერგილი მკაცრი მონაზვნური ცხოვრება აქ დიდხანს არ გაგრძელებულა. ცნობილია რომ სირიული სამონასტრო ტრადიცია და მისი წარმომადგენელი ასურელი მამები მკაცრი ასკეტიზმით გამოირჩეოდნენ, როგორც პ. ლომინაძე აღნიშნავს: „ეს მამები ფსიქოლოგიურად ღრმა რელიგიური ეგზალტაციით ხასიათდებოდნენ“ (ლომინაძე 1966: 38). ისტორიკოსის სამართლიანი შენიშვნით სირიულმა ასკეტიზმმა ვერ მოიპოვა ღრმა გავლენა ქართულ ბერმონაზვნობაზე, რაც კარგად ჩანს იმ ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან, რომლებიც ქართული ბერმონაზვნობის ისტორიას გადმოგვცემენ, როგორებიცაა მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება და ა. შ. ქართული ბერმონაზვნობისათვის უცხოდ დარჩა სირიული ასკეტიზმისათვის ასე დამახასიათებელი რადიკალური და უცნაური ფორმები. ზომიერება ქართული

ასკეტური ტრადიციისათვის უმთავრეს მახასიათებელ თვისებად იქცა (ნადირაძე... 2000: 16).

შიომდგიმის მსგავსად, გარეჯამ უაღრესად დიდ ოლქ ასრულებდა შუა საუკუნეების საქართველოს ცხოვრებაში. პ. ლომინაძის აზრით, წყაროთა ცნობები, რომელთა მიხედვითაც შიომდგიმესა და დავით-გარეჯაში სამონასტრო ცხოვრების დაწყებისას ათასობით მონაზონი ცხოვრობდა, ისტორიულ სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს (თუმცა რაოდენობა, როგორც ეს შუა საუკუნეების ავტორებს თითქმის ყველა შემთხვევაში სჩვევიათ, რათქმაუნდა გადაჭარბებულია). მისი შეხედულებით, აქ მნიშვნელოვანია სოციალური ფაქტორი. VI საუკუნეში მიმდინარეობსა ქართლის (და ეგრისის) აქტიური ფეოდალიზაციის პროცესი (ჯანაშია 1949: 1-127; ბოგვერაძე 1973: 297-321). მონაზონთა ეს მასა შედგებოდა ან თავისუფალი მწარმოებლებისაგან ან მონაცოფილებისაგან, რომლებიც, ახალი სოციალური ფორმაციის დამკვიდრების შედეგად, საზოგადოებისაგან გარიყელები აღმოჩნდენ. საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამოძებული მოსახლეობის ეს „ზედმეტი“ მასა კი მონასტრებს შეეხიზნა, სანამ ამ დიდ ქართულ მონასტრებში ფიზიკური შრომა და სამონასტრო თემის დემოკრატიულობა მნიშვნელოვანი იყო, მოსახლეობის აღნიშნული ფენებისათვის მონასტრის კარი ფართოდ იყო გაღებული (ლომინაძე 1966: 39), სწორედ ესაა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რითაც უნდა ავხსნათ ადრეულ ქართულ მონასტრებში მონაზვნობის მსურველთა დიდი ნაკადი.

ანაქორეტობისა და ქართული ბერმონაზვნობის ერთი გამორჩეული მოღვაწეთაგანი გახდა ანტონ მარტყოფელი. მისი ზედწოდებაც პირდაპირ მიუთითებს ანტონის მოსაგრეობის გამორჩეულად ანაქორეტულ, განდეგილურ ხასიათზე. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ანტონ მარტყოფელი ქართლში 545 წელს უნდა შემოსულიყო მაცხოვრის ხელოუქმნელი ხატით, რომელიც მან ედესიდან ნებრიონიანთა ეკლესიიდან წამოიდო (მერკვილაძე 2006: 63-67). გვიანდელი ცხოვრების მიხედვით, ანტონ მარტყოფელი მარტყოფის მონასტრის დამარსებლად იქცა, მრავალი სასწაული აღასრულა და დაყუდებაში მიიცვალა. მის დვაწლს ისიც გამოარჩევს რომ ის სვეტზე მოსაგრეობდა (აბულაძე 1968: 396-396), შემოიტანა რა ქართლში სირიული ასკეტიზმის ეს ტრადიციული სახე.

კახეთში ბერმონაზვნური ცხოვრების ერთ-ერთ მესამირკვლედ იქცა იოსები ალავერდელი. XVIII საუკუნეში მონაზონ მაკრინას მიერ დაწერილი ცხოვრების მიხედვით, იოსები ალავერდელი

მოიწია კახეთად ჯერ-ჩინებითა დმრთისათა და წინამძღვრობითა ცხოველს-მყოფელითა ჯვრისათა, რომელსა ზედა ჯუარს-ეცუა მგსნელი ჩუენი. თუთ მის ძელისაგანი აქუნდა წმიდასა ამას სიყრმითანვე სასოდ თვისა და შესავედრებელად ცხორებისა თვისა. და ესე ექმნა მოგზაურ საგრობასა მისსა. და მოიწია ადგილთა ამათ, რომელსა ეწოდების ალავერდი, და დაქმკდრა მას შინა ადგილთა უდაბნოთა, უშენთა და უვალთ კაცთაგან და უნაყოფოთა და იქცეოდა მუნ მხოლო მხოლოსა დმრთისა მზრახველი... (აბულაძე 1968: 405).

მონაზონ მაკრინას გადმოცემით, იოსები, ანტონ მარტყოფელის მსგავსად, მონადირეებს შეხვდა (აბულაძე 1968: 405), იოსების მოღვაწეობის ადგილას სასწაულებრივად ვარსკვლავმა დაივანა (აბულაძე 1968: 405-406). ადგილობრივი არისტოკრატი იოსებ ტაძრის აშენებას შეჰქირდა.

და მუნ აღუთქვა აღშენება ტაძრისა მის, რომელსა შინ თვითცა მოუწოდეს ნეტარსა ამას ამბას და ნეშტი ცხოვრებისა თვისა მონასტერსა ამას შინა არასრულა არა გარეგან და კაცთა შორის მგზლობითა, არამედ არცა განშორებულთა მამათა საზომთაგან დაკლებულ, ნუ იყოფინ. არამედ მყუდროთ უხილავად ერისაგან შინაგან ტაძრისა ამის ბნელსა რასმე ადგილსა შინა იწროებითა მარხვითა და ზე-დგომითა განმკაფველმან ჭორცთა თვისთამან და მოღუაწებასა და ძლიერსა შრომასა შინა ესოდენ მიმდებად და დაუცხომლად სწავლითა თვისთა მრავალნი მოაქცივნა ვიდრემდის ურწმუნოება სრულიად წარდევნა (აბულაძე 1968: 406).

მონაზონ მაკრინას წარმოდგენით, იოსები ტაძრის შიგნით, „ბნელ ადგილას“ (ალბათ სენაკისმაგვარ ოთახში) იყო დაყუდებული. ბნელია იმის თქმა, შეიცავს თუ არა მაკრინას მონათხრობი ისტორიული სინამდვილის რაიმე წილს, თუ იოსების გვიანდელი ცხოვრება მთლიანად მაკრინას ფანგაზის ნაყოფი ან ზეპირსიტყვიერ თქმულებებზე დაფუძნებული მონათხრობია. ფაქტია, რომ მაკრინა უხვად იყენებს ჰაგიოგრაფიულ შაბლონს. მართალია, მაკრინა ისეთ განსხვავებულ დეტალებსაც ჰყვება, რომელსაც შესაძლებელია რაიმე ისტორიული საფუძველი ჰქონდეთ (მაგ., იოსების მიერ ცხოველსმყოფელი ჯვრის ნაწილის მოსვენება, სენაკში დაყუდება ტაძრის შიგნით). ამასთან,

საკონტროლო წყაროების უქონლობის გამო, პვლევის ამ ეტაპზე, დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით.

ახლა უნდა შევეხოთ იოანე ზედაზნელის იმ ორ მოწაფეს, რომლებმაც ასკეტურ მოსაგრეობას მღვდელმთავრობის მსახურებაც შეუთავსეს.

### ისე წილკნელი

განთქმული ყოვლითავე სათნოებითა, ნერგი იგი სამოთხისად, ყუავილი შუენიერი და ყოვლისა კეთილისა ძირი; ესე ნეტარი შეიპყრა წმიდამან მამათ-მთავარმან კათალიკოზმან და აქურთხა იგი ებისკოპოზად საყდარსა ზედა წილკნისასა. და დაღაცათუ იგი არა თავს-იდებდა საქმესა მას და შევრდომით ითხოვდა განტევებასა (აბულაძე 1955 : 88; აბულაძე 1968: 400).

ისე წილკნელმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართველ მთიელთა გაქრისტიანების საქმეში, აქაც ერთი ასურელ მამათაგანი წმ. ნინოს მოციქულებრივი ღვაწლის პირდაპირი გამაგრძელებლი აღმოჩნდა. ქართლის მოქცევიდან ცნობლია, რომ წმ. ნინოს დროს ბოლომდე მთიელ ქართველთა გაქრისტიანება ვერ მოხერხდა, და ისიც აღნიშნულია, რომ მათი გაქრისტიანება სწორედ ისე წილკნელმა დაასრულა. საგულისხმოა ისიც, რომ ისეს წილკანში მონასტერი არ დაუარსებია, რადგან, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ ამის შესახებ, წილკანში მონასტერი უკვე არსებობდა.

მეორე გამორჩეული მოწაფე იოანე ზედაზნელისა, რომელმაც ეპისკოპოსობის მსახურება შეითავსა, არის აბიბოს ნეკრესელი. საინტერესოა რომ აბიბოსის ცხოვრების სირიულ პერიოდს არც ერთი ჰაგიოგრაფი არ იხსენიებს, მაშინ როცა ყველა სხვა დანარჩენის შემთხვევაში აღნიშნულია, რომ მათი სამშობლო ასურეთია და რომ ისინი იოანე ზედაზნელს სირიაშივე დაემოწაფნენ. მეტიც, წამებაში ისიცაა ნათქვამი, რომ აბიბოსი სვიმეონ მესვეტეს არ იცნობდა, მათ მხოლოდ სულიერი ნაცნობობა და სიახლოვე აკაგშირებდათ. არსენის სიტყვებით, რომ ვთქვათ მათ

არათუ ხილვითა ეხილვა სადამე ერთმანეთი, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომლითა იხილვების შორიელი ვითარცა მახლობელი, და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებად (აბულაძე 1955: 190).

აბიბოს ნეკრესელი აქტიურ მისონერულ საქმიანობას ეწეოდა წარმართებისა და მაზდეანების წინააღმდეგ. აბიბოსის მოღვაწეობის ჟამს ნეკრესში ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი იდგა, სადაც „მარადიული ცეცხლი“ ენთო. „აბიბოსმა ვერ თავს იდვა უცხოვსა მის სამსახურებელისა მახლობელად მისა

ყოფად და დაასხა მცირედ წყალი ხენეში და დაშრიტა იგი” (აბულაძე 1955: 189). ამის გამო სპარსელებმა ნეკრესის ეპისკოპოსი მარზანთან წაიყვანეს. გზაში აბიბოსი შიო მდგიმელთან მივიდა და მისგან სულიერად განმხნევდა. შიო მღვიმელმა აბიბოსს უთხრა:

ვიცი მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრიტე ცეცხლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს უსჯულონი იგი, არამედ მოგმადლენ უფალმან, რათა აღტყინებულიცა იგი უჩინოვ ცეცხლი, რომელ აღუგზებიეს შენთვის ეშმაკსა განსაცდელად, დაკშრიტო ადგლად (აბულაძე 1955: 192).

საჯარო გასამართლების შემდეგ მღვდელმთავარი „ქათა განტვინეს” და მისი სხეული ღია ცის ქვეშ დატოვეს რეხში. ქრისტიანებმა მოწამის წმინდა ნაწილები წაასვენეს და ახლადაშენებული რეხის მონასტერში დაკრძალეს (აბულაძე 1955: 194), რომელიც როგორც სინური რედაქციით ირკვევა იოანე ზედაზნელისა მოწაფისა და აბიბოს ნეკრესელის თანამოღვაწისა თეოდოსი მრეხელის დაფუძნებული იყო (რეხის ლოკალიზაციის შესახებ იხ. მერკვილაძე: გვ).

ასურელმა მამებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში. მათმა მისიონერულმა და ასკეტურმა ღვაწლმა მნიშვნელოვნად გაამყარა მცხეთის საკათალიკოსოს პოზიციები ქართლში ტრადიციული ქართული წარმართობისა და სპარსული ზოროასტრიზმის წინააღმდეგ, ამასთან განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული სამონასტრო ცხოვრება. მათ მიერ დაარსებული მონასტრები საუკუნეების განმავლობაში ქართული კულტურის უმთავრეს კერებად იქცნენ, რითაც ამ სირიელმა ბერებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქართული შუა საუკუნეების ჩამოყალიბებაში.

## თავი VI. ქართული ბერმონაზვნობა ასურელ მამათა შემდეგ

### §1. ასურელ მამათა მიერ დაარსებული მონასტრები ასურელ მამათა შემდეგ

ასურელ მამათა მიერ დაფუძნებული სამონასტრო პერები განაგრძობენ განვითარებას, მას შემდეგ რაც სირიელმა ბერებმა დაასრულეს თავიანთი მოღვაწეობა. მათგან საფუძველჩაყრილი თითოეული ასკეტური თემი სულ უფრო მეტად იძენდა ორგანიზებულ ხასიათს და მონასტრული ცხოვრების ნამდვილ ცენტრებად იქცეოდნენ მთელი ქართლის სამეფოს მასშტაბით. ბუნებრივია, ასურელ მამათაგან დაფუძნებული ყველა მონასტერი ერთნაირი მნიშვნელობისა და სიდიდის არ ყოფილა. მათგან განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდნენ შიო-მღვიმისა და დავით-გარეჯის ლავრები.

სირიელ ბერთა მოღვაწეობის თავდაპირველი ადგილი - ზედაზენი - დიდხანს ინარჩუნებდა ლავრის ხასიათს. ეკლესია აქ VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში აშენდა იოანე ზედაზნელის მოწაფეების მიერ. როგორც ჩანს იოანეს მოწაფეები განაგრძობდნენ მემკუდროვე ანაქორეტულ ცხოვრებას იოანეს განსასვენებლის მახლობლად მდებარე გამოქვაბულ სენაკებში. შესაძლებელია იოანეს საფლავზე რაიმე მცირე ზომის სამლოცველო (ეგვტერი) არსებობდა, ეკლესიის აშენების შემდეგ კი იოანე ზედაზნელის განსასვენებელი ამ ეკლესიაში მოექცა (ჩუბინაშვილი 1971: 31; VI-VII საუკუნეებში სამონასტრო ცხოვრების აქ არსებობას არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს (მაგ. ზედაზნის VI-VII საუკუნეების ფილა, იხ. ვოლსკაია 1979: 91-105). ეკლესიას მართკუთხა კონქი გამოარჩევს. ეს არქაული, მართუკონკი საკურთხევლიანი ტაძარი შემდგომში, VIII საუკუნეში, ჩართულ იქნა კათალიკოს კლიმენტის მიერ აშენებულ სამეკლესიან ბაზილიკაში (ჩუბინაშვილი 1979: 31). ეს ყოველივე კი იმის დასტურია, რომ ზედაზნის მონასტერი VII საუკუნის დასაწყისშიც განაგრძობდა არსებობას (ჩუბინაშვილი 1971: 38), თუმცა გადაჭრით სხვა რაიმეს თქმა (მაგალითად სამონასტრო ცხოვრების ტიპის შესახებ) არქეოლოგიურ და ნარატიულ წყაროთა ნაკლებობის გამო რთულია.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იან წლებში აღნიშნავდა გ. ჩუბინაშვილი დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსში კვინობური და ანაქორეტული ცხოვრების

პარალელურად განვითარებას (ჩუბინაშვილი 1948: 30), რაც იმის მატერიალია, რომ ბერმონაზენური ცხოვრება აქ სულ უფრო მეტად დახვეწილ ფრომებს იღებდა. უკვე VI-VII საუკუნეებში უნდა ქცეულიყვნენ დოდო-რქა და ნათლისმცემლი დამოუკიდებელ მონასტრებად (ჩუბინაშვილი 1948: 31). ნათლისმცემლის მონასტრიდან შემორჩენილია ქვის სტელა წარწერა იუწყება: „ესე ჯოვარი მე მარვოჟვო ავმართე სალოცველად ჩემდა და ცოლისა და შვილთათვეს“. სტელაზე წმ. ევსტათია გამოსახული, რომელიც ირემზე ნადირობს. გ. ჩუბინაშვილი ასოთა მოხაზულობითა და სიუჟეტით სტელას VI-VII საუკუნეებით ათარიდებს (ჩუბინაშვილი 1948: 31-32; თვალჭრელიძე 2001: 30). აღნიშნული წარწერა ბ. ლომინაძეს იმის დასტურად მიაჩნია, რომ დავით-გარეჯა საკუთარი არსებობის უკვე ამ ადრეულ ეტაპზევე ფლობდა ვრცელ მამულებს (ლომინაძე 1966: 38). მართალია დავით-გარეჯაში აღმოჩენილი უძველესი კულტურული ფენა IX საუკუნეს განეკუთვნება, თუმცა გარეჯის მონასტრებთან დაკავშირებულ ივრისპირა ქვაბებში VI-VII საუკუნეებით დათარიდებული არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა, ხოლო თეთრ უდაბნოში VII-VIII საუკუნეების მოხატულობა (ერთ-ერთი უძველესი საქართველოში) (ნადირაძე... 2001: 47; თვალჭრელიძე 2001: 30), ხოლო ნათლისმცემლის უდაბნოს დასავლეთით შემორჩენილია არქაული ფორმის სენაკები, რომელიც VI-VII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს, თუმცა აქ შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდებოდა ცხოვრება, ამიტომ სენაკები VI-VII საუკუნეების კულტურულ ფენას არ შეიცავს (თვალჭრელიძე 2011: 30), რაც იმას ნიშნავს, რომ VI-VII საუკუნეებში სამონასტრო ცხოვრება გარეჯში დაუბრკოლებლად ვითარდებოდა და გარეჯის „თორმეტ უდაბნოსაც“ სწორედ ამ პერიოდში გერება საფუძველი. დროთა განმავლობაში დავით-გარეჯის, დოდოს-რქისა და ნათლისმცემლის მონასტრებს სხვა სავანეებიც დაემატა: წამებული, უდაბნო, ბერთუბანი, რომლებიც ბ. ლომინაძის შენიშვნით გარეჯის სამონასტრო ცენტრების „ახალი განშტოებანი იყვნენ“ (ლომინაძე 1966: 15-16).

შიო-მღვიმე დაარსებიდან მალევე იქცა მძლავრ სამონასტრო ორგანიზაციად და მსხვილ ფეოდალურ მიწათმფლობელად (ლომინაძე 1949: 14). როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, შიო მღვიმელის ცხოვრების თანახმად, აქ უკვე მის სიოცხლეშივე ცხოვრობდა რამდენიმე ათასი მონაზონი, რაც ისტორიულ სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს (უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ). პირველი ეკლესიაც (იოანე ნათლისმცემლის სახელობის) შიო მღვიმელის სიცოცხლეშივე

აიგო, VI საუკუნის II ნახევარში (ჩუბინაშვილი 1925: 246-253; ჩუბინაშვილი 1936: 62-63; ლომინაძე 1949: 6-7; ლომინაძე 1953: 8-9).

როგორც ჩვენთვის შიო მდგიმელის ცხოვრებიდანაა ცნობილი მონაზვნები, თავდაპირველად, ქვაბებში დაეყუდნენ. ამ ქვაბებში ცხოვრება მთელი შუა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. შიო-მდვიმის მონასტრის გამოქვაბულთა დასაზვრვად და შესასწავლად სამი ექსპედიცია მოეწყო 1948, 1954 და 1957 წლებში. გამოქვაბულები სხალტბის ქედის სამხრეთ კალთაზე 3-3.5 კმ-ის მანძილზეა გამოკვეთილი (სხალტბის ქედი პირდაპირ აკრავს შიო-მდვიმეს ჩრდილოეთის მხრიდან, ხოლო ქედის თავიდან პირდაპირ იშლება მონასტრის ხედი). ბუნებრივია ქვაბებში მონაზვნები შიო მდვიმელის გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებდნენ მოღვაწეობას. მონასტრის სამმოს შედარებით გვიან, VIII-IX საუკუნეებში, უნდა აეთვისებინა საბერო ხევის გამოქვაბულები. საბერო ხევის ქვაბთა შესწავლის შედეგად რამდენიმე საინტერესო ფაქტი გამოვლინდა: ქვაბების ინტერიერი სამეურნეო ორმოებითა და, იშვიათად, ქვის მერხებითაა გაწყობილი. პორიზონტალურად ქვაბები ერთმანეთს კორიდორებით უკავშირდებოდა, ხოლო ვერტიკალურად ვიწრო ხვრელებით. ამ ხვრელების საშუალებით მონაზვნები ზევით მდებარე სართულებზე თოკის დახმარებით ადიოდნენ (გაფრინდაშვილი 1962: 41-43).

იმ ცნობებზე დაყრდნობით, რომლებიც ჩვენ შემოგვრჩა მეფე ფარსმანის მიერ შიო-მდვიმისათვის „ოთხი რჩეული აგარაკის” შეწირვის, ევაგრეს მიერ ორი „აგარაკის” შეძენის, სტეფანოზ ერისმთავრისა და შიო მდვიმის მონასტრის კონფლიქტის შესახებ, შეგვიძლია დავასკვნათ რომ უკვე VI-VII საუკუნეების მიჯნაზე შიო-მდვიმე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფეოდალური ორგანიზაციაა, რომელსაც ერთი მამასახლისი უძლვებოდა და რომელიც, ბ. ლომინაძის დასკვნით, ქართლის კათალიკოსის სულიერი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი თავისუფალი მონასტერს წარმოადგენდა (ლომინაძე 1949: 68; ბ. ლომინაძის აზრით, ის სამეფო მონასტრად მხოლოდ დავით აღმაშენებლის მეფობისას უნდა ქცეულიყო).

ჩვენთვის ცნობილია VI-VII საუკუნეების შიო-მდვიმის მონასტრის ზოგიერთი მამასახლისის სახელებიც. ესენი იყვნენ, პირველ რიგში, თავად მონასტრის დამაარსებელი შიო მდვიმელი, შემდეგ მისი მოწაფე ევაგრე (VI ს. II ნახევარი), ილარიონი – ეპისკოპოს ნეოფიტე ურბნელის თანამედროვე (VII-VIII სს.) (ლომინაძე 1949: 57). საინტერესოა ივ. ჯავახისვილისა და ბ. ლომინაძის

დაკვირვება: წყაროების ანალიზით გამოირკვა, რომ მონასტრის მამასახლისს, თავდაპირველად, მონაქრიული პრინციპით ნიშნავდანენ ანუ მონასტრის მამასახლისი საკუთარ მემკვიდრეს ასახელებდა. მგგარი პრინციპი შენარჩუნებულ იქნა XI საუკუნემდე (ჯავახიშვილი: ქართ.სამართ. ლომინაძე 1949: 57).

როგორი იყო შიო-მღვიმის მონასტრის დამოკიდებულება მცხეთის საყდართან? ბ. ლომინაძე მცხეთისა და შიო-მღვიმის ურთიერთობაში სამ პერიოდს გამოჰყოფს: დაარსებიდან დავით აღმაშენებლამდე (VI-XII სს.), დავით აღმაშენებლიდან XIV საუკუნის II ნახევრამდე და XIV საუკუნის II ნახევრიდან XIX საუკუნის პირველ ათწლეულამდე (ლომინაძე 1949: 67). მკვლევარმა ცხადად აჩვენა, რომ შიო-მღვიმე დავით აღმაშენებლის მეფობამდე საკათალიკოსო მონასტერს წარმოადგენდა, რომელიც კათალიკოსის უშუალო მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა (ლომინაძე 1949: 68), ხოლო დავით აღმაშენებლის პერიოდში, მისი სამეფო მონასტრად ქცევა კათალიკოსისაგან ეკონომიკურ დამოუკიდებლობას გულისხმობდა და არა იერარქიულს (ლომინაძე 1949: 69-71).

ადრეული ფეოდალური პერიოდის მსხვილი სამონასტრო მიწათმფლობელობის შესახებ არსებული ყველაზე მეტი ცნობა შიო-მღვიმის მონასტერს შეეხება. შიო-მღვიმე შუა საკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და უძლიერესი ფეოდალური სენიორია იყო, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მრავლად ფლობდა მიწებს, სოფლებს, გლეხებს, ტყეებს, საძოვრებს, ზეთსახელებსა და ა. შ (ლომინაძე 1953: 35). პაგიოგრაფიული თხზულებიდან ცხორებად შიომხი და ევაგრები ჩვენთვის ცნობილია, რომ შიო მღვიმელის სულიერებითა და სასწაულომოქმედების ნიჭით მოხიბლულმა მეფე ფარსმანმა მონასტერს ოთხი დაბა შესწირა: „მიანიჭა უკუკ მონასტერსა მას ოთხი რჩეულნი სამეუფოთა დაბათაგან და დაწერა ჭელითა თვისითა თავისუფლებად მათ...” (აბულაძე 1955: 111). აქ რამდენიმე მომენტია საყურადღებო: პირველ რიგში ის, რომ ახლადდაარსებული შიომ-მღვიმის მონასტერი უკვე პოულობს თავის ადგილს ქართლის ადრევეოდალურ საზოგადოებაში (ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შემუშავებული კონცეფციის თანახმად, ეს საუკუნე ადრევეოდალურ ეპოქას მიეკუთვნება (ჯანაშია 1949: გვ; მესხია 1973: 21)), ამ დროს უკვე დასრულებულია ე. წ. ფეოდალური რევოლუცია და მონასტრის მიერ ნაპოვნი ადგილი ახლადჩამოყალიბებულ ფეოდალურ იერარქიაში სრულიად აგამორჩეულია.

მევე მონასტერს ოთხ რჩეულ სამეფო დაბას სწირავს. დაბა დასახლებულ ადგილის გარდა ყანას, აგარაკსაც ნიშნავს (აბულაძე 1973: 104). ძნელია იმის თქმა ამ შემთხევაში რომელი მნიშვნელობითაა ეს სიტყვა გამოყენებული, თუკი „დაბა“ დასახლებულ ადგილს ნიშნავს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მონასტერმა იქაური გლეხებიც მიიღო, რომელთაც ბუნებრივია გარკვეული ვალდებულებები დაეკისრებოდათ მონასტრის მიმართ, თუ „დაბა“ უბრალოდ დასამუშავებელ მიწას, აგარაკს ნიშნავს, მაშინ ამ მიწებზე თავად მონაზვნებს უნდა ეშრომათ (რაც ძალიან გავრცელებული პრაქტიკა იყო ქრისტიანულ მონასტრებში ადრეულ ეპოქაში მაინც). მამულების შეწირვა შეა საუკუნეების ქართულ მონასტერთა შემოსავლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა და ამგვარი შემოსავალი, როგორც ჩანს, უკვე ძალზე ადრეული პერიოდიდანვე უნდა გასჩენოდათ მონასტრებს. ეკლესიისა ან მონასტრისადმი ყმა-მამულის შეწირვა ეკლესიის (მონასტრის) მხრიდან შემწირველისადმი გარკვეულ ვალდებულებებს გულისხმობდა. როგორც წესი, ფეოდალი მამულს სააღაპედ სწირავდა, საკუთარი სულის (და ახლობელ ადამიანთა სულების) მოსახსენიებლად. ამიტომ შემწირველი შეწირულ ყმებს ეკლესიის (ან მონასტრის) მსახურთა მატერიალურ უზრუნველყოფას აკისრებს (ლომინაძე 1949: 120) ანუ მამულზე მცხოვრებ გლეხებს სააღაპე ბეგარა ედოთ (თუმცა მონასტერს ან ეკლესიას შეეძლო შეწირული ყმებისათვის სააღაპე ბეგარა არ დაეკისრებინა და სხვა ვალდებულებებით დაეტვირთა (ლომინაძე 1949: 120-121)). როგორც ჩანს, უკვე ადრეული პერიოდიდანვე (VI-VII სს.), ფეოდალები, სწორედ, ამგვარი მიზანდასახულობით სწირავდნენ ყმა-მამულს შიო-მღვიმეს და, შესაბამისად, მონასტერს უკვე VI საუკუნეში უნდა გასჩენოდა ყმები, რომლებიც მის მატერიალურ კეთილდღეობას უზრუნველყოფდნენ.

მეორე მომენტი, რომელზეც დამოწმებულ ფრაზაში უნდა გავამახვილოთ უურადღება, ესაა ამ ოთხი რჩეული სამეფო დაბის „თავისუფლებით“ შეწირვა. რას ნიშნავს ეს „თავისუფლება?“ მკვლევართა თანახმად, ეს არის იმუნიტეტი, შეუვალობა. იმუნიტეტი შეა საუკუნეების ფეოდალური წეს-წყობილების ერთ-ერთი უმთავრეს მახასიათებელთაგანია. ისტორიკოსთა აზრით, იმუნიტეტი ის უფლებებია, რომელიც ფეოდალებმა მოიპოვეს გლეხთა ყმებად გადაქცევის პროცესში (ჯამბურია 2007: 37). იმუნიტეტი სხვადასხვაგვარი ფორმისა იყო: ის შეიძლება მხოლოდ სამეფო ან მეფის მოხელეთა გადასახადობან გათავისუფლებას გულისხმობდეს, შეიძლება საგადასახადო თავისუფლების

გარდა, ფეოდალი თავის მამულში ადმინისტრაციულ და სამართლებრივ უფლებებსაც იღებდეს ანუ ამ შემთხვევაში ფეოდალი საკუთარი მამულის, თითქმის, სრულ ბატონ-პატრონად იქცეოდა, თუმცა საერო ფეოდალების შემთხვევაში ამგვარი რამ იშვიათად ხდებოდა. სრული იმუნიტეტი, ძირითადად, მსხვილ საეკლესიო სენიორიებს ენიჭებოდათ.

უნდა აღინიშნოს რომ შოთა და უვარეს ცხოვრების ამ პასაჟში იხსენიება პირველად იმუნიტეტის არსებობა ძველ ქართულ მწერლობაში (ჯამბურია 2007: 36). ახლა გამოსარკვევია თუ რას გულისხმობდა ფასრმანისაგან მინიჭებული ეს „თავისუფლება“ – სრულ თავისუფლებას თუ მხოლოდ ნაწილობრივს, დავუშვათ სამეფო გადასახადთაგან? თუკი სამეფო ხელისუფლებისა და შიო-მღვიმის ურთიერთობათა გვიანდელ ტრადიციას გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ შიო-მღვიმეს თავისი არსებობის, უკვე, ადრეულ ეტაპზევე უნდა მიეღო მეფისაგან სრული იმუნიტეტი, მითუმეტეს ამ დროის ქართლში ყვალა ფეოდალური სენიორია სწორედ ამგვარი თავისუფლებისაკენ მიიღობოდა. ამ იმუნიტეტმა ძალიან გაზარდა შიო-მღვიმის სულიერი, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა. მეფე გიორგი III-ის მიერ შიო-მღვიმისადმი გაცემული სიგელიდან ჩვენამდე იმ ცნობამაც მოაღწია, რომ ევაგრეს, მონასტრის წინამდღვარს წმ. შიოს შემდეგ, მონასტრისათვის სხვა დაბებიცა და აგარაკებიც შეუძენია: „სოფელი სხალტბად და მათი კერძი გოროვანი, წმიდისა ევაგრესაგან მოსყიდული“ (ლომინაძე 1949: 14; ენუქიძე... 1984: 68). ამგვარად, უკვე VI საუკუნის II ნახევარში შიო-მღვიმე მძლავრ და დამოუკიდებელ ფეოდალურ სენიორიად იქცა, რაც გამოჩნდა კიდევაც VII საუკუნის დამდეგს ერისმთავარ სტეფანზეა და შიო-მღვიმეს შორის მომხდარი კონფლიქტიდან.

VI საუკუნის ბოლოს ქართლში ხელისუფლება გაუქმდა (თუმანოვი 1963: 384; ჩხარტიშვილი 1994: 34). ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებამ გამოიწვია მეფის დიდმოხელეთა მიერ თავიანთ სამფლობელოთა „გამემკვიდრება“, რის შედეგადაც ქართლი ამგვარ ფეოდალურ სენიორიათა კონგლომერატად გადაიქცა, რომლის სენიორებიც თავიანთ მამულებში საჯარო-სამართლებრივი უფლებებითაც იყვნენ აღჭურვილი (პაპუაშვილი 1980: 90), მაგრამ, ჩანს, ქართლის ახლადჩამოყალიბებულმა ფეოდალურმა ელიტამ ვერ შესძლო, ასეთ დაქსაქსულ პირობებში დიდ ხანს გაძლება:

ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსენი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე

ბერძნოა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თვე-თვესა საერისთოსა შეუცვალებელად (ყაუხეჩიშვილი 1955: 217).

ქართლში ერისმთავრის ხელისუფლება დამყარდა, რომელიც, როგორც წყაროთა ჩვენებიდანაც ჩანს (და ასეა მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში) ქართლის დიდ ფეოდალთა შორის იყო „Primus inter pares“. ის უპირველესი მამფალია სხვა მამფალთა შორის. შ. ბადრიძის შენიშვნით, ერისმთავრობა იყო „სრულიად ახალი ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენდა გამარჯვებული აზნაურ-წარჩინებულების სოციალურ-პოლიტიკური ბატონობის იარაღს“ (ბადრიძე 1970: 151).

ქართლის კათალიკოსი (ეკლესია) ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ფეოდალად იქცა (ბადრიძე 1970: 148). ჩანს, მონასტრები, უკავ, ადრეული პერიოდიდანვე გადაიქცნენ, ქართლის ეკლესიის ხელში, საერო ხელისფულებასთან დაპირისპირების (თავდაცვის, შეტევის) იარაღად და საეკლესიო პოლიტიკის მნიშვნელოვან აქტორებად. ქართლის გაღრმავებული ფეოდალური დეცენტრალიზაციის პირობებში ამ დაპირისპირებაში ეკლესია იმარჯვებს საერო ხელისუფლებაზე, წარმოაჩენს რა საკუთარი უპირატესობის ლეგიტიმაციის საკრალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძვლებს.

ძველ ქართულ მწერლობაში წმ. შიოსთან დაკავშირებული ჰაგიოგრაფიული ციკლიდან წმ. შიოს ცხოვრების გარდა ცნობილია თხზულება თხრობათ სასწაულთათვეს წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა გამისა შიომსთავ, რომელი-ესე სხუათა მიერ აღწერილი აღგიღ-აღგიღ ერთად შემოკრიბა ბასილი კათალიკოს ბასილი III-ს (დაახ. 1090-1110 წწ.) მიაწერს. ამ თხზულებაში მე-8 სასწაულად არის შესული VII საუკუნეში ქართლის ერისმთავარ სტეფანოზსა და შიო-მდგიმის მონასტერს შორის მომხდარი დაპირისპირება. ეს კონფლიქტი ძალზე მნიშვნელოვანი წყაროა ადრეული შუა საუკუნეების ქართლის საერო და საეკლესიო წრეებში არსებული ძალაუფლების კონცეპტის აღსაქმელად. ფაქტია, რომ ქართლის არისტოკრატიაში (სამდგდელოთა და დიდაზნაურთა შორის) არსებობდა ჩამოყალიბებული წარმოდგენა ძალაუფლების არსისა და მიზანდასახულობის შესახებ, მაგრამ საერო და საეკლესიო ელიტა განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ლეგიტიმაციის სხვადასხვა წყაროებს მიმართავდა ძალაუფლების იდეის განმარტებისას (შესაძლებელია ბევრი რამ ამ

თხრობაში გვიანდელი ჩანამატია, მაგრამ თვით დაპირისპირების ხასიათი სტეფანოზსა და მონასტერის შორის კარგად უდგება ეპოქის (VI-VII საუკუნეებს - ფეოდალურ სენიორიებად დაშლილი ქართლის) სულისკვეთებას, ამიტომ აღნიშნული ეპიზოდი, დიდწილად, ავთენტურ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს.

სტეფანოზისა და შიო-მღვიმის მონასტერის დაპირისპირების (განსაკუთრებით სტეფანოზსა და მონასტერის მამასახლისს შორის გამართული დიალოგის) დროს კარგად გამოვლინდა საქართველოში სახელმწიფოსა და ეკლესიის დაპირისპირების ჩანასახები და ამ დაპირისპირების იდეოლოგიური საფუძვლები. სტეფანოზი განრისხებული იმ ფაქტით, რომ მონასტერში სტუმრობისას კათალიკოს ბართლომეს უფრო მეტი პატივი მიაგეს, ვიდრე მას, მონასტერს ორ ვრცელ მამულს ართმევს, ხოლო შიო-მღვიმის წინამდგვარს კი მკაცრად უუბნება: „და უმეტეს არსა საყდარსა ჩემსა ეპისკოპოზისა, და რამეთუ მე მეფეთა საყდართა ვზი და იგინი არიან ნაცვალნი ღმრთისა ქუეყანასა ზედა?“ ამ სიტყვებიდან ძალიან ცხადად ჩანს ქართლის ერისმთავართა ძალაუფლების უპირატესობის მთავარი არგუმენტი: ქართლის ერისმთავარი „მეფეთა საყდარზე ზის“, რაც მას განუსაზღვრელ ავტორიტეტს ანიჭებს, რადგან მეფეები „არიან ნაცვალნი ღმრთისა ქუეყანასა ზედა“. ეს კარგად ცნობილი შეხედულებაა ბიზანტიასა და ევროპაში. ამ სიტყვებით ადრეული შუა საუკუნეების ქართლის ხელისუფლებაც ორგანულად ერთვება გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული ხმელთაშუაზღვისპირების სამყაროში, სადაც დაახლოებით ერთნაირი წარმოგენა არსებობდა სამეფო ძალაუფლების შესახებ. ეს იდეა შემდგომში აქტიურად განვითარდა ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოსა და გაერთიანებული საქართველოს პირობებში.

არანაკლებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის შიო-მღვიმის მამასახლისის გაბედული პასუხი: ეკლესიის მსახურთ „ქრისტეს მსგავსად უკყრიათ ეკლესიის მწყემსნი“, ხოლო მეფე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ქვენად ღმრთის მონაცვლე, როდესაც სამართლიანობითა და გულმოწყალებით ღმერთს ემსგავსება და არ არის სტეფანოზივით ამპარტავანი. ამ პასუხით განრისხებულმა სტეფანოზმა მონასტერს „მისტაცნა ორნი აგარაკნი“. ამის შემდეგ ქართლის ერისმთავარს ძილში თავად წმ. შიო ეცხადება და ერისმთავარს მონასტერისათვის მიწების დაბრუნებას უბრძანებს. სტეფანოზი არ ემორჩილება, რის შემდეგაც იგი და მისი ოჯახი სწეულებით ისჯებიან.

სტეფანოზი ამ მძიმე განსაცდელის შემდეგ შეინახებს და მონასტერს წართმეულ მიწებს უბრუნებს.

თხოვობიდან ცხადია, რომ ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული ეკლესია გამოდის. ცხადია ისიც, რომ შიო-მღვიმის მონასტრის ძმობამ კათალიკოსს უფრო მეტი პატივი მიაგო, ვიდრე ერისმთავარს, რაც საბან იშხნელსა და ბაგრატ კურაპალატს შორის მომხდარ ინციდენტს გვაგონებს (როდესაც გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილი საბანი ქართველთა მეფის დაძახილზე არ გამოცხადდა და ეს იმით გაამართლა, რომ იგი მხოლოდ ქრისტეს ემორჩილებოდა და არა მიწიერ მეფებს). ეს გარემოება კარგად მიანიშნებს ქართლის ეკლესიის მზარდ ავტორიტეტსა და გავლენაზე, რომელიც შემდგომში, IX-X საუკუნეებში, მწვერვალს მიაღწევს, აქვე ჩანს საეკლესიო ხელისუფლების უპირატესობის ლეგიტიმაციის ის იდეოლოგიური საფუძვლები, რომელიც ასე მკაფიოდ წარმოჩნდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.

ჩვენ ხელი არსებულ წერილობით წყაროებზე და არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით გარევეული სურათის რეკონსტრუქცია შეგვიძლია ულუმბოსა და ბრეთის მონასტრების შესახებ. მიქაელ ულუმბოელის სვინაქსარული ცხოვრებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ ასურელმა მამამ შიდა ქართლში - ულუმბოში დაარსა მონასტერი. ულუმბო ქართლში მნიშვნელოვან სამონასტრო ცენტრს წარმოადგენდა. თავდაპირველად ის სამეფო მონასტერი იყო, ხოლო შემდეგ ამირეჯიბთა მფლობელობაში გადავიდა, ტაძარიც მათ მიერაა განახლებული XV საუკუნის დასაწყისში. შემორჩენილია ასევე XI საუკუნის წარწერა, სადაც მეფე გიორგი იხსენიება (კიპაროიძე 1974: 35-39).

ბრეთის მონასტრის დაარსება წმ. პიროსს უკავშირდება. ბრეთის ეკლესია VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება, ხოლო ტაძრის ჩრდილოეთ ეკვდერი VI საუკუნის ანუ პიროს ბრეთელის დროინდელი უნდა იყოს (იოანე ზედაზნელის განსასვენებლი ეგვტერის მსგავსად). სოფელში შემორჩენილია საფლავების ნაშთები, რომელსაც ხალხური გადმოცემით „ძმათა სამარხი“ ეწოდება, რაც აქ მონასტრის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს (სანიკიძე 1974: 48-49). როგორც ჩანს პიროს ბრეთელის გარდაცვალების შემდეგ მის განსასვენებელზე მცირე ზომის, ერთნავიანი ეკლესია აუგიათ. დროთა განმავლობაში ეს ეკლესია დაინგრა. დანგრული ეკლესია განაახლეს და განახლებული ორგანულად დაუკავშირეს VIII-IX საუკუნეებში აშენებულ ტაძარს (სანიკიძე 1974: 49). აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბრეთში მონასტრული

ცხოვრება პიროსის გარდაცვალების შემდეგ არ უნდა შეწყვეტილიყო და ის VIII საუკუნეშიც გრძელდებოდა. ხალხური გადმოცემით, ტაძრის საკურთხევის წინ ღრმა ხარო არსებობდა, რომელიც ქვის ფილით იყო გადახურული (თ. სანიკიძის ვარაუდით შესაძლებელია ასერელი მამა სწორედ ამ ადგილას იყო დაკრძალული) (სანიკიძე 1974: 49).

## §2. ატენის მონასტერი

ატენის მონასტერი იხსენიება ბეით მარ ისააკ გაბულელის მონასტრის წინამძღვარ თომას (მოღვაწეობდა VI საუკუნის 80-იან წლებში) მიერ აღმოსავლეთში თავის მომხრეებისადმი გაგზავნილ ეპიტოლები. აღნიშნული ეპისტოლე ჩართულია ანტიულიანური პოლემიკის დოკუმენტთა კრებულის მესამე ნაწილში. ამ ნაწილის ავტორად სპეციალისტები ანტიოქიის მონოფიზიტ პატრიარქ იოანე I-ს (ანტიოქიის პირველი სირიელი პატრიარქი) (630-648) თვლიან (აბრამიშვილი 1996: 65). პატრიარქი იოანე თითქმის ერთი საუკუნით ადრინდელ წყაროებს იყენებდა იულიანური მოძღვრების განსაქიქებლად.

ამ საბუთებში მოხსენიებულია ეპისკოპოსი სტეფანე, რომელსაც სევერიანელები (ანტიოქიის სირიული ეკლესია, რომლის მეთაურიც იყო იოანე I) იულიანური ხელთდასხმის არაკანონიკურობის მაგალითად მოიხმობდნენ. საქმე ისაა, რომ სტეფანეს მღვდელმთავრად ხელდასხმა არაკანონიკურად აღესრულა. ყველაფერი კი აქიდან დაიწყო: იულიანური მოძღვრების მიმდევარ ეპისკოპოს პროკოფის ეპისკოპოსად „უკურთხებია“ ვინმე ევტოპი, ოღონდ ეს „ბურთხევა“ პროკოფის სიკვდილის შემდეგ აღესრულა. მიცვალებული პროკოფის ხელი თავზე დაადეს ევტოპის და ეს უკანასკნელი „ხელთდასხმულად“ გამოაცხადეს (აბრამიშვილი 1996: 66). ამ ევტოპიმ მღვდელმთავრებად ხელი დაასხა რომანოზს, სერგის და თეოდოსის, ხოლო რომანოზმა ხელი დაასხა მოსეს, სვიმეონსა და იმ სტეფანეს, რომელზეც პატრიარქი იოანე საუბრობს (აბრამიშვილი 1996: 66). თომას ეპისტოლე გვატყობინებს, რომ სტეფანე VI საუკუნეში საეკლესიო საქმეთა „განსამართად“ სომხეთში ჩასულა, ხოლო სვიმეონი ქართლში, ტანას ხეობის მონასტერში, რომელსაც გ. აბრამიშვილი სამართლიანად ატენის მონასტერთან აიგივებს.

სვიმეონი ქართლში ჩამოვიდა, რათა უღირსი ეპისკოპოსები ანათემას გადაეცა. გ. აბრამიშვილი რ. დრაგეს მიერ დადგენილი ქრონოლოგიის თანახმად თვლის, რომ ეპისკოპოსებს სვიმეონსა და სტეფანეს 548-584 წლებში უნდა ემოდვაწევათ, რადგან ევტოპი 548 წელს გარდაიცვალა (რომელმაც სტეფანესა და სვიმეონის ხელთდამსხმელ რომანოზს დაასხა ხელი), ხოლო ეპისტოლეს ავტორი მარ თომა 584 წლის შემდგომ ხანებში მოღვაწეობდა (აბრამიშვილი 1996: 67). გ. აბრამიშვილი ტანას მონასტერში სვიმეონის ჩასვლას VI საუკუნის 40-50-იანი წლებით ვარაუდობს (აბრამიშვილი 1996: 67), რაც იმის დასტურია, რომ ამ პერიოდში, ხეობაში, მონასტერი არსებობდა, რომელიც აშკარად არ უკავშირდებოდა ასურელ მამათა მოღვაწეობას (ამის შესახებ რაიმე ხელშესახები წყარო არ გაგვაჩნია), პირიქით, ატენის მონასტერი ასურელ მამათა ჩამოსვლამდე გაცილებით ადრე უნდა იყოს დაარსებული (თუ გავითვალისწინებთ, რომ სუბსტრუქციაში ჩაშვებული თიხის სარკოფაგი IV-V საუკუნეებს მიეკუთვნება (აბრამიშვილი 1996: 65) გამორიცხული არ არის აქ მონასტერის დაარსება V საუკუნეში, თუმცა VI საუკუნის შუა წლებში ატენის მონასტერი დანამდვილებით არსებობს).

ატენის მონასტერის მნიშვნელობას ზრდიდა აქ საეპისკოპოსო ქათედრის არსებობაც, რომელიც ატენის სიონის IX-X საუკუნეების ხუცური წარწერითაც დასტურდება (აბრამიშვილი 1996: 67-68), მონასტერის ხასიათზე (ტიპიკონზე) მსჯელობისათვის ჩვენ რაიმე სანდო წყარო არ გაგვაჩნია.

### §3. ნაგზაურას სამონასტრო კომპლექსი

ქვემო ქართლი ქართული კულტურის უძველეს კერას წარმოადგენს. ეს არის რეგიონი, სადაც ქრისტიანობამ ყველაზე ადრე მოიკიდა ფეხი და ქართული ქრიატიანული კულტურის შესანიშნავი ძეგლები მოგვცა, ამიტომ ნამდვილად არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ ერთ-ერთი უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება შუშანიკის მარტვილობა და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები სწორედ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

ადრევე გავრცელდა ქვემო ქართლში სამონასტრო ცხოვრებაც. ქვემო ქართლის მონასტერების განხილვისას მნიშვნელოვანი კითხვა ჩნდება:

უკავშირდება თუ არა აქ ფართო, ორგანიზებული ბერმონაზვნური ცხოვრების გავრცელება ასურელ მამებს, თუ სამონასტრო მოძრაობა ქვემო ქართლში ასურელ მამათაგან დამოუკიდებლად, სხვა წყაროებით ვრცელდებოდა?

ქართლის (და განსაკუთრებით ქვემო ქართლის) აღრეული კავშირი სირიულ სამყაროსთან ეჭვს არ იწვევს (გოლიაძე 2000: 17-27). ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი შუშანიკის მარტვილობაში მოხსენიებული წმინდა კაცის შესაძლო კავშირზე სირიულ ანაქორეტობასთან. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქვემო ქართლი ასურელ მამებამდეც განიცდიდა დიდი სირიული სამონასტრო ტრადიციის გავლენას, რომელიც საკუთრივ სირიის ტერიტორიიდან გაცილებით შორს ვრცელდებოდა. მითუმეტეს ჩვენ არ გაგვჩნია რაიმე სანდო (ფოლკლორული გადმოცემების გარდა, რომლის სანდოობასაც ისტორიკოსი ვერ დაეყრდნობა) ასურელი მამების ან მათი მოწაფეების ქვემო ქართლში მოღვაწეობის შესახებ.

არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მონასტრების არსებობასა და მათ მნიშვნელოვან კულტურულ და ეკონომიკურ გავლენას უკვე VI საუკუნის I ნახევრიდან.

1998 წელს დმანისის რაიონში, დმანისისაკენ მიმავალი ტრასის სიახლოვეს (სოფლებს ტნუსსა და განთიადს შორის) 700 კვ. მ. ფართობზე გადაშლილი სამონასტრო კომპლექსის ნაშთები აღმოჩნდა (კახიანი... 2012: 7). კომპლექსს ზღუდე ჰქონდა შემოვლებული (შედარებით გვიანდელი). მონასტრის ტერიტორიაზე გამოვლინდა ოთხი ეკლესია და წითელი ტუფისაგან დამზადებული არტეფაქტები (ქვაჯვარები, ქვაჯვარათა კვარცხლბეკები, გრაფიტოები და ა.შ.), აღნიშნულ არტეფაქტებში ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენად სპეციალისტებმა წითელი ტუფისაგან დამზადებული ქვასვეტი მიიჩნიეს ყრმიანი ღვთისმშობლისა და სხვა ფიგურული გამოსახულებებით კაპიტელსა და წახნაგებზე (კახიანი... 2012: 7). გათხრებისას ასევე გამოვლინდა V-VIII საუკუნეთა ოორმეტი ეპიგრაფიკული წარწერა (კახიანი... 2012: 83-87; ოთხმეზური 2016: 10). ქვასვეტის ქტიტორთა გამოსახულებიანი წახნაგის მარცხენა აშიაზე ამოკვეთილია (რელიეფური კვეთა) წარწერა შესაქმის წიგნიდან: „დღე ა” ანუ დღე პირველი (შესაქმე : 5). წარწერა უძველესი პერიოდით (V საუკუნე) თარიღდება, რაც დმანისის წარწერებს შორის უძველესია (ოთხმეზური 2016: 10) და ნაგზაურას კომპლექსის მნიშვნელობაზე მიუთითებს, თუმცა შესაძლოა სამონასტრო კომპლექსი არ იყოს აღნიშნული

წარწერის თანადროული. სავარაუდოდ, წითელი ტუფისაგან დამზადებული ქვასვეტები და ქვაჯვარები მონასტრის ტერიტორიაზე მოგვიანებით მიიტანეს.

მკვლევართა დასკვნით, ნაგზაურას კომპლექსი აშკარა პარალელურს ჰუანშერ ამირანაშვილის მიერ ბოლნისის რაიონში „ლამაზ გორაზე“ აღმოჩენილ მონასტერთან (კახიანი... 2012: 88).

აქ (ე. ი. ნაგზაურას მონასტერში – შ. მ.) თავს იჩენს ყველა ის სტილისტური თავისებურება, რაც დამახასიათებელია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების განვითარებისათვის და ამასთან შეიცავს ისეთ ნიშნებსაც, რომლებიც მხოლოდ ამ რეგიონის თვითმყოფადი გამოვლინებაა (კახიანი... 2012: 90).

როგორც აღვნიშნეთ, მონასტრის ტერიტორიაზე ოთხი ეკლესია აღმოჩნდა. ეკლესიათა ხუროთმოძღვრული მახასიათებლების მიხედვით მკვლევრებმა ნაგზაურას კომპლექსის ქრონოლოგიური ჩარჩო განსაზღვრეს – V-IX საუკუნეები. V-VI საუკუნეებში უნდა აეგოთ პირველი ეკლესია, დაახლოებით ამავე დროს უნდა იყოს აგებული მეორე ეკლესიაც (კახიანი... 2012: 96). ეს მეორე ეკლესია შესაძლებელია სანათლავიც ყოფილიყო, ამ ორი ეკლესიის დანგრევის შემდეგ უნდა აეგოთ მესამე და მეოთხე ეკლესიები (კახიანი... 2012: 96). შავარაუდოდ, ეს ორი უკანასკნელი ეკლესია გარდამავალ, VII-VIII საუკუნეებს მიეკუთვნება (მესამე ტაძარი მეორე ეკლესიის ნანგრევებზეა დაშენებული).

კვლევის ავტორთა თანახმად, აქ მონასტრული ცხოვრება VI საუკუნეში უნდა დაწყებულიყო და VIII-IX საუკუნეებში უნდა შეწყვეტილიყო არაბთა შემოსევების გამო. მონასტრის ნგრევა შესაძლოა VIII საუკუნის 30-იან წლებში მურვან ყრუს შემოსევებს ან 853 ბულა თურქის შემოსვლას მოჰყოლოდა.

აქ აღმოჩენილი კულტურული ფენები VII-VIII საუკუნეებს (მესამე და მეოთხე ეკლესიების პერიოდი) თარიღდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მონასტერი აქტიურ საქმიანობას სწორედ ამ დროის განმავლობაში აწარმოებდა, ამასთან როგორც არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, ამ მონასტერს დასახლებულ პუნქტში უნდა ეარსება.

ნაგაზურა ტიპიური კვინობური მონასტერია. გალავნით შემოზღუდული ტაძრები, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობანი მონასტრის წევრთა მჭიდრო ერთობასა და ერთიან ტიპიკონზე მიუთითებს, სამწუხაროდ ჩვენ გაგვიჯირდება აღნიშნული მონასტრის ცხოვრების წესდების გამოცნობა, ამ შემთხვევაში მხოლოდ ვარაუდების სფეროში შეიძლება დაგრჩეთ.

## §4. ლამაზი გორის სამონასტრო ანსამბლი

ბოლნისის რაიონში არქეოლოგიური გათხრები გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით. არქეოლოგიური კვლევა-ძიება კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა XX საუკუნის 40-იან წლებში. 1959 წელს „ლამაზ გორაზე“ (მდებარეობს ბოლნისის სიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით 800 მეტრში) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი (ამირანაშვილი 1968: 7-8).

გათხრების შედეგად, ბორცვის ცენტრში გამოვლინდა სამნავიანი ბაზილიკის ნაშთები (ამირანაშვილი 1968: 9), ხოლო ბაზილიკის სამხრეთ-დასავლეთითა და ჩრდილოეთით სხვადასხვა ტიპის ნაგებობანი. მთელი სამონასტრო ანსამბლი შემოზღუდული იყო ქვის გალავნით (გალავნის კედლების ნაწილი მხოლოდ სამონასტრო კომპლექსის დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა). ჯ. ამირანაშვილის დაკვირვებით,

გათხრილი ტაძრისა და მასთან დაკავშირებულ ნაგებობათა განლაგება და ურთიერთკავშირი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სამონასტრო ანსამბლის ნაშთებთან (1968: 9).

ტაძრი ნატეხი და გათლილი ქვის წყობითაა ამოკვანილი, კირით შედუდაბებული, ხოლო სენაკები და სამეურნეო დანიშნულების შენობები ნატეხი ქვითა და თიხითაა ნაშენები (საშენ მასალად ადგილობრივი ჯიშის ვულკანური ქანის, დაციტის ქვები გამოუყენებიათ (1968: 9)). ნაგზაურას კომპლექსის მსგავსად აქაც, მონასტრის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის ქვის ძეგლები აღმოჩნდა (ქვაჯვარები, კვარცხლბეკები, გრაფიტოები, სიონის ტაძრის მოდელი და ა.შ.).

მონასტერი სამნავიანი ბაზილიკისგან, 13 სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობისა და ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით დავაკებული ადგილისაგან შედგება (ამირანაშვილი 1968: 10). ლამაზი გორის ეკლესია V საუკუნეს მიეკუთვნება, რაზეც ტაძრის ფორმათა არქაულობა, საკურთხევლის აბსიდის გაუშლელი ნალისებური მოყვანილობა და ბოლნური ჯვრებით დაფარული ქვის სტელების დიდი რაოდენობა მიანიშნებს (ამირანაშვილი 1968: 26). ჯ.

ამირანაშვილს შესაძლებლად მიაჩნია ტამრის კიდევ უფრო ადრეული ეპოქით (IV-V საუკუნეების მიჯნა) დათარიღება (ამირანაშვილი 1968: 27). ჯ. ამირანაშვილის დასკვნით, V საუკუნეში ან უფრო გვიან ჩანს აგებული II, III და XII სენაკები. მკვლევარი ლამაზი გორის კომპლექსის ფუნქციონირებას რამდენიმე პერიოდად ყოფს: პირველი პერიოდი, მისი აზრით, მოიცავს V-VI საუკუნეებს, მეორე ანუ შუა პერიოდი - VII-X საუკუნეებს (რომელიც საკუთრივ ორ ქვეპერიოდად - VII-VIII და IX-X საუკუნეებად იყოფა), ხოლო უკანასკნელ პერიოდად მეცნიერი X-XIII საუკუნეებს თვლის (რომელიც საკუთრივ ორ ქვეპერიოდად - X-XI და XI-XIII საუკუნეებად იყოფა) (ამირანაშვილი 1968: 56-57).

ლამაზი გორის დასახლების მეორე ანუ შუა ხანას მიაკუთვნებს ჯ. ამირანაშვილი მონასტრული ცხოვრების დასაწყის ეტაპს (ამირანაშვილი 1968: 56) ანუ მონასტერს, აქ, ფუნქციონირება VII-VIII საუკუნეებში უნდა დაეწყო. მკვლევარი ლამაზი გორის სამონასტრო ანსამბლად გარდაქმნას ადგილობრივ ფეოდალებისა (მამფლების) და ეპისკოპოსების ინიციატივას უკავშირებს (ამირანაშვილი 1968: 60), რაც ამ პერიოდის ქართლისათვის, სადაც ფეოდალიზაციის პროცესი უკვე დამთავრებულია (და ეკლესიაც ამ ფეოდალური სისტემის ნაწილადაა გადაქცეული) სრულიად ლოგიკური დასკვნაა.

ნაგზაურას კომპლექსის მსგავსად ლამაზი გორის მონასტერიც კვინობი ანუ ზოგადცხოვრებულთა ასკეტური კრებული უნდა ყოფილიყო, რაზეც ნაგზაურას ანალოგით, კომპლექსისათვის გარს შემოვლებული გალავანი და სამონასტრო დასახლების სიმჭიდროვე მიუთითებს.

## §5. ქასურის მონასტერი

ასურელ მამათა მოღვაწეობის შემდეგ ქართულმა ბერმონაზვნობამ სწრაფი განვითარება დაიწყო და მალევე გადაიქცა გავლენიან ძალად ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში (იყო რა ამავე დროს „ფეოდალური რევოლუციის“ (ს. ჯანაშია) აქტიური და ქმედითი მონაწილე). უკვე ცამეტი სირიელი ბერის მოსაგრეობის პერიოდშივე, მათ მიერ დაარსებულ მონასტრებს ეტყობოდათ ევოლუციისა და ტრანსფორმაციის ის ნიშნები, რომელიც ასე სახასიათო იყო, ზოგადად, აღმოსავლური ბერმონაზვნობისათვის. VI-VIII საუკუნეების საქართველოში ქრისტიანული ბერმონაზვნობის ოთხივე ფორმას კხვდებით:

ანაქორეტები (ინდივიდუალურად მოდგაწენი ან მათი პრიმიტიული ერთობა), ლავრა (დაყუდებულ მონაზონთა ერთობა საერთო ტაძრით), კვინობი („ზოგადცხორებულ” ანუ ერთად მცხოვრებ ძმათა კრებული) და ლავრისა და კვინობის სინთეზი (საბა პალესტინელის მიერ ჩამოყალიბებული მოდელი, რომელიც შიო-მღვიმისა და დავით გარეჯელის მონასტრებში გვხდება). ქვემოთ ჩვენ იმ მონასტრებს მიმოვიხილავთ, რომლებზეც შედარებით მეტი გვაქვს ნარატიული და არქეოლოგიური წყაროები.

არსენ კათალიკოსი იოანე ზედაზნელის მოწაფეებზე თხრობისას, პირველ რიგში მის სულიერ შვილს თათას იხსენიებს:

ხოლო აშ ნეტართა მოწაფეთათვს ვიტყოდით, რომელნი განათლდეს მადლითა საღმრთოდთა და სხუანიცა განანათლნეს და მონასტერნი აღაშენეს, რომელნი ვიდრე აქამომდე პგიან და კურნებანი იქმნებიან, რომელთამ თითოუელად მოთხრობად ვერ ძალ-გპც. ერთმან მოაწაფეთაგანმან, სახელითა თათა, ქუეშე ძირსა მის მთისასა აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა განმრავლდეს მონაზონნი და ყოვლითავე წესიერებითა იქცეოდეს... (აბულაძე 1955: 62).

იოანე ზედაზნელის გარდაცვალების შემდეგ წმ. თათამ მისი ცხედარი იოანეს საგანიდან – ქვაბიდან ზედაზნის მთის ძირას აგებულ მონასტერში გადმოასვენა, თუმცა ზეციური მინიშნების შემდეგ, წმინდა ცხედარი კვლავ თავდაპირველ ადგილას დააბრუნა. როგორც ჩანს თათას მიერ დაარსებული მონასტერი კვინობი – ძმათა კრებული იყო. მონაზვნები ერთად, წმ. თათა სტეფანწმიდნელის, სულიერი ხელმძღვანელობის ქვეშ ცხოვრობდნენ.

სპეციალისტთა დაკვირვებით ქასურის წმინდა გიორგის ეკლესია სწორედ წმ. თათა სტეფანწმინდელისაგან დაარსებული მონასტრის ტაძარი უნდა ყოფილიყო. არსენიც ცნობით თათამ „ქუეშე ძირსა მის მთისასა აღაშენა მონასტერი...“ (აბულაძე 1955: 62). ქასურის წმ. გიორგის ეკლესია სწორედ ზედაზნის მთის ძირში მდებარეობს, ფერდობზე, ზედაზნის მონასტრისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს და VI საუკუნით თარიღდება.

ქასურის წმ. გიორგის ეკლესიის ფასადის სქემა პირველად სევეროვმა შეასრულა 1922 წელს (ხვისტანი 2009: 94-95). ტაძარი მოინახულა და ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით შეისწავლა გ. ჩუბინაშვილმა და ის ადრეული ფეოდალური ხანის ე. წ. სამეკლესიანი ბაზილიკების რიცხვში შეიყვანა და VI საუკუნით დაათარიღა (ჩუბინაშვილი 1959: 204).

ტაძარს ბოლშევიკური ანტიქრისტიანული კამპანიისას დიდი, ლამაზად თლილი, კვადრები შემოაცალეს და მხოლოდ დუღაბი დატოვეს, რესტავრაცია 2008 წელს ჩაუტარდა (ხვისტანი 2009: 94-95). ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არ ჩატარებულა არქეოლოგიური გათხრები. გათხრების შემთხვევაში დიდი ალბათობით უნდა გამოვლინდეს მონასტრული ცხოვრების ნიშნები.

## §7. ყვრილის ხეობის მონასტრები

ყვრილის ხეობის კლდის ქვაბებით დაინტერესაბას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. თავდაპირველად მათ საფორტიფიკაციო დანიშნულების გამოქვაბულებად, სახიზრებად მიიჩნევდნენ (ბახტაძე... 2012: 403). პირველად ამ ქვაბთა სამონასტრო ცხოვრებასთან კავშირის შესახებ მოსაზრება 1968 წელს გამოოქვეს გ. გაფრინდაშვილმა და ა. ნემსიწვერიძემ (ბახტაძე... 2012: 403). 2011 წლის ექსპედიციის შემდეგ კი საბოლოოდ გამოირკვა, რომ ამ ქვაბებს მხოლოდ, მტრის შემოსევისას, თავშესაფარებლად არ იყენებდნენ. ექსპედიციის მონაწილეთა შენიშვნით,

საქმე ის არის, რომ ექსპედიციის მუშაობისას სულ სხვა, ამ რეგიონისთვის სრულიად მოულოდნელ ისტორიულ მოვლენას აქხადა ფარდა. კერძოდ, გაირკვა, რომ მდ. ყვრილას აუზის გამოქვაბულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სრულიადაც არ ყოფილა შექმნილი მხოლოდ თავდაცვითი დანიშნულებით – აქ რამდენიმე, დღემდე პრაქტიკულად უცნობი და მეცნიერულად სავსებით შეუსწავლელი, უძველესი კლდეში ნაკვეთი უდაბნო-მონასტერი დადასტურდა; ასე განსაჯეთ, ვიზუალურად საფორტიფიკაციო იერის მქონე ქვაბნაშენების ნაწილიც კი სრულიად ცალსახად, ორგანულად აღმოჩნდა დაკავშირებული ქრისტიანული მეუდაბნოების ჩასახვა-განვითარების საწყის ეტაპებთან (ბახტაძე... 2012: 405-406).

XIII საუკუნით დათარიღებული მდვიმევის მონასტრის მახლობლად არსებული კლდეში გამოკვეთილი ქვაბები, როგორც გაირკვა, განდევნილ მონაზონთა საცხოვრისი უნდა ყოფილიყო. სპეციალისტთა შეფასებით, ამ ქვაბებში არსებულ ორნავიანი ეკლესიისა და სენაკების მოწყობაში, დეკორსა და გეგმარებაში არქაული ელემენტები შეინიშნება, რაც არქეოლოგებს აქ ბერმონაზვნური ცხოვრების აღრეულ პერიოდში დაწყებას ავარაუდებინებს. 6.

ბახტაძისა და 6. თუშაბრამიშვილის შენიშვნით, მღვიმევის მონასტრის მახლობლად მდებარე ქვაბმი ლითონის საჭრეთლით გამოკვეთილი ეკლესიის „ორივე ნავის აღმოსავლეთ ნაწილებს ისეთი აღნაგობა აქვს, რამაც ყველაზე მეტად დაგვაფიქრა ეკლესიის არქაულობაზე” (ბახტაძე... 2012: 408). ამ ეკლესიაში არ გვხდება ჩამოყალიბებული ფორმის საკურთხეველი, რომელსაც აფხიდის გამოკვეთილი სახე და სწორკუთხა გეგმა ახასიათებს, ამასთან ეკლესიის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე ჩამოსაჯდომი მერხებია გამოკვეთილი, რაც ადრეული შეა საუკუნეების ტაძრებისთვისაა დამახასიათებელი (ბახტაძე... 2012: 408).

ეკლესიის აღნაგობამ, განსაკუთრებით აღწერილმა ემბრიონული ფორმის საკურთხეველმა, თავიდნავე განსაზღვრა ჩვენი პოზიცია, რომ ეს მონასტერი მღვიმევის სამონასტრო კომპლექსის დაარსებისა და ფუნქციონირების ადრეულ ფაზებთან დაგვეკავშირებინა... (ბახტაძე... 2012: 408).

მკვლევართა შენიშვნით, მღვიმევის ქვაბოვანი სტრუქტურა ყველაზე ახლოს დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრებასთან დგას, ისევე როგორც აღმოსავლეთის ქვაბოვან მონასტერთა ტიპებთან (ბახტაძე... 2012: 409). დავით-გარეჯაში სამონასტრო ცხოვრების პირველ ეტაპზე (VI-VII საუკუნეებში) პრიმიტიული საკურთხევლები არსებობდა, მონაზვნები ზედმეტად არ ამჟამაგებდნენ ბუნებრივ გამოქვაბულებს, ხოლო VIII საუკუნიდან აქ უკვე ორნავიანი ეკლესიების მშენებლობაც დაიწყეს. 6. ბახტაძისა და 6. თუშაბრამიშვილის აზრით, მღვიმევის ქვაბოვანი მონასტერის არსებობა გარდამავალ პერიოდს უნდა დაუკავშირდეს, როდესაც უბრალო სამლოცველოებს უკვე კანონიკური ეკლესიების იერ-სახეს აძლევდნენ და VII-VIII საუკუნეებზე გვიანდელი ხანით არ უნდა დათარიღდეს (ბახტაძე... 2012: 410). მკვლევართა აზრით, „ეს ქვაბოვანი ეკლესია მცირე გამოქვაბული მონასტრის ან ლავრის „ფილიალის“ ცენტრალურ ტაძარს წარმოადგენდა...” (ბახტაძე... 2012: 411). აქ ცოტა გაუგებარია რომელ „ლავრას“ გულისხმობენ მკვლევრები, რომლის „ფილიალიც“ უნდა ყოფილიყო კლდეში ნაკვეთი მონასტერი, შეიძლება მღვიმევს, რომელსაც ცენტრალური მონასტრის ფუნქცია უნდა შეესრულებინა, თუმცა ეს დანამდვილებით არ ვიცით, შეიძლება კლდეში ნაკვეთი მონასტერი სრულიად დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა და თავად წარმოადგენდა ლავრას.

ექსპედიციის მონაწილეთა დაკვირვებით, მღვიმევის ქვაბოვანი სამონასტრო კომპლექსი ყველა ნიშნით ბერმონაზვნური ცხოვრების ადრეული ეტაპით ხასიათდება.

შესაბამისად, სამონასტრო ცხოვრებას მღვიმევში, დღემდე მიღებულზე (ანუ XIII საუკუნეზე – შ. მ.) დაახლოებით 7 საუკუნით ადრე ჩაყრია საფუძველი – აქ ასკეტური მოღვაწეობის დასაწყისად დაახ. VI საუკუნე, გ. ი. საქართველოში წმ. ასურელი მამების მოღვაწეობის ეპოქა უნდა ვივარაუდოთ (ბახტაძე... 2012: 411).

გარდა ამისა, არქეოლოგებმა ყურადღება მიაქციეს მღვიმევის თანამედროვე მონასტრის დასავლეთით, კლდეში ნაკვეთ სამ ქვაბს, რომელიც ასევე მონაზონთა საცხოვრებლად მიიჩნიეს და ისინი სოხასტერებად, განდეგილ ბერთა სამოღვაწეო სენაკებად ჩათვალეს, რომელიც მთავარ ლავრას ექვემდებარებოდა (ბახტაძე... 2012: 412-413), რაც სავსებით ლოგიკურია.

ექსპედიციამ ადრეული ბერმონაზვნური ცხოვრების დამადასტურებელი ნიშნები აღმოაჩინა თირის ეკლესიასთან (მდებარეობს ჭიათურისკენ მიმავალ გზაზე), სადაც დაყუდებეული ბერის – ჰესიქასტის საცხოვრებელი აღმოჩნდა. არქეოლოგებმა კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულის ერთ-ერთ ნაწილში მიწით ამოვსებული ორმოს გაწმენდის შემდეგ, იქ ადრეული, VIII-IX საუკუნეებით დათარაღებულ საყოფაცხოვრებო კერამიკას მიაკვლიეს. ყველა ნიშნის მიხედვით (გამოქვაბულში გამოკვეთილი ნიშა-სარეცელი, რომელიც მიცვალებულისათვის გამოიყენებოდა, ნიშები, რომლებიც შესაძლოა საკურთხევლის ფუნქციასაც ასრულებდა და თავად ორმოს ფორმა, რომელიც შიო მღვიმელის სადაყუდებლო-სამოღავწეო მღვიმეს მიაგავს და თვითონ ორმოში აღმოჩენილი მასალა), მკვლევარებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ეს ქვაბი, და კონკრეტულად ორმო, განდეგილი ბერის სამყოფელი-სავანე უნდა ყოფილიყო (ბახტაძე... 2012: 413-422). მასალას ისინი, უფრო, VI-VIII საუკუნეებით ათარიღებენ.

მეტი სიზუსტით ამ მასალის დათარიღება შეუძლებელია. თუმცა წარმოდგენილი არტეფაქტები, გინდაც სავარაუდო ქრონოლოგიური მონაკვეთის ზედა ზღვარზე, VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე იყოს დამზადებული, ეს სულაც არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ სადაყუდებლო სახელდობრ ამ ხანაშია შექმნილი (ბახტაძე... 2012: 422).

პირიქით, მოღვაწე მონაზონი აქ ადრე უნდა დამკვიდრებულიყო:

...ამ სადაყუდებლო ჭაში პირველი ასკეტი ბერის დავანება შესაძლოა VI საუკუნეშივე, საქართველოში ათცამეტი წმ. ასურელი მამის და მათი

პირველი მიმდევრობის მოღვაწეობის ეპოქაში მომხდარიყო (ბახტაძე 2012: 422).

თირის ეკლესიასთან მდებარე გამოქვაბულში აშკარად მკაცრი ანაქორეტული ცხოვრების წესის მქონე მოღვაწე იქნებოდა დაყუდებული. ახლა ძნელია იმის თქმა და ვარაუდი, თუ რომელ მონასტერს უნდა დამორჩილებოდა ეს ანაქორეტი თუ ის სრულიად დამოუკიდებლად მოღვაწეობდა. გარდა ამისა, VI საუკუნეში აქ ბერის დამკვიდრებაც ვარაუდის სფეროს განეკუთვნება (თუმცა VII-VIII საუკუნეებში ამ გამოქვაბულში ასკეტის ყოფნაზე დანამდვილებით შეგვიძლია საუბარი), თუმცა სრულიად შესაძლებელია ასურელ მამათა მოღვაწეობის გავლენა არგვეთზეც გავრცელებულიყო, რომელიც, როგორც ცნობილია, საუკუნეების განმავლობაში ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა (ჯანაშია 1949: 122-123), მითუმეტეს ასურელი მამები არგვეთიდან არცთუ ისე შორს, შიდა ქართლშიც მოღვაწეობდნენ.

ასეა თუ ისე, ზემოთ დამოწმებული მასალა ცხადყოფს VI-VIII საუკუნეებში სამონასტრო ცხოვრებოს განვითარებასა და გაფართოებას საქართველოს მასშტაბით, რაც დიდწილად ასურელ მამათა მოღვაწეობას უნდა მივაწეროთ. როგორც დავინახეთ, პირველ ეტაპზე მაინც, ქართული ბერმონაზვნობაში ლავრის ტიპის სამონასტრო ცხოვრების წესი დომინირებს, რომელიც ასე ფართოდ იყო გავრცელებული ეგვიპტეში, სირიასა და განსაკუთრებით პალესტინაში. ბერები სხვადასხვა, ინდივიდუალურ (საწყის ეტაპზე ხელოვნურად ცუდად დამუშავებულ) სენაკებში – გამოქვაბულებში ცხოვრობენ, დროთა განმავლობაში სამონასტრო ცხოვრება უფრო რთულდება და იხვეწება, შენდება საკრებულო ტაძრები და ლავრათა კვინობებად ტრანსფორმაციის ნელი და ძალზე საინტერესო პროცესი მიმდინარეობს.

## დასკვნა

კვლევისას ქართული ბერმონაზვნობის უადრესი ისტორიის რამდენიმე ასპექტი გამოიკვეთა: ქართული სამონასტრო ცხოვრების ისტორიის უადრესი ეტაპი ჩვენ ორ ნაწილად გავყავით – IV-V საუკუნეები ანუ ქართული ბერმონაზვნობის ჩასახვა და ერთგავრი ემბრიონული მდგომარეობა და VI-VIII საუკუნეები, როდესაც ქართული ბერმონაზვნობა განვითარების ახალ საფეხურზე გადადის და ქვეყნის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს სულიერი, სოციალური და ეკონომიკური როლის შესრულებას იწყებს.

ქართული ბერმონაზვნობის განხილვა შეუძლებელია აღმოსავლური სამონაზვნო ტრადიციის გარეშე. ერთი კონკრეტული პრობლემის კონტექსტუალიზაცია, ამ შემთხვევაში, შესანიშნავი საშუალებაა იმისათვის, რათა მრავალი ბუნდოვანი საკითხი გადაიჭრას და წყაროთა მონაცემები, რომელთა ადეკვატურად გაგება აქამდე ვერ ხერხდებოდა, ნათელი გახდეს. მონაზვნური მოდგაწეობა, უადრესად მრავალფეროვანი ფორმებისა და ტიპების მიუხედავად, ერთიანი სულიერი პრინციპებითა და მიზანდასახულობით მოქმედბდა. ასკეტური მოდგაწეობის მსგავსი (ან ერთი და იგივე სახეები) მოქმედებდა ხმელთაშუაზღვისპირეთის უაღრესად ფართო გეორგრაფიულ და კულტურულ არეალში. იბერია და კოლხეთი გვიანანტიკური ხმელთაშუაზღვისპირული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილები იყვნენ, და ამ ცივილიზაციის რელიგიურ ცხოვრებასა და შემოქმდებაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები. შეუძლებელია ქართული სამონასტრო ცხოვრების სრულყოფილად გაგება, თუკი ძველ ეკლესიაში (ადრეულ ქრისტიანობაში) არსებულ ასკეტურ დვთისმეტყველებასა და პრაქტიკას არ გავითვალისიწინებთ. ქართულ ბერმონაზვნობას არასდროს უარსებია ცალკე პარჩაკუტილი ფორმით, არამედ ყოველთვის, არსებობის ათას შვიდასი წლის მანძილზე ყოველთვის აქტიურ და ცხოველმყოფელ შეხებაში იმყოფებოდა ქრისტიანული ბერმონაზვნობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებთან, სხვადასხვა ბერმონაზვნულ (ლათინურ, ბერძნულ, სირიულ, სომხურ) ტრადიციებთან. ამიტომაც ჩვენ სადისერტაციო ნაშრომში, შეძლებისდგავარად, ვრცლად მიმოვინილეთ ადრექრისტიანული ასკეტური ცხოვრების სახვადასხვა ტიპები, ქრისტიანული ბერმონაზვნობის წარმოშობა და მისი ადრეული ისტორია.

ქართული ასკეტური ტრადიციის ფუძემდებელი წმ. ნინოა – ქართლის განმანათლებელი კაპადოკიელი ქალწული. მისი მოღვაწეობის შედეგად ქართლში ქრისტიანული ასკეტიზმის უძველესი ფორმები გარვცელდა და უკვე ამ კუთხითაც იძერია საერთოქრისტიანული „ოიკუმენეს“ ნაწილად გადაიქცა. უცნობია წმ. ნინოს მიერ დაფუძნებული ქალთა ასკეტური თემის შემდგომი ბედი. შესაძლებელია ამ თემმა ბოდისში წმ. ნინოს საფლავის მახლობლად გააგრძელა არსებობა და მოგვიანებით დედათა მონასტრად გარდაიქმნა, როგორც ეს ხდეობოდა საერთოდ ქრისტიანულ სამყაროში.

IV-V საუკუნეებში ქართლში უკვე ყალიბდება სამონასტრო თემები და ერთობები. ევსტათი სებასტიელი ბერმონაზვნური ცხოვრების წესს საქართველო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში ქადაგებდა, ხოლო დროთა განმავლობაში ქართლის სამეფოში ისეთი მნიშვნელოვანი მონასტრები აღმოცენდა, როგორებიც იყო წილკანი, ოპიზა და ატენი. V-VI საუკუნეებს მიეკუთვნებათ ისეთი მონასტრები, როგორებიცაა ნაგზაურას კომპლექსი, ჯ. ამირანაშვილის მიერ გათხრილი მონასტერი. ამ მონასტერთა დაარსება ასურელ მამათა სახელს არ უკავშირდება. ქართული მონასტერი უკვე V საუკუნის შუა ხანებში დაარსდა პალესტინის წმიდა მიწაზე, იერუსალიმის მახლობლად და ამ მონასტერს უკვე გამოარჩევდა თავისი განსაკუთრებული სპეციფიკური ხასიათი, რაც ამ დროის ქართლში უკვე მტკიცე სამონასტრო ტრადიციის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

კვლევისას ჩვენ წამოვაყენეთ შეხედულება, რომლის თანახმადაც ასურელ მამათა ქართლში მოსვლა და მათი მისიონერული და ასკეტური საქმიანობა ქართული ბერმონაზვნობის მეორე პერიოდად უნდა განვიხილოთ, როდესაც მონასტრული ცხოვრება საქართველოში განვითარების თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა. ცამეტმა სირიელმა ბერმა ქართლის სამეფოს სხვადასხვა კუთხეში მონასტრები დააფუძნა.

ასურელ მამათა მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი მისიონერული იყო. ქართლის სამეფოს სხვადასხვა კუთხეებში წარგზავნილებმა მათ მონასტრები დაარსეს. ეს მონასტრები ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების მნიშვნელოვან ცენტრებად იქცნენ. ასურელმა მამებმა მოიტანეს ქართლში სირიული ასკეტიზმის მკაცრი ფორმები (მესვეტეობა, მღვიმეში დაყუდება და ა.შ.). ჩვენ შევეცადეთ სირიელ ბერთა მიერ დაფუძნებულ ასკეტურ თემთა ტიპოლოგიზაციას: თავდაპირველად ბერები მოღვაწეობდნენ, როგორც

ანაქორეტები – ინდივიდუალური განდეგილები. დროთა განმავლობაში მათი სახელი აღგილობრივ მოსახლეობაში განითქმებოდა და ბერებთან მოსაგრეობას იწყებდნენ მონაზვნური ცხოვრების მსურველები. ასე ყალიბდებოდა ჯერ კიდევ მკაცრი ორგანიზაციის არმქონე პრიმიტიული ასკეტური თემები. დროთა განმავლობაში (საკმაოდ სწრაფად) ეს თემები ორგანიზებული მონასტრების სახეს იძენდნენ და მნისვნელოვან აღგილს იკავდებნდნენ ფეოდალური ქართლის სოციალგურ სხეულში. ეს განსაკუთრებით იგრძნობა შიო-მდგიმისა და დავითგარეჯის მონასტერთა მაგალითზე. ამ მონასტრებმა დიდი სულიერი და ეკონომიკური გავლენა მოიპოვეს ქართლის ფეოდალურ საზოგადოებაში და ქართლის ეკლესიის გავლენის ზრდის უმნიშვნელოვანების აქტორებად იქცნენ.

VI-VIII საუკუნეებში, ასურელ მამათა შემდგომ, აღმავალი გზით გრძელდება სამონასტრო ცხოვრების განვითარება საქართველოში და აქ ჩვენ ბერმონაზვნური მოღვაწეობის თითქმის ყველა სახე გვხდება. ახალი მონასტრები არსდება სხვადასხვა კუთხეებში, ხოლო ასურელ მამათაგან საფუძველჩაყრილი მონასტრები სულ უფრო მეტად იზრდებიან და სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ საქართველოს სულიერ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ქართული მონასტერი ქართული ფეოდალური პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს მონაწილეობის და მძლავრ ფეოდალურ ორგანიზაციად გარდაიქმნა, რომელიც ქართლის ერისმთავის ხელისუფლებასთანაც არ ერიდებოდა დაპირისპირებასა და კონფლიქტს და ამ კონფლიქტში გამარჯვებულიც გამოდის. სწორედ ამ დროს ეყრება საფუძველი საქართველოს ეკლესიაში მოძღვრებას საეკლესიო ხელისუფლების „უპირატესობის შესახებ, რაც მთელი ძალით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გამოვლინდა. საეკლესიო პირი არავის ხელისუფლების ქვეშ არაა, ის მხოლოდ ქრისტეს ემორჩილება, რომელიც ზეცისა და ქვეყნის წარუვალი და მარადიული ხელმწიფე და მეუფეა. მგვარად სამონასტრო კერები საქართველოს ეკლესიის გავლენისა და ძლიერების უმთავრეს მატარებლებად და დასაყრდენებად გადაიქცა, რამაც განსაზღვრა კიდევაც ქართული მონასტრების უდიდესი როლი საქართველოს შუა საუკუნეების მთელი ისტორიის მანძილზე.

## წყაროები:

- აბულაძე 1958:** აბულაძე ილ. ახურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძეგლი რედაქციები. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1958
- აბულაძე 1963:** აბულაძე ილ. (რედაქტორი). ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, 6. ათანელაშვილმა, 6. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ. თბილისი: საქართველოს მეცნიერაბათა აკადემიის გამომცემლობა, ტ. I, 1963
- აბულაძე 1967:** აბულაძე ილ. (რედაქტორი). ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, 6. ათანელაშვილმა, 6. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ. თბილისი: საქართველოს მეცნიერაბათა აკადემიის გამომცემლობა, ტ. II.
- აბულაძე 1967:** აბულაძე ილ. (რედაქტორი). ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, 6. ათანელაშვილმა, 6. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ. თბილისი: საქართველოს მეცნიერაბათა აკადემიის გამომცემლობა, ტ. IV
- აბდალაძე 1984:** მოგსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1984
- ალექსიძე 2007:** ალექსიძე ზ. (გამომცემელი). მოქცევაზე ქართლისავ: ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები. თბილისი: საქართველოს საპატიოარქოს გამომცემლობა, 2007
- ბროკი... 1998:** Brock, P. Sebastian, Harvey Ashbrook, Susan. *Holy Women of Syrian Orient*. Los-Angeles: University of California Press, 1998
- გამყრელიძე... 1961:** ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტება დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხეჩიშვილმა, თბ. 1961

- გაბიძაშვილი...** 1975: დიდი სჯულისკანონი. გამოსაცემად მოამზადეს პ. გაბიძაშვილმა, ქ. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ და გ. ნინუამ. თბილისი: გამომცემლობა: „მეცნიერება”. 1975
- გერინგი...** 1990: *Egyptian Monasticism (Selected Papyri)*, Introduction by James E. Goehring, Translation by Robert F. Boughner, in Wimbush, L. Vincent (editor). *Ascetic Behaviour in Greco-Roman Antiquity: A Sourcebook*. Minneapolis: Fortress Press, 1990
- გიგინეიშვილი...** 1979: შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს პ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1979
- დვალი 1966:** შეა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები (ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით). ტექსტი გამოსაცემად მოამზდა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მანან დვალმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”. 1966
- ზვიადაძე 2010:** ზვიადაძე გ. წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის თარგმანი წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებისა „ქალწულებისათვეს და საღმრთოსა მოქალაქობისა”, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, III, თბილისი: გამომცემლობა „ახალი საქართველო”, 2010
- ლოლაშვილი 1988:** ცხოვრება პეტრე იბერისა. ასურული რედაქცია გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988
- ლომოური 1941:** ლომოური თ. ბერძენიშვილი ნ. (რედაქტორები), გახუმბუ, აღწერა სამეცნიერო საქართველოსა, თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941
- თაყაიშვილი 1891:** თაყაიშვილი ე. (რედაქტორი). ახალი გარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი „ქართლის მოქვევისა”. ტფილისი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, 1891
- თაყაიშვილი 1906:** თაყაიშვილი ე. (რედაქტორი). ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის გარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტფ. 1906
- იმნაიშვილი 1975:** მამათა ცხოვრებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. იმნაიშვილმა, თბ. 1975

- კოპლატაძე 2009:** წმ. გრიგოლ ნოსელი, შესაქმისათვის კაცისა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო გვანცა კოპლატაძემ, თბილისი: „საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა”, 2009
- ლერნერი 2004:** *The Wellspring of Georgian Historiography: The Early Medieval Historical Chronicle The Conversion of K'art'li and The Life of St. Nino.* Translated with Introduction, commentary and indices by Constantine B. Lerner. London: Bennet & Bloom. 2004
- მამასახლისი 2015:** წმიდა ბასილი კესარიელი, ასკეზიონი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ქათევან მამასახლისმა, თბ. 2015
- მარი 1906:** *Деяния трех святых близнецов мучеников Спевсипа Еласипа и Меласипа,* Грузинский текст по двум рукописиям X-его века исследовал, издал и перевел Н. Марр – Отдельный оттиск из записок Восточного отделения Императорского русского археологического общества. СПБ. 1906
- მარი 1911:** Георгий мерчуль, *Житие св. Григория Хандзтийского.* Грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра съ дневником поездки Шавшию и Кларджио. С.-Петербург: Типография императорской Академии наук 1911
- მარი 1923:** მარი ბ. (რედაქტორი). *ქართლის ცხოვრება:* დახაბაძითვან მეათვეარმებელ ხაუკუნებების, გამოცემული ლვაწლითა უ. ბროსე, ნაწილი პირველი, ძველი მოთხრობა 1469 წლის ქრისტე აქტი, ა რვეული, ხელმეორედ დაბეჭდილი აკადემიკოს ბ. მარრის თვალმიდევნით, პეტროგრადი, 1923
- მგალობლიშვილი 1991:** *კლარჯული მრავალთავი,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1991
- მელიქიშვილი 2010:** *კლეიხის მამათა ხწავლანი ღვთის განკაცების შესახებ,* კრებული შადგინა, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და ლექსიკონი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, თბილისის სასულიერო სემინარისა და აკადემიის გამომცემლობა, 2010
- პატერიკი...2004:** *პატერიკი: ხწავლანი და ლუაწლი წმიდათა მამათანი.* თბილისი: გამომცემლობა „კალამონი”, 2004
- სიდოროვი 2012:** *Творения Святых Отцов-Подвижников.* Перевод, вступительная статья и комментарии А. И. Сидорова. Москва: Издательство „Сибирская Благозвонница”, 2012

**უილსონ-ჯასნერი...1981:** Wilson-Kastner, Patricia. Millin, Ann. Rader, Rosmary. Reedy, Jeremiah. *A Lost Tradition: Women Writers of Early Church.* Lanham/New-York/London: University Press of America, 1981

**ფრაადე 1990:** *The Nazarite in Ancient Judaizm (Selected Texts).* Introduction and Translation by Steven D. Fraade, in *Ascetic Behaviour in Greco-Roman Antiquity...* 1990

**ქორინგთონი 1990:** *Philo On the Contemplative Life: Or, On the Suppliants (The Fourth Book on the Virtues),* Introduction and Translation by Gail Paterson Corrington, in *Ascetic Behaviour in Greco-Roman Antiquity...* 1990

**ყაუხჩიშვილი 1955:** *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩისვილის მიერ. ტ. I. თბილისი: სახელმწიფო 1955

**ყაუხჩიშვილი 1942:** ანასეული „ქართლის ცხოვრება”, დასაბუჭიდად მოამზადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოლოგიის განყოფილებამ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ. 1942

**შათირიშვილი 2010:** შათირიშვილი ლ. ბახილი ანკვირელის ტრაქტა „ქალწულებისათვეს” და მისი ძველი ქართული თარგმანი, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, III, თბილისი: გამომცემლობა „ახალი საქართველო”, 2010

**ჭელიძე 2013ა:** წმინდა მღვიმარეთა მშვენიერებათმოყვარეობა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო პ. ჭელიძემ. თბილისი: გამომცემლობა: „ალილო”, II, 2013

**ჭელიძე 2013ბ:** წმინდა მღვიმარეთა მშვენიერებათმოყვარეობა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო პ. ჭელიძემ. თბილისი: გამომცემლობა „ალილო”, III, 2013

**ხელ:** ხელ. A-689

**ხელ:** ხელ. A-382

**ჯანაშვილი 1909:** ჯანაშვილი მ., ძველი ქართული მწერლობა, II, ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა”, 1909

**ჯანაშია 1962:** ჯანაშია ნ. ლაზარე პარვეზის ცნობები საქართველოს შეხახებ. თბილისი: მეცნიერება, 1962

**ჯაშია 2009:** ევსები კესარიელი. ხაგებებით იხტორია. თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზ. ჯაშმა. თბილისი: გამომცემლობა „ახალი ივერონი”, 2009

**ჯუდელი 2011:** ჯუდელი პ. ნებარი თეოდორიტე კვირელი – საღმრთო ასპარეზობა და სიბრძნისმოყვარეობა სირიული ასკეზიზმის ფონზე: „ფილოთეონისტობა” და მისი ქართული თარგმანები. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი”, 2011

**ჯუდელი 2014:** მოციქულებრივ მამათა სწავლანი. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო პ. ჯუდელმა. თბილისი: გამომცემლობა „ბეთანია”, 2014

**ჰოლმის 2006:** Holmes, W. Michael (editor). *The Apostolic Fathers in English.* Grand Rapids, Michigan: Baker Academic, 2006

**PG:** *Patrologia Graeca*, Migne, J-P. (editor), 1846. t. LXVII

## სამეცნიერო ლიტერატურა:

**აბრამიშვილი 1996:** აბრამიშვილი გ. ბერ მარ ისააკ გაბულელის მონასტრის წინამდღვარ თომას ეპისტოლე. ნარკვევები. II, 1996

**აბუზაიდი 1993:** Abuzayd Sh. *Ihidayutha: A study of the Life and Singleness in the Syrian Orient from Ignatius of Antioch to Chalcedon 451 A. D.* Oxford: oxford University Press. 1993

**აბულაძე 1943:** აბულაძე ილ. ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. IV, N 8, 1943

**აბულაძე 1945:** აბულაძე ილ. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს. თბილისი: საქართველოს მეცნიერაბათა აკადემიის გამომცემლობა, 1945

**აბულაძე 1973:** აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1973

**ალექსიძე 1999:** ალექსიძე ზ. „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის” შესწავლის ტექსტოლოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები. მრავალთავი 18, 1999

**ალექსიძე 2010:** ალექსიძე ზ. ქრისტიანული კავკასია, 1, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2010

**ალექსიძე 2011:** ალექსიძე ზ. ქრისტიანული კავკასია, 2, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2011

**ალექსიძე 2016:** ალექსიძე ზ. ქრისტიანული კავკასია, 3, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2016

- ამირანაშვილი 1968:** ამირანაშვილი ჭ. ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიგიური ქანდაკების ძეგლები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1968
- ანდლულაძე 1972:** ანდლულაძე ნ. შოთამდგიმის მონასტერი, ძეგლის მეგობარი, N 30, 1972
- აფაქიძე... 1989:** ანდრია აფაქიძე., ანზორ ნიკოლაიშვილი., ანზორ სიხარულიძე., თემურ ბიბილური., გელა გიუნაშვილი., შოთა ირემაშვილი., გოგი მანჯგალაძე., ვაჟა სარდაძე., მერაბ მნელაძე., ლევან ხეცურიანი., დიდი მცხეთა: არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა: არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, გ. IX. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1989
- ახვლედიანი 1979:** ახვლედიანი გ. ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” ფოლკლორული წყაროები, მაცნე: ისტორიის სერია, N 3, 1979
- ბახტაძე 2007:** ბახტაძე ნ. კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარება საქართველოში, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი”, 2007
- ბეზარაშვილი 2002:** ბეზარაშვილი ქ. მასალები საქართველოს ლკოსმობლისადმი წილხვდომილობის იდეისათვის ქართულ მწერლობაში, კრ. ძველი ქართული ლიეტარტურის პრობლემები, თბილისი: გამომცემლობა „ქართველოლოგი”, 2002
- ბერიძე 1955:** ბერიძე ვ. სამცხის ხუროთმოძღვრება: XIII-XVI საუკუნეები. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
- ბოგერაძე 1964:** ბოგერაძე ა. სერაპონ ზარზმელის თარიღისათვის. მაცნე: ისტორიის სერია, 3, 1964
- ბოგერაძე 1973:** ბოგერაძე ა. ფერდალური მიწათმფლობელობის განვითარება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”
- ბოგერაძე 1986:** ბოგერაძე ა. იხევ „სერაპონ ზარზმელის ცხოვრების” თარიღის გამო, საქართველოს ფერდალური ხანის ისტორიის საბითხები, V. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1986
- ბოგერაძე 1999:** ბოგერაძე ა. ნაშრომი გორგასლის ისტორიკოსის შესახებ, ანალები, 2, 1999
- ბრაუნი 1971:** Brown P. *The Rise and Function of the Holy men in Late Antiquity.* The journal of Roman Studies. Vol. 61. 1971

- ბრაუნი 1993:** Brown, P. *The Making of Late Antiquity* (Cambridge/London: Harvard University Press, 1993)
- ბრაუნი 1998:** Brown P. *The Rise and Function of the Holy Men, 1971-1997*. Journal of Early Christian Studies. N 6, Fall, 1998
- ბრაუნი 2008:** Brown, P. *The Body and Society: Men, Women and Sexual Renunciation in Early Christianity*. New-Yourk: Columbia Univeristy Press, 2008
- ბროსე 1849:** Brosset F. M. *Histoire de la Géorgie*. Saint Petersburg: Imprimerie de l'academie imperial des sciences, 1849
- ბუმაჟნოვი 2007:** Bumazhnov, F. D. *Some Farther observations Concerning the Early History of the Term Monakhos, in Braun, J. Cameron, Averil. Edwards , M. J. & Vinzent, M. (editors). Studia Patristica XIL. Leuven: Peeters, 2010*
- გაგოშიძე 2003:** გოგოშიძე გ. წმინდა მიწის ქართული წარწერები, ქ. Academia N 5, 2003
- გაგოშიძე 2014:** Gagoshidze Giorgi, *A Georgian Inscription in Umm-Leisun*, in *Georgians in Holy Land: The Rediscovery of a Long-lost Christian Legacy*, Mgaloblishvili, Tamila (editor). Iberica Caucasic, vol. 2 (London: Bennett & Bloom, 2014)
- გაფრინდაშვილი 1962:** გაფრინდაშვილი გ. შორ-ძღვიძის ქვაბთა ქეცხვავლის საკითხები, სპელეოლოგთა II სამეცნიერო სესია. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
- გაფრინდაშვილი 1969:** გაფრინდაშვილი გ. კლდეშვილი ნაკვეთი ძეგლები საქართველოში, სპელეოლოგთა VII სამეცნიერო სესია, თბილისი: „მეცნიერება”, 1969
- გაფრინდაშვილი 1987:** გაფრინდაშვილი გ. გარეჯი, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1987
- გაფრინდაშვილი 1988:** გაფრინდაშვილი გ. სამონაზენო მოძრაობა საქართველოში, ძეგლის მეგობარი, 2, 1988
- გაწერელია 1977:** გაწერელია ა. ისევ „ზაქარია ქართველის” გამო, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი: გამომცემლობა „მერანი”, 1977
- გაწერელია 1990:** გაწერელია ა. იოანე რუგუსის „კეტრე იბერის ცხოვრების” ქართული თარგმანის გამო. ქ. ქართული მწერლობა, 2, 1990
- გერინგი 1999:** Goehring, James. *Ascetics Society and The Desert: Studies in Early Egyptian Monasticism*, 19 (Trinity Press International: harrisbug, 1999)

გიბონი 1872: Gibbon, Edward. *The Decline and Fall of The Roman Empire*. II. London: Frederick Warne and Co. 1872

გიორგობიანი 2005: გიორგობიანი თ. ძველი ბერძნული ენა ძველქართული თარგმანებში. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი”, 2005

გიორგობიანი 2013: გიორგობიანი თ. ძველბერძნულ-ძველქართული ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი”, 2013

გოგუაძე 1964: გოგუაძე ნ. „ხერაპიონ ზარზმელის ცხოვრების” ტექსტისა და ენის საკითხები, ფილოლოგიური ძიებანი, I. თბილისი

გოზალიშვილი 1974: გოზალიშვილი გ. ქართლის მოქადაგის პრობლემა და პაკური, თბილისი: გამომცემლობა „განათლება”, 1974

გოლაძე 1991ა: გოლაძე ვ. ქართული კალების სათავეებთან. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო”, 1991

გოლაძე 1991ბ: გოლაძე ვ. ვახტანგ გორგასალი და მიხი ისტორიკოსი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1991

გოლაძე 2000: გოლაძე ვ. ოდრექსისტიანული ქართული ჯულტურის ფეხვები, ქრისტიანობა საქართველოში: ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები, რედ. ნ. აბაკელია და მ. ჩხარტიშვილი. თბილისი: გამომცემლობა „მემატიანე”

გოლაძე 2002: ახურელ მამათა სამშობლო და საქართველო. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. დ. გურამიშვილის სახ. სახელმწიფო უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტი

გრიმლაიერი 1975: Grillmeier A. *Christ in Christian Tradition: From Apostolic Age to Chalcedon (451)*, translated by John Bowden (John Knox Press: Atlanta, 1975)

გრიმლაიერი 1995: Grillmeier A. *Christ in Christian Tradition: From Council of Chalcedon (451) to Gregory the Great (590-604)*, vol. 2, translated by John Cawte & Pauline Allen (London: A Cassel Imprint, 1995)

დევისი 1998: *The Cult of Saint Thecla, Apostle and protomartyr: A Tradition of Women's Piety in Late Antiquity*: A dissertation Presented to The Faculty of The Graduate School of Yale University in Candidacy for Degree of Doctor of Philosophy by Stephen John Davis, May, 1998

დევისი 2012: Davis, Stevan L. *The Revolt of The Widows: The Social World of The Apocryphal Acts* (Dublin: Bardic Press, 2012)

დი სენი 1990: Di Segni Leah. *The Life of Chariton, in Ascetic Behavior in Greco-Roman World...1990*

**დოდსი 1994:** Dodds, Eric. *Oagan and Christian in an Age of Anxiety*. Cambridge: Cambridge University Press, 1965

**ელმი 1994:** Elm, S. *Virgins of God: The Making of Asceticism in Late Antiquity*. Oxford: Calredon Press, 1994

**ენუქიძე... 1984:** ქართული იხტორიული ხაძუთები: IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ო. ენუქიძემ., ვ. სილოგავამ., ნ. შოშიაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”

**ესბროკი 1975:** *Plus anciens homélaires géoéorgiens*, etudes descriptive et historique par Michel van Esbroeck. Publication de l'institute orientaliste de Loevan, 10 (Louvan-de-nouve, 1975)

**ვაჩნაძე 1975:** ვაჩნაძე ნ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც ხაიხტორი წყარო, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975

**ვებერი 1978:** Weber, M. *Economy and Society: An Outline of interpretive Sociology* (Berkeley/Los-Angeles/London: Univeristy of California Press, 1978)

**ვიმბუში...1998:** Wimbush, Vincent L. and Valantasis (editors). *Asceticism*. Oxford/New-York: Oxford University Press, 1998

**ვოობუსი 1958:** Vööbus A. *History of Asceticism in the Syrian Orient: A Contribution of the History of Culture of in the Near East (The origin of Asceticism, Early Monasticism in Persia)*, I (Louvan: Secrétariat du CorpusSCO, 1958)

**ზელიგმანი 2014ა:** Seligman John, *Excavations at the Georgian Monastery From the Byzantine Period in Umm-Leisun, Near Jerusalem*, in *Georgians in Holy Land: The Rediscovery of a Long-lost Christian Legacy*, ed. by Tamila Mgaloblishvili, Iberica Caucasia, vol. 2 (London: Bennett & Bloom, 2014)

**ზელიგმანი 2014ბ:** Seligman Jon, *A Georgian Monastery from the Byzantine Period at Khirbabat Ummmm Leisun*, Jerusalalem, Atiqot N 83, 2015

**თალბოთი 2009:** Talbot A. M. *A Monastic World*, in Haldon, John (editor). *Social History of Byzantium*. Weley-Blackwell, 2009

**თარხნიშვილი 1940:** Tarchnischwili M. *Die Legende der Heiligen Nino und die geschichte des Georgischen nationalbewußtseins*, Byzantinischce zeischrift, N 40, 1940

**თარხნიშვილი 1954:** თარხნიშვილი მ. ახლად აღმოჩენილი ქართველთა მონასტერი ბერლეგემი, ქურ. „ბედი ქართლისა”, N 6, პარიზი, 1954

**თარხნიშვილი 1958:** თარხნიშვილი მ., ქართული სახელისერთ პოეზია და მისი ურთიერთობა ბიზანტიურ პოეზიასთან, მნათობი, N1, 1958

- თარხნიშვილი 1994:** თარხნიშვილი გ. წერილები. თბილისი: გამომცემლობა „კანდელი”. 1994
- თაყაიშვილი 1919:** თაყაიშვილი გ. შენიშვნები ზარზმის ქალხისა და მის ხიდების შესახებ, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, N 1
- თელამონი 1992:** Thelamon, F. *Ascése et sociabilité: Les conduites alimentaires des moines d'Egypte au IV<sup>e</sup> siècle.* ქურ. Revue des Etudes Augustiniennes. 38, 1992
- თვალჭრელიძე 2010:** თვალჭრელიძე ზ. გარეჯის მრავალმთის არქეოლოგიური ძეგლები: წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, თბილისი: გამომცემლობა „ფაფორიტ პრინტი”, 2010
- თუმანოვი 1963:** Toumanoff C. *Studies in Christian Caucasian History* (Washington D. C: Georgetown University Press, 1963)
- ინგოროვა 1954:** ინგოროვა პ. გომრგი მერჩულები: მწერალი მეათე საუკუნისა, თბ. 1954
- ინგოროვა 1978:** ინგოროვა პ. ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოქალა მიმოხილვა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1978
- ისომონდი 2001:** Eastmond A. *The cult of St. David Garejeli: Patronage and iconographic change in Gareja desert.* კრ. გარეჯი და ქრისტიანული აღმოსავლეთი, ტ 2. თბილისი: გარეჯის კვლევის ცენტრი
- კაზარიანი 2006:** Казарян И. *Краткий Очерк Истории Армянской Церкви с I по VIII века.* Тбилиси, 2006
- კაკაბაძე 1912:** კაკაბაძე ს. წმიდა ნინო და მიხი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, ლექცია წაკითხული ტფილისში 14 იანვარს 1912 წელს, ტფილისი: ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ა. მ. კერესელიძისა, 1912
- კაკაბაძე 1924:** კაკაბაძე ს. ხაიხორიო ძიებანი, ტფილისი: გამომცემლობა „სახელგამი”, 1924
- კაკაბაძე 1928:** კაკაბაძე ს. ხაიხორიო კრებული. თფილისი: პოლიგრაფტესტის მე-2 სტამბა
- კალანდაძე 1989:** კალანდაძე ალ. დიდი მცხვარია: 1980-1981 წწ. არქეოლოგიური ძიებისა და გათხრების ანგარიში. II. პუბლიკაციები და სტატიები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1989

- კალანდაძე 2011:** კალანდაძე გ. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი”, 2011
- კახიანი... 2012:** კახიანი პ. ჭანიშვილი გ. გოპალიანი ჯ. და სხვ. ადრეულისტიანული საეკლესიო კომპლექსი დანარისიდან. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი”
- კეკელიძე 1923:** კეკელიძე პ. ძველი მწერლობა, I, ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1923
- კეკელიძე 1945:** კეკელიძე პ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისან, II, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- კეკელიძე 1957:** კეკელიძე პ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1957
- კეკელიძე 1962:** კეკელიძე პ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962
- კეკელიძე... 1987:** კეკელიძე პ. ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987
- კვასტენი 1986:** Quasten J. *Patrology, vol. III* (Christian Classics, INC: Westminster/Maryland, 1986)
- კიკნაძე 1982:** კიკნაძე ზ. ქართლის მოქაევის ახლოებული გარიანტები, მაცნე (ენისა დალიტერატურის სერია), N 1, 1982
- კიკნაძე 2009:** კიკნაძე ზ. ქართლი გაქრისტიანების გზაზე: ადამიანები და სიწმინდეები. თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი”, 2009
- კიპაროიძე 1974:** კიპაროიძე ტ. ულუმბოს ძეგლის შესწავლისათვის, ძეგლის მეტობარი, N 35
- კლარკი 1983:** Clark, E. A. *Women in Early Church*. Collegeville (Minnesota: The Liturgical Press, 1983)
- კლარკი 1993:** Clark, G. *Women in Late Antiquity* (Oxford: Oxford University Press, 1993)
- კუნი 1997:** Coon, Lynda L. *Sacred Fictions: Holy Women and Hagiography in Late Antiquity* (Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1997)
- კუპატაძე 2011:** კუპატაძე გ. (რედაქტორი). კარბელაშვილი ვ. იერარქია საქართველოს ეკლესიისა. თბილისი: გამომცემლობა „კაბადონი”, 2011
- კუჭუხიძე 2009:** კუჭუხიძე გ. წმინდა ნინო და ქართლის მოქაევა, კრებული: წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქაევა, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009

- კოფსები 1997:** A. Kofsky, *Peter the Iberian: Pilgrimage, Monasticism and Ecclesiastical Politics in Byzantine Palestine*, Liber Annus 47 (1997)
- ლამპი 1961:** Lamp, G.W.H. *A Patristic Greek Lexicon*. Oxford: Clarendon Press, 1961
- ლე გოფი 1988:** Le Goff J. *Medieval Civilization (400-1500)*. Oxford/Cambridge: Blackwell, 1988)
- ლოლაშვილი 1984:** ლოლაშვილი ი. (რედაქტორი), ძველი ქართული მწერლობის მატიანე თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, I, 1984
- ლომინაძე 1949:** ლომინაძე ბ. ქართული ხაეკლებით ხენოორის ისტორიიდან: შოთ-მღვიმების მონასტერი. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო შრომა
- ლომინაძე 1953:** ლომინაძე ბ. შოთმღვიმე. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953
- ლომინაძე 1966:** ლომინაძე ბ. ქართული ფერდალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი: „მეცნიერება”, I, 1966
- ლორთქიფანიძე 2003:** ლორთქიფანიძე მ. ადრეშუასაუკუნების ქართული ხაისტორიო მწერლობის ზოგი ხაკითხი. კრ. ვალერიან გაბაშვილი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ლურიე 2009:** Лурье В. М. *Введение в Критическую Агиографию*, СПб: Axioma, 2009
- ლოუთი 2004:** Louth Andrew. *Denis the Areopagite*. London/New-York: Continuum, 2004
- მათითაშვილი 2013:** მათითაშვილი შ. ქართული ბერმონაზვნობა IV-V ს. ეთნოლოგიური ძიებანი, V, თბ. 2013
- მათითაშვილი 2013/2014:** მათითაშვილი შ. დიმიტრი ფურცელაძე ახალი ქართული ხაეკლებით ისტორიოგრაფიის სათავეებთან, ქართული წყაროთმცოდნეობა, 2013/2014, გ. XV-XVI
- მათითაშვილი 2016:** მათითაშვილი შ. ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის კერიოდიზაცია, ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები, III, თბ. 2016
- მათითაშვილი 2017:** მათითაშვილი შ. როდის მოპოვა სინამდვილეში საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (პროგრამა და თემისები), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, 23 მარტი, 2017
- მათითაშვილი 2018:** Matitashvili Sh. *The Monasteries Founded by Thirteen Syrian Fathers in Iberia: The Rise of Monasticism in Sixth-Century Georgia*, ეურ. Studies in Late Antiquity, Vol.

2. No. 1, Spring, 2018: pp. 4-39 (University of California Press)/  
<http://sla.ucpress.edu/content/2/1/4>

**მაკალათია 1927:** მაკალათია ს. ლეონარდი მითრას კულტი საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, 3, 1997

**მამულია 1979:** მამულია გ. კლასობრივი ხაზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1979

**მამულია 1992:** მამულია გ. ქართლის კალებია IV-VI საუკუნეებში. თბილისი: „მეცნიერება”, 1992

**მარი 1897:** Mapp H. Хитон Господен в книжных легендах Армян, Грузин и Сирийцев. Из Сборника статей учеников В. Р. Розена. СПБ. 1897

**მარტიმორი 1986:** Martimort, Aime George. *Deaconesses: An Historical Study* (San-Francisco: Ignatius Press, 1986)

**მარტინ-იზარი 1985:** Martin-Hizard B. “Les treize saints pères”: Formation et evolution d'une tradition hagiographique Géorgiennes (VI<sup>e</sup>-XII<sup>e</sup> siècles) I parties, Revue des Études géorgiennes et caucasiennes. N 1

**მგალობლიშვილი... 1998:** Tamila Mgaloblishvili & Iulon Gagoshidze. *The Jewish Diaspora and Early Christianity in Georgia*, in Tamila Mgaloblishvili (editor). *Ancient Christianity in The Caucasus*, Iberica Caucasic, vol. 1 (Curzon: Caucasus World, 1998)

**მგალობლიშვილი 2003:** მგალობლიშვილი თ. ქართველ მეცნიერთა გამაჯდიცია წმინდა მიწაზე, ქ. Academia N 5, 2003

**მგალობლიშვილი 2003:** მგალობლიშვილი თ. ჯვრის მონასტერი, ქ. Academia N5, 2003

**მგალობლიშვილი 2014:** Mgaloblishvili Tamila, *An Unknown Georgian Monastery in Umm-Leisun, Near Jerusalem*, in Tamila Mgaloblishvili (editor). *Georgians in Holy Land: The Rediscovery of a Long-lost Christian Legacy*, Iberica Caucasic, vol. 2. London: Bennett & Bloom, 2014

**მენაბდე 1962:** მენაბდე ლ. დვალი ქართული მწერლობის კურები. ვ. I. ნაკვ. I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

**მერკვილაძე 2006:** მერკვილაძე დ. ასურელი მამები: VI საუკუნის სირიული სახულისტო მოღვაწენი საქართველოში. წ. I. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი”

**მერკვილაძე 2012:** მერკვილაძე დ. წმ. მამა დავით გარეჯელი და მიხი სავანეები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი”

**მესხია 1973:** მესხია შ. ადრეფეოდალური საქართველოს ისტორიის ძირითადი პერიოდები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”

**მესხია 1986:** მესხია ჭ. ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის  
ხაյითხისათვის X-XII სს. ქართულ მონახტერში, ძიებანი, III, თბილისი:  
გამომცემლობა „მეცნიერება”, 1986

მორისონი 1912: Morison E. F. *St. Basil and His Rule: A Study in Early Monasticism* (London/Edinburgh/New-York/Toronto/Melbourne/Bombey: Oxford University Press, 1912)

**ნადირაძე... 2001:** ნადირაძე ქ. ნადირაძე თ. უდაბნო საღვთოდ შემოკრებულთა, თბილისი: გამომცემლობა „ტრიადა”, 2001

ნაცლიშვილი 2005: ნაცლიშვილი გ. წილახისი – ერთ-ერთი უძველესი სამონასტრო კერა, მრავალთავი, XXI, ობ. 2005

**ნაცვლიშვილი 2010:** ნაცვლიშვილი ნ. წილკის ეგვეგრი და სამონახტო  
მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები საკლებო კანონების მიხედვით,  
მრავალთავი, XXIII, 2010

ნიკოლოზიშვილი 2003: ნიკოლოზიშვილი ნ. ზაბილოვნიდან მირიანაძე, ქლიო: საისტორიო ალმანახი, N 17, 2003

ნიკოლოზიშვილი 2006ა: ნიკოლოზიშვილი ნ. რა ენაზე მოგვითხრობდა წ. ნინო? გელათის მეცნიერებათა აკადემიის ქურნალი, ქუთაისი, N 9, 2006

ნიკოლოზიშვილი 2006ბ: ნიკოლოზიშვილი ნ. წე. ნინოს გარდაცვალების მიზები, ლიტერატურა და ხელოვნება, N 9, 2006

Боўзьдзя 2011: Ницше Ф. *По ту сторону добра и зла*. Минск: Издательство: „Харвест”, 2011.

Նօրյածնութեան 2004: *The Story of the Life and Death of The Blessed Man St. Mashtots Vardapet Our Translator Written by His Pupil Koriun Vardapet*, Translated by from Old Armenian (Grabar) by Bedros Norehad,  
2014/<http://www.yehi.net/istoriya/armenia/korun/english/index.html>

Ապահովության 1973: Papachryssanthou D. *La Vie Monastique dans les Campagnes byzantines du VIII<sup>e</sup> au XI<sup>e</sup> siècle*, Byzantion: Revue international des Etudes Byzantines, t. XLIII (43), 1973

პარკერი... 2015: Rev. John Parker, Fr. Dumitru Staniloae, *In the Defence of the Dionisian Authorship*/<http://www.pravoslavie.ru/english/print86817.htm>

- პატრიკი 1995:** Patrick J. Sabas: *The Leader of Palestinian Monasticism* (Washington D.C: Dumbarton Oaks, 1995)
- პეტერი 1923:** Peeters P. *Histoires monastiques Géorgiennes*. Bruxelles, 1923
- ჟანენი 1996:** ჟანენი რ. საქართველო. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი”. 1996
- ჟორდანია 2004:** ჟორდანია ო. ქრონიკები. I. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი”, 2004
- ჟორდანია 2011:** ჟორდანია ო. ოხზულებანი, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი”, 2011
- ღეიდერი 1981:** Rader, Rosemary. *The Martyrdom of Perpetua: A Protest account of Third-century Christianity*, in Wilson-Karstner, Patricia. Kastner, G. Ronald. Millin, Ann. Rader, Rosemary. Reedy, Jeremiah (editors). *A Lost Tradition: Women of Early Church*. New-York/London: University Press of America, 1981
- რუსო 1994:** Rousseau Ph. *Basil of Caesarea*. Berkeley: California University Press, 1994
- რუთერი...1979:** Ruether, Rosmary and McLaughlin, Eleanor. *Introduction: Women's Leadership in the Jewish and Christian Traditions (Continuity and Change)*, in Ruether, Rosmary and McLaughlin, Eleanor (editors). *Women of Spirit: Female Leadership in the Jewish and Christian Traditions* (New-York: Simon and Shuster, 1979)
- რცხილაძე 2010:** რცხილაძე ვ. XX საუკუნის გერმანელი მოაზროვნეები დათის არსებობის შესახებ, თბილისი: 2010
- სანიკიძე 1974:** სანიკიძე ო. ბრეთის „მამა პიროხი”, ძეგლის მეგობრი, N 35
- სესირი 1985:** Cecire Robert, *Encratism: Early Christian Ascetic Extremism*, Dissertation, University of Kansas, 1985
- სმითი 1879:** Smith R. T. *St. Basil the Great* (London: Society for Promoting Christian Knowledge, 1879)
- სირაძე 1987:** სირაძე რ. ქართული აგიოგრაფია. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული”
- სურგულაძე 2006:** სურგულაძე გ. ქართული სახიწორიო აქტები (XI-XV სს.). თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი”, 2006
- სურგულაძე 2016:** სურგულაძე გ. „მცხეთის სახლი”, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი”, 2016
- სხირტლაძე 1991:** სხირტლაძე ზ. ახიზის კალებისა და მისი მოხაივის გამო, ქურ. ლიტერატურა და ხელოვნება, N3, 1991

**სხირტლაძე 2001:** Skhirtladze Z. *Newly discovered early paintings in the Gareja desert*, in *Eastern Approaches to Byzantium*, ed. by eastmond, E. (Aldershot, 2001)

**ტაბერნი 2014:** *Early Christianity in Contexts: An Explore Across Cultures and Continents*, ed. by William Tabernee (Michigan: Baker Academics, 2014)

**ტერიანი:** Terian A. *An Overview of Early Armenian Monasticism*, St. Nerses Armenian Seminary// <http://studylib.net/doc/17856313/abraham-terian-st.-nersess-armenian-seminary>

**უაითი 1932:** White, Hugh. E. *The Monasteries of the Wadi N Natrûn: The History of the Monasteries of Nitria and of Scetis II* (New-York: Arno Press, 1932)

**უილსონ-კარსტნერი 1981:** Wilson-Karstner, Patricia. *Introduction: The Pilgrimage of Egeria, in A Lost Tradition...* 1981

**ფერაძე 1927:** Peradze, Gregor. *Die Anfänge des Mönchtums in Georgien* (Bonn: Friedrich Andreas perthes A.-G. Gotha, 1927)

**ფერაძე 1995:** ფერაძე გრ. უცხოულ პილიგრიმთა ცხობები პალებიზინის ქართველი ძერუბისა და ქართული მონასტრების შესახებ, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ, თბილისი: გამომცემლობა „კანდელი”, 1995

**ფერაძე 2006:** ფერაძე გრ. ძერმონაზენობის დასაწყისი საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი”, 2006

**ფერაძე 2012:** ფერაძე გრ. ქართული ძერმონაზენობის ისტორია დასაწყისიდან 1063 წლამდე, მწიგნობრობა ქართული, ტ. 14, რედ. მ. ქავთარია, თბილისი: გამომცემლობა „ციცინათელა”, 2012

**ფრანკი 2010:** Frank S. K. *Geschichte des monchtöms* (Darmstadt: WBG, 2010)

**ფრეიზი 1982:** Fraze Ch. *Late Roman and Byzantine legislation on the monastic life from the fourth to the eighth centuries*, Church History, Vol. 51 (N 3), 1982

**ფურცელაძე 1962:** Пурцеладзе Д. *История Грузинской Церкви*. Кавказ. № 94, 1862

**ქავთარია 1965:** ქავთარია მ. დავით გარეჯის ლიტერატურული ხელო, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1965

**ქაჯაიძა 1992:** ქაჯაიძა ნ., ბახილი კესარიულის თხულებათა ძეგლი ქართული თარგმანები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1992

**ქორიგანი... 2004:** Kevin Corrigan, L. Michael Harrington, *Pseudo-Dionisius the Areopagite*, Stanford Encyclopedia of Philosophy/<https://plato.stanford.edu/entries/pseudo-dionysius-areopagite/>

- ქურთიკიძე** 1964: ქურთიკიძე, „მოქცევად ქართლისად”-ის ტექსტები და ენობრივი ხელობები, ფილოლოგიური ძეგლი, I. 1964
- ყაუხჩიშვილი** 1999: Каухчишвили Нино. *Св. Нино и роль женщины в Византии первых веков.* Caucasica: The Journal of Caucasian Studies. Vol. 3, 1999
- ყუბანევიშვილი** 1940: ყუბანევიშვილი ს. „მოქცევად ქართლისად”-ის ჭრიანი რედაქცია, სტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრომები, ტ. XII, 1940
- ხელაია** 1909: ხელაია ა. ჭრიანის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა”. პრ. ძველი საქართველო, ტფილისი: საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამომცემლობა, 1909
- შენკაო** 2009: Шенкао М. А. *Изучение ментальностей во Французской школе „Анналов”.* ქურ. Общество. Среда. Развитие. (Terra Humana), 2009
- შვარცი** 1912: Schwartz, Edward. *Johannes Rufus: Ein monophysitischen schriftsteller.* Sitzungsberichte der Heidelberg Akademie der Wissenschaften, Philosophisch-historische Klasse 16. Heidelberg, 1912
- ჩედვიკი...** 2006: Chadwick, Henrey and Oulton, J.E.L. *Alexandrian Christianity: selected translations of Clement and Origen* (Louisville/London: Westminster John Knox Press, 2006)
- ჩესნუთი** 1991: Chesnutt, Randal D. *Revelatory Experiences Attributes to Biblical Women in Early Jewish Literature.* in *Women Like This: New Perspectives on Jewish Women in the Greco-Roman World.* ed. Levine, Amy-Jill (Atlanta: Scholars Press, 1991)
- ჩეხანოვეცი** 2014: Tschekhanovets, Yana. *Iohane, bishop of Purtavi, and Caucasian Albanians in the Holy Land,* in Bottini, C. G. and Chrupcala, D. L. (editors). *Knowledge and Wisdom: Archeological and Historical Essays in Honor of Leah Di Segni*, 2014
- ჩიტი** 1995: Chitty D. *The Desert A City: An introduction to the study of Egyptian and Palestinian Monasticism under the Christian empire* (New-York: St. Vladimir's Seminary Press, 1995)
- ჩუბინაშვილი** 1925: Tchubinaschwili G. *Die Shio-Mghvime Laura,* ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. V, 1925
- ჩუბინაშვილი** 1948: Чубинашвили Г. *Пещерные Монастыри Давид Гареджса.* Тбилиси: Издательство и Типография АН ГССР
- ჩუბინაშვილი** 1959: Чубинашвили Г. *Грузинское Чеканное Искусство.* Тбилиси: “Сабчота Сакартвело”, 1959

**ჩუბინაშვილი 1971:** ტუბინაშვილი გ. ვედავენი, კლიკისძვარი, გვარა. ქართული ხელოვნება, N 7, 1971

**ჩხარტიშვილი 1987:** ჩხარტიშვილი გ. ქართული პაგინი მართვა-გაფილი წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები: „ცხოვრება წმიდისა ნინოვსი”, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987

**ჩხარტიშვილი 1994:** ჩხარტიშვილი გ., მარტვილობა და მოთმინება წმიდისა გესტათი ძველთველისათ, ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა სერაპიონ ზარზმელისათ (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება”, 1994

**ჩხარტიშვილი 1996:** ჩხარტიშვილი გ. ქართული პაგინი წყაროთმცოდნეობითი ანალიზი: IV-VII სს. ამსახველი ძეგლები, დისერტაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ჩხარტიშვილი 2000:** ჩხარტიშვილი გ. საქართველოს კალების ისტორიის შესწავლის პრობლემები XX საუკუნის ბოლოს, კრ. ქრისტიანობა საქართველოში: ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები, რედ. ნინო აბაკელია და მარიამ ჩხარტიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „მემატიანე”, 2000

**ჩხარტიშვილი 2009:** ჩხარტიშვილი გ. ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის კაოსი, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი”, 2009

**ჩხარტიშვილი 2013:** ჩხარტიშვილი გ. „მოქცევა ქართლისათ” პეტრე იბერის შესახებ, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი”, 2013

**ცინცაძე 1994:** ცინცაძე პ. ქვაშეთის წმიდის გიორგის კალებია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბილისი: გამომცემლობა „პანდელი”, 1994

**ჭელიძე 1989:** ჭელიძე ე. „ანტონი დიდის ცხოვრების” წინაათონური რედაქციების ურთიერთმიმართების შესახებ. მრავალთავი, XV, 1989

**ჭელიძე 2016:** ჭელიძე ე. საეკლესიო დოგმატიკა და ერესები, ტ. I. თბილისი, 2016

**ჭელიძე 2016:** ჭელიძე ე. წმიდა მეთოდი ოლიმპიელი: ცხოვრება და წერილობითი მექანიზმება (248-ე რადიო საუბარი ქრისტიანული ლიტერატურის შესახებ: ზეპირი საუბრის წერილობითი ვერსია სპეციალური დამუშავების გარეშე/ [http://library.church.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=630%3A---310&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka](http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=630%3A---310&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka)

**ჭილაშვილი 2000:** ჭილაშვილი ლ. ნეკრესის წარმართული სამღოცველოები. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

- ხგისტანი 2009:** ხგისტანი რ. მასალები საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიისათვის. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიან”
- ხინთიბიძე 1982:** ხინთიბიძე გ. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982
- ხოსროევ 2004:** ხოსროევ ლ. ა. პახომი ველიკი: *Из Ранней истории общежительного монашество в Египте.* Санкт-Петербург: издательство „Нестор-история”, 2004
- ხოშტარია 2009:** ხოშტარია დ. უძველესი მონასტრები საქართველოში, ქურ. არქიტექტურული მემკვიდრეობა, I
- ხოშტარია 2009:** ხოშტარია დ. კლარჯეთის კალებიები და მონასტრები, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი”, 2009
- ხურცილავა 2014:** ხურცილავა ბ. იერუსალიმის უცნობი ქართული მონასტრის („ვურცა”) შესახებ. ისტორიული ვერტიკალები, 30, 2014
- ჯავახიშვილი 1916:** ჯავახიშვილი ივ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, I, ტფ. 1916
- ჯავახიშვილი 1979:** ჯავახიშვილი ივ. ოხუცლებანი თორმეტ ტომად, I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979
- ჯამბურია 2007:** ჯამბურია გ. ქართული ვეოდალიზმის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი”, 2007
- ჯანაშია 1949:** ჯანაშია ს. შრომები. I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
- ჯიქია 2010:** ჯიქია ა. IV-V საუკუნეება მონაზენური ცხოვრების სურათები ძველ ქართულ მწერლობაში. ქრ. რელიგიის ისტორიის საკითხები, I, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 2010
- ჯობაძე 1992:** Djabadze V. *Early Medieval Monasteries in Historic Tao, Klardjeti and Šavšeti* (Stuttgart, 1992)
- ჯონსი 2003:** Jones R. *Jewish Religious Parties at the Time of Christ (Part Two: Essens)* (Acworth: Georgia, 2003)
- ჯორბენაძე 1981:** ჯორბენაძე ს. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილის, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1981
- ჰაასი 2009:** Haas Ch. “Ioane Zedazneli: A Georgian Saint in Syrian Ascetical Tradition,” in P. Skinner, D. Tumanishvili and A. Shanshiashvili, eds. *Georgian Art in the Context of European*

and Asian Cultures: Proceedings of the Vakhtang Beridze 1<sup>st</sup> international Symposium of Georgian Culture (Tbilisi)

**პარვი 1990:** Harve, Susan Ashbrook. *Women in Early Byzantine Hagiography: Reversing the Story*, in *That Gentle Strength: Historical Perspectives on Women in Christianity*. Ed. by Lynda L. Coon, Katherine J. Haldane & Elizabeth W. Sommer (Charlottesville and London: University Press of Virginia, 1990)

**პარმლესი 2004:** Harmless, W. *Desert Christians: An Introduction in the Literature of Early Monasticism* (New-Yourk: Oxford University Press, 2004)

**პარნაკი 1901:** Harnack A. *Monasticism: Its Ideals and History and The Confessions of St. Augustine*, translated into English by E.E. Kellett, M.A. and F.H. Marseille, PhD., M.A.(Williams & Norgate: London, 1901)

**პასკინი 1993:** Haskins S. *Mary of Magdalen: Myth and Metaphor* (New-Ork: Riverhead Books, 1993)

**პირშველი 1990:** Hirschfeld Y. *Life of Chariton: In light of archeological research, in Ascetic Behavior in Greco-Roman World.* ed. by Vincent L. Wimbush (Fortress Press: Minneapolis, 1990)

**პორნი 2006:** Cornelia Horn. *Asceticism and Christological Controversy in Fifth-Century Palestine: The Career of Peter the Iberian*, Oxford Early Christian Studies (Oxford: Oxford University Press, 2006)